

501

1972

№ 85



გეორგიის ნიშნული ღრმის ორდენის სახელობის
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი

გ რ მ ე ბ ი

85

LXXXV

Т Р У Д Ы

Грузинского ордена Трудового
Красного Знамени
сельскохозяйственного института

გაიბის ნითელი ღროზის ორდენოსანი
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი



გ რ ო მ ე ბ ი

LXXXV

Т Р У Д Ы


Грузинского ордена Трудового
Красного Знамени
сельскохозяйственного института

18081

19 თბილისი 72

საქსის ს.ბ. საქ. სსრ
წიგნთ ბეჭდვითი
სამსახური

მოწონებულია შრომის წითელი დროშის ორდენოსანი
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დიდი საბჭოს მიერ



Одобрено большим Советом грузинского Ордена Трудового
Знамени сельскохозяйственного института

სარედაქციო კოლეგია

მეცნ. დამსახ. მოღვაწე, პროფ. ი. ფ. სარიშვილი (მთ. რედაქტორი), მეცნ. დამსახ. მოღვაწე,
პროფ. ი. ლ. ჯაში, დოც. გ. ე. ზვიადაძე, მეცნ. დამსახ. მოღვაწე, პროფ. ლ. ლ. დეკაპ-
რელევიჩი, მეცნ. დამსახ. მოღვაწე, პროფ. ვ. ი. ქანთარია, მეცნ. დამსახ. მოღვაწე, პროფ.
ნ. კ. ლაქუციანი, მეცნ. დამსახ. მოღვაწე, პროფ. ი. ლ. აბაშიძე, მეცნ. დამსახ. მოღვაწე, პროფ.
ნ. ვ. პაიჭაძე, მეცნ. დამსახ. მოღვაწე, პროფ. ლ. ი. ებანოიძე, მეცნ. დამსახ. მოღვაწე,
პროფ. ი. მ. დოლიძე, მეცნ. დამსახ. მოღვაწე, პროფ. გ. ი. შხვაცაბაია, მეცნ. დამსახ. მოღვაწე,
პროფ. ი. დ. ბათიაშვილი, პროფ. ო. ნათიშვილი, დოც. პ. ვ. მიქელაძე პროფ. შ. მ. ხატიაშვილი,
დოც. პ. ს. გვარამაძე, კ. შ. ჩიხლაძე (პ/მგ. მდივანი).

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

Заслуж. д. н., проф. И. Ф. Сарисвили (гл. редактор), заслуж. д. н., проф.
И. А. Джаши, доц. Г. Э. Звиаддзе, заслуж. д. н., проф. Л. Л. Декапрелевич, заслуж.
д. н., проф. В. И. Кантария, заслуж. д. н., проф. Н. К. Лачкепиани, заслуж. д. н., проф.
Я. А. Абашидзе, заслуж. д. н., проф. Н. В. Паичадзе, заслуж. д. н., проф. А. И. Эбано-
идзе, заслуж. д. н., проф. И. М. Долидзе, заслуж. д. н., проф. Г. Я. Шхвацабая, заслуж.
д. н., заслуж. д. н., проф. И. Б. Батиашвили, проф. О. Натишвили, доц. П. В. Микела-
дзе, проф. Ш. М. Хатишвили, доц. П. С. Гварамадзе, К. Ш. Чихладзе (отв. секретарь)-



დოც. ბ. ჯორჯიანი

3. ი. ლენინი—სსრ კავშირის ორგანიზატორი


ორმოცდაათი წლის წინათ, 1922 წლის 30 დეკემბერს საბჭოების პირველი სრულიად საკავშირო ყრილობის ტრიბუნიდან მთელს მსოფლიოში გაისმა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ დეკლარაციის შთამაგონებელი სიტყვები: „საბჭოთა რესპუბლიკების შექმნის დროიდან მსოფლიოს სახელმწიფონი გაითიშნენ ორ ბანაკად: კაპიტალიზმის ბანაკად და სოციალიზმის ბანაკად.“

იქ, კაპიტალიზმის ბანაკში, სუფევს ნაციონალური მტრობა და უთანხმოება, კოლონიალური მონობა და შოვინიზმი, ეროვნული ჩაგვრა და რბევა, იმპერიალისტური მხეცობა და ომები.

აქ, სოციალიზმის ბანაკში კი ურთიერთნდობა და მშვიდობიანობა, ეროვნული თავისუფლება და თანასწორობა, ხალხთა მშვიდობიანი თანაცხოვრება და ძმური თანამშრომლობა... მხოლოდ საბჭოების ბანაკში, მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში, რომელმაც თავის გარშემო შემოიკრიბა მოსახლეობის უმრავლესობა, გახდა შესაძლებელი ეროვნული ჩაგვრის ძირფესვიანად აღმოფხვრა. ურთიერთნდობის ატმოსფეროს შექმნა და ხალხთა ძმური თანამშრომლობის საფუძვლების ჩაყრა“.

მსოფლიოს ხალხთა ისტორიის მთელი მსვლელობა დამაჯერებლად ადასტურებს ამ დასკვნების ჭეშმარიტებას.

მრავალი წიგნი და ტრაქტატი დაწერილა, „თეორიები“ შექმნილა ხალხთა შორის მეგობრობისა და ძმობის, როგორც ჰუმანიზმის უმაღლესი გამოვლენის შესახებ. მაგრამ ხალხთა კოლონიალური მონობა, ჩაგვრა, ექსპლუატაცია, რასობრივი ჭიჭულვილი, ერებისა და ხალხების აბუჩად აგდება საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა და დღესაც გრძელდება კაპიტალისტურ სამყაროში. ხალხთა უფლებებისა და თავისუფლების ასეთი აბუჩად აგდების ყოველდღიური მოწმეა თითოეული ჩვენგანი. ამაზე მეტყველებს როგორც ინგლისელი ოკუპანტების თავგასულობა ოლსტერში და ამერიკელი იმპერიალისტების აგრესიული ომი ინდოჩინეთის ხალხების წინააღმდეგ, ისე ისრაელის მმართველი წრეების პოლიტიკა არაბი ხალხის მიმართ და რასიზმი თვით ამერიკის შეერთებულ შტატებში.



კაცობრიობის ისტორიაში პირველად მხოლოდ ლენინური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა სახელმწიფომ განახორციელა პირველი კულად მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი პრინციპები ყველა ერის, რასისა და ხალხის მშრომელთა თანასწორობისა და ძმობის შესახებ. რითაც გზა გაუხსნა ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა და ხალხის პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ განვითარებას, დასაბამი მისცა ახალ ერას ეროვნულ ურთიერთობათა ისტორიაში, რითაც მსოფლიოს ხალხების, დედამიწაზე ყველა პატიოსანი ადამიანის მადლიერება დაიმსახურა.

„საბჭოთა კავშირი განსახიერებს თავისუფალ ხალხთა ერთიანობისა და მეგობრობის ისეთ ურთიერთობას, რაც წინათ ისტორიაში არ ყოფილა. ეს მეგობრობა სოციალიზმის ერთერთი უდიდესი მონაპოვარია, მძლავრი მამოძრავებელი ძალაა, დაუშრეტელი წყაროა სსრ კავშირის ყველა ეროვნების მშრომელთა შემოქმედებითი აღმშენებლობისა ყველაზე კეთილშობილური მიზნისათვის—კომუნიზმის აშენებისათვის“—ნათქვამია სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში.

საბჭოთა საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე—რევოლუციისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში, სამოქალაქო ომისა და სოციალისტური მშენებლობის პერიოდში, დიდი სამამულო ომის დროს და ამჟამად-განვითარებული სოციალიზმისა და კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ეტაპზე ვლინდება და მტკიცდება სსრ კავშირის ხალხთა ლენინური მეგობრობის დიადი ნაყოფი. მსოფლიო ისტორიამ არ იცის სხვა მაგალითი ინტერესებისა და მიზნების, ნებისყოფისა და მოქმედების ისეთი ერთიანობისა, ისეთი სულიერი ნათესაობის, ურთიერთნდობისა და ზრუნვის, როგორსაც იჩენენ სსრ კავშირის ხალხები ერთმანეთის მიმართ.

სსრ კავშირში სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის პროცესში ხალხთა ცხოვრების მთელი წყობის ინტერნაციონალიზაციის შედეგად ჩამოყალიბდა ადამიანთა ისტორიული ერთობის ახალი ფორმა—საბჭოთა ხალხი.

საბჭოთა ხალხი, როგორც ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა ჩამოყალიბდა ჩვენი ქვეყნის ერებისა და ხალხების ეკონომიური, სოციალურ-პოლიტიკური და სულიერი ცხოვრების ძირეულ რევოლუციურ გარდაქმნათა შედეგად და წარმოადგენს გამარჯვებული სოციალიზმის კანონზომიერ შედეგს. თუ გვარები და ტომები წარმოშვა პირველყოფილმა თემურმა საზოგადოებამ, ხალხები—წინაკაპიტალისტურმა კლასობრივმა საზოგადოებამ, ხოლო ერები—კაპიტალიზმმა, საბჭოთა ხალხი, როგორც ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა წარმოადგენს სოციალისტური წყობილების პროდუქტს, მისი ინტერნაციონალური ბუნების ხორცშესხმას.

ეროვნულ ურთიერთობათა სფეროში მოპოვებული ყველა გამარჯვებანი—საბჭოთა ხალხების წებყოფლობითი გაერთიანება ახალი, უმადლესი ტიპის სახელმწიფოში, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში; მათ შორის ურღვევი მეგობრობის დამყარება, სოციალისტური ერების ფორმირება და აყვავება, ადამიანთა ახალი, მრავალეროვანი ერთობის—საბჭოთა ხალხის ჩამოყალიბ-




ბეზა რაც სოციალისტური საზოგადოების კანონზომიერ შედეგს და მისი გომი განვითარების ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს—იმის გია, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თავის ეროვნულ პოლიტიკაში ემყარებოდა ვ. ი. ლენინის მიერ შემუშავებულ თეორიასა და პროგრამას ეროვნულ საკითხში. „ლენინის გენიამ თეორიულად და პრაქტიკულად გადაწყვიტა ეროვნული საკითხი“—ნათქვამია „ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების შესახებ“ სკკპ ცკ-ის დადგენილებაში.

მოპოვებული მიღწევების სიმაღლიდან განსაკუთრებით რელიეფურად ჩანს ვ. ი. ლენინის დამსახურება მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობაში. ახალ ისტორიულ პირობებში შემოქმედებითად ავითარებდა რა კ. მარქსისა და ენგელსის იდეებს ეროვნულ საკითხზე, ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა მწყობრი, მთლიანი მოძღვრება ეროვნულ და ეროვნულ-კოლონიურ საკითხზე. მისი საფუძველია დასკვნა რომ ეროვნული საკითხი შემადგენელი ნაწილია პროლეტარული რევოლუციის საკითხისა, ექვემდებარება კლასობრივი ბრძოლის ინტერესებს. მისი კარდინალური გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ კლასობრივი ანტაგონიზმის დაცემის შემდეგ, სოციალიზმის პირობებში. მაგრამ თავის მხრივ ახალი საზოგადოების წარმატებითი მშენებლობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენად სწორად ხორციელდება ეროვნული პოლიტიკა. 1919 წელს პარტიის VIII ყრილობაზე ამხელდა რა პიატკოვსა და სხვა ოპორტუნისტებს, რომლებიც გამოდიოდნენ პარტიის ეროვნული პოლიტიკის წინააღმდეგ, ვ. ი. ლენინი ამბობდა, რომ ეროვნული საკითხის სწორად გადაწყვეტის გარეშე „სოციალისტური საზოგადოების აშენება ჩვენ არასგზით არ შეგვიძლია“.¹

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციით დაიწყო ახალი ერა ეროვნულ საკითხის განვითარებაში, მან სათანადო წინაპირობები შექმნა ეროვნული საკითხის გადაწყვეტის ლენინური პროგრამის განხორციელებისათვის. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღიდანვე შეიქმნა საბჭოთა მთავრობის შემადგენლობაში ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარიატი ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით. 1917 წლის 2 (15) ნოემბერს საბჭოთა მთავრობამ მიიღო და მეორე დღეს ვ. ი. ლენინის და ი. ბ. სტალინის ხელმოწერით გამოქვეყნდა „რუსეთის ხალხთა უფლებების დეკლარაცია“, რითაც კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის ძირითადი პრინციპები ფაქტიურად საბჭოთა სახელმწიფოს კანონად იქნა გამოცხადებული. ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა სოციალისტური მშენებლობის პირობებში ეროვნულ საკითხში კომუნისტური პარტიის პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, ჩამოაყალიბა მშრომელთა ზოგადი და ეროვნული ინტერესების დიალექტიკა. მან საბჭოთა განვითარების პირობებში კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის საფუძველად გამოაცხადა ეროვნებათა შორის ფაქტიური უთანხმოების ლიკვიდაცია და შეიმუშავა წინათ ჩამორჩენილი ხალხების პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული აღორძინების მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა.

¹ ვ. ი. ლენინი. თხზ. ტ. 33. გვ. 524



ასაბუთებდა რა ეროვნებათა შორის ფაქტიური უთანასწორობის ლეგიტიმაციის გზებს, ვ. ი. ლენინს წინათ ჩამორჩენილი ხალხების კაპიტალიზმის გვერდის ავლით სოციალიზმზე გადასვლის ერთ-ერთ ძირითად პირობად მიანიშნა ამ ხალხებისათვის საბჭოთა სახელმწიფოებრიობის მშენებლობა მათი ეროვნულ-საყოფაცხოვრებო პირობების შესაბამის ფორმებში და მათი გაერთიანება ერთიან სახელმწიფოდ. ხალხთა შორის უნდობლობის ნაშთების აღმოფხვრისა და მათი სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული აღორძინებისათვის ვ. ი. ლენინი გადაამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა „ავტონომიური, თუნდაც სულ მცირე ზომის ოლქების შექმნას მთლიანი, ერთიანი ეროვნული შემადგენლობით“.¹

ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით კომუნისტური პარტიის მიერ შემუშავებული საბჭოთა ავტონომიისა და ფედერაციის პრინციპები გახდა საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის მშენებლობისა და მათი ერთიან საკავშირო, სახელმწიფოდ გაერთიანების საუკეთესო ფორმა.

თუ საბჭოთა ავტონომია წარმოადგენს ეროვნული სახელმწიფოებრიობის ისეთ ფორმას, რომელიც უზრუნველყოფს ცალკეული ერებისა და ხალხების ინტერესებს ერთიანი საკავშირო სახელმწიფოს ფარგლებში და ამავე დროს არის განაპირა ეროვნული მხარეების ცენტრთან კავშირის სახელმწიფოებრივი ფორმა. ფედერაცია არის მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობის ფორმა მთლიანად. საბჭოთა ავტონომია და ფედერაცია გახდა ჩვენს ქვეყანაში წინათ ჩამორჩენილი ხალხებისა და ერების ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული აღორძინების, კაპიტალიზმისგან გვერდის ავლით მათი უშუალოდ სოციალიზმზე გადასვლის და მრავალეროვან სოციალისტურ სახელმწიფოში ნებაყოფლობითი გაერთიანების პოლიტიკური საფუძველი.

კომუნისტური პარტია საბჭოთა ავტონომიისა და ფედერაციის პრინციპების მიხედვით რევოლუციის გამარჯვების პირველ დღიდანვე შეუდგა მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობას.

მაგრამ საბჭოთა ავტონომია არ არის საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის ერთად-ერთი ფორმა. სოციალისტური რევოლუციის სულ უფრო გაღრმავებულმა პროცესმა გამოიწვია საბჭოთა ხელისუფლების დამყარება რევოლუციის შედეგად განთავისუფლებული ყოფილი რუსეთის იმპერიის განაპირა მხარეებში: უკრაინაში (1917 წ. 25 დეკემბერს), ბელორუსიაში (1919 წ. 1 იანვარს), აზერბაიჯანში (1920 წ. 28 აპრილს), ბუხარაში (1920 წ. 8 ოქტომბერს), სომხეთში (1920 წ. 29 ნოემბერს), საქართველოში (1921 წ. 25 თებერვალს). შემდეგში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა ყველგან შუა აზიაში.

ამგვარად საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე წლებში გამოიკვეთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის ორი ძირითადი ფორმა—ავტონომიური ერთეულები და დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკები. ამასთან ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, პირველსავე წლებში შექმნილი გამოცდილება სულ უფრო დაყინებით ცხადყოფდა, რომ საჭირო იყო ყველა საბჭოთა რესპუბლიკის ღონისძიებათა გაერთიანება საერთო მიზნის მისაღწევად. ამის გარეშე შე-

¹ ვ. ი. ლენინი თხზ. ტ. 20, გვ. 45.




უძლებელი იყო იმპერიალისტური და სამოქალაქო ომით დანგრეული სახელმწიფო მეურნეობის აღდგენა, ერთიანი გეგმიანი სოციალისტური მეურნეობის შექმნა, ბუნებრივი და შრომითი რესურსების რაციონალური და ეფექტიანი გამოყენება. წინათ ჩამორჩენილი ქრების ეკონომიური და კულტურული აღორძინება. სსრ კავშირის შეუქმნელად წარმოუდგენელი იქნებოდა საბჭოთა რესპუბლიკების დამოუკიდებლობის დაცვა, იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ მტკიცე თავდაცვისუნარიანობის, საერთაშორისო ურთიერთობაში ჯეროვანი ადგილის უზრუნველყოფა.

საბჭოთა რესპუბლიკების ერთიან საკავშირო სახელმწიფოდ გაერთიანების ობიექტურ საფუძველს კი წარმოადგენდა პროლეტარიატის დიქტატურის, საბჭოთა ხელისუფლების თვით არსი, მისი ინტერნაციონალური ბუნება, სოციალისტური საზოგადოების პოლიტიკური, ეკონომიური და იდეური ცხოვრების კანონზომიერებანი. ამგვარად, საბჭოთა რესპუბლიკების ერთიან საკავშირო სახელმწიფოდ გაერთიანება რალაც მოულოდნელი და შემთხვევითი მოვლენა კი არ ყოფილა, როგორც ეს ისტორიის ბურჟუაზიულ ფალსიფიკატორებს სურთ წარმოადგინონ, არამედ ის იყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მსვლელობის, ლენინური კომუნისტური პარტიის დაუღალავი მოღვაწეობის კანონზომიერებებით განპირობებული აუცილებელი მოვლენა.

ჩვენი ქვეყნის ხალხთა გამაერთიანებელი მოძრაობა ერთიანი სახელმწიფოებრივი კავშირის შექმნისათვის დიდი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებისთანავე იწყება და გაივლის შემდეგ ფაზებს:

სამოქალაქო ომისა და უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის პერიოდში, როცა დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკების არსებობას სასიკვდილო საფრთხე ემუქრებოდა, წინა პლანზე იდგა მათი სამხედრო თანამშრომლობის ამოცანები. ცხადი იყო, რომ რსფსრ დახმარების გარეშე ვერცერთი საბჭოთა რესპუბლიკა თავს ვერ დაიცავდა იმპერიალისტური სახელმწიფოებისაგან, ამიტომ ამ პერიოდში განსაკუთრებით გაძლიერდა ეროვნული რესპუბლიკების ლტოლვა რუსეთის ფედერაციასთან კავშირის განმტკიცებისაკენ. ამ პერიოდში ჩვენი ქვეყნის ხალხთა თანამშრომლობამ მიიღო სამხედრო-პოლიტიკური კავშირის ფორმა. შეიქმნა ერთიანი სამხედრო სარდლობა, სახალხო მეურნეობის გაერთიანებული საბჭოები, ტრანსპორტის საერთო მმართველობა, განხორციელდა დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატების მოღვაწეობის კოორდინირება და სხვ.

ჩვენი ქვეყნის ხალხების გამაერთიანებელი მოძრაობის შემდგომ ფაზას მიეკუთვნება დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების დიპლომატიური გაერთიანება. სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ როდესაც იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა დიპლომატიური საშუალებებით სცადეს შეტევა საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ. ცხადია, მსოფლიო ბურჟუაზიისათვის უნდა დაგვეპირისპირებინა ეროვნული რესპუბლიკების ერთიანობა საერთაშორისო ასპარეზზეც. ამიტომ გენუის კონფერენციის წინ, 1922 წ. 22 თებერვალს ქ. მოსკოვში საბჭოთა რესპუბლიკებს შორის დადებულ იქნა ხელშეკრულება მათი დიპლომატიური



გაერთიანების შესახებ. დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების ერთიან დიპლომატიური ფრონტის შექმნამ დიდი როლი შეასრულა ჩვენი რესპუბლიკისათვის. თა შემდგომი შეკავშირებისათვის პირობების მომზადების საქმეში.

შინაგანი კონტრრევოლუციისა და უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის გაერთიანებულ ძალებზე საბჭოთა ხალხის ძლევამოსილი გამარჯვების შემდეგ, ქვეყნის შინაგანი ცხოვრების ნორმალიზაციისა და საგარეო ურთიერთობის ერთგვარი გაუმჯობესების პირობებში რსფსრ და დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი განმტკიცდა, შეივსო ორმხრივი სახელშეკრულებო ურთიერთობით, რომლის ძირითად მიზანს შეადგენდა სამეურნეო ამოცანების ერთობლივი გადაწყვეტა. მაგრამ სოციალისტური მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტისათვის საბჭოთა რესპუბლიკებს შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობათა სისტემა არასაკმარის აღმოჩნდა, ცხოვრებამ დღის წესრიგში დააყენა დამოუკიდებელ რესპუბლიკებს შორის უფრო მჭიდრო კავშირის აუცილებლობა.

ითვალისწინებდა რა ეროვნული რესპუბლიკების მშრომელი მასების მისწრაფებას ვ. ი. ლენინმა ჯერ კიდევ 1920 წელს დასახა ამოცანა: „ვისწრაფოდეთ უფრო და უფრო მჭიდრო ფედერაციული კავშირისკენ“¹. დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელთა ფართო მასების მისწრაფებისა და ვ. ი. ლენინის მითითებათა საფუძველზე პარტიის X ყრილობამ დასახა ნებაყოფლობის პრინციპზე საბჭოთა რესპუბლიკების ერთიან საკავშირო სახელმწიფოდ გაერთიანების ამოცანა.

სსრ კავშირის—მრავალფეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს ამ უმაღლესი ფორმის შექმნის გზაზე პირველ ნაბიჯს წარმოადგენდა ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის შექმნა, რომელიც დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკებისაგან შემდგარი პირველი საკავშირო სახელმწიფო იყო.


ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის ინიციატორი და ორგანიზატორი იყო ვ. ი. ლენინი, რომელმაც წარმოაყენა ფედერაციის შექმნის არა მარტო მეცნიერულად ყოველმხრივ დასაბუთებული იდეა, არამედ შეიმუშავა კიდევ „პროექტი წინადადებებისა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შექმნის შესახებ“², რომელიც ერთხმად მოიწონა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიურომ, აგრეთვე რკპ (ბ) კავკასიის კომიტეტის ბიურომ. საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის პარტიულმა ორგანიზაციებმა და მშრომელთა უფართოესმა მასებმა.

ვ. ი. ლენინის ინიციატივით 1922 წ. შექმნილმა ამიერკავკასიის ფედერაციამ უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული აღორძინების საქმეში, ამიერკავკასიის ხალხებს შორის მეგობრობის განმტკიცების საქმეში.

ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის პარალელურად ყველა საბჭოთა რეს-

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ., 31, გვ. 167.

² ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ., 33, გვ. 134.



პუბლიკაში მიმდინარეობდა რსფსრ ირგვლივ ერთიან საკავშირო სახელმწიფო გაერთიანებისაკენ მიმართული მოძრაობა. რსფსრ და ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნამ, საბჭოთა რესპუბლიკების დაახლოებამ სახელმწიფოებო ურთიერთობათა საფუძველზე და მისმა უდიდესმა სარგებლობამ მათი სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული განვითარებისათვის მშრომელთა უფართოესი მასები და უპირველეს ყოვლისა ეროვნული რესპუბლიკების პარტიული ორგანიზაციები მიიყვანა რესპუბლიკათა შორის არსებული სახელმწიფოებო ურთიერთობიდან უფრო მჭიდრო გაერთიანებაზე გადასვლის—საკავშირო სახელმწიფოს შექმნის აუცილებლობის აღიარებამდე.

საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების იდეა მშრომელთა საყოველთაო მოწონებასა და აღიარებას პოულობდა, მაგრამ ამ გაერთიანების ორგანიზაციული ფორმები ერთბაშად როდი იქნა გამოიმუშავებული. ეს იყო მეტად ძნელი ამოცანა, რომელიც ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მოითხოვდა პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიურ, ისტორიულ პირობათა რთული კომპლექსის ყოველმხრივ გათვალისწინებას. ამ საქმეში კი არ არსებობდა მზამზარეული რეცეპტები. როგორც ვ. ი. ლენინი ასწავლიდა, კავშირის სწორი ფორმების შესარჩევად საჭირო იყო პარტიას ემუშავა „უდიდესი მოთმინებითა და სიფრთხილით“... გამოეცადა „ერთიც, მეორეც და მესამეც“...¹ მაგრამ ყველა პირობებში სახელმძღვანელო უნდა ყოფილიყო ერებსა და ხალხებს შორის სრული თანასწორუფლებიანობისა და სუვერენობის, ერთა თვითგამორკვევის პრინციპი, მიუხედავად მათი მოსახლეობის რაოდენობისა და განვითარების დონისა. ეროვნულ სახელმწიფოებრიობისა და ფედერირების განსხვავებული ფორმების აუცილებლობა გაპირობებული იყო ცალკეული ერებისა და ხალხების ცხოვრების პირობებით, მათი შესაძლებლობებითა და ინტერესებით.

ეროვნული სახელმწიფოებრიობის ფორმის საკითხი მჭიდროდაა დაკავშირებული გაერთიანების ფორმების საკითხთან. სუვერენული რესპუბლიკების გაერთიანება შესაძლებელია მხოლოდ მათ შორის ხელმეორეულებაზე დამყარებული კავშირის ფორმით. ავტონომიის ბაზაზე კი ფედერაცია ყალიბდება ფედერაციის შიგნით ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების შექმნის შესახებ ცენტრალური ხელისუფლების საკანონმდებლო აქტის საფუძველზე.

ფედერაციის პრინციპი ავტონომიის ბაზაზე ზოგად ფარგლებში განისაზღვრა ჯერ კიდევ რსფს რესპუბლიკის 1918 წლის კონსტიტუციით და დაზუსტებულ იქნა 1919—1920 წლებში სრულიად რუსეთის ცაკ-ის მთელი რიგი აქტებით ცალკეული ავტონომიური რესპუბლიკების და ოლქების შექმნის შესახებ. ავტონომიური რესპუბლიკები და ოლქები იქმნებოდნენ უკვე არსებული სახელმწიფოს ფარგლებში, რომლის ცენტრალური ორგანოები ასრულებდნენ მათ მიმართ საერთო ფედერაციული ორგანოების როლს. ეს იყო სწორედ ის „შინაგანი“ ფედერაცია, რომლის შესახებაც ლაპარაკობდა ვ. ი. ლენინი 1920 წელს, განასხვავებდა რა მას „გარეგანი“ ფედერაციისაგან.

¹ ვ. ი. ლენინი თხზ. ტ. 30, გვ. 348—352.



გაცილებით რთული პროცესი აღმოჩნდა „გარეგანი“ ფედერაციის შექმნა, ე. ი. დამოუკიდებელი რესპუბლიკების გაერთიანება ერთიან ზეზულ სახელმწიფოში, რამდენადაც ცვალებადს წარმოადგენდა როგორც ამ ფედერაციის შემადგენელი სუბიექტები. ისე მისი ფორმებიც: როგორც პარტიის X ყრილობის გადაწყვეტილებებში ვკითხულობთ: მომწიფებული კონკრეტული ისტორიული პირობებისა და ამოცანების შესაბამისად მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობის პირველსავე წლებში ცხოვრებამ მოითხოვა... „საბჭოთა ავტონომიაზე დაფუძნებული ფედერაციიდან... დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკებთან (უკრაინა, აზერბაიჯანი) სახელშეკრულებო ურთიერთობაზე დაფუძნებულ ფედერაციაზე გადასვლა და მათ შორის საშუალო საფეხურის დაშვება (თურქესტანი, ბელორუსია)“.¹

იმ განსაკუთრებული პირობების გამო, რომელშიაც ის იქმნებოდა, ფედერაციის ინსტიტუტები ყალიბდებოდა ემპირიული გზით, კონკრეტულად მომწიფებული სამხედრო, სამეურნეო, ადმინისტრაციული ამოცანების გადაწყვეტის შესაბამისად. რის შედეგადაც წარმოიშვა ზოგიერთი ფორმალური შეუსაბამობა და წინააღმდეგობა. ერთი მხრივ, ყოველ დამოუკიდებელ რესპუბლიკასა და რსფს რესპუბლიკას შორის ორმხრივი ხელშეკრულების სახით გაფორმებული ფედერაცია ინარჩუნებდა კონფედერაციის ელემენტებს (საერთო საკავშირო მოქალაქეობრიობის არაარსებობა, ფედერალური ორგანოების გადაწყვეტილებათა რესპუბლიკური ორგანოების მიერ რატიფიკაციის აუცილებლობა როგორც მოცემული რესპუბლიკის ტერიტორიაზე მათი ძალაში შესვლის აუცილებელი პირობა და სხვ), რაც შეუთავსებელი იყო ერთიანი საკავშირო სახელმწიფოს ცნებასთან. მეორე მხრივ, ერთი რესპუბლიკის, კერძოდ რსფს რესპუბლიკის ორგანოები ასრულებდნენ საერთო ფედერაციული ორგანოების როლს. რაც ეწინააღმდეგებოდა რესპუბლიკათა თანასწორუფლებიანობისა და სუვერენიტეტის პრინციპებს და ავტონომიური რესპუბლიკების მდგომარეობას უახლოვებდა მათ. ეს კი გარკვეულ წინააღმდეგობას ბადებდა ფედერაციის (როგორც სუვერენული რესპუბლიკების კავშირის) არსსა და მის ფორმას შორის.

საჭირო იყო გამონახულიყო მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს ისეთი ფორმა, რომელიც მოხსნიდა აღნიშნულ წინააღმდეგობას და უზრუნველყოფდა საბჭოთა რესპუბლიკების როგორც ეროვნული, ისე ინტერნაციონალური ინტერესების სწორად შეხამებას.

ხაზი უნდა გაესვას, რომ ერთიან საკავშირო სახელმწიფოდ გაერთიანების ინიციატივა თვით დამოუკიდებელი რესპუბლიკებიდან მოდიოდა. პირველად ამიერკავკასიის რესპუბლიკების ხელმძღვანელებმა დააყენეს საკითხი საბჭოთა რესპუბლიკების ერთიან საკავშირო სახელმწიფოდ გაერთიანების შესახებ, რასაც უდიდესი ენთუზიაზმით დაუჭირა მხარი აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის პარტიულმა ორგანიზაციებმა. თითქმის ამავე დროს იქნა წამოყენებულ-

¹ სკვპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცკ პლენუმების, რეზოლუციებისა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. I, გამოც. მე-7, გვ. 717.




ლი გაერთიანების საკითხი უკრაინაში და ბელორუსიაში, რამაც იქაურ მუშაკებში აღფრთოვანებული მხარდაჭერა პოვა.

გაერთიანების შესახებ დამოუკიდებელი რესპუბლიკების წარმომადგენელთა წინადადება განხილულ იქნა რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტში, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შექმნაზე პრაქტიკულად გადასვლის შესახებ და გამოყო კომისია წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოების ჩასატარებლად. 1922 წ. 11 აგვისტოს რკპ(ბ) ცკ-ის ორგბიურომ დაამტკიცა აღნიშნული კომისია და დაავალა მას ცენტრალური კომიტეტის პლენუმისათვის მოემზადებინა რეზოლუციის პროექტი დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. კომისიას უნდა შეემუშავებინა საბჭოთა რესპუბლიკების ერთიან საკავშირო სახელმწიფოდ გაერთიანების კონკრეტული ფორმა.

რკპ(ბ) ცკ-ის პლენუმისათვის „დამოუკიდებელ რესპუბლიკებთან რსფს რესპუბლიკის ურთიერთობის შესახებ“ რეზოლუციის პროექტი შეიმუშავა ი. ბ. სტალინმა, როგორც კომისიის წევრმა. პროექტი ითვალისწინებდა დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების ფორმალურ შესვლას რსფს რესპუბლიკის შემადგენლობაში ავტონომიური რესპუბლიკების უფლებებით, რის გამოც პროექტმა „ავტონომიზაციის“ იდეის სახელწოდება მიიღო. ი. ბ. სტალინის მიერ შემუშავებული პროექტი გასაცნობად დაეგზავნა რკპ (ბ) ცკ-ის ყველა წევრსა და წევრობის კანდიდატს, აგრეთვე ყველა საბჭოთა რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს. მაგრამ „ავტონომიზაციის“ იდეა არსებითად თითქმის არავისაგან არ ყოფილა უარყოფილი.

აზერბაიჯანისა და სომხეთის კომპარტიების ცენტრალურმა კომიტეტებმა და ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა მოიწონეს და ყოველგვარი შენიშვნის გარეშე მიიღეს აღნიშნული პროექტი. ზოგიერთი შენიშვნებით ის არსებითად მიიღო უკრაინის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმაც. ბელორუსიის კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა უარყო საერთოდ რესპუბლიკათა გაერთიანების იდეა და მხარი დაუჭირა რესპუბლიკებს შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის შენარჩუნებას, ისე, რომ არავითარი შენიშვნები არ გაუკეთებია „ავტონომიზაციის“ პროექტისათვის. მხოლოდ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ჩათვლა ნაადრევად დამოუკიდებელი რესპუბლიკების გაერთიანება „ავტონომიზაციის“ საფუძველზე. მაგრამ საქმე იმაშია, რომ საქართველოს კპ(ბ) ცკ-ში პროექტის წინააღმდეგ ხმა მისცა ნაციონალისტების ჯგუფმა ბუღუ მდივანის მეთაურობით, მაგრამ არა იმიტომ, რომ „ავტონომიზაციის“ პრინციპისათვის დაეპირისპირებინა ფედერაციული კავშირის უფრო სწორი პრინციპი, არამედ იმიტომ, რომ ეს ჯგუფი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ამიერკავკასიის სოციალისტური რესპუბლიკების ფედერაციაში გაერთიანების წინააღმდეგი იყო. საქართველოს კპ (ბ) ცკ-ის ამავე პლენუმზე ი. ბ. სტალინის პროექტს მხარი დაუჭირეს ისეთმა ბოლშევიკებმა როგორც იყვნენ ორჯონიკიძე, კიროვი, კახიანი, ელიავა და სხვები, რომლებიც უმცირესობაში აღმოჩნდნენ.

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების შეხედულებათა გათვალისწინე-



ბის საფუძველზე რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კომისიამ 23—24 სექტემბერს განიხილა ი. ბ. სტალინის მიერ წარმოდგენილი პროექტი და მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:


ამგვარად, რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კომისიისა და რესპუბლიკათა კომპარტიების ცკ-ების მიერ დამოკიდებული საბჭოთა რესპუბლიკების ერთიანი საკავშირო სახელმწიფოდ გაერთიანების შესახებ საკითხის განხილვამ ცხადყო, რომ გაერთიანების ფორმების შესახებ შემოტანილი არცერთი წინადადება არ ცილდებოდა პრაქტიკაში უკვე ცნობილ ფედერაციის სახეებს. ლაპარაკი იყო ან ავტონომიაზე დამყარებულ ფედერაციაზე (რკპ(ბ) ცკ-ის კომისიის პროექტი, აზერბაიჯანის, სომხეთის, უკრაინის კომპარტიების ცკ-ის და ამიარკავკასიის სამხარეო კომიტეტის გადაწყვეტილებანი), ან სახელმწიფოებო საწყისებზე დამყარებულ ფედერაციაზე (ბელორუსიის კპ(ბ) ცკ-ის გადაწყვეტილება). ყველა ჯურის ნაციონალისტები კი ცდილობდნენ ძირი გამოეთხარათ საერთოდ ყოველგვარი გაერთიანებისათვის.

სოციალისტური მშენებლობის ამოცანებიდან გამომდინარე საბჭოთა რესპუბლიკების საშინაო და საერთაშორისო პირობები დაყინებით აყენებდა მათი ერთიან სახელმწიფოში გაერთიანების აუცილებლობას. მაგრამ პრაქტიკამ უჩვენა, რომ ფედერაციის არცერთი შემთხვევა აღნიშნული სახე არ პასუხობდა ახალ ამოცანებს. ავტონომიაზე დამყარებული ფედერაცია ვერ უზრუნველყოფდა რესპუბლიკის სრულ სუვერენიტეტს და შეიცავდა თვითმპყრობელური შოვინიზმის გამოვლენის შესაძლებლობას, სახელმწიფოებო ურთიერთობაზე დამყარებული ფედერაცია კი ვერ უზრუნველყოფდა რესპუბლიკათა სათანადო ერთიანობას და ასაზრდოვებდა სეპარატიულ-ნაციონალისტურ ტენდენციებს, ბადებდა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის სერიოზულ საფრთხეს.

მეორე მხრივ, ქართველი, ბაშკირი, თათარი ნაციონალისტები მოითხოვდნენ მაშინ არსებულ ფედერაციულ გაერთიანებათა (რსფსრ და ამიერკავკასიის ფედერაცია) ლიკვიდაციას და ყველა ეროვნული რესპუბლიკის (მათ შორის ავტონომიურისაც), როგორც მოკავშირის უშუალოდ შეყვანას რესპუბლიკათა კავშირში. ეროვნულ რესპუბლიკებს შორის არსებული განსხვავების იგნორირების გზით, ისინი ნიადაგს ამზადებენ ადგილობრივი ნაციონალიზმის კიდევ უფრო გაძლიერებისათვის. ნაციონალისტების აღნიშნული ჯგუფი, უკრაინელ ნაციონალ-უკლონისტებთან ერთად ფაქტიურად ბურჟუაზიული კონფედერაციის პოზიციებზე იდგა.

ასეთ პირობებში ერთად-ერთი იყო ვ. ი. ლენინი, რომელმაც სწორად შეაფასა შექმნილი ვითარება და შესძლო აღმოეჩინა დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების ერთიან საკავშირო სახელმწიფოდ გაერთიანების ერთადერთი სწორი ფორმა, რომელიც უზრუნველყოფდა რესპუბლიკათა როგორც სუვერენიტეტსა და თანასწორუფლებიანობას, ისე მათ ინტერნაციონალურ ერთობას.

ვ. ი. ლენინი საფუძვლიანად გაეცნო „ავტონომიზაციის“ პროექტს და ამ საკითხებზე საბჭოთა რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების რეზოლუციებს. ამავე საკითხზე გორკაში მას საუბარი ჰქონდა ი. ბ. სტალინთან. ერთდროულად მან უკარანახა წერილი რკპ(ბ) ცკ პოლიტბიუროს წევრებისადმი,



სადაც მკაცრად გააკრიტიკა „ავტონომიზაციის“ იდეა როგორც მცდარი და წარმოაყენა საკითხის პრინციპულად სხვანაირი გადაწყვეტის გეგმა— არა დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების შესვლა რსფს რესპუბლიკაში (როგორც ეს ვალისწინებული იყო პროექტში „ავტონომიზაციის“ შესახებ), არამედ ყველა საბჭოთა რესპუბლიკის, მათ შორის რსფს რესპუბლიკის, ნებაყოფლობითი გაერთიანება ახალ სახელმწიფო წარმოქმნად—საბჭოთა რესპუბლიკების კავშირად, მათი სრული თანასწორუფლებიანობის საფუძველზე. პროექტის პირველ პუნქტში ნაცვლად სიტყვებისა „დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების ფორმალური შესვლა რსფსრ შემადგენლობაში“, ვ. ი. ლენინმა შეიტანა—„ფორმალური გაერთიანება... რსფს-სთან ერთად საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში“... ამ შესწორების აზრს ვ. ი. ლენინი ასე განმარტავდა: „ჩვენ—წერდა ის,—გცნობთ თავს თანასწორუფლებიანად უკრაინის სს რესპუბლიკასთან და სხვებთან, მათთან ერთად და მათ თანაბრად შევდივართ ახალ კავშირში, ახალ ფედერაციაში, „საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში“.¹

ვ. ი. ლენინის მითითებათა საფუძველზე რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კომისიამ გადაამუშავა რეზოლუციის პროექტი, რომელიც ერთხმად მიიღო რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა 1922 წ. 6 ოქტომბერს. პლენუმის დადგენილებაში ნათქვამია: „საჭიროდ ჩაითვალოს ხელშეკრულების დადება უკრაინის, ბელორუსიის, ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციასა და რსფს რესპუბლიკას შორის „სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში“ მათი გაერთიანების შესახებ“ თვითეული მათგანისათვის „კავშირის“ შემადგენლობიდან თავისუფლად გასვლის უფლების დატოვებით“ პლენუმმა დაამტკიცა აგრეთვე ცენტრალური კომიტეტის კომისიის წინადადება იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის შემადგენლობაში აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკები შესულიყვნენ ამიერკავკასიის ფედერაციის მეშვეობით.

ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე როგორც ცენტრში ისე ადგილებზე ფართო მოსამზადებელი მუშაობა გაიშალა სსრ კავშირის შესაქმნელად. ეს გადაწყვეტილებანი დაედო საფუძველად საბჭოთა რესპუბლიკების კომუნისტური პარტიების კონფერენციების, ცენტრალური კომიტეტის პლენუმების, საბჭოების ყრილობების, მშრომელთა კრებების გადაწყვეტილებებსა და რეზოლუციებს, რომლებიც ერთსულოვნად იწონებენ სსრ კავშირის შექმნის იდეას და მოითხოვენ მის დაუყოვნებლივ განხორციელებას.

თანასწორუფლებიან ხალხთა ერთიან საკავშირო სახელმწიფოდ ნებაყოფლობითი გაერთიანების ლენინური იდეა, კომუნისტური პარტიის სწორი პოლიტიკის შედეგად დაეუფლა ყველა ეროვნების მშრომელთა უფართოეს მასებს და თვით მშრომელთა იდეად გადაიქცა.

დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების საბჭოების ყრილობებმა, მათ შორის რსფსრ საბჭოების X ყრილობამ, 1922 წ. ბოლოსათვის ერთსულოვნად მიიღეს გადაწყვეტილება სსრ კავშირში გაერთიანების შესახებ და აირჩიეს საბჭოების სრულიად საკავშირო ყრილობის დელეგატები.

¹ ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 45, გვ. 211.



1922 წლის 30 დეკემბერს მოსკოვში გაიხსნა საბჭოების პირველი სრულიად საკავშირო ყრილობა, რომელმაც დააგვირგვინა საკავშირო სახელმწიფოების პროცესი. ყრილობამ მიიღო დეკლარაცია და ხელშეკრულება სსრკ-ს შექმნის შესახებ.

სსრ კავშირის შემადგენლობაში მაშინ გაერთიანდნენ რსფსრ, უკრაინის და ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები და ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა.

სსრ კავშირის შექმნის შესახებ დეკლარაციაში ხაზგასმულია, რომ სსრ კავშირი არის თანასწორუფლებიან ხალხთა ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომ თითოეულ რესპუბლიკას უფლება აქვს თავისუფლად გამოვიდეს კავშირიდან და პირიქით, კავშირში შესვლა შეუძლია ყველა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას, როგორც ამჟამად არსებულს, ისე იმათაც, რომლებიც მომავალში წარმოიშობიან.


სსრ კავშირის შექმნა იყო მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა, ლენინური ეროვნული პოლიტიკის ზეიმი, მხოლოდ ვ. ი. ლენინის მიერ აღმოჩენილი და დასაბუთებული ფედერაციის ახალი ფორმის (სსრ კავშირი) საფუძველზე გახდა შესაძლებელი მასში შემაჯავალი ყოველი ერისა და ხალხის ეროვნული ინტერესების ჰარმონიული შეხამება მათ ინტერნაციონალურ, საერთო-სახელმწიფოებრივ ინტერესებთან. სსრ კავშირი ერთიან საკავშირო სახელმწიფოში სოციალისტური ერების თანაცხოვრებისა და თანამშრომლობის უმაღლეს ფორმას წარმოადგენს.

სსრ კავშირის შექმნის საქმეში ვ. ი. ლენინის უდიდესი დამსახურების შესახებ პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის აზრს გამოხატავს მ. ი. კალინინის მიერ სრულიად რუსეთის საბჭოების X ყრილობაზე წარმოთქმული შემდეგი სიტყვება: „მე ვხედავ, თუ როგორ ფრიალებს ჩვენს თავზე წითელი დროშა ხუთი წმინდათა-წმინდა ასობით—რსფსრ და ჩვენ საბჭოების X ყრილობის დელეგატები, მთელი საბჭოთა რუსეთის ფედერაციის სრულუფლებიანი წარმომადგენლები, ვხსნით ამ ძვირფას, ბრძოლებითა და გამარჯვებებით სახელმონხვეჭილ, მუშებისა და გლეხების მიერ გაღებული მსხვერპლით განმტკიცებულ დროშას საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის წინაშე. ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ აღიმართება საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ახალი წითელი დროშა. მე ვხედავ, ამხანაგებო, ამ დროშას ამხანაგ ლენინის ხელში“¹.

ლენინის გენიალობა და შორსმკვკრეტელობა, მისი განსაკუთრებული როლი სსრ კავშირის შექმნის საქმეში იმაში მდგომარეობს, რომ ისეთ პირობებში, როდესაც ყველა პარტიული ორგანიზაცია და ხელმძღვანელი მუშაკი ემბრობოდა „ავტონომიზაციის“ პროექტს, მან, მიუხედავად მძიმე ავადმყოფობისა, შეძლო მისთვის დამახასიათებელი პრინციპულობით გამოსულიყო აღნიშნული პროექტის წინააღმდეგ და წარმოეყენებინა დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების პრინციპულად ახალი და ერთად-ერთი სწორი პროექტი.

ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა, რკ(ბ) ცკ-ის კომისიის მიერ წარმოდგენილი „ავტონომიზაციის“ პროექტი. სავსებით გამართლდა ხალხთა გაერთიანება

¹ М. И. Калинин, Статьи и речи (1919—1935), 1936 г., стр. 94.



ავტონომიის საფუძველზე — რუსეთის ფედერაციის ფარგლებში. როგორც აღნიშნული იყო, საბჭოთა ავტონომია კი არ ლახავდა ხალხთა უფლებებს, არამედ პირიქით. ყველა პირობას ქმნის ყველა ერისა და ხალხის ყოველმხრივი განვითარებისათვის. რუსეთის ფედერაცია გახდა ხალხებისა და ერების ერთიან მწიფოდ გაერთიანების ისეთი საუკეთესო ფორმა, რომელმაც უზრუნველყო რუსი ხალხის, როგორც ყველაზე განვითარებული ერის, ყოველმხრივი დასმარება წინათ ჩაგრული ხალხებისადმი მათი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობის ლიკვიდაციის საქმეში.

მაგრამ, როდესაც საქმე შეეხო რევოლუციის შედეგად განთავისუფლებული დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანებას რსფს რესპუბლიკის ე. ი. „ავტონომიზაციის“ პრინციპი უკვე აღარ შეესაბამებოდა გაერთიანების მსურველი რესპუბლიკების სრული თანასწორუფლებიანობის ინტერესებს.


სამართლიანობა მოითხოვს აღნიშნოს, რომ მას შემდეგ რაც ვ. ი. ლენინმა გააკრიტიკა „ავტონომიზაციის“ პროექტი და პრინციპულად ახლებურად გააწყვიტა რესპუბლიკათა გაერთიანების საკითხი ი. ბ. სტალინს კი არ დაუცავს „ავტონომიზაციის“ იდეა, არამედ, პირიქით, თანმიმდევრულად ატარებდა და იცავდა საკითხის ლენინურ დაყენებას.

ვ. ი. ლენინი არ დაკმაყოფილდა რესპუბლიკათა გაერთიანების ახალი ფორმის (სსრ კავშირი) აღმოჩენით. ის ზრუნავდა იმაზე, რომ სწორად ყოფილიყო გაგებული პარტიაში „ავტონომიზაციის“ პროექტისადმი მისი შესწორებანი, რის გამოც ამ საკითხს უზრუნველბა ის წერილში „ეროვნებათა საკითხისათვის“ ანუ „ავტონომიზაციის“ შესახებ“ ის ფაქტი, რომ ეს დოკუმენტი მან უკარნახა საბჭოების I ყრილობის მუშაობის დღეებში, იმაზე მოწმობს, რომ ლენინი უდიდეს ზრუნვას იჩენდა რესპუბლიკათა კავშირის არა მარტო ფორმისადმი (თუმცა, როგორც ვნახეთ ის უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა სწორი ფორმის გამონახვას და გამონახა კიდევ ასეთი ფორმა), არამედ მისი შინაარსისადმი. ვ. ი. ლენინი იქიდან გამოდიოდა, რომ სსრ კავშირის შექმნა, ეს იყო მხოლოდ მრავალეროვანი საკავშირო სახელმწიფოს მშენებლობის დასაწყისი და პარტიას ასწავლის თუ როგორ უნდა განმტკიცდეს და განვითარდეს ის, თუ როგორ უნდა იქნას უზრუნველყოფილი ხალხთა სრული თანასწორობა და ძმური თანამშრომლობა ერთიან საკავშირო სახელმწიფოში.

აღნიშნულ დოკუმენტში ვ. ი. ლენინმა, უპირველეს ყოვლისა, წამოაყენა სსრ კავშირის შემდგომი განმტკიცების ამოცანა. ამას მოითხოვდა როგორც სოციალისტური მშენებლობის, ისე „მსოფლიო ბურჟუაზიის წინააღმდეგ“ ბრძოლისა და „მისი ინტრიგებისაგან თავის დაცვის“ ამოცანები¹. სსრ კავშირის განმტკიცების მთავარ პირობად კი ლენინს მიაჩნდა გაერთიანებულ რესპუბლიკებს შორის სრულ თანასწორუფლებიანობაზე და ურთიერთობაზე დაფუძნებული ურთიერთობის დამყარება და პარტიას ასწავლიდა თუ რა ღონისძიებანი უნდა გატარებულყო ამ მიზნის მისაღწევად.

ვ. ი. ლენინის ანდერძის ერთგული კომუნისტური პარტია განუხრებლად

¹ ვ. ი. ლენინი თხზ. ტ. 36, გვ. 694



ახორციელებს მის იდეებსა და მითითებებს სსრ კავშირის ხალხთა ძმური თანამშრომლობისა და მეგობრობის განმტკიცებისა და გაფართოების შესახებ. სსრ კავშირის სკკპ XXIV ყრილობამ მოითხოვა, რომ მომავალშიც „განუხრებელი“ გახორციელებდეთ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის განმტკიცების ლენინურ კურსს, ამასთან ვხელმძღვანელობდეთ საბჭოთა სახელმწიფოს საერთო ინტერესებით, აგრეთვე ვითვალისწინებდეთ მასში შემაჯავლი თვითეული რესპუბლიკის განვითარების პირობებს, თანმიმდევრულად ვიღვწოდეთ ყველა სოციალისტური ერის შემდგომი აყვავებისათვის, მათი თანდათანობითი დაახლოებისათვის“¹.

გ. ი. ლენინი არა ერთხელ უსვამდა ხაზს სსრ კავშირის შექმნის უდიდეს საერთაშორისო მნიშვნელობას, მასში, უპირველეს ყოვლისა, ის ხედავდა საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციის ბაზას, დასაყრდეს და ამავე დროს მისაბამ მაგალითს, რომელსაც, როგორც ეროვნული საკითხის გადაწყვეტის ნიმუშს, უდიდესი გავლენა უნდა მოეხდინა მსოფლიოს ხალხებზე სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან მათ განმათავისუფლებელ ბრძოლაში.


ახლა ხალხთა მეგობრობის დიდი მესაჭის ეს განჭვრეტა. „სსრ კავშირის შექმნასა და წარმატებით განვითარებას უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. იგი დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტია მთელი კაცობრიობის სოციალურ პროგრესში. მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნის, ჩვენი ხალხების საერთო მეცადინეობით განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენების, ურთულესი ეროვნული საკითხის გადაჭრის საბჭოთა გამოცდილებამ მსოფლიო აღიარება ჰპოვა და ფასდაუდებელ დანაშრებას უწევს სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის ყველა მებრძოლს“².

სსრ კავშირის გამოცდილებამ დაარწმუნა ყველა ქვეყნის მშრომელები იმაში, რომ მხოლოდ სოციალიზმს შეუძლია სწორად გადაწყვიტოს ეროვნული საკითხი, უზრუნველყოს ერებსა და ხალხებს შორის ძმური მეგობრობა და თანამშრომლობა, ყოველი მათგანის ეკონომიკისა და კულტურის ნამდვილი აყვავება.

მრავალეროვანი საბჭოთა ხალხი სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს ეგებება მძლავრი, მონოლითურად შეკავშირებული და მიზანმიმართული იმ დიადი ამოცანების შესასრულებლად, რომლებიც დასახულია სკკპ პროგრამით და XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებით.

¹ სკკპ XXIV ყრილობის რეზოლუცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო, 1971წ. გვ. 21.

² საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადების შესახებ სკკპ ცკ-ის დადგენილება, გვ. 16.



გ. გამრიკიშვილი

საბჭოთა ადმინისტრაციის ხალხების არაკაპიტალისტური გზით განვითარების ზოგიერთი თავისებურების შესახებ

ახლაზურდა დამოუკიდებელი სახელმწიფოების განვითარების გზების საკითხზე თანამედროვე ეტაპზე მიმდინარეობს მწვავე იდეოლოგიური ბრძოლა. იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის დამცველები ყოველმხრივ ცდილობენ დაარწმუნონ ახლად განთავისუფლებული სახელმწიფოები კაპიტალისტური გზით განვითარების აუცილებლობაში (მის ხელსაყრელობაში). მათ მიერ დიდი ენერგია და სახსრები იხარჯება იმისათვის, რომ წახალისონ ადგილობრივი ეროვნული კაპიტალი, ხელი შეუწყონ ადგილობრივ ბურჟუაზიას, რადგან ნეოკოლონიალიზმისა და ექსპანსიის იმპერიალისტური პოლიტიკის საყრდენ ძალას ადგილობრივი კაპიტალი წარმოადგენს.

ასეთ ვითარებაში არაკაპიტალისტური გზით განვითარების საბჭოთა ადმინისტრაციის ხალხებისა და მონღოლეთის გამოცდილების შესწავლას და განზოგადებას არა მარტო თეორიული, არამედ დიდი პრაქტიკულ-პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭება.

კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა ჩამორჩენილი ხალხების არაკაპიტალისტური გზით განვითარების საკითხი ზოგად თეორიულ ასპექტში დააყენეს, როგორც შესაძლო პერსპექტივა,¹ რადგან ჩაგრული ხალხების განმათავისუფლებელი ბრძოლის იმდროინდელი დონე აღნიშნულ საკითხს პრაქტიკულად მწვავედ არ აყენებდა.

* * *

ვ. ი. ლენინის წინაშე ეს საკითხი დადგა იმპერიალიზმის ეპოქაში, ჩაგრულ ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალ ეტაპზე, მაშინ, როდესაც ერთ ქვეყანაში გაიმარჯვა სოციალისტურმა რევოლუციამ და განმათავისუფლებელი მოძრაობის ტალღაც დაიძრა. არაკაპიტალისტური განვითარების საკითხმა თეორიიდან უშუალოდ პრაქტიკის სფეროში გადაინაცვლა.

ვ. ი. ლენინმა ეს საკითხი დაამუშავა პროლეტარიატის პრაქტიკული რევოლუციური ბრძოლის პირობებში.

ეყრდნობოდა რა კ. მარქსსა და ენგელსს, რუსეთის განაპირა ხალხების განვითარების გამოცდილებას ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, ვ. ი. ლენინმა

¹ კ. მარქსის, ფ. ენგელსისა და ვ. ლენინის შეხედულებები ჩამორჩენილი ხალხების არაკაპიტალისტური გზით განვითარების შესახებ, ამ შრომის წინა ნაწილშია გადმოცემული.

18081

ქვის სახ. საქ. სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკა

შეისწავლა და დაასაბუთა კაპიტალიზმამდელი ურთიერთობიდან სოციალიზმზე გადასვლის კანონზომიერებები, მან აჩვენა კონკრეტული გზები და საშუალებები საუკუნეობრივი ჩამორჩენილობიდან სოციალიზმზე გადასვლისათვის, ცენტრალურ ნათლად ჩამორჩენილი ხალხების არაკაპიტალისტური გზით განვითარების სახეობათა თვისი დასკვნა ვ. ი. ლენინმა ჩამოაყალიბა კომუნისტური ინტერნაციონალის II კონგრესზე.

„შეგვიძლია თუ არა მართებულად ჩავთვალოთ იმის მტკიცება. — მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, — რომ სახალხო მეურნეობის განვითარების კაპიტალისტური სტადია აუცილებელია იმ ჩამორჩენილი ხალხებისათვის, რომელნიც ახლა თავისუფლდებიან და რომელთა შორის დღეს, იმის შემდეგ შესამჩნევი ხდება პროგრესის გზით მოძრაობა. ჩვენ ამ კითხვაზე უარყოფითად ვუპასუხეთ. თუ რევოლუციური ძლევამოსილი პროლეტარიატი მათში გასწევს სისტემატურ პროპაგანდას, ხოლო საბჭოთა მთავრობები დაეხმარებიან თავიანთ განკარგულებაში მყოფი ყველა საშუალებით, მაშინ სწორი არ იქნება ვიფიქროთ, რომ განვითარების კაპიტალისტური სტადია აუცილებელია ჩამორჩენილი ხალხებისათვის! ჩამორჩენილი ხალხების არაკაპიტალისტური გზით განვითარების ლენინურმა თეორიამ თავისი განხორციელება პპოვა საბჭოთა აღმოსავლეთის ყოფილ კოლონიალურ ხალხებში და შემდეგ მონღოლეთის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში.


* * *

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ რუსეთის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ სხვადასხვა ხალხები, რომელთაც სოციალისტურმა რევოლუციამ განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მოუსწრო.

„თუ 65 მილიონ არაველიკორუს მოსახლეობას გამოვაკლებთ უკრაინას, ბელორუსიას, აზერბაიჯანის ნაწილს და სომხეთს, რომლებმაც ასე თუ ისე გაიარეს სამრეწველო განვითარების პერიოდი, — აღნიშნულია პარტიის X ყრილობის რეზოლუციაში, — დარჩება 25 მილიონამდე მოსახლეობა, უმთავრესად თურქი მოსახლეობა (თურქესტანი, აზერბაიჯანის დიდი ნაწილი, დაღესტანი, მთიულეები, თათრები, ბაშკირები, ყირგიზები და სხვ.), რომელსაც ვერ მოუსწვრია კაპიტალისტური განვითარების გავლა, არა ჰყავს ან თითქმის არა ჰყავს თავისი სამრეწველო პროლეტარიატი, მეტწილად შეუნარჩუნებია მეჯოგური მეურნეობა და პატრიარქალურ-საგვარეულო ყოფაცხოვრება — (ყირგიზეთი, ბაშკირეთი, ჩრდილოეთ კავკასია) ან ნახევრად პატრიარქალურ-ნახევრად ფეოდალურ ყოფაცხოვრებას ჯერ კიდევ არასავსებით გაცვილებია (აზერბაიჯანი, ყირიმი და სხვ.), მაგრამ რომელიც მოქცეულია საბჭოთა განვითარების საერთო კალაპოტში?.

1 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 290.

2 სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ., I, გამ. მე-7, 1954 წ. თბ., გვ. 719—720.



რევოლუციამდელი აღმოსავლეთის ხალხების ძირითადი საქმიანობა სოფლის მეურნეობა იყო, დიდი ნაწილი ადგილობრივი მოსახლეობისა მეცხოველეობაში იყო დაკავებული და ეწეოდა მომთაბარე-მესაქონლეობას. ხალხში ბატონობდა ფეოდალური და ნახევრად ფეოდალური წყობა პატრიარქალურ-გვაროვნული გადანაშთებით.

მძიმე მრეწველობა თურქმენეთის მხარეში (სადაც შედიოდა შუა აზიის დიდი ნაწილი და ყაზახეთი) სრულიად არ იყო, არსებული წვრილი საწარმოები (საშუალოდ 35 კაცი) უმთავრესად ამუშავებდნენ ნელღებულს (ბამბა, მატყლი), ისინი ეკუთვნოდა რუს მწარმოებლებს და მუშებიც მათივე იყვნენ, ადგილობრივი ერების წარმომადგენელი მუშები ერთეულები იყვნენ.

ასე, მაგალითად, 1916 წ. თურქმენებს შორის იყო მხოლოდ 242 მუშა¹. რევოლუციამდელ რუსეთში ყველაზე ჩამორჩენილი ჩრდილოეთისა და შორეული აღმოსავლეთის მცირე ხალხები იყვნენ, ზოგიერთმა მათგანმა ტომებად ჩამოყალიბებაც ვერ მოასწრო და მათი მეურნეობის ფორმები წარმოადგენდა პატრიარქალურ-ნატურალურიდან წვრილ სასაქონლო მეურნეობაზე გადასვლის სხვადასხვა საფეხურებს².

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ სკკპ და საბჭოთა მთავრობის წინაშე დადგა რთული და ისტორიული მნიშვნელობის ამოცანა — დახმარებოდნენ ჩამორჩენილ ხალხებს, რათა თავი დაეღწიათ საუკუნეობრივი ჩამორჩენილობისათვის და ამაღლებულიყვნენ მოწინავე ერების დონემდე.

სკკ პარტიისა და საბჭოთა მთავრობისათვის სრულიად ნათელი იყო ის, რომ ჩამორჩენილი ხალხების მოწინავე ერების დონემდე ამაღლება შეიძლებოდა მოკლე დროში მხოლოდ სოციალისტური განვითარების გზით.


მრავალი ხალხისათვის და განსაკუთრებით კი უკიდურესი ჩრდილოეთისა და შორეული აღმოსავლეთის ხალხებისათვის გზა სოციალიზმისაკენ იყო ერთადერთი. რომელიც მათ გადაარჩენდათ გარდუვალი დაღუპვისაგან. „ოქტომბრის რევოლუციამ, — ნათქვამია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებში, — სოციალიზმის მშენებლობამ გამოადვიდა და დამოუკიდებელი ისტორიული შემოქმედებისათვის დარაზმა წარსულში ჩამორჩენილი ხალხები, ზოგიერთი მათგანი კი იხსნა ფიზიკური განადგურებისაგან“³.

ხელმძღვანელობდა რა არაკაპიტალისტური გზით განვითარების შესახებ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით, სკკ პარტიამ თავის X და XII ყრილობებზე შეიმუშავა ჩამორჩენილი განაპირა ხალხების სოციალიზმზე გადასვლის კონკრეტული პროგრამა, რომელსაც საფუძვლად ედო ვ. ი. ლენინის მითითე-

¹ Росляков И.—Исторические особенности перехода к социализму туркменского народа минуя капитализм, Госполитиздат, 1961, стр. 179.

² М. А. Сергеев,—Из опыта руководства КПСС некапиталистическим развитием малых народов Севера, Вопросы истории КПСС, 1964, № 8, стр. 98.

³ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისები, თბილისი, 1967, გვ. 20.



ბები გამოთქმული მის უკანასკნელ შრომებში, განსაკუთრებით კი შრომებში „სასურსათო გაწერის შესახებ“ და წერილი „აზერბაიჯანის, სომხეთის, აზერბაიჯანული ევლოს, დაღესტანის და მთის რესპუბლიკის ამხანაგ „კომუნისტებს““. ამ საკითხზე მეცნიერულად დასაბუთებული რეზოლუციის მიღებისათვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ი. ბ. სტალინის მოხსენებას X ყრილობაზე — „პარტიის მორიგი ამოცანები ეროვნულ საკითხში“.

რეზოლუცია ამავე საკითხზე, რომელიც იგივე სახელწოდებისაა, როგორც მოხსენება, ითვალისწინებდა ჩამორჩენილი ხალხების განვითარების გზების არჩევისას შემოქმედებით მიდგომას, რომელიც გამოირიცხავდა ყოველგვარ შაბლონს პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, სოციალიზმზე გადასვლის პროცესში.

პარტიის მიერ პირველი რიგის ამოცანად იქნა დაყენებული დახმარება ამ ხალხებისადმი, რათა მათ სწრაფად დაეძლიათ საუკუნობრივი ჩამორჩენილობა და თანდათანობით გადასულიყვნენ სოციალიზმის მშენებლობის გზაზე.

ამ დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანის განხორციელებაში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებისთანავე იქნა გამოცხადებული ყველა ხალხების თანასწორობა.

წინათ ჩამორჩენილი განაპირა ჩაგრული ხალხები გახდნენ დამოუკიდებელი და მიიღეს ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნის უფლება.


ეროვნული საბჭოთა სახელმწიფოებრიობა იყო აუცილებელი პოლიტიკური ფორმა, რომელიც უზრუნველყოფდა ამ ხალხების ყოველმხრივ ეკონომიურ და კულტურულ განვითარებას, ფაქტიური უთანასწორობის მოსპობას და მათ არაკაპიტალისტურ განვითარებას სოციალიზმისაკენ.

ლენინური ეროვნული პოლიტიკის ცხოვრებაში გატარებისათვის ეროვნული სახელმწიფოებრივი მშენებლობის ხელმძღვანელობისათვის სრულიად რუსეთის საბჭოების II ყრილობაზე შეიქმნა ეროვნებათა საქმის სახალხო კომისარიატი, სახალხო კომისარის პოსტი პარტიამ ი. ბ. სტალინს მიანდო.

ეროვნული განაპირა მხარეების ხალხები განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იმყოფებოდნენ, თითოეულ მათგანს ჰქონდა განვითარების, ცხოვრების სხვადასხვა პირობები, ამასთან დაკავშირებით საჭირო იყო ხელმძღვანელობის სპეციფიკური მეთოდების გამოანახვა სოციალიზმის მშენებლობისათვის.

სწორედ ამ მიზნით იქნა შექმნილი კავკასიის ბიურო, შუა აზიის ბიურო, ყირგიზეთის ბიურო, ჩრდილოეთის კომიტეტი¹, ე რ ო ვ ნ უ ლ ი ს ა კ ი თ ხ ი ს გა და წ ყ ვ ე ტ ი ს ა და ე რ ო ვ ნ უ ლ ი ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ე ბ რ ი ო ბ ი ს შე ქ მ ნ ი ს გამ ო ც დ ი ლ ე ბ ა ს სა ბ ჭ ო თ ა ა დ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი ს ხ ა ლ ხ ე ბ ი ს მა გა ლ ი თ ზ ე ფ ა ს და უ დ ე ბ ე ლ ი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა ა ქ ვ ს კ ო ლ ო ნ ი ა ლ ი ზ მ ი ს უ ლ ლ ი ს ა გა ნ გა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ უ ლ ი ხ ა ლ ხ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს დ დ ე ს, სა და ც ც ხ ო ვ რ ო ბ ე ნ მ რ ა ვ ა ლ ი ს ს ხ ვ ა და ს ხ ვ ა ხ ა ლ ხ ე ბ ი, რ ო მ ლ ე ბ მ ა ც ე რ ე ბ ა დ ნ ა მ ო ყ ა ლ ი ბ ე ბ ა ვ ე რ მ ო ა ს წ რ ე ს.

¹ Сергеев М. А.—Из опыта руководства КПСС некапиталистическим развитием малых народов Советского Севера, «Вопросы истории КПСС», 1964, № 8, стр. 29.



ამ ხალხების არაკავიტალისტური გზით განვითარებაში წარმატებებზე დაკვირვებული იქნება ყველა ამ ხალხის ერთიანობაზე, რომლებიც ცხოვრობენ ერთ-ერთ იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, მათი მოქმედების ერთიანობის მიღწევა კი შეიძლება მათი სრული თანასწორობის საფუძველზე. ჩამორჩენილი განაპირა და მცირე ხალხების სახელმწიფოებრიობის შექმნის დროს საჭირო იყო უდიდესი დაბრკოლებების გადალახვა, დიდი მუშაობის გაწევა, რადგან ათეული წლების განმავლობაში, „ცარიზმის პოლიტიკა, მემამულეებისა და ბურჟუაზიის პოლიტიკა ამ ხალხების მიმართ იმაში მდგომარეობდა, რომ ჩაეხშოთ მათში ყოველგვარი სახელმწიფოებრიობის ჩანასახი, დაესახიჩრებინათ მათი კულტურა, შეევიწროებინათ მათი ენა, უმეცრებაში ჰყოლოდათ ისინი და ბოლოს შეძლებისდაგვარად მოეხდინათ მათი რუსიფიკაცია“¹.

სკკპ პარტიის ეროვნული პოლიტიკა მკაცრი გამოცდის წინაშე აღმოჩნდა.

„ახლა, როდესაც მემამულეები და ბურჟუაზია დამხობილი არიან და საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადებულია ხალხის მასების მიერ, — ნათქვამია პარტიის X ყრილობის რეზოლუციაში — პარტიის ამოცანა ის არის, რომ დაეხმაროს არაველიკორუს ხალხთა მშრომელ მასებს — დაეწიონ წინასულ ცენტრალურ რუსეთს, დაეხმარონ მათ განავითარონ და განამტკიცონ თავის ქვეყანაში საბჭოთა სახელმწიფოებრიობა იმ ფორმებით, რომლებიც ამ ხალხების ნაციონალურ საყოფაცხოვრებო პირობებს შეესაბამებინან“².


ოქტომბრის რევოლუციამდე შუა აზიის ხალხები მეფის მთავრობის ბიუროკრატიული დაყოფის შედეგად იძულებით იყვნენ გათიშულნი. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ წარმოშობილ თურქესტანის ასსრ, შემდეგ ბუხარისა და ხორეზმის საბჭოთა რესპუბლიკებს ასეთი გათიშულობის გამო არ შეეძლოთ მოეგვარებინათ ეროვნული სახელმწიფოებრიობის საკითხები. თვით ეს რესპუბლიკები 1923—24 წწ. გარდაქმნილ იქნენ სოციალისტურ რესპუბლიკებად. ეს რესპუბლიკები კი თავისი შემადგენლობით მრავალეროვანი იყვნენ. მაგალითად, უზბეკების საერთო რიცხვიდან, რომლებიც შუა აზიაში ცხოვრობდნენ, 66,5% ცხოვრობდა თურქესტანის ასსრ-ში, 22,2% ბუხარის რესპუბლიკაში, 11,3% ხორეზმის რესპუბლიკაში. შუა აზიაში მცხოვრები ყველა თურქმენიდან 43,2% ცხოვრობდა თურქესტანის რესპუბლიკაში, 27% ბუხარაში, 29,6% ხორეზმში³. ანალოგიური მდგომარეობა იყო ტაჯიკურ მოსახლეობაშიც.

როგორც ნაწილობრივ ზემოთ აღნიშნული იყო, ასეთი ვითარების გამო ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ პირველ ხანებში შეუძლებელი აღმოჩნდა ეროვნული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბება ეროვნული შემადგენლობის ძიხედვით, ამიტომაც ეროვნული სახელმწიფოებრიობის მშენებლობამ ამ ხალხებში გაიარა მთელი რიგი საფეხურები, თავიდან შეიქმნა ეროვნული სახელმწიფოებრივი გაერთიანება, რომელიც აერთიანებდა რამდენიმე ხალხს.

¹ სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. I, გამ. მეშვიდე, გვ. 719.

² იქვე.

³ Очерки истории КП Узбекистана; Ташкент, 1964, стр. 125.



ასე, მაგალითად, შუა აზიის ხალხები 1924 წლამდე გაერთიანებული იყვნენ ერთ თურქესტანის ავტონომიურ საბჭოთა რესპუბლიკაში, რომელიც 1924 წლამდე შედიოდა რუსეთის ფედერაციაში. შემდეგ კი ეროვნული სახელმწიფოებრივი დაყოფის შედეგად შუა აზიის ტერიტორიაზე წარმოიშვნენ თითოეული ხალხის ინტერესებისა და თავისებურებების გათვალისწინებით მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკები, ასევე ავტონომიური ოლქებიც. მცირე ხალხების ინტერესების გათვალისწინებით იქმნებოდა ცალკე რაიონები და სასოფლო-საბჭოებიც კი. მაგალითად: დარაიონების დროს ტაშკენტის ოლქში გამოყოფილი იყო 1 ყაზახეთის რაიონი და 66 ეროვნული სასოფლო საბჭო (44 ყაზახთა, 5 ტაჯიკებისა და 17 რუსების)¹.

პარტია ყოველმხრივ იყენებდა ამ ხალხებში საბჭოთა ავტონომიასა და ფედერაციაში მოცემულ ყოველ შესაძლებლობას.

* * *

მნიშვნელოვანი განსხვავებული თავისებურებებით ხასიათდებოდა ჩვენი ქვეყნის განაპირა ხალხებში სახელმწიფოებრივი მშენებლობა.

კ. მარქსი გარდამავალი პერიოდის სახელმწიფოს შესახებ შრომაში „გოთას პროგრამის კრიტიკა“ შემდეგს წერდა:

„კაპიტალისტურ და კომუნისტურ საზოგადოებას შორის მდებარეობს პერიოდი რევოლუციური გარდაქმნის — ერთისა მეორედ. მას შეესაბამება აგრეთვე პოლიტიკური გარდამავალი პერიოდი, რომლის დროს სახელმწიფო არ შეიძლება სხვა რამ იყოს, თუ არა პროლეტარიატის რევოლუციური დიქტატურა“².

განვითარებადი ქვეყნების ბრძოლა სოციალიზმისათვის ამტკიცებს მარქსის ამ დებულების სისწორეს. მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის 1957 და 1960 წწ. დოკუმენტები, ასევე სკკპ პროგრამა ცნობენ, რომ პროლეტარიატის დიქტატურა სოციალიზმის მშენებლობის აბსოლუტური კანონია მიუხედავად იმისა, განუვითარებელი კაპიტალიზმის, ფეოდალიზმის თუ ფეოდალიზმამდელი საფეხურიდან იწყებს გადასვლას სოციალიზმზე ესა თუ ის ქვეყანა. ამ მხრივ ინტერესმოკლებული არაა საბჭოთა აღმოსავლეთის ხალხების გამოცდილება.

ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის სუსტად განვითარებულ ხალხებში იქმნებოდა ეროვნული საბჭოთა სახელმწიფოებრიობის ფორმები საბჭოების (როგორც პოლიტიკური ფორმა) სახით დიდი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების პირველი დღეებიდანვე.

იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ხალხებში არ არსებობდა მუშათა კლასი, საბჭოები იქმნებოდა გლეხური შემადგენლობით. პროლეტარიატის დიქტატურის არსებობა ქვეყანაში ისაერთოდ და ცენტრალ-

¹ Очерки истории КП Узбекистана, Ташкент, 1964, стр. 188.
² კ. მარქსი, გოთას პროგრამის კრიტიკა, სახელგამი, თბ., 1932, გვ. 33.



ლ უ რ ი ს ა მ რ ე წ ვ ე ლ ო რ ა ი ო ნ ე ბ ი ს მ უ შ ა თ ა კ ლ ა ს ი ს დ ე მ კ რ ა ტ ი ა რ ე ბ ა ჩ ა მ ო რ ჩ ე ნ ი ლ ხ ა ლ ხ ე ბ ს ა ძ ლ ე ვ დ ა ს ა შ უ ა ლ ე ბ ა გ ლ ე ხ უ რ ი ს ა ბ ჰ ო ე ბ ი თ გ ა ე ტ ა რ ე ბ ი ნ ა თ პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს დ ი ქ ტ ა ტ უ რ ი ს პ ო ლ ი ტ ი კ ა .

ახლად შექმნილი საბჭოები იბრძოდნენ ფეოდალებისა და სხვა ექსპლუატატორების წინააღმდეგ, ატარებდნენ პროგრესულ სოციალ-ეკონომიურ გარდაქმნებს. იქ, სადაც ძლიერი იყო ფეოდალიზმისა და გვაროვნული წყობილების გადანაშთები, სადაც ძლიერი იყო გვარის ბელადების გავლენა, იქ იქმნებოდა სამხედრო რევოლუციური კომიტეტები, რომელთაც უნდა მოემზადებინათ ნიადაგი საბჭოების შექმნისათვის.

ტაჯიკეთის სხვა რაიონებისაგან განსხვავებით დასავლეთ პამირის მხარეში რევოლუციური კომიტეტის შემადგენლობა კი არ ინიშნებოდა, არამედ მოსახლეობა ირჩევდა. არჩევნები გააფთრებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში მიმდინარეობდა, თვით მოსახლეობა სახალხო მილიციის მხარდაჭერით ანადგურებდა ბაების მომხრეებს.

1922 წლისათვის რევოლუციური კომიტეტები შექმნილი იყო უკვე მთელი პამირის მხარეში¹.

ქვეყნის ჩრდილოეთის რაიონებში, სადაც ძირითადი მოსახლეობა მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდა და ძლიერი იყო გვაროვნული წყობილების გადანაშთები, შეუძლებელი იყო ტერიტორიული პრინციპის გამოყენება საბჭოების შექმნის დროს. ასეთ პირობებში იქმნებოდა „Родовые советы“. იქ, სადაც მომთაბარე ცხოვრება არ იყო გავრცელებული (მაგალითად პამირის მხარე), საბჭოები იქმნებოდნენ ეროვნული ტერიტორიული პრინციპის მიხედვით.

როგორც ამ საკითხზე მომუშავე ავტორები (ლ. როსლიაკოვი და სხვები) მიუთითებენ, ამ საბჭოებს ჰქონდათ როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. ასეთი საბჭოების შექმნა ხელს უწყობდა ამ ხალხების ჩაბმას საბჭოთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მშენებლობაში, დაეხმარა მათ მისაღებ და გასაგებ ფორმაში აღქვათ საბჭოთა ხელისუფლების ძირითადი პრინციპები.

გვაროვნულ საბჭოებში ადგილობრივ მოსახლეობას მაშინვე არ დაუნახავს ახალი ხელისუფლების ორგანოები, მოსახლეობა მას იხილავდა როგორც ძველ ორგანოებს — და ტრადიციულად საბჭოებში ირჩევდნენ შეძლებული ფენების წარმომადგენლებს, მდიდარ მესაკუთრეებს. საჭირო გახდა პარტიის წარგზავნილი მუშაკების, სპეციალისტების დიდი მუშაობა, რომ საბჭოთა ხელისუფლება გასაგები გამხდარიყო ამ პატარა ხალხებისათვის. მთლიანად გვაროვნულმა საბჭოებმა მიუხედავად ნაკლოვანებებისა დიდი როლი ითამაშეს განსაკუთრებით ჩრდილოეთის მცირე ხალხების ჩაბმაში საბჭოთა სახელმწიფოებრივ მშენებლობაში.

გვაროვნული საბჭოების დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე შესაძლებელი გახდა მათი შეცვლა (1929—1934 წწ.) ტერიტორიული სასოფლო საბჭოებით². ამ მნიშვნელოვანი საქმის მოგვარებაში დიდი როლი ითამაშა ჩრდი-

¹ История Таджикиского народа, т. III, кн. 1, М., «Наука», 1964, стр. 69.

² Гурвич И. С.—Еще раз к вопросу о переходе малых народов Севера и Дальнего Востока к социализму, стр. 102.

ლოეთის კომიტეტმა, რომლის ინიციატივით საკავშირო ცენტრალურმა კომისი-
რულებელმა კომიტეტმა და რსფსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო «**Вопросы о
положение об управлении туземных народностей и племенами в
окраин РСФСР**».¹

ფაქტიურად ჩრდილოეთის ხალხების ადმინისტრაციულ-სამართლობრივი მოწყობა ზემოთ აღნიშნული დოკუმენტის განხორციელებით დაიწყო.

პარტია და მუშათა კლასი დიდ დახმარებას უწევდა საბჭოების ორგანიზაციაში და მის მოღვაწეობაში შორეული აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის ხალხებს. პირველ რიგში იგრძნობოდა კადრების ნაკლებობა, ზოგან თითზე ჩამოსათვლელი იყო მუშაკები საბჭოებისათვის.

საბჭოთა ორგანიზებში მომუშავე კადრების მოსამზადებლად იქმნებოდა კურსებისა და სკოლების ფართო ქსელი კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან ეროვნული კადრების მომზადებისათვის.²

საბჭოთა შორეული აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის ხალხების სოციალიზმის მშენებლობის პროცესში ჩაბმის საქმეში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა პარტიული ორგანიზაციების შექმნას და ეროვნული პარტიული კადრების მომზადებას. მხოლოდ კომუნისტების საშუალებით შეიძლებოდა მარქსისტულ-ლენინური იდეების გავრცელება, მშრომელთა სოციალიზმის იდეებზე აღზრდა და მათი მობილიზაცია ფეოდალური და პატრიარქალურ-გვაროვნული გადანაშთების წინააღმდეგ ბრძოლისათვის, საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნისათვის.

პარტიული ორგანიზაციების მომავალ წარმატებით მუშაობაზე იყო დამოკიდებული ახლად შექმნილი საბჭოთა, სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის წარმატება ახალი საზოგადოების მშენებლობაში.

პარტიული მშენებლობა განაპირა ეროვნულ მხარეებში დაიწყო ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ. 1918 წ. ივნისში ბოლშევიკური ორგანიზაციის I სამხარეო ყრილობაზე ჩამოყალიბდა თურქმენეთის კომუნისტური პარტია.³ ამ პერიოდისათვის თურქმენეთის პარტიულ ორგანიზაციებში უკვე 2000 წევრი ითვლებოდა⁴.

1920 წ. აპრილში რკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება შექმნილიყო ყაზახეთში რკპ (ბ) ბიურო⁵.

1921 წ. ივნისში ორენბურგში ჩატარდა ყაზახეთის პირველი საოლქო კონფერენცია, რომელზეც ჩამოყალიბდა ყაზახეთის კომუნისტური პარტია, რომელიც თავის რიგებში მაშინ აერთიანებდა 26.000 წევრს⁶.

¹ Сергеев М. А.—Из опыта руководства КПСС некапиталистическим развитием малых народов Советского Севера, «Вопросы истории КПСС», 1964, № 8, стр. 109.


² История таджикского народа, т. III, кн. первая, стр. 187.

³ Очерки истории КП Узбекистана, стр. 46—47.

⁴ იქვე.

⁵ Очерки истории КП Казахстана, Алма-Ата, 1963, стр. 173.

⁶ იქვე, გვ. 196—197.



კომუნისტების რაოდენობა განაპირა ხალხებში მცირე იყო, განსაკუთრებით მცირე იყო ადგილობრივი ერების წარმომადგენლების რაოდენობა რაიონები, სადაც კომუნისტები ერთეულები იყვნენ. ასეთი მდგომარეობა რჩებდა პარტიის კავშირს ფართო მასებთან. საჭირო იყო ადგილობრივი ეროვნული აქტივის ფართოდ მიზიდვა პარტიაში. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ღონისძიებები იქნა გატარებული.

სკკპ XIII ყრილობამ თავის რეზოლუციაში „პარტიული მშენებლობის მორიგი ამოცანების“ შესახებ სპეციალურად მიუთითა ამ რაიონებისათვის პარტიაში მიღების დროს ზოგიერთი შეღავათების დაწესების შესახებ.

„ნაციონალურ რესპუბლიკებსა და ოლქებში, — ნათქვამია რეზოლუციაში, დავაწესოთ ზოგიერთი შეღავათი პარტიაში გლეხთა, მოჯამაგირეთა და შინამრეწველთა მისაღებად იმ მხრივ, რომ მიღებისას შემცირდეს რეკომენდაციის მიმცემთა რაოდენობა 2-წლიანი სტაჟის მქონე პარტიის 2 წევრამდე და პარტიაში ახლად მიღებულ კანდიდატებს ამტკიცებდეს საოლქო პარტიული კომიტეტები“¹.

შორეული რესპუბლიკებისა და ოლქებისათვის, მთელი რიგი ღონისძიებების გატარების საფუძველზე უკვე 20-იან წლებში პარტიის რიგების ზრდა სწრაფი ტემპებით წავიდა ეროვნული გლეხობისა და ლაბურთა ხარჯზე.

საერთო კულტურული ჩამორჩენილობის გამო ადგილობრივი ერებიდან კომუნისტთა უმრავლესობა წერა-კითხვის უცოდინარი იყო, მათ უმრავლესობაში ცოცხლობდა რელიგიური და ნაციონალისტური გვაროვნული წყობის გადმონაშთები.

სრულიად არასაკმარისი იყო გამოცდილი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, რაც ძალიან ართულებდა ცენტრალურ პარტიულ და საბჭოთა ორგანოების მხრიდან ამ მხარეებისადმი პოლიტიკურ ხელმძღვანელობას. სერიოზული სიძნელეების სწრაფად დაძლევის მიზნით 1919 წ. 8 ნოემბერს ცაკისა და რსფსრ სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებით შეიქმნა თურქმენეთის საქმეთა კომისია². კომისიის შემადგენლობაში შევიდნენ: შ. ელიავა, მ. ფრუნზე, ვ. კუიბიშევი, ი. რუძუტაკი და სხვები.

აღნიშნულ კომისიას ევალებოდა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის სახელით განეხორციელებინა პოლიტიკური ხელმძღვანელობა და უმადლესი პარტიული კონტროლი თურქმენეთში. კომისიის მუშაობის გეგმა განსაზღვრულ იქნა სსრ ცაკ-ისა და რსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებითა და ვ. ი. ლენინის წერილით „ამხანაგ თურქმენ კომუნისტებს“³.

„ძალიან გთხოვთ, აღნიშნავდა ლენინი, — ყოველგვარი ღონისძიება იხმაროთ, რომ მაგალითით, საქმით დაამყაროთ ამხანაგური ურთიერთობა თურქესტანის ხალხებთან, — საქმით დაუმტკიცოთ, რომ ჩვენი გულწრფელი სურვილია აღმოვეფხრათ ველიკორუსული იმპერიალიზმის ყოველგვარი კვალი“³.

¹ სკკპ ყრილობების, კონფერენციების, ცკ პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში. გამოცემა მეშვიდე, ნაწ. II, გვ. 32—33.

² Очерки КП Узбекистана, изд. «Узбекистан», 1964, стр. 66.

³ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 30, გვ. 148.



ამავე წერილში ვ. ი. ლენინი მიუთითებდა კოლონიური ხალხების თურქესტანის ხალხებთან სწორი დამოკიდებულების მსოფლიო მნიშვნელობაზე.

„მთელი აზიისა და მსოფლიოს ყველა კოლონიისათვის, — წერდა ვ. ი. ლენინი, ათასობით მილიონი ადამიანისათვის პრაქტიკული მნიშვნელობა ექნება საბჭოთა მუშურ-გლეხური რესპუბლიკის დამოკიდებულებას დღემდე დაჩაგრული ხალხებისადმი.“¹

ვ. ი. ლენინის აღნიშნული წერილი განხილულ იქნა თურქესტანის კომუნისტური პარტიის X საერთო პარტიულ სამხარეო კონფერენციაზე. 1920 წ. იანვარში კონფერენციამ წერილით მიმართა ლენინს, რომელშიც გამოთქმული იყო პირობა, რომ გამოსაწორებდნენ დაშვებულ შეცდომებს.

ჯერ კიდევ კომისიის გაგზავნამდე რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი აძლევდა თურქესტანის ხელმძღვანელ მუშაკებს მითითებებს მათ მიერ დაშვებული შეცდომების გამოსასწორებლად.

1918 წ. აპრილში შუა აზიის საგანგებო კომისიის სახელზე გაგზავნილ დეპეშაში, რომელსაც ხელს აწერდა ი. ბ. სტალინი, მოცემული იყო მითითება თურქესტანის მხარისათვის ავტონომიის მიცემისა და საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებთან თურქესტანის ხალხთა მშრომელი ფენების დაახლოების შესახებ. საკითხი ადგილობრივი მოსახლეობის სახელმწიფო მოღვაწეობაში ჩაბმის შესახებ განსაკუთრებით ხაზგასმული იყო რკპ (ბ) 1919 წ. 12 ივლისის რადიოგრაფიაში, თურქესტანის მთავრობის სახელზე.

კომისია თავის მუშაობაში დიდ სიძნელეებს წააწყდა იმასთან დაკავშირებით, რომ რ ოლქი, რომლებიც თურქესტანის ავტონომიურ რესპუბლიკაში შედიოდა, განირჩეოდა ერთმანეთისაგან ეკონომიური და კულტურული განვითარების დონით, მოსახლეობის ეროვნული და სოციალური შემადგენლობით, ტრადიციებით.

ასეთ რთულ პირობებში მუშაობას კიდევ უფრო ართულებდა სამი სამხარეო პარტიული ცენტრის არსებობა — თურქმენეთის კპ სამხარეო კომიტეტი, მუსულმანთა სამხარეო ბიურო, უცხოელ კომუნისტთა სამხარეო კომიტეტი, — თანაც პარტიული აპარატი დანაგვიანებული იყო მავნე ელემენტებით, ხშირად უშვებდნენ შეცდომებს ეროვნული პოლიტიკის განხორციელებაში.

ლენინური მითითებებით შეიარაღებულმა თურქმენეთის კომისიამ გააჩაღა დიდი მასშტაბის მუშაობა პარტიული ორგანიზაციების განმტკიცებისათვის, უპარტიო მასებთან კავშირის გაფართოებისათვის, საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის. კომისიის მუშაობამ დიდი პრაქტიკული შედეგები გამოიღო, ანალოგიური ხასიათის არაერთი ღონისძიება იქნა გატარებული ცენტრიდან საბჭოთა აღმოსავლეთის ხალხების დასახმარებლად.

პარტია დიდი მზრუნველობით ზრდიდა ეროვნულ მარქსისტულ კადრებს. ატარებდა დიდ მუშაობას კომუნისტების საერთო კულტურული და პოლიტი-

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 30. გვ. 148.



კური დონის ამალღებისათვის .ამ მიზნით იქმნებოდა პარტიული სასწავლებლები, ჩქარი ტემპებით მზადდებოდა ჩამორჩენილი ხალხებიდან პროპაგანდათა კადრები.

პარტიული და საბჭოთა კადრების მომზადების საქმეში დიდი როლი შეასრულეს აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნისტურმა უნივერსიტეტმა. პარტიულმა სკოლებმა და უმაღლესმა სასწავლებლებმა. ადგილებზე იქმნებოდა აგრეთვე კომუნისტა პოლიტიკური სწავლების სკოლები. მაგალითად, ტაჯიკეთში 1926—1927 წწ. მუშაობდა 26.000 ასეთი სკოლა¹.

განაპირა ეროვნულ მხარეებში პარტიული ორგანიზაციების განმტკიცებას მათი ორგანიზაციული და პოლიტიკური დონის ამალღებას ხელს უწყობდა პარტიის რიგებში მუშათა კლასის რაოდენობის ზრდა. ჯერ კიდევ რკპ (ბ) X ყრილობაზე დაყენებულ იქნა ამოცანა: „დავრახმით და უაღრესად გულისხმიერად მოვიზიდოთ კომუნისტური პარტიის რიგებში და საბჭოთა სამუშაოზე შედარებით არამრავალრიცხოვანი ადგილობრივი პროლეტარული ელემენტები, რომლებიც მუშაობენ სხვადასხვა სარეწებში, მაღაროებსა და რკინიგზებზე, მარლსახდელ საწარმოებში, კულაკურ მეურნეობებში“².

X ყრილობის აღნიშნული მითითების საფუძველზე სერიოზული მუშაობა ჩატარეს ადგილობრივმა ორგანიზაციებმა, რის შედეგად 1925 წლისათვის შუა აზიის პარტიული ორგანიზაციების რიგებში 37,6% მუშაზე მოდიოდა. 1960 წ. აპრილისათვის კი შეადგენს 5,4%³.

გარდამავალ პერიოდში პარტიული მშენებლობის გამოცდილების შესწავლა განაპირა ეროვნულ მხარეებში გვიჩვენებს, რომ გლეხურ ქვეყნებში შეიძლება მარქსისტულ-ლენინური პარტიების წარმოშობა და მისი ხელმძღვანელობით სოციალიზმის აშენება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავიდან ასეთ პარტიებში უმრავლესობას გლეხობა შეადგენდა, თანდათანობით კი იზრდებოდა მუშათა კლასის ხვედრითი წონა.

* * *

ჩვენი ქვეყნის განაპირა ეროვნულ მხარეებში ჩატარებული პოლიტიკური გარდაქმნების საფუძველზე იქმნებოდა პირობები ახალი საზოგადოების მშენებლობისათვის.

ლენინური მითითებების საფუძველზე და მისი უშუალო მონაწილეობით დაიწყო ამ ხალხებში საბჭოთა ხელისუფლების პირველი რევოლუციური გარდაქმნები მიმართული ახალი ეკონომიკის შექმნისაკენ. მაგალითად, რსფსრ სახკომსაბჭოს 1918 წ. 11 და 17 მაისის დადგენილებით ვ. ი. ლენინის ხელმოწერით ნაციონალიზებულ იქნა ყაზახეთის მსხვილი საწარმოები, სულ ყაზახეთში

¹ სკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, გამ. მეშვიდე, ნაწ. I, 1954; გვ. 720.

² იქვე.

³ Вопросы истории КПСС, 1964, № 9, стр. 37.

ნაციონალიზებულ იქნა 307 მსხვილი სამრეწველო საწარმო, რომლებიც უცხო და რუს კაპიტალისტებს ეკუთვნოდათ¹.

კონტრრევოლუციურმა საბოტაჟმა დააჩქარა ნაციონალიზაციის პროცესი ყირგიზეთშიც.

1918 წლის განმავლობაში ძირითადად განხორციელდა ბანკების, სამრეწველო საწარმოების, რკინიგზების ნაციონალიზაცია², შეიქმნა ეკონომიური საფუძველი სოციალიზმის მშენებლობისათვის ყირგიზეთში.

წინათ ჩამორჩენილი ხალხების პროგრესული განვითარებისათვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ფეოდალიზმის მოსპობას და გლეხობის სასარგებლოდ აგრარული გარდაქმნების განხორციელებას. ფეოდალური ურთიერთობის მოსპობა ეკონომიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე არ შეიძლებოდა. საჭირო იყო მთელი რიგი გარდამავალი საფეხურების განსაკუთრებული ფორმებისა და საშუალებების გამოყენება. თურქმენეთში, მაგალითად, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ გატარებულ იქნა მხოლოდ ზოგიერთი აგრარული გარდაქმნა; მოსპობილ იქნა მსხვილი მიწათმფლობელობა, გაუქმებულ იქნა ადგილობრივი მოსახლეობისათვის მიწათსარგებლობის სხვადასხვა შეზღუდვები, რომელიც მეფის მთავრობის მიერ იყო დაწესებული, შეიზღუდა მშრომელ-გლეხობის ექსპლუატაცია და დაქირავებული შრომის გამოყენება, ბაებს შეაწერეს დიდი გადასახადები. 1920 წ. 8 სექტემბერს კი სრულიად თურქმენეთის საბჭოების IX ყრილობაზე მიღებულ იქნა კანონი, რომლის მიხედვითაც კერძო საკუთრება მიწაზე გაუქმებულ იქნა, მთელი მიწები და წყლები გამოცხადდა სახელმწიფო საკუთრებად³. კანონი კრძალავდა მიწის ყიდვა-გაყიდვას, არენდით გაცემას, მიწით სარგებლობის უფლება ეძლეოდა ყველა გლეხს, რომელიც თავისი პირადი შრომით დაამუშავებდა.

შემდეგ კი 1921—1922 წწ. გატარებულ იქნა მიწისა და წყლის რეფორმა, რომელმაც ბოლო მოუღო კოლონიალიზმს სოფლის მეურნეობაში, მაგრამ არ მიუყვანივართ ძველი ურთიერთობის მოსპობამდე. მას ბოლო მოუღო მიწისა და წყლის რეფორმამ 1925—1929 წწ. რეფორმის განხორციელების საფუძველზე ლიკვიდირებულ იქნა მემამულური მეურნეობანი და ზედმეტი მიწები ჩამოერთვათ კულაკურ-ბაის ტიპის მეურნეობებს.


რეფორმის შედეგად მარტო უზბეკეთში მოსპობილ იქნა 4629 მემამულური მეურნეობა და გამოეყო მიწები 88000-ზე მეტ გლეხურ მეურნეობას⁴, გლეხობის (დეკხან) ფართო მასები განთავისუფლებულ იქნენ ფეოდალების

¹ Очерки истории КП Казахстана, 1963, стр. 123.

² Национализация промышленности в СССР, Сборник документов и материалов, (1917—1920 гг.), М., 1954, стр. 362.

³ Тулебаев Б. А.—Значение аграрной политики партии для перехода народов Средней Азии к социализму. «Вопросы истории КПСС», 1965, № 3, стр. 62.

⁴ История Узбекской ССР, т. II, Ташкент, 1957, стр. 267.



და ბაებისათვის მიწის რენტის დიდი გადასახადებისაგან, რომელიც შეადგენდა 28—29 მლნ. მან. წელიწადში¹.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა თავის 1929 წ. 25 მაისის დადგენილებაში „უზბეკეთის პარტიორგანიზაციის მუშაობის შესახებ“ დიდი შეფასება მისცა აღნიშნული რეფორმის განხორციელებას უზბეკეთში, რომელმაც თუ დადგენილების სიტყვებს ვიხმართ, მოსპო მემამულური მიწათმფლობელობა, განამტკიცა მიწის ნაციონალიზაცია და მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო უღარიბესი გლეხობის განთავისუფლებისა და სოფლის გასაბჭოების გზაზე².

ცნობილია ამავე დროს, რომ მიწისა და წყლის რეფორმა შუა აზიაში გატარდა სხვადასხვა ვადებში, ზოგან ის გარკვეული პირობების გამო გაგრძელდა 1929 წლამდე.

აგრარული გარდაქმნების გატარების საფუძველზე შუა აზიასა და ყაზახეთში 20-იან წლებში ლიკვიდირებულ იქნა ფეოდალური ურთიერთობანი სოფლად და შეიქმნა მნიშვნელოვანი წინამძღვრები სოფლის შემდგომი სოციალისტური გარდაქმნისათვის ლენინის კოპერაციული გეგმის საფუძველზე.

ფეოდალურ-პატრიარქალური ურთიერთობის ლიკვიდაციის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა ბრძოლა ქალების განთავისუფლებისათვის ქალთა უთანასწორობის მოსპობის საბჭოთა გამოცდილებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს კოლონიალიზმის უღლისაგან განთავისუფლებული ქვეყნებისათვის დღეს. არაბეთისა და აზიის ქვეყნებში ქალები იმყოფებიან მძიმე უუფლებო მდგომარეობაში. ამ ქვეყნების პროგრესულ ძალებს დიდი მუშაობა დასჭირდებათ, რომ თავი დააღწიონ წარსულის მძიმე მემკვიდრეობას. მათ ამ მუშაობაში ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევს საბჭოთა აღმოსავლეთის ხალხების გამოცდილება.

ცნობილია, რომ შუა აზიისა და კავკასიის მთელ რიგ ხალხებში ქალები იზოლირებული იყვნენ საზოგადოებისაგან. საზოგადოებრივ ადგილებზე გამოჩენის დროს ვალდებული იყვნენ დაეფარათ სახე ჩადრით. ქალების ფაქტიური განთავისუფლება, ძველი მახინჯი ტრადიციებისაგან თავის დაღწევა საბჭოთა აღმოსავლეთის ხალხებში რთული საქმე იყო.

სწორედ ამ სირთულეს ითვალისწინებდა საბჭოთა სახელმწიფო, როცა გამოსცა სპეციალური დეკრეტები, რომლებიც შეეხებოდნენ ქალთა საბოლოო განთავისუფლების საკითხს. 1921 წ. 14 ივლისს თურქმენეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო დეკრეტი, რომლითაც იკრძალებოდა მრავალკოლიანობა, იძულებითი გათხოვება, ქორწინების ასაკი კი განისაზღვრა 16 წლით, ნაცვლად 9 წლისა ქალს ეძლეოდა მთელი თავისუფლება

¹ Ленинский кооперативный план и борьба партии за его осуществление, Сборник статей, Госполитиздат, М., 1969, стр. 135.

² იქვე, გვ. 136.

გათხოვებისათვის. ცოტა ადრე 1920 წ. 28 დეკემბერს ასეთივე დეკრეტით მიღებულ იქნა ყაზახეთში¹.

ქალთა განთავისუფლების საქმეში დიდი როლი ითამაშეს ქართველ-ფილებებმა, რომელიც შეიქმნა საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლებისათვის ცენტრალურ კომიტეტში და ადგილობრივ პარტიულ ორგანოებში².

ექსპლუატატორული კლასები და რეაქციული მუსულმანური სამყაროს წარმომადგენლები აწარმოებდნენ გააფთრებულ ბრძოლას ქალის ძველი მახინჯი ჩვევებისაგან განთავისუფლების წინააღმდეგ ჩადრის მოხდას მიიჩნევდნენ ეროვნული ადათ-წესების შეუარაცხოფად და მოუწოდებდნენ კაცებს, ოჯახის უფროსებს არ მიეცათ უფლება ცოლებისა და შვილებისათვის მოეხადათ ჩადრი, აწარმოებდნენ ფართო აგიტაციას, რომ ქალებს არავითარი მონაწილეობა არ მიეღოთ საზოგადოებრივი ღონისძიებების განხორციელებაში. ძალიან რთულ პირობებში უხდებოდათ მუშაობა ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილ ჩადრით შემოსილ პარტიულ მუშაკებს, ხშირად დიდ რისკზე წასვლაც კი უხდებოდათ. ეს მუშაობა მოითხოვდა დიდ სიფრთხილეს, მოქნილ და ინდივიდუალურ მიდგომას. ეროვნულ რაიონებში ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით იქმნებოდნენ სპეციალური ქალთა კლუბები, წითელი კუთხეები.

ყველაზე მოხერხებული ფორმა ქალთა განთავისუფლებისათვის ბრძოლაში (აზერბაიჯანი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი). აღმოჩნდა ქალთა კლუბები, რომლებიც იქმნებოდნენ ქალაქად ქალთა შორის კულტმასობრივი მუშაობის გაძლიერებისათვის. თავიდან ამ კლუბებში ქალები მიდიოდნენ დახურული სახით, კლუბის მთელი მომსახურე პერსონალი ქალები იყვნენ, ამიტომ ადგილობრივი მოსახლეობა დადებითად ეპყრობოდა კლუბებს. 1925 წ. ასეთი კლუბი უზბეკეთში 21 იყო, რომელთა მუშაობაში ჩაბმული იყო 3000 ქალი³. ისეთ ადგილებში, სადაც არ იყო კარჩაკეტილობა, იქმნებოდა გლეხ ქალთა სახლები, ქალებისათვის სპეციალური მაღაზიები. ქალთა განყოფილებები ეწეოდნენ დიდ აღმზრდელობით მუშაობას, აბამდნენ ქალებს სამომხმარებლო კოოპერაციაში. ქალთა განთავისუფლებაში ძველი ტრადიციებიდან თავის დაღწევის საქმეში დიდი როლი ითამაშეს ე. წ. დელეგატთა კრებებმა, ისინი ქალთა კომუნისტური აღზრდის სკოლებად იქცნენ.

დელეგატთა კრებები იქმნებოდა ქალთა განყოფილებებთან და მასში შედიოდნენ მოსამსახურე მუშა და გლეხი ქალები, დიასახლისები, მათ ირჩევდნენ ქალთა კრებებზე რ თვიდან 1 წლამდე. დელეგატები ისმენდნენ ლექციებს, მონაწილეობდნენ საუბრებში, რომლებიც ტარდებოდა განსაზღვრული პროგრა-

¹ От средневековья к вершинам современного прогресса, М., «Наука», 1965, стр. 237.

² Вопросы истории КПСС, 1964, № 10, стр. 103.

³ Очерки истории КП Узбекистана, Ташкент, 1964, стр. 157—158.

მით. თავიანთ მუშაობაზე დელეგატები ანგარიშს აბარებდნენ ამომრჩეველ ქალებს¹.

დელეგატთა კრებები გახდა პარტიული ორგანოების მტკიცე საყრდენი ქალთა განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

ადგილობრივი მოსახლეობის ქალებთან მუშაობაში წარმატებები ბევრად იყო დამოკიდებული იმაზე, იქნებოდნენ თუ არა ისინი ჩაბმული პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობაში.

პირველ ხანებში ქალიშვილების ჩაბმა კომკავშირულ ორგანიზაციებში ძნელი აღმოჩნდა. მათ ათხოვებდნენ კომკავშირულ ასაკამდე, ამის გამო ქალიშვილებისათვის აღმოსავლეთის ხალხებში კომკავშირში მიღების ასაკი შეამცირეს 12 წლამდე, ასეთი ქალიშვილებისათვის იქმნებოდა ცალკე ჯგუფები, რომელთა მუშაობა არალეგალურად მიმდინარეობდა მიყრუებულ აულებში.

ძირეული მოსახლეობის ქალებისათვის პარტიაში მიღების დროს დაწესებულ იქნა შეღავათები აღმოსავლეთის რაიონებისათვის, რაც ხელს უწყობდა ადგილობრივი ერებიდან ქალთა რაოდენობის ზრდას პარტიის რიგებში.

1925 წ. 1 სექტემბერს უზბეკეთის კომუნისტური პარტიის რიგებში იყო 219 ქალი ანუ 17,7%, კომუნისტი ქალების საერთო რაოდენობიდან, 1926 წ. 1 იანვარს 312. 1926 წ. ბოლოს უკვე 527 ქალი იყო უზბეკეთის კომუნისტურ პარტიაში².

სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის ქალები სულ უფრო და უფრო ფართოდ იქნენ ჩაბმული საზოგადოებრივ წარმოებაში და საზოგადოებრივ პოლიტიკურ ცხოვრებაში. სწრაფად იზრდებოდა ქალების ხვედრითი წილი საზოგადოებრივ წარმოებაში.

მაგალითად, უზბეკეთში, მსხვილ მრეწველობაში ქალთა რაოდენობა გაიზარდა 15%-დან 1928 წ., 40,7%-მდე 1940 წ³.

რუსი აქტივისტი ქალების დახმარებით ადგილობრივი ერებიდან ქალები სულ უფრო და უფრო ებმებოდნენ სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივ მუშაობაში.

მაგალითად, ტაშკენტის ოლქში 1025 დელეგატიდან 1925 წლის პირველ ნახევარში 211 ქალი იყო ადგილკომის წევრი, 49 პროფკავშირის საოლქო მმართველობის წევრი, 24 ქალი პარტბიუროს წევრი.

1925 წ. დეკემბერში მხოლოდ ტაშკენტის ოლქში არჩეულ იქნა საბჭოს წევრებად 65 უზბეკი ქალი, ფერგანის ოლქში 40⁴.

ქალთა განთავისუფლებას და ძველი მავნე ტრადიციების ძირითადში დაძლევის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა აღმოსავლეთის რესპუბლიკე-

¹ Очерки истории КП Туркменистана, стр. 322.

² Шукурова Х.—Коммунистическая партия в борьбе за раскрепощение женщин, Ташкент, 1961, стр. 90—91.

³ იქვე, გვ. 133.

⁴ Очерки истории Узбекистана, Ташкент, 1964, стр. 160.



ბის პროგრესისათვის. მოსახლეობის ნახევარი ამ რესპუბლიკებში ჩვეულებრივ განთავისუფლებულნი ხდებოდნენ საზოგადოებრივი წარმოების დაწესებულებებში, ქალების ხარჯზე აქ საკმაოდ გაიზარდა მუშათა კლასის და გლეხობის რიცხვი, გაფართოვდა ინტელიგენციის რიგები. ყოველივე ამას კი პირველხარისხის მნიშვნელობა ჰქონდა სოციალისტურ საზოგადოებაში საწარმოო ძალების განვითარებისათვის, ახალი საზოგადოების აშენებისათვის.

როგორც ჩვენი ქვეყნის წინათ ჩამორჩენილი ხალხების გამოცდილება გვიჩვენებს, მხოლოდ სოციალიზმის მშენებლობა უზრუნველყოფს ქალთა საბოლოო განთავისუფლებას. თავის მხრივ კი ამ პრობლემის გადაწყვეტა დიდად უწყობს ხელს საწარმოო ძალების განვითარებას, საზოგადოებრივ პროგრესსა საერთოდ.

* * *

ცნობილია, რომ ცარიზმი ამ განაპირა მხარეებს, რომლებიც კოლონიებისა და ნახევრადკოლონიების მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, ძალდატანებით ინარჩუნებდა ყოველგვარი ნედლეულის მიმწოდებლის როლში, რომლის დამუშავებაც ცენტრში ხდებოდა. ეს იყო ამ მხარეების მუდმივი ჩამორჩენილობის მიზეზი, და რაც თავისთავად ხელს უშლიდა ამ ჩაგრულ ხალხებში პროლეტარიატის წარმოშობას და განვითარებას.

1912 წ. შუა აზიაზე მოდიოდა მთელი ქვეყნის სამრეწველო პროდუქციის წარმოების 1,8%¹. თურქმენეთში შექონდათ ცენტრალური რაიონებიდან ქსოვილი, ყაზახეთში კი პერმის გუბერნიიდან მარილი მაშინ, როდესაც ქსოვილის წარმოებისათვის კარგი პირობები არსებობდა თურქმენეთში ადგილზე, ყაზახეთს კი მარილის უმდიდრესი საბადოები ჰქონდა.


ერთ სულ მოსახლეზე სამრეწველო წარმოების მოცულობით შუა აზიისა და ყაზახეთის რაიონები ჩამორჩებოდნენ ცენტრალურ ოლქებს რამდენიმე ათეულჯერ. მაგალითად, 1913 წ. მთელს თურქმენეთში (ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, ყაზახეთი) სულ არსებობდა 702 ნახევრადკუსტარული ტიპის სამრეწველო საწარმო, რომლებშიც საშუალოდ მუშაობდა 30 მუშა².

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ერებს შორის არსებული ფაქტიური უთანასწორობის დაძლევისათვის გამამყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საწარმოო ძალების სოციალისტურ განლაგებას.

ვ. ი. ლენინი დიდ ყურადღებას უთმობდა ამ საკითხს, ის მიუთითებდა, რომ ქვეყნის ეკონომიური აღმავლობის გეგმაში უნდა შედიოდეს მრეწველობის

¹ Ленинский план социалистической индустриализации и его осуществление, Госполитиздат, 1969, стр. 251.

² იქვე, გვ. 252.



გათვალისწინება, რომ ნედლეულის დამუშავებიდან გზა პროდუქციის მიღებამდე რაც შეიძლება შრომის ნაკლები დანახარჯებით იყოს. ეს მეცნიერულად დასაბუთებული ეკონომიური პოლიტიკის პრინციპი ამავე დროს ეროვნული პოლიტიკის მნიშვნელოვანი პრინციპიცაა, რადგან მისი განხორციელება უზრუნველყოფს საწარმოო ძალების ისეთ განაწილებას, რომელიც ამკვიდრებს ხალხების ფაქტიურ თანასწორობას.

სწორედ ამით ხელმძღვანელობდა რკპ (ბ) X ყრილობა, როდესაც მიუთითა მრეწველობის გეგმაშეზომილად განლაგებაზე განაპირა მხარეებში „ფაბრიკების გადატანის გზით ნედლეულის წყაროებთან (თურქესტანი, ბაშკირეთი, ყირგიზისტანი, კავკასია)“¹.

ჩვენი ქვეყნის განაპირა მხარეებში ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის განხორციელებას ჰქონდა არა მარტო ეკონომიური, არამედ სოციალ-პოლიტიკური მნიშვნელობაც.

ინდუსტრიალიზაციის საფუძველზე იცვლებოდა საზოგადოების სოციალური სტრუქტურა, ყალიბდებოდა ეროვნული მუშათა კლასი, იზრდებოდა მოსახლეობის კულტურულ-პოლიტიკური დონე, რაც ემსახურებოდა ფეოდალურ-პატრიარქალური გადანაშთების სწრაფად დაძლევის საქმეს და აჩქარებდა სოციალიზმის მშენებლობის პროცესს.


სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ლენინური პოლიტიკა, სწორად უთავსებდა რა მთელი კავშირის ინტერესებს ეროვნულ ინტერესებს, ამავე დროს ითვალისწინებდა ეკონომიურად ჩამორჩენილი ხალხებისადმი განსაკუთრებული ყურადღების მიქცევას.

ეს ნათლად ჩანს პირველი ხუთწლიანი გეგმების შედგენის დირექტივებიდან, რომელიც სკკპ (ბ) XV ყრილობამ მიიღო: „ხუთწლიანმა გეგმამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ჩამორჩენილი ნაციონალური განაპირა მხარეების და ჩამორჩენილი რაიონების ეკონომიკის და კულტურის აღმავლობის საკითხებს, იმის გათვალისწინებით, რომ აუცილებელია ამ მხარეებისა და რაიონების ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობის თანდათანობით ლიკვიდაცია და ამის შესაბამისად გათვალისწინებულ იქნეს მათი ეკონომიკისა და კულტურის უფრო სწრაფი ტემპით განვითარება ამ რაიონების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების საბჭოთა კავშირის საჭიროებებთან და მოთხოვნილებებთან შეხამებით.“²

ეკონომიურად ჩამორჩენილ შუა აზიის რაიონებში ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპებით განხორციელება დიდ სიძნელებთან იყო დაკავშირებული. საჭირო იყო გამოცდილი სპეციალისტები. ასეთი სიძნელების დაძლევა წარმოუდგენელი იყო სახელმწიფოსა და მოწინავე ერების აქტიური მხარდაჭერის გარეშე.

¹ სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში ნაწილი I, გამოცემა მე-7, გვ. 720.

² იქვე, გვ. 598.



სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია საბჭოთა აღმოსავლეთის რესპუბლიკებში ხორციელდებოდა ყველა საბჭოთა რესპუბლიკას შორის უზარმაზარ სიჩქარეების პრინციპით. ამავე დროს არ იყო საჭირო ეკონომიური მიზანშეწონილობის გარეშე თითოეულ რესპუბლიკაში შექმნილიყო მძიმე მრეწველობის ყველა დარგი, პირველ რიგში იქ შენდებოდა ქარხნები, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ გადამამუშავებელ მრეწველობასთან; ხორცის, რძის, მატყლის ბამბის, ტყავის, მარცვლეულის, ხილის და სხვ. სამრეწველო საწარმოები განლაგებულ იქნა მაქსიმალურად ადგილობრივი ნედლეულის გამოყენების გათვალისწინებით.

მძიმე მრეწველობის დარგებიდან პირველ რიგში შენდებოდა მთამადნეულის დამამუშავებელი საწარმოები, მანქანათმშენებლობა და ხელსაწყოთმშენებლობა კი უფრო მოგვიანებით შეიქმნა. კომპლექსური განვითარება უთავსდებოდა იმ დარგების უპირატეს განვითარებას, რომლისთვისაც ამა თუ იმ რესპუბლიკაში იყო უკეთესი ბუნებრივი და ისტორიული პირობები, ყოველივე ეს კეთდებოდა საბჭოთა სახელმწიფოს უდიდესი ფინანსური დახმარებით. სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის მეშვეობით ხდებოდა სახსრების გადანაწილება განაპირა ეროვნული მხარეების სასარგებლოდ, რესპუბლიკების ბიუჯეტისათვის დოტაციის სახით. მაგალითად, ტაჯიკეთის ბიუჯეტი 1927 წ. შედგებოდა 92,2% საკავშირო ბიუჯეტიდან, 1928 წ. 79,7%, 1929 წ. 72,6%¹.

საბჭოთა აღმოსავლეთის რაიონებში ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის განხორციელების საქმეში არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის მუშათა კლასის დახმარებას, რომელიც გამოიხატებოდა იარაღებისა და მასალების მოწოდებაში, გამოცდილი მუშაკების გაგზავნაში, ეროვნული კადრების მომზადებაში და ა. შ.

ადგილობრივი მოსახლეობის მრეწველობის დარგში ფართოდ ჩაბმის, ეროვნული კვალიფიციური მუშათა კლასის შექმნისა და მომზადების შესახებ სრულიად რუსეთის საბჭოების XIII ყრილობამ სპეციალური დირექტივა მისცა მთავრობას, რასაც ფართოდ გამოეხმაურნენ მოსკოვის, ლენინგრადისა და ივანოვო-ვოზნესენსკის პარტიული ორგანიზაციები. შუა აზიის რაიონებში 1929 წ. გაემგზავრა 356.000 მუშა, 100.000 საფეიქრო მრეწველობის სპეციალისტი².


1933—1935 წ.წ. რუსეთის ფედერაციის ოლქებიდან უზბეკეთის სამრეწველო მშენებლობებზე ჩავიდა 10.000 მუშა³.

ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის განხორციელების დროს საბჭოთა აღმოსავლეთისა და საერთოდ ყველა განაპირა რაიონის მიმართ პარტია ითვისებდა ლენინურ მითითებებს, რომ აქ დაუშვებელი იყო შაბლონი, სოციალისტური ეკონომიკის შექმნა თითოეულ რესპუბლიკაში ემყარებოდა მთელი ქვე-

¹ История таджикского народа, т. III, кн. I, М., 1964, стр. 204.

² Ленинский план социалистической индустриализации и его осуществление, М., 1969, стр. 256.

³ Минья капитализм, М., 1961, стр. 61.



ყნის მატერიალურ-ტექნიკურ შესაძლებლობებს და ყველა ერის ძმურ თანამშრომლობას.

იმის გამო, რომ რუსეთის ცენტრალურ რაიონებში არსებობდნენ ინდუსტრიის მძლავრი ობიექტები, შესაძლებელი შეიქნა შუა აზიის რესპუბლიკებში ინდუსტრიალიზაცია დაგვეწყო მსუბუქი და კვების მრეწველობის განვითარებით. მძიმე მრეწველობის დარგების განვითარება კი მოგვიანებით დაიწყო.

შრომის სოციალისტური დანაწილების პირობებში ასეთი პოლიტიკა არ ეწინააღმდეგება მძიმე ინდუსტრიის უპირატესი განვითარების კანონზომიერებას. ამ რესპუბლიკებს შეეძლოთ სოციალიზმის მშენებლობის პირველ წლებში განეფითარებინათ სახალხო მეურნეობის ის დარგები, რომელთა განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები არსებობდნენ, ხოლო მძიმე ინდუსტრიის ნაწარმი მსქანა-იარაღები და ყოველგვარი დანადგარი მათ შეეძლოთ მიეღოთ მოძმე ერების მძიმე მრეწველობის საწარმოებიდან, პირველ რიგში რუსეთიდან.

ინდუსტრიალიზაციის ასეთმა პოლიტიკამ საბჭოთა აღმოსავლეთის რესპუბლიკებს საშუალება მისცა მაქსიმალურად გამოეყენებინათ ნედლეულის დიდი რეზერვები და შემდეგ ამ გზით დაგროვილი სახსრები გამოეყენებინათ მძიმე ინდუსტრიის განვითარებისათვის.


როგორი განმასხვავებელი ნიშნებითაც არ უნდა ხასიათდებოდეს ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის განხორციელება საბჭოთა აღმოსავლეთსა და ყველა განაპირა ეროვნულ მხარეში, მიზანი, რომელსაც ისახავდა პარტია ერთი იყო, — ეკონომიური ჩამორჩენილობის მოსპობა, რომ აღარ ყოფილიყო რაიონების აგრარულ და სამრეწველოდ დაყოფა. ყოველივე ეს კი ემსახურებოდა ერებს შორის ფაქტიური უთანასწორობის საბოლოოდ მოსპობას.

საბჭოთა მთავრობის აქტიური მხარდაჭერით, რუსეთის მუშათა კლასისა და მოძმე ერების მრავალმხრივი დახმარების საფუძველზე შესაძლებელი შეიქნა საბჭოთა აღმოსავლეთის რესპუბლიკებში ინდუსტრიალიზაციის მაღალი ტემპებით განხორციელება, ზოგჯერ ეს ტემპები საკავშირო მაჩვენებლებსაც უსწრებდნენ. მაგალითად, თუ სსრ კავშირის სამრეწველო პროდუქცია 1940 წ. გაიზარდა 1913 წელთან შედარებით 11,7-ჯერ, ყაზახეთის სსრ მსხვილი მრეწველობის პროდუქცია ამ პერიოდში გაიზარდა 20-ჯერ, ყირგიზეთში — 153-ჯერ. ტაჯიკეთში — 324-ჯერ¹.

საბჭოთა აღმოსავლეთის რესპუბლიკების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეკონომიკის განვითარებაში რაციონალური მიმართულების არჩევით, რომელიც შედარებით მცირე დანახარჯებით იძლევა უდიდეს სამეურნეო ეფექტს — ბევრად განსაზღვრავს განთავისუფლებული სახელმწიფოების ეკონომიური ჩამორჩენილობის ლიკვიდაციის ვადებს.

სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის საფუძველზე წინათ ეკონომიურად ჩამორჩენილი საბჭოთა აღმოსავლეთის რესპუბლიკები გადაიქცნენ ინდუსტრიულ-აგრარულ რესპუბლიკებად.

¹ «Достижения Советской власти за 40 лет в цифрах», стр. 56, 136, 137.



საბჭოთა აღმოსავლეთის რესპუბლიკების ინდუსტრიალიზაციას, როგორც უკვე ზემოთ იყო აღნიშნული, ჰქონდა არა მარტო ეკონომიური მნიშვნელობა, რომ მან ხელი შეუწყო საწარმოო ძალების სწრაფ განვითარებას, სოციალ-ეკონომიური მნიშვნელობაც, მის საფუძველზე ჩამოყალიბდა და გაიზარდა მრავალრიცხოვანი ეროვნული მუშათა კლასი, ეროვნული ტექნიკური ინტელიგენცია. მაგალითად, ყირგიზეთში მუშებისა და მოსამსახურეების რიცხვი გაიზარდა 40.180 კაციდან 1928 წ. 146.560 კაცამდე 1937 წ. მაშინ, როცა მსხვილ მრეწველობაში მუშაობდა 74.782 კაცი. თუ ისინი შეადგენდნენ 1929 წ. 15—16%, 1937 უკვე 30% იყო¹.

სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის განხორციელებამ არსებითად შეცვალა საზოგადოების სოციალური სტრუქტურა შუა აზიის რესპუბლიკებში. მუშათა კლასის ეროვნული კადრების შექმნამ, მრეწველობაში ადგილობრივი მოსახლეობის ფართოდ ჩაბმამ განამტკიცა სოციალიზმის პოზიციები, ხელი შეუწყო ეროვნული მუშათა კლასის რიგებიდან პარტიის რიცხობრივ ზრდას ყოველივე ამან კი განაპირობა სოციალისტური ერების ერთიან ძმურ ოჯახში შემდგომი შემჯიბრობა.

* * *

ჩვენი ქვეყნის განაპირა ეროვნულ მხარეებში ინდუსტრიალიზაციის განხორციელების საფუძველზე შესაძლებელი გახდა სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა. ეს პროცესი ყველა განაპირა მხარეში ემყარებოდა ვ. ი. ლენინის კოოპერაციულ გეგმას, მაგრამ მას ახასიათებდა გარკვეული თავისებურებანი, ეს გასაგებიცაა, რადგან ამ მხარეებში მშრომელი გლეხობა სოციალიზმზე გადასვლას იწყებდა „ფეოდალურ-გვაროვნული“ ურთიერთობიდან.


ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ პირველ წლებში აულეებსა და აილებში რუსული სოფლებისაგან განსხვავებით ჭარბობდა არა სასაქონლო, არამედ პატრიარქალური, უფრო მეტად ნატურალური მეურნეობა.

საბჭოთა აღმოსავლეთის განაპირა რაიონებში საკოლმეურნეო მშენებლობა დიდი სიძნელეების გადალახვის პირობებში მიმდინარეობდა, საკოლმეურნეო მოძრაობას აფერხებდა გლეხობის გაუნათლებლობა, დაბალი პოლიტიკური შეგნებულობა, სუსტი ორგანიზებულობა, ეკონომიური დამოკიდებულება ბაი-ნახევრადფეოდალებზე.

ამავე დროს საკოლმეურნეო მშენებლობას აფერხებდა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ელემენტების მოქმედება, პატრიარქალურ-ოჯახური, რელიგიური კავშირები, სხვადასხვა არქაული წარმოდგენები, რომლებიც ხელს უშლიდნენ გლეხს გამოეცნო ბაი-ფეოდალში ექსპლუატატორი.

სოციალ-ეკონომიური ურთიერთობების გარდაქმნა სოფლად განაპირა აღმოსავლეთის რაიონებში დაიწყო მიწისა და წყლის რეფორმით 20-იანი წლების მეორე ნახევარში, რომლის საფუძველზე მოსპობილ იქნა ყველაზე მსხვილი ფეოდალური-ბაების მეურნეობანი, მიწა კულაკობას გარკვეულ ნორმის

¹ История советского рабочего класса Киргизстана, Фрунзе, 1966, стр. 161—162.



ზევით ჩამოერთვათ და გადანაწილებულ იქნა უმიწო და მცირემიწიან გლეხებს შორის.

გლეხობის კოოპერირების გამოცდილების შესწავლა ამ განაპირა ჩამოიჩინო ჩენილ მხარეებში გვაჩვენებს, რომ კონკრეტული პირობების შესაბამისად სუსტად განვითარებულ ხალხებში იქმნებოდა კოოპერაციის სხვადასხვა გარდამავალი ფორმები, რაც უფრო ძლიერი იყო ჩამორჩენილობა მით უფრო კოოპერაციის უბრალო ფორმები იქმნებოდა, ეს განსაკუთრებით შეიმჩნეოდა ჩრდილოეთის ხალხებსა და ყაზახეთში.

კოლექტიური მეურნეობები უფრო სწრაფი ტემპით იქმნებოდა შუა აზიის მებაძმეობის რაიონებში, აქ სას.-სამ. კოოპერატივები იქმნებოდნენ უფრო ადრე ფართო მასშტაბით. ეს გაპირობებული იყო მებაძმეობის მეურნეობის თავისებურებებით, რომელიც ემყარებოდა ხელოვნურ რწყვას, წარმოადგენდა მაღალ სასაქონლო დარგს და მკიდროდ იყო დაკავშირებული სოციალისტურ მრეწველობასთან. საერთოდ კოლექტივიზაციის გატარებისათვის უფრო მომზადებული აღმოჩნდნენ შუა-აზიის მებაძმეობის და ყაზახეთის მარცვლეულის მწარმოებელი რაიონები. ისინი უფრო უზრუნველყოფილი იყვნენ მანქანებით და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით. 1929 წ. მხოლოდ უზბეკეთის სოფლის მეურნეობამ მიიღო 1670 ტრაქტორი, 21000-ზე მეტი კულტივატორი, 16500 ბაზისის სათესი და სხვა¹.

კოლექტივიზაციისათვის შედარებით ნაკლებად მომზადებული აღმოჩნდნენ მიწათმოქმედება-მეცხოველეობის მიმართულების რაიონები. ამის მიზეზი მატყრილურ-ტექნიკური ბაზის სისუსტეში და მეცხოველეობაში დაკავებული გლეხობის დაბალი შეგნებულობით აიხსნებოდა.

ყირგიზეთისა და ტაჯიკეთის მთიან რაიონებში, ყაზახეთში, სადაც მომთაბარე და ნახევრად მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ, კიდევ უფრო სუსტად მომზადებული შეხვდნენ საკოლმეურნეო მოძრაობას.

20-იან წლებში ყაზახეთში 544000 მომთაბარე და ნახევრად მომთაბარე მეურნეობა იყო, ყირგიზეთში—90.000².

ამ რაიონებში საკოლმეურნეო მოძრაობის შეფერხება გამოიწვია იმანაც, რომ შუა აზიის ზოგიერთ რესპუბლიკაში, განსაკუთრებით უზბეკეთში, საკოლმეურნეო მშენებლობა მიდიოდა იმავე ტემპით, როგორც რუსეთის მარცვლეულის რაიონებში.

სკკპ (ბ) შუა აზიის ბიურომ და რესპუბლიკების ცენტრალურმა კომიტეტებმა არასწორი მითითება მისცეს ადგილობრივ ორგანიზაციებს.

1930 წ. 30 იანვარს სკკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა შუა აზიის ბიუროსადმი გაგზავნილ სპეციალურ წერილში გამოავლინა საკოლმეურნეო მოძრაობაში დაშვებული შეცდომები და მოითხოვა, დაუყოვნებლივ მათი გასწორება.

¹ Г. Р. Р и з а е в—Сельское хозяйство Узбекистана за 40 лет. Ташкент, 1957, стр. 417.

² Очерки истории КП Киргизии, Фрунзе, 1966, стр. 223.



1930 წ. 20 თებერვლის დადგენილებაში „ეკონომიურად ჩამორჩენილ ეროვნულ რაიონებში კოლექტივიზაციისა და კულაკობასთან ბრძოლის შესახებ“, სკკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიულ ორგანიზაციებს დასტავა კონკრეტული ამოცანები სოფლის სოციალისტური გარდაქმნის დარგში.

აღნიშნული დადგენილების საფუძველზე ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ შემოწმებულ იქნა მასობრივი კოლექტივიზაციის რაიონები, ხელოვნურად შექმნილი კოლმეურნეობები დაშალეს. გაუქმებულ იქნა შუა აზიის ბიუროს მიერ აღრე მიღებული დადგენილება, რომელიც კოლექტივიზაციის დამთავრებას ითვალისწინებდა 1930 წლისათვის. დიდი ორგანიზატორული მუშაობის შედეგად პარტიულმა ორგანიზაციებმა მოკლე დროში გამოასწორეს დაშვებული შეცდომები.

დიდი ყურადღებით ეკიდებოდა სკკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა ეროვნულ რაიონებში კოლმეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების საქმეს. მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა და მათთან არსებულმა პოლიტგანყოფილებებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს კოლექტივიზაციის პოლიტიკის განხორციელების საქმეში. გლეხობის საკოლმეურნეო მოძრაობაში ჩაბმის საქმეში დიდი როლი შეასრულეს მუშა-კომუნისტებმა ოცდახუთათასიანელებმა, რომლებიც რუსეთის სამრეწველო რაიონებიდან იყვნენ ჩასული.

1930 წ. ბოლოსათვის შეიქმნა თითქმის ყველა პირობა კოლექტივიზაციის პროცესის ნორმალური განვითარებისათვის.

1931 წ. 1 ივნისისათვის ტაჯიკეთში კოლმეურნეობებში შესული იყო უკვე მთელი გლეხობის 27,6%, ყირგიზეთში — 43,9%, თურქმენეთში — 53,1%, ყაზახეთში — 55,2%, უზბეკეთში — 64,2 და მეზამბეობის რაიონებში — 64%¹.

განსაკუთრებით რთული გადასაწყვეტი აღმოჩნდა აღმოსავლეთის რაიონებში მომთაბარე გლეხობის კოოპერირება.

საჭირო იყო პირველ რიგში განსაკუთრებული მიდგომა მათდამი, კოოპერაციის ფორმების განსაკუთრებული შერჩევა, დიდი რაოდენობით სახსრების დაბანდება, აუთვისებელ მიწებზე მათი დასახლებისათვის. მომთაბარე გლეხობისათვის ყველაზე მოხერხებული ფორმა კოოპერაციისა მიწის ზიარი დამუშავების ამხანაგობები აღმოჩნდნენ. ამ ფორმით გლეხობა მომთაბარე ცხოვრებიდან თანდათან ეჩვეოდა მუდმივ ადგილებში ცხოვრებას და ამზადებდა თავის თავსაც საკოლმეურნეო მოძრაობის შემდეგ ფორმაზე გადასვლისათვის.

სკკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის, რუსეთის მუშათა კლასისა და სხვა მოქმე ერების დახმარებითა და მხარდაჭერით ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების დიდი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შედეგად მოხერხდა საბჭოთა აღმოსავლეთის ეროვნულ რაიონებში ამ ურთულესი ამოცანის გადაწყვეტა.

¹ Трапезников — Ленинизм и аграрно-крестьянский вопрос, т. II, стр. 302—303.



1937 წ. კოლექტივიზაციის პროცენტმა ამ რაიონებში შეადგინა უზბეკეთის სსრ—95, ყაზახეთში—97,5, თურქმენეთის სსრ—89,9¹.

საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებამ განაპირა ჩამორჩენილ რაიონებში შექმნა პირობები იმისათვის, რომ ისინი თანდათანობით დაწეოდნენ ეკონომიური განვითარების დონით მოწინავე რაიონებს, ბოლო მოუღო გლეხის მოხეტიალე ცხოვრებას, შეიქმნა წინამძღვრები, არა მარტო სოფლის მეურნეობის სწრაფი განვითარებისათვის, არამედ მშრომელი გლეხობის მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვისაც.

* * *

როგორც ისტორიული გამოცდილება გვაჩვენებს, არაკაპიტალისტური განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს კულტურული ჩამორჩენილობის დაძლევა, საბჭოთა აღმოსავლეთის და ჩრდილოეთის ხალხებმა პირველებმა აჩვენეს კულტურული ჩამორჩენილობის დაძლევის მაგალითი, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს კოლონიალიზმის უღლისაგან განთავისუფლებული სახელმწიფოებისათვის.

საბჭოთა აღმოსავლეთში კულტურული ჩამორჩენილობის დაძლევა, ამ ხალხებში კულტურული რევოლუციის განხორციელება იყო ერებს შორის ფაქტიური უთანასწორობის მოსპობის ერთ-ერთი გზა, ლენინური ეროვნული პოლიტიკის არსებითი შემადგენელი ნაწილი.

წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობისათვის ბრძოლა ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების პირველი წლებიდანვე დაიწყო. პარტიულმა ორგანიზაციებმა სკკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით, რუსი ხალხისა და სხვა მოამე ერების დახმარებით დაიწყეს ბრძოლა საუკუნეობრივი სიბნელისა და უმეტრებისაგან თავის დაღწევისათვის, ახალი სოციალისტური კულტურის შექმნისათვის.

ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის ჩამოყალიბება შუა აზიისა და ყაზახეთის ხალხებში გაუგონარ სიბნელებთან იყო დაკავშირებული, რომლებიც ობიექტური ისტორიული პირობებით იყო გამოწვეული. მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის წერა-კითხვის უცოდინარობა, წარსულში სკოლებისა და ეროვნული კადრების არარსებობა, მატერიალური ბაზის უქონლობა, ზოგიერთ ერებში დამწერლობის უქონლობა, პატრიარქალურ-ფეოდალური ურთიერთობანი, დაკავშირებული რეაქციულ მუსულმანურ რელიგიასთან, კლასობრივი მტრების ვააფთრებული წინააღმდეგობა, ყოველივე ეს აფერხებდა კულტურული მშენებლობის ტემპებს და ართულებდა კულტურული რევოლუციის ამოცანების გადაწყვეტასაც.

მიუხედავად ასეთი სიბნელებისა, მოკლე დროის განმავლობაში იქმნებოდა წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობის საგანგებო კომისიები, რომელთაც თავიანთი წარმომადგენლები ყავდათ ადგილებზე (მაგალითად, ყაზახეთში 1921 წ. შეიქმნა ასეთი კომისია), შენდებოდა სკოლები, პირველი ტექნიკუმე-

¹ Колхозы во второй пятилетке, стр. 3.

ბი და უმაღლესი სასწავლებლები. დაძაბული ბრძოლისა და შრომის შედეგად 30-იანი წლებისათვის საბჭოთა აღმოსავლეთის ხალხებმა უკვე მნიშვნელოვან წარმატებებს კულტურული ჩამორჩენილობის დაძლევის საქმეში. მაგალითისათვის შეიძლება დავკმაყოფილდეთ ტაჯიკეთის მონაცემებით.

1932—33 სასწავლო წლისათვის ტაჯიკეთში უკვე იყო 2319 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, რომელშიც სწავლობდა 125.000 კაცი, ამავე სკოლებში მუშაობდა 3795 მასწავლებელი¹.

ტაჯიკეთში პირველსავე ხუთწლეულში ჩაეყარა საფუძველი უმაღლეს განათლებას — შეიქმნა ორი პედაგოგიური ინსტიტუტი. ამავე პერიოდში იქმნებოდა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ფართო ქსელი ქალაქად და სოფლად.

1930 წ. ჩამოყალიბდა პროლეტარული მწერლების ასოციაცია, რომელიც საკავშირო ასოციაციაში შევიდა.

1929 წ. ტაჯიკეთში იქმნება პირველი დრამატიული თეატრი და კინოსტუდია².

რუსული ლიტერატურის ნაყოფიერი დახმარებითა და გავლენით იქმნებოდა პირველი ნაწარმოებები ეროვნულ ენაზე, ითარგმნება რუსი კლასიკოსების ნაწარმოებები.

1932 წ. ოქტომბერში ტაჯიკეთის დედაქალაქს ეწვია საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბრიგადა. ჩამოსულმა მეცნიერებმა დასახეს ტაჯიკეთში საწარმოო ძალების განვითარების გზები. 1932 წ. ტაჯიკეთის სახალხო კომისართა საბჭოსა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გაერთიანებულ სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ტაჯიკეთის ექსპედიციის ბაზაზე შექმნილიყო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ტაჯიკეთის ბაზა, რომელიც გადაიქცა მეცნიერების განვითარების ცენტრად³.

იმის გამო, რომ საბჭოთა აღმოსავლეთის ხალხებმა, მათ შორის ტაჯიკეთმაც გვერდი აუარეს განვითარების კაპიტალისტურ სტადიას, ინტელიგენცია როგორც ფენა, იქმნებოდა თავიდანვე, როგორც სოციალისტური.


ისევე, როგორც სხვა რესპუბლიკებში, ტაჯიკეთშიც კიდევ უფრო სწრაფი ტემპებით მიმდინარეობდა კულტურული მშენებლობა მეორე ხუთწლეულში საბჭოთა სახელმწიფო განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდა კულტურული მშენებლობის დაფინანსებას ყოფილ განაპირა ჩამორჩენილ ხალხებში. სახალხო განათლების საჭიროებისათვის საბჭოთა სახელმწიფომ ტაჯიკეთისათვის მეორე ხუთწლეულში გაიღო 447,5 მლნ. მანეთი⁴.

¹ История таджикского народа, т. III, 1964, стр. 266—267.

² Там же,

³ Там же, стр. 272.

⁴ Государственный бюджет Союза ССР, во вторую пятилетку, стр. 73.



სახელმწიფო სახსრებით ტაჯიკეთში აგებულ იქნა 241 სკოლა 42460 ადგილით¹.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა შეუხვედნენ რადღებით ზრუნავდნენ საბჭოთა სკოლის განვითარებაზე აღმოსავლეთის ხალხებში. ეს გასაგებიცაა. ფართო მასების შეგნებულობის ზრდაზე ეროვნული ინტელიგენციის ჩამოყალიბებაზე ბევრად იყო დამოკიდებული ამ ხალხების საუკუნეობრივი ჩამორჩენილობიდან თავის დაღწევა.

პედაგოგიური კადრების მომზადებაში დიდ დახმარებას უწევდა ტაჯიკეთს რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკა, უკრაინა, ბელორუსია.

პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ დიდი მუშაობა ტარდებოდა ადგლობრივი ტაჯიკი გოგონების სკოლაში ჩაბმის საქმეში.

ფართოდ იქნა გაშლილი მუშაობა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის დარგში. თუ 1932 წ. ამ საქმეში ჩაბმული იყო 123600 კაცი, აქედან 113700 სოფლად, 1937 წ. შესაბამისად—204200, აქედან სოფლად 191600 საინტერესოა, რომ აქედან 46,6% ქალები იყვნენ. ამ სისტემაში მეორე ხუთწლედში ჩაბმული იყო 798200 კაცი².

მეორე ხუთწლედის ბოლოსათვის სასკოლო განათლების დარგში მიღწეული იქნა უდიდესი წარმატებები.

1937-38 სასწავლო წელს რესპუბლიკაში მუშაობდა 4224 სკოლა, მათ შორის 89 არასრული და 18 საშუალო. ყველა სკოლაში 8144 მასწავლებელი ასწავლიდა 221000-მდე მოსწავლეს. ამავე სასწავლო წლის განმავლობაში ტაჯიკეთის სკოლებში უკვე ჩაბმული იყო 72000 ქალიშვილი³.

სწრაფად ვითარდებოდა უმაღლესი განათლებაც. რესპუბლიკის 4 უმაღლეს სასწავლებელსა და რამდენიმე ათეულ ტექნიკუმში 1937-38 სასწავლო წელს სწავლობდა 4600 სტუდენტი. აქედან 300 პედაგოგიურ ტექნიკუმებსა და პედაგოგიურ ინსტიტუტებში⁴.

ახალი ცხოვრების დამკვიდრებისათვის ბრძოლაში სულ უფრო და უფრო აქტიური ხდებოდა ეროვნული ლიტერატურა. მეორე ხუთწლედში გამოჩნდა ეროვნულ ენებზე ახალი ლექსები, პოემები, პიესები. გაფართოვდა რუსი და სხვა ერების კლასიკოსების თარგმნის საქმე. სახელმწიფოს დიდი დახმარებით სწრაფად ფართოვდებოდა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელი. მეორე ხუთწლედში სახელმწიფო ბიუჯეტით სოციალურ-კულტურულ დონისძიებებზე სახელმწიფომ დაუშვა 627.500 მან.⁵ ეს თანხა ბევრად აღემატებოდა სახალხო მეურნეობის სხვა დარგებისათვის დაშვებულ თანხებს, ეს სა-


¹ М. Иркаев, Ю. Николаев, Я. Шарапов—Очерки истории Советского Таджикистана, стр. 272.

² Культурное строительство в СССР, М.—Л., 1940, стр. 48.

³ Там-же.

⁴ Там-же.

⁵ Государственный бюджет за вторую пятилетку, стр. 72.



ვსებით ზომიერი იყო, რადგან წყდებოდა ფართო მასების საუკუნეობრივი ჩამორჩენილობიდან თავის დაღწევის ამოცანა.

1937 წ. ტაჯიკეთში უკვე არსებობდა დრამატული და მუსიკალური თეატრები. 1937 წ. ტაჯიკეთის დედაქალაქში გაიხსნა რუსული დრამატული თეატრი. სერიოზული ნაბიჯები იქნა გადადგმული მეცნიერების დარგში. მეორე ხუთწლედის ბოლოსათვის სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ტაჯიკეთის ბაზის სისტემაში უკვე შედიოდა 7 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და 10 დარგობრივი სადგური, მათში მუშაობდა 172 მეცნიერი მუშაკი.¹ მათ შორის საკმაო რაოდენობით ტაჯიკებიც იყვნენ. თუ როგორი ძირეული ძვრები მოხდა საბჭოთა აღმოსავლეთის ხალხების ცხოვრებაში კულტურის დარგში შეიძლება მასალების მოტანა სამამულო ომის შემდგომი პერიოდიდანაც, მაგრამ, რადგან ჩვენს მიზანს მხოლოდ გარდამავალი პერიოდი შეადგენდა, მოცემულ სურათითაც შეიძლება დავკმაყოფილდეთ.

სკკ პარტიის, მთავრობისა და მოძმე ერების მრავალმხრივი დახმარების საფუძველზე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყოფილმა განაპირა ჩამორჩენილმა ხალხებმა (ტაჯიკეთის მაგალითზე) მოკლე დროში მოახერხეს არამარტო მძიმე სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობიდან თავის დაღწევა, არამედ ამაღლდნენ მოწინავე ერების დონემდე მრავალეროვან საბჭოთა ოჯახში.

ინდუსტრიალიზაციის, კოლექტივიზაციის და კულტურული რევოლუციის განხორციელების შედეგად ეკონომიკასა და კულტურის დარგში გაიმარჯვა სოციალიზმმა.

პირველად კაცობრიობის ისტორიაში განხორციელდა გადასვლა ფეოდალური და ფეოდალიზმამდელი ურთიერთობიდან სოციალიზმზე, კაპიტალიზმის გაუვლელად.


ჩვენს ქვეყნის ჩამორჩენილი განაპირა ეროვნული რაიონების ხალხები წავიდნენ სოციალიზმისაკენ არაკაპიტალისტური განვითარების გზით, ამ განვითარებას ჰქონდა ის თავისებურება, რომ პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების წყალობით იმ ქვეყანაში, სადაც ეს ხალხები ცხოვრობდნენ, ეს განვითარება მიმდინარეობდა, როგორც სოციალისტური.

კონკრეტულ პირობებში საბჭოთა კავშირში, სადაც სოციალიზმის მშენებლობა ხორციელდებოდა მთელი ქვეყნის მასშტაბით, ჩამორჩენილი საბჭოთა აღმოსავლეთის ხალხების ეკონომიკის არაკაპიტალისტური და სოციალისტური განვითარება შეერთდა ერთ ნაკადში.

მიუხედავად ამისა, ყველა ამ ხალხებში ნათლად ჩანს გარკვეული დროის პერიოდი, როდესაც სოციალისტურ გარდაქმნებს ჰპარობდნენ ანტიფეოდალური, ანტიკაპიტალისტური გარდაქმნები, რომლებიც ამზადებდნენ ნიადაგს სოციალიზმზე გადასვლისათვის.

დროის ეს პერიოდი იყო პერიოდი განვითარების ის შუალედი, გარდამავალი საფეხურებისა ფეოდალიზმიდან და ჰატრიარქალურ-გვაროვნული ურთიერთობიდან სოციალიზმის გაფართოებულ მშენებლობაზე, რომლებიც ერთად

¹ Культурное строительство в СССР, стр. 232—233.




შეადგენენ არაკაპიტალისტური განვითარების ეტაპს. შეიძლება დასკვნის სახით აღინიშნოს, რომ არაკაპიტალისტური განვითარების ეს ეტაპი დაახლოებით მთავრდა 1929-30 წლებში, როდესაც ეროვნულ განაპირა მხარეებში საბოლოოდ მოიხსო ფეოდალიზმი და პატრიარქალურ-გვაროვნული ურთიერთობის ნაშთები, შეიქმნა თანამედროვე მრეწველობის საფუძველი, ჩამოყალიბდა მუშათა კლასი, დამთავრდა საერთო დემოკრატიულ-აგარარული გარდაქმნები.

იმის გამო, რომ საერთო დემოკრატიულ გარდაქმნებს ამ ხალხებში ახორციელებდა პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო, ამ გარდაქმნებს თავიდანვე ახსიათებდა სოციალისტური ტენდენცია.

ამავე დროს ნათლად ჩანს ისიც, რომ ეროვნული განაპირა მხარეების ხალხები, შეუდგნენ რა სოციალიზმის მშენებლობას კაპიტალიზმის გაუფლელად, ამ მშენებლობის დასაწყისში იყო ბევრი რამ სპეციფიკური, რომლითაც დროის ეს მონაკვეთი გამოიყოფა, როგორც განვითარების არაკაპიტალისტური ეტაპი.

ჩვენ შევეცადეთ შესაძლებლობის ფარგლებში გამოგვეყო ზოგადი, სპეციფიკური, რითაც ხასიათდებოდა განვითარების არაკაპიტალისტური ეტაპი საბჭოთა აღმოსავლეთის ხალხებში.





ფილოს. მეცნ. კანდ. ა. კალანდია

**ფეიერბახის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის
განვითარების საკითხისათვის**

ფეიერბახის ფილოსოფიური განვითარება წარმოადგენს ჰეგელიანელის—
იდეალისტის გადაქცევას ჰეგელის პრინციპულ მოწინააღმდეგედ — მატერია-
ლისტად. თავიდანვე კი ფეიერბახს თითქოს ბედმა თეოლოგობა უწინასწარმე-
ტყველა. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, 1823 წელს, მშობლების სურვილს
დაჰყვა და სწავლა დაიწყო ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის თეოლოგიის ფა-
კულტეტზე. მაგრამ მალე გამოირკვა რომ ფეიერბახი თეოლოგიისათვის არ
იყო მოწოდებული. ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტ-
ზე, სადაც ლექციებს თეოლოგიასა და ღვთისმეტყველებაში კითხულობდნენ
იმ დროისათვის საკმაოდ ცნობილი პროფესორები დაუბე და ჰაულუსი, მან
მხოლოდ ერთი წელიწადი დაჰყო. 1824 წელს გადადის ბერლინის უნივერსი-
ტეტში, სადაც ფილოსოფიას ჰეგელი კითხულობდა. ამ ნაბიჯს ფეიერბახი
თავისი ცხოვრების ახალ ერას უწოდებდა. ის მოხიბლული იყო თავისი მას-
წავლებლის ერუდიციით, მისი რკინისებრი ლოგიკით, ლექციებით, კმა-
ყოფილი იყო, რომ თეოლოგია ფილოსოფიაზე გაცვალა. მამისადმი მიწე-
რილ წერილში 1825 წელს ფეიერბახი წერს, რომ ის ღვთისმეტყველთა საზო-
გადოებას გაექცა და დაუმეგობრდა ისეთი გონების ადამიანებს, როგორიც
არიან არისტოტელე, სპინოზა, კანტი და ჰეგელი. განსაკუთრებით ის ჰეგელით
იყო გატაცებული, იმდენად მოხიბლული, რომ ვერ ამჩნევდა ორგანულ კავ-
შირს თეოლოგიასა და ჰეგელის ფილოსოფიას შორის. ფეიერბახი მხოლოდ
გვიან მიხვდა, რომ „ის, ვინც უარს არ ამბობს ჰეგელის ფილოსოფიაზე, ის
უარს არ ამბობს არც თეოლოგიაზე“¹, ვინაიდან ჰეგელის მოძღვრება იმის
შესახებ, რომ ბუნებას, რეალობას ადგენს იდეა, მხოლოდ რაციონალური
გამოხატულებაა თეოლოგიის მოძღვრებისა იმის შესახებ, რომ ბუნება შექმნი-
ლია ღმერთის მიერ, რომ მატერიალური არსება შექმნილია არამატერიალური
არსების, ე. ი. აბსტრაქტული არსების მიერ².

¹ Л. Фейербах—Избр. филос. произв., т. 1, стр. 128.

² იქვე.

მიუხედავად მთელი თავისი გატაცებისა ჰეგელის ფილოსოფიით, ფეიერბახი, როგორც ენგელსი აღნიშნავს, არასოდეს არ ყოფილა მართლმადიდებელი ჰეგელიანელი. მას ნაკლებად უნდა ესაყვედუროს რომ თავდაპირველად სდევნილი იყო, კერძოდ ჰეგელის იდეალიზმის, პოზიციებზე იდგა. გერმანიაში ჰეგელის იდეალიზმის ბატონობის პერიოდში უბრალოდ გამორიცხული იყო მისი გავლენისაგან თავის დაღწევა. როგორც ცნობილია, ასეთი გავლენა თავის დროზე მარქსმა და ენგელსმაც განიცადეს და სწორედ ფეიერბახი იყო ის მოაზროვნე, („ქრისტიანობის არსება“), რომელმაც დააჩქარა მარქსისა და ენგელსის კავშირის გაწყვეტა ჰეგელის იდეალიზმთან და მატერიალიზმის პოზიციებზე გადასვლა.

ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში, როცა ჰეგელის ლექციებს ისმენდა, ფეიერბახს ეჭვი დაებადა ფილოსოფიის ძირითადი საკითხის ჰეგელისეული გადაწყვეტის სისწორეში. მას მიაჩნდა, რომ ჰეგელის მიერ აზროვნებიდან ყოფიერებაზე, ლოგიკიდან ბუნებაზე გადასვლა არ არის დასაბუთებული მთელი თავისი აუცილებლობით. „ბუნება რომ არ არსებულებოდა — წერს ფეიერბახი ფრაგმენტში „ექვეები“ — მას ვერასოდეს თავისი თავიდან ვერ წარმოვობდა ლოგიკა, ეს უბიწო ქალწული“¹.


ფეიერბახის აზრი სავსებით ნათელია: აზროვნება ყოფიერებას, ლოგიკა ბუნებას ვერ განსაზღვრავს; ბუნება, ყოფიერება არსებობს აზროვნებისა და ლოგიკისაგან სავსებით დამოუკიდებლად.

ამავე პერიოდში (1827—1828 წწ.) მას არ აკმაყოფილებს არა მარტო აზროვნებისა და ყოფიერების, ლოგიკისა და ბუნების ურთიერთობის ჰეგელისეული გადაწყვეტა, არამედ ფილოსოფიისა და რელიგიის დამოკიდებულების ჰეგელისეული გაგებაც. ჰეგელის მიხედვით ფილოსოფია ჰარმონიაშია რელიგიასთან, კერძოდ ქრისტიანული რელიგიის მოძღვრებასთან და ეს უკანასკნელი განიხილება როგორც მხოლოდ სულის (дух) საფეხური, „ხომ არ აჯობებდა, — კითხულობს ის — რომ რელიგია უფრო ფართო აზრით გაგვეგო“... „არსებული რელიგიები შეიცავენ უსასრულოდ ბევრ საზიზღრობებს და ჭეშმარიტებასთან შეუთავსებელ დებულებებს“².

ფეიერბახის ფილოსოფიური განვითარების დახასიათების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს ერთ-ერთ უსათაურო ფრაგმენტს, რომელიც მხოლოდ ერთი აბზაცისაგან შედგება. ამ ფრაგმენტში დასმულია საკითხი საერთოდ ჰეგელის ფილოსოფიის შეფასების შესახებ, ჰეგელის ფილოსოფიის თანამედროვეობისა და მომავლისადმი დამოკიდებულების შესახებ. „როგორია ჰეგელის ფილოსოფიის დამოკიდებულება თანამედროვეობისა და მომავლისადმი? როგორც აზრთა სამყარო, ხომ არ არის ის წარსულის სამყარო? ხომ არ დაიყვანება ის კაცობრიობის მოგონებაზე იმის შესახებ, რაც იყო, მაგრამ უკვე აღარ

¹ Л. Фейербах—Избр. филос. произв., т. 1, стр. 243.

² იქვე, 83. 244.



არის“? ფეიერბახი ეჭვს გამოთქვამს აწმყოსა და მომავლის თვალსაზრისით ჰეგელის ფილოსოფიის ჭეშმარიტებაზე, კითხვას სვამს, მაგრამ გარკვეულ სუხს არ იძლევა. მართალია, თვით საკითხის ასე დაყენებაში ჰეგელის ფილოსოფიის ჭეშმარიტების უარყოფა იგულისხმება, მაგრამ გარკვევით, საბოლოოდ ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. ამ პერიოდში ის ჰეგელის ფილოსოფიის გავლენის ქვეშ იმყოფება, ჰეგელიანელია. მოკლედ რომ ვთქვათ, ეჭვი ეჭვად რჩება. ხოლო ფეიერბახი ჰეგელიანელია.

ამას ადასტურებს ისიც, რომ მისი შემდგომი ნაწერი—პირველი ფილოსოფიური თხზულება—„ერთიანი, უნივერსალური და საყოველთაო გონების შესახებ“, რომლისთვისაც მას ერლანგენის უნივერსიტეტში ფილოსოფიის დოქტორის წოდება მიენიჭა, ჰეგელის იდეალიზმის ყაიდაზეა დაწერილი.

ამ შრომაში ფეიერბახი განიხილავს ზოგადისა და ცალკეულის, ერთეულისა და საყოველთაოს, კონკრეტულისა და აბსტრაქტულის ურთიერთდამოკიდებულებას ცალკეული საგნებისა და გონების (აზროვნების) მაგალითზე და თავისთავთან წინააღმდეგობაში ვარდება. ერთი მხრივ, ფეიერბახი კონკრეტული საგნებისა და მოვლენების მაგალითზე აჩვენებს, რომ ნამდვილად არსებობენ მხოლოდ ცალკეული საგნები და არა ზოგადი ცნებები და დგება ნომინალიზმის (და ამდენად მატერიალიზმის) პოზიციებზე, ხოლო, მეორე მხრივ, გონებას განიხილავს ერთსა და იმავე დროს, როგორც კონკრეტულად არსებულსა და საყოველთაოდ არსებულს, სუბსტანციას. აქ კი გამოდის როგორც რეალისტი, ჰეგელის ფილოსოფიური კონცეფციის დამცველი.

რეალურად არსებობენ ცალკეული საგნები და არა საგანი საერთოდ. საგანი საერთოდ აბსტრაქციაა. საგანი საერთოდ არის მხოლოდ იდეა. მხოლოდ აზრი, იგივე არ ითქმის გონების შესახებ. ადამიანს არა აქვს თავისი განსაკუთრებული გონება ისევე, როგორც მას აქვს, მაგალითად, თავისი განსაკუთრებული ცხვირი. ცხვირი საერთოდ უბრალო აბსტრაქციაა, მაგრამ გონება საერთოდ არ არის ცარიელი აბსტრაქცია. რამდენადაც მე ვაზროვნებ, მსჯელობს ფეიერბახი, ამდენად მე ვარ მოაზროვნე სუბიექტი, ჩემში ნამდვილად არის სახეზე საყოველთაო, უშუალოდ გონება როგორც გონება, ე. ი. კონკრეტულიც და ზოგადიც. აქ არსება და არსებობა განუყრელ ერთიანობაშია. მე, როგორც მოაზროვნე არსება, აზროვნების აქტის დროს როგორც ინდივიდუალური, ურთიერთობაში ვარ გონებასთან, როგორც ჩემს არსებობასთან არა ისე, როგორც გრძნობადი ინდივიდუალური ადამიანის გვართან. გრძნობადი ინდივიდუალურიდან გადავდივარ გვარზე—ადამიანზე. აზროვნებიდან, გონებიდან ასეთი გადასვლა არ ხდება: აქ კონკრეტული და აბსტრაქტული თანხვედებიან: „გონება ინდი-

¹ Л. Фейербах, Избр. филос. произв., т. 1, стр. 244.



ვიდუქმში თავის თავში არსებობს“¹ გონებიდან არ შეიძლება საყოველ-
 თაო ცნების—გვარის აბსტრაქცია: ის არის თავისი თავის გვარი, წმინდა ერთიანობა. მისი არსება მისი არსებობაა (бытие) და არსებობა მისი არსებაა. გონება ისე უნდა დახასიათდეს, როგორც პლატონი ახასიათებს სულს: არ შეიძლება განვასხვავოთ სული საერთოდ სულის არსები-
 საგან, სული არის მხოლოდ წმინდა ფორმა.

ბუნებაში არსებობენ მხოლოდ რეალური საგნები. ზოგადი ცნებები ცარი-
 ელი აბსტრაქციებია, ისინი მხოლოდ აზროვნებაში არსებობენ. გონებას კი რეა-
 ლური არსებობა გააჩნია, ის ერთსა და იმავე დროს კონკრეტულიც არის და
 საყოველთაო სუბსტანციაც. ფეიერბახის ეს სუსტი და წინააღმდეგობრივი მხა-
 რე ობიექტურად იმაზე მიუთითებს, რომ აქ მხოლოდ ისახება ფეიერბახის თა-
 ვისი მასწავლებლისაგან დაშორების გზები და ჰეგელისაგან ნამდვილი დაშო-
 რება ჯერ კიდევ არ მომხდარა. მისი განცხადება იმის შესახებ, რომ ის ჯერ კი-
 დევ ბერლინში, ჰეგელთან ფილოსოფიის კურსის მოსმენის პერიოდში გა-
 მოეთხოვა ჰეგელის ფილოსოფიას, არ შეეფერება სინამდვილეს. ერთი სუ-
 ბიექტური რწმენა, ხოლო საქმის ობიექტური ვითარება მეორე. სუბიექტუ-
 რად ფეიერბახი ჯერ კიდევ 1825 წელს იყო დარწმუნებული, რომ თეოლოგია
 გაცვალა ფილოსოფიაზე, რადგან ამ უკანასკნელის გარეშე ხსნა არ არსებობსო!
 მაგრამ მისი დისერტაცია, როგორც ვნახეთ, არც ისე შორსა დგას სპეკულა-
 ტური ფილოსოფიისა და თეოლოგიისაგან. ამის დასადასტურებლად საკმარისი
 იქნებოდა ფილოსოფიის საგნის ფეიერბახისეულ გაგებაზე მითითება, ფილო-
 სოფიის ობიექტი არის აბსოლუტურად საყოველთაო და უპირობოდ აუცი-
 ლებელი. ასეთი რამ კი მხოლოდ იდეა შეიძლება იყოს. იდეა კი არის არა მხო-
 ლოდ სუბსტანცია, არამედ სუბიექტიც. მაშასადამე, ჰეგელის მსგავსად, ფეიერ-
 ბახს იდეა მიაჩნია არა უძრავ არსებად, არამედ აქტიურ მოქმედ საწყისად.
 სპეკულატური ფილოსოფია რომ რაციონალურად გადამუშავებული თეოლო-
 გიაა, ამას ფეიერბახი შედარებით გვიან მიხვდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ფეიერბახის დისერტაცია წინააღმდეგობრივია.
 წინააღმდეგობის ერთ-ერთი მხარე სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ კონკრე-
 ტული, ცალკეული საგნებისა და ზოგადი ცნების დამოკიდებულების საკითხს
 ფეიერბახი ნომინალისტურად (და ამდენად მატერიალისტურად) წყვეტს, რი-
 თაც ავლენს თავის კრიტიკულ დამოკიდებულებას ჰეგელის მოძღვრებისადმი.
 სწორედ ეს იყო მისი მიზეზი, რომ ჰეგელმა პასუხი არ გასცა ფეიერბახს, რო-
 ცა მან თავისი დისერტაცია გაუგზავნა და ერთობ მოწიწებული წერილი მის-
 წერა.

1829—1831/32 წლებში ფეიერბახი ერლანგენის უნივერსიტეტში იკავებს
 პრივატ-დოცენტის თანამდებობას და კითხულობს ლექციებს ლოგიკასა და მე-
 ტაფიზიკაში. სალექციო მოღვაწეობის ეს პერიოდი მისი ფილოსოფიური გან-
 ვითარების უწყვეტი ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლია. ფეიერბახი აქაც რჩება ჰეგე-

¹ Л. Фейербах, Избр. филос. произв., т. 1, стр. 242.



ლიანელ-იდელისტად, მაგრამ აქაც იგრძნობა მასწავლებლისაგან ის დაშორება, რასაც საფუძველი მის სადოქტორო დისერტაციაში ჩაეყარა.

მსგავსად ჰეგელისა, ის ლოგიკას განიხილავს, როგორც შემეცნების თეორიას, როგორც მეტაფიზიკას. „მე ვასწავლი ლოგიკას, როგორც ის გაიგო და დაალაგა ჰეგელმა, მაგრამ მე ვასწავლი ლოგიკას არა ჰეგელის გამოთქმებითა და სიტყვებით, არამედ მხოლოდ მისი სულისკვეთებით, არა როგორც ფილოსოფი, არამედ როგორც ფილოსოფოსი“¹. ჰეგელის ფილოსოფიის განუყრელი ბატონობის პერიოდში თქმა იმისა, რომ ჰეგელის ფილოსოფიას როგორც ფილოსოფოსი ვუდგებო და მისი მხოლოდ სულისკვეთება მაინტერესებსო, უკვე ნაშნავდა კრიტიკულ დამოკიდებულებას ჰეგელის ფილოსოფიისადმი. ფეიერბახი უფრო შორს მიდის და ლოგიკის უფლებებსა და მოქმედების არეს ავიწროებს. „ამავე დროს მე ვასწავლი მას არა როგორც ჰეგელი, არა როგორც აბსოლუტური, უმაღლესი, უკანასკნელი ფილოსოფიის აზრით, არამედ ფილოსოფიის ორგანოს აზრით... შემეცნების ორგანოს აზრით“². ფეიერბახის თვალსაზრისის განსხვავება ჰეგელის თვალსაზრისისაგან აქ სავსებით გამოკვეთილია. ჰეგელის მიხედვით ლოგიკა ისევე აბსოლუტურია, როგორც ფილოსოფია, ამასთან ლოგიკა ფილოსოფიის იგივეობრივია. ფეიერბახის მიხედვით კი ლოგიკა მხოლოდ ნაწილია ფილოსოფიის. ჰეგელის მიხედვით ლოგიკური კატეგორიები თვითმყოფადი, დამოუკიდებელი არსებობის მქონე, ბუნებასა და ისტორიაზე მაღლა მდგომი და მანამდე არსებული განსაზღვრებებია, ფეიერბახის მიხედვით კი ლოგიკა არის მხოლოდ შემეცნების თეორია, რომელიც შემეცნების ისტორიას ემყარება. ლოგიკა არის არა აბსოლუტური, არამედ „აუცილებელი შედეგი წინანდელი ფილოსოფიის ისტორიისა. ამიტომ ლოგიკის ყველაზე უფრო შესაფერისი შესავალი ფილოსოფიის ისტორიის გადმოცემაა“³.

ლოგიკის მეცნიერების ჰეგელისეულ და ფეიერბახისეულ გაგებათა განსხვავება, როგორც ქვემოთ დავინახავთ, შემდგომში თავს იჩენს ფილოსოფიის ისტორიის, ფილოსოფიისა და რელიგიის ურთიერთობის განსხვავებულ გაგებაში. ჰეგელი, როგორც ცნობილია, მიმართავდა რელიგიისა და ფილოსოფიის მხოლოდ ფორმალურ დაპირისპირებას, მიაჩნდა რა რელიგია ჭეშმარიტების ასახვად სიმბოლურ წარმოდგენებში, ხოლო ფილოსოფია ჭეშმარიტების უფრო ადეკვატურ, ლოგიკურ გამოხატულებად. ფეიერბახი არსებითად უპირისპირებს ერთმანეთს რელიგიასა და ფილოსოფიას და რელიგიის საფუძვლიანი გადალახვის გზით მატერიალიზმამდე მიდის. მისი შრომები ფილოსოფიის ისტორიაში (დეკარტზე, ბეკონზე, სპინოზაზე, ლაიბნიცზე, ბეილიზე და სხვ.) საყურადღებოა იმ მხრივ, რომ ის ფილოსოფიის ისტორიას განიხილავს როგორც ადამიანის გონების თეოლოგიასა და რელიგიის ბატონობისაგან განთავისუფლების ისტორიას. ამასთან, ფეიერბახი ძირითად ყურადღებას მატერიალიზმს აქცევს და ფილოსოფიის ისტორიას საბოლოო ანგარიშში მატერია-

¹ Л. Фейербах, Избр филос. произв., т. 1, стр. 246.

² იქვე.

³ იქვე.

ლოზმის პოზიციებიდან აშუქებს. მაგრამ ეს მისი ფილოსოფიური განხილვის უფრო ვიანდელ პერიოდს განეკუთვნება და მსჯელობაც შემდგომ გვექნება.

ერლანგენის უნივერსიტეტში მოღვაწეობის პერიოდში მიუხედავად გიგის გაგების საკითხებში თვალსაზრისების სხვაობისა, ჰეგელის ფიერბახის ფილოსოფიურ კრედიტზე სავესებით აშკარაა. ფეიერბახი ჰეგელის ფილოსოფიას განიხილავს როგორც ობიექტურ-იდეალისტურ სისტემას, რომელიც არსებითად დიალექტიკურ ხასიათს ატარებს. თუ მომწიფებული ფეიერბახი უარყოფს ჰეგელის დიალექტიკას. ერლანგენის ლექციებში კი, პირიქით. ის დიალექტიკას არა მარტო ჰეგელში, არმედ სხვაგანაც ეძებს. ჰეგელის მსგავსად ფეიერბახი აჩვენებს სპინოზას დებულებას: „ყოველი განსაზღვრება უარყოფა“ დიალექტიკურ ბუნებას: საგნის განსაზღვრებისას ჩვენ მას მივწერთ რაიმე თვისებას და ამით უკვე ვამტკიცებთ, რომ მას აქვს საზღვარი, თავისი სხვა, რომელშიც უარიყოფა მისი არსებობა. სწორედ ამიტომ ვამბობთ, რომ განსაზღვრება უარყოფაა.


მაგრამ საზღვარი არა მარტო უარყოფაა, ის ამავე დროს დადგენაცაა, საზღვარი თავისთავთან ტოლობაა, როგორც ი. კანტი იტყოდა, ყოველი საზღვარი რაღაც დადებითია, ყოველგვარი არსებობის პირობაცაა. თევზის წყალში არსებობა განსაზღვრული არსებობაა. ამ (წყლის) საზღვარს იქით მას არსებობა არ შეუძლია. წყალი თევზის გადაულახავი საზღვარია, ამ საზღვრის მოსპობასთან მისი არსებობაც ისპობა „მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ამ საზღვრის უარყოფა მისი არსებობის უარყოფაა, სწორედ ეს საზღვარია მისი არსებობა. სწორედ ეს საზღვარი შეადგენს მის ცხოვრებას თავის თავში (жизнь в себе), მის თავის თავში არსებობას (внутрисебя бытие)“¹

ერლანგენის უნივერსიტეტში მოღვაწეობის პერიოდში ჰეგელის დიალექტიკის ყაიდაზე აგრეთვე გადაწყვეტილი სასრულოსა და უსასრულოს დამოკიდებულებაც. განსაზღვრება საგნის საზღვარია, მისი უარყოფაცაა და დადგენაც ერთსა და იმავე დროს. თავისთავად შეიძლება ყველა საგანი გაქრეს და გადაილახოს ზღვარი (предел), რომელიც საგნის არსებაა, ბუნებაა, მისი მე და თვითობაა. ამიტომ როცა საგანი—„რაღაც“—ისპობა, ისპობა უარიყოფა ზღვარი და სასრულობა სასრულო საგნის—„რაღაცის“—მიერ. „ზღვარი, სასრულო ამრიგად უარიყოფა, იხსნება (снимается); უკვე ამიტომ ყოველი „რაღაც“ უსასრულოა. უსასრულო უნდა იქნეს გაგებული როგორც განსაზღვრული, ხოლო განსაზღვრული, პირიქით, უნდა გავიგოთ უსასრულოში. რამდენადაც უსასრულო არსებითად სახეზე არსებულია (налично существующее), ხოლო სახეზე არსებული არსებითად განსაზღვრულია, განსაზღვრულია განსხვავებაში, ამიტომ შეიძლება ყველა ლოგიკური განსაზღვრება გაგებული იქნეს როგორც თვითონ უსასრულოს განსაზღვრებანი“².

¹ Л. Фейербах, История философии, т. 1, М., 1967, стр. 53.

იქვე, გვ. 53—54.

„ერლანგენის ლექციებში“ ჰეგელის ყაიდაზეა აგრეთვე განხილული სი-
ცოცხლისა და სიკვდილის ურთიერთობის საკითხი დროის პრობლემასთან და-
კავშირებით.



სტოელების მოძღვრების მიხედვით ადამიანი ყოველდღიურად კვდება, რადგან ყოველდღიურად უფრო უახლოვდება სიკვდილს. აქ სიკვდილი გაგუ-
ბულია როგორც ადამიანის გარეთ არსებული მიზანი, რომელსაც ადამიანი
უახლოვდება. გამოდის, რომ თითქოს სიკვდილი დამოუკიდებელია სიცოცხლი-
საგან. ფეიერბახის აზრით უნდა დავუშვათ შინაგანი, იმანენტური, თვითონ სი-
ცოცხლეში მოცემული, ნამდვილად სახეზე არსებული სიკვდილი. სიკვდილთან
მიახლოება უნდა განვიხილოთ როგორც უკვე სახეზე არსებულის დაგვირგვი-
ნება. სიკვდილი სიცოცხლის მიმართ შინაგანია, თანშერწყმულია და დროთა
მსვლელობაში ვლინდება, გრძნობადი სიკვდილი სიცოცხლეში არსებული მი-
ძინებული სიკვდილის გაღვიძებაა „ისევე, როგორც ჩანასახი განუყრელია დე-
დის სიცოცხლისაგან, ასევე თვლემს სიცოცხლეში სიკვდილი. სიკვდილი ისევე
გამოდის, აღმოცენდება სიცოცხლისაგან, როგორც ყვავილი კოკორისაგან“¹.

დრო ფეიერბახის მიხედვით ყოფიერებისა და არარაობის (бытие и не-
бытие) ერთიანობის გამოვლენის ფორმაა. გამოთქმა „ახლა“ არსებულს ნიშ-
ნავს. „ახლა“ ნიშნავს „არის“. ჩვენი ცხოვრება „არის“, ე. ი. არის ახლანდელი,
ე. ი. წამიერი. მე ვარ ახლა მაგრამ შემდეგ შეიძლება არც ვიყო. რადგან მე ვარ
ერთეული, გარკვეული არსება, ამიტომ ჩემი არსებობა ყოველთვის განისაზღვ-
რება დროით. „ახლა“, ამიტომ არის ჩემი არსებობის სრული გამოხატულება.
ანუ ჩემი გარკვეული არსებობის გარკვეული გამოხატულება. მხოლოდ იმის მეო-
ხებით, რომ მე ვარ ახლა, მე დარწმუნებული ვარ რომ მე ვარ, ვინაიდან რო-
გორც ერთეული მე ვარსებობ სანამ მე ვარ „ახლა“, „მე ვგრძნობ იმის მეოხე-
ბით, რომ მე ვგრძნობ „ახლა“. თუ არის „ახლა“, არ არის არც გრძნობა“².

მაგრამ გრძნობა წამიერია. ამას საუკეთესოდ ადასტურებს ტკიბობის, სია-
მოვნების გრძნობა. სწორედ ამიტომ წამიერია, წარმავლობა შეადგენს გრძნო-
ბის არსებას, მაგრამ გრძნობა განუყრელია ჩემი არსებობისაგან. ერთი და იგი-
ვეა: „მე ვგრძნობ“ და „მე ვარ“. სწორედ ამიტომ დროც განუყრელია ჩემგან:
დრო, წამიერება გამოხატავს ჩემს არსებობას, თვითობას. დრო—ახლა ამავე
დროს ჰყოფდა, თავისი თავის გრძნობებში დადგენაა; მე ვგრძნობ თავის თავს
ახლა. ამრიგად, დრო საკუთარი ყოფიერების ყველაზე დადებითი, ყველაზე
უტყუარი დადგენაა. მეორე მხრივ „ახლა“ წამიერია, ხოლო წამიერება სას-
რულაა. არარაობაა, უარყოფაა. „ახლა“—ში ყოფნა და არყოფნა განუყრელია ერ-
თმანეთისაგან, „ყოფნა და არყოფნა (არსებობა და არარსებობა) განუყრელია ერ-
თმანეთისაგან, ის, არის იმისათვის, რომ არ იყოს, წამიერება არსებობს როგორც
მხოლოდ გარდამავალი, მაშინ როცა ის არის, ის უკვე აღარ არის... წამიერებას
არ აქვს საშუალო არსებობასა და არარსებობას შორის, წინააღმდეგ შემთხვე-
ვაში ის წამიერება არ იქნებოდა; წამიერება სწორედ ის არის, რაშიც არსებობა
და არარსებობა ერთი და იგივეა“³.

¹ Л. Фейербах, История философии, т. 1, М., 1967, стр. 60.

² იქვე.

³ იქვე, გვ. 62.

მაგრამ ფეიერბახის მოღვაწეობის ერლანგენის პერიოდი არ ამოიწურება ჰეგელის გავლენით. თქმა იძისა, რომ ფეიერბახი ამ პერიოდში ჰეგელის იყო არ კმარა. ამ პერიოდში ფეიერბახთან ვხვდებით არა მარტო ჰეგელის მსგავს, არამედ ახალ, განსხვავებულ აზრებსაც. როგორც ითქვა „ფეიერბახი არასოდეს არ ყოფილა მართლმორწმუნე ჰეგელიანელი“ (ფ. ენგელსი) ამაზე მიუთითებს თვითონ ფეიერბახი, როცა ამბობს, რომ „ჩემთვის ნათელი გახდა რა ჰეგელის ფილოსოფიის არსების განსხვავება ფორმისაგან, გადავადდე ფორმა და შემოვინახე არსება... და რამდენადაც ვიდექი საერთოდ სპეკულატიური ფილოსოფიის თვალსაზრისზე ჰეგელიდან გამოვდიოდი იმდენად, რამდენადაც მისი ფილოსოფია წარმოადგენდა სპეკულატიური ფილოსოფიის უკანასკნელ ყოვლისმომცველ გამოხატულებას“¹.

ჯერ კიდევ მაშინ, თვითონ ფეიერბახისვე მოწმობით, მისთვის ჰეგელის ფილოსოფია არ წარმოადგენდა „აბსოლუტური იდეის სინამდვილეს“, საერთოდ „ფილოსოფიის იდეის“ სინამდვილეს და დამოკიდებული იყო ჰეგელისაგან არა როგორც „ფილოსოფიის იდეოვასა ან ალაჰისაგან, არამედ როგორც თანამედროვე ფილოსოფიის ზეესისაგან, რომელიც... იძლევა თავისუფლებას „რათა ვისულდგმულო ისეთი ფილოსოფოსებით, როგორიცაა სპინოზა, დეკარტი, მალბრანში, ფიხტე, აგრეთვე კანტი და თვით ბეკონიც კი“². მართლაც და ფეიერბახმა კრიტიკულად განიხილა ახალი დროის ფილოსოფიურ მოძღვრებათა დიდი ნაწილი და ფილოსოფიის პროგრესი, მართალია, ობიექტური იდეალიზმის პოზიციებიდან, მაგრამ ამ ფარგლებში მინც ახლებურად, თავისებურად გააშუქა. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ფეიერბახი ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში ყალიბდებოდა მოაზროვნედ, რომელიც ვერ ჩაეტეოდა ჰეგელის იდეალისტური ფილოსოფიის ჩარჩოებში. ისევე როგორც ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტში ჩაისახა მომავალი ფილოსოფოსი³, ასევე ბერლინის უნივერსიტეტის ჰეგელიანელ ფილოსოფოსში ჩასახული იყო თავისი დიდი მასწავლებლისაგან დამოუკიდებლობის გზები. როგორც აღინიშნა ჰეგელმა უარი თქვა ფეიერბახის სადოქტორო დისერტაციის (რომელიც ჰეგელისადმი იყო მიძღვნილი) ოპონენტობაზე და არ უპასუხა ფეიერბახის წერილს. მას საამისო მიზეზიც ჰქონდა. წერილსა და დისერტაციაში გატარებული აზრები არ ეთანხმებოდნენ ჰეგელის აზრებს, მიუხედავად იმისა, რომ დისერტაცია „საერთოდ და მთლიანად სპეკულატიური სულით სუნთქავს“⁴.


ჰეგელისადმი მიწერილ წერილში ფეიერბახი შორდება თავის მასწავლებელს რელიგიის გაგების საკითხში. წერილში უკვე ჩანს ფეიერბახის მომავალი ათეისტური შეხედულებების ჩანასახები. ფილოსოფიამ უნდა იბრძოლოს ქრის-

¹ Л. Фейербах, История философии, т. 3, стр. 375.

² იქვე.

³ ფეიერბახის მასწავლებელმა ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში პროფ. კ. დაუმმა ფხიზლად შეაფასა რა ფეიერბახის კრიტიკული და მიძიებული გონება, იწინასწარმეტყველა, რომ ფეიერბახი დიდხანს ვერ შერჩება თეოლოგიას და ფილოსოფიის შესწავლას დაეწაფებაო.

⁴ Л. Фейербах, История философии, т. 3, стр. 394.



ტიანული რელიგიის წინააღმდეგ, ვინაიდან მას მთელი რიგი საკითხებისა დამახინჯებლად აქვს წარმოდგენილი. ქრისტიანობა ამცირებს ბუნებას, შეცდომით წარმოადგენს ღმერთს როგორც პიროვნებას. ჰეგელის მოძღვრება სწორი, ვინაიდან მას ქრისტიანობა მიაჩნია ყოვლისმომცველ სისტემად, აბსოლუტურ რელიგიად, მაშინ როდესაც „ქრისტიანობა არ არის სრულყოფილი და აბსოლუტური რელიგია, რაც შეიძლება იყოს იდეის სინამდვილისა და ნამდვილი გონების სამეფო“. ამ რელიგიის მიხედვით „ბუნება მოკლებულია სულსა და აზრს და ღმერთს წარმოგვიდგენს მხოლოდ როგორც პიროვნებას“ ამიტომაც, რომ „გონება ქრისტიანობაში სრულებითაც არ არის ამოწურული“¹.

ზემოთქმულის შემდეგ სახსრებით კანონზომიერ მოვლენად წარმოგვიდგება ფეიერბახის შემდგომი თხზულება, „აზრები სიკვდილსა და უკვდავებაზე“, რაც, უსათუოდ, წინააღმდეგობა ნაბიჯია ფეიერბახის მსოფლმხედველობის მატერიალიზმის მიმართულებით განვითარებაში. სახსრებით სწორი იყო ფეიერბახი, როცა ის თავისი ფილოსოფიური განვითარების შესახებ თხზულებათა კრებულის პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში 1846 წელს წერდა, რომ მისი თხზულებანი შეიცავენ, მისი „ახლანდელი თვალსაზრისის ჩამოყალიბებისა და განვითარების და, მათსადამე, გამართლების ისტორიას“².

„აზრები სიკვდილსა და უკვდავებაზე“, როგორც აღვნიშნეთ, ფეიერბახის ფილოსოფიური განვითარების შემდგომ საფეხურს წარმოადგენს.

წიგნი ანონიმურად გამოიცა 1830 წელს, მაგრამ ავტორის ვინაობა მალე გახდა ცნობილი. ბევრი უსიამოვნების შემდეგ ფეიერბახი იძულებული გახდა 1832 წლის გაზაფხულისათვის თავი დაენებებინა ერლანგენის უნივერსიტეტში მოღვაწეობისათვის. ამ თხზულებით ფეიერბახმა დაჰკარგა არა მარტო პრიატ დოცენტის თანამდებობა ერლანგენის უნივერსიტეტში, არამედ ყოველგვარი მომავალი აკადემიური მოღვაწეობის შესაძლებლობა. ცნობილია, რომ ყველა მისი ცდა დაბრუნებოდა აკადემიურ (საუნივერსიტეტო) მოღვაწეობას, მარცხით დამთავრდა.

„აზრები სიკვდილსა და უკვდავებაზე“-ს ავტორი ოფიციალური იდეოლოგიის მსახურად ვერ გამოდგებოდა, ვინაიდან ამ ნაწარმოების ძირითადი შინაარსი ეწინააღმდეგებოდა ორთოდოქსალური ქრისტიანობის დოგმებს. ეს უკანასკნელი, როგორც ცნობილია, პიროვნული უკვდავების თვალსაზრისს იცავს. ფეიერბახი კი სწორედ ამის წინააღმდეგ ილაშქრებდა: ცალკეული ადამიანის სიცოცხლე დროებითი და წარმავალია. ადამიანი, ინდივიდუალური მოკვდავია. არავითარი საიქიო ცხოვრება არ არსებობს. ინდივიდუალური სულის უკვდავება ე. წ. საიქიო—სხვა სამყარო ქიმერაა, ყალბი გამოწვევა. სწორედ ამიტომ, „მთავარი საკითხი მდგომარეობს იმაში... რომ კაცობრიობამ ერთსულოვნად, მთელი გულით მიაქციოს ყურადღება საკუთარ თავს, თავის სამყაროს, თავის აწმყოს“, რადგან მხოლოდ მას შეუძლია მოგვცეს ახალი ცხოვრება, დიდა

¹ Л. Фейербах, История философии, т. 3, стр. 397.
² Л. Фейербах, История философии, т. 1, стр. 43.



ადამიანები, დიადი იდეები და საქმეები“¹. ქრისტიანული მოძრაობის განვითარებაში ცხოვრების შესახებ ეწინააღმდეგება კაცობრიობის ინტერესებს უკვე იმდენად, რომ ის აუფასურებს ადამიანის ამქვეყნიური, რეალური ცხოვრების ღირებულებას, აქვეითებს ადამიანის ბრძოლისუნარიანობას ამქვეყნიური, უკეთესი ცხოვრების შექმნისათვის.

შეუდარებლად უფრო ღირებულია გვყავდეს სულიერად და ფიზიკურად ჯანმრთელი ადამიანები, ვიდრე თავი ვიტყუოთ ინდივიდუუმის უკვდავების ქადაგებით. ჯანმრთელობას გაცილებით უფრო მეტი ღირებულება აქვს, ვიდრე უკვდავებას. აი აქ, ამ რეალურ სამყაროში უნდა ნახოს ადამიანი ნამდვილი კეთილდღეობა. „სამყარო ბეჩავია, მხოლოდ ბეჩავი ადამიანისათვის, სამყარო ცარიელია მხოლოდ ცარიელი ადამიანისათვის. გული, ყოველ შემთხვევაში, ჯანმრთელი გული მთლიანად კმაყოფილდება ამქვეყნიური ცხოვრებით“². უკვდავების ცნება არ გამოიყენება ინდივიდუუმის მიმართ. ინდივიდუუმი მოკვდავია. მისი ნამდვილი ცხოვრება ამქვეყნიური ცხოვრებაა და ამ ცხოვრებითაც უნდა დატკბეს. მაგრამ უკვდავების ცნება მთლიანად ყალბი ცნება როდია. მას თავისი გამოყენება და შინაარსი გააჩნია. უკვდავების ქვეშ უნდა გავიგოთ ადამიანის ცხოვრების გაგრძელება ადამიანთა მეხსიერებაში. უკვდავია, მარადიულია, აბსოლუტურია ადამიანის გვარი, გვარობითი შეგნება და აზროვნება, უკვდავია უნივერსალური გონება.

ასეთია მოკლე „სიკვდილისა და უკვდავების შესახებ აზრები“-ს შინაარსი თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით. ქრისტიანული ორთოდოქსალური რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლის პროგრესულ ხასიათს ჩრდილს აყენებს ამ ბრძოლაში ობიექტური იდეალიზმის პოზიციებიდან გამოსვლა. უნივერსალური გონების უკვდავებაზე მითითება სწორედ იმის მაჩვენებელია, რომ ფეიერბახის ბრძოლა რელიგიის წინააღმდეგ, მიუხედავად თავისი პროგრესული ხასიათისა, მოკლებულია ნამდვილად ქმედით ხასიათს. რელიგიისა და იდეალიზმის ორგანული კავშირის პირობებში შეუძლებელია რელიგიის დაძლევა. თავისი პოზიციის გარკვეული სისუსტე და არასრულყოფილი ხასიათი უფრო გვიან თვით ფეიერბახისათვის ნათელი იყო. ამის დადასტურებაა ფეიერბახის სიტყვები (1846 წ.) იმის შესახებ, რომ სიკვდილისა და უკვდავების შესახებ ჩემი აზრები აბსტრაქტული მოაზროვნის აზრები იყო³.

თავისი შინაარსისა და დანიშნულების მიხედვით „სიკვდილისა და უკვდავების შესახებ აზრების“ პირდაპირ გაგრძელებას წარმოადგენს ფეიერბახის მიერ არსებითად ამავე საკითხზე დაწერილი შრომა „აბელიარი და ელიოზა, ანუ მწერალი და ადამიანი“ (1834 წ.).

საკითხის დაყენება და გადაწყვეტა აქაც „სიკვდილისა და უკვდავების შესახებ აზრების“ ანალოგიურია. ესაა ფეიერბახის პირველი შრომა მას შემდეგ, რაც იძულებული გახდა პედაგოგიური მოღვაწეობისათვის თავი დაენებებინა.

¹ Л. Фейербах, Избр. философ. произв., т. 1, М., 1955, стр. 246.

² იქვე, გვ: 247.

³ იქვე.



მწერლობა მისთვის ერთადერთი თავშესაფერი და ერთადერთი იარაღი იყო. მწერლობა სინამდვილის წინააღმდეგ ბრძოლაში, სინამდვილისა, რომელიც მის ჩამოაშორა ერის კულტურული ცხოვრების ცენტრებს და მიყრუებულ სოფელში გარყვა.

მწერლობაში—ფიქრობს ფეიერბახი—შესაძლებელია ნამდვილი, ერთადერთი ჭეშმარიტად გაგებული უკვდავების მიღწევა. მაგრამ მწერლობაცაა და მწერლობაც. დიდი მწერალი ის როდია, ვინც ბევრი დაწერა. მწერლობისა და მწერლის ღირებულება და შინაარსი არ გაიზომება დაწერილ გვერდთა რაოდენობით ისევე, როგორც შინაარსი და ღირებულება ცხოვრებისა, სიცოცხლისა არ გაიზომება წელთა რაოდენობით. „ცხოვრება, სიცოცხლე გამოხატული ერთ პატარა აფორიზმში შეიძლება გაცილებით მეტ სულს, აზრსა და გამოცდილებას შეიცავდეს, ვიდრე ცხოვრება გამოხატული პროფესორული, მრავალსიტყვიერი კანცელარიული სტილით. ყველაზე უფრო მშვენიერი, შინაარსიანი ისტორიაში, ისტორიის მოკლე პერიოდები იყო“¹.

მიყრუებულ სოფელში დაწერილი ერთი მოკლე აფორიზმი შეიძლება უფრო მრავლისმეტყველი იყოს, ვიდრე ფილოსოფიის კათედრიდან წარმოთქმული ხანგრძლივი სიტყვა. მწერლობისა და საერთოდ აზრის შინაარსსა და ღირებულებას რაოდენობრივი მაჩვენებელი ვერ განსაზღვრავს.

საერთოდ წიგნებსა და აზრებში გამოიხატება ნამდვილი ცხოვრება და სული (дух). აზრებში, წიგნებში, დამწერლობაში შემოინახება მკვდარი ადამიანი ცოცხალთა მესხიერებაში. მხოლოდ მწერალი და, მათთანავე, დამწერლობა აბამს უწყვეტ ჯაჭვს მეცნიერებისა და ფილოსოფიის განვითარებაში.


ადამიანები ერთმანეთთან დაკავშირებული არიან უწყვეტი სულიერი ცხოვრებით. ყოველი ადამიანი მწერლობასა და აზროვნებაში თავის წინამორბედს ეყრდნობა. სწორედ ამიტომაც ლიტერატურა ერთი მთლიანი, უხარმავარი ნაწარმოები, რომელიც უთვალავ ტომებშია მოცემული. ამიტომ დიდი მწერლები, რომლებსაც ჩვენ ორიგინალობასა და დამოუკიდებლობას მივაწერთ, სინამდვილეში წინამავალი განვითარების აუცილებელ შედეგს წარმოადგენენ და უკვდავების სფეროში თავიანთ ტრიუმფალურ მსვლელობას უნდა უმადლოდნენ წინაპრებს, რომლებმაც გამარჯვება სიკვდილის ფასად მოიპოვეს². დიდადამიანები, ტალანტები მხოლოდ მაშინ გამოჩნდებიან არენაზე, როცა მათი გამოჩენისათვის წინაპირობა მომზადებულია.

ამავე დროს დიდი ადამიანების აზრები წარმოადგენენ საზოგადოების ცხოვრების წყაროს. ფეიერბახს მოჰყავს დიდიდორე სიცილიელის სიტყვები იმის შესახებ, რომ თუ ბუნება ჩვენი ფიზიკური ცხოვრების წყაროა, დამწერლობა ჩვენი კეთილშობილი, სულიერი ცხოვრების წყაროა³. უფრო მეტიც, როგორც აღინიშნა, ის არის არა მარტო წყარო, არამედ ერთადერთი გამოხატე-

¹ Л. Фейербах, , История философии, т. 1, стр. 416.

² იქვე, გვ. 431.

³ იქვე, გვ. 421.



ლი ადამიანის უკვდავებისა. უკვდავება არსებითად ყველა ადამიანური სურვილისა და მისწრაფების მიზანია.

უკვდავებისაკენ ისწრაფვის ადამიანი, როცა ის გვარს აგრობს, აგებს შენობებს, ძეგლებს, მაგრამ ის მხოლოდ მეცნიერებისა და სულის (დუხ) ძეგლებში აღწევს უკვდავებას. ასე, მაგალითად, ჰომეროსის პოემის არც ერთ სიტყვას არ დაუჟარგავს დღემდე თავისი მნიშვნელობა მაშინ, როდესაც ამავე პერიოდის განმავლობაში უთვალავი სასახლე და თვით ქალაქებიც კი გაქრა. მოკლედ რომ ვთქვათ, ადამიანი როგორც ინდივიდი, პიროვნება მოკვდავია, მაგრამ ის თავის წიგნებსა და აზრებში აღწევს უკვდავებას იმიტომ, რომ მას მეხსიერებაში ინახავენ თაობიდან თაობამდე. წიგნს შეიძლება ეწოდოს სასაფლაო, რომელშიც ადამიანის სული ინახება!

ადამიანი ცოცხლობს იმდენს, რამდენსაც ცოცხლობს მისი აზრები. ისეთი ადამიანები, როგორიც იყვნენ ლეიბნიცი, სპინოზა, ვოეთე, ლესინგი, შილერი წარმოადგენენ კაცობრიობის კვინტესენციას, სუვერენულ ძალებს, რომელშიც განხორციელებულია ადამიანური ძალა, მთლიანობა და რეალობა. მათ ცხოვრებაში ცხოვრება გამოხატულია მისი უმაღლესი ფორმით—სულიერი ცხოვრებით. სწორედ ამას გამოხატავდა ლეიბნიცი როცა ამბობდა: „ჩვენ შექმნილი ვართ იმისათვის, რომ ვიაზროვნოთ. არ არის აუცილებელი სიცოცხლე: მაგრამ აუცილებელია აზროვნება“. ან კიდევ სპინოზა: „ჩვენ იმდენად ვართ მომქმედნი, რამდენადაც შევიმეცნებთ“.

აზროვნება, შემეცნება გამოხატავს ადამიანის არსებას და არა გრძნობიერი ცხოვრებით ცხოვრება. სწორედ ამიტომაც წიგნები და აზრები ადამიანის უკვდავების გამოხატულება. შემეცნების ხისაგან უკვდავების ნაყოფს მხოლოდ ის მოსწყვეტს, ვისი აზრებიც თაობიდან თაობას გადაეცემა. დიდი მოაზროვნეები სულიერი თავადები არიან, რომელთა ხსოვნას კაცობრიობა სათუთად ინახავს.


როგორც ითქვა, ბრბო, ჩვეულებრივი, მოკვდავი, გრძნობადი ცხოვრებით ცხოვრობს და სიკვდილთან ერთად ის მთლიანად ქრება. სულ სხვაა მწერალი, ტალანტი, გენიოსი. ის თავისი ნაწარმოებებით უკვდავყოფს თავის თავს.

ხომ არ ნიშნავს ეს რომ ჩვეულებრივი მოკვდავი და ტალანტი, მწერალი და ადამიანი სხვადასხვა არსებანი არიან, არსებითად უპირისპირდებიან ერთმანეთს? არა, არ ნიშნავს. მწერალი იგივე ადამიანის შვილია, იგივე არსების მქონეა, განსაზღვრულია დროისა და სივრცის ფაქტორით, ადამიანთა ვიწრო წრით, მაგრამ თავისი სულიერი მოძღვრებით, შემოქმედების სფეროში ღმერთის ყველგანმსუფვეი და ყოველისშემძლე შვილია?.

სწორედ ამ უკანასკნელ სფეროში შეიმეცნება ადამიანი. ადამიანის შემეცნება ნიშნავს მის შემეცნებას მისსავე თხზულებების საშუალებით და არა მის ყოველდღიურ ცხოვრებაზე დაკვირვებით. დიდი ადამიანების ყოველდღიური ცხოვრება ზოგჯერ იმდენად უცნაური და არაბუნებრივია, რომ მასზე დაკვირ-

1 Л. Фейербах, История философии, т. 1, стр. 421.

2 იქვე, გვ. 498.



ვება ჩვენ არაფერს არ მოგვცემს მისი შესწავლის თვალსაზრისით. მწერალი პიროვნება შეიმეცნება მისი თხზულებების მეშვეობით, თხზულებებისა და ლექსების მიხედვით უკვდავება გამოხატული. ამაში მდგომარეობს ადამიანის უკვდავების ერთადერთი ნამდვილი, ჭეშმარიტი გავება.

როგორც აღნიშნა „მწერალი და ადამიანი“ თავისი შინაარსით „სიკვდილისა და უკვდავების შესახებ აზრების“ პირდაპირი გაგრძელებაა, და, მასთან დამე, იგივე პრობლემას იხილავს. ამ მხრივ ამ ორ თხზულებას შორის არავითარი განსხვავება არ არსებობს. არ განსხვავდებიან ისინი საკითხის პრინციპული გადაწყვეტის მიხედვითაც. ამ ორ თხზულებას შორის განსხვავება გამოხატავს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ევოლუციის პროცესში მყოფი ფეიერბახის ორ ქვესაფეხურს შორის განსხვავებას. „აზრები სიკვდილისა და უკვდავების შესახებ“ დაწერილია აბსტრაქტულად (ფეიერბახის თქმით ფილოსოფიურად, ფილოსოფოსის მიერ) მაშინ, როდესაც „მწერალი და ადამიანი“ აშკარად გამოხატულია წინააღმდეგობა აზროვნებასა და გრძნობად საწყისებს შორის, თავისი არსებით პოლემისტური ნაწარმოებია აფორიზმების ფორმით გადმოცემული.

ქვემოთ დავინახავთ თუ რამდენად იმყოფება ფეიერბახი ამ ორი საწყისის (აზროვნებისა და გრძნობადობის) წინააღმდეგობის ტყვეობაში, წინააღმდეგობისა, რომელიც ბევრი მისი მცდარი აზრის სათავეა. უფრო გვიან „უკვდავების საკითხი ანტროპოლოგიის თვალსაზრისით“ (1846—1866) ფეიერბახი თავს აღწევს ამ წინააღმდეგობას და ღრმა და მომწიფებულ მოსაზრებებს გამოთქვამს.

„მწერალი და ადამიანი“ როგორც ვთქვით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია ფეიერბახის ფილოსოფიურ განვითარებაში. ამის ჩვენებას ემსახურებოდნენ აღნიშნული ნაწარმოების შინაარსის გადმოცემა. მაგრამ სურათი არ იქნებოდა სრული, რომ აღნიშნულ ნაწარმოებზე ამით ამოგვეწურა საუბარი. აქამდე ლაპარაკი იყო მხოლოდ იმის შესახებ, თუ როგორ მიდის ფეიერბახი მატერიალიზმისაკენ. სურათის უფრო სრულყოფილად წარმოდგენისათვის აუცილებელია მივუთითოთ ფეიერბახისათვის ამ პერიოდში დამახასიათებელ იდეალისტურ თვალსაზრისზე და ვაჩვენოთ ის წინააღმდეგობა, რომელიც აღნიშნული ძირითადი საკითხის თანმხლებია და ამავე დროს განაპირობებს მისი თვალსაზრისის ნაკლოვან მხარეთა მთელ რიგს.

პირველ რიგში აღნიშვნის ღირსია ფეიერბახის მიერ მისი პოლიტიკური ცხოვრებისაგან განდგომის თეორიული დასაბუთება. მას მიაჩნია, რომ პოლიტიკური მოღვაწეობა, პოლიტიკური ფუსფუსი, ნაკლებ ღირებული და უღირსია თავისთავადაც და მით უფრო მეცნიერულ მოღვაწეობასთან შედარებით.¹ უნდა ვიფიქროთ, რომ ფეიერბახი აქ ამართლებს თავის იმულებით განმარტობას სოფელში, საზოგადოებისაგან მის მოწყვეტას, რაც პარმონიაში მოდის აზროვნებისა და გრძნობადობის, აზრისეული ცხოვრებისა (რაც ადა-

¹ Л. Фейербах, История философии, т. 1, стр. 429.



მიანის უკვდავებას გამოხატავს) და გრძნობადი ცხოვრების დაპირისპირებასთან. აქვე ფეიერბახს სურს დაამტკიცოს, რომ ყარო ვერ ეგუებინან ერთმანეთს, რომ სულის გენიალური არსება შეუთავსებელია სამყაროსთან. გერმანელებმა, მაგალითად, დროებით აღიარეს რა თავიანთი კლასიკოსები მასწავლებლებად, მალე ისინი პენსიაზე გაუშვეს. კეთილი გერმანელები მიდიან ეკლესიაში, რათა დიდ გონებათა ქადაგებანი მოისმინონ. მაგრამ უმრავლესობა ამ დროს სხვა საქმეზე ფიქრობს. და თუ ქადაგებას ისმენენ და ამ დროს თავიანთ დასტურს გამოთქვამენ, სანაგიეროდ დარჩენილ დღეს უხვად აჯილდოებენ თავიანთ თავს ჩადენილი გმირობისათვის.¹ აქ საინტერესოა ისიც, რომ სულის, აზროვნების როლში აქ გამოდის არა ხელოვნებისა და მეცნიერების უკვდავი ნაწარმოები, არამედ ეკლესიის მამების დოგმატები. ფეიერბახისათვის ამ შემთხვევაში სული, აზროვნება ხელოვნებისა და მეცნიერების უკვდავ ქმნილებებში გამოხატული და ეკლესიის მამების დოგმატები ერთსა და იმავეს ნიშნავს. მან არც მათი განსხვავება იცის და არც მათი წარმოშობის გზა და კვალი.² ის ჯერ კიდევ არაა ამაღლებული რელიგიის კრიტიკანდე: ღმერთის ნაკლად არ ჩაითვლება ის,—შენიშნავს ფეიერბახი—რომ მას არა აქვს გრძნობადობის ატრიბუტი³.

სულისა და სამყაროს ურთიერთობა არ ამოიწურება მათი დაპირისპირებულობით, სადაც ორივე დაპირისპირებულობის ტოლფასოვან წევრს წარმოადგენს. სული მალა დგას ბუნებაზე. ეს უკანასკნელი ბრმა იარაღს წარმოადგენს სულისათვის. სადაც სამყაროს ჰგონია, რომ საკუთარ ინტერესებს ემსახურება, ის იქ სინამდვილეში მხოლოდ სულის ინტერესებისათვის მუშაობს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გრძნობადობის და აზროვნების დაპირისპირებამ ადამიანის აბსტრაქტულად განხილვაშიც იჩინა თავი. „ადამიანის სული—წერს ფეიერბახი—ესაა ის, რასაც ადამიანი განიცდის და შეიმეცნება თავის თავში როგორც ჭეშმარიტსა და უმაღლესს, რაც განსაზღვრავს მის მსჯელობას საგნებზე, მის არსებობას, ცხოვრებასა და მოქმედებას.“⁴ ეს მსჯელობა აბსტრაქტულიცაა და იდეალისტურიც. სულისათვის ადამიანის მოქმედების მიმართ მარეგულირებელი ძალის მინიჭება სრულ თანხმობაშია შემომოტანილ დებულებასთან იმის შესახებ, რომ სული სამყაროს განმგებელი ძალაა. ადგილი გასაგებია, რომ ადამიანის არსების დანახვა ისეთ ზოგად განსაზღვრებაში როგორიცაა „სული“ საკითხისადმი აბსტრაქტული მიდგომაა. ფეიერბახს გრძნობადობისა და აზრისულის დაპირისპირებისაგან თავი რომ დაეღწია და ადამიანი მათ ერთიანობად ედიარებინა, ეს მაინც ვერ უშველიდა საქმეს, ადამიანის არსება გამოიხატება არა მათი ერთიანობით, არამედ საწარმოო საქმიანობით, ცხოვრების იმ პირობებით, რომელიც მას წინა თაობებისაგან აქვს

1 Л. Фейербах, История философии, т. 1, стр. 460.

2 იქვე.

3 იქვე. გვ. 419—20.

4 იქვე. გვ. 487.

მიღებული. მაგრამ ეს თვალსაზრისი ფეიერბახისათვის უცხო იყო არა მისი განვითარების აღრინდელ პერიოდში, არამედ მაშინაც კი, როცა ტერიალისტური მსოფლმხედველობა გამოიმუშავა.

თავის შემდგომ მსჯელობაში ფეიერბახი ზემოთ მითითებული დაპირისპირებულობის ერთგული რჩება. ადამიანი რომ შეიმეცნო, უნდა გაიგო მისი აზრები. სხვანაირად რომ ვთქვათ ადამიანი, ადამიანის მოქმედება ფასდება მისი აზრებით. პრაქტიკული მოქმედება არაა სათვალავში მიღებული, ნამდვილი მოქმედება მხოლოდ თეორიული მოქმედებაა. ამ აბსტრაქტულ თვალსაზრისს ფეიერბახმა საერთოდ ვერ დააღწია თავი.

ამ საკითხს—თუ რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ადამიანმა ადამიანი (ადამიანის აზრები—არსება) გაიგოს—უკავშირდება მეორე საკითხი: როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი, რომ მან შეიმეცნოს, შექმნას სულიერი სიმდიდრე ხელოვნებაში, მეცნიერებაში და, მაშასადამე, უკვდავყოს თავისი თავი?

ამ მიზნის მისაღწევად ერთ-ერთ საშუალებად ხომ არ გამოდგებოდა ადამიანებთან ურთიერთობა? თავისი პრინციპის—გრძნობადობის და აზროვნების დაპირისპირების ერთგული ფეიერბახი ამ კითხვაზე უარყოფითად პასუხობს. რა უნდა ისწავლო ადამიანებისაგან, საზოგადოებისაგან, სადაც ყველაფერი ფულით იზომება, სადაც „ადამიანის ღირებულება განისაზღვრება მისი ფულის ქისით და ადამიანის სულიერი ძალები მისი ფულადი საშუალებების ჯამის ტოლად ითვლება, სადაც ჯერ კიდევ ძალაშია ძველი ბერძნების გამოთქმა: „ადამიანი—ფულია“. ეს უკანასკნელი მომენტი, ცხადია, ფეიერბახის მიერ სწორადაა შენიშნული, მაგრამ მას იგი არასწორი დასკვნის გასაკეთებლად იყენებს. ნაცვლად იმისა, რომ ამ მანკიერების დაძლევის გზები დასახოს, ფეიერბახი განსეუდგება საზოგადოებისაგან.

ადამიანებთან ურთიერთობა ფეიერბახის აზრით ხელს უშლის ნამდვილ შემეცნებას, შემოქმედებას. ფეიერბახი იმოწმებს გოეთეს სიტყვებს იმის შესახებ, რომ ის არჩევს ხალხის თვალისაგან დაფარული იყოს. „მე ერთხელ კიდევ გამოვცადე—წერს გოეთე—რომ შემიძლია ვიმუშაო მხოლოდ აბსოლუტურ განმარტობაში, რომ არა მარტო ლაპარაკი, არამედ სახლში ჩემთვის საყვარელი ადამიანების ყოფნაც კი მთლიანად აქარწყლებს ჩემს პოეტურ წყაროებს“¹.

ძნელი გასაგები არაა რომ გოეთეს დამოწმება აქ სავსებით უადგილოა: ფეიერბახი მხატვრული შემოქმედების საკითხებში გაუტრკეველობას ავლენს, ერთმანეთში ურევს მხატვრული შემოქმედების პროცესში, ერთის მხრივ, იდეის მომზადების, გამომუშავების, მომწიფების, ანუ, როგორც მას ეძახიან, ინსპირაციის მომენტს და, მეორე მხრივ, ამ იდეის განხორციელებას, მისი გადმოცემის მომენტს, ანუ პირობას, რაც ხელოვანის ინდივიდუალური თავისებურებით განისაზღვრება.

¹ Л. Фейербах, История философии, т. 1, стр. 464.



იქნებ ამ მიზნისათვის სხვისი შემოქმედების ღრმა ათვისება არ იქნება საკმარისი? პასუხი აქაც უარყოფითია. მწიგნობრობა, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს აზრების გაგებისათვის, სავსებით უძლურია საკუთარი დიადი აზრების შესაქმნელად. ჰობსი, საკუთარი მოწმობით, სწორედ იმიტომ გახდა დიდი მოაზროვნე, რომ ის ცოტას და მხოლოდ კარგ წიგნებს კითხულობდა. ბევრი სწორედ იმიტომ ვერ გახდა დიდი ადამიანი, რომ ბევრს კითხულობდა. ბევრის ცოდნა არაა საკმარისი დიდი აზრების შესაქმნელად. ბევრმა ჩვენმა გენიალურმა წინაპარმა იმის ნახევარიც არ იცოდა, რაც ჩვენ ვიცით, მაგრამ უდიდეს ღირებულებებს ქმნიდნენ. ბევრ ჩვენს თანამედროვეს ბევრმა კითხვამ ხელი შეუშალა რომ დიდი ადამიანი გამხდარიყო.¹ ამ თვალსაზრისის სისწორის განსჯას თავიდან რომ გავანებოთ, ის მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ეს თვალსაზრისი აშკარა წინააღმდეგობაშია ფეიერბახის მიერ ამავე თხზულებაში გამოთქმულ აზრთან იმის შესახებ, რომ ცხოვრების შესწავლის დიადი ამოცანა ცხოვრებისაგან განშორებით და, მათსადაამე, წიგნებთან ურთიერთობით, წიგნების შესწავლის საფუძველზე გადაწყდება.²

გრძნობადობისა და აზროვნების დაპირისპირებაში, გამოდის რა აზროვნების პრიმატიდან, ფეიერბახი არსებითად უგულვებელყოფს გრძნობადობის როლს. გრძნობა მერყევი და მატყუარაა. მას უფრო დამახინჯება ემარჯვება, ვიდრე ჰუმანიტეტის მიგნება. გრძნობას ფეიერბახი ადარებს კარის მსახურს, რომლებიც სამეფო კარამდე არ მიუშვებენ ჰუმანიტეტს ისე, თუ არ დაამახინჯეს ის. ჰუმანიტეტის მაძიებელი თავის კაბინეტში და სამკითხველო დარბაზში უნდა ჩაეტოს. მაგრამ, როგორც ზემოთ დავინახეთ, ბევრის კითხვაც არ შეიძლება: ის ხელს უშლის ნამდვილი ტალანტის, სულის სიდიადის გამოვლინებას.³


გრძნობადობისა და აზროვნების ურთიერთობის საკითხს ორგანულად უკავშირდება ფეიერბახის შეხედულებები ცხოვრებაზე. ცხოვრება რომ შეისწავლო უნდა გაშორდე ცხოვრებას. ეს პროცესი გონივრულად უნდა შესრულდეს. ერთადერთი გონივრული განმარტოება ცხოვრებისაგან არის არა გრძნობადი, არამედ სულიერი განმარტოება—ურთიერთობა წიგნებთან, რომელიც იცავს ადამიანს ატმოსფეროს დაბალი ფენებისაგან და ამავე დროს ამყარებს უწყვეტ კონტაქტს ყველაზე უფრო ფაქიზ წარმონაქმნებთან.

ძნელი გასაგები არ არის, რომ ფეიერბახის შეხედულებები გრძნობადობასა და აზროვნებაზე, ცხოვრების შესწავლასა და დიადი სულიერი სიმდიდრის შექმნაზე (და მათსადაამე ადამიანის უკვდავებაზეც) ამავე დროს მისი სოფელში განმარტოებისა და პოლიტიკური მოღვაწეობისაგან ჩამოშორების გამართლებაა. ამ თვალსაზრისის იზიარებდა ის უფრო გვიანდელ პერიოდშიც. პ. ბეილის ფილოსოფიის კრიტიკული გარჩევისას (1838 წ.) ფეიერბახი მას სწორედ იმას უსაყვედურებს, რომ სოფელში განმარტოებით ცხოვრება არ

¹ Л. Фейербах, История философии, т. 1, стр. 494.

² იქვე, 83. 422.

³ იქვე.



შეეძლო და ყოველდღიური ცხოვრებისეული ცხოვრებით სუნთქავდა. ის გარედან ღებულობდა მასალას და თანაც იჩენდა ლიტერატურულ გაუმადობას, ნაცვლად იმისა, რომ სპინოზას მაგალითისამებრ სოფელში, ბუნების ში ეცხოვრა და მასალა მიეღო შიგნიდან, ყოფილიყო თავის თავით დაკმაყოფილებული მოაზროვნე¹.

საგულისხმოა ისიც, რომ ფეიერბახს აღნიშნულ თხზულებაში ერთობ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს იდეალიზმზე: „ახალგაზრდობა დგას წმინდა იდეალისტურ ნიადაგზე. ის იზრდება ჯერ კიდევ არარსებულ, მაგრამ ჩამოყალიბების პროცესში მყოფ ეპოქასთან ერთად; მას გახსნილი აქვს განუხსაზღვრელი არე ყოველგვარი რწმენისათვის, მის რწმენას არა აქვს საზღვარი და სწორედ ამ რწმენაშია მისი შემოქმედების დაუოკებელი წყურვილი“.² ცხადია, რომ ეს არც იდეალიზმია და არც მატერიალიზმი. ფეიერბახის ეს ყალბი წარმოდგენა იდეალიზმის არსების შესახებ ჩანს შტარკემაც გაიზიარა, რისთვისაც მან საკადრისი პასუხი მიიღო ენგელსის მხრივ.

„მწერლისა და ადამიანის“ ძირითადი ნაკლოვანება აბსტრაქტულობაა. თუმცა ფეიერბახი ირწმუნება, რომ მხოლოდ „აზრები სიკვდილისა და უკვდავებაზე“ აბსტრაქტული, ხოლო „მწერალი და ადამიანი“ ამ ნაკლისაგან თავისუფალიაო, მაგრამ სინამდვილეში ეს თხზულებაც უაღრესად აბსტრაქტულ ხასიათს ატარებს, ვინაიდან ჯერ ერთი: ფეიერბახის მოძღვრებაში ჩვეულებრივი ადამიანისათვის არ რჩება ადვილი და მეორე: ადამიანთაგან მცირერიცხოვანთა რჩეულნი (რომელთა არსებშიც უკვდავებაა გამოხატული) არსებითად მოწყვეტილი არიან საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებას. ამასთან, ამ მოძღვრებით ადამიანი არსებითად მოწყვეტილია მცირერიცხოვან რჩეულ ადამიანთაგან (ფეიერბახის სიტყვით მწერლისაგან), როგორც ნამდვილი უკვდავების გამომხატველთაგან. ფეიერბახის ყოველი ცდა მათი დაკავშირებისა, ამაოა. მართლაცდა თუ სულიერი ღირებულებებისა (და მამასადამე) უკვდავების შესაქმნელად ცხოვრებისაგან განმარტოება და თავისთავზე დაყრდნობა აუცილებელი, მაშინ ადამიანსა და მწერალს შორის არსებითი შეხების წერტილები გამოირიცხებოდა. აღნიშნული მოძღვრებით ჩვეულებრივი ადამიანი არსებითად სათვალავში არაა მიღებული, ხოლო სულიერი ელიტა, რომელიც მოწყვეტილია მას, არსებითად აბსტრაქტულ ხასიათს ატარებს. არამცთუ ამ პერიოდში. არამედ, როგორც ეს დასაბუთა ენგელსმა, ფეიერბახი ადამიანის გავების საკითხში საერთოდ დარჩა აბსტრაქტულ პოზიციებზე.

აღნიშნული გარემოება სრულებითაც არ უარყოფს იმ უდავო ჭეშმარიტებას, რომ „მწერალი და ადამიანი“ „სიკვდილისა და უკვდავების შესახებ აზრებთან“ ერთად მნიშვნელოვანი საფეხურია ფეიერბახის იდეალიზმისაგან განთავისუფლებისა და მატერიალისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების პროცესში.

ამავე პერიოდში ოფიციალური ფილოსოფიისაგან ფეიერბახის იძულებით ჩამომორების პერიოდში, 1933 წელს, ის აქვეყნებს მონოგრაფიას „ახალი ფი-


¹ Л. Фейербах, История философии, т. 3, М., 1967, стр. 218—219.
² იქვე, ტ. 1, გვ. 458.

ლოსოფიის ისტორია ბეკონიდან სპინოზამდე“, რომელმაც მას ფართოდ გაუფიქვა სახელი არა მარტო გერმანიაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. პართალია ფილოსოფიური აზროვნების ისტორიაში ფეიერბახის ადვილი ინტერპრეტი. მისი ფილოსოფიური ღირებულება ძირითადადში განისაზღვრება მისი მოძღვრებით, იდეალიზმისა და თეოლოგიის კრიტიკით და არა ფილოსოფიის ისტორიის სფეროში მოღვაწეობით, მაგრამ ამ უკანასკნელს სავსებით გარკვეული მნიშვნელობა აქვს როგორც მთლიანად ფეიერბახის მსოფლმხედველობის შეფასების თვალსაზრისით, ისე მისი ფილოსოფიური განვითარების გარკვეული ეტაპის გაგების თვალსაზრისითაც. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ფეიერბახის მატერიალიზმამდელი პერიოდის ფილოსოფიური თხზულებანი მისი მძიებელი გონებისათვის მატერიალიზმამდე მისვლის მნიშვნელოვან ბერკეტს წარმოადგენს. ამ ჭეშმარიტებას ვერ შეცვლის ის უდავო ფაქტიც კი, რომ ამ თხზულებაში, და არა მარტო ამ თხზულებაში, არამედ ფეიერბახის წინამატერიალისტური პერიოდის ყველა შრომაში ფილოსოფიის ისტორიის საკითხებზე, ამკარად იგრძნობა ჰეგელის გავლენა და ფეიერბახი ძირითადადში ობიექტურ-იდეალისტურ თვალსაზრისზე დგას. ფილოსოფიის ისტორიის საკითხებისადმი ინტერესს ის იჩენდა არა მარტო მაშინ, როცა იდეალიზმის პოზიციებზე იდგა, არამედ მაშინაც კი, როცა უკვე ჩამოყალიბებული ათეისტი და მატერიალისტი იყო. ამაზე ნათლად მეტყველებენ მისი 1847—1848 წლებში დაწერილი შენიშვნები „ფილოსოფიის ისტორია“... ზოგიერთი თავების (დეკარტი, სპინოზა, ლეიბნიცი) მიმართ.

მაგრამ ამ პრობლემებისადმი თვით ინტერესი თავდაპირველად ჰეგელის ზეგავლენით იყო გამოწვეული. ჰეგელმა, რომელიც ბერლინის უნივერსიტეტში ფილოსოფიის კათედრას განაგებდა, პირველად შეიტანა უნივერსიტეტის პროგრამაში ფილოსოფიის ისტორიის სისტემატიკური კურსი. მსგავსად ჰეგელისა, ფეიერბახმა თავის სალექციო კურსს წარუმიძღვარა ფილოსოფიის ისტორია (რაც მაშინდელი ტერმინოლოგიით მეტაფიზიკის ცნების შინაარსში შედიოდა) როგორც შესავალი, პროვედევტიკა ლოგიკის კურსისა, რომელიც თავის მხრივ განიხილებოდა, როგორც წინა ფილოსოფიის განვითარების აუცილებელი შედეგი. სწორედ ეს ლექციები დაედო საფუძვლად ფეიერბახის ახალი დროის „ფილოსოფიის ისტორიას ბეკონიდან სპინოზამდე“, რომელმაც დიდი რეზონანსი გამოიწვია ფილოსოფიურ სამყაროში.

თხზულების გამოსვლასთან დაკავშირებით გერმანიის იმდროინდელ სამეცნიერო წრეებში ავტორიტეტულმა მეცნიერული კრიტიკის ბერლინის საზოგადოებამ თავის ყოველწლიურ ჟურნალში მოათავსა ფეიერბახის წიგნზე, დოქტორ ერდმანის დადებითი რეცენზია და ფეიერბახს თავის ჟურნალში თანამშრომლობა შესთავაზა. ა. ი. გერცენი თავისი „წერილები ბუნების შესწავლის შესახებ“ შექმნის პერიოდში სწავლობდა და გადმოსცემდა ფეიერბახის თხზულების შინაარსს და აღტაცებული მიუთითებდა, რომ ფეიერბახის „ისტორია“ განუსაზღვრელად უფრო მაღლა დგას ვიდრე შილერის მოსაბეზრებელი, ნატურფილოსოფიის ისტორია ბეკონიდან ლეიბნიცამდე“.¹

¹ А. И. Герцен, Собр. соч., т. 2, М., 1954, стр. 362.



ფეიერბახის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის განვითარებისა და საერთოდ ამ თხზულების მეცნიერული ღირებულების განხილვის თვალსაზრისით საყურადღებოა მთელ რიგ ფილოსოფოსთა (ბეკონი, ჰობსი და სხვ.) დასაყრდენებით ერთნაირი, ანალოგიური შეფასება, რომელსაც „წმინდა ოჯახისა“ და ფეიერბახის „ისტორიაში“... უხვდებით.

ფეიერბახზე ამ პერიოდში ჰეგელის გავლენა არ გასცილებია ზოგადი გავლენის ფარგლებს. ეს უკანასკნელი გამოიხატა იმით, რომ ფილოსოფიის ისტორია განხილულია ობიექტური იდეალიზმის პოზიციებიდან, რამდენადაც ფილოსოფიური სისტემები წარმოადგენენ „გონების აუცილებელ თვალსაზრისებს“. რაც შეეხება ფილოსოფიის ისეთ კარდინალურ საკითხებს, როგორცაა ფილოსოფოსების განხილვა ძირითადი საკითხის გადაწყვეტის მიხედვით, ფილოსოფიის ისტორიის როგორც პროცესის განხილვა, ფილოსოფიისა და რელიგიის (თეოლოგიის) დამოკიდებულება და სხვა ფეიერბახი მიდის დამოუკიდებელი გზით ნატურალიზმისა და ანტროპოლოგიზმისაკენ და, მამასადამე, მატერიალიზმისაკენ. როგორც ზემოთ მივუთითეთ ფეიერბახის ისტორიულ-ფილოსოფიური ნაწარმოებების ნიშანდობლივი თავისებურებაა რელიგიური მსოფლმხედველობისადმი დაპირისპირება. ეს დაპირისპირება, როგორც ცნობილია ჰეგელისათვის არ ყოფილა უცხო, მაგრამ ის ფილოსოფიისა და რელიგიის ფორმალური დაპირისპირების თვალსაზრისზე იდგა, რამდენადაც ორივეს ჰემმარტების ასახვად თვლიდა. ჰემმარტებას ფილოსოფია უფრო ადეკვატურად, ლოგიკურად გამოხატავს, ვიდრე რელიგია, რომელიც სიმბოლურ წარმოდგენას ეყრდნობა. განსხვავებით ჰეგელისაგან ფეიერბახი არსებითად აპირისპირებს ფილოსოფიას და რელიგიას და ფილოსოფიის პროგრესს, და, მამასადამე, გონების წარმატების აუცილებელ პირობას რელიგიისა და თეოლოგიისაგან განთავისუფლებაში ხედავს.

„ახალი დროის ფილოსოფიის ისტორიას ბეკონიდან სპინოზამდე“ ფეიერბახი ალაგებს აგრეთვე ზოგიერთი მისთვის ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი დებულების შუქზე, რომელთა გათვალისწინება ინტერესს არაა მოკლებული.

ამ თვალსაზრისით პირველ რიგში აღსანიშნავია „ანტი-ჰეგელის“ კრიტიკა¹, რომელიც დაიწერა „ფილოსოფიის ისტორიის“ დაწერიდან ორი წლის შემდეგ. „ფილოსოფიის ისტორიის“ განხილვამდე „ანტი-ჰეგელის“ ძირითადი დებულებების გადმოცემა ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დარღვევაა, მაგრამ ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დარღვევა საერთოდ არ ეწინააღმდეგება ისტორიულ-ფილოსოფიური კვლევის მოთხოვნებს, კერძოდ, ფეიერბახის ფილოსოფიური განვითარების საკითხის ობიექტურ გაშუქებას. ეს მით უფრო დასაშვებია, რომ თვით ფეიერბახისვე მოწმობით, როცა ის ჰეგელს ბახმანის თავდასხმისაგან იცავდა მასში „უკვე იქდა ანტი-„ჰეგელი“, და აზრადაც არ მოს-

¹ წიგნი „ანტი-ჰეგელი“ ეკუთვნის იენის უნივერსიტეტის მორალის პროფესორს კანტიანელ ბახმანს. ეს თხზულება გაგრძელდება ჰეგელის კრიტიკისა, რომელიც მან 1833 წ. დაიწყო წიგნით „ჰეგელის სისტემისა და ფილოსოფიის კიდევ ერთხელ გარდაქმნის აუცილებლობის შესახებ“.

ვლია კვალდაკვალ მიჰყოლოდა თავის მასწავლებელს.¹ პირიქით, ამ ნაწარმოებში ამავე დროს ნათლად ვლინდება მისი დაშორება ჰეგელისაგან. ე. ა. უბიკველეს ყოვლისა, ჩანს იქიდანაც, რომ იდეალისტურ-დიალექტიკურ მეთოდში, რომელზედაც ფეიერბახი ამ პერიოდში ჰეგელის გავლენის მიერ გამოყენებულია ახალი დროის ფილოსოფიაში ანტირელიგიური და ანტი-თეოლოგიური თვალსაზრისის გასამართლებლად.

პირველი საკითხი, რომელსაც ფეიერბახი „ანტი-ჰეგელის კრიტიკაში“ იხილავს ფილოსოფიის ისტორიის ობიექტური შესწავლის საკითხია. შეიძლება თუ არა ფილოსოფიის ისტორიის ობიექტური შესწავლა? „ფილოსოფიის ისტორიაში“ ეს საკითხი არაა სპეციალურად განხილული, მაგრამ ის ასეთი შესწავლის მაგალითია, ვინაიდან ფილოსოფიური სისტემები განხილულია როგორც აზრის განვითარების აუცილებელი შედეგი. ამ კითხვას ფეიერბახი „ანტი-ჰეგელის კრიტიკაში“ სვამს და დადებითად წყვეტს. ამ აზრით „ფილოსოფიის ისტორია“ „ანტი-ჰეგელის კრიტიკის“ გამართლებაა და პირიქით, „ანტი-ჰეგელის კრიტიკა“ „ფილოსოფიის ისტორიას“ ამართლებს უკანა რიცხვით².

ფილოსოფიური სისტემები არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ნებისიერი აქტის შემოქმედების შედეგი და უაზრობისა და შეცდომების კრებულობა. პირიქით, „ფილოსოფიური სისტემები არიან გონების აუცილებელ-თვალსაზრისები, ისეთი თვალსაზრისები, რომლებშიც ჰეგელის იდეა ერთხელ ჰეგელს თავისთავს დიდი კმაყოფილებით... ფილოსოფიური სისტემები წარმოადგენენ ჰეგელის იდეის არსებით განსაზღვრულობებს იმ სახით, როგორც ის კანონზომიერი თანმიმდევრობით შედის კაცობრიობის შეგნებაში (შემეცნებაში) სახელდობრ, ისე, რომ თვითეული სისტემა შეიმეცნებს ჰეგელის იდეის ერთ-ერთ არსებით განსაზღვრულობას, რომელიც გამოდის ჰეგელის იდეის ყველა განსაზღვრების ერთობლიობად. ამიტომაც ყოველი ფილოსოფიური სისტემა შეიცავს თავისში წმინდათა წმინდას, რომელიც ყოველგვარ თავდასხმას უძლებს და რომელშიც მოცემულია აბსოლუტურად არაუარყოფადი მარცვალი. ეს მარცვალი არის სისტემის იდეა. ის, რასაც ჩვეულებრივ ეკამათებიან და ძირითადად და გადაწყვეტად თვლიან სისტემაში, მისი მხოლოდ გარეგანი გამოხატულებაა, ფენომენია“³.

ფილოსოფიური აზრის განვითარების ობიექტური შესწავლა, ე. ი. ფილოსოფიის მეცნიერული ისტორია გულისხმობს, რომ არსებობს უწყვეტი ჯაჭვი, თანმიმდევრობა ფილოსოფიურ იდეებსა და პრინციპებს შორის. ფეიერბახი

¹ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ჰეგელიანელთა ჟურნალმა—„მეცნიერული კრიტიკის ყოველწლიურმა—Jahrbücher der wissenschaftliche kritik—მა დაიწუნა ფეიერბახის ბახმანის სტატიანზე დაწერილი რეცენზიის უდიდესი ნაწილი და ფეიერბახი იძულებული გახდა რეცენზია ცალკე წიგნად გამოეცა.

² „ანტი-ჰეგელის“ კრიტიკის ერთერთ შენიშვნაში ვკითხულობთ: როგორც მე უკვე ჩემს „ფილოსოფიის ისტორიაში“ აღვნიშნე, აზროვნების კანტისეული გაგება თანანმიმდევრობითაა გეგმებთან. (Л. Фейербах, История философии, т. 2, М., 1967 г. стр. 52).

³ იქვე. გვ. 26.



(ჰეგელის გავლენით) იმ თვალსაზრისზე დგას, რომ თითოეული ფილოსოფიური სისტემა შეიცავს დადებით ელემენტებს წინა ფილოსოფიური სისტემიდან და, ამიტომაც, წარმოადგენს შინაარსით უფრო მდიდარ, განვითარებულ და კონკრეტულ ფილოსოფიურ სისტემას¹.

ფეიერბახი აკრიტიკებს ბახმანს, რომელიც საწინააღმდეგო თვალსაზრისზე იდგა, ფილოსოფიის ისტორიაში ხედავდა „პრინციპების უწყვეტ ბრძოლასა და ძალდატანებით გადატრიალებას, ვიდრე ცალკეული მომენტების დადინჯებულ გათანაწილებასა და კრიტიკისადაც“². ერთი ფილოსოფიური მოძღვრების მიერ მეორის უარყოფაში ბახმანი პროგრესიული განვითარების საპირისპირო მოვლენას ხედავდა. უარყოფა მისთვის შიშველ, შექანიკურ უარყოფას ნიშნავდა. ანაქსიმანდრემ თავისი „აპეირონი“ უკუთავდა თალესის წყალი, ხოლო თვით ანაქსიმანდრეს „აპეირონი“ ანაქსიმენის ჰაერმა გააძევა. პითაგორამ სამყაროში მხოლოდ მათემატიკური კანონები ნახა, მაგრამ აი მოვიდა სოკრატე და საერთოდ, უგულვებლყო რა ნატურფილოსოფიური საკითხები, უმაღლეს პრინციპად თვითშემგნება, თვითშემეცნება გამოაცხადა.

გამოდის, რომ შემდგომი ფილოსოფიური სისტემა არ შეიცავს თითქმის არაფერს წინა ფილოსოფიური სისტემიდან. ეს შეხედულება ერთი შეხედვით სწორად გვეჩვენება, მაგრამ სინამდვილეში მეტად ზერელე მსჯელობის ნიმუშს წარმოადგენს და არაფერი საერთო არა აქვს ჭეშმარიტებად გაგებულ განვითარებასთან. ეს მსჯელობა გულისხმობს, მდუმარედ იმ წინამძღვარს ეყრდნობა, რომ შემდგომი ფილოსოფიური სისტემა წინაფილოსოფიური სისტემის პრინციპებს უნდა შეიცავდეს ზუსტად იმავე სახით და ამავე გარკვეულობით. რამდენადაც ფილოსოფიის ისტორიაში ასეთ ფაქტორებს არა აქვს ადგილი, აქედან კეთდება დასკვნა: ა) ფილოსოფიური სისტემები ერთმანეთს პირწმინდად უარყოფენ, ბ) თითოეული ფილოსოფიური სისტემა იწყებს თავიდან, ცარიელ ადგილზე, ის მხოლოდ თავისთავს ემყარება.

ნამდვილად ჭეშმარიტად გაგებული უარყოფა და კრიტიკა არ ეწინააღმდეგება განვითარებას. პირიქით, „უარყოფა განვითარების არსებითი მომენტია. წინააღმდეგობის გარეშე არ არსებობს განვითარება“³. ყოველი შემდგომი ფილოსოფიური სისტემა უარყოფს წინას იმ აზრით, რომ ის მას არ შეიცავს მთლიანად, მაგრამ ამავე დროს ითვისებს მის სულიერ ესენციას, იღვას. დამოკიდებულება წინა ფილოსოფიური სისტემებისადმი ორგვარია: დადებითი და უარყოფითი; სხვა სიტყვებით ეს დამოკიდებულება კრიტიკულია, რაც ერთსა და იმავე დროს უარყოფასაც ნიშნავს და შენახვასაც. ის, რაც წინათ ფილოსოფიური სისტემის მიერ მიჩნეული იყო აბსოლუტურად აბსოლუტურის მომენტი რანგამდგა ჩამოქვეითებული.

თუ ამ ერთადერთ სწორ პოზიციას დავდებებით, მაშინ ცხადი გახდება, რომ ანაქსიმანდრეს „აპეირონი“ არსებითად იგივეა, რაც თალესის წყალი.

¹ Л. Фейербах, История философии, т. 2, М., 1967, стр. 49—50.

² იქვე, გვ. 49—50.

³ იქვე, გვ. 50.



ვინაიდან ის უსასრულოა ცალკეულ საგნებთან მიმართებაში. არც ანტიკისთვის უარუყვია განუსაზღვრელის, უსასრულოს პრინციპი. მან ეს უკანასკნელი განსაზღვრა მხოლოდ როგორც პაერი. ასე, რომ ზემოხსენებულ სისტემისთვის მჭიდრო შინაგანი კავშირი არსებობს. ეს კავშირი ნათელია თვალსაზრისისათვის, რომელიც აზროვნებიდან გამოდის. გრძობადი აღქმის თვალსაზრისისათვის კი ის სავსებით შეუშინვეელი რჩება.¹ ასევე ითქმის არა მარტო ანტიკურ არამედ ახალი და უახლოესი დროის ფილოსოფიურ სისტემებზე.


ამავე დროს ფილოსოფიური სისტემების უწყვეტი განვითარების თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ისინი თავის თავში შეიცავენ განვითარების იმპულსს და მამოძრავებელ ძალას, თვითონ ფილოსოფიურ სისტემებშია მოცემული მათი შემდგომი შინაგანი განვითარების აუცილებლობა, იმანენტური კრიტიკის აუცილებლობა. ეს აუცილებლობა ადვილად როდი ვლინდება. ფილოსოფოსის პიროვნება და გენიოსია აუცილებელი, უმუშალო წინამორბედი სისტემის შეზღუდულობის მოსახსნელად და მის უფრო უნივერსალურ თვალსაზრისზე ასამაღლებლად. მართალია, ეს უკანასკნელი აუცილებლობით გამომდინარეობს თვით სისტემიდან, მაგრამ ამ შინაგანი აუცილებლობის შემსრულებლად მხოლოდ გენიოსი შეიძლება მოეცლინოს აზრის ისტორიას. მხოლოდ ფიქტემ გააკეთა ის, რაც ვერ შეძლეს კანტიანელებმა. მან მოხსნა კანტის „საგანი თავისთავად“-ის საზღვარი; მხოლოდ სპინოზამ შესძლო კარტეზიანელებისათვის შეუძლებელი ამოცანის ამოხსნა, რომელიც თვით სისტემის შინაგანი აუცილებლობიდან გამომდინარეობდა: „გაათავისუფლა ღვთაებრივი სუბსტანციის ცნება განსაზღვრული, შეზღუდული მნიშვნელობისაგან და აამაღლა ის უნივერსალური, ერთიანი სუბსტანციის დონემდე“².

ფილოსოფიის ისტორია ნამდვილად მაშინ არის გაგებული, როცა თითოეული სისტემა განიხილება როგორც იდეის თვითგანვითარების საფეხური, როგორც იმანენტური კრიტიკის გამოხატულება. მხოლოდ აზროვნების თვალსაზრისიდან გამოსვლით ხდება შესაძლებელი ფილოსოფიის ისტორიის ობიექტური, მეცნიერული შესწავლა.

როგორც ითქვა, გრძობადი, აღქმის თვალსაზრისით ასეთ შესაძლებლობას გამოირიცხავს. თუ კანტს ვერწმუნებით, მაშინ უნდა ვალიაოთ, რომ კანტის სისტემა ფილოსოფიის ისტორიის გაწყვეტაა, ვინაიდან მისივე აღიარებით მან ცარიელ ადგილზე დაიწყო: წინამორბედ ფილოსოფიას მისთვის მხოლოდ ნეგატიური მნიშვნელობა ჰქონდა და არა პოზიტიური, და ამიტომ მისი ფილოსოფიის საფუძვლები მხოლოდ მასშია და არა სხვაგან, მაშასადამე, არ შეიცავს ისეთ პრინციპს, რაც დამახასიათებელია წინა ფილოსოფიური სისტემებისათვის. ნამდვილად კი კანტის ფილოსოფიური სისტემა ზოგად პრინციპებში შეიცავს იდეალიზმს, სკეპტიციზმსა და ემპირიზმს. ლოკისა და იუმისაგან განსხვავების მიუხედავად (განსხვავება კი იმაშია, რომ ზოგადი ცნება, რომელიც მათ ცდისაგან გამოჰყავთ, კანტის მიხედვით ცდის აპრიორული პირობა და

¹ Л. Фейербах, История философии, т. 2, М., 1967, стр. 56.

² იქვე, стр. 51.



შესაძლებლობა), კანტის დებულება: რეალური შემეცნება შემოისაზღვრება მხოლოდ ცდის ობიექტებით—ემპირიზმის დასკვნაა. რამდენადაც ცდისეულ საგნების შემეცნებისას კანტი მხოლოდ მოვლენებით იფარგლება, ამდენად კანტის ემპირიზმი გონებამდე ამაღლებული ემპირიზმია, საკუთარი საზღვრების შემეცნებამდე ამაღლებული ემპირიზმია.

კანტის ფილოსოფია ზოგად ფორმაში ლეიბნიცისა და დეკარტეს პრინციპებსაც შეიცავს. ძნელი არაა იმის დანახვა, რომ დეკარტესთან, ისევე როგორც კანტთან, თვითშეგნება ფილოსოფიის უძირითადესი პრინციპია. ასევე ნათელია ის საერთო, რასაც ლეიბნიცთან და კანტთან ვხვდებით. ლეიბნიცთანც თვითშეგნება გამოდის შემეცნების პრინციპად. „სულ შემეცნებს გარეგან სამყაროს მხოლოდ იმის შემეცნების საშუალებით, რასაც თვითონ თავის თავში შეიცავს“, ან კიდევ: „ინტელექტი არაფერს არ შეიცავს, რაც აღრე არ ყოფილიყოს გრძნობადი განცდა, გარდა თვით ინტელექტისა... ჩვენ თანდაყოლილი გვაქვს მხოლოდ საკუთარი არსება, და ყველა ჩვენი სულის ჭეშმარიტება გამომდინარეობს ჩვენი საკუთარი თავის აღქმისაგან“.¹ ამ დებულებაში გამოთქმულია კანტის იდეალიზმის აზრი იმის შესახებ, რომ სული გარეგან ობიექტებს გაიზიარებს კატეგორიების და, მაშასადამე, იმანენტური განსაზღვრულობების საშუალებით; კატეგორიები კი, როგორც ცნობილია, სათავეს თვითშეგნების, თვითშემეცნების ერთიანობაში იღებენ.

კანტისა და ლეიბნიცის მსგავსება გამოიხატება აგრეთვე იმით, რომ ლეიბნიცი აზკარად ასხვავებს ცდისეულ და აპრიორულ შემეცნებას და ისევე, როგორც კანტი თვლის, რომ გრძნობები არ წარმოადგენენ შემეცნების საფუძველს—არ გვაძლევენ აუცილებელ ჭეშმარიტებებს.

მსგავსია არა მარტო კანტისა და იუმის ცალკეული დებულებები, არამედ მათი ფილოსოფიის პრინციპებიც. ლეიბნიცის ფილოსოფიის ძირითადი პრინციპია თვითმოქმედება. სწორედ თვითმოქმედებაა ის, რის გამოც მონადა ყოველგვარი რეალობის საფუძველია. თვითმოქმედების პრინციპითაა გაპირობებული ის, რომ მონადები არ განიცდიან გარეგან გრძნობად თუ ფიზიკურ ზემოქმედებას („მონადებს ფანჯრები არა აქვთ“), მონადები თვითმოქმედ ძალებს წარმოადგენენ.

თვითმოქმედებაა აგრეთვე კანტის ფილოსოფიის ძირითადი პრინციპი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ლეიბნიცთან ის საყოველთაო ობიექტური პრინციპია, მაშინ, როდესაც კანტთან ასეთი ავტონომიით მხოლოდ გონება და ნებისყოფა ხსნიათდება. გონება და ნებისყოფა ვერ გამოდიან თავის თავიდან იმ აზრით, რომ ყველაფერს მხოლოდ თავისთავიდან იღებენ. ამ თვალსაზრისით მონადები შეიძლება დავახასიათოთ, როგორც პატარა კანტიანელები, რომლებიც ვერ გამოდიან თავიანთი სუბიექტური იდეალიზმის ფარგლებიდან და ობიექტურ სამყაროს ითვისებენ არა ისე, როგორც ისინი არიან თავისთავად, არამედ ისე, როგორც თვითონ წარმოიდგენენ მათ საკუთარი თვალსაზრისით. მაშასადამე, ეს წარმოდგენები გამოხატავენ არა ობიექტის, არამედ მონადის

¹ Л. Фейербах, История философии, т. 2, М, 1967, стр. 53.

არსებას, მსგავსად იმისა, რომ კანტთან ობიექტზე წარმოდგენები გამოხატავენ არა ობიექტებს თავისთავად, არამედ იმ ხერხს, წესს, როგორც იქნება აღვიქვამთ.



ისეთი საკითხების განხილვისას როგორცაა: ფილოსოფიის ისტორიის ობიექტური შესწავლის აუცილებლობა, უარყოფისა და წინააღმდეგობის როლი განვითარების პროცესში, იმანენტური კრიტიკის აუცილებლობა და სხვა. საკმაოდ რელიეფურად ჩანს, ფეიერბახის როგორც მოაზროვნის ძალა და პროგრესული ხასიათი. ეს უკანასკნელი სრულებითაც არ იჩრდილება იმით, რომ ერთი შეხედვით ყველაფერი ეს კეთდება ჰეგელის დაცვის ნიშნის ქვეშ; არ იჩრდილება თუნდაც იმიტომ, რომ როგორც არაერთხელ აღინიშნა, ის „მართლმორწმუნე ჰეგელიანელი“ (ენგელსი) არასოდეს არ ყოფილა. მისივე მოწმობით ის ჰეგელს იცავდა დაუმსახურებელი თავდასხმისაგან და არ შეიძლებოდა ყოფილიყო მოკავშირე იმ ფილოსოფოსებისა ან ნახევარმოფილოსოფოსო ადამიანებისა, რომლებიც ჰეგელის ფილოსოფიის წინააღმდეგ ბრძოლისას საერთოდ ფილოსოფიის წინააღმდეგ მებრძოლებადაც გამოდიოდნენ¹.


ფეიერბახის „ანტი ჰეგელის კრიტიკა“ ისევე, როგორც მატერიალისტური პერიოდის ყველა ნაწარმოები, უნდა იქნეს განხილული იმ დადებითი მომენტების შუქზე, რომელსაც ის შეიცავს. ეს მომენტები სწორედ ის მომენტებია, რომლებიც შემდგომი განვითარების მსვლელობაში დომინირებულ მდგომარეობას იკავებენ, განსაზღვრავენ განვითარების ტენდენციას და აყალიბებენ ფეიერბახს, როგორც ყოველგვარი იდეალიზმისა და რელიგიის შეურიგებელ მოწინააღმდეგეს. წინ უნდა წამოვწიოთ ის მხარეები, რომლებმაც მის მსოფლმხედველობაში შემდგომი განვითარება პოვეს და არა ის, რომლებსაც ასეთი განვითარება არ განუცდიათ, პირიქით, უარყოფილ იქნენ შემდგომი განვითარების მსვლელობაში.

აღნიშნული პრინციპიდან უნდა გამოვდიოდეთ როგორც ცალკეული ფილოსოფოსის, ამ შემთხვევაში ფეიერბახის, ისე საერთოდ ფილოსოფიის ისტორიის შესწავლისას.² უნდა ვეძებოთ ის ჩანასახები, რომლებიც განვითარე-

¹ Л. Фейербах, История философии, т. 3, стр. 376.

² საწინააღმდეგო პრინციპებიდან თუ გამოვალთ, მაშინ ფეიერბახის ნააზრევში სუსტი მხარეების პოვნა პრობლემას არც კი წარმოადგენს. ის ამ პერიოდში პრინციპულად ჰეგელის ობიექტური იდეალიზმის თვალსაზრისზე დგას და არა მარტო იდეალისტურ, არამედ ხშირად უფრო მოუწმიფებელ, დროისათვის შეუფერებელ თვალსაზრისს იზიარებს, ვიდრე კანტიანელი ბახმანი. ამასთან, ზოგიერთი მისი დებულება ეწინააღმდეგება არა მარტო მატერიალისტურ პერიოდში იგივე საკითხზე გატარებულ თვალსაზრისებს, არამედ სხვა თხზულებებში გამოთქმულ ამავე (წინამატერიალისტები) პერიოდის დებულებებსაც.

ასე მაგ. დასახელებულ თხზულებაში ფეიერბახი არ ეთანხმება ბახმანს იმაში, რომ „შეგნება თავის საფუძველში რაღაც მატერიალურია. „მისი აზრით“ მატერიისაგან შეიძლება დამოკიდებული იყოს ის, რაც თავისი ბუნებით მატერიალურია და არა ის (სული, შეგნება, ცნობიერება — ა. კ.), რაც თავისი თავით განისაზღვრება და თავის თავისაგან არის დამოკიდებული“. აზროვნება არის ძალა, რომელიც აკონსტრუირებს ადამიანის მყოფობას, ყოფი-



ბის დასასრულს გაშლილი სახით წარმოგვიდგებიან. ამ ერთადერთ სწორ თვალსაზრისზე იდგა თვითონ ფეიერბახიც: ყველა ჩემი წინანდელი თხზულებანი ახლანდელი თვალსაზრისის გამართლებაა და მისი ჩასახვისა და განვითარების ისტორიას წარმოადგენსო.¹ ამ პრინციპით ხელმძღვანელობდა ის, როცა მან ახალი დროის ფილოსოფიის ისტორიაში აზრის იდეალიზმისა და თეოლოგიისაგან განთავისუფლებისაკენ სწრაფვა დაინახა და ეს პროცესი კანონზომიერებად მიიჩნია. არსებითად სწორია ფეიერბახი, როდესაც ის ამბობს, რომ ამ პერიოდში „ჩემში იჯდა ანტი-ჰეგელი“-ო. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი იქნება ფეიერბახის „ფილოსოფიის ისტორია“. ეს უკანასკნელი მოცემული სახით არ დაიწერებოდა თუ მის ავტორში „ანტი ჰეგელში“ გატარებული აზრები არ იქნებოდა მომწიფებული.

„ფილოსოფიის ისტორიის“ შესავალში ფეიერბახი ზოგადად ახასიათებს მეცნიერების, ფილოსოფიისა და ხელოვნების მდგომარეობას საშუალო საუკუნეებში. საშუალო საუკუნეების ნიშანდობლივი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ მეცნიერება, ფილოსოფია და თვით ხელოვნებაც კი მეტად დაკნინებული იყო. აზრის თავისუფლებას რელიგია ბოჭავდა და ყოველგვარი ნაზრევი თავისი შინაარსით რელიგიის მოსამსახურის როლში გამოდიოდა. სხვანაირად არც შეიძლებოდა. ნამდვილი ქრისტიანი რელიგიურ საქმეებსაც ვერ აუღის და მას სხვა საქმეებისთვის არც დრო რჩება, არც მიდრეკილება. რატომ უნდა იქნეს შესწავლილი ბუნება, როდესაც ის არაარსებითია, სასრულო და გარდამავალი? იან ამოს კომენსკიმ, რომელიც კერძოდ უარყოფდა ფილოლოგიის, არისტოტელეს მეტაფიზიკისა და დეკარტეს ფილოსოფიის შესწავლის მნიშვნელობას, აღნიშნული ვითარება შემდეგი სიტყვებით გამოხატა: „შენ კითხულობ, სწავლობ და წერ, მაგრამ ხომ მაინც მოკვდები? შეისწავლე თვითონ იესო შენ მხოლოდ ეს გჭირდება“².

ფილოსოფიის შესწავლა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი და სასარგებლო, თუ რელიგიის დოგმათა ჭეშმარიტების დასაბუთებას მოემსახურება. მეცნიერებასა და ფილოსოფიას, აგრეთვე ხელოვნებას რელიგიისა და ეკლესიისადმი სამსახური მოეთხოვება.

რებას“. „სული (дух) არის ჩვენგან დამოუკიდებელი და ჩვენს ზემოქმედებას დაუქვემდებარებელი ჩვენი შინაგანი სამყარო“. „შეგნება არის ყოფიერების საზომი“. პირველი დროში (ასეთიც რომ იყოს ჩვენი ყოფიერების პირველადი ქაოტური მდგომარეობა) არ არის პირველადი, პირველდწყებიო“. აზროვნება დროისაგან თავისუფალი თავისთავთან იგივეობაა, ინტუციის აქტია და მალღა დგას დისკურსიულ აქტზე. სუბიექტისათვის აზროვნება იშლება როგორც დისკურსიული მომენტი, მაგრამ ეს აზროვნების გამოვლენაა და არა მისი არსება. აზროვნების მიმართაც ძალაში რჩება განსხვავება ფენომენსა და „საგანი თავისთავად“ შორის. (იხ. История философии, т. 3, стр. 31, 60, 62, 63, 65, 94). ფეიერბახის ამ პერიოდის ნაზრევში მსგავსი ალგილების პოვნა თითქმის ნებისმიერი რაოდენობით შეიძლება, მაგრამ ამაზე ყურადღების გამახვილების ობიექტური გამართლება არა აქვს.

¹ Л. Фейербах, История философии, т. 1, стр. 43.
² ციტარებულია ფეიერბახის მიხედვით—იქვე, გვ. 63.

ასე იდგა საკითხი საშუალო საუკუნეებში არსებითად, პრინციპულად, ირთეულები საშუალო საუკუნეებშიც სწავლობდნენ ბუნებას, მაგრამ ბუნებას შესწავლას მოაზროვნე სულისათვის დაქვემდებარებული მნიშვნელობა ეკონდა და ასეთად უნდა დარჩენილიყო მანამდე, სანამ უმაღლესი კანონმდებლობის და მსაჯულის როლში რელიგიური სული გამოდიოდა, ხოლო უმაღლეს ადამიანურულ ბუნებას ორგანოს ეკლესია წარმოადგენდა¹.

ერთადერთ მეცნიერებას, იმანენტურს რელიგიური სულისკვეთებისათვის წარმოადგენდა თეოლოგია, ხოლო რამდენადაც რწმენის შინაარსი მოაზროვნე მეცნიერების ანალიზის საგანი იყო, ამდენად თეოლოგია ფილოსოფიაში გადადიოდა, მაგრამ აზროვნებას დაქვემდებარებული მნიშვნელობა ჰქონდა და მოაზროვნე სულის ძირითად შინაარსს თეოლოგიის შინაარსი შეადგენდა. მეცნიერება, ხელოვნება და ფილოსოფია რელიგიური სულის ბატონობის საშუალებები იყო.


მაგრამ ამ გარემოებას სხვა შედეგიც მოჰყვა. საშუალო საუკუნეების ფილოსოფია რელიგიური რწმენის დასაბუთებისას უნებლიედ გონების ავტორიტეტსაც ასაბუთებდა. ისეთ უაზრო კითხვებზე მსჯელობაც კი, როგორცაა „შეიძლებოდა თუ არა ღმერთს ქალის, ეშმაკის, სახედრის, კიტრის ან ქვის სახე მიეღო“, „შეეძლო თუ არა ღმერთს კიტრის ფორმაში სასწაულები მოეხდინა? და ა. შ. ფაქტიურად გონების ავტორიტეტისა და თვითმყოფობის დასაბუთებას ნიშნავდა. „თუმცა სქოლასტიკური ფილოსოფია ეკლესიას ემსახურებოდა რამდენადაც მის პრინციპებს ასაბუთებდა, მაგრამ ის გამოდიოდა მეცნიერების ინტერესებიდან, აღვივებდა კვლევის თავისუფალ სულისკვეთებას. ის რწმენის საგანს აზროვნების საგნად აქცევდა და ადამიანი უპირობო რწმენის სფეროდან ეკვების, კვლევისა და ცოდნის სფეროში გადაჰყავდა“² ასეთივე პროცესი მიმდინარეობდა ხელოვნებაშიც. ხელოვნებაც თავდაპირველად ეკლესიის სამსახურში იდგა, მაგრამ ასეთად ის შეიძლებოდა დარჩენილიყო მანამ, სანამ განვითარების დაბალ საფეხურზე იდგა. თანდათანობით „მშვენიერი, როგორც ასეთი ადამიანის საგანი გახდა, ხელოვნების ინტერესი დამოუკიდებელ ინტერესად იქცა: ...გაიღვიძა წმინდა სილამაზისა და ადამიანურობის გრძობამ... ადამიანმა თავისი სულის გრანდიოზული ქმნილებების ჰერეტაში დაიბრუნა საკუთარი თავის დამოუკიდებლობისა და სულიერი კეთილშობილების შეგნება“³.

ეკლესიის ბატონობისაგან მეცნიერების, ფილოსოფიისა და ხელოვნების სახით განთავისუფლების პროცესში მყოფი გონება, ვიდრე საკუთარი თავისაგან შემოქმედებას დაიწყებდა აღმქმელი ხასიათისა უნდა ყოფილიყო. „ვიდრე შემოქმედი გახდებოდა მას თავის თავში უნდა აღედგინა თავისი სამყარო,

¹ Л. Фейербах, История философии, т. 1, стр. 69.

² იქვე, стр. 72.

³ იქვე, 83. 73.



არსება და წარმოშობა“. სწორედ ამიტომ არისტოტელეს, პლატონისა და სხვა კლასიკური სისტემების ათვისება—აღორძინება სავსებით კანონზომიერი ღონისძიებაა. ღონისძიება იყო გონების ეკლესიისა და რელიგიისაგან განთავისუფლების გზაზე, წარმოდგენდა გონების შინაგანი მოთხოვნების გამოხატულებას, საკუთარი თავის აღდგენას.

გაშოლვილებულმა, თავისუფალმა, უნივერსალურმა მოაზროვნე გონებამ ანტიკური სამყაროს ნაწარმოებები საკუთარ პროდუქტებად აღიარა და ხელახლა მიმართა ბუნებას, გახადა რა ის ჰერკლეტის უშუალო სავანად, ხოლო მისი შესწავლა ფილოსოფიის არსებითი ობიექტად. ბუნების შესწავლის საშუალებად კი ექსპერიმენტი, გრძნობადი აღქმა და წარმოდგენა, ე. ი. ცდა გამოაცხადა¹. ერთი სიტყვით გონებამ დღის წესრიგში თავისი უფლებების დაცვა დააყენა.

ახალი ფილოსოფიის პირველი საწყისები უკვე მოცემულია იტალიელი ნატურფილოსოფოსების კარდანოს, ბერნადინო ტელეზიოს, ფრანჩესკო პატრიცის, ჯორდანო ბრუნოს ნატურფილოსოფიურ ნააზრევში, მაგრამ ახალი ფილოსოფიის ნამდვილი მამამთავრები დეკარტე და ბეკონია. ფეიერბახი დაწვრილებით ალაგებს და კრიტიკულად არჩევს მათ მოძღვრებას. წინამდებარე შრომის მეორე ნაწილში ჩვენც შედარებით ფართოდ გავარჩევთ დეკარტისა და ბეკონის ფილოსოფიის ძირითად დებულებებს ფეიერბახის ინტერპრეტაციით, რადგან ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს ამ უკანასკნელის პოზიციისა და სულიერი ევოლუციის გასარკვევად. ანგარიში უნდა გაეწიოს მის სიტყვებს იმის შესახებ, რომ განსაკუთრებით ისტორიული ხასიათის ნაწერებში ის სხვისი სახელით საკუთარ აზრებს ავითარებდა².

1. Л. Фейербах, История философии, т. 1, стр. 80—81. ცდის გაგებაშიც ვლინდება ჰეგელის ობიექტური იდეალიზმის გავლენა, ობიექტური იდეალიზმის გავლენა, რაც მეტნაკლებად დამახასიათებელია ფეიერბახის მოღვაწეობის მთელი აღნიშნული პერიოდისათვის; „ცდა, მეცნიერული ცდის აზრით არის არა თავდაპირველი და თვითდაფუძნებული, არამედ სულის არსებითად განსაზღვრული პრინციპი, რომელიც გულისხმობს კრიტიკას და სკეპსისს“ (იქვე, გვ. 82).

2. Л. Фейербах, История философии, т. 1, стр. 39.



დოც. შ. გველესიანი

საპარტიო სახელმწიფოს საპარტიო პოლიტიკის ლენინური პრინციპები და თანამედროვეობა


დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დასაბამი მისცა ახალ ერას კაცობრიობის ისტორიაში. აღმოცენდა ახალი, საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო, რის შედეგადაც შეიქმნა ურთიერთდამოკიდებულების ახალი ფორმები სახელმწიფოებსა და ხალხებს შორის. ოქტომბრის რევოლუცია გარდატეხის ეტაპი იყო საერთაშორისო ურთიერთობის ისტორიაშიც. საბჭოთა სახელმწიფომ ცხოვრებაში გაატარა ახალი საგარეო პოლიტიკა, რომელიც პრინციპულად განსხვავდება კაპიტალისტური ქვეყნების საგარეო პოლიტიკისაგან.

1917 წლის 8 ნოემბერს საბჭოების სრულიად რუსეთის II ყრილობაზე მიღებული დეკრეტი ზავის შესახებ წარმოადგენდა პირველ ისტორიულ აქტს, სადაც ჩამოყალიბებული იყო საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ლენინური პრინციპები: ხალხებისა და სახელმწიფოების სრული თანასწორუფლებიანობა, მათი დამოუკიდებლობისათვის პატივისცემა, საზღვრების ხელშეუხებლობა, საშინაო საქმეებში ჩაურევლობა, ორი მოწინააღმდეგე სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა, საყოველთაო მშვიდობისათვის ბრძოლა, საიდუმლო დიპლომატიის უარყოფა და პირდაპირი, ამკარა, დიპლომატიური ურთიერთობა. ცხადია, რომ მთავარი და გადაწყვეტი საბჭოთა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ძირითად პრინციპებში იყო და არის მშვიდობის განმტკიცება და ხალხთა უშიშროების უზრუნველყოფა, დაპყრობითი ომების თავიდან აცილება.

დეკრეტი გმობდა იმპერიალისტურ ომს და მოითხოვდა დაუყოვნებლივ დაწყებულიყო მოლაპარაკება უანექსიო და უკონტრიბუციო, სამართლიანი, დემოკრატიული ზავის შესახებ „...ასეთ ზავად მთავრობას მიაჩნია, — ნათქვამი იყო დეკრეტში ზავის შესახებ, — დაუყოვნებელი ზავი უანექსიოდ (ე. ი. სხვისი მიწა-წყლის მიუტაცებლად, უცხო ეროვნებათა ძალდატანებით შემოუერთებლად) და უკონტრიბუციოდ“¹.

ამ მოთხოვნაში ნათლად ჩანს, რომ ბოლო უნდა მოღებოდა ძლიერი სახელმწიფოების განუსაზღვრელ ბატონობას სუსტ-პატარა სახელმწიფოებზე. დეკ-

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 26, გვ. 287.



რეტში მოცემულია ანექსისის არსი, რომლის დაგმობაც ერთა თვითგამორკვევის უფლების ლენინური პრინციპების შემდგომ განვითარებას წარმოადგენდა. რის თქმა სხვისი მიწა-წყლის დაპყრობაზე, მცირე ან სუსტი ეროვნებების შეერთებაზე, იმ ხალხების განთავისუფლების აუცილებლობაზე, რომლებიც წინათ იყვნენ ძალდატანებით შეერთებული, დამოუკიდებლად იმისა, თუ სად ცხოვრობს ეს ერი, ყოველივე ეს ნათლად აჩვენებდა კოლონიალურ უღელქვეშ მოქცეულ ერებს, რომ ოქტომბრის რევოლუციით იწყებოდა მათი განთავისუფლების ერა.

დეკრეტში გამოხატულია საბჭოთა სახელმწიფოს ზრუნვა და პატივისცემა იმპერიალიზმისაგან დაჩაგრული და დამონებული ხალხებისადმი. მისწრაფება მათი განთავისუფლებისათვის, თავდასხმა სუსტ ერებზე, მათი დამოუკიდებლობის ხელყოფა დიდ ბოროტებად იქნა გამოცხადებული.

„ამ ომის ვანგრძობა, — ნათქვამი იყო დეკრეტში, — იმის გულისათვის, თუ როგორ გაიყონ ურთიერთშორის ძლიერმა და მდიდარმა ერებმა მათ მიერ დაპყრობილი სუსტი ეროვნებანი, მთავრობას მიაჩნია უდიდეს დანაშაულად კაცობრიობის წინააღმდეგ“¹.

საბჭოთა მთავრობა მიმართავდა მეომარი ქვეყნების მთავრობებსა და ხალხებს ხელი შეეწყობოთ ზავის საქმის ბოლომდე მიყვანისა, მოსახლეობის მშრომელი და ექსპლუატირებული მასების ყოველგვარი მონობისაგან და ყოველგვარი ექსპლუატაციისაგან განთავისუფლებისათვის.


საზავო დეკრეტი ფარდას ხდიდა ბურჟუაზიულ მთავრობათა საიდუმლო შეთანხმებებს, მათი დიპლომატიების ბუნდოვან ფრაზეოლოგიას, რომლებიც ლაპარაკობდნენ მშვიდობაზე, სამართლიანობაზე, კულისებში კი ინაწილებდნენ სხვა სუსტად დაცული ერების ტერიტორიებს, სდებდნენ საიდუმლო ავაზაკურ გარიგებებს, ხალხმა კი ამის შესახებ არაფერი იცოდა. საბჭოთა სახელმწიფომ კურსი აიღო იქითკენ, რომ აშკარად, ხალხის წინაშე ეწარმოებინა ნამდვილი სახალხო საგარეო პოლიტიკა. ამიტომ ლენინური საზავო დეკრეტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღონისძიება იყო საიდუმლო დიპლომატიის გაუქმება და საიდუმლო იმპერიალისტურ ხელშეკრულებათა გამოქვეყნება.

ახლად შექმნილმა საგარეო საქმეთა კომისარიატმა მართლაც გამოაქვეყნა საიდუმლო დოკუმენტების 7 კრებული, რამაც უაღრესად აღამფთოთა იმპერიალისტური სახელმწიფოების მესვეურნი.

საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე დეკრეტში ლაპარაკია საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებაზე, ვინაიდან ომს მშრომელი მასებისათვის მოაქვს მხოლოდ მსხვერპლი და უბედურება, სიღატაკე და შიმშილი, თვით სოციალიზმისათვის ბრძოლა, მშვიდობიანი მშენებლობა, მოსახლეობის მატერიალური პირობების განუწყვეტელი გაუმჯობესებისათვის ზრუნვა მოითხოვს ორი სისტემის მშვიდობიან თანაარსებობას.

ვ. ი. ლენინმა საგარეო და საშინაო პოლიტიკის დარგში მთავარ ამოცანად დააყენა კომუნისტური საზოგადოების მშვიდობიანი მშენებლობის უზრუნველყოფა, ამ ნაციონალურ და ინტერნაციონალურ ამოცანას დაუქვემდებარა საერთაშორისო პოლიტიკის, სხვა სახელმწიფოებთან დამოკიდებულების სა-

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 26, გვ. 287.



კითხვები და დაასკვნა, რომ ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო სოციალურ-ეკონომიური სისტემის სახელმწიფოთა თანაარსებობა ისტორიული გარდამავლობაა, ადამიანთა საზოგადოების განვითარების ობიექტური აუცილებელი პირობაა. ვ. ი. ლენინის ეს პრინციპი იქიდან გამომდინარეობდა, რომ კაპიტალიზმის არათანაბარი განვითარების გამო სოციალიზმის გამარჯვება შესაძლებელია ერთ ან რამდენიმე ქვეყანაში და სოციალიზმის ქვეყნებს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოუხდებოდათ დედამიწაზე კაპიტალისტური წყობის გვერდით არსებობა, ეკონომიური, მეცნიერული, ტექნიკური და კულტურული თანამშრომლობა, ურთიერთხელსაყრელი ვაჭრობა. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ „არსებობს უფრო ძლიერი ძალა, ვიდრე რომელიმე მტრული მთავრობის ან კლასის სურვილი. ნება და გადაწყვეტილებაა, ეს ძალაა, — საერთო ეკონომიური მსოფლიო ურთიერთობა, რაც აიძულებს მათ დაადგინონ ჩვენთან კავშირურთიერთობის ამ გზას“¹.

საბჭოთა სახელმწიფო თავის მხრივ ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ეკონომიური, სავაჭრო ურთიერთობა გვქონდა კაპიტალისტურ ქვეყნებთან. ითვალისწინებდა რა ახალგაზრდა ქვეყნის მატერიალურ, ტექნიკურ და სამხედრო მომზადების დონეს, ფრთხილ, მოქნილ პოლიტიკას აწარმოებდა იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან. ვ. ი. ლენინი ყოველთვის ურჩევდა პარტიას, ხალხს გამოეყენებინათ კაპიტალისტურ სისტემაში არსებული წინააღმდეგობანი, ან შემოფარგლულიყვნენ ცალკეული უმნიშვნელო ფაქტებით, კაპრიზებით, არ წაესისინებინათ ხალხები ომისაკენ, არამედ მშვიდობიანად მოეწესრიგებინათ სადავო საკითხები. საჭირო შემთხვევაში უნდა შეგვეძლებოდა გონივრული კომპრომისების გაკეთებაც, უკან დახევაც, რათა ვაგვეხანგრძლივებინა მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომა სოციალიზმის მშენებლობის წარმატებისათვის.

ჯერ კიდევ 1918 წელს ქვეყნის საომარი მდგომარეობიდან გამოყვანისა და მშვიდობიანი მშენებლობის გზაზე გასვლის მიზნით საბჭოთა მთავრობამ ხელი მოაწერა მეტად მძიმე ბრესტის ზავს. ვ. ი. ლენინი მაშინ წერდა:

„ჩვენ საქმიანად მოვაწერეთ ხელი ზავის უმძიმეს პირობებს და ვთქვით: „მეტად ძვირფასია ჩვენთვის ჩვენი მუშებისა და ჯარისკაცების სისხლი, თქვენ, როგორც ვაჭრებს, მძიმე ხარკს გადაგიხდით ზავისათვის, ჩვენ დავთანხმდებით მძიმე ხარკზე, ოღონდ კი შევინარჩუნოთ მუშებისა და გლეხების სიცოცხლე“². მაგრამ ეს იყო მაშინ, როცა ზავის დაუდებლობა გარდუვლად იწვევდა ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვრის დაკარგვას, ამ დროს გონივრული კომპრომისი, მსხვერპლი შეიძლებოდა გაგველო მშვიდობისათვის. ეს არ ნიშნავდა პრინციპულ საკითხებში დათმობას, შემგუთებლობას. საბჭოთა ხალხი არასოდეს არ უთმობდა აგრესიულ სახელმწიფოთა თავხედურ გამოხდომებს. არსებობს დათმობის საზღვრები. „იცავს რა მუშებისა და გლეხების სურვილს ჰქონდეთ მშვიდობა, წერდა ვ. ი. ლენინი, — საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობა არასოდეს არ უშვებდა მხედველობიდან, რომ არის საზღვრები, რომელთა იქით თუნდაც

1 ვ. ი. ლენინი, ტ. 33. გვ. 170.
 2 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 30 გვ. 256.



ყველაზე უფრო მშვიდობისმოყვარე მშრომელი-მასები იძულებული იქნებიან აღდგენ და აღდგებიან კიდევ, როგორც ერთი კაცი, თავისი ქვეყნის ღებული ხელით დასაცავად¹.

კაპიტალისტურ სახელმწიფოებში იყვნენ რეალურად მოაზროვნე მოღვაწეები, რომლებიც ცდილობდნენ განემტკიცებინათ საბჭოთა ქვეყანასთან საქმიანი ეკონომიური კავშირი და ჩვენი ქვეყანაც ყოველთვის დადებითად ეკიდებოდა ასეთ მისწრაფებებს. ამ მხრივ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს სავაჭრო ურთიერთობის დამყარებას 1921—1922 წწ. ინგლისთან, ავსტრიასთან, გერმანიასთან, იტალიასთან, ჩეხოსლოვაკიასთან და სხვა ქვეყნებთან.


1922 წლის გენუის კონფერენციის მომზადების დროს, რომლის მიზანი იყო ევროპის ეკონომიური აღორძინება, საბჭოთა დელეგაცია, ასრულებდა რა ვ. ი. ლენინის მითითებებს, მოითხოვდა ფართო ეკონომიურ თანამშრომლობას კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან, ვაჭრობას, ოქროს პროპორციულ განაწილებას. ურთიერთეკონომიურ დახმარებას, საყოველთაო განიარაღებას და სხვ. ეს იყო პრაქტიკული საქმიანი ნაბიჯი მშვიდობიანი თანაარსებობისა. იმპერიალისტური სახელმწიფოების მთავრობებმა არ მიიღეს საბჭოთა მთავრობის წინადადებანი, მათ სურდათ ეკონომიური და დიპლომატიური ზეგავლენის საშუალებით თავს მოეხვიათ საბჭოთა რუსეთისათვის კოლონიური რეჟიმი. საბჭოთა დელეგაციამ ამხილა იმპერიალისტთა გეგმების მძარცველური ხასიათი, მოხერხებულად გამოიყენა გენუის კონფერენციის მონაწილე კაპიტალისტური სახელმწიფოებს შორის არსებული წინააღმდეგობანი და 1922 წლის აპრილში რაპალოში ხელშეკრულება დადო გერმანიასთან. ორივე ქვეყანამ ერთმანეთთან დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა, რამაც გაბზარა იმპერიალისტური სახელმწიფოების ფრონტი და ხელი შეუწყო საბჭოთა სახელმწიფოს სამშვიდობო პოლიტიკის შემდგომ განვითარებას. ეს იყო ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის ლენინური საგარეო პოლიტიკის უდიდესი გამარჯვება.

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებამდე იმპერიალისტური სახელმწიფოების: ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის მმართველი წრეები ცდილობდნენ აღედგინათ გერმანიის მილიტარიზმი და უბიძგებდნენ გერმანიის კაპიტალისტებს დაეწყით ეკონომიური ექსპანსია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, გადაეჭიათ იგი გერმანული საქონლის გასაღების ბაზად, ფეხზე დაეყენებინათ გერმანიის ეკონომიკა, დაუბრკოლებლივ აეღოთ რეპარაციები და გამოეყენებინათ იგი როგორც შეიარაღებული მუშტი სოციალისტური ქვეყნის წინააღმდეგ. 1925 წელს გერმანია, ლოკარნოს ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, შევიდა დასავლეთ სახელმწიფოების ანტისაბჭოთა ბლოკში.

1925—1927 წლების განმავლობაში საბჭოთა კავშირმა ნეიტრალიტეტისა და თავდაუსხმელობის შესახებ ხელშეკრულებები დადო თურქეთთან, ავღანეთთან, ლიტვასთან და თვით გერმანიასთან, რითაც აძნელებდა ამ ქვეყნების აქტიურ მონაწილეობას ანტისაბჭოთა ფრონტში.

კაპიტალისტური მსოფლიო არ ცხრებოდა, ამზადებდა ახალ ომს. შეიქ-

¹ ვ. ი. ლენინი, კრებული XXI, გვ. 158.




მნა ომის სამიწროების ორი კერა — ერთი აღმოსავლეთში იაპონიის მიერ მანჯურიის ოკუპაციით, ხოლო მეორე — გერმანიაში ფაშისტური დიქტატორული დამყარებით. 1936 წელს ფაშისტურმა გერმანიამ და იმპერიალისტურმა იაპონიამ დადეს ევრეთწოდებული „ანტიკომინტერნული პაქტი“, რომელსაც შეუერთდა ფაშისტური იტალიაც.

„ანტიკომინტერნული პაქტის“ მონაწილე აგრესიულ სახელმწიფოთა თავახსნილ მოქმედებას ყველა საშუალებით ხელს უწყობდნენ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მმართველი წრეები. იცავდნენ რა „ნეიტრალიტეტისა“ და „ჩაურევლობის“ პოლიტიკას, ისინი ფაქტიურად პირველი სოციალისტური სახელმწიფოს წინააღმდეგ უსისინებდნენ მათ, ჩუმ-ჩუმად აქეზებდნენ აგრესორებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

იმ დაძაბულ საერთაშორისო ვითარებაში საბჭოთა ქვეყანა იბრძოდა ევროპის კოლექტიური უშიწროების განმტკიცებისათვის. ამ პოლიტიკამ მხარდაჭერა ჰპოვა მსოფლიოს მილიონიან მშრომელებში. საბჭოთა კავშირმა მიიღო ერთა ლიგის წევრი 30 სახელმწიფოს მიწვევა და 1934 წელს შევიდა ერთა ლიგაში, რათა ფაშისტების აგრესიული პოლიტიკის მხილებსათვის გამოეყენებინა თუნდაც ეს სუსტი საერთაშორისო ორგანიზაცია. 1935 წლის მაისში, საბჭოთა კავშირმა ხელი მოაწერა ურთიერთდახმარების ხელშეკრულებებს საფრანგეთთან და ჩეხოსლოვაკიასთან. ჩვენი ქვეყანა ყველაფერს აკეთებდა, რათა ხორცი შესხმოდა ამ შეთანხმებას, მაგრამ საფრანგეთისა და ჩეხოსლოვაკიის ბურჟუაზიული წრეების მოღალატური მოქმედების შედეგად იგი არ განხორციელდა. 1938 წლის მარტში ფაშისტურმა გერმანიამ დაიპყრო ავსტრია. საბჭოთა სახელმწიფომ ხმა აღიმალა ამ ახალი აგრესიის წინააღმდეგ და მოუწოდა ევროპის სახელმწიფოებს კოლექტიურად ემოქმედათ ფაშიზმის ასალავმავად, მაგრამ ინგლისმა და საფრანგეთმა 1938 წლის სექტემბერში მიუნხენის კონფერენციაზე ჰიტლერს მისცეს თანხმობა ხელში ჩაეგდოთ ჩეხოსლოვაკიის სტრატეგიული ტერიტორია — სუდეტის ოლქი. ეს გარიგება წარმოადგენდა დასავლეთის სახელმწიფოების მმართველი წრეების აგრესიის წაქეზების უმაღლეს წერტილს. საბჭოთა კავშირი მზად იყო დახმარებოდა ჩეხოსლოვაკიას თუკი ამას ჩეხოსლოვაკია მოითხოვდა, მაგრამ ამ ქვეყნის ბურჟუაზიულმა მმართველმა წრეებმა ამჯობინეს ფაშისტური გერმანიის მიერ ქვეყნის ოკუპაცია, ვიდრე დახმარების მიღება საბჭოთა კავშირის მხრიდან. 1939 წლის მარტში ფაშისტურმა გერმანიამ მოახდინა ჩეხოსლოვაკიის მთლიანი ოკუპაცია.

საბჭოთა ქვეყანა მეორე მსოფლიო ომის წინ იყო ერთადერთი სახელმწიფო, რომელიც იბრძოდა მშვიდობისათვის, აგრესორების ალაგმვისათვის, ომის თავიდან აცილებისათვის, მაგრამ მას მხარი არ დაუჭირა დასავლეთის სახელმწიფოებმა. პირიქით, ისინი აგრესორებს აქეზებდნენ დაეწყოთ ომი საბჭოთა ქვეყანასთან. ამიტომ დაუთმეს ფაშისტებს ავსტრია. ჩეხოსლოვაკია, რესპუბლიკური ესპანეთი, ალბანეთი და სხვა სახელმწიფოები. როდესაც ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტებმა დაინახეს, რომ ფაშისტური გერმანია იბრძვის არა მარტო კომუნისტების წინააღმდეგ, არამედ სურს ხელში ჩაეგდოს ჯერ ევროპა და შემდეგ მთელი მსოფლიო, იძულებული გახდნენ დაეწყოთ მოლაპარაკება საბჭოთა ქვეყანასთან გერმანიის აგრესიის წინააღმდეგ ერთიანი მოქმედების შესახებ. ამავე დროს ზურგს უკან მოლაპარაკებას აწარმოებდნენ ფაშისტურ



გერმანიასთანაც, ცდილობდნენ წარემართად აგრესია მართო საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ, ომის შემთხვევაში ეცლიათ მათთვის დაესუსტებინათ და ბოლოს თავიანთი ზემოქმედების ქვეშ მოექციათ როგორც ერთი, ისე მეორე ქვეყანა.

კაპიტალისტური ქვეყნების ამ გაორებულმა დიპლომატიურმა თამაშმა კაცობრიობა ომის ქარცეცხლში გახვია. საბჭოთა კავშირის თანმიმდევრულმა, მართებულმა პოლიტიკამ თავისუფლებისმოყვარე პროგრესული ძალების თანაგრძნობა და მხარდაჭერა პპოვა, ომის დროს ანტიჰიტლერული კოალიციის ძალთა შეკავშირების მიმზიდველი ცენტრი გახდა. საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის უდიდეს წარმატებად უნდა მივიჩნიოთ ანტიჰიტლერული კოალიციის შექმნა ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მონაწილეობით. ომმა არ გაამართლა დასავლეთის იმპერიალისტების სანუკვარი ოცნება საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს მოსპობის შესახებ. საბჭოთა არმიამ არა მარტო გაანადგურა ფაშისტური გერმანიისა და მისი მოკავშირეების შეიარაღებული ძალები და განდევნა ისინი ჩვენი ქვეყნის ოკუპირებული ტერიტორიიდან, არამედ უდიდესი დახმარება აღმოუჩინა ევროპისა და აზიის მთელ რავ ხალხებს: ფაშისტური გერმანიის და იმპერიალისტური იაპონიის უღლისაგან განთავისუფლების საქმეში.

თუ ომამდე ჩვენი ქვეყანა წარმოადგენდა ერთადერთ სოციალისტურ სახელმწიფოს მსოფლიოში, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კაპიტალისტურ სამყაროს ჩამოსცილდა ქვეყნები, სადაც დამყარდა სახალხო-დემოკრატიული წყობილება, ისინი გვერდში ამოუდგნენ საბჭოთა კავშირს და შეიქმნა მძლავრი სოციალისტური ბანაკი. ამრიგად, ჩვენი ეპოქის მთავარ ნიშანს შეადგენს ის, რომ სოციალიზმი გასცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს და მსოფლიო სისტემად გადაიქცა. კიდევ უფრო განმტკიცდა და გაიზარდა ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტი, მსოფლიო სოციალისტური სისტემის გავლენა საზოგადოებრივი განვითარების ყველა დარგში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალ პროგრამაში ნათქვამია: „თანამედროვე ეპოქა, რომლის ძირითადი შინაარსია კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა, არის ორი ერთმანეთის მოწინააღმდეგე საზოგადოებრივი სისტემის ბრძოლის ეპოქა, სოციალისტური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციის ეპოქა, იმპერიალიზმის მსხვრევის, კოლონიური სისტემის ლიკვიდაციის ეპოქა, სოციალიზმის გზაზე სულ ახალი ხალხის გადასვლის, მსოფლიო მასშტაბით სოციალიზმისა და კომუნისმის გამარჯვების ეპოქა“¹.

საბჭოთა კავშირის დამოკიდებულება სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან სოციალისტური ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულება ეკონომიურ, პოლიტიკურ და იდეოლოგიურ დარგში, არის საუკეთესო ნიმუში საერთაშორისო ურთიერთობაში ლენინური პრინციპების გამარჯვებისა, რომელიც მტკიცედაა დაფუძნებული პროლეტარული ინტერნაციონალიზმის გრანტულ საფუძველზე. სრულ თანასწორუფლებიანობაზე, ძმურ თანამშრომლობაზე, ურთიერთდახმარებაზე, საშინაო საქმეებში ჩაურევლობაზე, ტერიტორიალურ მთლიანობაზე.

¹ სკკპ XXII ყრილობის მასალები, გვ. 397.



ვ. ი. ლენინი ამბობდა: „მხოლოდ უდიდესი ყურადღების გამოჩენა სხვადასხვა ერის ინტერესებისადმი სპობს ნიადაგს კონფლიქტებისათვის, ურთიერთუნდობლობას, სპობს ყოველგვარი ინტრიგების შიშს, ქმნის იმ საფუძვანსავე, რომელიც განსაკუთრებით სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე მუშებისა და გლეხების მხრივ, ურომლისოდ აბსოლუტურად შეუძლებელია როგორც მშვიდობიანი ურთიერთობა ხალხებს შორის, ისე რამდენადმე წარმატებითი განვითარება ყოველივე იმისა, რაც კი საგულისხმო რამ არის თანამედროვე ცივილიზაციაში“¹.

ამ დებულებიდან გამომდინარე საბჭოთა ქვეყანა როცა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან დებდა თანაზარულ ურთიერთობებს ხელშეკრულებებს მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე სოციალისტური სისტემის ქვეყნები, როცა შექმნეს კოლექტიური ორგანოები — ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭო (1949 წ.) და ვარშავის ხელშეკრულების თავდაცვითი ორგანიზაცია (1955 წ.).

სოციალისტური ქვეყნების ეკონომიურმა, პოლიტიკურმა და სამხედრო თანამშრომლობამ განაპირობა ამ ქვეყნების დიპლომატიური მოღვაწეობის ერთიანობა. ეს ერთიანობა კი მძლავრ დაბრკოლებას ქმნის ახალი მსოფლიო ომის გაჩაღების წინააღმდეგ. სოციალისტურ თანამეგობრობაში შემავალი ქვეყნები მთელი თავიანთი აქტიურად საგარეო პოლიტიკით უპირისპირდებიან მილიტარიზმის და აგრესიის ძალებს. თავიანთი ქმედითი აქტებით და წინადადებებით ხელს უწყობენ სერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში აღუდგებიან მსოფლიოს პროგრესულ ძალებს და ქმნიან მშვიდობისათვის ბრძოლის ფართო საერთაშორისო ფრონტს.

ცხოვრებამ დაამტკიცა, რომ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები სწორად მოიქცნენ, როცა დასავლეთ სახელმწიფოების აგრესიული მოქმედების საპასუხოდ შექმნეს საკუთარი თავდაცვითი ორგანიზაცია, რომელიც ყოველდღიურად მტკიცდება და სულ უფრო სრულყოფს თავის საქმიანობას, ზრდის მოკავშირე ქვეყნების შეიარაღებული ძალების აღჭურვას უახლესი სამხედრო ტექნიკით, ოსტატობით და მრისხანე ძალად აქცევს მას ყველა ჯურის აგრესორის წინააღმდეგ.

სახელმწიფოთა სოციალისტური თანამეგობრობა მთელი მსოფლიოს მშრომელთა ისტორიული მონაპოვარია. იგი უნდა განმტკიცდეს და გაძლიერდეს ყველა მონაწილე ქვეყნის ერთობლივი ღონისძიებებით. „ასე იქვდება — განაცხადა ა. მ. ლ. ი. ბრუჟნევიკმა კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის საერთაშორისო თათბირზე, — კოლექტიური მეცადინეობით სოციალისტურ სახელმწიფოთა თავდაცვის მძლავრი იარაღი იმპერიალიზმის სამყაროსთან შეუპოვარ ბრძოლაში. ეს ამასთან ერთად არის თავისუფლების იარაღი იმათთვის, ვინც შეიარაღებულ ბრძოლას აწარმოებს იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ჩვენნი ძლიერება მშვიდობის ბურჯია ყველასათვის, ვინც იბრძვის ახალი მსოფლიო ომის საფრთხის წინააღმდეგ. სოციალიზმისა და მშვიდობის რომ ვიცავთ, ჩვენ ვიცავთ კაცობრიობის მომავალს“².

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 456.
² ვაზ. „კომუნისტი“, 1969 წ., 8 ივნისი, № 132.




კომუნისტებს მუდამ უნდა ახსოვდეთ, რომ ბევრი სიძნელე არის დაკავშირებული იმპერიალიზმის მუდმივ სწრაფვასთან ზეგავლენა მოახდინოს სოციალიზმის სამყაროზე, ზეგავლენა ეკონომიური, პოლიტიკური, იდეოლოგიური. ერთი დღითაც არ წყდება იმპერიალისტთა ცდები შეიზღუდონ სოციალიზმის პოზიციები, შეიტანონ განხეთქილებისა და გათიშულობის ელემენტები სოციალისტური ქვეყნების ურთიერთობაში და იქ, სადაც სიფხიზლე დუნდება, სადაც კომუნისტები ჯეროვნად ვერ აფასებენ საზოგადოებრივი მოვლენებისადმი კლასობრივი მიდგომის აუცილებლობას. იმპერიალისტთა ხრიკებს გარკვეულ შედეგები მოსდევს. აქტიურდებიან მემარჯვენე ოპორტუნისტული და აშკარა ანტისოციალისტური ელემენტებიც კი, ძლიერდება ნაციონალისტური განწყობილება. მუშათა კლასისა და კომუნისტური პარტიის ვალია დროულად ამხილოს შენიღბული მტრის მოქმედება. სასწრაფოდ დაძლიოს სიძნელენი და უთანხმოებანი პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე, ამხანაგური განხილვისა და ნებაყოფლობითი ძმური თანამშრომლობის გზით. აზრთა და შეხედულებათა სხვადასხვაობა არ უნდა არღვევდეს სოციალისტურ სახელმწიფოთა ერთიან ფრონტს იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

„ინტერნაციონალიზმი საქმით — წერდა ლენინი, — ერთია და მხოლოდ ერთი თავდადებული მუშაობა საკუთარ ქვეყანაში რევოლუციური მოძრაობისა და რევოლუციური ბრძოლის გასაძლიერებლად, მხარდაჭერა (პროპაგანდით, თანაგრძნობით, მატერიალურად) ასეთივე ბრძოლისა, ასეთივე ხაზისა და მართოდ მართო მისი, ყველა ქვეყანაში გამოუტყლებლიც“¹.

მონოპოლისტური კაპიტალის გადაქცევა საერთაშორისო რეაქციულ ძალად, იმპერიალისტების ცდები შეინარჩუნონ კაპიტალისტური წყობილება, შექმნან ძლიერი სამხედრო კავშირები, მოახდინონ მთელი რეზერვების მობილიზაცია ეკონომიკაში, პოლიტიკასა და იდეოლოგიაში, მათ მიერ ჩადენილი ყოველგვარი დანაშაული და საზიზღრობა, მათი მიზანი ჩაგრონ და ძარცვონ მსოფლიოს ყველა ხალხი — ობიექტურად უწყობს ხელს იმას, რომ სხვადასხვა ქვეყნის მშრომელებმა შეიგნონ თავიანთი ძირეული ინტერესების ერთობა. თვით ცხოვრებას მიჰყავს მსოფლიო პროლეტარიატი და ყველა მშრომელი იმ შეგნებამდე, რომ ისინი არ შეიძლება ვულგარული იყვნენ სხვა ქვეყნებისა და ხალხების ბედისადმი. კლასობრივი ბრძოლის ისტორიამ ისინი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა სოლიდარობა და მხარდაჭერა ყველა განმანათლებლადი მოძრაობისადმი, რომელ კონტინგენტზედაც არ უნდა მიმდინარეობდეს იგი.

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ უძლიერესი ლახვარი ჩასცა იმპერიალიზმის კოლონიურ სისტემას. კოლონიური ხალხების ეროვნულ-ვანმათავისუფლებელი ბრძოლა განსაკუთრებული ძალით გაჩაღდა, გაგრძელდა ომის შემდგომ შექმნილ ახალ ვითარებაში და გამოიწვია იმპერიალიზმის მთელი

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 24, გვ. 70.



კოლონიური სისტემის დაშლა. წარმოიშენენ ახალგაზრდა დამოუკიდებელი სახელმწიფოები, რომლებიც საერთაშორისო ურთიერთობაში უდიდეს როლს ასრულებენ. დავიწყებას ეძლევა ის დრო, როცა სახელმწიფოთა ურთიერთობები ფარგლები არ სცილდებოდა თეთრკანიანი ხალხებით დასახლებულ სახელმწიფოებს. ამჟამად ამ ურთიერთობას ნამდვილად მსოფლიო ხასიათი აქვს. ამის ცოცხალ დადასტურებას წარმოადგენს ის ცვლილებანი, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შემადგენლობაში მოხდა. თუ 1945 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შედიოდა მხოლოდ 51 სახელმწიფო, ამჟამად მასში შედის 122 სახელმწიფო. ჯერ კიდევ 1955 წელს ამ ორგანიზაციაში შედიოდა მხოლოდ 5 აფრიკული სახელმწიფო, ახლა ეს რიცხვი გაიზარდა 35 სახელმწიფომდე¹.

საერთაშორისო ურთიერთობის მნიშვნელოვან თავისებურებას თანამედროვე ეტაპზე წარმოადგენს მსოფლიოს ხალხთა ფართო მასების მონაწილეობა საერთაშორისო პოლიტიკაში. ეს ბუნებრივი შედეგია ჩვენი ეპოქის იმ დიდი სოციალისტური და პოლიტიკური გარდაქმნებისა, რომლებიც გამოიწვია ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, მსოფლიოს სოციალისტური სისტემის შექმნამ, ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ და მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლამ.

ჩვენი დროის ყველაზე მწვავე პრობლემაა ომისა და მშვიდობის პრობლემა. იმპერიალიზმმა კაცობრიობას თავს დაატეხა ორი გამანადგურებელი ომი, ახლა მას ემუქრება ახალი თერმობატომური ომით, რომელიც დაღუპვასა და ტანჯვას მოუტანს ასობით მილიონ ადამიანს, დაანგრევს და გაანადგურებს საუკუნეების განმავლობაში შექმნილ კულტურას, ცივილიზაციას. კაპიტალიზმის ბუნება არ შეცვლილა, მისი მიზანი იყო და რჩება სხვისი ტერიტორიებისა და ხალხების დაპყრობა, მსოფლიო ბატონობისაკენ მისწრაფება. იმპერიალიზმს ჯერ კიდევ დიდი ძალა აქვს: მძლავრი მილიტარისტული მანქანა, ომის გამჩაღებელთა დიდი აპარატი, სამხედრო-აგრესიული ბლოკის განშტოებული სისტემა, თერმობატომური იარაღის მომაკვდინებელი მარაგი. აგრესიისა და ომის მთავარი ძალაა ამერიკის იმპერიალიზმი. კაცობრიობა ომისშემდგომ პერიოდში მოწმეა ამერიკის იმპერიალისტების მრავალი აგრესიული მოქმედებისა აზიასა და აფრიკაში, ლათინური ამერიკის ქვეყნებში, მათ შექმნეს ყველა პირობა, იმისათვის, რომ კვლავ აღედგინათ მილიტარიზმი და ნაციზმი დასავლეთ გერმანიაში. „ცივმა ომმა“, რომელიც საგარეო პოლიტიკის საფუძვლად გამოაცხადეს იმპერიალისტებმა, მოწამლა საერთაშორისო ურთიერთობა—უნდობლობა, დაძაბულობა დამკვიდრდა ჩვენს პლანეტაზე.

საბჭოთა სახელმწიფო—სოციალისტური სისტემის ქვეყნებთან ერთად მტკიცედ იბრძოდა ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პოლიტიკის გატარებისათვის და მან უკანასკნელ წლებში თავისი ნაყოფი გამოიღო. სკკპ XXIV ყრილობის მიერ მიღებულმა მშვიდობის პროგრამამ ხორცი შეისხა, მკვეთრად დაისახა შემობრუნება მშვიდობის განმტკიცებისაკენ, დაძაბუ-

¹ «Международная жизнь», 1966, № 2, стр. 74.




ლობის შენელებისავენ. სადაო პრობლემების მშვიდობიანი საშუალებებით მოწესრიგებისავენ. მსოფლიოში სულ უფრო ფართოდ მკვიდრდებიან საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანამშრომლობის პრინციპები. ეს პრინციპები დამკვიდრდა საფრანგეთთან, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან, იტალიასთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან და მსოფლიოს სხვა სახელმწიფოებთან. უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების შეთანხმებას, რათა არა თუ არ დაუშვან ატომური ომი ერთმანეთს შორის, არამედ ყველაფერი იღონონ კიდევ საერთოდ ატომური ომის თავიდან აცილებისათვის. ეს უშუალოდ საკეთილდღეოა მსოფლიოს ყველა ხალხისათვის, თავისთავად ნათელია, რომ სხვა სახელმწიფოთა მზადყოფნა შეუერთდნენ საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების მიერ ერთობლივად დადასტურებულ პრინციპებს, რომელთა თანახმად უარს ამბობენ ძალის გამოყენებაზე და გადაწყვეტ ლონისძიებებს მიმართავენ. ატომური ომის აღსაკვეთად უდიდესი მნიშვნელობის საქმედ იქცევა ქვეყნად საყოველთაო უშიშროებისა და მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფა.

საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაუმჯობესებამ, უეჭველია, თავისი როლი შეასრულა ვიეტნამში მრავალი წლის ომის შეწყვეტისათვის ხელშეწყობის თვალსაზრისითაც. იგი ხელს შეუწყობს მომავალში იმას, რომ ინდოჩინეთის ყველა ხალხს მიეცეს შესაძლებლობა იცხოვრონ მშვიდობიან პირობებში.

ჩვენს პლანეტაზე ჯერ კიდევ არის „ცხელი წერტილები“, და ყველა იმათი ამოცანა. ვინც ნამდვილად ესწრაფვის მშვიდობასა და უშიშროებას, ის არის, რომ მოსპონ ომისა და საშიში დაძაბულობის კერები.

ჩვენი ქვეყანა მშვიდობის პროგრამის შესაბამისად პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებს ახლო აღმოსავლეთში ომის კერის ლიკვიდაციას იმ სახელმწიფოთა და ხალხთა კანონიერი უფლებების პატივისცემის საფუძველზე, რომლებმაც განიცადეს აგრესია.


არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, სირიისა და იორდანის წინააღმდეგ ისრაელ დამპყრობთა აგრესიის შედეგად დიდი საერთაშორისო კრიზისი წარმოიშვა ახლო აღმოსავლეთში. სწორედ ამ აგრესიის მეოხებით იმპერიალიზმი ცდილობს დაამხოს პროგრესული რეჟიმები არაბულ ქვეყნებში, შეინარჩუნოს ან აღიდგინოს თავისი პოზიციები ახლო აღმოსავლეთში. იმპერიალიზმის ეს გეგმები მთლიანად ჩაიფუშა, მაგრამ ისრაელის მმართველი წრეები, რომლებსაც მხარს უჭერს მსოფლიო რეაქცია, განაგრძობენ ექსპანსიისა და ანექსიის პოლიტიკას, განუწყვეტლივ სჩადიან ახალ სამხედრო პროვოკაციებს, უგულვებელყოფენ არაბეთის სახელმწიფოების, მშვიდობისმოყვარე ხალხების მოთხოვნებს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებებს ოკუპირებული ტერიტორიებიდან ისრაელის ჯარების გაყვანის შესახებ. ამ პოლიტიკის წინააღმდეგ ილაშქრებენ ისრაელის კომუნისტური პარტია და სხვა პროგრესული ძალები. არაბი ხალხები განაგრძობენ მტკიცე ბრძოლას თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და ეროვნული პროგრესის



დასაცავად, ყველა ოკუპირებული ტერიტორიის დაბრუნებისათვის, პალესტინის, არაბი ხალხის ეროვნული უფლებების ცნობისათვის. წინააღმდეგობის ერთობა ოკუპაციის წინააღმდეგ ფართოვდება. ამ ხალხების მხარეზე არიან კავშირი, სხვა სოციალისტური სახელმწიფოები, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა, კაპიტალისტური ქვეყნების სულ უფრო ფართო საზოგადოებრიობა. საბჭოთა ხალხის მხარდაჭერა გრძელდება და არ შეწყდება სანამ აგრესორი ისრაელები არ გაიყვანენ თავიანთ ჯარებს ოკუპირებული ტერიტორიიდან, სანამ ასეული ათასობით არაბი ლტოლვილი არ დაუბრუნდება მშობლიურ მიწას.

ევროპაში მოხდა რადიკალური ცვლილებები ამ კონტინენტზე სტაბილური მშვიდობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, „ცივი ომის“ მეოთხედი საუკუნის პერიოდიდან ევროპის სახელმწიფოები გადადიან აღმოსავლეთისა და დასავლეთის სახელმწიფოთა შორის მშვიდობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ურთიერთობაზე. მოსკოვის ხელშეკრულების შემდეგ წინ წავიდა საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობა. ორივე ქვეყანა, მძიმე წარსულის მიუხედავად, ახალ საფუძველზე შეუდგა მშვიდობიანი და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის სერიოზულ მოგვარებას. ხელშეკრულებები დაიდო გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკას შორის. გაბათილდა მიუნხენის სამარცხვინო გარიგება. ძალაში შევიდა ოთხმხრივი შეთანხმება, დასავლეთ ბერლინის შესახებ. ხელშეუხებელი დარჩა ევროპის სახელმწიფოთა არსებული საზღვრები. ისინი ჩამოყალიბდნენ უდიდესი ომის ქარცეცხლში დავი ურყევია, მათ საფუძველად უდევს იალტისა და პოტსდამის ისტორიული შეთანხმებანი. ევროპის სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა ორმხრივი კავშირურთიერთობა სულ უფრო ვითარდება, ჯანსაღდება და მტკიცე საფუძველს ქმნის ევროპის და საერთაშორისო მდგომარეობის განვითარებისათვის.

საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ინიციატივით დიდი ხანია მზადდება და უახლოეს დროში ჩატარდება სრულიად ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ევროპის ყველა სახელმწიფო, ამერიკის შეერთებული შტატები და კანადა. თათბირის მიზანია უწინარეს ყოვლისა ის, რომ მომავალი ევროპა იყოს მშვიდობის კონტინენტი, რომლის ხალხთა ცხოვრებაში სამუდამოდ აღიკვეთებოდა აგრესია. ევროპის ყველა სახელმწიფოს ურთიერთობა უნდა გადაიქცეს მშვიდობიანი. ურთიერთგამგებიანი, ყველასათვის ხელსაყრელი თანამშრომლობის ურთიერთობად, რომ განვითარდეს ქვეყნებს შორის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობა, რომ შეიქმნას ევროპაში საერთაშორისო დამოკიდებულების ახალი სისტემა, რომელსაც საფუძველად დაედება სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები.



ევროპის წარსული, ევროპის თანამედროვე სინამდვილე გვიკარნახებს ვიცხოვროთ კონფლიქტების გარეშე, გამოვრიცხოთ ტერიტორიული სპორები ურთიერთ შორის, ვიხელმძღვანელოთ იმით, რომ ყველა მხარე უნდა იყოს საზღვრების ურღვეობის პრინციპი, პატივი უნდა სცენ სახელმწიფოთა სუვერენულ თანასწორობას, უარი უნდა ეთქვას ძალის გამოყენებას, დამუქრებას, რაც კანონგარეშე აყენებს ომს, როგორც საერთაშორისო დავის გადაჭრის საშუალებას. სახელმწიფოებმა უნდა აღკვეთონ საშინაო საქმეებში ჩარევა და პატივი სცენ ქვეყნების პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ საფუძვლებს. ხალხებს უნდა მიეცეს უფლება დაამყარონ ისეთი საზოგადოებრივი წყობილება და აირჩიონ მმართველობის ისეთი ფორმა როგორც საჭიროდ მიაჩნიათ. თანდათანობით დაძლიონ კონტინენტის დაყოფა სამხედრო-პოლიტიკურ დაჯგუფებებად. გაყვანილი უნდა იქნეს უცხოეთის ჯარები ევროპის სახელმწიფოთა ტერიტორიიდან, მოხდეს სამხედრო ბაზების ლიკვიდაცია, გაუქმებული უნდა იქნეს ნატო და ვარშავის ხელშეკრულება და მოისპოს სამხედრო ბლოკები ევროპაში და სხვ.


სრულიად ევროპის თათბირმა უნდა დააკანონოს სახელმწიფოებს შორის დავის მოწესრიგების მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებები, როგორც არის მოლაპარაკება, შუამავლობა, არბიტრაჟი და სხვა საშუალებანი—მხარეებთან შეთანხმებით. მოაგვაროს ევროპაში ხანგრძლივი თანამშრომლობა, განსაზღვროს ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური ურთიერთობის ძირითადი მიმართულებანი, ამასთან პატივი სცენ ერთმანეთის კანონებს, ზნეჩვეულებებსა და ტრადიციების განუხრელ დაცვას. ამ ღონისძიებათა გატარებით ევროპა მშვიდობიანი თანაარსებობის ცოცხალი განსახიერება იქნება მსოფლიოს ხალხებისათვის.

ევროპის უშიშროების ამ მეტად საპასუხისმგებლო ამოცანების შესრულებისათვის ირანშემიან ამყამად კომუნისტური და მუშათა პარტიები, პროფკავშირები, ყველა პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი.

„თანამედროვე საერთაშორისო ვითარების მწვავე პრობლემები — განაცხადა ლ. ი. ბრეჟნევმა კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის საერთაშორისო თათბირზე, — ხელს არ გვიშლიან ვხედავდეთ უფრო ხანგრძლივი პერიოდის ამოცანებს, სახელდობრ დედამიწის იმ ნაწილებში კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის ამოცანას, სადაც განსაკუთრებით დიდია ახალი მსოფლიო ომის გაჩაღების, შეიარაღებული კონფლიქტების გაჩაღების საფრთხე. ასეთი სისტემა საუკეთესოდ შეცვლის არსებულ სამხედრო-პოლიტიკურ დაჯგუფებებს“¹.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო, ერთგულნი საგარეო პოლიტიკის ლენინური პრინციპების, ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა განამტკიცონ სოციალისტური ქვეყნების ერთიანობა და შეკავშირება, მხარი დაუჭირონ ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხებს, თანამედროვერულად განახორციელონ სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელ-

¹ გაზ. „კომუნისტი“, 1969 წ., 8 ივნისი, № 132.



მწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები, იგი სრულიადაც არ ეწინააღმდეგება ჩაგრული ხალხების უფლებას განთავისუფლებისათვის ბრძოლაში გამოიყენონ ის გზა, რომელსაც საჭიროდ ჩათვლიან შეიარაღებული თუ არა შეიარაღებული, — და არ ნიშნავს რეაქციული რეჟიმებისათვის მხარდაჭერას. იდეოლოგიური ბრძოლის შესუსტებას. ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის მიზანია იხსნას კაცობრიობა მსოფლიო თერმოატომური ომისაგან. ამის მიღწევა სავსებით შეესაბამება მთელი მსოფლიოს რევოლუციური და დემოკრატიული ძალების ინტერესებს.

ახლა, ისე, როგორც არასდროს საჭიროა ერთიანობა, შემჭიდროება, დარაზმულობა და არავითარ შემთხვევაში დაქსაქსულობა, ნაციონალური კარჩაკეტილობა და სექტანტობა. ისტორიამ, უდავოდ, დიდი პასუხისმგებლობა დააკისრა მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობას. ის, ვინც დღეს ხელს უშლის კომუნისტური რიგების, თანამედროვეობის მთელი რევოლუციური ძალების შეკავშირებას, კისრულობს უმძიმეს პასუხისმგებლობას მუშათა კლასის, ხალხთა მასების წინაშე, მშვიდობისა და პროგრესისათვის მებრძოლთა წინაშე და ფაქტიურად ხელს უწყობს იმპერიალისტებს დაუსჯელად აკეთონ თავიანთი შავბნელი საქმე.

„იმის მკაფიო მაგალითი, თუ რა ზიანი შეიძლება მიაყენოს კომუნისტთა საერთო საქმეს მარქსიზმ-ლენინიზმისაგან განდგომამ, ინტერნაციონალიზმთან კავშირის გაწყვეტამ, არის ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელობის პოზიცია“ — აღნიშნავდა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი.

ფაქტიურად უკვე ათი წელია, რაც ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა მარქსიზმ-ლენინიზმის მეცნიერული საფუძვლების რევიზიას ეწევა. ამჟამად, ჩინეთის კომპარტიის IX ყრილობის შემდეგ დაიწყო მაოიზმის იდეურ და პოლიტიკურ დებულებათა ევოლუციის ახალი ეტაპი. ჩინეთის პროპაგანდა აშკარად აცხადებს ამოცანას, რომ „მთელ დედამიწაზე აღიმართოს მაო ძე-დუნის იდეების დროშა“.


„პეკინის პრაქტიკული საქმიანობა საერთაშორისო ასპარეზზე იმის აშკარა დადასტურებაა, რომ მისმა საგარეო პოლიტიკამ ფაქტიურად გაწყვიტა კავშირი პროლეტარულ ინტერნაციონალიზმთან, დაკარგა კლასობრივი, სოციალისტური შინაარსი“. ჩინეთის ხელმძღვანელობამ მინიმუმამდე დაიყვანა ეკონომიური კავშირთა ურთიერთობა სოციალისტურ ქვეყნებთან. უარი თქვეს რა ჩვენთან პოლიტიკურ თანამშრომლობაზე, ჩინეთის ლიდერები საბჭოთა სახდერებზე შეიარაღებულ პროვოკაციებამდე მივიდნენ. ყოველივე ეს იმპერიალიზმის წიხტიკვით ასხამს წყალს, ვინაიდან არღვევს სოციალისტურ სახელმწიფოთა ერთიან ფრონტს, ხელს უშლის ანტიიმპერიალისტური ძალების შეკავშირებას.

საგარეო ურთიერთობის ლენინური პრინციპების ერთგული საბჭოთა ხალხი, კომუნისტური პარტია განვლილი ნახევარი საუკუნის განმავლობაში განუხრელად იბრძოდა საერთაშორისო რევოლუციური ძალების შეკავშირებისათვის, სიძნელების მიუხედავად ყოველთვის უაღრესად ფართო დახმარებას



უწევდნენ ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, თავისუფლებისა და სოციალიზმისათვის მებრძოლთ. საბჭოთა ადამიანებს თავისი ბრძოლისათვის უმთავრესი შემაჯამებელი ზეიმის დროს გულწრფელად შეუძლია გაიმეორონ „ვირსთენის სიტყვები: „ჩვენ არაფრისათვის და არავისთვის არ გვიღალატნია, არც ერთი სიყალბე არ დაგვიდასტურებია და არ დაგვიფარავს, არც ერთ ჭირში მეგობრისა და ამხანაგისათვის არ გვითქაფვს უარი დავხმარებოდით ყველაფრით, რითაც კი შეგვეძლო, ყველაფრით, რაც კი იყო ჩვენს განკარგულებაში“.

საბჭოთა ქვეყნის ხალხი შეიარაღებული მოწინავე მეცნიერული თეორიით, მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებით, მომავალშიდაც პირნათლად შეასრულებს თავის ინტერნაციონალურ მოვალეობას, კიდევ უფრო შეაკავშირებს თავიანთ რიგებს და სოციალიზმის მქონე ქვეყნებთან საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობასთან და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ რაზმებთან ერთად უზრუნველყოფს საყოველთაო მშვიდობას, მარქსიზმ-ლენინიზმის დიდი იდეების ზეიმს მთელ მსოფლიოში.





А. Н. ЧУРКИН

Канд. экон. наук

МИГРАЦИЯ СЕЛЬСКОГО НАСЕЛЕНИЯ И ЕЕ ТЕСНАЯ ВЗАИМОСВЯЗЬ С ЗАСТРОЙКОЙ И ПЕРЕУСТРОЙСТВОМ СЕЛА

Как известно, различают несколько видов миграции, т. е. географической подвижности населения. В зависимости от того, на какой срок приезжают люди в новые населенные пункты, различают маятниковую и сезонную миграцию наличного населения и миграцию постоянного населения.

Маятниковая миграция связана преимущественно с ежедневными (или еженедельными) трудовыми или культурно-бытовыми поездками жителей за пределы своих населенных пунктов. Сезонная миграция, осуществляемая на срок от одной—двух недель до нескольких месяцев, связана главным образом с реализацией трудовых отпусков, туристскими поездками, а также с сезонными промыслами.

Примером сезонной миграции является ежегодный выезд на «заработки» за пределы республики населения из южных районов Грузии.

Выезд характеризуется следующими данными:

Таблица 1

Наименование районов	Количество выезжающих по годам				
	1968 г.	1969 г.	1970 г.	1971 г.	1972 г.
1. Ахалкалакский	5500	4518	5263	5334	6784
2. Ахалцихский	550	660	1023	717	298
3. Богдановский	2500	1909	2000	2081	2612
4. Болнисский	401	337	373	227	1252
5. Дманисский	—	2700	218	1202	1983
6. Цалкский	2265	1131	730	3257	2921
7. Тетрицкарыйский	—	373	415	302	300
ИТОГО	11616	11628	10022	13120	16150

Основная масса мигрирующей рабочей силы выезжает из районов ранней весной и возвращается в ноябре того же года.

Рабочие, выезжающие в другие республики «на заработки», заключают договоры с руководителями колхозов, совхозов, строительных организаций на постройку отдельных зданий и сооружений в колхозах и совхозах, причем среднемесячные заработки достигают значительных сумм.

Очень распространен подобный тип сезонной миграции из Армянской ССР.

Миграция постоянного населения сопровождается изменением постоянного местожительства индивидов и их семей. С точки зрения влияния на социальное и экономическое развитие общества основной интерес представляет миграция постоянного населения, о которой и пойдет речь здесь.

Польский географ Анджел Марианьский, который провел большое исследование проблем миграции населения во всем мире, в своей книге «Современные миграции населения» делает вывод, что в настоящее время в мире существует шесть крупных государств, где внутренние миграции достигают больших размеров и вызывают существенные изменения в размещении производительных сил на их территории.

К этим странам принадлежат в восточном полушарии Советский Союз и две крупные азиатские страны—Китай и Индонезия, а в западном полушарии—США, Канада, Бразилия.

Советский Союз принадлежит к числу стран, внутренние миграции в которых за последние несколько десятилетий достигли весьма значительных размеров. Обусловлено это тем, что в эти годы развернулось огромное строительство на обширной территории страны, которая характеризуется к тому же значительной диспропорцией в размещении населения. По данным переписи населения 1959 г., в азиатской части СССР (без Урала и Закавказья), занимающей 75,6% территории страны, проживали 46,5 млн человек, т. е. 22,3% всего населения. Соответствующий показатель для 1897 г. (в современных границах СССР) составлял около 12,5%.

Наряду с основной тенденцией миграции—движением на восток—приблизительно с 1930 г. весьма значительные размеры приобретает миграция сельского населения в города. Это связано с процессом социалистической индустриализации страны, которая в СССР осуществлялась значительно более быстрыми темпами, чем процессы индустриализации и урбанизации в крупнейших капиталистических странах.

Основные миграции, начавшиеся в Советском Союзе, как уже упоминалось, примерно с 1930 г., были обусловлены осуществлением планов строительства первых пятилеток.

Их отличало то, что они направлялись прежде всего в промышленные городские центры.

Огромные массы населения мигрировали из села в промышленные центры, находящиеся как в районах старого заселения в Европейской части

Таблица 2.


Темпы роста населения в западных и восточных районах страны с 1959 по 1969 г. (Рассчитано по данным «Народное хозяйство СССР в 1968 г.» Статистический ежегодник, М., 1969, стр. 12)

Крупные экономические районы	Общая численность населения (в млн человек)		Прирост в млн человек	1969 г. в % к 1959 г.
	На 15 января 1959 г.	На 15 января 1969 г.		
С С С Р	208,8	238,9	30,1	111,0
А. Западные районы				
Северо-Западный	10,9	11,9	1,0	109,2
Центральный	25,7	26,8	1,1	104,7
Волго-Вятский	8,2	8,3	0,1	101,2
Поволжский	16,0	18,1	2,1	113,1
Центрально-Черноземный	7,8	7,9	0,1	101,3
Северо-Кавказский	11,6	14,1	2,5	120,7
Уральский	14,2	15,3	1,1	107,8
Донецко-Приднепровский	17,8	20,1	2,3	112,9
Юго-Западный	19,0	20,5	1,5	107,9
Южный	5,1	6,2	1,1	121,6
Прибалтийский	6,6	7,4	0,8	112,4
Закавказский	9,5	12,1	2,6	127,4
Белорусский	8,1	8,9	0,8	109,9
Молдавская С С Р	2,9	3,5	0,6	120,7
ВСЕГО	163,4	181,1	17,7	110,8
Б. Восточные районы				
Западно-Сибирский	11,2	12,2	1,0	108,9
Восточно-Сибирский	6,5	7,4	0,9	113,8
Дальневосточный	4,8	5,8	1,0	120,8
Казахстанский	9,1	12,9	3,8	141,8
Среднеазиатский	13,8	19,5	5,7	141,3
ВСЕГО	45,4	57,8	12,4	127,3

СССР, так и в создаваемых порой в почти безлюдных местностях на базе использования местных сырьевых ресурсов.

Среди миграций на более дальние расстояния на первый план выдвинулась миграция на территорию Урала и Сибири, охватившая в предвоенный период около 3 млн человек. (За период между переписями 1926 и 1939 гг. на Урал, в Сибирь, на Дальний Восток и в Среднюю Азию переселилось более 4,7 млн. чел. (См. Экономическая география СССР. Под ред. Балзакса, Васютина и Фейгина, М., 1940 г.).

1



Районом притяжения населения стал прежде всего индустриальный Урал, где осели около 2 млн. человек. В Кузнецком угольном бассейне, почти безлюдном до того, поселилось около 700 тыс. человек. Массовые миграции в период перед второй мировой войной направлялись также в горно-промышленные центры Казахстана, создаваемые в редконаселенных засушливых степях и пустынях, например, в Карагандинском угольном бассейне или в районе разработки медных месторождений близ озера Балхаш. О размерах этих миграций свидетельствует развитие вновь возникающих городов. Основанные около 1930 года города Магнитогорск на Южном Урале, Караганда в Казахстане, Новокузнецк (до революции на этом месте находился город Кузнецк с населением в 4 тыс. человек) в Кузнецком угольном бассейне насчитывали уже в 1939 г. свыше 150 тыс. жителей каждый. Если численность населения Новосибирска в 1926 году была 121 тыс., то в 1939 году она уже превысила 400 тысяч человек (см. таблицу 3).

Специфическим явлением было возникновение за последние несколько лет перед второй мировой войной промышленных городов в безлюдных до того районах за Полярным кругом. К ним относятся новые поселения на Кольском полуострове (связанные со строительством порта в Мурманске, добычей апатитов в Хибинских горах, развитием рыбной промышленности), в Печорском угольном бассейне, находящемся в безлюдной тундре на Крайнем севере Коми АССР, в портовом районе близ устья Енисея (лесной порт Игарка и район добычи полиметаллических руд в Норильске с портом Дудинка), в районе добычи золота в бассейне реки Колымы, а также центры рыболовства и рыбной промышленности на Камчатке и ряд других. Ввиду необычайно суровых климатических условий и огромной отдаленности от обитаемых местностей, привлечь и удержать в этих районах население можно было лишь посредством более высокой заработной платы, чем в других районах СССР.

В довоенный период сельскохозяйственное освоение имело место в основном только на Дальнем Востоке. В меньших масштабах приток сельского населения имел место также в районы возделывания субтропических культур в Западной Грузии, где развитие чайных и цитрусовых плантаций привело к усиленному спросу на рабочую силу. В эти районы прибыли почти 150 тыс. человек.

В издавна заселенных районах большие миграции населения происходили кроме того из села в город. За период с 1926 по 1939 гг. в СССР из сельских поселений пришли в город (не считая населения сел, преобразованных за это время в городские поселения) 18,5 млн. человек, что составляет почти 2/3 (63,3%) общего увеличения численности городского населения.

ния страны за этот период (см. С. А. Ковалев, Э. А. Лямин, А. И. Пекель. Об изучении миграционных связей городов СССР. Вопросы географии. Сб. 38. География городов, М., Географгиз, 1956). Население городов в СССР за этот период выросло с 25,3 до 55,9 млн. человек.

Доля городского населения в СССР выросла с 18% в 1926 г. до 32% в 1939 г., а в таких индустриальных районах, как Урал или восточная часть Украины, уже перед второй мировой войной превышала 60%.

Промышленные районы Москвы и Донбасса поглотили в довоенный период приблизительно по 2 млн. человек каждый, Ленинград — около 1 млн., районы Харькова, Баку и Ташкента — около полумиллиона каждый. Отдавали население прежде всего такие менее индустриализированные районы: как Правобережная Украина, Центральная Черноземная зона, Правобережное Поволжье и Смоленская область.

Вторая мировая война привела к большим изменениям в размещении населения СССР. Уже в начальный период гитлеровского нашествия были эвакуированы около 25 млн. человек из оказавшихся под угрозой районов Украины, Белоруссии, Прибалтийских республик, западных областей Центральной России; они были направлены на Урал, в Поволжье, Западную Сибирь и Среднюю Азию.


После войны многие промышленные предприятия, эвакуированные на восток, остались на своих новых местах или же стали базой строительства новых промышленных центров, часть эвакуированного вместе с ними населения также осталась там.

Таким образом, в результате войны процесс перемещения населения из Европейской части страны в азиатскую значительно ускорился.

О масштабах этого переселения можно судить по данным переписи населения СССР в 1939 и 1959 годах. Население Советского Союза возросло с 1939 по 1959 г. на 9,5% (Сравнительно низкий процент роста объясняется огромными потерями, которые СССР понес во второй мировой войне и которые составляют по опубликованным в советской печати данным свыше 20 млн. человек), а население Урала увеличилось за это же время на 28,9%, Сибири и Дальнего Востока — на 35,4%. Огромный рост населения наблюдался одновременно и в Казахстане — на 52,8%, относительно высоким был также рост населения в Среднеазиатских республиках, где он составил 29,8%. С другой стороны численность населения Европейской части СССР (без Урала и Закавказья) увеличилась за это время только на 0,3%.

А. Марианский в книге «Современные миграции населения» считает, что «...с учетом приблизительных размеров военных потерь в период 1939—1959 гг. из европейской части СССР переселилось в азиатскую часть страны, включая Урал, в общей сложности 8—10 млн. человек. Центром притяжения этих миграций были, как и прежде, преимущественно промышленные районы, которые после войны очень сильно выросли...»

Рост численности населения некоторых городов Урала и Сибири пока-
зан в таблице 3.



Город	Район	Численность населения в тыс. чел.				
		1897 год	1926 год	1939 год	1959 год	1970 год
Новосибирск	Западная Сибирь	8	121	404	885	1161
Свердловск	Урал	43	136	423	779	1025
Челябинск	Урал	20	59	273	689	875
Пермь	Урал	46	120	306	629	850
Красноярск	Восточная Сибирь	25	72	190	412	648
Караганда	Казахстан	—	—	156	398	523
Новокузнецк	Западная Сибирь	3	4	166	377	499
Барнаул	Западная Сибирь	11	74	148	320	439
Прокопьевск	Западная Сибирь	—	11	107	282	274
Копейск	Урал	—	9	60	160	156
Рубцовск	Западная Сибирь	—	—	38	111	145

В 1954 году в СССР возник новый тип поселений, связанных с сельскохозяйственным освоением обширных территорий в степной зоне Северного Казахстана и соседних областях Западной Сибири, в частности в Алтайском крае.

Рассмотренные выше общие процессы миграции населения в Советском Союзе происходили в большей части за счет значительного оттока сельского населения и переселения их в город.

Вместе с миграцией населения между селами и очень сильными различиями естественного прироста сельского населения разных районов это приводит к тому, что численность сельского населения в разных местах меняется по-разному: в одних быстро уменьшается, в других еще быстрее растет. Городское же население растет повсеместно, хотя и разными темпами. Изменение численности городского и сельского населения по союзным республикам за 10 лет представлено в таблице 4.

В Российской Федерации из села ушло примерно вдвое больше людей, чем дал естественный прирост, в Узбекистане—всего около 1/10 прироста.

Сельское население уменьшилось лишь в шести республиках. Другими словами, выбытие жителей села здесь было большим, чем естественный прирост. В других республиках количество проживающих в сельской местности увеличилось, причем в шести весьма значительно (в Казахстане, Азербайджане и республиках Средней Азии).

Перемещение значительных масс сельского населения в города, связанное с процессом урбанизации общества, непосредственно затрагивает экономические интересы сельского хозяйства, промышленности и строительства. Оно накладывает существенный отпечаток на социальную жизнь



Республики	Село	Город
Р С Ф С Р	87,2	129,4
Белоруссия	90,6	155,1
Эстония	90,6	124,9
Латвия	91,3	126,4
Украина	93,0	133,3
Литва	97,1	142,1
Грузия	103,7	133,8
Молдавия	109,5	167,5
Армения	116,9	151,1
Казахстан	125,0	160,5
Азербайджан	129,3	144,1
Киргизия	129,8	164,9
Туркмения	129,9	146,4
Таджикистан	132,9	162,4
Узбекистан	135,4	152,8

и города и деревни. В Советском Союзе в процессе миграции из сел в города, по подсчетам специалистов, ежегодно втягивается более полутора миллионов человек. Каждый из них меняет место жительства, место работы, род деятельности, социальное окружение и зачастую оказывается перед необходимостью нелегкой адаптации к новым условиям.

В нашей стране проблемы сельской миграции, (правда, не в город, а главным образом в многоземельные районы) начали изучаться еще до революции. Известно, какое большое значение придавал этим исследованиям В. И. Ленин. Он писал: «...разве может хоть один экономист, находящийся в здравом уме и твердой памяти, не придавать значения ежегодным переселениям... Экономист... необходимо должен поставить вопрос: какое именно влияние оказывают переселения в России?» (В. И. Ленин. Полн. собр. соч. том 3, стр. 629).

В годы Советской власти социальная значимость процессов миграции сельского населения не только не уменьшилась, но, как уже здесь описывалось, значительно возросла, т. к. перелив населения в города приобрел невиданный прежде размах. За 32 года между переписями населения 1926 и 1959 гг. городское население страны увеличилось почти на 70 млн. человек. Причем 63% этого прироста произошло непосредственно в результате миграции сельского населения в город, а еще 27% — в результате ее косвенного влияния (см. В. И. Переведенцев «Миграция населения и трудовые проблемы Сибири», Новосибирск, 1966 г., стр. 32). Все это оказало огромное влияние на развитие как городов, так и сельских районов. Но сколько-нибудь широких исследований сельской миграции в этот период проводилось недостаточно.

¹ Народное хозяйство СССР в 1968 г. Стат. ежегодник, М., 1969, стр. 10.—11.

Серьезные исследования проблем миграции населения стали вновь появляться в нашей стране сравнительно недавно, начиная с конца 50-х годов. Особое место среди них заняли работы В. И. Переведенцева, много и плодотворно работавшего в этой области. Весьма интересные исследования были выполнены также В. В. Покшишевским, Н. И. Шишкиным, В. В. Яновским, А. Л. Рыбаковским, Е. В. Касимовским и др. В итоге этих работ была в основном построена общая статистическая картина основных миграционных потоков населения между районами страны, выявлены и проанализированы результаты перераспределения населения между городом и деревней, раскрыты закономерности происходящей на базе миграции социальной селекции населения.

В таблице 5 показано изменение численности городского и сельского населения нашей страны за годы Советской власти.

Таблица 5

Численность населения дореволюционной России и СССР (на начало года; в границах соответствующих лет)

	Численность населения в млн. человек	В том числе		В % ко всему населению	
		городского	сельского	Городское население	Сельское население
1913 г.*					
в границах бывшей Российской империи	165,7	30,6	135,1	18	82
в современных границах СССР	159,2	28,5	130,7	18	82
1917 г.**	143,5	25,8	117,7	13	87
1920 г.	134,2	20,8	113,4	15	85
1924 г.	137,6	22,3	115,3	16	84
1926 г.	147,0	26,3	120,7	18	82
1939 г.	190,7	60,4	130,3	32	68
1940 г.	194,1	63,1	131,0	33	67
1951 г.	181,6	73,0	108,6	40	60
1959 г.	208,8	100,0	108,8	48	52
1969 г.	239,5	132,9	106,6	55	45
1970 г. по переписи на 15 января	241,7	136,0	105,7	56	44
1971 г.	243,9	137,0	104,9	57	43

Несельскохозяйственное население СССР составляло в 1971 году 173,3 млн. человек, или 71% к общей численности населения; сельскохозяйственное население—70,6 млн. человек, или 29%.

* На конец года.

** На территории, где в 1917 г. в результате Великой Октябрьской социалистической революции была установлена Советская власть, численность населения составляла 120 млн. человек.

Краткий статистический справочник за 1970 год.

Приложение к еженедельному Статистическому бюллетеню ЦСУ СССР № 27—28 (1045) от 30 июля 1971 года.

К сельскохозяйственному населению относится население, занятое в сельском хозяйстве: колхозники, рабочие и служащие совхозов и подсобных сельскохозяйственных предприятий, включая лиц, находящихся на их иждивении, независимо от того, где они проживают — в городе или селе.

Увеличение городского населения за период с 1959 по 1969 год на 36 миллионов произошло за счет естественного прироста в городах, составившего за одиннадцать лет 14,6 миллиона, за счет преобразования сельских пунктов с общим населением 5 миллионов человек в городские и за счет перехода из села в город более 16 миллионов сельских жителей. Переход сельского населения в города связан со значительным ростом промышленного производства и стал возможным благодаря возросшему уровню механизации и повышению производительности труда в социалистическом сельском хозяйстве.

Естественный прирост населения в сельских местностях за этот период составил более 18 миллионов, однако численность сельского населения по указанным выше причинам не увеличилась, а сократилась на 3 миллиона человек.

Следует отметить, что по процентному отношению городского и сельского населения Советский Союз в настоящее время достиг среднеевропейского уровня и вплотную приблизился к Соединенным Штатам Америки.

Статистические сведения о территории, населении, плотности населения, городском населении по частям света на начало 1969 года приведены в таблице 6.

Таблица 6

Части света	Территория в млн. кв. км	Население в млн. чел. (оценки)	Плотность населения (чел./км ²)	Городское население % ко всем населению у
1. Европа	10,5	639	61	59
2. Азия	44,4	2027	46	21
3. Африка	30,3	340	11	16
4. Америка	42,1	495	12	57
в том числе:				
Северная и центральная Америка	24,3	314	13	62
Южная Америка	17,8	181	10	49
5. Австралия и Океания	8,5	18,6	2	64
Вес мир	135,8	3520	26	

По прогнозам ведущих зарубежных специалистов, численность городского населения на Земном шаре к 2050 г. может увеличиться до 90%. В Японии, например, уже в настоящее время 90% всего населения страны проживает в городах. В связи с этим перед японскими градостроителями

стоит задача создания комплексной городской застройки со значительной плотностью населения (до 3—5 тыс. на 1 га).

В СССР численность городского населения увеличилась с 25,8 млн. человек в 1917 г. (в современных границах СССР) до 136 млн. чел. в 1970 г., или более, чем в 4 раза.

Рост числа городов и поселков городского типа в СССР характеризуется данными таблицы 7.

Таблица 7*

	Год				Январь 1970 г.
	1926	1939	1959	1964	
Города	709	923	1679	1781	1935
Поселки городского типа	1216	1450	2540	3293	3569

Научно-технический прогресс в значительной степени изменяет распределение трудовых ресурсов между тремя основными сферами экономики: сельским хозяйством, промышленностью и сферой обслуживания, охватывающей торговлю, культурно-бытовое и общественное обслуживание, просвещение, здравоохранение, государственный аппарат и др.

В таблице 8 приводится динамика распределения населения, занятого в хозяйстве СССР и США по отраслям (в процентах) без учащихся и военнослужащих (Жрн. Архитектура СССР 1966 г., №3, стр. 28—32).

Из общей численности трудоспособного населения (не считая военнослужащих) в народном хозяйстве СССР было занято в 1958 г. 82, в 1968 г.—88%, в США (без иностранных рабочих) в 1967 г.—74%.

Следует отметить, что в этой статье рассматривается только миграция сельского населения в города, т. к. внутрисельская миграция по своему социальному содержанию представляет собой самостоятельный процесс.

Наиболее важные и действенные мотивы миграции сельского населения в города связаны со стремлениями:

- а) к перемене труда,
- б) к продолжению общего и специального образования,
- в) к улучшению материальных и культурно-бытовых условий жизни.

Рассмотрим кратко эти процессы.

а) Стремление к перемене сельскохозяйственного труда на индустриальный обуславливается в большинстве своем неудовлетворенностью со-

* Жилищное строительство в СССР, М., Госгражданстрой, 1965.

Отрасль хозяйства или сфера деятельности	С С С Р		С Ш А	
	1958 год	1967 год	1958 год	1966 год
Все отрасли хозяйства страны в том числе:	100	100	100	100
промышленность и строительство	31	36	32	34
сельское и лесное хозяйство (включая личное подсобное сельское хозяйство)	42	29	17	9
транспорт и связь	7	8	7	7
торговля, общественное питание, заготовки и материально-техническое снабжение	5	7	20	20
просвещение, здравоохранение, наука и искусство	10	15	8	13
аппарат органов государственного управления	2	2	8	8
прочие отрасли (жилищно-коммунальное хозяйство и др.)	3	3	8	9

держанием выполняемого труда, желание приобрести более квалифицированные профессии. Характерно, что с повышением квалификации работников показатели их текучести возрастают, а степень обеспечения производства кадрами соответствующих специальностей падает. Интенсивность миграции специалистов и механизаторов сельского хозяйства значительно выше, чем неквалифицированных работников.

Известно, что труд в сельском хозяйстве еще очень тяжелый, маломеханизированный. На Всероссийской конференции по использованию трудовых ресурсов отмечалось, что в 1969 году, например, работы по раздаче кормов выполнялись в большинстве своем вручную, работы по очистке животноводческих ферм были механизированы только на 21 процент. Вручную в сельском хозяйстве выполняется три четверти всех работ. На тяжесть работ жалуются даже сельские механизаторы. Особенно много хлопот им доставляет ремонт техники. В таких условиях говорить о привлекательности труда бывает еще весьма сложно. Чаще приходится обращаться к чувствам земледельцев. А сегодняшняя сельская молодежь отдает предпочтение труду квалифицированному. Ведь и в городе молодежь неохотно идет на те участки, где много ручного и вспомогательного труда. Высокий уровень общей образованности, навыки в обращении с техникой, широта жизненных интересов побуждают молодых селян искать лучшего применения своим рукам.

И поэтому так объяснимо их стремление к переезду в город, где для этого имеется значительно больше возможностей.

О масштабах переселения молодежи, особенно выпускников средней школы и сельских механизаторов, можно судить по следующему примеру. В 1965 г. в колхозах и совхозах страны насчитывалось 3 млн. 97 тыс. механизаторов. За 1965—1968 гг. их было подготовлено еще почти столько же — 2 млн. 907 тыс. Однако в 1969 году их было всего 3 млн. 357 тыс. (см. «Народное хозяйство СССР в 1968 г.» Стат. ежегодник, М., 1969, стр. 454, 565). Таким образом, прирост числа механизаторов составил всего 264 тыс. человек или 9% от числа вновь подготовленных. Даже учитывая естественную убыль, их уход на выборные должности, работу в сельском хозяйстве не по специальности и т. д., нельзя не видеть, что абсолютное большинство вновь подготовленных механизаторов и тех, кого они замещают, оказывается в городах.

Было ли целесообразным и эффективным с экономической точки зрения перемещение в города многомиллионных масс сельского населения?

Если говорить с размерами перераспределения по стране в целом, то оно было не только целесообразно, но и совершенно необходимо.

Это была единственная возможность (разумеется, при данном уровне техники, технологии и организации производства) расширить производство «городских» отраслей народного хозяйства до нынешних размеров.


В книге «Миграция сельского населения» приводится анализ проведенного опроса сельского населения («Анкета сельской семьи»), проведенного среди 10070 сельских жителей. В ней приведена таблица (стр. 160).

Таблица 9

Структура мотивов потенциальной миграции взрослого сельского населения

	Процент лиц, указавших данный мотив	Удельный вес во всех названных мотивах (в %)
Неудовлетворенность содержанием и условиями труда	33,9	24,4
Неудовлетворенность заработком	10,6	7,6
Стремление продолжить образование (свое или детей)	22,4	16,7
Желание жить в городе	13,1	9,5
Семейные обстоятельства	10,1	7,4
Другие соображения	48,6	34,4
ИТОГО	138,7	100

Наибольшее место среди мотивов потенциальной миграции сельского населения занимает неудовлетворенность содержанием, условиями и оплатой труда. На нее сослалось 44,5% всех собирающихся мигрировать.



В «Анкете сельской семьи» имелось три вопроса, ответы на которые позволяют уловить степень недовольства людей трудом. Работники спрашивали о том, доволен ли он выполняемой работой, хотел ли бы он ее сменить и может ли он это сделать, не покидая своего села.


Как выяснилось, среди потенциальных мигрантов удельный вес недовольства трудом по всем трем пунктам значительно выше, чем среди стабильных жителей села.

Из тех, кто не намерен менять места жительства, не вполне довольны своим трудом только 12,3%, хотели бы сменить работу 9,5%, не могут выполнить этого желания в своем селе 3,2%. У тех, кто обдумывает вопрос о миграции, эти цифры значительно выше. Доля не вполне довольных трудом поднимается у них до 31,8%, желающих сменить работу—до 28,4%, не видящих возможности для этого в своем селе—до 12,3%. Еще сильнее действие этих факторов проявляется у лиц, твердо решивших мигрировать.

б) Факторы, связанные с получением образования и приобретением квалифицированных профессий, сильнее всего действуют на молодежь. Не случайно интенсивность выбытия последней в 4—5 раз выше, чем старшего поколения.

В указанной выше «Анкете сельской семьи» этот мотив занимает второе место в числе мотивов потенциальной миграции сельских жителей в города. Его назвали 22,4% опрошенных. С учетом старших школьников, которые не были включены в основной массив взрослых сельских жителей, доля лиц, называвших этот массив, повысилась бы до 35% и почти сравнялась бы с группой мотивов, связанных с содержанием и условиями труда. На уже упомянутой Всероссийской конференции по использованию трудовых ресурсов приводился такой пример: летом 1967 года из западносибирских сел собиралось уехать в ближайшие два-три года: старших школьников три четверти; работающей сельской молодежи в возрасте 16—19 лет—половина; работников в возрасте 20—24 лет—одна треть. Через некоторое время при повторном опросе оказалось, что фактически уехало в 1967—1970 годах в 2—3 раза больше.

Как показали данные анкетного опроса, 430 выпускников восьмилетних и средних школ Починковского района Смоленской области (см. «Население, трудовые ресурсы СССР», М., 1971, стр. 215), проведенного в 1964 году, только 8,3% хотели остаться работать в сельском хозяйстве и 12%—продолжать образование в сельскохозяйственных учебных заведениях. При этом 96% выпускников 11-х классов изъявили желание жить в городе (против 65% выпускников 8-летних школ). Причины такого намерения те же, что и в ранее перечисленных примерах. Уход из села молодежи чрезвычайно неприятная тенденция. Молодые люди—это здоровье села, его энергия и будущее. Их уход влечет за собой преждевременное старение сельского населения, сокращение рождаемости.



в) Факты говорят о том, что чем выше становится культурно-образовательный уровень сельского населения, тем более высокие требования предъявляются к медицинскому, торговому, транспортному, культурно-бытовому обслуживанию.

Материалы обследования показывают, что лица с более высоким образованием, а также ранее жившие в городах, предъявляют значительно более высокие требования ко всем видам обслуживания, чем менее образованные сельские жители, никогда не выезжавшие из своего села. Сельская интеллигенция и специалисты сельского хозяйства высказывают намного больше жалоб на недостаточный ассортимент продуктов и промышленных товаров в торговой сети, трудности получения медицинской помощи, недостатки культурного обслуживания и пр., чем неквалифицированные работники тех же населенных пунктов. Чем более квалифицированной является социально-профессиональная структура жителей, тем выше осознаваемая ими потребность в разных формах массового обслуживания.

Следует отметить, что потребность населения в обслуживании дифференцируется и в зависимости от конкретных условий жизни в том или ином поселке. Например, средний размер личного приусадебного участка в разных населенных пунктах колеблется от 0,03 до 0,4 га, что оказывает существенное влияние на спрос населения на покупные продукты питания. В поселках, расположенных вблизи леса или рек, традиционные формы использования свободного времени на охоту, рыболовство, сбор грибов, ягод несколько уменьшают потребности населения в организованных формах отдыха. Все это приводит к тому, что недостаток определенных форм обслуживания жителей одних населенных пунктов как бы не замечается, а других воспринимается остро.

В книге «Миграция сельского населения» (стр. 297—298) приводится интересный анализ неудовлетворенности уровнем обслуживания различных типов сельских поселений. «Поскольку самый высокий уровень обслуживания имеет население районных центров, затем центральных усадеб колхозов и совхозов, крупных несельскохозяйственных поселков и, наконец, центров отделений (бригад) и мелких поселков, естественно ожидать, что доля лиц, не удовлетворенных уровнем обслуживания по месту жительства, будет повышаться в названном направлении. В действительности этого не происходит. Правда, среди жителей центральных усадеб и особенно крупных поселков, доля недовольных обслуживанием значительно выше, чем в районных центрах. Но далее картина меняется, и среди жителей мелких поселков доля недовольных обслуживанием оказывается не только не самой высокой, а наиболее низкой из сравниваемых типов населенных пунктов. Это обстоятельство отражает различный уровень осознаваемых потребностей населения и характер предъявляемых им запросов к обслуживанию (см. таблицу 10).




Таблица 10.

Доля сельских семей, не удовлетворенных обслуживанием по месту жительства (в % к общему числу опрошенных семей)

Типы поселений	Формы массового обслуживания населения		
	Медицинская помощь	Торговля	Транспортное обслуживание
Районные центры	32,2	15,8	25,6
Центральные усадьбы	41,3	18,8	32,8
Центры отделений, бригад	48,8	22,5	42,0
Несельскохозяйственные поселки:			
а) крупные и средние (свыше 500 чел.)	54,7	26,0	27,0
б) мелкие (до 500 чел.)	24,7	16,1	17,4

Из сказанного видно, что оценка сельскими жителями условий жизни в своем селе является функцией по меньшей мере двух переменных: с одной стороны объективных условий труда, быта и массового обслуживания населения, с другой — уровня осознанных потребностей и запросов.


Причем в общественном сознании сельского населения формируются определенные социальные нормы, т. е. некоторые общие представления о том уровне обслуживания, который является необходимым и достаточным для поселения каждого типа.

Здесь были приведены наиболее важные и действенные мотивы миграции сельского населения в города. В действительности их конечно значительно больше и в той или иной мере они влияют на переселение сельских жителей.

Следует отметить, что судьбы сельских мигрантов, приезжающих в города с целью поступления на учебу, или устройства на работу, складываются по-разному. Часть из них, прожив в городе очень недолго (нередко даже не сумев прописаться), направляются либо обратно в село, либо в районный центр или в другой город.

Другая часть задерживается в городе на несколько месяцев или даже на год, но тоже оказывается не в состоянии преодолеть трудности адаптации, привыкнуть к новой социальной среде, усвоить новый образ жизни. По прошествии некоторого времени она также возвращается в село.

Третья группа мигрантов приживается в городе и пополняет его постоянное население. Представители этой группы, переехав в город, как правило, улучшают свое материально-бытовое положение и испытывают удовлетворение от результатов миграции. Однако улучшение условий жизни труда и быта достигается ими не путем повышения квалификации, образования, а главным образом путем реализации различий в уровне жизни аналогичных групп городского и сельского населения, в оплате одинакового по квалификации сельскохозяйственного и индустриального труда.



Четвертая группа, в основном молодежь, мигрирующая из села в города, использует открывающиеся перед ней возможности прежде всего для социально-профессионального продвижения. Она повышает уровень своего общего образования, проходит специальную подготовку на курсах и в училищах, кончает техникумы и вузы и в результате пополняет ряды квалифицированных кадров общества. Улучшение жизненных условий и благосостояния, связанные с повышением сложности выполняемого труда, в этом случае выступают не как самоцель, а как естественный результат повышения квалификации.

Уход людей из села—проблема в наших условиях не только экономическая, но и социальная. Село по уровню жизни сегодня еще отстает от города. Оно пользуется меньшими жизненными благами, имеет менее квалифицированный труд.

Огромное влияние на сдерживание оттока людей из села оказывает выравнивание жизненных условий городского и сельского населения. Выравнивание прежде всего в характере, режиме труда, в оплате, в создании определенных жизненных удобств, в застройке и переустройстве сельских населенных пунктов.

Именно рост производительных сил сельского хозяйства, постепенное превращение сельскохозяйственного труда в разновидность труда индустриального, подъем культуры деревни и перестройка быта,—все это и в дальнейшем должно вести к изменению социального облика и психологии крестьянина. Такую задачу поставил XXIV съезд КПСС.

Что будет служить основой выравнивания жизненных условий?


Прежде всего всемерное повышение технического оснащения всего сельскохозяйственного производства.

Здесь уже говорилось, что труд на селе пока еще очень тяжелый, механизация недостаточна. Это делает его малопривлекательным, особенно для молодежи.

У нас много говорят, например, о том, что юноши и девушки неохотно идут в животноводство, что их не привлекает профессия доярки, скотника, чабана. Анализ же показывает, что их не привлекает другое: существующие еще в ряде хозяйств тяжелые условия труда на фермах, отсутствие механизации.

Для ликвидации такого положения на протяжении многих лет, особенно последних десяти—пятнадцати, выделяются огромные капиталовложения на техническое оснащение сельскохозяйственного производства.

Девятая пятилетка в этом направлении будет для села решающим периодом. Решающим—в темпах оснащения. За пять лет колхозы и совхозы получат 1700 тысяч тракторов (это столько же, сколько насчитывал тракторный парк села в конце 1967 года); грузовых автомобилей 1100 тысяч (а это весь автомобильный парк колхозов и совхозов на конец 1968 года).



1500 тысяч тракторных прицепов. Село получит также 87 тысяч экскаваторов, 82 тысячи бульдозеров, более 42 тысяч скреперов. Помимо этого будет выделено сельскохозяйственных машин на сумму 15 миллиардов рублей, в том числе 541 тыс. зерноуборочных комбайнов, 230 тыс. силосоуборочных и 60 тысяч свеклоуборочных комбайнов, машин для механизации работ в животноводстве и производстве кормов на сумму 6 миллиардов рублей. К концу 1975 года энергетические мощности колхозов и совхозов увеличатся в 1,5 раза, а потребление электроэнергии возрастет примерно вдвое. Можно легко представить, сколько потребуется уже сегодня колхозам и совхозам квалифицированных кадров для пользования этой техникой. Миллионы механизаторов самого различного профиля. Их надо подготовить, обучить, дать в руки дело и создать хорошие условия жизни. Закрепление молодых механизаторов на селе XVI съезд ВЛКСМ выдвинул как одну из важнейших задач комсомола.

По масштабам технического оснащения девятая пятилетка явится для сельского хозяйства своего рода машинной революцией. Она существенно повлияет на характер и режим труда сельского работника, позволит ему изменить отношение к земле, к принципам хозяйствования на земле. Так, например, уже в текущем пятилетии предполагается ввести в эксплуатацию 3 миллиона гектаров новых орошаемых земель (это в два раза больше всех посевных площадей Латвии и почти в четыре раза больше посевных площадей Грузии). Капиталовложения в сельское хозяйство за пять лет составит 129 миллиардов рублей (сумма, равная вкладу в сельское хозяйство двух предыдущих пятилеток).

Такого оснащения техникой, таких темпов индустриализации колхозы и совхозы еще не знали за всю историю социалистического строительства. Специалисты подсчитали, что внедрение новой сельскохозяйственной техники, проведение комплексной механизации позволят за 1971—1975 годы поднять производительность труда в земледелии в полтора—два раза, а в животноводстве—в два—два с половиной раза по сравнению с уже достигнутым уровнем. Эти меры, несомненно, вызовут к жизни и другие изменения.

Это прежде всего изменения в оплате труда.

Директивами XXIV съезда партии предусматривается увеличить доходы колхозников за пятилетие на 30—35 процентов (а если взять за 10 лет—1965—1975 гг., то доходы почти удвоятся). Это увеличение будет происходить прежде всего за счет повышения квалификации колхозников и снижения себестоимости сельскохозяйственной продукции.

Повышение производительности труда в колхозах и совхозах—основа существенного сближения размеров заработка колхозников с заработной платой соответствующих категорий рабочих и служащих совхозов, а также с заработной платой работников промышленности. К 1975 году среднемесячная оплата труда колхозников достигнет 98 рублей, то есть составит

примерно две трети заработной платы рабочих и служащих в целом по народному хозяйству.

Квалифицированный труд будет оплачиваться выше.

Не случайно уже сегодня оплата труда сельских механизаторов выравнялась, а кое-где (например, на Кубани) даже превысила зарплату трактористов, бульдозеристов, занятых в других отраслях народного хозяйства. Механизатор становится сейчас уже центральной фигурой в сельскохозяйственном производстве. Практически механизатор участвует во всех циклах полевых работ. Машинный труд в растениеводстве, например, позволяет нескольким механизаторам обработать тысячи гектаров пашни. Эти люди без дополнительных затрат способны выполнить весь цикл полевых работ на машинах. Хороший пример этому — комплексная бригада колхоза «Кубань» Усть-Лабинского района Краснодарского края, руководимая Героем Социалистического Труда, депутатом Верховного Совета СССР, членом ЦК КПСС Михаилом Ивановичем Клепиковым, о работе которого знает вся наша страна.

В Краснодарском крае по призыву коллектива этой комплексной бригады развернулось социалистическое соревнование за высокую культуру земледелия, повышение урожайности и увеличение валовых сборов всех сельскохозяйственных культур. В нем участвуют все бригады, отделения, колхозы и совхозы края.

Звание коллектива высокой культуры земледелия присвоено уже 480 бригадам и отделениям, 34 колхозам и совхозам, которые в 1970 году получили с каждого гектара: зерна — 41 центнер, сахарной свеклы — 313 и подсолнечника — 21,7 центнера.

В период подготовки в XXIV съезду КПСС это движение обогатилось новой инициативой бригады т. Клепикова под девизом: «Земля соседа — не чужая земля. Умеешь сам — научи другого». В основе почина лежит стремление передовых коллективов передать накопленный опыт другим.

Все хозяйства, бригады и отделения, носящие звание коллектива высокой культуры земледелия, взяли на себя обязательства по оказанию помощи соревнующимся и вместе с тем разработали комплексные мероприятия по наиболее эффективному использованию земли.

Все это, конечно, способствует закреплению квалифицированных кадров на селе.

Есть еще одна проблема, решение которой также поможет сокращению миграции сельского населения в города. Это проблема изменения режима труда, решение проблемы круглогодичной занятости в сельском хозяйстве.

Карл Маркс в свое время считал громадной, непроизводительной тратой рабочего времени незанятость сельского населения России в зимнее время. Расхождения между периодами производства, считал он, образуют естественную основу для соединения земледелия с сельскими промыслами, мелкой промышленностью.

К. Маркс писал: «Понятно, какой потерей было бы для России, если бы 50 из 65 миллионов населения ее европейской части оставалось без занятия в течении шести или восьми зимних месяцев, когда необходимо прекращаются всякие работы» (К. Маркс и Ф. Энгельс, соч. т. 24, стр. 272).

Соединение машинного труда с развитием промышленности и промыслов изменяет характер и режим труда на селе, оздоравливает обстановку, улучшает структуру сельского населения, способствует омоложению села. На Всероссийской конференции по использованию трудовых ресурсов выступал С. П. Гепин, председатель колхоза имени XVI годовщины Октября Владимирской области. Он рассказывал, что, создав в колхозе мелкие промышленные предприятия, они сумели привлечь в колхоз трудоспособную молодежь. Комсомольская организация колхоза насчитывает 70 человек. А еще несколько лет назад в ней было девять членов ВЛКСМ. Средний возраст работающих мужчин—36 лет, работающих женщин—31 год. В колхозе каждый шестой—механизатор.

В настоящее время идет активный процесс создания на селе промышленных (в большинстве своем перерабатывающих сельскохозяйственную продукцию) предприятий, способствующих закреплению кадров. Об этом процессе хорошо сказал в своем выступлении на Третьем Всесоюзном съезде колхозников Генеральный секретарь ЦК КПСС товарищ Л. И. Брежнев: «В связи с научно-техническим прогрессом в сельском хозяйстве, в настоящее время все большее практическое значение приобретает проблема кооперирования сельскохозяйственных и промышленных предприятий. Напомню, что этот вопрос поставлен в Программе партии, где сказано, что постепенно, в меру экономической целесообразности, возникнут «аграрно-промышленные объединения» в которых сельское хозяйство органически сочетается с промышленной переработкой его продукции при рациональной специализации и кооперировании сельскохозяйственных и промышленных предприятий.

Таблица 11

Численность городского и сельского населения Краснодарского края

Годы	Численность населения (в тыс. человек)			В процентах ко всему населению	
	Всего	В том числе:		Городское население	Сельское население
		Городское	Сельское		
1913 год (оценка)	2822	332	2490	12	88
1926 год	2983	552	2431	18	82
1939 год	3167	784	2383	25	75
1959 год	3756	1463	2293	39	61
1970 год	4511	2121	2390	47	53

Надо сказать, что на принципах аграрно-промышленных комплексов начинает работать ряд специализированных совхозов и колхозов в Краснодарском крае, на Украине и в Молдавии.

Следует только отметить, что, например, в Краснодарском крае, где все перечисленные процессы проходят интенсивно, за последние десятилетия, как показала перепись, сельское население по данным ЦСУ не только не уменьшилось, но даже увеличилось (см. таблицу 11).

То же самое наблюдается в Грузинской ССР. Соответствующие сведения приводятся в таблице 12.

Таблица 12
Численность городского и сельского населения Грузинской ССР


Г о д ы	Численность населения (в тыс. человек)			В процентах ко всему населению	
	Всего	В том числе:		городское	сельское
		городское	сельское		
1913 год	2600,4	665,9	1934,5	25,6	74,4
1939 год	3540,0	1068,2	2473,8	30,1	69,9
1959 год	4044,0	1712,9	2331,1	42,4	57,6
1970 год	4686,4	2231,8	2446,6	47,8	52,2

За последнее время проведен также большой комплекс других социальных мер, способствующих закреплению людей на селе, резко сокращающих миграционные настроения по переселению в города.

В частности, недавно был опубликован Указ Президиума Верховного Совета СССР о распространении на колхозников порядка исчисления пенсий, установленного для рабочих и служащих (он вошел в действие с июля 1971 года). Повышен минимальный размер пенсий колхозников. Будут также установлены пособия на детей в семьях, совокупный доход которых не превышает 50 рублей на члена семьи в месяц (это особенно важно для сельских, как правило, многодетных семей).

Все это направлено не только на расширение производства сельскохозяйственной продукции, но, как указывается в документах XXIV съезда партии, и на устранение социальных различий внутри общества, за счет интенсивного выравнивания жизненных уровней сельского и городского населения.

Грандиозный комплекс мероприятий, направленный на дальнейшее развитие сельского хозяйства нашей страны, на закрепление сельского населения и обеспечение его всем необходимым, возможно обеспечить только проведением огромных работ по строительству на селе большого количества промышленных предприятий, производственных животноводческих ком-



плексов и других помещений, оснащенных необходимым уровнем механизации и автоматизации, дальнейшей электрификацией и газификацией села, большим размахом работ по строительству жилых домов, школ, больниц и других культурно-бытовых учреждений. Значительный объем работ следует провести по строительству водопровода, канализации, теплофикации и благоустройству нашего села. Одним словом все это зависит от того, насколько успешно и технически грамотно мы застроим и переустроим в самом широком смысле этого слова наши сельские населенные пункты. Отсутствие этого в конечном итоге является первопричиной миграционных настроений отдельной части жителей села. В результате этого еще значительная часть сельского населения переезжает из села в город.

Будет осуществлена эта грандиозная проблема, будут стерты грани между уровнем и условиями жизни городского и сельского населения и сократится до минимума миграция жителей из наших сел и деревень, будут расти, расширяться и благоустраиваться наши сельские населенные пункты.

Излишняя концентрация промышленности, населения в городах, особенно крупных, вызывает загрязнение воздуха, почв и водных источников, неблагоприятно влияет на условия жизни. Возникают трудности в балансе питьевой и технической воды, в пассажирском и грузовом транспорте, в пригородном сельскохозяйственном производстве.

Политика нашей партии и правительства в этом вопросе определена четко и ясно: размещать производительные силы необходимо равномерно, устраняя диспропорции, улучшая условия жизни, добиваясь комплексного, наиболее эффективного развития различных экономических районов и населенных пунктов.

Более того, в Директивах XXIV съезда КПСС совершенно определенно сказано: «Неуклонно осуществлять курс на сдерживание роста крупных городов; прекратить, как правило, размещение в этих городах новых промышленных предприятий, кроме объектов, связанных с обслуживанием населения и городского хозяйства».

Разумеется, каждый город, в том числе и крупный,—живой организм. Он развивается. Это экономическая закономерность. Она обусловлена и естественным ростом населения и миграцией, как уже указывалось, части сельских жителей. Но это развитие должно идти не стихийно, мы можем и должны направлять его, а где это нужно—сдерживать расширение. За счет этого ускоренно будут расти малые, средние города, и обязательно должны получить свое развитие перспективные сельские населенные пункты. Высвобождаемые на селе трудовые ресурсы можно и нужно использовать здесь же для работы на вновь построенных промышленных предприятиях. Цель тут одна—повышение экономической эффективности всего общественного производства и обеспечение наилучших условий для труда, быта, отдыха и здоровья советских людей.

Задачи по ускоренному строительству и переустройству сельских населенных пунктов последовательно проводятся в жизнь.

Только за годы восьмой пятилетки (1966—1970 гг.) в решениями XXIII съезда КПСС была осуществлена, помимо строительства производственных предприятий, большая программа жилищного и культурно-бытового строительства на селе. Ниже приводятся данные ЦСУ, характеризующие объемы этого строительства:

Таблица 13

	Всего введено в действие в городах и сельской местности за 1966—1970 гг.	В том числе: введено		Введено за 1966—1970 г. г. в среднем на 100 жителей (кв.м. жилья, мест, коек)	
		В городах	В сельской местности	В городах	В сельской местности
Жилые дома—млн. кв. метров общей площади	518,5	335,5	183,0	256	171
Общеобразовательные школы—тыс. ученических мест	8078	3475	4603	2,6	4,3
Клубы и дома культуры—тыс. мест	4617	424	4193	0,3	3,9
Детские дошкольные учреждения—тыс. мест	2514	1619	895	1,5	0,8
Больничные учреждения—тыс. коек	294	215	79	0,16	0,07


Из приведенных данных видно, что удельный вес построенных в сельской местности жилых домов за 1966—1970 гг. в общем объеме их строительства по стране составил 35%, общеобразовательных школ—57%, клубных учреждений—91%, детских дошкольных учреждений—36% и больничных учреждений—27%.

По Грузинской республике этот процент за 1966—1970 гг. составляет: по жилищному строительству 44% от общего объема ввода жилья в эксплуатацию, общеобразовательных школ 59%, клубных учреждений на селе построено за эти годы на 55,6 тыс. мест, детских дошкольных учреждений на 9,6 тыс. мест, больниц 0,34 тысяч коек.

Следует, однако, отметить, что жилищное и культурно-бытовое строительство на селе развивалось за эти годы все еще недостаточными темпами и планы строительства этих объектов из года в год не выполнялись.

Грандиозные задачи предстоит выполнить по строительству на селе в девятой пятилетке.

В Директивах XXIV съезда КПСС по пятилетнему плану развития народного хозяйства СССР на 1971—1975 гг. по этому вопросу сказано:



«Повысить электровооруженность сельского хозяйства, увеличить за пятилетие объем потребления электроэнергии в сельскохозяйственном производстве в 2 раза. Обеспечить электрической энергией в основном от государственных энергосистем и электростанций все колхозы и совхозы страны, производственные, культурно-бытовые помещения и жилые дома в этих хозяйствах. Поставить сельскому хозяйству в необходимом количестве электрооборудование, электроаппаратуру и кабельные изделия, в том числе для систем управления и автоматизации.

Направить на развитие сельского хозяйства, включая производственное, жилищное и культурно-бытовое строительство и приобретение техники, государственные капитальные вложения в объеме 82,2 миллиарда рублей.

Обеспечить материально-техническими ресурсами капитальные вложения колхозов в размере 46,4 миллиарда рублей. В процессе исполнения годовых планов изыскивать и направлять на развитие сельского хозяйства дополнительные финансовые и материальные ресурсы.

Значительно повысить эффективность использования капитальных вложений, коренным образом улучшить проектирование сельскохозяйственных объектов. Снизить стоимость сельскохозяйственного строительства. Осуществлять разработку и применение наиболее экономичных проектов.

Обеспечить в колхозах и совхозах дальнейшее развитие подсобных промышленных производств и промыслов, в первую очередь по переработке и хранению сельскохозяйственной продукции, производству строительных материалов и товаров народного потребления из местного сырья в целях более полного и равномерного в течение года использования трудовых ресурсов в сельской местности, укрепления экономики хозяйств, повышения производительности труда. Развивать производственные связи между сельскохозяйственными и промышленными предприятиями. Способствовать созданию и улучшению деятельности межколхозных и государственно-колхозных предприятий и организаций, а также созданию аграрно-промышленных комплексов и объединений».

Выполнение Директив съезда по строительству и переустройству нашего села создаст прочную материальную основу, которая позволит резко сократить миграцию сельского населения в города, обеспечит сельским жителям все необходимые условия для полноценного труда и отдыха.



დოც. მ. ზეილიძე

ლენინის კოოპერაციული გეგმა და კოლმეურნეობის ახალი წესდება


სკკპ ცკ-ის 1958 წ. თებერვლისა და 1965 წ. მარტის პლენუმების დადგენილებებით საჭიროდ არის მიჩნეული სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების შემუშავების დაწყება და კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობისათვის მომზადება.

სკკპ ცკ-ის პლენუმების ამ გადაწყვეტილების შესაბამისად ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა მუშაობა, გასწიეს. რათა მოემზადებინათ წინადადებანი სასოფლო-სამეურნეო არტელის ახალი სანიმუშო წესდების შესახებ.

დიდი მნიშვნელობა მიაჩნია რა სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების შემუშავებას და კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობისათვის მომზადებას, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა შექმნა კომისია, რომელსაც დაევალა შეესწავლა წინადადებები სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების გამო, რომლებიც წარმოადგინა ბევრმა რაიონმა, ოლქმა, მხარემ, რესპუბლიკამ. სამეცნიერო დაწესებულებამ, კოლმეურნეობამ, აგრეთვე მშრომელთა წერილებში გამოთქმული წინადადებები და შეიმუშავა სასოფლო-სამეურნეო არტელის ახალი სანიმუშო წესდების პროექტი.

სასოფლო-სამეურნეო არტელის ახალი სანიმუშო წესდების პროექტის შემუშავებელმა და კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობის მოსამზადებელმა კომისიამ დიდი მუშაობა ჩატარა 1966—1968 წლებში და შეიმუშავა კოლმეურნეობის (სასოფლო-სამეურნეო არტელის) სანიმუშო წესდების პროექტი, რომელიც 1969 წლის 24 აპრილს გამოქვეყნდა ფართო, საერთო-სახალხო განხილვისათვის, რაც წარმოადგენს დიდ და საგანგებოდ მნიშვნელოვან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ კამპანიას, უმნიშვნელოვანეს მოვლენას ჩვენს ქვეყნის კოლმეურნეთა ცხოვრებაში.

ამასთან დაკავშირებით უდიდესი ისტორიული, პოლიტიკური, ეკონომიური და აღმზრდელობითი მნიშვნელობა ენიჭება და მეტად საინტერესოა საბჭოთა ხელისუფლების წლებში სკკპ ცკ-ის და საბჭოთა მთავრობის უშუალო ხელმძღვანელობით და დახმარებით, ვ. ი. ლენინის კოოპერაციული გეგმის საფუძველზე




ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის აღდგენის, განვითარების, სოციალისტურად გარდაქმნის საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვების და განმტკიცებისათვის და პრაქტიკის, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გათვალისწინებით, მარქსისტულ-ლენინური თვალსაზრისით შესწავლა, ლენინური თეორიული მემკვიდრეობის მეცნიერულად განზოგადება და შემოქმედებითად გამოყენება, რაც უსათუოდ უზრუნველყოფს კოლმეურნეობის ისეთი ახალი სანიმუშო წესდების შემუშავებას, რომელიც სრულყოფილად მოიცავს კომუნისმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში სოციალისტური მეურნეობის წინაშე მდგომ ამოცანებს და საზოგადოებრივი მეურნეობის გაძლიერების მეცნიერულად დასაბუთებულ ღონისძიებათა სისტემას.

ვ. ი. ლენინმა დაიცვა მარქსიზმი, შემდგომ შემოქმედებითად განავითარა, გაამდიდრა იგი და მოგვცა სოციალისტური საზოგადოების აშენების დიადო გეგმა, რომლის განუყოფელი, ორგანულად შემადგენელ, ნაწილს წარმოადგენს სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის გენიალური კოოპერაციული გეგმა, რომლის განუხრელი და თანმიმდევრული განხორციელების საფუძველზე გაიმარჯვა სსრ კავშირში საკოლმეურნეო წყობილებამ; შეიქმნა მსოფლიოში უმსხვილესი, მექანიზებული სოციალისტური სოფლის მეურნეობის მძლავრი სისტემა.

დიდი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ლენინის კოოპერაციული გეგმის საფუძველზე სოფლის მეურნეობის აღდგენის, მისი განმტკიცება-განვითარებისა და სოციალისტურად გარდაქმნის, სოციალისტური სოფლის მეურნეობის სისტემის გამარჯვებისა და შემდგომი საორგანიზაციო-სამეურნეო განმტკიცებისათვის მიღებულ და თანმიმდევრულად განხორციელებულ, დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის საკანონმდებლო ხასიათის მეცნიერულ ღონისძიებათა სისტემაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს—სოფლად სოციალისტური საზოგადოების აშენების კანონს, წარმოადგენს კოლექტიურ მეურნეობათა საორგანიზაციო-სამეურნეო ფორმების მიხედვით შემუშავებული ნორმალური—ტიპური წესდებები, რომლებშიაც სისტემატიზებული სახით არის ვადმოცემული ძირითადი დებულებები და წესები, რომლებიც საფუძველად უდევს კოლმეურნეობების ორგანიზაციას და მათ სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის მოწესრიგებას, საზოგადოებრივი მეურნეობის გაძლიერების მეცნიერული ხერხების შემუშავებას, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურის ამაღლების ღონისძიებების შედგენას და სხვ.

ვ. ი. ლენინმა თავის კოოპერაციულ გეგმაში მოგვცა მეცნიერულად დასაბუთებული მოძღვრება საკოლმეურნეო მშენებლობის ძირითადი პრინციპების, კოლექტიურ მეურნეობათა სამეურნეო ფორმების (მიწის საზოგადოებრივი შრომით დამამუშავებელი ამხანაგობა, სას.-სამ. არტელი და სასოფლო-სამეურნეო კომუნა), და მათი სანიმუშო წესდებების შესახებ, რაც უმნიშვნელოვანეს წვლილს წარმოადგენს კომუნისტური პარტიის აგრარულ პოლიტიკაში.

ვ. ი. ლენინის კოოპერაციული გეგმის მთავარი დებულებებია: 1. პროლეტარული სახელმწიფოს არსებობა, მის ხელში სახელმწიფო ხელისუფლების



ხელმძღვანელობის მოქცევა და კოლმეურნეობის ორგანიზაციისა და საქმიანობის წარმართვა უშუალოდ სახელმწიფო ხელმძღვანელობით 2. სოციალისტურ ინდუსტრიის, პირველ რიგში მძიმე ინდუსტრიის, ყოველმხრივი განვითარება, რომელიც შექმნის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნისათვის, 3. ნებაყოფლობითი პრინციპის მტკიცედ დაცვით გლეხური მეურნეობის გადაყვანა კოლექტივიზაციის გზაზე და კოლმეურნე მასების თვითმოქმედების ფართოდ გაშლა, 4. სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის პროცესში უდიდესი სიძნელების აუცილებელი გადალახვა და მწვავე კლასობრივი ბრძოლის წარმოება, 5. საზოგადოებრივი და პირადი ინტერესების სწორი შეთანაწყობა, 6. კოლმეურნეთა მატერიალური და ინტერესებისა და მორალური წახალისების უზრუნველყოფა.


„ვ. ი. ლენინის აგრარულ შრომებში, რომლებიც თეორიული აზროვნების უმდიდრეს საგანძურს წარმოადგენენ“ (ი. სტალინი), მისი უშუალო, აქტიური მონაწილეობით, რედაქტირებით, მისივე მითითებების საფუძველზე, უმაღლეს პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მიერ შემუშავებულია დეკრეტები, დებულებები, კოდექსები, დადგენილებები, რეზოლუციები, გადაწყვეტილებები კოლექტიური მეურნეობების სამეურნეო ფორმებისა და მათი ტიპური ნორმალური სანიმუშო წესდებების შესახებ. ამ დებულებების მიხედვით არის შედგენილი არა მარტო საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში დაარსებული კოლექტიური მეურნეობების წესდებები, არამედ საბჭოთა ხელისუფლების შემდგომ წლებში შედგენილი ყველა წესდება.

ვ. ი. ლენინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა მშრომელი გლეხობის ცხოვრების სოციალისტურად გარდაქმნის და გაუმჯობესების საქმეში კოლმეურნეობათა საორგანიზაციო ფორმების მიხედვით შემუშავებულ წესდებებს. იგი უშუალოდ, პრაქტიკულად დებულობდა მონაწილეობას კოლექტიური მეურნეობების ნორმალური სანიმუშო წესდებების შედგენა-შემუშავებაში, განხილვასა და დამტკიცებაში, მათ განხორციელებაში. ამას ნათლად ადასტურებს ვ. ი. ლენინის მიერ გაწეული უდიდესი მუშაობა — ძირითადი კანონის „მიწის სოციალიზაციის შესახებ“, სრულიად რუსეთის ცაკის მიერ 1919 წ. 14 თებერვალს დამტკიცებული დებულების „სოციალისტური მიწათმოწყობის შესახებ და სოციალისტურ მიწათმოქმედებაზე გადასვლის ღონისძიებათა შესახებ“ შედგენა, განხილვა, დამტკიცება და სხვ.

1917—1923 წლებში არც ერთი დიდი თუ პატარა — სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დადგენილება, დეკრეტი, კოდექსი, დებულება არ ყოფილა მიღებული, რომ მასში უშუალო მონაწილეობა არ მიეღოს ვ. ი. ლენინს.

ვ. ი. ლენინს სისტემატურად ქონდა უშუალო საქმიანი ურთიერთობა საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში მიღებულ გამოუკლებლივ ყველა ძირითად საკანონმდებლო ხასიათის დოკუმენტების შემუშავებასთან.


1917—1923 წლებში კოლექტიური მეურნეობების ნორმალური სანიმუშო წესდებების შემუშავება მიმდინარეობდა ვ. ი. ლენინის უშუალო მონაწილეობით და მისი სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად ამ წლებში პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ მიღებული სათანადო დადგენილებების საფუძველზე.



ვ. ი. ლენინი უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა კოლექტიური მეურნეობების ნორმალური-სანიმუშო წესდებების ყველა დებულების ფორმულირების საკითხს. ამის აშკარა დამადასტურებელია ის, რომ მისი „სოციალისტური მიწათმოქმედების შესახებ და სოციალისტურ მიწათმოქმედებაზე გადასვლის ღონისძიებათა შესახებ“, რომლითაც პირველ ეტაპზე განისაზღვრებოდა საბჭოთა მთავრობის აგრარული პოლიტიკის საფუძვლები, რის გამოც მას დიდად აფასებდა ვ. ი. ლენინი და იგი მოიწონა რკპ(ბ) VIII ყრილობამ, ზოგადი ნაწილი, VII თავი სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კომუნების შესახებ, VII თავი—მიწის საზოგადოებრივი დამუშავების შესახებ; რომლის პროექტის 41 მუხლიდან ვ. ი. ლენინის მიერ შესწორებები, ცვლილებები, დამატებები შეტანილია 15 მუხლში და მისი მიხედვით მოხდა დებულების ამ თავის გადაამუშავება.

ვ. ი. ლენინის შენიშვნებში და ამ „დებულებაში“ მოცემულია კოლექტიური მეურნეობის სამეურნეო ფორმების მიხედვით შედგენილი ნორმალური წესდებების ყველა ძირითადი, ამოსავალი, საკანონმდებლო ხასიათის დებულებები, რომლებიც საფუძვლად დაედო სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისა და კოლექტიური მეურნეობების ყველა საკანონმდებლო ხასიათის დეკრეტს, კანონს, კოდექსს, დებულებას და სხვ. არა მარტო 1918—1923 წლებში, არამედ შემდგომ, აღდგენით ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის, საკოლმეურნეო მშენებლობის მასობრივად გაშლის, მთლიანი კოლექტივიზაციის განხორციელების—საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებისა და მისი შემდგომი საორგანიზაციო-სამეურნეო განმტკიცების ღონისძიებათა სისტემის შემუშავებისა და გატარების წლებში.

ვ. ი. ლენინის სახელმძღვანელო დებულებები შეეხებინა გლეხთა საწარმოო კოოპერირების — საკოლმეურნეო მშენებლობის ძირითადი პრინციპებიდან გამომდინარე, საბჭოთა სახელმწიფოს უშუალო ხელმძღვანელობის პირობებში კოლექტიური მეურნეობების, როგორც მეურნეობის განვითარების ერთადერთი სწორი გზის უპირატესობის, მათი დაარსების მიზნებსა და ამოცანებს, კოლექტიური მეურნეობების ორგანიზაციას, ერთადერთი სწორი პრინციპის მტკიცედ დაცვის საფუძველზე, კოლექტიური მეურნეობების დაარსების და ამე თუ იმ საწესდებო ფორმის შერჩევის დროს საწარმოო ძალების (ინდუსტრია, ელექტროფიკაცია), განვითარებას, საწარმოო ურთიერთობათა სრულყოფის ღონის, ადგილობრივი ბუნებრივი, ეკონომიური, საყოფაცხოვრებო და სხვ. პირობების გათვალისწინებას, კლასობრივ მიდგომას, კოოპერირების სოციალური მხარის დაცვას, მუშათა კლასსა და გლეხობას შორის იდეური, ეკონომიური საწარმოო კავშირის ყოველმხრივ განმტკიცებას, საზოგადოებრივი მეურნეობის მრავალდარგობრივად განვითარებას, საწარმოო საშუალებების განსაზოგადოებას, კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი და პირადი ინტერესების სწორ შეთანაწყობას, საზოგადოებრივი ფონდების შექმნას, მათი ყოველი ღონისძიებებით გაფართოებას, დაცვასა და დანიშნულებისამებრ გამოყენებას, ფულადი ფონდის შექმნას, კოლმეურნეობებზე ფინანსურ დახმარებას, საბჭოთა მთავრობის მხრივ გლეხობაზე ორგანიზაციული ხელმძღვანელობით, ტექნიკით, (მატერიალურ-ტექნიკური ბაზა) კადრებით, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებით დახმარებას, მეურნეობის




გაძლოლას გეგმის საფუძველზე, კოლექტიური მეურნეობების დაარსების და გაძლოლის დროს მართვის დემოკრატიული პრინციპების მტკიცედ დაცვასა და საქმეში კოლმეურნეთა ფართო მასების თვითმოქმედებას, შრომის მეცნიერულ ორგანიზაციას (შმო), ნორმირებას და ანაზღაურებას—მატერიალურ დაინტერესებას, აღრიცხვის ყოველმხრივ მოწესრიგებას, შრომის დისციპლინის განმტკიცებას, კლასობრივ მტრებთან შეუირიგებელ ბრძოლას, სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებათა შესრულებას, საზოგადოებრივი წარმოების მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლებისათვის ბრძოლას, სანიმუშო კოლმეურნეობების მოწყობას, მათი სამეურნეო მიღწევების შესწავლას და ფართო საწარმოო პროპაგანდას, სოფლად სოციალური ცვლილების განხორციელებას, ახალი ყოფის შექმნას, ყოველივე ამის შედეგად სოფლად ახალი ადამიანის აღზრდასა და სხვ.

1918—1920 წლებში ვ. ი. ლენინის უშუალო მონაწილეობით და მისი მითითებების მიხედვით შემუშავებულია და რსფსრ მიწსახკომის მიერ დამტკიცებულია შრომითი სამიწათმოქმედო კომუნის სანიმუშო-ნორმალური წესდება; ინსტრუქცია ამ წესდების შედგენისათვის და მიწების გამოყოფისათვის, კომუნის ბიუროს ორგანიზაციისათვის; დებულება ინსტრუქტორებისათვის, წესები—სესხის გაცემის შესახებ, შრომითი სამიწათმოქმედო არტელის სანიმუშო წესდება; მიწის საზოგადოებრივი შრომით დამუშავებელი ამხანაგობის სანიმუშო წესდება და სხვ. სულ 20 ასეთი ხასიათის დოკუმენტი. კოლმეურნეობათა ამ წესდებებში ასახულია საკოლმეურნეო მშენებლობის ლენინური პრინციპები, ძირითადი საწარმოო საშუალებების გამოყენების, საზოგადოებრივი ფონდების შექმნის, შენახვისა და გამოყენების, მოსავლის და შემოსავლის განაწილების, შრომის ორგანიზაციის, ანაზღაურების, მეურნეობის გეგმიანად გაძლოლის, საზოგადოებრივი ქონების დაცვის, შრომის დისციპლინის განმტკიცების და სხვ. საკიდები.

ეს წესდებები მსხვილი კოლექტიური მეურნეობის უპირატესობათა სრული გამოყენების საფუძველზე შეიცავდნენ საზოგადოებრივი წარმოების გაძლოლის ლენინის იდეების ასახვას სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის შესახებ და მისი მეცნიერულად მართვის ძირითად დებულებებს.

ვ. ი. ლენინს კოლექტიური მეურნეობების სამეურნეო ფორმების მიხედვით სანიმუშო წესდებების ძირითადი, ამოსავალი თეორიული დებულებების შემუშავებას უადვილებდა ის, რომ იგი საფუძვლიანად იცნობდა სოფელს, სოფლის მეურნეობის წარმოების ეკონომიკის და ორგანიზაციის საკითხებს, გლეხობას, ხშირად ხვდებოდა მათ, მათ წარმომადგენლებს, ხოლოკებს, გულდამით ეცნობოდა მშრომელ გლეხთა წერილებს, საჩივრებს, წინადადებებს, თხოვნებს, განცხადებებს და სხვ. ვ. ი. ლენინი ადგილზე მიდიოდა და უშუალოდ პრაქტიკულად ეცნობოდა გლეხობის ცხოვრებას, საქმიანობას, პირველად დაარსებული კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების მუშაობას, მათ მიღწევებს, ნაკლს, ის უშუალოდ, ყოველდღიურად უკავშირდებოდა მიწსახკომს, იცნობდა მისი კოლეგიის საქმიანობას, და ღებულობდა კონკრეტულ ოპერატიულ ზომებს მიწსახკომისა და მისი კოლეგიის მუშაობის გასაუმჯობესებლად.

ვ. ი. ლენინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში დაარსებული კოლმეურნეობების სანიმუშო წესდებებს და ყველასაგან მოითხოვდა მათ მტკიცედ დაცვას, განუხრელად განხორციელებას.



1918—1920 წ. მიღებული კოლმეურნეობების სანიმუშო წესდებების არსებითი გადამუშავება მოხდა 1921 წლიდან, ახალი ეკონომური პოლიტიკის შემდეგ ჯერ კიდევ 1921 წლის იანვარში შექმნილი ახალ პირობების შესაბამისად. სულ ამ წელს ახლად შემუშავებული (გადამუშავებული) იქნა კოლექტიური მეურნეობის სამეურნეო ფორმების მიხედვით 15-ზე მეტ სხვადასხვა წესდება.

ახალი ეკონომური პოლიტიკის შემოღების შემდეგ 1921—1929 წწ. კოლექტიური მეურნეობების ახლად შემუშავებულ და გადამუშავებულ წესდებებს საფუძვლად ედო ვ. ი. ლენინის უკანასკნელ სტატიებში, კერძოდ კი, სტატიაში „კოოპერაციის შესახებ“ მოცემული თეორიული დებულებები, მიწის კოდექსი (1922 წ.), სსრ კავშირის კონსტიტუცია (1924 წ.), სკკპ XV ყრილობის დადგენილებები (1927 წ. XII), მიწათსარგებლობის ზოგადი საფუძვლები (1928 წ. XII), და საკოლმეურნეო მშენებლობის საკანონმდებლო ხასიათის ყველა სხვა დადგენილება, დეკრეტი, კანონი, დებულება.


კოლექტიური მეურნეობების ნორმალურ-სანიმუშო წესდებების ძირითადი დებულებების შემცველი იყო სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ხაზით ამ წლებში მიღებული მეტი წილი დეკრეტები, დებულებები, დადგენილებები, ეს იყო ამ პერიოდის კოლმეურნეობების წესდებების დამახასიათებელი თავისებურებანი. ამ მხრივ აღსანიშნავია 1921 წლის 16/VIII მიღებული დეკრეტი, მთლიანი კოლექტივიზაციის 1929—1930 წლებში მიღებული დადგენილებები სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ. ეს წესდებები შეეხებოდნენ გლეხთა უმარტივეს და მარტივ საწარმოო გაერთიანებებსაც.

საქართველოში საკოლმეურნეო მშენებლობა დაიწყო 1921 წლის მარტიდან. ვ. ი. ლენინის სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად, რსფსრ-ში საკოლმეურნეო მშენებლობის მდიდარი გამოცდილების შემოქმედებითად გამოყენებით, საქართველოს რევკომის მიერ მიღებული 1921 წ. 6/IV № 17 მიწის დეკრეტის შესაბამისად კოლექტიური მეურნეობების პირველი წესდებები—სასოფლო-სამეურნეო მწარმოებელი კომუნის ნორმალური წესდება (33 მუხლით) და ამ კომუნისა და სას.სამ. ამხანაგობის დაარსების წესები—დამტკიცებულია საქართველოს რევკომისა და საქართველოს მიწსახკომის მიერ 1921 წ. 4 ივნისს.

სსრ კავშირში, მათ შორის საქართველოს სსრ 1921—1929 წლებში კოლექტიური მეურნეობები მათ სამეურნეო-საფინანსო საქმიანობას წარმართავდნენ აღნიშნული წესდებების შესაბამისად მიღებული თავიანთი წესდებების საფუძველზე.

ვ. ი. ლენინის კოოპერაციული გეგმის დაცვა და მისი შემდგომი განვითარება მოცემულია რკპ ყრილობების, კონფერენციების, პლენუმების, პარტიის ცკ ცალკე დადგენილებებში, სსრ კავშირის საბჭოების ყრილობების და სსრ კავშირის სასკომსაბჭოს გადაწყვეტილებებში და სხვ.

ვ. ი. ლენინის კოოპერაციული გეგმის შემოქმედებითად განვითარებისა და მისი განხორციელების ფართო, მეცნიერულად დასაბუთებული ღონისძიებების ვატარებამ უზრუნველყო 1928 წლიდან საკოლმეურნეო მშენებლობის მასობრივად გამლა, ხოლო შემდეგ 1929 წლის მეორე ნახევრიდან—მთლიანი კოლექტივიზაციის განხორციელება და მძლავრი საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვება.



მთლიანი კოლექტივიზაციის გატარების დაწყების პერიოდში (1929 წ. მეორე ნახევრიდან) საკოლმეურნეო მშენებლობის ძირითად-მთავარ-ერთობრივ სამეურნეო (საწესდებო) ფორმად მიჩნეული იქნა სასოფლო-სამეურნეო კოლექტივიზაცია, რომლის ერთიანი სანიმუშო წესდება შემუშავებული იყო სსრ კავშირის კოლმეურნეობათა ცენტრისა და სსრ კავშირის მიწსახკომის მიერ, რომელიც 1930 წ. 1 მარტს დაამტკიცეს სსრ კავშირის ცაკმა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ. ამ წესდების მიღება იყო უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა, ხოლო თვით სასოფლო-სამეურნეო არტელის ეს სანიმუშო წესდება მთლიანი კოლექტივიზაციის წესდება, ძირითადი კანონი, დაედო საფუძვლად მშრომელ გლეხთა საწარმოო კოოპერირებას რეორგანიზაციის პერიოდში. ყოველივე ეს კი წარმოადგენდა სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების სამეურნეო ფორმებისა და მათი სანიმუშო წესდებების შესახებ ვ. ი. ლენინის სახელმძღვანელო მითითებების—დებულებების შემდგომ შემოქმედებითად განვითარებას, უდიდესი ცხოველმყოფელობის დადასტურებას, მათი ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებას, ტრიუმფს, ზეიმს.

მთლიანი კოლექტივიზაციის—რეორგანიზაციის პერიოდში კოლექტიური მეურნეობების პოლიტიკურ-საორგანიზაციო და სამეურნეო განმტკიცების მეცნიერული ღონისძიებათა სისტემა, რომელთა განხორციელება ითვალისწინებდა 1930 წ. 1 მარტს მიღებულ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების მტკიცედ დაცვას, მის განუხრებელ გატარებას, მასში მოწინავეთა გამოცდილების გათვალისწინებით შესწორებების, დამატებებისა, ცვლილებების შეტანას და სხვ. წარმოადგენდა ვ. ი. ლენინის კოოპერაციული გეგმის შემოქმედებითად განხორციელების შედეგად მოპოვებული უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის მიღწევების დადასტურებას, კოლექტიური მეურნეობების სამეურნეო ფორმებისა და საკოლმეურნეო მშენებლობის ახალ ეტაპზე მათი სანიმუშო წესდებების შესახებ ლენინის იდეების უდიდესი ცხოველმყოფელობის მაჩვენებელს.

სკკ XV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესაბამისად, ლენინის კოოპერაციული გეგმის საფუძველზე მასობრივად საკოლმეურნეო მშენებლობის გაშლას, მთლიანი კოლექტივიზაციის განხორციელების, სოფლად უდიდესი რევოლუციური გარდაქმნის და მძლავრი საკოლმეურნეო წყობილების შექმნის მეტად რთული და ნელი პროცესის კანონზომიერად წარმართვას განაპირობებდა და საფუძვლად ედო ლენინის საქმის დიდი განმგრძობის ი. ბ. სტალინის აგრარული შრომები და მისი ყოველდღიური ხელმძღვანელობა და დაუღალავი მზრუნველობა მშრომელი კოლმეურნე გლეხობის მიმართ, ლენინური კომუნისტური პარტიის ხაზის მტკიცედ დაცვა და განუხრებლად განხორციელება.

ი. ბ. სტალინის მეთაურობით უშუალო ხელმძღვანელობით და დაუღალავი ზრუნვით ვ. ი. ლენინის გენიალური კოოპერაციული გეგმის მტკიცედ დაცვის, მისი შემოქმედებითად განხორციელების შედეგად სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის, მსოფლიოში უმსხვილესი მექანიზებული სოციალისტური სოფლის მეურნეობის შექმნამ კოლექტიური მეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და მტს-ის სახით განაპირობა სოციალისტური სოფლის მეურნეობის გაფართოებული კვლავწარმოების გზით განვითარება და



კიდევ უფრო მეტი რეალური შესაძლებლობები შექმნა საზოგადოებრივი მეურნეობის ახალი აღმავლობისათვის.

მაგრამ, მიუხედავად აღნიშნულისა საკოლმეურნეო წარმართების განვითარებისათვის საკმარისი აღარ აღმოჩნდა 1930 წ. 1 მარტს მიღებული სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდება. საკითხი სასოფლო-სამეურნეო არტელის ახალი სანიმუშო წესდების შემუშავების შესახებ განიხილა სკკპ ცკ-ის პლენუმმა 1934 წლის ნოემბერში, რომელმაც საჭიროდ ცნო სასოფლო-სამეურნეო არტელის ახალი სანიმუშო წესდების შედგენა.


1935 წ. თებერვალში შეიკრიბა დამკვერელ კოლმეურნეთა სრულიად საქართველო მეორე ყრილობა, რომლის მოწვევის ინიციატორი, ორგანიზატორი, იდეური ხელმძღვანელი, აქტიური მონაწილე და უშუალო წარმმართველი იყო ვ. ი. ბ. სტალინი. ამ ყრილობამ შეაჯამა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის, საკოლმეურნეო მშენებლობის გამარჯვების შედეგები და ყრილობის 1500-ზე მეტი დელეგატის აქტიური მონაწილეობით ვ. ი. ლენინის და ვ. ი. ბ. სტალინის მითითებების შესაბამისად განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო განყოფილებისა და სსრ კავშირის მიწსახკომის მიერ შედგენილი სასოფლო-სამეურნეო არტელის ახალი სანიმუშო წესდების პროექტი და მიიღო იგი, რომელიც 1935 წ. 17 თებერვალს დაამტკიცა სკკპ (ბ) ცკ-მა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ. ამ წესდებაში ასახულია საკოლმეურნეო მშენებლობის ლენინური იდეები. იგი გახდა საკოლმეურნეო ცხოვრების ძირითადი კანონი.

ვ. ი. ლენინის კოოპერაციული გეგმის მიხედვით, კოლექტიური მეურნეობების სანიმუშო წესდებების შედგენის პრაქტიკა, კომუნისტური პარტიის აგრარული პოლიტიკის შესაბამისად, შეიძლება განხილული იქნეს შემდეგი პერიოდების მიხედვით:

პირველი პერიოდი 1917 წლის ნოემბრიდან 1920 წლის ბოლომდე. მეორე — 1921 წლიდან 1929 წლის ბოლომდე, მესამე — 1930—1934 წ. მეოთხე პერიოდი — 1935 წლიდან 1956 წლამდე და მეხუთე პერიოდი 1956 წლიდან 1970 წლამდე, სათანადო ქვეპერიოდებით.

კოლექტიური მეურნეობების სანიმუშო წესდებების შინაარსი განისაზღვრებოდა სოციალისტური მშენებლობის ცალკე ეტაპების მიხედვით საწარმოო ძალთა განვითარების დონის, სოფლის მეურნეობის აღდგენის, განვითარების, სოციალისტურად გარდაქმნის, საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვების და მისი საორგანიზაციო-სამეურნეო განმტკიცების ამოცანებიდან გამომდინარე.

ვ. ი. ლენინის კოოპერაციული გეგმის საფუძველზე სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის ძნელი და რთული პროცესის კანონზომიერად მიმდინარეობას, კოლექტიური მეურნეობების საორგანიზაციო-სამეურნეო განმტკიცების მეცნიერულად დასაბუთებულ ღონისიებათა სისტემის, მათ შორის სანიმუშო წესდებების შემუშავების და მათი მეცნიერების მიღწევების და მოწინავეთა გამოცდილების გათვალისწინებით გაუმჯობესებისა და სრულყოფის საკითხებს საკოლმეურნეო მშენებლობის ცალკე ეტაპების მიხედვით შემოქმედებოდა. მშრომელ კოლმეურნე გლეხთა ფართო მასების მონაწილეობით, პარტიული და საბჭოთა ყრილობების მსგავსად, განიხილავდა კოლმეურნეთა რესპუბლიკური და საკავშირო ყრილობები.




ამ უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის, ამასთან სრულად ახალი ღონისძიებების ინიციატორი, იდეური ხელმძღვანელი და რეალურად განხორციელების უშუალო მონაწილე იყო ვ. ი. ლენინი და მისი უძველესი მეგობარების, დამცველი და შემოქმედებითად გამგრძელებელი და განმხორციელებელი ი. ბ. სტალინი.

განვიხილოთ წლებში ჩვენი ქვეყნის საკოლმეურნეო წყობილების მდიდარ პრაქტიკაში ცნობილია კოლმეურნეთა შემდეგი ყრილობები: 1. საადგილმამულო განყოფილებების, ღარიბთა კომიტეტების და კომუნების სრულიად რუსეთის I ყრილობა (1918 წ. დეკემბერი), 2. სამიწათმოქმედო კომუნებისა და სასოფლო-სამეურნეო არტელების პირველი ყრილობა (1919 წ. დეკემბერი), 3. სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების სრულიად რუსეთის მეორე ყრილობა (1921 წ. თებერვალი), 4. სსრ კავშირის კოლმეურნეთა ყრილობა (1925 წ. თებერვალი-მარტი), 5. სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების სრულიად რუსეთის მესამე ყრილობა (1928 წ. მაისი), 6. სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების სრულიად საკავშირო ყრილობა (1928 წ. ივნისი), 7. დამკვრელ კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო პირველი ყრილობა (1933 წ. თებერვალი), 8. დამკვრელ კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო მეორე ყრილობა (1935 წ. თებერვალი).

მოყვანილი მასალები ნათლად გვიჩვენებენ ვ. ი. ლენინის კოოპერაციული გეგმის საფუძველზე ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნას, კოლექტიური მეურნეობების სამეურნეო ფორმებისა და მათი საინიმუო წესდებების შესახებ ვ. ი. ლენინის იდეების, სწავლების შემოქმედებითად განვითარებას, გამარჯვებას და მის უდიდეს ისტორიულ მნიშვნელობას.

ამასთან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, კოლექტიური მეურნეობების სანიმუშო წესდებების მიღების დღიდან, სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის პროცესში, ცალკე ეტაპების მიხედვით მიმდინარეობდა რა ამ წესდებების გაუმჯობესება, მასში შესწორებების, დამატებებისა და ცვლილებების შეტანა, მზადდებოდა აუცილებელი ეკონომიური, პოლიტიკური და სოციალური პირობები, სასოფლო-სამეურნეო არტელის ახალი სანიმუშო წესდების შემუშავებისათვის, რომელიც შესაბამისი იქნება კომუნისმის გაშლილი მშენებლობის პერიოდისათვის.

35 წლის წინათ მიღებულ იქნა სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდება, რომელშიც სრულად არის ასახული ლენინური იდეები; ასე შეიქმნა საკოლმეურნეო წყობილების ძირითადი კანონი, სოფლად სოციალისტური საზოგადოების აშენების კანონი, რომლის დაცვით და განუხრელი განხორციელებით უდიდესი მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის წარმატებები მოპოვებული. საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებისა და განმტკიცების შედეგად მოხდა სოციალური გადატრიალება სოფლის ყოფაში, გაუმჯობესდა კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობა, განუზომლად ამაღლდა სოფლის მეურნეობის მშრომელთა პოლიტიკური და კულტურული დონე. სახელოვანი კოლმეურნე გლეხობა, საბჭოთა მეურნეობების მუშები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები დაუცხრომელი ენერგიით შრომობენ, რათა უზრუნველყონ სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობა, გაამრავლონ სამშობლოს დოვლათი. ამასთან მომზადდა პირობები და საჭიროება 1935 წ. მიღებული სასოფლო-სამეურნეო



არტელის სანიმუშო წესდების და მისი მტკიცე დაცვის, განუხრელი განხორციელების, მასში ცვლილებების, შესწორებების და დამატებების, შეცვლის, შექმნის, გად და სრულყოფის საქმეში დაგროვილი გამოცდილების, მეცნიერებათა განვითარებისა და მოწინავეთა გამოცდილების გათვალისწინებით კოლმეურნეობის ახალი სანიმუშო წესდებების შემუშავების აუცილებლობის შესახებ, რომლის პროექტი გამოქვეყნდა 1969 წლის 24 აპრილს საყოველთაო სახალხო განხილვისათვის.

კოლმეურნეობის ახალი სანიმუშო წესდების პროექტი წარმოადგენს ლენინური აგრარული პოლიტიკის შემდგომ შემოქმედებითად განვითარების შესანიშნავ ნიმუშს, სოციალისტური სოფლის მეურნეობის საკოლმეურნეო ფორმის საორგანიზაციო-სამეურნეო განმტკიცებისა და შემდგომი განვითარების უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას—საკოლმეურნეო წყობილების ძირითად კანონს კომუნისმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში და სრულყოფილად პასუხობს იმ ამოცანების წარმატებით განხორციელებას, რომლებიც დასმულია სოციალისტური სოფლის მეურნეობის წინაშე სკკპ პროგრამით. კოლმეურნეობის (სასოფლო-სამეურნეო არტელის) ახალი სანიმუშო წესდება ითვალისწინებს საკოლმეურნეო საზოგადოებრივი წარმოების მრავალდარგობრივად ყოველმხრივ განვითარებასა და განმტკიცებას და ამის საფუძველზე კოლმეურნეობების როლისა და მნიშვნელობის ხვედრითი წონის ამაღლებას და გაძლიერებას კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნასა და განმტკიცებაში.

ვ. ი. ლენინის კოოპერაციული გეგმის საფუძველზე განხორციელებულ საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებისა და ამის შედეგად მოპოვებული მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის წარმატებებისა და მომავალი ამოცანების გათვალისწინებით შემუშავებული კოლმეურნეობის ახალი სანიმუშო წესდების პროექტი, რომელიც მართალია მთლიანი კოლექტივიზაციის განხორციელების 49 წლის მდიდარი გამოცდილების მეცნიერული განზოგადების შედეგად არის შემუშავებული, ძირეულად განსხვავდება 1930 წლის 1 მარტს და 1935 წლის 17 თებერვალს მიღებული სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდებებისაგან და ეს ცხადია, ვასაგებიცაა, რადგან თუ სასოფლო-სამეურნეო არტელის პირველი ორი სანიმუშო წესდება მიღებულია სოციალისტური საზოგადოების საძირკვლის აგების პერიოდში, მთლიანი კოლექტივიზაციის — რეორგანიზაციის განხორციელების, საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვების წლებში, ამჟამად კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების პროექტი, რომელიც საყოველთაო-სახალხო ფართო განხილვის შედეგად მიღებული იქნება კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობის მიერ 1969 წლის ნოემბერში, გახდება-შეიქნება საკოლმეურნეო წყობილების უმაღლესი კანონი კომუნისმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში იმ დროს, როდესაც კოლმეურნეობა ჩვენი ქვეყნის კოლმეურნე გლეხობისათვის წარმოადგენს კომუნისმის სკოლას.

საკოლმეურნეო წყობილება, რომელიც დამკვიდრდა ლენინური კოოპერაციული გეგმის განხორციელების შედეგად,—საბჭოთა საზოგადოების განუყოფელი ნაწილია. საკოლმეურნეო წყობილების შექმნისა და განმტკიცების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა მეურნეობებს და მტს-ს,




მთლიანი კოლექტივიზაციის განხორციელების, საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებისა და განმტკიცების საქმეში. განვლილი 40 წლის მანძილზე უდიდესი ისტორიული ცვლილებები მოხდა სოფლის მეურნეობის ძალთა განვითარებაში, საწარმოო ურთიერთობათა სრულყოფაში, საკოლმეურნეო წარმოების ეკონომიკაში.

1935 წელს მოსკოვში შეკრებილმა კოლმეურნეთა მეორე სრულიად საკავშირო ყრილობამ მიიღო სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდება—საკოლმეურნეო ცხოვრების ძირითადი კანონი, რამაც დიდი როლი შეასრულა სასოფლო-სამეურნეო არტელების განმტკიცებასა და განვითარებაში, დღემდე ემსახურება მათ საზოგადოებრივი წარმოების აღმავლობისა და სასაქონლო პროდუქციის ზრდის, კოლმეურნეთა კეთილდღეობის გაუმჯობესების საქმეს. მაგრამ ეს წესდება ახლა ვეღარ აკმაყოფილებს ყველა ეკონომიურ და სოციალურ გარდაქმნას სოფლად.

ამ წესდების მიღების დღიდან საკოლმეურნეო წარმოებაში მომხდარმა ეკონომიურმა, პოლიტიკურმა, სოციალურმა და ისტორიულმა ცვლილებებმა და სოციალისტური სოფლის მეურნეობის წინაშე სკკპ XXIII ყრილობის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების მიერ დასახული ახალი ამოცანები მოითხოვენ საკოლმეურნეო წესდებაში ცვლილებებს. გვავალებენ გავითვალისწინოთ შექმნილი გამოცდილება, საკოლმეურნეო წყობილების წესდების პროექტი სწორედ ყოველივე ამის გათვალისწინებითაა შედგენილი, ეყრდნობა სოფლად შექმნილი ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობას.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, სას.-სამ. არტელის მოქმედ წესდებასთან შედარებით, კოლმეურნეობის ახალი სანიმუშო წესდების პროექტში შეტანილია შემდეგი ახალი საკითხები: კოლმეურნეთა მატერიალური დინტერესებისათვის შრომის ფულადი-გარანტირებული ანაზღაურების დაკანონება და კოლმეურნეთა მორალური წახალისების ღონისძიებები, 2. კოლმეურნეობის მთლიანი პროდუქციისა და შემოსავლის განაწილება, 3. კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფა. 4. კულტურა, ყოფა-ცხოვრება, კეთილმოწყობა. 5. კოლმეურნეთა კრებების მოწვევა ბრიგადებსა და სხვა საწარმოო ქვედანაყოფების მიხედვით, ეკონომიური ანალიზის ბიუროების შექმნა და სხვ. კოლმეურნეობის ახალი სანიმუშო წესდების პროექტი ფართოდ ითვალისწინებს საკოლმეურნეო წარმოების ეკონომიკისა და ორგანიზაციის საზოგადოებრივ მეურნეობის მართვის, გაძღოლის მეცნიერულად დასაბუთებულ ღონისძიებებს, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურის ამაღლებას, რენტაბელურ მუშაობას და საკოლმეურნეო წარმოების საქმიანობის მთელ რივ საკითხებს, რომლებიც გამომდინარეობენ და პასუხობენ საკოლმეურნეო წარმოების განვითარების ახალი ეტაპის მოთხოვნილებებს.


კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების პროექტის ფართო საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნება, მისი საბოლოოდ კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობაზე მიღება უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის კამპანიას წარმოადგენს, რომლის მაღალიდგურ დონეზე, ორგანიზებულად ჩატარებაზე დიდად არის დამოკიდებული კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების



პროექტის ფართო განხილვა და საკოლმეურნეო წარმოების სრულყოფილი ძირითადი კანონის—კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების მიღება. აღნიშნულმა ამოსავალმა პირობებმა და დებულებებმა განსაზღვრეს, რომ 1930 წ. 1/III მიღებული სას.-სამ. არტელის წესდება შედგებოდა ათი თავისა და 22 მუხლისაგან, ხოლო 1935 წ. მიღებული სას.-სამ. არტელის სანიმუშო წესდება—რვა თავისა და 25 მუხლისაგან, კოლმეურნეობის ახალი სანიმუშო წესდების მიღებიდან განვლილი 35 წლის განმავლობაში საკოლმეურნეო წარმოებაში მომხდარი ცვლილებები ასახულია ახალი სანიმუშო წესდების პროექტის 12 თავსა და 61 მუხლში.

კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების ახალი პროექტის შემუშავების შესახებ საკითხის დასმის, პროექტის შედგენის, მისი სპეციალურად შექმნილი კომისიის მიერ განხილვის, საყოველთაო-სახალხო ფართო განხილვისათვის გამოქვეყნების, განხილვის სამუშაოების მიმდინარეობის, შედეგების შეჯამებისა და კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობის მოწვევის, რომელმაც უნდა განიხილოს საკითხი და მიიღოს კოლმეურნეობის სანიმუშო წესდება, მთელი სამუშაოები შეიძლება დავეყთ ორ თანმიმდევრულ პერიოდად: პირველი — ზემდგომი პარტიული და საბჭოთა ორგანოების მიერ სას.-სამ. არტელის სანიმუშო წესდების მტკიცე დაცვისა და მისი ცალკეული დებულების შემოქმედებითად განვითარებისათვის მიღებული რიგი საკანონმდებლო ხასიათის დადგენილებები: შრომის ორგანიზაციის, ნორმირების, ანაზღაურების (ძირითადი და დამატებითი), შრომის დისციპლინის განმტკიცების, საფინანსო მეურნეობის, სოფლის მეურნეობის დაგეგმის მოწესრიგების და სხვ.

მეორე პერიოდი 1956 წლიდან 1970 წლამდე, რომელშიაც შეიძლება გამოიყოს შემდეგი პერიოდები: ა) 1956—1964 წლები, როდესაც სკკპ ცკ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წ. 6 მარტის დადგენილებით მოქმედ წესდებაში შეტანილი იქნა ცვლილებები, დამატებები და შესწორებები, ამასთან 1958 წ. თებერვალში სკკპ ცკ-ის პლენუმის მიერ დასმული იქნა საკითხი კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო ყრილობის მოწვევისა და ახალი წესდების შემუშავების შესახებ; ბ) 1965 წლიდან 1969 წლამდე, როდესაც სკკპ ცკ-ის 1965 წლის მარტის პლენუმის დადგენილების შესაბამისად და მის განსახორციელებლად დიდი შემოქმედებითი მუშაობა გაიშალა კოლმეურნეობის ახალი სანიმუშო წესდების პროექტის შემუშავებისა და კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობის მოწვევისათვის, მთელ ამ მრავალმხრივ საინტერესო სამუშაოებს წარმართავდა სკკპ ცკ-ის მიერ სპეციალურად ამ საქმისათვის შექმნილი კომისია, აღსანიშნავია, რომ ამ წლებში კოლმეურნეობის პარტიული, საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო მუშაკების, მეცნიერ მუშაკების, იურისტების, მუშების, მოსამსახურეების და სხვათა მიერ პრესის საშუალებით წამოყენებულია მრავალი სასურველი წინადადება კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების პროექტში გასათვალისწინებლად. გ) ამ პერიოდის მეორე ნახევარში სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების ახალი პროექტია შემუშავებული და კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკა-



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვშირო ყრილობის მოსამზადებელი კომისიის მიერ ფართო საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნებული პრესაში 1969 წლის 24 აპრილს.

კოლმეურნეობის წესდების პროექტის ფართო განხილვისათვის განხილვისათვის შემდეგ ჩვენი ქვეყნისა და რესპუბლიკის პარტიული, სასოფლო-სამეურნეო მუშაკების, კოლმეურნეების, მუშების, მოსამსახურეების მიერ მრავალი სასურველი წინადადებები, შესწორებები და დამატებები იქნა შეტანილი კოლმეურნეობის წესდების პროექტში გასათვალისწინებლად, რასაც 1969 წლის 24 აპრილიდან სისტემატიურად აქვეყნებდა სსრ კავშირის ცენტრალური პრესა, გაზეთები: „პრავდა“, „იზვესტია“, „სელსკაია ჟიზნი“, „სოვეტსკაია ოლსია“, „ტრუდი“, „სელსკაია ნოვ“ და სხვ. რესპუბლიკური გაზეთები „სოფლის ცხოვრება“, „კომუნისტი“, „ზარია ვოსტოკა“, „მოლოდეჟ გრუზიი“, ჟურნალები—„საქართველოს კომუნისტი“, „საქართველოს სოფლის მეურნეობა“, და სხვ. და ბოლოს, ყველა საოლქო, რაიონული გაზეთი, საკოლმეურნეო გაზეთები და სხვ.

ამასთან ერთად, 1969 წლის მაისიდან 1969 წ. აგვისტომდე ყველა კოლმეურნეობაში ჩატარებული იქნა კოლმეურნეთა საერთო კრებები, წესდების პროექტის ფართო განხილვისა, მისი შესწავლისა და წინადადებების წამოყენებისათვის, რამაც დიდი შრომითი აღმავლობა გამოიწვია კოლმეურნე გლეხობას შორის 1969 წლის ხუთწლედის მეოთხე წლის დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში. დ) 1969 წლის აგვისტო-სექტემბერში კვლავ ჩატარდა ყველა კოლმეურნეობაში კოლმეურნეთა საერთო კრებები, კოლმეურნეობის წესდების პროექტის განხილვის, სასურველი წინადადებების წამოყენებისა და კოლმეურნეთა რაიონული კრებების დელეგატების არჩევისათვის, ე) 1969 წლის ოქტომბერში ჩატარდა კოლმეურნეთა რაიონული კრებები და საოლქო კონფერენციები, კოლმეურნეობის წესდების პროექტის განხილვისათვის, რაიონის კოლმეურნეობების კრებებზე წამოყენებული წინადადებების შეჯამებისა და საქართველოს კოლმეურნეთა მესამე ყრილობის დელეგატების არჩევისათვის, რაც წარმატებით ჩატარდა. ვ) 1969 წლის 30—31 ოქტომბერს ჩატარდა საქართველოს კოლმეურნეთა მესამე ყრილობა, რომელმაც 1969 წ. 24 აპრილიდან შეაჯამა კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის დარგში ჩატარებული სამუშაოები და აირჩია დელეგატები კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობისათვის.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კოლმეურნეთა პირველი ყრილობა გაიმართა 1928 წ. იანვარში, სკკ პარტის XV ყრილობის მუშაობის დამთავრებიდან სულ მოკლე დროში, საკოლმეურნეო მშენებლობის მასობრივად დაწყების პირველ წელს, რომელმაც განიხილა ამ დროისათვის საკოლმეურნეო მოძრაობის ყველაზე აქტუალური საკითხები, სულ 7 საკითხი. საქართველოს კოლმეურნეთა პირველი ყრილობიდან 3 წლის შემდეგ მთლიანი კოლექტივიზაციის მთელი გაქანებით მიმდინარეობის პროცესში 1931 წლის 5—10 მარტს შეიკრიბა საქართველოს კოლმეურნეთა მეორე ყრილობა, რომელმაც განიხილა კოლმეურნეობების საორგანიზაციო-სამეურნეო განმტკიცების 6 სხვადასხვა საკითხი.

პროფ. ა. ბაღდავაძე

მასალაზე ხეხილის მერქნის მავნე COLEOPTERA-თა შემწავლისათვის აღმოსავლეთ საქართველოში

ხეხილის მავნებლებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მერქნის მავნებლები, რომლებიც თავისი საზიანო მოქმედებით ანადგურებენ ღერო-ტოტების მერქანს, რასაც მთელი მცენარის ან ცალკეული მისი ორგანოს დაღუპვა მოსდევს. აღმოსავლეთ საქართველოს მეხილეობის რაიონებში 1953—1955 წწ. შორის გამოვლინებული იყო მერქნის შემდეგი მავნებელი ხოჭოები:

Buprestidae-ს ოჯახიდან:

1. ბლის პეწიანა—*Lampra bella* Cast. et Gorg.
2. ხეხილის პეწიანა—*Capnodis cariosa* Pall.
3. კვამლა პეწიანა—*Capnodis tenebriosa* Ol.
4. შავი პეწიანა—*Capnodis tenebrionis* L.
5. სპილენძა პეწიანა—*Perotis lugubris lugubris* F.
6. ნუშის პეწიანა—*Chalcophorella stigmatica* Shoeh.
7. პეწიანა ანტაქსია—*Cratomerus mirabilis* Zich.
8. ვაზის წვრილტანა პეწიანა—*Agrilus derasphasciatus* Lac.

Cerambycidae-ს ოჯახიდან:

1. მარცვლოვანულვაშიანი ხარაბუზა—*Megopis scabricornis* Scop.
2. ლელვის ხარაბუზა—*Trichoferus griseus* F.
3. ბალის დიდი ხარაბუზა—*Cerambyx dux* Falde.
4. ალუბლის შავი ხარაბუზა—*Cerambyx scopoli* Füssl.
5. ნაირკამია კლიტი—*Clytus arietis* L.
6. ხეჭრელის კლიტი—*Clytus rhamni* Germ.
7. ცვალბადი კლიტი—*Chloroforus varius* Müll.
8. ლამაზი კლიტი—*Isotomus comptus* Munh.
9. კელერის წითელფრთიანი ხარაბუზა—*Purpuricenus kaehleri* L.
10. სამხრეთის წითელფრთიანი ხარაბუზა—*Purpuricenus budensis* Götz.
11. ნეკერჩხლის რუხი ხარაბუზა—*Leiopus nebulosus* L.
12. ნეკერჩხლის მსხვილფეხა ხარაბუზა—*Leiopus femoratus* Fairm.
13. ხარაბუზა პახიმერუსი—*Leiopus pachimerus* Gnglb.
14. ხეხილის პატარა ხარაბუზა—*Tetrops praeusta* L.

Curculionidae-ს ოჯახიდან

1. ხეხილის ცხვირგრძელა

Jpidae-ს ოჯახიდან.

1. ნაოჭიანი ცილაჭამია—*Scolytus rugulosus* Ratz.

2. დიდი ცილაჭამია—*Scolytus mali* Bechst.

3. ლელვის ლაფანჭამია—*Hypobarus ficus* Erichs.

4. ლეყავას კრიფალი—*Hypothenemus lezharai* Pjatn.

5. დასავლეთის არაფარდი ქერქიჭამია—*Xyleborus dispar* F.

დასახელებული მავნებლებიდან ყველა ერთნაირი მნიშვნელობის არაა. ზოგი მათგანი მომაკვდავ მცენარეზე ცხოვრობს ან ერთეულების სახით გვხვდება და მაშასადამე, არავითარი უარყოფითი გავლენა არა აქვს, ზოგი ფართო არეალით სარგებლობს ან ლოკალიზებულია ერთ გარკვეულ ადგილზე, სადაც მათ დიდი ზიანი მოაქვთ.

შავი პეწიანა—*Capnodis tenebrionis* L.

შავი პეწიანა, როგორც ამას ვასილიევი და ლივშიცი (1958) აღნიშნავენ გავრცელებულია სამხრეთ და ცენტრალურ ევროპაში, პალესტინაში, სირიაში, თურქეთში, ირანში, ჩრდილოეთ აფრიკაში, სსრ კავშირიდან—მოლდავეთში, სამხრეთ უკრაინაში, ჩრდილო ვოლგისპირეთში, ყაზახეთსა და კავკასიაში. მაკარიანისა და ავეტისიანის (1932) მიხედვით ის გავრცელებულია სომხეთში. რეკი (1932), ბათიაშვილი და ბაღდავაძე (1941), ლოხოვოვი (1948)—აღნიშნავენ მის გავრცელებას საქართველოში.

შავი პეწიანა საქართველოში გავრცელებულია ქართლის სხვადასხვა რაიონში, და უფრო მეტად თბილისის გარეუბანში, მცხეთის რაიონში, გარდაბანში, რუსთავის მიდამოებში და საერთოდ მშრალსა და ურწყავ ადგილებში.

შავი პეწიანას მატლები ძირითადად აზიანებენ ფესვებს, სადაც ისინი ღრღნიან სასვლელებს. გარდა ამისა, მატლები აზიანებენ სიდავაში მოთავსებულ ღეროსაც. ღეროსა და ფესვში მატლები ღრღნიან წვრილ, გრძელ და ბრტყელ სასვლელებს, რაც იწვევს მცენარის სწრაფად დაღუპვას.

შავი პეწიანას ხოჭოები კი ყლორტებზე ღრღნიან ქერქს პატარ-პატარა მოედნებად, გარდა ამისა ისინი გადაღრღნიან ფოთლის ყუნწებს, ღრღნიან კვირტების ფუძეს და ტოტის ქერქს. გადაღრღნილი ყლორტი და ფოთოლი ჩამოეკიდება მცენარეზე.

შავი პეწიანას მკვებავ მცენარედ ტყის მავნებელთა ცნობარში დასახელებულია გარგარი, ალუჩა, ქლიავი, ალუბალი, ბალი, ნუში, ატამი, ლოდნოშო, მსხალი და კუნელი.

ეს მავნებელი ყველაზე მეტად შევიწინეთ გარგარზე, ჭერამზე, ალუბალზე, ალუჩაზე ქლიავზე, ტყემალზე ლოდნოშოზე, მსხალზე, კვრინჩხზე, ნუშსა და ასკილზე. ალუბლის ნარგაობა მთლიანად დაიღუპა ამ მავნებლის მიერ რუსთავის მიდამოებში. რეკის (1932) ცნობით ლენინის რაიონის სატყეო მეურნეობაში 1931—1932 წწ. გარგარის ხარგაობა სულ განადგურდა ამ მავნებლით.

ხოჭოს ფრენა იწყება აპრილის ბოლოდან და გვხვდება ივლისის პირველ რიცხვამდე. მავნებელს ახასიათებს ორ-სამწლიანი გენერაცია.



სპილენძა პეწიანა—*Perotis lugubris lugubris* F.

ეს პეწიანა გავრცელებულია რიხტერის (1945) მიხედვით ოდესის და ნიკოლაევის ოლქებში, ყირიმში, კრასნოდარის მხარეში, სომხეთში. ტყის მავნებელთა ცნობარში აღნიშნულია მისი გავრცელება სამხრეთ ევროპაში, თურქეთში. სირიაში, ჩრდილოეთ ირანში, სსრ კავშირის სამხრეთ ნაწილში, ყირიმსა და კავკასიაში. ლოზოვოის (1949) მონაცემებში აღნიშნულია მისი გავრცელება საქართველოში.

ჩვენ მიერ ეს მავნებელი აღნიშნულია თბილისის საგარეუბნო მეურნეობებში, ავჭალაში, მარნეულისა და გარდაბნის რაიონებში.

სპილენძა პეწიანას მატლები აკეთებენ სასველეებს ღეროში მიწასთან ახლოს და შემდეგ ნიადაგში მოთავსებულ ღეროს ნაწილში და მთავარ ფესვში. ხოლო, ხოჭოები აზიანებენ ყლორტის ქერქს, რააც დიდი მნიშვნელობა არა აქვს.

სპილენძა პეწიანა აზიანებს რიხტერის (1945) მიხედვით ვარდსა და ხეხილს, კულაგინის (1927) ცნობით—გარგარსა და ალუბალს, ლოზოვოის (1949) დაკვირვებით—გარგარს, ბალსა და სხვა კურკოვნებს.

საქართველოში ჩვენ მიერ ამ მავნებლის მატლები ნაპოვნია ვარგარის, ალუბლის, ალუჩის, ბლის, კომპისა და ფშატის ფესვებსა და ღეროს ფუძეში. ყველაზე მეტად ზიანდება ვარგარი, ბალი, ალუბალი და ალუჩა. ხოჭოები აზიანებენ ვარდს.

პეწიანას ფრენა იწყება აპრილის ბოლოს და მაისის დასაწყისში, რაც აგვისტოს პირველ ნახევრამდე გრძელდება.

ბლის პეწიანა—*Lampra bella* Cast. et Gory

საქართველოში ბლის პეწიანა უმნიშვნელოდაა გავრცელებული. ლიტერატურული ცნობების მიხედვით იგი ვიწრო არეალით სარგებლობს.

ა. რიხტერის (1952) ცნობით ეს პეწიანა გვხვდება მცირე აზიაში, ბულგარეთში, საბერძნეთსა და სომხეთში.

დ. ლოზოვოი (1975) აღნიშნავს ამ მავნებლის გავრცელებას თბილისის მიდამოებში.

საქართველოში ბლის პეწიანა ნაპოვნია თბილისის გარეუბანში—კრწანისში ბალზე და მცხეთის რაიონში—საგურამოში ბალსა და ალუბალზე, ხოჭო გამოყვანილია ბლის ტოტიდან. ზიანდება ღერო და მსხვილი ტოტები. ბლის პეწიანას ჯერჯერობით არ აქვს უარყოფითი სამეურნეო მნიშვნელობა.

ხეხილის პეწიანა—*Capnodis cariosa* Pall.

კვამლა პეწიანა—*Capnodis tenebricosa* Ol.

ეს პეწიანები საქართველოში მცირე რაოდენობით გვხვდება.

ფ. ზაიცევის (1932) მიხედვით გავრცელებულია ამიერკავკასიაში, საქარ-

თველოში გვხვდებიან თბილისის მიდამოებში, მცხეთაში, ლაგოდეხსა და კლდარში.

ა. რიხტერის (1952) მონაცემებით პეწიანების ეს სახეობანი გავრცელებულია—ბულგარეთში. ევროპის სამხრეთ ნაწილსა და სომხეთში.

ჩვენ მიერ ხეჩილისა და კვამლა პეწიანები შეგროვილია თბილისის საგარეუბნო მეურნეობებში, მარნეულისა და გარდაბნის რაიონებში ნუშზე, გარგარსა და ატამზე.

პეწიანა ანტაქსია—*Cratomerus mirabilis* Zich.

პეწიანა ანტაქსია არ არის ფართოდ გავრცელებული. იგი პ. ყიხარევის (1928) მიერ აღნიშნულია ნახჭევანის ავტონომიურ რესპუბლიკაში, მ. ტერგიგორიანის (1941) მიერ—სომხეთში (მეგრის რაიონში).

საქართველოში ეს პეწიანა პირველად აღინიშნება. იგი გვხვდება თბილისისა და გარდაბნის რაიონებში დასუსტებულ ატამსა და ქლიაზე. ხოჭო გამოყვანილი იყო ივნისში ატმის ტოტიდაა. მატლები მხოლოდ ტოტებში იყო ნაპოვნი. აზიანებენ ლაფანსა და ცილას. დასაჭურებელ საკანს აკეთებენ უფრო ღრმად მერქანში. ნაპოვნი იყო ისეთი ატმისა და ქლიავის ხეებზე, რომლებიც უხვად იყო გასახლებული ატმის დიდი ბუჯრისა და იისფერი ფრთიანთი. საქართველოს ხეჩილისათვის ჯგერჯერობით უარყოფითი მნიშვნელობა არ აქვს მისი მცირე რაოდენობით გავრცელების გამო.

ვაზის წვრილტანა პეწიანა—*Agrilus derasofasciatus* Lac.

ვაზის პეწიანა არ არის ფართოდ გავრცელებული სახეობა, მისი გავრცელება აღნიშნულია სამხრეთ ევროპაში, ჩრდილო აფრიკაში, ყირიმში, უკრაინასა და კავკასიაში (ტყის მეწეებელთა ცნობარი 1955). აღმოსავლეთ საქართველოში მცირე რაოდენობით გვხვდება. იგი აღნიშნულია თბილისის საგარეუბნო მეურნეობებში და კახეთში. მატლები ცხოვრობენ ვაზისღეროსა და მსხვილ რქებში, ხოჭოები გროვდებიან ვაზის ფოთლებზე და გარეულ ქოლგოსანი მცენარეების ყვავილებზე დღის თბილ საათებში. ფრენა შენიშნულია ივნისში.

მარცვლოვანულვაშიანი ხარაბუზა—*Megopis scabricornis* Scop.

როგორც ნ. პლავილშიკოვი (1948) აღნიშნავს, ეს ხარაბუზა გავრცელებულია შუა და სამხრეთ ევროპაში, დასავლეთ აზიაში, ყირიმში, სამხრეთ უკრაინასა და კავკასიაში. საქართველოში მის გავრცელებას მოიხსენიებს დ. ლოხოვი (1949).

მარცვლოვანულვაშიანი ხარაბუზა გავრცელებულია თბილისის გარეუბნებში, გარდაბნისა და რუსთავის მიდამოებსა და მცხეთის რაიონში.

ეს ხარაბუზა ძირითადად სახლდება ხნიერ და დასუსტებულ მცენარის ღეროსა და დედა ტოტებში. მატლი ღრუნის მერქანს და ავუღუროებს მცენარეს. ფუღუროები ამოვსებულია ნალრნითა და ექსკრემენტებით.



ხარაბუხას მიერ ზიანდება თეთა, ვაშლი, მსხალი, კაკალი და სხვა მცენარეული რამ ყველაზე მეტად ეტანება და აზიანებს თუთას.

მარცვლოვანულეაშიანი ხარაბუხა ფრენს ივნის-ივლისში. კვერცხი იდება ქერქის ნაპრალებში. გამოჩეკილი მატლი პირველად ქერქის ქვეშ ცხოვრობს და აზიანებს ცილას. შემდეგ შედის მერქანში, სადაც აკეთებს გრძელ სასვლელებს. მავნებელს ახასიათებს ორ-სამწლიანი გენერაცია.

მეხილეობისათვის ამ მავნებელს უარყოფითი სამეურნეო მნიშვნელობა არ აქვს, რადგან ის ხშირად არ გვხვდება და ამავე დროს დასუსტებულ და მომაკვდავ მცენარეზე სახლდება.

ლელვის ხარაბუხა—Trichoterus griseus F.

ლელვის ხარაბუხა, ლიტერატურული ცნობების მიხედვით, გავრცელებულია სამხრეთ და შუა ევროპაში, ჩრდილო აფრიკაში, დასავლეთ აზიაში, ყირიმში, კავკასიაში, სომხეთში კანარის კუნძულებზე და სამხრეთ უკრაინაში. საქართველოში მის გავრცელებას აღნიშნავენ ზაიცევი (1954) და ლოზოვოი (1949). იგი გვხვდება თბილისის საგარეუბნო მეურნეობებში, რუსთავის მიდამოებში და კახეთის რიგ რაიონებში. მატლები დასახლებულია ლელვის დასუსტებულ ტოტებზე (იშვიათად ღეროშიც), სადაც ისიც ღრღნიან მერქანს და ტოტის დაღუპვას ასწრავებენ. ტყის მავნებელთა ცნობარში აღნიშნულია, რომ ლელვის ხარაბუხა აზიანებს ჭერამს, ქლიავს, ცირცელს, კვრინჩხს და მუხას. საქართველოში ის ნაპოვნი იყო მხოლოდ ლელვსა და თუთაზე.

ამ მავნებელს უარყოფითი მნიშვნელობა არა აქვს.

ბალის დიდი ხარაბუხა—Cerambyx dux Faldl.

ბალის დიდი ხარაბუხა არ არის ფართოდ გავრცელებული. პლავილშიკოვისა (1948) და ტერ-გრიგორიანის (1940) ცნობით ეს მავნებელი გავრცელებულია საბერძნეთში, მცირე აზიაში, ყირიმსა და კავკასიაში (კერძოდ სომხეთში). ზაიცევი (1954) აღნიშნავს მის გავრცელებას თბილისში, სურამსა და მცხეთაში, ლოზოვოი (1952) ასახელებს ამიერკავკასიას და კერძოდ თბილისს. საქართველოში ეს ხარაბუხა მეტად გავრცელებულია თბილისის საგარეუბნო მეურნეობებში, მცირე რაოდენობით—მცხეთის, გარდაბნის და წნორის რაიონებში.

ბალის დიდი ხარაბუხას მკვებავ მცენარეებად დასახელებულია ბოდენჰაიმერის მიერ (Bodenheimer—1930) ნუში, განსაკუთრებით გარეული, იშვიათად კი ქლიავი და გარგარი. ტერ-გრიგორიანი (1940) ასახელებს ქლიავს, გარგარსა და ატამს. რიხტერის (1952) მონაცემებით ეს ხარაბუხა აზიანებს გარეულ ნუშს. პლავილშიკოვის (1948) ცნობით ზიანდება გარეული ნუში და კურკოვანი კულტურები. ლოზოვოის (1952) დაკვირვებით ეს მავნებელი აზიანებს ალუჩას, ნუშსა და მაჰალაპის ალუბალს.

ჩვენი დაკვირვებით ბალის დიდი ხარაბუხა ყველაზე მეტად აზიანებს ალუჩას, შემდეგ ქლიავს, ნუშს, გარგარს, ატამს, ალუბალსა და ბალს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მავნებელი უფრო ეტანება დასუსტებულ მცენარეს.



ხარაბუხას მატლი აკეთებს სასვლელებს ჯერ ქერქის ქვეშ შემდეგ მერქანში. ზიანდება როგორც ღერო, ისე დედა ტოტების ფესვი, რომელიც ღეროს გაგრძელებას წარმოადგენს. მატლები ისე ღრმად შედიან მერქანში, რომ მთელი ღერო ივსება ფულღროთი და მცენარე იღუპება. ასეთ მდგომარეობას ადგილი ჰქონდა მახარაძის სახ. საბჭოთა მეურნეობაში, სადაც იყო ალუჩის დიდი მასივი და ახლა არც ერთი ხე აღარ არის. ამრიგად, მართალია, ბალის დიდი ხარაბუხა ჯერჯერობით ფართო გავრცელებით არ სარგებლობს, მაგრამ მოსალოდნელია მისი გავრცელება და დიდი ზიანის გამოწვევა.

ბალის დიდი ხარაბუხა ზამთრობს სხვადასხვა ასაკის მატლისა და ხოჭოს სახით. უმცროსი ასაკის მატლები დასახლებულია ქერქსა და მერქანს შორის, ხოლო უფროსისა—მერქანში. ხოჭოც მერქანშია დაზარალებული ტუპრის საკანში.

აპრილის ბოლოს მატლები გამოდიან მეზამთრობიდან და განაგრძობენ კვებას. მათში იწყება გამოზამთრებელი ხოჭოების გამოსვლა. მასობრივ გამოსვლას ადგილი აქვს ივნისში, ხოლო ივლისში ხოჭოების რაოდენობა მკვეთრად მცირდება.

ხოჭო კვერცხებს დებს ღეროსა და დედა ტოტების ქერქის ნაპრალებში, ტოტებას ილიაში და სხვ. კვერცხიდან გამოჩეკის შემდეგ მატლი გადრღნის ქერქს, შედის ქერქის ქვეშ და აზიანებს ჯერ ლავანს, შემდეგ კი მერქანს. ბალის დიდი ხარაბუხა სამწლიანი გენერაციით ხასიათდება.

ალუბლის შავი ხარაბუხა—*Cerambyx scopolii* Füssl.

ალუბლის შავი ხარაბუხა გავრცელებულია ევროპაში, ჩრდილო აფრიკაში, დასავლეთ აზიაში, უკრაინაში, ყირიმსა და კავკასიაში (პლავილშჩიკოვი, 1948). აღმოსავლეთ საქართველოში იგი ნაპოვნი იყო გორისა და მცხეთის რაიონებში და თბილისის საგარეუბნო მეურნეობებში.

ეს ხარაბუხა პოლიფაგი მავნებელია. იგი ტყის ჯიშებაც აზიანებს. ჩვენ მიერ ნაპოვნი იყო ვაშლსა და ბალზე. ალუბლის შავი ხარაბუხას მატლები აკეთებენ მოგრძო სასვლელებს მერქანში, რითაც მთელი მცენარე ან მისი ტოტი ზიანდება, ფულღროვდება და მალე იღუპება. ზამთრობს იგი მატლისა და ხოჭოს სახით. ხოჭო გამოსვლას იწყებს მაისში და გვხვდება მთელი ივნისის მანძილზე.

ალუბლის შავი ხარაბუხას ხეხილისათვის არავითარი უარყოფითი მნიშვნელობა არ აქვს.

ნაირჭამია კლიტი—*Clytus arietis* L.

ნაირჭამია ხარაბუხას არეალის შესახებ პლავილშჩიკოვი (1948) აღნიშნავს, რომ ის გავრცელებულია ევროპაში, სამხრეთ აზიაში, სამხრეთ თურქმენეთში, კავკასიაში—კერძოდ სომხეთში. ტყის მავნებელთა ცნობარში, ამით გარდა, დასახელებულია რუსეთის ევროპული ნაწილი, ყირიმი და აპიერკავკასია. საქართველოში მის გავრცელებას აღნიშნავენ ზაიცევი (1954) და ლოხოვიძე.



(1949). ჩვენ მიერ ეს მავნებელი ნაპოვნი იყო თბილისის გარეუბანში, ბნისა და გურჯაანის რაიონებში.

ნაირჭამია ხარაბუხა დასახლებულია დაზიანებულ და მომავლად მცენარეებზე. მატლი ცხოვრობს ქერქსა და მერქანს შორის, აკეთებს სასკვლელებს ისე, რომ ძირითადად ზიანდება ცილა და მერქნის ზედაპირი. მავნებელი პოლიფაგია. როგორც ტყის მავნებელთა ცნობარშია მოცემული, მის მიერ ზიანდება როგორც ტყის ფიშები, ისე ხეხილი. ჩვენ მიერ ეს ხარაბუხა ნაპოვნი იყო ლელვის, ვაშლისა და თუთის დაზიანებულ ტოტებში. ხოჭოს ფრენა ლაბორატორიაში დაიწყო აპრილის პირველ დეკადაში ხოლო ბუნებაში—მაისში.

ნაირჭამია ხარაბუხას ხეხილისათვის უარყოფითი მნიშვნელობა არა აქვს. მისი უმნიშვნელოდ გავრცელების გამო.

ცვალებადი კლიტი—Chloroforus varius Müll.

ცვალებადი კლიტი ჩვენ მიერ აღნიშნული იყო მცირე რაოდენობით მცხეთის, გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისისა და საგარეჯოს რაიონებში, თბილისისა და რუსთავის მიდამოებში.

ეს კლიტი სახლდება უმეტესად დასუსტებულ მცენარეზე, სადაც ღეროსა და ტოტების გულში აკეთებს ბრტყელ სასკვლელებს. როგორც ლიტერატურაშია აღნიშნული ცვალებადი კლიტი ნაირჭამია მწერია. ჩვენ მიერ იგი ნაპოვნი იყო ალუჩაზე, თუთაზე, ალუბალზე, ვაზსა და ვაზის ასაკრავ სარებზე.

ხეხილისათვის ჯერჯერობით ამ მავნებელს უარყოფითი სამეურნეო მნიშვნელობა არ აქვს მთი უმნიშვნელო გავრცელების გამო.

ლამაზი კლიტი—Jsoptomus comptus Munh.

ლამაზი კლიტი ნ. პლავილშიკოვის (1948) მიხედვით გავრცელებულია ჩრდილო ირანში, ყირიმში, კავკასიაში, სომხეთში. ამავე ავტორის ცნობით იგი აზიანებს არა მარტო მდგომ, არამედ მოჭრილ ხეებსაც, გაუქერქავ სარებსა და ქანდარებს.

ტყის მავნებელთა ცნობარში (1955) აღნიშნულია ამ კლიტის გავრცელება ჩრდილო ირანში, ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთში, ვესტ-ინდოეთში, ყირიმსა და კავკასიაში.

საქართველოში ლამაზი კლიტი აღნიშნულია დ. ლოზოვოის (1965) მიერ.

ჩვენ მიერ იგი ნაპოვნი იყო გორის, მცხეთის, გარდაბნისა და გურჯაანის რაიონებში და თბილისის გარეუბნებში. ხოჭო გამოყვანილი იყო ატმის, ალუჩისა და ვაშლის მსხვილი ტოტებიდან. საღ მცენარეზე ეს მავნებელი არ სახლდება. მას შეუძლია მოჭრილ და ლაბორატორიაში მოთავსებულ ტოტზე იკვებოს და ზრდა დაასრულოს.

ხეხილის კულტურისათვის ლამაზ კლიტს არავითარი უარყოფითი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან იგი მცირე რაოდენობითაა აღნიშნული საქართველოში და ამავე დროს ჯანსაღ მცენარეს არ ეტანება.



კელერის წითელფრთიანი ხარაბუზა—*Purpuricenus kaehlerii* L.

სსრ კავშირის ფარგლებში (ნ. პლავილშიკოვი—1948) იგი გავრცელებულია ტყის ზონის სამხრეთით, ტყე-ველის და ველის ზონებში, ყირიმსა და კავკასიაში.

კელერის ხარაბუზა საქართველოში მცირე როდენობითაა გავრცელებული. ჩვენ მიერ იგი ნაპოვნი იყო თბილისის საგარეუბნო მეურნეობებში, მცხეთისა და გურჯაანის რაიონებში. ლიტერატურაში იგი აღნიშნულია როგორც პოლიფაგი მავნებელი. ტყის მავნებელთა ცნობარში (1955) ამ ხარაბუზას მკვებავ მცენარედ დასახელებულია ტყის ჯიშები და ალუბალი, ქლიავი, გარგარი, ატამი და ვაზი.

ი. ბათიაშვილი და შ. სუბატაშვილი (1962) ასახელებენ ქლიავს, ალუბალს, გარგარს, ატამს, ვაზსა და სხვა ფოთლოვანებს.

ჩვენ მიერ ეს მავნებელი გამოყვანილი იყო ნახევრად გამხმარ ატმისა და ალუბლის ტოტიდან. ამ მავნებელს ხეხილისაჟივის არა აქვს უარყოფითი მნიშვნელობა.

სამხრეთის წითელფრთიანი ხარაბუზა—*Purpuricenus budensis* Gütz.

სამხრეთის ხარაბუზა უფრო ფართო არეალით სარგებლობს, ვიდრე კელერის ხარაბუზა. ნ. პლავილშიკოვის (1948) ცნობით იგი გავრცელებულია: დასავლეთ ევროპის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, დასავლეთ აზიაში, ჩრდილო აფრიკაში, რსუსრ-ს ევროპული ნაწილის ველის ზოლის აღმოსავლეთ მხარეში, ყირიმსა და კავკასიაში, სომხეთში.

ი. ბათიაშვილი და შ. სუბატაშვილი (1962) აღნიშნავენ ამ ხარაბუზას გავრცელებას თბილისში, ასურეთში, დმანისში, ბოლნისსა და აფხაზეთში.

სამხრეთის წითელფრთიანი ხარაბუზა ნაპოვნია მცხეთის, გარდაბნისა და თელავის რაიონებში. ხოჭო გამოყვანილია ატმის (მცხეთა), გარგარის (გარდაბანი) და ვაზის (თელავი) ღეროდან და ტოტებიდან.


ამ ხარაბუზას არა აქვს უარყოფითი სამეურნეო მნიშვნელობა, რადგან იგი საქართველოში უმნიშვნელოდაა გავრცელებული და აზიანებს კვდომაში შესულ მცენარეებს.

ნეკერჩხლის რუხი ხარაბუზა—*Leiopus nebulosus* L.

ეს ხარაბუზა, ტყის მავნებელთა ცნობარის მიხედვით, გავრცელებულია ევროპაში, გუსევის (1940) ცნობით—კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე, ბათიაშვილისა და ბალდავადის (1941) მიერ იგი აღნიშნულია ქართლსა და სამხრეთ ოსეთში.

ნეკერჩხლის ხარაბუზა შემჩნეულია ჩვენ მიერ მთელ ქართლში სამხრეთ ოსეთის ჩათვლით, ლავოდენის, გურჯაანისა და თელავის რაიონებში. მაგრამ უმთავრესად მავნეობს გორის რაიონში.

ხარაბუზა აზიანებს ვაშლს, მსხალს, ქლიავს, თხილს, კაკალს, თუთას და სხვ. ჩამოთვლილი ხეხილიდან იგი უფრო მეტად ეტანება ვაშლსა და მსხალს. ხარაბუზას მატლი აზიანებს პირველად მერქნის ზედაპირს, შემდეგ



თითონ მერქანს, ხოლო ხოჭო უმნიშვნელოდ აზიანებს ტოტის ქერქს, რომელზედაც ამოღრღნის პატარა ღრმულებს. ხარაბუზა ეტანება დასუსტებულ მცენებელს, მისი მატლი ნაპოვნი იყო თითქმის გამხმარ ტოტში. მავნებელი თადად აზიანებს ტოტებს, იშვიათად არის ღეროში. დაზიანებული ტოტი ხმება.

ნეკერჩხლის რუხი ხარაბუზა ზამთრობს მატლის სახით. დაჭურვება იწყება გაზაფხულზე 16—28 აპრილს შორის. ჭურები გვხვდება მთელ მაისსა და ივნისის პირველ დეკადაში. ჭურის განვითარების ხანგრძლივობა ლაბორატორიაში (ინსექტარში) გაგრძელდა 16—19 დღეს.

ჩვენ მიერ ჩატარებული დაკვირვებებით გამოირკვა, რომ ხოჭოები იწყებენ გამოსვლას მაისის პირველ დეკადაში, რაც გრძელდება ივლისის პირველ რიცხვებამდე. ჭურებიდან გამოსვლისთანავე ხოჭო დაცოცავს ტოტებზე და იკვებება ქერქით. გრილ და წვიმიან დღეებში ის ტოტა მაგრად მიებლატუჭება და ძნელი დასანახავი ხდება მისი შეფერილობის ქერქის ფერთან შეხამების გამო. ქარიან ამინდში ხოჭოები გროვდებიან ჯგუფად ქერქის ქვეშ ან განტოტვის ადგილებში.

კვერცხის დასადებად ხოჭო აკეთებს ტოტებზე 2—5 ერთიმეორის პარალელურ განაჭერს. ყოველ განაჭერში თითო კვერცხს დებს. ბუნებაში პირველი კვერცხები შემჩხეული იყო 25 მაისიდან. ემბრიონული განვითარება საშუალოდ ორი კვირა გრძელდება. შუა ივნისიდან უკვე გვხვდებიან ხარაბუზას მატლები ქერქის ქვეშ. მატლები აკეთებენ ოდნავ ბრტყელ, 2—4 მმ სიგანის მიხვეულ-მოხვეულ სასვლელებს, შემდეგ გადადიან ჯერ მერქნის ზედაპირზე და ბოლოს მერქანში.

ზრდის დასრულების შემდეგ, მომავალი წლის გაზაფხულზე, მატლი აკეთებს ხოჭოს გამოსაფრენ ხვრელს და შემდეგ დასაჭურვებელ საკანს, სადაც იჭურვებს. მავნებელი ერთწლიანი გენერაციით ხასიათდება. როგორც ხეხილის მავნებელი იგი ნაკლებმნიშვნელოვანია.

ნეკერჩხლის მსხვილფეხა ხარაბუზა—*Leiopus femoratus* Fairm

ეს ხარაბუზა ნ. პლავილშნიკოვის (1948) მიერ აღნიშნულია ყირიმში, კავკასიაში, თურქეთსა და სომხეთში. ბ. უვაროვის (1918) მიერ ნაპოვანია სამხრეთ ოსეთში, აღმოსავლეთ საქართველოში გვხვდება გორის, ცხინვალისა და კასპის რაიონებში.

მატლი აზიანებს დასუსტებულ ტოტებს, ღრღნის მათ გულს, რასაც მოსდევს ტოტების დაღუბვა, ხოჭო კი ღრღნის ყლორტებს და ახალგაზრდა ტოტებზე ქერქსა და კვირტის ფუძეს. ხოჭოების გამოფრენა იწყება მაისში და გრძელდება ივნისში, ხოჭო ადვილად იბერტყება ხიდან. ამ მავნებლის მიერ ზიანდება ვაშლი და ზღმარტლი. ხარაბუზა ფემორატუსს უარყოფითი მნიშვნელობა არა აქვს მისი მცირე გავრცელების გამო.

ხარაბუზა პახიმერუსი—*Leiopus pachimerus* Gnllb.

ეს ხარაბუზა გავრცელებულია ბ. უვაროვის (1918) ცნობით გორში. ბათიაშვილის და ა. ბაღდავაძის (1941) მიერ აღნიშნულია იგი ქართლსა და სამხრეთ ოსეთში.

ჩვენ მიერ ეს ხარაბუზა პახიმერუსი ნაპოვნია იყო ქართლის ყველა რაიონში, ცხინვალის რაიონში და ლაგოდეხის და ახალციხის მიდამოებში. ხარაბუზას მატლი ცხოვრობს ტოტებზე და აზიანებს მერყეულ ხარაბუზას. დეგად ტოტი მალე იღუბება. საერთოდ ეს ხარაბუზა სახლდება დასუსტებულ ტოტებზე და ასწრაფებს მათ დაღუბვას. ხარაბუზას ხოჭო უმნიშვნელო ზიანს იწვევს, იგი შემოდრღნის ახალგაზრდა ტოტების ქერქს პატარ-პატარა მოედნების სახით.

ხარაბუზა პახიმერუსის მიერ ზიანდება ვაშლი (ყველაზე მეტად), მსხალი, ქლიავი და კომში.

ხოჭოები ფრენენ მაის-ივნისში. ხიდან ადვილად იბერტყებიან ხაფენზე. ამ მდგენებელს ჯერჯერობით უარყოფითი მნიშვნელობა ხეხილისათვის არა აქვს.

ხეხილის პატარა ხარაბუზა—*Tetrops praeusta* L.

ხეხილის ხარაბუზა გავრცელებულია ჩრდილო აფრიკაში, ევროპაში, მცირე აზიაში, კავკასიაში, ციმბირში, სომხეთში, ცხინვალსა და ქართლში (ბათიაშვილი და ბაღდავაძე 1941, ლოზოვოი—1949).

ჩვენ მიერ ხეხილის ხარაბუზა აღნიშნული იყო ქართლში სამხრეთ ოსეთის ჩათვლით, გურჯაანის, თელავის, ლაგოდეხის, ახალციხისა და ადიგენის რაიონებში, მაგრამ ყველაზე მეტი რაოდენობით გვხვდება ქართლში.

ხეხილის ხარაბუზა პოლიფაგი მწერია. მის მიერ ზიანდება—მსხალი, ქლიავი, ატამი, გარგარი, ბალი, ალუბალი, ზღმარტლი, კომში, ვაშლი, კაკალი, ნუში, თხილი და ტყის ჯიშები. ხოჭო აზიანებს შემოჩამოთვლილი კულტურების ფოთლებს, სადაც წარმოშობს გამჭოლ ხვრელებს. მატლები ცხოვრობენ წვრილ ტოტებში, ღრღნიან მათ გულს და აკეთებენ შიგ სასვლელებს, რომელთა ბოლოში მოთავსებულია დასაჭებრებელი საკნები. დაზიანებული ტოტები ხმება.

აღმოსავლეთ საქართველოს პირობებში, როგორც ეს ჩვენი დაკვირვებით გამოირკვა, ხეხილის ხარაბუზა ზამთრობს ზრდასრული მატლის სახით.

გამოზამთრებული მატლი საკვებს არ საჭიროებს და იტუპრებს იმავე საკანში, სადაც გადაიზამთრა, როდესაც დღე-ღამის ტემპერატურა 12—14° მიაღწევს. პირველი ტუპრები შენიშნული იყო აპრილის მეორე დეკადაში. ტუპრის განვითარება 9—12 დღე გრძელდება. ხოჭო ფრენს აპრილის ბოლოს და მაისის პირველ დეკადაში. ამ დროს იგი აზიანებს ფოთლებს და მწიფდება სქესობრივად. კვერცხს დებს ქერქის ნაპრალებში გაკეთებულ ჩაღრმავებაში. ემბრიონული განვითარება 17—22° ტემპერატურისა და 55—70% ტენიანობის დროს გრძელდება 6—10 დღე. მატლი ჩადის ქერქის ქვეშ. მოექცევა ტოტის გულში და იწყებს დაზიანებას. დაზიანებული ტოტი მომდევნო გაზაფხულზე ხმება.

ეს ხარაბუზა წელიწადში ერთ თაობას იძლევა.

ნაოჭიანი ცილაჭამია—*Scolytus rugulosus* Ratz.



ნაოჭიანი ცილაჭამია ფართოდ გავრცელებული სახეობაა, იგი გვხვდება ყველგან ხეხილის ბაღებში, მაგრამ მეტად მავნეობს 1200 მ-მდე ზღვის დონიდან, თუმცა უფრო მაღლაც არის გავრცელებული (1520 მ—წალკაში).

ეს ცილაჭამია პოლიფაგია. ფ. კებენი (1882) მის მკვებავ მცენარედ ასახელებს—ვაშლს, მსხალს, კომშს, ქლიავს, ალუბალს, შოთხვს და ცირცელს; ნ. კოროტნევი (1926) ამატებს მუხას, კუნელს. თუთას და ზღმარტლს. ბოგდანოვ-კატკოვი (1931) ამათ ამატებს ლონროშოს, ნუშს, ატამს, ასკილს, ვაზს; ზაიცევი (1950) ასახელებს ყველა კურკოვნებს, კუნელს, ზღმარტლს; ტყის მავნებელთა ცნობარში დასახელებულია გარდა ჩამოთვლილისა შინდი და ყვავაჭყემალი.

აღმოსავლეთ საქართველოში ნაოჭიანი ცილაჭამიას მიერ ზიანდება ვაშლი, ქლიავი, გარგარი, ჭერამი, ლონროშო, ტყემალი, ალუჩა, ალუბალი, ნუში, ატამი, მსხალი (შედარებით მცირედ), კომში, ზღმარტლი, თუთა, ვაზი, შინდი. მეტად აზიანებს ვაშლს, ქლიავს, ალუბალს, ალუჩას და ატამს.

ამ მავნებლის როგორც ხოჭო, ისე მატლები აკეთებენ ქერის ქვეშ სასვლელებს, ახადგურებენ ლაფანსა და ცილას, მცენარეს ქერქი ეცლება, რასაც მისი დაღუპვა მოსდევს.

ცილაჭამია სახლდება ავადმყოფ და ზოგჯერ ჯანსაღ ხეზე. კოროტნევის (1926) ცნობით, სახლდება მხოლოდ ავადმყოფ ხეზე, უპირატესად გვხვდება ტოტებსა და კენწეროზე, იშვიათად—ახალგაზრდა მცენარეებზედაც.

აღმოსავლეთ საქართველოს პირობებში ნაოჭიანი ცილაჭამია გავრცელებულია ისეთ ბაღებში, სადაც აგროტექნიკა დაბალ დონეზეა, მცენარე დასუსტებულია მოუვლელობით. ცილაჭამია გვხვდება ძირითადად ტოტებსა და ახალგაზრდა მცენარის ღეროზე. იგი ნაპოვნი იყო სანერგეშიც, სადაც რწყვის საკითხი მოუგვარებელი იყო და სერთოდ სანერგე სათანადო მოვლას იყო მოკლებული.

ნაოჭიანი ცილაჭამია ზამთრობს მატლის სახით სასვლელებში. გაზაფხულზე იწყება დაქუბრება, მაგრამ ჭუპრობა გაჭიანურებულია, რაც დამოკიდებულია დაზამთრების ადგილმდებარეობასა და მატლის ასაკზე. დაკვირვების წლებში დაქუბრება შენიშნული იყო მარტის მესამე დეკადიდან. დასაჭუბრებელი მატლები გვხვდებოდა აპრილის ბოლოსაც. პირველა ხოჭოების გამოსვლა. ხხვადასხვა წლებში, აღნიშნული იყო 12—28 აპრილს შორის. ხოჭოები გვხვდებიან მთელ მაისსა და ივნისის პირველ ნახევარში.

კვერცხის დასადებად ხოჭო ხვრეტს ქერქს, ჩადის ქერქის ქვეშ და ლაფანსა და ცილას შორის აკეთებს სადედე სასვლელს, რომლის სიგრძე 7—29 მმ-ია, იგი ვერტიკალურია, თუმცა ზოგჯერ დახრილიც გვხვდება. სასვლელის ორივე მხარეზე პატარა ჩაღრმავებებში იდება კვერცხები. თითო სადედეში აღირიცხა 12—34 სამატლე სასვლელი, რომელსაც შეესაბამება ხოჭოს კვერცხის პროდუქცია.

ახლად გამოჩეკილი მატლები იწყებენ დამოუკიდებელი სასვლელების ამორღნას ცილაზე და ნაღრღნით იკვებებიან. სასატლე სასვლელები პირველად

სადედე სასვლელის პერპენდიკულარულია, შემდეგ ერთიმეორეში გადაიხლართებიან. დასაწყისში სასვლელის სიგანე 0,6—1,1 მმ-ია, შემდეგ მკვეთრად ზრდასთან დაკავშირებით 2.5—3,0 მმ-ის სიგანის ხდება. სასვლელები სიგრძეზე 52—80 მმ-ს აღწევს.

ნაოჭიანი ცილაჭამიას პირველი თაობის მატლები აღირიცხა მისის მეორე დეკადის ბოლოდან, რომლებიც ზრდას ასრულებენ ივლისის დასაწყისში. მეორე თაობის ხოჭოების გამოსვლა შენიშნული იყო ივლისის ბოლოდან. ხოჭოების ფრენა გრძელდება სექტემბრის პირველ დეკადაში. მეორე თაობის მატლები აგვისტოს შუა რიცხვებიდან გვხვდებიან. საერთოდ აღსანიშნავია, რომ ეს მავნებელი მთელი ვეგეტაციის პერიოდში ყველა ფაზაში გვხვდება, მხოლოდ ხოჭოების რაოდენობა მინიმუმამდე დადის ივნისის ბოლოსა და ივლისის პირველ ნახევარში.

როგორც დაკვირვებიდან ჩანს, ნაოჭიანი ცილაჭამია აღმოსავლეთ საქართველოს პირობებში ორ თაობას იძლევა.

ხეხილის ცილაჭამია—*Scolytus mali* Bechst.

ეს მავნებელი გავრცელებულია დასავლეთ ევროპაში, სსრ კავშირის ევროპის ნაწილში, კავკასიაში, ყირიმში, საქართველოში (ირ. ბათიაშვილი და ა. ბაღდავაძე 1941, ირ. ბათიაშვილი 1959, ლივშიცი და ვასილიევი—1958, ლოზოვოი—1960).


საქართველოში ცილაჭამია გავრცელებულია ყველგან, მაგრამ დიდი უარყოფითი მნიშვნელობისაა აღმოსავლეთ საქართველოში.

ხეხილის ცილაჭამიას მიერ ზიანდება, როგორც ხეხილი, ისე ტყის ჯიშები. საქართველოში იგი აღნიშნული იყო: ვაშლზე, ქლიავზე, მსხალზე, ჭერამზე, გარგარზე, ატამზე, ალუბალზე, კომპზე, ზღმარტლზე, ლოდნოშოზე, ნუშზე, ალუჩაზე და ბალზე. ყველაზე მეტად ზიანდება—ვაშლი, ქლიავი, ალუჩა და ბალი.

ცილაჭამია აზიანებს ღეროსა და ტოტებს. კოროტნევის (1926) დაკვირვებით ეს ცილაჭამია სახლდება ღეროსა და ტოტებზე, არჩევს დასუსტებულ მცენარეებს, მაგრამ არის ჯანსაღ მცენარეზედაც (ძლიერი გამრავლების დროს). რამდენადაც ჯანსაღი და წვნიანი მცენარე, იმდენად ზერელედ სახლდებიან ცილაჭამიები ისე, რომ ქერქი სკდება, ხოლო ნაკლებწვნიან მცენარეში ისინი ქერქის ქვედა ფენას და ცილას აზიანებენ.

ჩვენ მიერ ჩატარებული დაკვირვებით ეს ცილაჭამია უფრო ხშირად დასახლებული იყო მოთვლელობით დასუსტებულ მცენარეზე, ხშირად მავნებელი სახლდება ცალკეულად მდგომ, მიტოვებულ მცენარეზე, რომელიც ყოველ მთავალყურეობას მოკლებულია. გარდა ამისა, ძველ და მოუვლელ ბაღებში იგი ყველგანაა გავრცელებული. სადაც ბაღები მოვლილია, იქ მათი რაოდენობა მცირეა, ამავე დროს, მართალია, იშვიათად, მაგრამ მაინც მავნებელი სახლდება ჯანსაღ (გარეგნული შეხედულებით) მცენარეზედაც. ცილაჭამიებით დასახლებული მცენარე მალე იღუპება.

ხეხილის ცილაჭამია, როგორც აღვნიშნეთ, დასახლებულია ღეროსა და დედა ტოტებზე. ამ ორგანოების ქერქზე კეთდება შესასვლელი ხვრელი. ქერქ-



ში შესული ხოჭო აკეთებს ვერტიკალურ სადგედ სასვლელს, რომელსაც დასაწყისი გაგანიერებული აქვს და რომლის სიგრძე მერყეობა 4,3—9,2 სმ სიგრძეზე, სადგედ სასვლელის ორივე მხარეზე იდება კვერცხები. სქესობრივი პროდუქცია 28—72 აღწევს. მატლები იკეთებენ ჰორიზონტალურ სასვლელებს, იკვებებიან ლაფნით და ცილის ზედა ფენით. სამატლე სასვლელები, რომელთა სიგრძე 4,5—6,3 სმ-ია, დასაწყისში ერთიმეორის პარალელურია, ხოლო ბოლოსაკენ დაშორებულია. ასეთი სასვლელების წარმოშობით დაზიანებული ქერქი მცენარეს ეცლება და იღუპება. მავნებელი ზამთრობს მატლის სახით სასვლელში. მათი დაჭურვება იწყება გაზაფხულზე 20 აპრილსა და 7 მაისს შორის და გრძელდება მაისის ბოლომდე. ხოჭოების გამოვლა იწყება მაისის პირველ დეკადაში და გრძელდება მაისის და ივნისის განმავლობაში.

მეორე თაობის ხოჭოები გვხვდება აგვისტოში. ვაშლის დიდი ცილაქამია წელიწადში ორ თაობას იძლევა.

ლეღვის ლაფნიჭამია—Hypoboros ficus Erichs.

ლეღვის ლაფნიჭამია, როგორც ტყის მავნებელთა ცნობარშია ნაჩვენები, გავრცელებულია სამხრეთ ევროპაში (კუნძულ სიცილიაზე, ბულგარეთში), ჩრდილოეთ აფრიკაში, მცირე აზიაში, შუა აზიაში, ამიერკავკასიაში, კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე და ყირიმში.

საქართველოში ლეღვის ლაფნიჭამია გავრცელებულია ყველგან—კახეთში, ქართლში—განსაკუთრებით თბილისის საგარეუბნო მეურნეობებში, რუსთავში, გარდაბნის რაიონში.

ლეღვის ლაფნიჭამია აზიანებს ლეღვს. ლიტერატურაში მის მკვებად მცენარედ დასახელებულია ილინსკის (1918) მიერ ლეღვი და ვაშლი, ბათიაშვილი (1959) დასახელებს თუთას და ვაზს, ლოზოვოი (1950) მხოლოდ ლეღვს.

ჩვენ მიერ ჩატარებული გამოკვლევების დროს ეს ლაფნიჭამია არასოდეს არ ყოფილა ლეღვის გარდა სხვა კულტურაზე შენიშნული.

ლეღვის ლაფნიჭამიის მიერ ზიანდება განსაკუთრებით დასუსტებული ტოტები და ლეროები (მეტად გვხვდება ტოტებზე). ტოტებზე იგი წვეროსაკენაა დასახლებული. ტოტის წვეროზე მისი ხშირი დასახლება აიხსნება იმით, რომ ზამთრობით ტოტის წვეროები ყინვებისაგან ზიანდება და სწორედ ასეთი ტოტები იზიდავს ამ მავნებელს. საერთოდ, ლეღვის ლაფნიჭამია სახლდება მოყინულ ან რაიმე მიზეზით დაზიანებულ ადგილებზე და შემდეგ თანდათანობით მიიწევს რა ჯანსაღი ნაწილისაკენ, იწვევს მის განმობას და იფართოებს დასახლების ადგილს. ამას კი მოჰყვება მთელი ტოტებისა და ზოგჯერ მთელი ხის განმობა.

ლეღვის ლაფნიჭამია ზამთრობს ხოჭოს სახით სასვლელში, მაგრამ ზოგჯერ ზამთრობენ მატლებიც. გაზაფხულზე ხოჭოების ფრენა იწყება 18—28 აპრილს შორის თბილისისა და რუსთავის გარეუბნებში ხოჭოს ფრენა მთელ მაისსა და ივნისში გრძელდება. განსაკუთრებული დედალი ხოჭო ჩადის ქერქის ქვეშ და ლაფანში ღრღნის 16—22 მმ-ს სიგრძის სასვლელს, რომელიც შუაში გაგანიერებულია და ჰორიზონტალური მიმართულებისაა. სასვლელის ორივე კიდეზე დებს 20—30-მდე კვერცხს. სამატლე სასვლელი ვერტიკალური. შრომები, ტ. LXXXV, 1972.

რია და 11—18 მმ სიგრძის. მატლის ზრდასთან ერთად თანდათანობით გენერდება და ბოლოში დასაკუპრებელი საკანით მთავრდება. დაზიანებულ ადგილს ქერქის თხელი ფენა ფარავს და ტოტი მალე ხმება. ქუჩის მთავარი სული ხოჭო პირდაპირ ღრღნის გამოსასვლელ ხვრელს და ამოვიწვევს ქის ზედაპირზე. მავნებელი ორ თაობას იძლევა. პირველი თაობის ხოჭოების მასობრივი ფრენა ხდება მაისის შუა რიცხვებიდან ივნისის შუა რიცხვებამდე, ხოლო მეორე თაობისა ივლისის ბოლოდან აგვისტოში. მცირე რაოდენობით ხოჭოები მთელი ზაფხული გვხვდებიან.

ლექავას კრიფალი—Hypothenemus lezhavai Pjant.

ლექავას კრიფალის გავრცელების ადგილად ვ. ლექავა (1929) ასახელებს დასავლეთ საქართველოს, ლოზოვოი (1960) სომხეთს, აზერბაიჯანს (ლექაი-რანს), აღმოსავლეთ საქართველოს, ამიერკავკასიას, ჩრდილო კავკასიას, ზაი-ცევი (1959)—აფხაზეთს.

ჩვენ მიერ ლექავას კრიფალი შენიშნულია თბილისისა და რუსთავის მი-დამოებში. ეს მავნებელი აზიანებს ქერქის ქვეშე ლაფანსა და ცილის ზედაპირს. ვ. ლექავა (1929) აღნიშნავს, „ზიანი, რომელსაც აყენებს ეს კრიფალი გამო-ინახება იმაში; რომ აკეთებს სასვლელებს ცილაში, დიდი რაოდენობით სახლ-დება მცენარეში და იწვევს ქერქის კვდომას. ამ მავნებლის დასახლება ხდება უმთავრესად მცენარის დაწვის ან ზოყინვის შემდეგ. მავნებლის მოქმედების შედეგად იღუპება მთელი მცენარე ან რომელიმე ძისი ორგანო“.


ლექავას კრიფალის მიერ ზიანდება სხვადასხვა მცენარე როგორც ხეხი-ლის, ისე ტყის ფიშები. ტყის მავნებელთა ცნობარში დასახელებულია: თუთა, ნუში, ლეღვი, კაკალი, ვაშლი, თხილი, შინდი, ციტრუსები, დაფნა, ჩაი და 15-ოდე ტყის ფიში. ბათიაშვილა (1959) გარდა ჩამოთვლილისა ასახელებს ხურმას.

ჩვენ მიერ ლექავას კრიფალი აღმოსავლეთ საქართველოში მხოლოდ თუ-თასა და ლეღვზე იყო ნაპოვნი და ისიც მცირე რაოდენობით. როგორც ჩანს მავნებელი აღმოსავლეთ საქართველოს პირობებს ნაკლებად იტანს და ამიტო-მაც მცირე რაოდენობითაა აქ გავრცელებული.

ზამთრობს ხოჭო ჭუპრის საკნებში, იგი აპრილის ბოლოს გამოფრინდე-ბა. შუა ივნისიდან გვხვდება მატლები და შემდეგ მთელი ზაფხულის გან-მავლობაში მავნებელი ყველა ფაზაში იმყოფება.

დასავლეთის არაფარდი ქერქიჭამია—Xyleborusdispar F.

არაფარდი ქერქიჭამია, ტყის მავნებელთა ცნობარის მიხედვით, გავრცე-ლებულია დასავლეთ ევროპაში, რუსეთის ევროპულ ნაწილში, ყირიმში, კავ-კასიასა და დასავლეთ ციმბირში. ლოზოვოის (1960) დაკვირვებით არაფარდი ქერქიჭამია მთელს საქართველოშია გავრცელებული. ქერქიჭამია აღნიშნული იყო მცირე რაოდენობით აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ, თბილისის საგარეუბნო მეთრნეობებში, მაგრამ ეს მავნებელი, მისი სიმცირის გამო არ იწვევს აქ ისეთ დიდ ზიანს, როგორც ამას ადგილი აქვს დასავლეთ საქართ-ველოში და განსაკუთრებით შავი ზღვის სანაპიროზე.



არაფარდი ქერქიჭამიას მიერ გამოწვეული დაზიანება შემდეგში მდგომარეობს. ხოჭო სავსებით ჯანსაღ მცენარის ტოტების ან ღეროს მერქანში თებს ჰორიზონტალურ სასვლელს, რომელიც იტოტება და მიყვება მერქანში წლიურ რგოლებს. აქედან ზევით და ქვევით ისევ სასვლელები კეთდება და საბოლოოდ მერქანში წარმოიშობა სასვლელთა სისტემა, მცენარე ფიზიოლოგიურ დაზიანებას ღებულობს და იღუპება.

აღმოსავლეთ საქართველოსათვის ამ მავნებელს უარყოფითი მნიშვნელობა არა აქვს, მისი უმნიშვნელო გავრცელების გამო,

ხეხილის ცხვირგრძელა ქერქიჭამია—Magdalis nitidipennis Boh.

ცხვირგრძელა ქერქიჭამია, როგორც ეს ნაჩვენებია მცენარეთა დაცვის შრომებში (1932), გავრცელებულია სამხრეთ ევროპაში და საბერძნეთში, სსრ კავშირში მხოლოდ საქართველოშია აღნიშნული ბათიბავილისა და ა. ბაღდავაძის (1946) მიერ გორის რაიონში. გორის რაიონის გარდა ეს მავნებლები ახლა გავრცელებულია ცხინვალის, ქარელის, კასპისა და მცხეთის რაიონებში.

დაზიანებას იწვევს როგორც ხოჭო, ისე მატლი. ხოჭო ფოთლებზე აჩენს გამჭოლ ხვრელებს, ყლორტებზე ღრღნის კანს მოედნების სახით და წარმოშობს პატარ-პატარა ღრმულებს. ხოჭოები განსაკუთრებით საშიშია სანერგის პირობებში, სადაც ზიანდება ნამყენის როგორც ფოთოლი, ისე ახალგაზრდა ტოტი და ყლორტი. ფოთლები მთლიანად დაფაცხავებულია. ასეთი დაზიანების შემდეგ ნამყენი იღუპება, როგორც ამას ადგილი ჰქონდა 1935 წ. მერეთის საბჭოთა მეურნეობაში.

მატლების მიერ გამოწვეული ზიანი გაცილებით საშიშია. ისინი აზიანებენ ახალგაზრდა ტოტებს, რომელსაც უღრღნიან გულს და ახმობენ. მომსხო ტოტებში მატლები ახადგურებენ ლაფახს, ცილას და ბოლოს მერქანს.

ჩვენ მიერ ეს ქერქიჭამია აღნიშნული იყო ვაშლზე, მსხალზე, ქლიავზე, გარგარზე, ჭერამზე, ალუბალზე, ბალზე, კომშსა და ზღმარტლზე.

ცხვირგრძელა ქერქიჭამიას მატლი ზამთრობს ტოტებში—სპეციალურ ჩაღრმავებულ საკანში. მათი დაჭურება იწყება 12—25 აპრილს შორის. ჭუბრიდან გამოსული ხოჭო ღრღნის მრგვალ ხვრელს და ამოდის ზევით. ხოჭოს ფრენის დაწყებას ადგილი აქვს გორის რაიონში 10 მაისიდან (10—29 მაისს შორის), როდესაც ჰაერის საშ. ტემპერატურა 14,7° აღწევს. ხოჭოების ფრენა გაჭიანურებულია, ის გვხვდება მთელი მაისისა და ივნისის თვეებში. ამ ხნის განმავლობაში ხოჭო იკვებება როგორც ტოტების ქერქით, ისე ფოთლებით. ხოჭოები საკვებად და კვერცხის დასადებად ეტანებიან მზით უხვად გაშუქებულ ან განმარტოებით მდგარ მცენარეს. სქესობრივად მომწიფების შემდეგ დედალი ხოჭო აკეთებს მრგვალ ორმოს ტოტების ქერქში და დებს შიგ კვერცხს, რომელსაც ფარავს ნაღრღნითა და ექსკრემენტებით. კვერცხიადებული ადგილი შავად გამოიყურება.

ემბრიონული განვითარება გრძელდება 12—15 დღე. მატლი გამოჩეკისთინავე აღრმავებს ხვრელს ქერქში და შემდეგ მერქანში. ზაფხულის ბოლოს მატლი ასრულებს ზრდას, აღრმავებს საკანს მერქანში და ნაღრღნებს შორის რჩება დასაზამთრებლად.

ცხვირგრძელა ქერქიჭამია აღმოსავლეთ საქართველოს პირობებში ერთ-
თაობას იძლევა.



ბრძოლის ღონისძიებანი

მერქნის მავნებელი ხოჭოების საწინააღმდეგოდ გამოყენებული უნდა იყოს ღონისძიებათა მთელი კომპლექსი. საერთოდ აღსანიშნავია, რომ ამ ჯგუფის მავნებლების წინააღმდეგ ქიმიური მეთოდი არ იძლევა დადებით შედეგებს.

ლიტერატურაში ამ მავნებლების წინააღმდეგ შემდეგ ცნობებს ვხვდებით: ხარაბუხების წინააღმდეგ ი. ბათიაშვილი (1959) ურჩევს მატლებიანი ტოტებისა და თვით ხის მოჭრას და დაწვას და დღტ-ს პრეპარატების გამოყენებას. ლოზოვის (1954) მიერ ჩატარებული დაკვირვებით დადებითი შედეგი მიღებულია დიდი ხარაბუხას წინააღმდეგ ხოჭოების ფრენის დროს ჰექსაქლორანის შეფურკვევით, ხოლო მატლების წინააღმდეგ—ქლორობიკრინით გაჟღენთილ ბამბის ბურთულების შეტანით ხვრელებში. ბოდენჰაიმერი—Bodenheime—1930 ურჩევს ბაღის დიდი ხარაბუხას ხოჭოების ხელით შეგროვებას.


ცილაჭამიებისა და ლაფნიჭამიების წინააღმდეგ ბათიაშვილი (1959) ურჩევს ხეხილის წესიერ მოვლას და ხოჭოების ფრენის დროს დღტ-ს ზეთოვანი ემულსიის შესხურებას, ვასილიევი და ლივშიცი (1958) კი ხოჭოების ფრენის დროს 1%-იანი მინერალური ზეთების ემულსიის ან 0,4%-იანი დღტ-ს პასტის შესხურებას. ლოზოვი (1960) საერთოდ ქერქიჭამიების წინააღმდეგ საჭიროდ თვლის აგროტექნიკურ ღონისძიებათა გამოყენებას. გრიგოროვიჩია (1960) დაკვირვებით დადებით შედეგს იძლევა ჰექსაქლორანის 6—10%-იანი ზეთის ემულსია და შემდეგ თიხით შელესვა, შხამის მოქმედების გახანგრძლივებისათვის.

პეწიანების წინააღმდეგ ვასილიევი და ლივშიცი (1958) საჭიროდ თვლიან ხოჭოს კვერცხის დების პერიოდში სანერგეში მატლების მოსასპობად ჰექსაქლორანის ნიადაგზე მოფრქვევას და შემდეგ მის ჩათონხას, ჰექტარზე 200 კგ რაოდენობით ანდა ამავე შხამის 5—6-ჯერად მოფრქვევას 25 კგ რაოდენობით ჰექტარზე, ხოლო მსხმოიარე ბაღში კალციუმის არსენატის შეფრქვევას, 12%-იანი ჰექსაქლორანის 6%-იანი სუსპენზიით ღეროებია შელესვას და მცენარის ღეროს ირგვლივ ჰექსაქლორანის 10 სმ სიღრმეზე შეტანას. ამავე საშუალებებს ურჩევს ი. ბათიაშვილი (1959) და დამატებით ხოჭოების საწინააღმდეგოდ ჰექსაქლორანის მაგიერ დღტ-ს გამოყენებას ამჯობინებს. რეკის (1932) მიერ ჩატარებული დაკვირვებით შავ პეწიანას წინააღმდეგ კარგ შედეგს იძლევა ნიადაგში პდბ-ს შეტანა და ხოჭოების ხელით შეგროვება, ფარზე დაბერტყვა და სხვ.

აი, ასეთი რჩევა და მითითებანია ლიტერატურაში აღნიშნული ამ მავნებლების წინააღმდეგ.

ხეხილის ღეროსა და ტოტების მერქნის მავნებლების საწინააღმდეგო ღონისძიებათა დამუშავების დროს ცდები და დაკვირვებანი ჩატარდა ბრძოლის ღონისძიებათა მთელი კომპლექსის გამოსაყენებლად.

მთავარი ყურადღება უსათუოდ უნდა მიექცეს აგროტექნიკურ ღონისძი-



ებებს. მუშაობის პერიოდში გამოირკვა, რომ ცილაჰამიებისა და ხარაბუხების უმეტესი სახეობა ეტანებიან განსაკუთრებით დასუსტებულ მცენარეებს. ამიტომ კენამდე მივედით იმიტომ, რომ გამოკვლევების დროს გამოვლინდა რიგი მიტოვებული და მოუვლელი ხეხილი, რომელიც წარმოადგენს ამ მავნებელთა კერას. აქედან გამომდინარე იმის თქმა შეიძლება, რომ თუ ხეხილი მოვლილია და აგროტექნიკური ღონისძიებანი გატარებული, მავნებლის რიცხვი ძლიერ შემცირებული იქნება. ნიადაგის დამუშავება, სასუქების შეტანა, რწყვის რეჟიმის დაცვა. უდავოა, ხელს შეუწყობს მცენარის ცხოველმყოფელობას და აღიდებს მცენარეში დაზიანებისადმი გამძლეობას.

გარდა აგროტექნიკური ღონისძიებებისა მერქნის მავნებლების წინააღმდეგ დიდი მნიშვნელობა აქვს ფიზიკურ-მექანიკური საშუალებების გამოყენებას. მავნებლის ხელით შეგროვება, ძველი ქერქის შემოცლა და მომაკედავი მცენარის ამოღება ან გამხდარი ტოტების შეჭრა უსათუოდ შეამცირებს მავნებლის მარაგს.

ბრძოლის ქიმიური მეთოდი მერქნის მავნებელი ხოჭოების წინააღმდეგ როგორც აღვნიშნეთ, არ იძლევა დიდ ეფექტს, მაგრამ მათ წინააღმდეგ მაინც გამოიყენება ზოგიერთი პესტიციდი.


სანერგეში და არამსხმოიარე ხეხილში შუა მაისში ნეკერჩხლის რუხი და ხეხილის პატარა ხარაბუხებისა და ცხვირგრძელა ქერქიჰამიას ხოჭოების წინააღმდეგ გამოცდილი იყო დღტ-ს 30%-იანი სველებადი ფხვნილის 0,7%-იანი სუსპენზია, დღტ-ს 5,5%-იანი ფხვნილი 25—30 კგ და 12%-იანი ჰექსაქლორანის 20—25 კგ ჰექტარზე, ცდები რამდენჯერმე განმეორდა. ამ ხოჭოების წინააღმდეგ მიღებული იყო დადებითი შედეგები. ყველაზე ეფექტურია ჰექსაქლორანი (25 კგ/ჰა), რომლის გამოყენების დროს ხეხილის ხარაბუხა იღუპება 94%-მდე, ნეკერჩხლის ხარაბუხა—91%-მდე, ქერქიჰამია ცხვირგრძელა—97%-მდე, სხვა გამოცდილი პესტიციდებიდან ხოჭოების სიკვდილიანობა 68—87%-ს შორის მერყეობდა.

ცილაჰამიების წინააღმდეგ გამოიყენა აპრილში დღტ-ს 20%-იანი მინერალური ზეთის კონცენტრატის 2—4—6%-იანი და ჰექსაქლორანის 20%-იანი მინერალური ზეთის კონცენტრატის 2—4%-იანი ემულსია, 12%-იანი ჰექსაქლორანის 4—6%-იანი სუსპენზია თიხასთან ერთად (შელესვით). აღნიშნული პესტიციდების გამოცდის შედეგად დღტ-ს 4%-იანი ემულსიის დროს (ყველა სახეობის) ხოჭოების დაღუპვა 57—60%-ს აღწევდა, ჰექსაქლორანის 4%-იან ემულსიის დროს—59—63%, ჰექსაქლორანით შელესვის დროს 93—96%.

პეწიანების მატლების წინააღმდეგ სანერგეში გამოცდილი იყო 12%-იანი ჰექსაქლორანის ფხვნილი. მცენარის ფესვის ყელთან ნიადაგში შეტანით ყოველ კგ მეტრზე 20—25 გ რაოდენობით, ხოლო ხოჭოების წინააღმდეგ ამავე შხამის შეფრქვევა 20—25 კგ/ჰა. მატლების რაოდენობა შემცირდა 72%-ით, ხოლო ხოჭოებისა 57—61%-ით.

დასკვნები

1. აღმოსავლეთ საქართველოში ხეხილის ღეროსა და ტოტებზე გამოვლინებულ იქნა მავნე ხოჭოების შემდეგი სახეობანი: **Lampra bella Cast et**



Gorg., Capnodis cariosa Pall., C. tenebricosa Ol, C. tenebrionis L., Perotis lugubris lugubris F., Cratomerus mirabilis Zich, Megopis scabricornis Scop., Trichoferus griseus F., Cerambyx dux Fald., C. scopoli Füssl., Clytus ariltis L., Chloroforus varius Müll, Jsoptomus comptus Mnh., Purpuricenus kaehleri L., Purpuricenus budensis Götz., Leiopus nebulosus L., L. femoratus Fairm., L. pachimerus Gnglb., Tetrops praeusta L., Magdalis nitidipennis Boh., Scolytus rugulosus Ratz., Sc. mali Bechst, Hypoborus ficus Ericbs., Hypothene-mus lezhavai Pjatn., Xyleborus dispar T.

2. ჩამოთვლილი მავნებლებიდან მეხილეობისათვის უარყოფითი სამეურნეო მნიშვნელობის არიან: ბალის დიდი ხარაბუხა, ხეხილის პატარა ხარაბუხა, ცილაჭამიები, ლაფნიჭამია, ქერქიჭამია ცხვირგრძელა და პეწიანები.

3. ბალის დიდი ხარაბუხა აზიანებს ალუჩას, ბალს და სხვა კურკოვნებს. გავრცელებულია თბილისის საგარეუბნო მეურნეობებში მცხეთის და გარდაბნისა წნორის რაიონებში. ხარაბუხას მატლი აკერებს სასვლელ ხვრელებს ღეროში, დედა ტოტებში და მთავარ ფესვში. მცენარე ფულფროვდება და იღუპება. გამოზამთრებული ხოჭო გამოდის ბუნებაში მაისიდან. მავნებელი ხასიათდება ორწლიანი გენერაციით.

4. ხეხილის პატარა ხარაბუხა გავრცელებულია ყველგან აღმოსავლეთ საქართველოს ხეხილში. ხოჭოები ამოდრძნიან ფოთლებზე გამკოლ ხვრელებს, ხოლო მატლები ცხოვრობენ ახალგაზრდა ტოტების გულში, სადაც აკეოებენ სასვლელებს და ტოტები ხმება. გამოზამთრებული მატლები აპრილის დასაწყისში იჭუბრებენ. ხოჭოები გამუდიან აპრილის ბოლოს, მაისში იღება კვერცხები ტოტის ქერქში, რომელსაც აღრმავებს ხოჭო. მავნებელი წელიწადში ერთ თაობას იძლევა.

5. ცილაჭამიები და ლეღვის ლაფნიჭამია, ძირითადად სახლდებიან რაიმე მიზეზით დასუსტებულ მცენარეზე. მატლები ცხოვრობენ ქერქსა და მერქანს შორის, მათი დაზიანების შედეგად მცენარეს კერქი ეცლება და იღუპება. წელიწადში ორ გენერაციას იძლევიან.

6. ხეხილის ცხვირგრძელა ქერქიჭამიას ხოჭო აფაცხავეებს ფოთლებს, ხოლო მატლები ცხოვრობენ ქერქის ქვეშ, წარმოშობენ ხვრელებს და ახმობენ ტოტებს. მავნებელი ხასიათდება ერთწლიანი გენერაციით.

7. შავი და სპილენძა პეწიანების ხოჭოები აზიანებენ ფოთლების ყუნწებს, ყლორტებს, ქერქს. მატლები ცხოვრობენ ფესვებში და ღეროს ფუძეში. დაზიანებული მცენარე იღუპება. ხასიათდებიან 2—3 წლიანი გენერაციით.

8. მერქნის მავნებლებთან ბრძოლის ზომებიდან მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს აგროტექნიკური ღონისძიების გატარებას, როგორცაა ნიადაგის დამუშავება, მელორაციული ღონისძიების გატარება, სასუქების შეტანა და სხვადასხვა მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის სისტემატური წარმოება.

ქიმიური ღონისძიება დაბალ ეფექტს იძლევა, მაგრამ იგი მაინც უნდა იქნეს გამოყენებული. სანერგესა და არამსხმოიარე ხეხილში შუა მაისში ხარაბუხებისა და ქერქიჭამია ცხვირგრძელას ხოჭოების წინააღმდეგ გამოყენებული უნდა იქნეს დღტ-ს სველებადი ფხვნილის 0,7-იანი სუსპენზია, ჰექსაქ-

ლორანის 12%-იანი ფტენილი 20 კგ/ჰა, (მსხმოიარეში ჰექსაქლორანი შეიძლება).

ცილაქამიებებს წინააღმდეგ აპრილის პირველ ნახევარში ჰექსაქლორანის მინერალური ზეთის 4%-იანი ემულსია (არამსხმოიარეში) და დდტ-ს მინერალური ზეთის 4%-იანი ემულსია (ყველგან) ან ჰექსაქლორანის 6%-იანი სუსპენზიით (თიხასთან ერთად) შეეღვება.

პეწიანების მატლებია წინააღმდეგ არამსხმოიარე ხეხილში ჰექსაქლორანის 12%-იანი ფტენილის შეტანა კვ. მეტრზე 20 გ. ხოლო ხოჭოების წინააღმდეგ ამავე შხამის შეფრქვევა მაის-ივნისის შუა რიცხვებამდე 25 კგ რაოდენობით ჰექტარზე.

проф. А. И. БАГДАВАДЗЕ

ЖУКИ-ВРЕДИТЕЛИ ДРЕВЕСИНЫ ПЛОДОВЫХ КУЛЬТУР ВОСТОЧНОЙ ГРУЗИИ

Резюме

Плодовые культуры повреждаются следующими скрытностволовыми вредителями: *Lampra bella* Cast. et Gory., *Capnodis cariosa* Pale., *C. tenebricosa* ol., *C. tenebrionis* L., *Perotis lugubris lugubris* F., *Cratomerus mirabilis* Zieh., *Megopis scabricornis* Scop., *Trichoferus griseus* F., *Cerambyx dux* Fald., *C. scopolii* Füssl., *Clytus arietis* L., *Chloroforus varius* Müll., *Isotomus comptus* Mnuh., *Purpuricenus kaelhleri* L., *P. budensis* Götz., *Leiopus nebuosus* L., *L. femoratus* Fairm., *L. pachimerus* Gngib., *Tetrops praeusta* L., *Magdalis nitidipennis* Boh., *Scolytus rugulosus* Ratz., *Sc. mali* Bechts., *Hypoborus ficus* Érichs., *Hypothenemus lezhavai* Pjatn, *Xyleborus dispar* F.

Из перечисленных вредителей наиболее опасными являются — большой плодовый усач (*Cerambyx dux* Fald.), заболонники-морщинистый (*Scolytus rugulosus* Ratz.), яблоневого (*Sc. mali* Rechst.) черная златка (*Capnodis tenebrionis* L.), фруктовый усачик (*Tetrops praeusta* L.).

Большой плодовый усач сильно повреждает алычу, черешню, вишню и др. в окрестностях Тбилиси в Мцхетском и Гардабанском районах. Личинки усача повреждают ствол, сучья и главный корень, от чего деревья погибают.

Заболонники распространены в запущенных садах и на ослабленных деревьях. Морщинистый заболонник является одним из наиболее серьезным вредителем плодовых культур.


Черная златка сильно вредит плодовым насаждениям на неполивных участках. Личинка ее повреждает корни и основания стволов. Особенно губительна она для молодых саженцев косточковых культур.

Фруктовый усачик повреждает все плодовые деревья, главным образом грушу и яблоню. Жук повреждает почки, листья и цветы, а личинка прогрызает ходы в ветвях и они гибнут.

Для предотвращения заселения скрытностволовыми вредителями плодовых культур, в первую очередь, надо вести тщательный уход за садом (своевременный полив, удобрение и обработка почвы, систематическое лечение садов от вредителей и болезней, очистка деревьев от засохшей коры и т. п.). Химический метод имеет второстепенное значение. Перед летом усачей и долгоносика-короеда нужно провести опрыскивание 0,7%-ной суспензией порошка ДДТ и на неплодоносящих деревьях 12% гексохлоран 25 кг на га. Против короедов можно опрыскать деревья 4%-ной ММЭ ДДТ в апреле или провести обмазку ствола и ветвей 6%-ной суспензией 12%-ного гексахлорана с глиной. Против личинок златок надо внести в почву гексахлоран вокруг корневой шейки дерева из расчета 20 г порошка на кв. метр.

გამყენებულო ლიტერატურა

- Батишвили И. Д., Багдавадзе А. И. 1941.—К вредной энтомофауне плодовых культур Восточной Грузии. «Изв. Груз. Опыт. ст. Защ. раст.» № 2.
- Батишвили И. Д., Багдавадзе А. И. 1946.—*Magdalis nitidipennis* Bol. Новый вредитель плодовых культур нашего плодоводства. Сообщ. АН ГССР, Т. 7, № 1—2.
- Васильев В. П., Лившиц И. З. 1958.—Вредители плодовых культур. Москва.
- Григорович А. Ф. 1960.—Борьба с короедами на плодовых деревьях. Защита растений от вредителей и болезней. № 3.
- Зайцев Ф. А. 1954.—Жуки усачи-дровосеки в фауне Грузии. Т. Инст. Зоолог. АН ГССР, Т. XIII.
- Зайцев Ф. А. 1950.—Обзор фауны короедов Грузии. Тр. инст. Зоологии, АН ГССР, Т. IX.
- Коротнев Н. Н. 1926.—Короеды русских лесов и меры борьбы с ними. Москва.
- Лежава В. Б. 1929.—Материалы к познанию короедов Грузии. Ленинград.
- Лозовой Д. И. 1949.—Жуки-дровосеки в парковых насаждениях г. Тбилиси. Сообщ. АН Груз. ССР, т. 10.
- Лозовой Д. И. 1954.—Борьба с большим плодовым усачом. Сад и огород. № 6.
- Лозовой Д. И., Ходжеванишвили И. А.—Фиговый лубоед в условиях Тбилиси. Вестн. Тбилисского Ботанического сада, вып. 59.
- Лозовой Д. И. 1960.—Короеды парковых насаждений Тбилисского района. Изд. АН ГССР, Тбилиси.
- Плавильщиков Н. Н., 1948.—Определитель жуков-дровосеков Армении. Ереван.
- Рекк Г. Ф. 1932.—Черная златка и меры борьбы с ней. Тифлис.
- Рихтер А. А., 1945.—Златки. Фауна СССР, № 13, 4. Москва—Ленинград.
- Тер-Григорян М. 1940.—Жуки, вредители косточковых культур. Зоол. сб. АН СССР, вып. II, Арм. фил. Ереван.
- Уваров Б. П. 1918.—Обзор вредителей с.-х. растений Тифлисской и Ереванской губ. за 1916—1917 гг. Тифлис.
- Справочник, 1955.—Вредители леса, т. I и II.



სოფ. მეურნ. მეცნ. კანდ. შ. ჩხიკვაძე

აფინიტეტის გავლენა მუდმივ ადგილზე დაკგული ვაზის ნეკრის გახარების ინტენსივობასა და სიცოცხლის ხანგრძლივობაზე

ჩვენ მიერ მუხრანის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ვაზიანის ექსპერიმენტულ ბაზაზე შესწავლილი იქნა აფინიტეტის გავლენა მუდმივ ადგილზე დაკგული ვაზის გახარების ინტენსივობასა და სიცოცხლის ხანგრძლივობაზე.


სანამყენე ჯიშებიდან საცდელად შერჩეული იქნა: რქაწითელი, საფერავი, ჩინური, გორული მწვანე, განჯური, ალიგოტე და პინო, ხოლო საძირე ჰიბრიდებიდან ბერლანდიერი X რიპარია 5 ბბ, რუპესტრის დიულო, რიპარია X რუპესტრის 3339, ბერლანდიერი X რიპარია 420 ა და შასლა X ბერლანდიერი 41 ბ. ცდის სქემაში საკონტროლოდ შეტანილი იყო ზემოთ დასახელებული ყველა სანამყენე ჯიში საკუთარ ფესვზე.

უნდა აღინიშნოს, რომ აფინიტეტი ჩვენ გვესახება როგორც ერთგვარი ინტიმური ჰარმონიული შეერთება, რომელიც არსებობს ან უნდა არსებობდეს საძირესა და სანამყენეს შორის. იგი უნდა არსებობდეს თუ გვინდა ვაზის ზრდა-განვითარების ნორმალური მსვლელობა არ დაირღვეს მცენარის ცივის ზეგავლენით [4].

თუ საძირესა და სანამყენეს შორის არსებობს ერთგვარი შინაგანი ერთობა და დაკავშირებულ ორგანიზმთა შორის ჩვენ გვაქვს კარგი აფინიტეტი, მთელი მცენარეც ამ ასოციაციის შედეგად ღონიერი, ნაყოფიერი და ხანგრძლივი გამოვა, და პირიქით, თუ აფინიტეტი ცუდია, ვაზი მუდამ განსაცდელშია და მას დიდი ხნის სიცოცხლე არ უწერია [4].

ზოგიერთი ევროპული ჯიში კარგად ეგუება და ითვისებს მრავალგვარ საძირეს, ასეთ შემთხვევაში ამბობენ, ამ ჯიშს ფართო აფინიტეტი ახასიათებს. ზოგიერთ სხვა ჯიშს, პირიქით, ასეთი შეგუების უნარი ნაკლებად აქვს. მას შეუძლია შეეთვისოს საძირეების მხოლოდ განსაზღვრულ ჯიშებს. ამის გამო მისთვის დამახასიათებელია შეზღუდული აფინიტეტი.

საიდან წარმოდგება ეს განსხვავება აფინიტეტის მხრივ, სამწუხაროდ ჩვენ ჯერ არ ვიცნობთ იმ ძირითად კანონებს, რომელნიც არკვევენ აფინიტეტის მოვლენას. ვიცით მხოლოდ, რომ ევროპული ვაზის ჯიშების აფინიტეტი ნაკლებია ამერიკული ჯიშების მიმართ და იგი თანდათან მატულობს ამერიკო-ამერიკულ და ფრანგულ-ამერიკული ჰიბრიდების მიმართ (4).



ევროპული ვაზის ჯიშების უკეთესი აფინიტეტი ევროპა-ამერიკულ ჰიბრიდების მიმართ უეჭველად დაკავშირებულია მათ ნათესაურ სიახლოვესთან. მაგრამ აქედან არ უნდა გამოვიყვანოთ ის დასკვნა, რომ აფინიტეტი უკეთესია იმ შემთხვევაში, როდესაც სანამყენედ აღებულ ჰიბრიდში შედის თავისი ბუნებით, ანუ ჯიშობრივი თვისებით საძირე მასალასთან დაახლოვებული ჯიშები.

კარგი შეზორცება საძირისა სანამყენესთან ყოველთვის არ ნიშნავს კარგ აფინიტეტს. აფინიტეტის ავკარგიანობის მთავარი მაჩვენებელი შეზორცების სისრულესთან ერთად, არის მცენარის შემდგომი კარგი ზრდა-გაავითარება. აფინიტეტის გასარკვევად, უნდა ვიხელმძღვანელოდ შეზორცების ხასიათით და ამ უკანასკნელის სისრულით.

თუ საძირესა და სანამყენეს შორის არსებობს მჭიდრო შინაგანი ერთობლობა, მაშინ დაკავშირებულ ორგანიზმთა შორის შეიქმნება კარგი ან საუკეთესო აფინიტეტი, მიღებული ნაძყენი არ დაიმჩნევს დამყნობის შედეგს და იგი დაუახლოვდება დაუმყნობელი ვაზის მდგომარეობას, ამის გამო ნამყენის შეზორცება ნორმალურად წარიმართება, ამასთან ერთად მთელი მცენარე, ნამყენის სახით, ღონივრად გაიზრდება, რეგულარული მოსავლის მომცემი იქნება და მისი სიცოცხლეც გახანგრძლივდება [2, 3].


საუკეთესო აფინიტეტი გვესახება იმ შემთხვევაში, როდესაც ნამყენი არაფრით არ იჩენს დამყნობის შედეგს, რაც უფრო ძეტად უახლოვდება ნამყენი თავის ჩვეულებრივ, ნორმალურ მდგომარეობას როგორც ზრდის, ისე სხვა თვისებათა მხრით იმდენად უკეთესია აფინიტეტი.

კარგ აფინიტეტს ახასიათებს მუდმივ ადგილზე დარგული ნამყენი ვაზების გახარების დიდი პროცენტი და მცირე მეჩხერიანობა, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ ვენახის გაშენებასთან დაკავშირებულია სხვადასხვა სახის ლონისძიებების შესრულება, რომელთა ჩატარების ხარისხზე ბევრადაა დამოკიდებული ნამყენის გახარების ინტენსივობა და მომავალი წარგავის სამეურნეო თვისებები.

ვაზის გაშენების დროს განსაკუთრებული ყურადღებით უნდა იქნას შესწავლილი ყველა ის საკითხი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გავლენას მოახდენს დარგული ვაზის გახარების ინტენსივობაზე, მოსავლიანობის ხარისხობრივსა და რაოდენობრივ მაჩვენებლებზე, აგრეთვე სიცოცხლის ხანგრძლივობაზე.

მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ ვაზის გაშენებისას დაშვებული შეცდომა მომავალში ძნელი გამოსასწორებელია, ზოგჯერ ამ პერიოდში ერთი რომელიმე საკითხის გაუთვალისწინებლობა მუდმივ ადგილზე დარგული ვაზის გახარების პროცენტის შემცირებისა და მეჩხერიანობის გადიდების საწინდარია.

ცნობილია, რომ მუდმივ ადგილზე დარგული ვაზის დაუბრკოლებლივი გახარება დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, რისთვისაც საჭიროა განსაკუთრებული ცოდნა, გამოცდილება, მევენახის ორიენტაციის უნარი ახალ გარემო პირობებში, ეკოლოგიურ ფაქტორთა რაობის სწორი ანალიზი და თვით ვაზის კულტურის ბიოლოგიურ თვისებებთან კარგი ცოდნა, რათა სამრეწველო



ვენახები გაშენდეს მეცნიერების დღევანდელი მიღწევისა და პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს ვაზის ნერგის გახარბების მაღალ პროცენტს და ხანგრძლივ ექსპლუატაციის უნარს.

სანამ მუდმივ ადგილზე ვაზის დარგვას დავიწყებდეთ აუცილებლად საჭიროა წინასწარ კლიმატური და ნიადაგური პირობების ზუსტი შეაწავლა ვაზის ბიოლოგიურ თავისებურებებთან და წარმოების მოთხოვნილებებთან დაკავშირებით. მაგრამ ნიადაგური და კლიმატური პირობების ზოგადი დახასიათება საკმარისი არ იქნება და საერთო ხასიათის მონაცემებთან ერთად, საჭიროა იმ მიკროპირობების ზუსტად გათვალისწინება, რომელთა გავლენის ქვეშ მოექცევა ახლად გაშენებული ნაძევი.

მუდმივ ადგილზე დარგული ვაზის გახარბების ინტენსივობა დამოკიდებულია არა მარტო კლიმატურ და ჯიშურ თავისებურებაზე, არამედ საძირისა და სანამყენეს შორის აფინიტეტზე. ვინაიდან დღემდე სრულყოფილად დაზუსტებული არ არის აფინიტეტის ზოგიერთი საკითხი საძირისა და სანამყენეს ჯიშობრივ თავისებურებათა გათვალისწინებით ხშირად ძნელია ჯიშის პოტენცილობის სრული გამოვლინება. გადაუდებელ ამოცანას სადღეისოდ წარმოადგენს ის, რომ მთელი ჩვენი გამოცდილება, ცოდნა და კვლევა-ძიება მოვახმაროთ საძირისა და სანამყენეს შორის აფინიტეტის შესწავლას, დიფერენციალური აგროტექნიკის შექმნაზე და პრაქტიკაში მის დანერგვას.

უნდა აღინიშნოს, რომ მუდმივ ადგილზე დარგული ვაზის ნერგის გახარბების ინტენსიურობა ჯერ კიდევ არ არის დამაკმაყოფილებელი, ადგილი აქვს სამრეწველო ვენახებში მეჩენიანობას, რაც ყურძნის მოსავლიანობის გეგმიური მაჩვენებლების დაქვეითებას იწვევს.

გახსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მუდმივ ადგილზე დარგული ვაზის ქვეშ ნიადაგის დამუშავების მექანიზაციას. დღეს უკვე შექმნილი და დანერგილია მევენახეობაში გამოსაყენებელი მანქანა-იარაღები, რომელთა საშუალებით შრომის ნაყოფიერება გადიდებულია და ხელის შრომა მინიმუმამდეა დაყვანილი.

ინტენსიფიკაციის გადიდების მიზნით განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ნიადაგში სასუქების ღრმად შეტანის საკითხი, იმიტომ რომ ვაზის ფესვთა სისტემა მარტო ნიადაგის ზედა ფენებში კი არ არის განვითარებული, არამედ შემწოვი ფესვები ნიადაგში საკმაოდ ღრმად მიემართება და მამასადამე, სასუქების არაღრმად შეტანა ისეთ ეფექტს არ იძლევა, როგორც ღრმად შეტანა, განსაკუთრებით კი ისეთი სასუქებისა, როგორცაა ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვაზის გაშენების დროს საძირესა და სანამყენეს შორის აფინიტეტის საკითხის გათვალისწინება დარგული ნერგის გახარბების დიდი პროცენტის და ვაზის ნორმალური განვითარების პირობაა, რაც თავის მხრივ, დიდი მოსავლის მიღების საწინდარს წარმოადგენს.

ცნობილია, რომ ვაზი იჩაგრება, კნინდება და ნორმალურად ვერ ვითარდება თუ სიცოცხლის პირველ წლებში ვერ ახერხებს ნორმალურ ზრდას, შემდგომში ის არც სიცოცხლის ხანგრძლივობით ხასიათდება და არც რეგულარული უხვმოსავლიანობით.


დადგენილია, რომ ვაზი პირველ წლებში მეტად ინტენსიურად იკრთობს ჩონჩხის ფესვებს და იწყებს ნიადაგის სიღრმეში ფესვების განვითარებას. მხოლოდ შემდეგში ქსელავს დაკავებულ ნიადაგის აგრეგატულ ნაწილებს წყლის შემწოვი ბუსუს ფესვებით. ამიტომ ვაზის ნორმალური ზრდისათვის აფინიტეტის საკითხის შესწავლასთან ერთად საჭაროა ნიადაგში კვების ისეთი რეჟიმის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ვაზის ფესვთა სისტემის ნორმალურ განვითარებას. ამის მიღწევა შესაძლებელია ნიადაგის ქვედა ფენების წყლისა და ჰაერაციის პირობების გაუმჯობესებით, რაც ხელს შეუწყობს ბაქტერიული პროცესების მიმდინარეობას და ფესვთა სისტემის უკეთ განვითარებისათვის საჭირო პირობების წარმოქმნას, როგორც ღრმა ფენებში, ისე ჰორიზონტალური მიმართულებით. ამ ამოცანათა გადასაწყვეტად საჭიროა ნიადაგის ღრმა პლანტაჟი, შერჩეულ წინამორბედ კულტურათა თესვა, სასუქების გამოყენება და სხვა ისეთ ღონისძიებათა უზრუნველყოფა, რაც ნიადაგობრივ პირობებს გაუმჯობესებს, ეს კი ხელს შეუწყობს მძლავრი ფესვთა სისტემის განვითარებას, რაც საბოლოო ანგარიშში აძლიერებს ვაზს და ზრდის მის პროდუქტიულობას.

უნდა აღინიშნოს რომ, როდესაც სამყნობ კომპონენტთა შორის აფინიტეტი კარგია საძირისათვის, ნიადაგის პირობები კარგ საადაპტაციო გარემოს წარმოადგენს, რის გამოც ნამყენი ვაზი გახარების მაღალ პროცენტს იძლევა. თუ სამყნობი კომპონენტები თავიდანვე სწორად შერჩეული არ არის ე. ი. არაა დამყნობილი შესაფერ სტანდარტულ საძირეზე, რომელთანაც ნამყენს სრული შეზრდა-შეხორცება შეუძლია, თუ ის წესიერად ფორმირებული და სათანადოდ მოვლილი არ არის, მაშინ ნორჩი ნამყენის ფესვთა სისტემა და მისი მიწისზედა ნაწილები სათანადო ზრდა-განვითარებას ვერ განიცდის და ამის შედეგად ნამყენი მომავალში მაღალი პროდუქტიულობის გადიდების თვალსაზრისით, უხარისხო და ნაკლებმედიანი გამოდის.

ნამყენი უნდა ხასიათდებოდეს აფინიტეტის მაღალი უნარით, რის მიხედვითაც უნდა ხდებოდეს სარგავი მასალის ღირსების შეფასება. თუ ვენახი აფინიტეტის დაბალი მაჩვენებლების მქონე სარგავი მასალით შენდება, მაშინ გახარების პროცენტი დაბალია, ნარგაობის სიმეჩხრე მეტად თვალსაჩინოა, ვაზის ზრდა შეფერხებულია და ნარგაობის შემდგომი ევექტურობა მეტად დაბალია. ახალი ვენახები აუცილებლად კარგი აფინიტეტის მქონე მაღალი ღირსების სტანდარტული სარგავი მასალით უნდა გაშენდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს გახარების დაბალ პროცენტს, ვაზი მსხმოიარობაში გვიან ჩადგეს, ანდა ძლიერ დაზიანდეს მრავალი ფიზიოლოგიური პროცესის არასწორად წარმართვის გამო.

ჩვენ მიერ მუდმივ ადგილზე დარგული ვაზის ნერვის გახარების ინტენსიურობაზე აფინიტეტია გავლენის შესახებ წარმოებული კვლევის შედეგები წარმოდგენილი გვაქვს 1-ელ ცხრილში.

1-ელი ცხრილიდან ჩანს, რომ მუდმივ ადგილზე დარგვის დროს რქაწითელი გახარების საუკეთესო შედეგებს იძლევა რუპესტრის დულოსთან, გახარების კარგ მაჩვენებლებს ამჟღავნებს აგრეთვე რიპარია X რუპესტრის 3309-თან, ბერლანდიერ X რიპარია 420 ა-თან, შასლა X ბერლანდიერ 41 ბ-თან, ბერლანდიერ X რიპარია 5 ბბ-თან და საკუთარ ფესვზე გაშენების შემთხვევაში.



საფერავი ყველაზე უკეთეს გახარებას იძლევა რიპარიაXრუპესტრის 3309-თან და ბერლანდიერXრიპარია 420-ა-თან, აგრეთვე რუპესტრის 3309-თან და ბერლანდიერXრიპარია 5 ბბ-თან, შედარებით ნაკლები შედეგები

ცხრილი 1

აფინიტეტის გავლენა მულმივ ადგილზე დარგული ვაზის ნერვის გახარების ინტენსივობაზე

სანამყენე	სადირე	დარგული ვაზების რაოდენობა	გახარებული ვაზების რაოდენობა	გახარების %
რქაწითელი	ბერლანდიერXრიპარია 5 ბბ	90	87	96,6
	რუპესტრის დულო	86	86	10,0
	რიპარიაXრუპესტრის 3309	90	89	98,8
	ბერლანდიერXრიპარია 420 ა	91	90	98,8
	შასლაXბერლანდიერი 41 ბ	88	87	98,8
	საკუთარXფესვზე	91	88	96,7
საფერავი	ბერლანდიერXრიპარია 5 ბბ	90	81	90,0
	რუპესტრის დულო	86	80	93,0
	რიპარიაXრუპესტრის 3309	90	87	96,6
	ბერლანდიერXრიპარია 420 ა	91	86	94,4
	შასლაXბერლანდიერი 41 ბ	88	72	81,8
	საკუთარ ფესვზე	91	64	70,3
ჩინური	ბერლანდიერXრიპარია 5 ბბ	90	86	95,5
	რუპესტრის დულო	86	83	96,5
	რიპარიაXრუპესტრის 3309	90	87	96,6
	ბერლანდიერXრიპარია 420 ა	91	88	96,7
	შასლაXბერლანდიერი 41 ბ	88	84	95,4
	საკუთარ ფესვზე	91	90	98,8
გორული მწვანე	ბერლანდიერXრიპარია 5 ბბ	90	87	96,6
	რუპესტრის დულო	86	83	96,5
	რიპარიაXრუპესტრის 3309	90	87	96,6
	ბერლანდიერXრიპარია 420 ა	91	84	92,3
	შასლაXბერლანდიერი 41 ბ	88	85	96,5
	საკუთარ ფესვზე	91	75	82,4
განჯური	ბერლანდიერXრიპარია 5 ბბ	90	88	97,7
	რუპესტრის დულო	86	81	94,1
	რიპარიაXრუპესტრის 3309	90	86	95,5
	ბერლანდიერXრიპარია 420 ა	91	89	97,8
	შასლაXბერლანდიერი 41 ბ	88	84	95,4
	საკუთარ ფესვზე	91	89	97,8
ალიგოტი	ბერლანდიერXრიპარია 5 ბბ	90	85	94,4
	რუპესტრის დულო	86	82	95,3
	რიპარიაXრუპესტრის 3309	90	77	85,5
	ბერლანდიერXრიპარია 420 ა	91	83	91,2
	შასლაXბერლანდიერი 41 ბ	88	84	95,4
	საკუთარ ფესვზე	91	75	82,4
პინო	ბერლანდიერXრიპარია 5 ბბ	90	85	94,4
	რუპესტრის დულო	86	80	93,0
	რიპარიაXრუპესტრის 3309	90	86	95,5
	ბერლანდიერXრიპარია 420 ა	91	88	96,7
	შასლაXბერლანდიერი 41 ბ	88	84	95,4
	საკუთარ ფესვზე	91	77	84,6



ბის მომცემია შასლაXბერლანდიერ 41-ბ-თან მყნობისას და საკუთარ ფესვზე გაშენების შემთხვევაში.

ჩინური კარგსა და თითქმის თანაბარ გახარების პროცენტულად ლანდიერXრიპარია 420 ა-თან, რიპარიაXრუპესტრის 3309-თან და რუპესტრის დულოსთან. გახარების ინტენსივობის მიხედვით მათ მოსდევს ბერლანდიერიXრიპარია 5 ბბ და შასლაXბერლანდიერი 41 ბ, ხოლო საკუთარ ფესვზე გაშენებისას ნამყენ ვაზებთან შედარებით კიდევ უკეთესი შედეგებია მიღებული.

გორული მწვანე უკეთეს გახარების უნარს იჩენს ბერლანდიერიXრიპარია 5 ბბ-თან, რიპარიაXრუპესტრის 3309-თან, რუპესტრის დულოსთან და შასლაXბერლანდიერ 41 ბ-თან. გახარების კარგ მაჩვენებლებს იძლევა აგრეთვე ბერლანდიერXრიპარია 420 ა-თან, ხოლო მცირე შედეგების მომცემია საკუთარ ფესვზე გაშენების შემთხვევაში.

განჯური გახარების საუკეთესო შედეგებს იძლევა ბერლანდიერიXრიპარია 420 ა-თან, ბერლანდიერXრიპარია 5 ბბ-თან და საკუთარ ფესვზე გაშენებისას შემდეგ რიპარიაXრუპესტრის 3309-თან, შასლაXბერლანდიერი 41 ბ-თან და რუპესტრის დულოსთან.


ალიგორე გახარების უკეთეს მაჩვენებლებს იძლევა შასლაXბერლანდიერ 41 ბ-თან, რუპესტრის დულოსთან, ბერლანდიერXრიპარია 5 ბბ-თან და ბერლანდიერXრიპარია 420 ა-თან, ხოლო გახარების მცირე შედეგებით ხასიათდება რიპარიაXრუპესტრის 3309-თან და საკუთარ ფესვზე გაშენებისას.

პინო უჯრო უკეთესი გახარების უნარს იჩენს ბერლანდიერXრიპარია, 420 ა-თან, რიპარიაXრუპესტრის 3309-თან, შასლაXბერლანდიერ 41 ბ-თან, ბერლანდიერ X რიპარია 5 ბბ-თან და რუპესტრის დულოსთან, ხოლო შედარებით ნაკლები შედეგების მომცემია საკუთარ ფესვზე გაშენებისას.

ამგვარად ვაზის მუდმივ ადგილზე გახარებისათვის და მისი შემდგომი კარგი განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მყნობის კომპონენტთა შორის არსებულ აფინიტეტს „კომპონენტთა შორის კარგი აფინიტეტი ისეთსავე გავლენას ახდენს ნამყენზე, როგორც ღონიერი ღიადაგი“. შემდეგ „როდესაც სამყნობ კომპონენტთა შორის არ არსებობს მჭიდრო პარამონიული დამოკიდებულება შეიძლება ისინი ერთმანთს შეუხორცდნენ, მაგრამ სულ მოკლე დროის განმავლობაში მოსალოდნელია მათი დაღუპვა.“

მაშასადამე კარგი შეხორცება საძირისა სანამყენესთან ყოველთვის არ ნიშნავს კარგ აფინიტეტს, მაგალითად, შასლაXბერლანდიერი 41 ბ-ს ახასიათებს კარგი შეზრდა-შეხორცება ევროპული ვაზის ჯიშებთან, მაგრამ მუდმივ ადგილზე დარგული ვაზების გახარების ინტენსივობის მიხედვით აფინიტეტი მათ მიმართ ზოგიერთ შემთხვევაში შედარებით მცირეა, მეორე მხრივ ბერლანდიერXრიპარია 420 ა-ს შეზრდა-შეხორცება ევროპულ ვაზის ჯიშებთან შედარებით ძნელად ხდება, მაგრამ მუდმივ ადგილზე დარგული ვაზების გახარების ინტენსივობის თვალსაზრისით მათ მიმართ აფინიტეტი კარგი აქვს.

ამგვარად, აფინიტეტის აკვარგეიანობის მთავარი მაჩვენებელი შეხორცების სისრულესთან ერთად არის, მუდმივ ადგილზე დარგული ვაზების გახა-




რების დიდი პროცენტი, რადგანაც ცუდი აფინიტეტის მქონე სარგავი მასალით გაშენებულ სამრეწველო ვენახებში ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს ნერიახობას, რაც საბჭოთა მოსახლეობის გვერდით მომარაგებას აძნელებს.

აფინიტეტი გავლენას ახდენს ვაზის სიცოცხლის ხანგრძლივობაზე. ეს საკითხი მკვლევართა დიდ ინტერესს იწვევს, რის გამოც მრავალჯერ გამხდარა მსჯელობის საგნად. ასე, მაგალითად, ზოგერთის აზრით ნამყენი ვაზის სიცოცხლის ხანგრძლივობა შედარებით განსაზღვრულია. ცხადია, თუ სანამყენესა და საძირეს შორის აფინიტეტი არ არსებობს, ნამყენი შეიძლება სულ მოკლე ხანში დაიღუბოს. ასე, მაგალითად, რომელიმე ჯიშში როტუნდიფოლიაზე რომ დავამყნოთ ნამყენი შეიძლება შეიზარდოს, მაგრამ ვაზი სუსტი გამოვა და ადვილად დაიღუბება. ნამყენის ზრდის ეს სისუსტე ცუდი აფინიტეტის შედეგია. მაგრამ, როდესაც აფინიტეტი კარგია, ვლებულობთ სულ სხვახაირ სურათს. „ფექტები გვიჩვენებს, ამბობს რაევანი, — რომ ნამყენ ვაზს შეუძლია გაძლოს 31 წელს და მეტსაც. ამის მაგალითია ჩვენი მევენახეობა, სადაც ნამყენი ვაზი ცოცხლობს უკვე 31 წელიწადს და დაღუპვის წინაშე არ ჩანს. ნამყენი ვაზის სიცოცხლის ხანგრძლივობა დამოკიდებულია მისი ძველა-გაშენებისა და კვების პირობებზე. ერთი სიტყვით, იგი შეიძლება იყოს სავსებით დამაკმაყოფილებელი“. რაც უფრო შესაფერისი იქნება საძირე, რაც უფრო უკეთესი იქნება მისი ცხოვრების და კვების პირობები, უკეთ რომ ვთქვათ, რამდენადაც საძირეს და სანამყენეს შორის მეტი აფინიტეტი იქნება, მით უფრო ხანგრძლივი იქნება დამყენი ვაზის სიცოცხლეც. ჩვენ მიერ ვაზის სიცოცხლია ხანგრძლივობაზე წარმოებული დაკვირვების შედეგები მოცემული გვაქვს მე-2 ცხრილში,

მე-2-ე ცხრილიდან ჩანს, რომ თუ საძირე და სანამყენე თავიდანვე სწორად შერჩეული არ არის, ე. ი. არ არის დამყნობილი შესაფერ სტანდარტულ საძირეზე, რომელთანაც ნამყენს მუდმივ ადგილზე დარგვის შემდეგ სრული შეზრდა-მეზორცების გაგრძელება შეუძლია, თუ ის არ ხასიათდება კარგი აფინიტეტით, მაშინ ნამყენი ვაზის ფესვთა სისტემა და მისი მიწისზედა ნაწილები სათანადო ზრდა-განვითარებას ვერ განიცდიან და ამის შედეგად ნამყენი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ექსპლუატაციის მიღების თვალსაზრისით ნაკლებ იმედიანი გამოდის. ამგვარად, თუ ვენახი შეზღუდული აფინიტეტის მარეზებლების მქონე სარგავი მასალით შენდება, მაშინ ვახარების პროცენტი დაბალია, ნარგაობის სიმეჩხრე მეტად თვალსაჩინოა. ვაზის ზრდა შეფერხებულია და ნარგაობის შემდგომი ეფექტურობა დაბალი, ხოლო სიცოცხლის ხანგრძლივობა შემოკლებული.

ცხრილიდან ჩანს ისიც, რომ მუდმივ ადგილზე დარგული ვაზის სიცოცხლის ხანგრძლივობა დიდად არის დამოკიდებული ჯიშის ბიოლოგიურ თავისებურებაზე. ასე, მაგალითად, ჩვენ მიერ შესწავლილი მოსავლის მომცემი ჯიშებიდან ხანგრძლივი ექსპლუატაციის პერიოდით ხასიათდებიან ძლიერი ზრდის ვაზის ჯიშები, როგორცაა განჯური და ჩინური. ამ ჯიშების ფართო აფინიტეტის ეს ბიოლოგიური თვისება მკაფიოდ არის გამოვლინებული ზემოდ დასახელებულ საცდელ ობიექტზე, ხოლო რაც შეეხება სუსტი ზრდის ჯიშებს, როგორცაა ალიგოტე, შედარებით შემოკლებული სიცოცხლის ხანგრძლივობით ხასიათდება.

აფინიტეტის გავლენა ვაზის სიცოცხლის ხანგრძლივობაზე (%)



სანამყენე	ს ა ძ ი რ ე	სიცოცხლისუნარიანი ვაზების ხანგრძლივობა (წელი)			
		1-წელს	მე-5 წელს	მე-10 წელს	მე-15 წელს
ჩეკიითელი	ბერლანდიერჩრიპარია 5 ბბ	96,6	92,2	86,7	82,2
	რუპესტრის დულო	10,0	88,4	81,4	74,4
	რიპარიაჩრუპესტრის 3309	98,8	86,7	78,9	72,2
	ბერლანდიერჩრიპარია 420 ა	98,8	94,4	90,1	85,7
	შასლაჩბერლანდიერი 41 ბ საკუთარ ფესვზე	98,8 96,7	93,2 73,6	89,8 65,9	84,1 61,5
საფერავი	ბერლანდიერჩრიპარია 5 ბბ	90,0	85,6	76,7	72,2
	რუპესტრის დულო	93,0	77,9	70,9	66,3
	რიპარიაჩრუპესტრის 3309	96,6	74,4	66,7	62,8
	ბერლანდიერჩრიპარია 420 ა	94,4	83,5	75,8	70,3
	შასლაჩბერლანდიერი 41 ბ საკუთარ ფესვზე	81,8 79,3	81,8 50,5	73,8 41,8	70,5 31,9
ჩინური	ბერლანდიერჩრიპარია 5 ბბ	95,5	94,4	91,1	90,0
	რუპესტრის დულო	96,5	91,9	88,4	87,2
	რიპარიაჩრუპესტრის 3309	96,6	91,1	87,8	84,4
	ბერლანდიერჩრიპარია 420 ა	96,7	93,4	90,1	89,0
	შასლაჩბერლანდიერი 41 ბ საკუთარ ფესვზე	95,4 98,8	93,2 83,5	89,8 76,9	88,6 68,1
გორული შწვანე	ბერლანდიერჩრიპარია 5 ბბ	99,6	91,1	84,4	81,1
	რუპესტრის დულო	96,5	87,2	79,1	73,3
	რიპარიაჩრუპესტრის 3309	96,6	85,6	77,9	70,0
	ბერლანდიერჩრიპარია 420 ა	92,3	87,9	83,5	80,2
	შასლაჩბერლანდიერი 41 ბ საკუთარ ფესვზე	96,5 80,4	89,8 71,4	84,1 62,6	80,7 60,4
განჯური	ბერლანდიერჩრიპარია 5 ბბ	97,7	95,6	93,3	92,2
	რუპესტრის დულო	94,1	91,9	90,7	90,7
	რიპარიაჩრუპესტრის 3309	95,5	91,1	90,0	88,9
	ბერლანდიერჩრიპარია 420 ა	97,8	94,5	93,4	93,4
	შასლაჩბერლანდიერი 41 ბ საკუთარ ფესვზე	95,4 97,8	94,3 86,8	92,0 79,1	90,8 75,8
ალიგოტე	ბერლანდიერჩრიპარია 5 ბბ	94,4	83,3	73,3	68,9
	რუპესტრის დულო	95,3	75,6	68,6	65,1
	რიპარიაჩრუპესტრის 3309	85,5	71,1	64,4	61,1
	ბერლანდიერჩრიპარია 420 ა	91,2	82,4	72,5	69,2
	შასლაჩბერლანდიერი 41 ბ საკუთარ ფესვზე	95,4 82,4	79,5 41,8	71,6 34,1	68,2 30,8
პინო	ბერლანდიერჩრიპარია 5 ბბ	94,4	90,0	82,2	80,0
	რუპესტრის დულო	93,0	84,9	77,9	70,9
	რიპარიაჩრუპესტრის 3309	95,5	83,3	74,4	68,9
	ბერლანდიერჩრიპარია 420 ა	96,7	86,8	81,3	80,2
	შასლაჩბერლანდიერი 41 ბ საკუთარ ფესვზე	95,4 84,6	87,6 70,3	81,8 59,3	81,0 51,6

საკუთარადღებთა რომ ეს კანონზომიერება ძლიერი და სუსტი ზრდის ფორმების განსხვავებული სიცოცხლის ხანგრძლივობის შესახებ, აქტუალურს ხდის საკითხს ვაზის დატვირთვის შესახებაც. უნდა აღინიშნოს, რომ



ვაზის გადაჭერითვა ასუსტებს ვაზს და ამცირებს მის მომსახურებას

ცხრილიდან ჩანს აგრეთვე ის, რომ ვაზების სიცოცხლის ხანგრძლივობა დიდადაა დამოკიდებული ფილოქსერაგამძლე საჭირზე. ასე, მაგალითად, ბერლანდიერ X რიპარია 5 ბ-ზე, ბერლანდიერ X რიპარია 42 ა-ზე და შასლა X ბერლანდიერ 41 ბ-ზე დამყნული ვაზის ჯიშები ხასიათდებიან ხანგრძლივი სიცოცხლისუნარიანობით, რაც ევროპული ვაზის ჯიშებთან მათი კარგი აფინიტეტის უნარით აიხსნება, ხოლო რიპარია X რუპესტრის 3309-ზე და რუპესტრის დულოზე მყნობასას კი შემოკლებული მომსახურების პერიოდით, რაც შეზღუდული აფინიტეტითა და ქლოროზის გამოვლინებით არის გამოწვეული.

ამგვარად, რიპარია X რუპესტრის 3309-ზე და რუპესტრის დულოზე დამყნული ვაზის ჯიშების შემოკლებული მომსახურების უნარი აიხსნება მათი მგრძობიარობით კალციუმის მარილების მიმართ. კალციუმის მარილთა სიჭარბე მეტად დიდ გავლენას ახდენს რკინის შეთვისებაზე. კირნარ ნიადაგებზე რკინის შეთვისებლობის გამო რიპარია X რუპესტრის 3309-ზე და რუპესტრის დულოზე ნამყენი ვაზის ჯიშების უმეტესობა ავადდება ქლოროზით, მიუხედავად იმისა, რომ ნიადაგში რკინა დიდი რაოდენობითაა მოცემული. საქართველოს მევენახეობის ზოგიერთ რაიონში ვაზების ქლოროზით დაავადება დიდ შემავრთხებელ ფაქტორად იქცა რიპარია X რუპესტრის 3309-სა და რუპესტრის დულოს საძირებდად შემდგომი გამოყენების საქმეში. მაშასადამე, რიპარია X რუპესტრის 3309-ზე და რუპესტრის დულოზე დამყნული ვაზის ჯიშების დაკნინება და მათი სიცოცხლის ხანგრძლივობის შემოკლება გამოწვეულია რკინის ნაკლებობით. იქ სადაც ნიადაგი კირის ჭარბ რაოდენობას შეიცავს, ხდება იმ ორგანულ მკავათა ნეიტრალიზაცია, რომელიც რკინის გასახსნელად არის საჭირო, რის გამოც, რკინა თუმცა მოიპოვება ნიადაგში, მაგრამ მცენარისათვის მიუწვდომელი რჩება. ვაზის ფესვებისათვის რკინის მიუწვდომლობა კირიან ნიადაგებში, როგორც ჩანს გამოწვეულია ძლიერი ტუტე რეაქციით. ხსნარში, კალციუმის მარილთა სიჭარბესთან დაკავშირებით წარმოიქმნება რკინის კოლოიდური ჰიდროქსიდგულები, რომლებიც, მეტწილად, მიუწვდომელია რიპარია X რუპესტრის 3309-ზე და რუპესტრის დულოზე დამყნული ვაზებისათვის. ნიადაგში რკინის ძალის დიდი რაოდენობით შეტანა უსარგებლოა ქლოროზის თავიდან ასაცილებლად. ფოთლებზე რკინის ძალის შესხურება იწვევს რეაქციას, ფოთლები განიცდიან გამწვანებას, მაგრამ მისი მოქმედება მოკლე პერიოდით შემოიფარგლება.


ყოველივე ზემოთქმულიდან მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ სამყნობად საჭიროა შერჩეული იქნეს ისეთი საძირები, რომლებიც უზრუნველყოფენ მომავალი მცენარის უხვ და მაღალხარისხოვან მოსავალს, გვალვასა და ყინვაგამძლეობას, გაუდიდებენ ქლოროზისა და სხვა დაავადებათა წინააღმდეგ იმუნიტეტს, გარემო პირობების კომპლექსის მიმართ კარგი შეგუების უნარს და ამასთან ერთად კარგად მიიღებს მასზე დასამყნობი ვაზის ჯიშებს. სამყნობი კომპონენტების სწორი შერჩევით აფინიტეტის გათვალისწინებით შეიძლება მივიღოთ ისეთი ნამყენი, რომელიც მუდმივ ადგილზე დარ-

გული უზრუნველყოფილი იქნება ხანგრძლივი სიცოცხლით ნაკლებ მგობობა-ბიარობას გამოიჩენს გარემო ფაქტორების უარყოფით გავლენათა მიმართ და მაღალი ავროტექნიკის პირობებში უზრუნველყოფს ყუოდნის მუცლის ორსუ-ვანი და უხვი ყოველწლიური რეგულარული მოსავლის მიღებას.

ოვგორც საერთოდ ცნობილია, საძირე ფუნდამენტია, რომელზედაც დამყნობილია ვაზის როძელიმე ჯიში, ამიტომ მიწერალური კვება მთლიანად ხორციელდება საძირის ფესვთა სისტემის მიერ, რია გამოც საძირის მიმართ წაყებებელი მოთხოვნილება, უპირველეს ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ მას ჰქონდეს მძლავრი ფესვთა სისტემის განვითარების თვისება, რაც უზრუნველყოფს მასზე დამყნილი სანამყენეს გამოსაკვებად ნიადაგიდან საკმაო რაოდენობით წყლისა და მასში გახსნილი ძინერალური ელემენტების მიღებას. გამომდინარე აქედან საძირის ფესვთა სისტემას უნდა ახასიათებდეს სხვადასხვა ნიადაგის მიმართ კარგი შეგუების უნარი, ე. ი. ადაპტაციის დიდი უნარი იმ მიზნით, რომ მივიღოთ თანაბარი ღირებულების თვისებებით აღჭურვლი დამყნილი სარგავი მასალა, საჭიროა საძირე მასალის საწყისი იყოს ერთნაირი ღირებულების, ე. ი. ფილოქსერაგამძლე საძირე ვაზის სადედედან ასაღები რქები უნდა იყოს წინასწარ ცნობილი და არ უნდა წარმოადგენდეს სხვადასხვა ბუნების მქონე ჯიშებიდან შექთხვევით აღებულ მასალას. ცნობილია, რომ ფილოქსერაგამძლე საძირე ვაზის ჯიშები დიდად განსხვავდებიან ერთიმეორისაგან. აქედან გამომდინარე საძირე მასალის მისაღებად საჭიროა რქების დამზადება ხდებოდეს წინასწარ შერჩეული ინდივიდებიდან, როდესაც სადედეში საძირე მასალას ვიღებთ შემთხვევითი ინდივიდებიდან, მაშინ მათზე დამყნილი ევროპული ვაზის ჯიშები მეტად განსხვავებული გამოდის და ასეთი მასალით გაშენებულ ვენახებში დიდ სიჭრელესაც აქვს ადგილი, განსხვავებული ზრდისა და მსხმოიარობის უნარის მქონე ვაზების არსებობის თვალსაზრისით. სანერგე მეურნეობის ამოცანას უნდა წარმოადგენდეს არა მარტო გარეგნულად თანაბრად განვითარებული, არამედ თვისობრივადც. ე. ი. ზრდა-განვითარებისა და მოსავლის მოცემის მხრივაც თანაბარი ღირებულების ნამყენის გამოყენა. ეს კი მაშინ შეიძლება, როცა საკვირტე და საძირე მასალა წინასწარ აპრობირებული და ცნობილი იქნება.

ცნობილიდან ჩაას ავრეთვე ის, რომ საკუთარ ფესვზე გაშენებული სანამყენე ჯიშები მეტად შეპოკლებული მომსახურების პერიოდით ხასიათდება, ვიდრე ნამყენი ვაზები. ეს იმით აიხსნება, რომ საკუთარ ფესვზე გაშენებულ ვაზებს ძლიერ აზიანებს ფილოქსერა, რასაც ვენახები განადგურებამდე მიჰყავს. ვაზების ექსპლუატაციიდან გამოყენა ფილოქსერის მავნე მოქმედების შედეგად უკვე შესამჩნევი ხდება ვაზის გაშენებიდან მეხუთე წელს და მაქსიმუმს აღწევს გაშენებიდან მეათე-მეხუთმეტე წელს.

თუ გადავხედავთ საქართველოს მევენახეობის ისტორიას დავრწმუნდებით, რომ ჩვენი სამეცნიერო დაწესებულებანი ფილოქსერას გავრცელების შემდეგ გულმოდგინედ მუშაობდნენ და ფართო კვლევით მუშაობას აწარმოებდნენ იმისათვის, რომ გამოენახათ ფილოქსერასთან ბრძოლის ეფექტური და ხელმისაწვდომი საშუალება. მრავალი წლის კვლევის შედეგად დადგენილი იქნა, რომ ვაზის ზოგიერთი ადგილობრივი ჯიში უკეთ უძლებს ფილოქსერას.



ასეთ ჯიშებს მიეკუთვნებოდნენ რქაწითელი, მწვანე, ჩინური, ციცქა, ღონღლაბიდა სხვ. ამიტომ მიზანშეწონილად ჩასთვალეს შედარებით ფილოქსერაგამძლე ეს ჯიშები გაუშენებინათ საკუთარ ფესვზე და თავიდან აეცილებინათ ზედმეტი ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ვაზის მყნობასთან. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ამ წესით ვაზის გაშენებამ საკმაოდ ფართო ხასიათი მიიღო. ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ ვაზის გაშენებისას არ იცავდნენ სათანადო წესებს და არც გამაფრთხილებელ ზომებს მიმართავდნენ. საქმე ისაა, აღნიშნავს პროფ. ლ. კალანდაძე (1), რომ ფილოქსერას შედარებით გამძლე ჯიშების საკუთარ ფესვებზე გაშენება შეიძლება ვერჩიოთ, როგორც დროებითი ღონისძიება, უსტრუქტურო ნიადაგებზე, სადაც ფილოქსერას გამრავლება-გავრცელებისათვის არახელსაყრელი პირობებია. ამ ჯიშების გაშენება შეიძლება სტრუქტურულ ნიადაგზეც (ძირითადად სარწყავში) მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ვაზის განვითარებისათვის კარგ პირობებს ქმნის და თანაც ფილოქსერით დასენიანებული არ არის. მაგრამ ყველა ამ შემთხვევაში ვენახში ვაზები თანდათანობით უნდა იქნეს შეცვლილი ნამყენი ვაზით, რადგანაც საბოლოო ჯამში საკუთარ ფესვზე გაშენებული ვაზი ფილოქსერასაგან ადრე თუ გვიან მაინც დაიღუპება. ამის ნათელი დადასტურებაა ჩვენ მიერ კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები, რომელიც წარმოდგენილია მე-2 ცხრილში.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნავს ავტორი (1), საკუთარ ფესვებზე ვაზის გაშენების მომხრე მეცნიერთა ერთი ჯგუფი ამ უკანასკნელ დებულებას არ იზიარებს და ამტკიცებს, რომ აგროტექნიკური ღონისძიებების გატარებით ან ქიმიური საშუალებების გამოყენებით თითქოს შესაძლებელია მითითებული წესით გაშენებულ ვაზებზე ფილოქსერას გამრავლების მნიშვნელოვანწილად შემცირება და ამ დაავადების აცილება. ამის დასასაბუთებლად მოჰყავთ მაგალითები, რომ ბევრ ადგილას ფილოქსერას შედარებით გამძლე ჯიშებით საკუთარ ფესვზე გაშენებული ჯიშები საკმაოდ დიდი რაოდენობით მოიპოვება როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში და მათი ხნოვანება ათეული წლებით განისაზღვრება ეს მართალია, მაგრამ მაინც საჭიროა, რომ საკუთარ ფესვებზე ვაზის გაშენებას განსაკუთრებული სიფრთხილით მოვეპყრათ. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა, ჯერ ერთი სასტიკად აიკრძალოს ზემდგომი ორგანოების ნებართვის გარეშე ვაზის საკუთარ ფესვებზე გაშენება და რაც მთავარია ვაზის გაშენების ეს წესი სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებების მიერ საფუძვლიანად უნდა იქნეს შესწავლილი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს როგორც ნამყენი ვაზის, ისე საკუთარ ფესვებზე ძველად და ახლად გაშენებული ვენახების მდგომარეობის. შესწავლისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ყველა ის ფაქტორი, რომელიც გარკვეულ როლს ასრულებს ფილოქსერასაგან ვაზის გახმობის ან მისგან გადარჩენის დროს, გამოიტანონ სათანადო დასკვნები და ამის შედეგად დასახონ შესაფერისი ღონისძიებები.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი კვლევის შედეგებიდან მივდივართ იმ დასკვნამდე რომ საკუთარ ფესვზე ვაზის გაშენება, როგორც ფილოქსერასთან ბრძოლის მასობრივი ღონისძიება სრულიად მიუღებელია, მაგრამ თუ აქამდე სხვა




გამოსავალი არ გექონდა და კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები აწარმოებდნენ საკუთარ ფესვზე ვაზის გაშენებას, ამჟამად ეს საკუთარ ფესვზე გაშენებულია და ახალი ვენახების გაშენება წარმოებს ნამყენი ვაზით, იმისათვის რომ საკუთარ ფესვზე გაშენებული შედარებით გამძლე ჯიშებიც კი მასობრივად იღუპება ფილოქსერით.

ამ საკითხთან დაკავშირებით პროფ. ლ. კალანდაძე (1) აღნიშნავს, რომ საქართველოში ფილოქსერას შემოჭრის ცოტა ხნის შემდეგ დაიწყო ჩვენებური ვაზის ყველა ჯიშის დაღუპვა და მათ შორის ისეთებისაც, რომლებსაც ახლა შედარებით ფილოქსერაგამძლე ჯიშებად ვთვლით. ჩვენ იძულებული ვყავით ეს ჯიშებიც მხოლოდ ფილოქსერაგამძლე საჩირეებზე მცნობის გზით გაგვეშენებინა, ერთი სიტყვით ბუნებაში საკმაოდ ფართოდ იყო დაყენებული ცდა საკუთარ ფესვებზე გაშენებულ ვაზზე ფილოქსერას მოქმედების შესასწავლად და გამოირკვა, რომ შედარებით გამძლე ჯიშებიც კი მასობრივად იღუპება. იგივე მდგომარეობა გამოვრდება პომავალშიც, რადგანაც საკუთარ ფესვებზე გაშენებული ვაზისათვის ფილოქსერით დაავადების წყარო ყველგან არსებობს, ფილოქსერა მასზე დასახლდება და შემდეგ დაიწყებს მასობრივად გამრავლებას, რადგანაც უფრო ხელსაყრელი პირობები შეექმნება, ვიდრე დამყნობი ვაზის ფესვებზე. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ჯერჯერობით საკუთარ ფესვებზე გაშენებული ვაზი ნიადაგის კარგი პირობების შემთხვევაში ფილოქსერასაგან არ იღუპება. ეს ხდება მხოლოდ იმის გამო, რომ ფილოქსერა დამყნობი ვაზების ფესვებზე ძალიან მცირეა, რადგან მისი განვითარება-გამრავლებისათვის აქ არ არის შექმნილი ხელსაყრელი პირობები. მაგრამ, როდესაც საკუთარ ფესვებზე ვაზები დიდ ფართობებზე გაშენდება, მაშინ ფილოქსერა უფრო სწრაფად გამრავლდება, იგი დიდი რაოდენობით მოედება საკუთარ ფესვებზე გაშენებულ ვენახს და მალე დაღუპვამდე მიიყვანს მას.

ვაზის საკუთარ ფესვზე გაშენების მომხრეების ნაწილი იმასაც კი ამტკიცებს, რომ ფილოქსერასთან ბრძოლის პროცესში ვაზის ჩვენებურ ჯიშებში გამომუშავდება საპასუხო რეაქციის სახით გამძლეობის უნარი. იგი მემკვიდრული ხასიათის გახდა და ახლა ამის გამო სულ სხვა მდგომარეობა გვაქვს, ვიდრე ამას ჰქონდა ადგილი ფილოქსერას საქართველოში პირველად შემოჭრის დროს. მაგრამ ამ შემთხვევაში ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ თუ ახლად გამოყვანილ ჯიშს ცხოვრების ცუდ პირობებში საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ვამყოფებთ იგი გადაგვარდება ხოლმე და შექმნილ თვისებებს კარგავს. ასევე მოხდება საკუთარ ფესვებზე ვაზების მასობრივად გაშენების შემთხვევაშიც. ამის გამო ჩვენებური ვაზის ფილოქსერას წინააღმდეგ შედარებით გამძლეობა მალე დაეცემა და ვენახებს გახმობის საფრთხე დაემუქრება.

საკუთარ ფესვებზე გაშენებული ვაზის გახმობა უკვე თვალსაჩინოა უპირველეს ყოვლისა იმ ვენახებში, სადაც საკუთარ ფესვებზე ვაზის გაშენება მოხდა ყოველგვარი წესების დაცვისა და სათანადო ორგანოების მეთვალყურეობის გარეშე (საკარმიდამო, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ზოგიერთ ნაკვეთზე). ამ გარემოებას ახლავს უნდა მიეჭყეს სათანადო ყურადღება და მიღებული უნდა იქნეს გადაამჭრელი ზომები, ვიდრე ფილოქ-



სერა აუნაზლაურებელ ზარალს მოგვიტანდეს. საერთოდ კი ვაზის საკუთარ ფესვებზე გაშენების აკრძალვის საკითხი სადავო არ არის და ახალი ვენახების გაშენება, როგორც სავალდებულო ღონისძიება, უნდა წარმოებდეს ვენახის ხარისხიდან, ფართო აფინიტეტის მქონე სარგავი მასალით, რაც უზრუნველყოფს მუდმივ ადგილზე დარგული ვაზის გახარების მაღალ უნარს, ვაზის შემდგომი ზრდა-განვითარების შეუფერხებლად წარმართვას, უხვი და რეგულარული მოსავლის მიღებას და მისი სიცოცხლის გახანგრძლივებას.

დასკვნა

1. კარგი შეხორცება საძირისა სანამყენესთან ყოველთვის არ ნიშნავს კარგ აფინიტეტს. აფინიტეტის ავკარგიანობის მთავარი მაჩვენებელი შეხორცების სისრულესთან ერთად, არის მცენარის შემდგომი კარგი ზრდა-განვითარება. აფინიტეტის გასარკვევად, უნდა ვიხელმძღვანელოთ შეხორცების ხასიათით და ამ უკანასკნელის სისრულით.
2. საუკეთესო აფინიტეტი სამყნობ კომპონენტთა შორის იქნება იმ შემთხვევაში, როდესაც ნამყენი არ იმჩნევს დამყნობის შედეგს, რაც უფრო მეტად უახლოვდება ხამყენი თავის ჩვეულებრივ, ნორმალურ მდგომარეობას როგორც ზრდის, ისე სხვა თვისებათა მხრივ, იმდენად უკეთესია აფინიტეტი.
3. კარგ აფინიტეტს ახასიათებს მუდმივ ადგილზე დარგული ვაზების გახარების დიდი უნარი და მცირე მეჩხერიანობა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ვენახის გაშენებასთან დაკავშირებულია სხვადასხვა სახის ღონისძიებების შესრულება, რომელთა ჩატარების ხარისხზე ბევრადაა დამოკიდებული ნამყენის გახარების ინტენსივობა და მომავალი ნარგავის სამეურნეო თვისებები.
4. ვაზის გაშენების დროს განსაკუთრებული ყურადღებით უნდა იქნეს შესწავლილი ყველა ის საკითხი, რომელიც პირდაპირ ან არა პირდაპირ გავლენას მოახდენს დარგული ნერგის გახარების ინტენსივობაზე, მოსავლიანობის ხარისხობრივსა და რაოდენობრივ მაჩვენებლებზე, აგრეთვე სიცოცხლის ხანგრძლივობაზე.
5. მუდმივ ადგილზე დარგული ვაზის შეუფერხებელი გახარება მრავალი ფაქტორის ურთულესი ურთიერთმოქმედების შედეგია, აქედან გამომდინარე საჭიროა გულმოდგინედ იქნეს შესწავლილი ეკოლოგიური ფაქტორები, ვაზის კულტურის ბიოლოგიურ თავისებურებებთან დაკავშირებით, რათა სამრეწველო ვენახები გაშენდეს აგრონომიული მეცნიერების დღევანდელი მიღწევისა და პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს ვაზის ნერგის გახარების მაღალ უნარს და სიცოცხლის ხანგრძლივობას.
6. მუდმივ ადგილზე დარგული ვაზის გახარების ინტენსიურობა დამოკიდებულია, არა მარტო კლიმატურ პირობებსა და ჯიშურ თავისებურებებზე, არამედ საძირისა სანამყენეს აფინიტეტზე, ვინაიდან დღემდე დაუხსტებელი არ არის აფინიტეტის ზოგიერთი საკითხი საძირისა და სანამყენეს ჯიშობრივ თავისებურებათა გათვალისწინებით ხშირად ძნელია ჯიშის პოტენციალობის სრული გამოვლინება. აქტუალურ ამოცანას სადღეისოდ წარმოადგენს ის, როგორ ფართო კვლევითი მუშაობა წარმართოს სამყნობ კომპონენტთა შორის აფინიტეტის

ნიტეტის შესასწავლად დიფერენციალური აგროტექნიკის შესაბამისად და წარმოების პირობებში მის დასაწერად.

7. ვაზის გაშენების დროს საძირესა და სანამყენეს შორის საკითხის გათვალისწინება დარგული ნერგის გახარების დიდი პროცენტის და ვაზის ნორმალური ზრდა-განვითარების ძირითადი პირობაა, რაც თავის მხრივ დიდი მოსავლის მიღების საწინდარს წარმოადგენს.

8. ცნობილია, რომ ვაზი იჩაგრება, კნინდება და ნორმალურად ვერ ვითარდება თუ გაშენების პირველ წლებში ვერ ახერხებს ნორმალურ ზრდას; შემდგომში ის არც სიცოცხლის ხანგრძლივობით ხასიათდება და არც რეგულარული მოსავლიანობით.

9. ახლად დარგული ვაზის გახარების პროცენტი ბევრად არის დამოკიდებული როგორც ზრდა-განვითარების სხვა ფაქტორთა კომპლექსურ მოქმედებაზე, ისე საძირისა და სანამყენეს აფინიტეტზე. თუ კომპონენტთა შორის აფინიტეტი კარგია, გარემო პირობათა კომპლექსი ვაზის გახარებაზე დადებითად მოქმედებს, ვაზის საძირისათვის ნიადაგის პირობები კარგ საადაპტაციო გარემოს წარმოადგენს, მაშინ ნამყენი ნერგი გახარების მაღალ პროცენტს იძლევა და მისი სიცოცხლე გახანგრძლივდება.

10. თუ სამყნობი კომპონენტები თავიდანვე სწორად შერჩეული არ არის, ე. ი. არაა დამყნობილი შესაფერის სტანდარტულ საძირეზე, რომელთანაც ნამყენს სრული შეზრდა-შეხორცება შეუძლია, თუ ის წესიერად ფორმირებული და სათანადოდ მოვლილი არ არის, მაშინ ნორჩი ნამყენის ფესვთა სისტემა და მისი მიწისზედა ნაწილები, სათანადო ზრდა-განვითარებას ვერ განიცდის და ამის შედეგად ნამყენი მომავალში მაღალი პროდუქტიულობის მიღების თვალსაზრისით უხარისხო და ნაკლებიმედიანი გამოდის.

11. ნამყენი უნდა ხასიათდებოდეს აფინიტეტის მაღალი უნარით, რის მიხედვითაც უნდა ზდებოდეს სარგავი მასალის ღირსების შეფასება. თუ ვენახი აფინიტეტის დაბალი მაჩვენებლების მქონე სარგავი მასალით შენდება, მაშინ გახარების პროცენტი დაბალია. ნარგავობის სიმეჩხრე მეტად თვალსაჩინოა, ვაზის ზრდა შეფერხებულია და ნარგავობის შემდგომი ევექტურობა მეტად დაბალი.

12. სამრეწველო ვენახები აუცილებლად კარგი აფინიტეტის მქონე მაღალი ღირსების სტანდარტული სარგავი მასალით უნდა გაშენდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ადგილი ექნეს გახარების დაბალ პროცენტს, ვაზი მსხმოიარობაში გვიან ჩადგეს, ანდა ძლიერ დაზიანდეს მრავალი ფიზიოლოგიური პროცესის არასწორად წარმართვის გამო.

13. კარგი შეხორცება საძირისა სანამყენესთან ყოველთვის არ ნიშნავს კარგ აფინიტეტს, მაგალითად შასლა X ბერლანდიერ 41 ბ-ს ახასიათებს კარგი შეზრდა-შეხორცება ევროპული ვაზის ჯიშებთან, მაგრამ მუდმივ ადგილზე დარგული ვაზების გახარების ინტენსივობის მიხედვით აფინიტეტი მათ მიმართ ზოგიერთ შემთხვევაში შედარებით მცირეა, მეორე მხრივ, ბერლანდიერი X რიპარია 420 ა-ს შეზრდა ევროპული ვაზის ჯიშებთან შედარებით ძნელად ხდება, მაგრამ მუდმივ ადგილზე დარგული ვაზების გახარების ინტენსივობის თვალსაზრისით მათ მიმართ აფინიტეტი კარგი აქვთ.



14. აფინიტეტის ავკარგიანობის მთავარი მაჩვენებელი შეხორცების სისრულესთან ერთად არის, მუდმივ ადგილზე ვაზების გახარების დიდი რაოდენობა ცვდი აფინიტეტის მქონე სარგავი მასალით გაშენებულ საძირკეებში ადგილი აქვს მეჩხერიანობას.

15. აფინიტეტი გავლენას ახდენს ვაზის სიცოცხლის ხანგრძლივობაზე. თუ სანამყენსა და საძირეს შორის აფინიტეტი ან არსებობს, ხამყენი შეიძლება სულ მოკლე ხანში დაიღუპოს. რამდენადაც საძირესა და სანამყენეს შორის მეტი აფინიტეტი იქნება, მით უფრო ხანგრძლივი იქნება დამყენი ვაზის სიცოცხლეც.

16. თუ ვენახი შეზღუდული აფინიტეტის მაჩვენებლების მქონე სარგავი მასალით შენდება, მაშინ გახარების პროცენტი დაბალია, ნარგაობის სიმეჩხრე მეტად თვალსაჩინოა, ვაზის ზრდა შეფერხებულია და ნარგაობის შემდგომი ვეფქტურობა დაბალი, ხოლო სიცოცხლის ხანგრძლივობა შემოკლებული.

17. ვაზების სიცოცხლის ხანგრძლივობა დიდად არის დამოკიდებული ჯიშის ბიოლოგიურ თავისებურებაზე, მაგალითად, ძლიერი ზრდის ვაზის ჯიშები როგორცაა განჯური და ჩინური ხასიათდებიან ხანგრძლივი ექსპლუატაციის პერიოდით, ხოლო რაც შეეხება სუსტი ზრდის ჯიშებს, როგორცაა ალიგოტე, შემოკლებული სიცოცხლის ხანგრძლივობით ხასიათდება. საყურადღებოა, რომ ეს კანონზომიერება ძლიერი და სუსტი ზრდის ჯიშების განსხვავებული სიცოცხლის ხანგრძლივობის შესახებ, აქტუალურს ხდის საკითხს ვაზის დატვირთვის შესახებაც. უნდა აღინიშნოს, რომ ვაზს გადატვირთვა ასუსტებს ვაზს და ამცირებს მის მომსახურების პერიოდს.

20. ვაზის სიცოცხლის ხანგრძლივობა დიდადაა დამოკიდებული ფილოქსერაგამძლე საძირეზე. ასე, მაგალითად, ბერლანდიერ X რიპარია 5 ბბ-ზე ბერლანდიერ X რიპარია 420 ა-ზე და შასლა X ბერლანდიერ 41 ბ-ზე დამყენი ვაზის ჯიშები ხასიათდებიან ხანგრძლივი სიცოცხლისუნარიანობით, რაც ევროპული ვაზის ჯიშებთან მათი კარგი აფინიტეტით აიხსნება, ხოლო რიპარია X რუბესტრის 339-ზე და რუბესტრის დულოზე მყნობისას კი შემოკლებული მომსახურების პერიოდით რაც შეზღუდული აფინიტეტითაა გამოწვეული. ამ საძირე ჰიბრიდებზე დამყენი ვაზის ჯიშების შემოკლებული მომსახურების უნარი აიხსნება აგრეთვე მათი მგრძობიარობით კალციუმის მარილების მიმართ.

19. სამყნობად საჭიროა შერჩეული იქნეს ისეთი საძირეები, რომლებიც უზრუნველყოფენ მომავალი მცენარის უხვ და მაღალხარისხოვან მოსავალს, გვალვასა და ყინვაგამძლეობას, გაუდიდებენ იმუნიტეტს ქლოროზისა და სხვა ავადმყოფობათა წინააღმდეგ, გარემო პირობების კომპლექსის მიმართ კარგი შეგუების უნარს და მასთა კარგად მიიღებენ მასზე დასამყნობ ვაზის ჯიშებს.

20. საძირეების სწორად შერჩევით შეიძლება მივიღოთ ისეთი სარგავი მასალა, რომელიც მუდმივ ადგილზე დარგული უზრუნველყოფილი იქნება ხანგრძლივი სიცოცხლით, ნაკლებ მგრძობიარე იქნება გარემო ფაქტორების უარყოფით გავლენათა მიმართ და მაღალი აგროტექნიკის პირობებში უზრუნველყოფს მაღალხარისხოვან და უხვ ყოველწლიურ მოსავალს.

21. საძირე მასალის მისაღებად საჭიროა რქების დამზადება ხდებოდეს

წინასწარ შერჩეული ინდივიდებიდან, როდესაც სადღეში საძირე მასალას ვიღებთ შემთხვევითი ინდივიდებიდან, მაშინ მათზე დამყნობილი ვაზის ფიშები მეტად განსხვავებული გამოდის და ასეთი მასალის გამოყენებაში დიდ სიჭრელესაც ვხვდებით, განსხვავებული ზრდისა და მსხმოიარობის უნარის მქონე ვაზების არსებობის თვალსაზრისით.

22. სანერგე მეურნეობის ამოცანას უნდა წარმოადგენდეს, არა მარტო გარეგნულად თანაბრად განვითარებული, არამედ თვისობრივადაც, ე. ი. ზრდა-განვითარებისა და მოსავლის მოცემის მხრივაც თანაბარი ღირებულების ნაშენის გამოყენება. ეს კი მაშინ შეიძლება, როცა საძირე და სანამყენე მასალა წინასწარ აპრობირებული და ცნობილი იქნება.

23. საკუთარ ფესვზე გაშენებული სანამყენე ფიშები მეტად შემოკლებული საექსპლუატაციო პერიოდით ხასიათდება, ვიდრე ნამყენი ვაზები, რაც იმითხედს აიხსნება, რომ საკუთარ ფესვზე გაშენებულ ვაზებს მასობრივად აზიანებს ფილოქსერა, რასაც ვენახები განადგურებამდე მიჰყავს. საკუთარ ფესვზე გაშენებული ვაზების ექსპლუატაციიდან გამოყენება ფილოქსერას მავნე მოქმედების შედეგად უფრო შესამჩნევი ხდება ვაზის გაშენებიდან მეხუთე წელს და მაქსიმუმს აღწევს მეათე-მეხუთმეტე წელს.

24. ვაზის საკუთარ ფესვზე გაშენება სასტიკად უნდა აიკრძალოს, რათა საკუთარ ფესვზე გაშენებული ვაზისათვის ფილოქსერით დაავადების წყარო ყველგან არსებობს, ფილოქსერა მასზე დასახლდება, დაიწყებს მასობრივ გამრავლებას და ვაზი დაიღუბება.

25. ვაზის საკუთარ ფესვზე გაშენების აკრძალვის საკითხი სადავო არ არის, რისთვისაც ახალი ვენახების გაშენება, როგორც სავალდებულო ღონისძიება, უნდა წარმოებდეს მაღალხარისხიანი, ფართო აფინიტეტის მქონე სარგავი მასალით, რაც უზრუნველყოფს მუდმივ ადგილზე დარგული ვაზის გახარების მაღალ უნარს, ვაზის შემდგომი ზრდა-განვითარების შეუფერხებლად წარმართვას, უხვი და რეგულარული მოსავლის მიღებას და მისი სიცოცხლის გახანგრძლივებას.

დამოწმებული ლიტერატურა

1. კალანდანიძე ლ.—ვაზის საკუთარ ფესვზე გაშენების ზოგიერთი საკითხი. გაზეთ „კომუნისტის“ ყოველკვირეული დამატება „სოფლის მეურნეობა“ № 9, 1958 წ.

2. რამიშვილი მ.—ვაზის ნერგის გამოყენების თეორიული და პრაქტიკული საკითხები. თბილისი, 1949 წ.

3. ქანთარია ვ. რამიშვილი მ.—მევენახეობა. თბილისი, 1958 წ.

4. ჩოლოყაშვილი ს.—მევენახეობა, თბილისი, 1940 წ.



Доц. Г. Э. ЗВИАДАДЗЕ,
 О. Г. ЧИХЛАДЗЕ,
 канд. с. х. наук Б. В. САКАНДЕЛИДЗЕ

ИЗ ИСТОРИИ КОРНЕСОБСТВЕННОГО РАЗМНОЖЕНИЯ ШЕЛКОВИЦЫ

Шелковица принадлежит к тем представителям растительного мира, которые с незапамятных времен служат человеку, являясь объектом его хозяйственной деятельности. Будучи предметом особого внимания, как необходимое условие развития шелководства, она сыграла в свое время существенную роль в познании природы и ее закономерностей. Это ценное растение и поныне находится в поле зрения ученых многих стран мира, ведущих исследования в области биологии, экологии, селекции и размножения шелковицы.

Попытки корнесобственного размножения шелковицы предпринимались издавна. Как отмечает А. И. Федоров, практика вегетативного размножения древесных растений, в том числе черенками и отводками, восходит к глубокой древности и в своем развитии долгое время опережала теорию. Вергилий в своих «Георгиках» (37—33 гг. до нашей эры) оставил потомкам интереснейшее свидетельство о том, что уже в те времена растения размножались многими способами, которые «опытом добыты были». Среди этих способов Вергилий называет также черенкование и отводки:

«Тот, обрезав побег с материнского нежного тела,
 В борозду тычет его; тот пень землей зарывает,
 Кольшки с острым концом, на четыре деленные ветки.
 Роды другие дерев отростка, согнутого дужкой,
 Ждут, и живых ростков в земле, их самих породившей»...

Вполне естественно предположить, что шелковица, являясь объектом постоянного внимания человека, издавна размножалась всеми известными и доступными способами. Это относится также и к Закавказью и к Средней Азии. Однако наиболее ранние свидетельства о корнесобственном размножении шелковицы обнаружены нами в русской литературе. Изучение исторических материалов, которые сами по себе представляют большой ин-

терес, показало, что некоторые из вновь разработанных способов черенкования шелковицы имеют довольно старые по времени аналоги.

Шелководство в России насаждалось довольно активно всегда успешно, в течение двух с половиной столетий, начиная с 1665 года. Организация первых шелковых заводов около Кизляра (1700 г.), в Киеве (1725 г.), около Царицына (1762—1770 гг.), под Харьковом (1773 г.) и в других местах (Астрахань, Моздок, Крымский полуостров), создание училищ шелководов (в Симферополе, Ставрополе, Кизляре и в других местах), ряд законов о шелководстве, предусматривавших не только поощрения, но и наказания за нежелание разводить шелковицу,—все это и многое другое не могло не способствовать развитию шелководства, хотя зачастую эта отрасль насаждалась искусственно, без учета ряда самых существенных факторов.

«Не довольствуясь отводом земли для желавших заниматься шелководством, поощрением ревностных и наказанием нерадивых, оно (царское правительство—Авт.) само предприняло основание казенных шелковых заводов и фабрик, к которым приписывались казенные крестьяне. Постепенно была основана целая администрация по шелководству и оно сделано было обязательным занятием в колониях и в военных поселениях. Под влиянием этих мероприятий было разведено огромное количество шелковых деревьев в местностях, их прежде никогда не видавших, и шелк стал добываться сотнями пудов»¹.

Несмотря на верноподданнический тон, характеристика эта в значительной степени справедлива по отношению к русскому шелководству XIX века до начала 60-х годов, когда по многим причинам (ослабление внимания этой отрасли, пембина, отмена принуждения к производству коконов) шелководство стало приходить в упадок.


К середине XIX века Россия располагала довольно развитой шелковой промышленностью. «В одной Московской губернии 65 шелковых фабрик, в Петербургской губернии—20, а всего в Европейской России—97. Они вырабатывают почти на 4,5 миллиона рублей изделий. Мануфактуры требуют шелка и шелка»...².

В первые десятилетия XIX века в России, сообразно с развитием отрасли, чаще стала издаваться литература, носившая характер наставлений по различным вопросам шелководства, в отличие от ранее публиковавшихся материалов, которые в большинстве своем содержали всевозможные проекты, отчеты, указы и распоряжения относительно разведения шелковицы, выкормки червей и выделки шелка.

Первое «Наставление о шелководстве» вышло в 1827 году в Санкт-Петербурге. Автор его—Христиан Стевен, сменивший в 1825 году Мар-

¹ Известия Кавказской шелководственной станции. Том VI, выпуск 4. Тифлис, 1904 г.

² С. Маслов. Шелководство в России. М., 1867 г.



шала-Биберштейна на посту главного инспектора шелководства в России. Любопытно, что с назначением на этот пост Стевен перенес резиденцию инспекции из Харькова в Симферополь, как бы подчеркнув тем самым более южный характер шелководства. До этого Стевен исполнял должность инспектора шелководства в Грузии, где, по всей вероятности, он имел возможность ознакомиться со способами размножения шелковицы, в том числе черенками и отводками.

Автор перечисляет четыре способа размножения шелковицы: пересаживание лесных дичков, насаждение срезанных ветвей, пересаживание отводков и разведение из семян. Думается, есть смысл привести полностью описание способа «насаждения срезанных ветвей».

«Сей способ можно употребить только там, где есть напускная вода или где земля весьма тучна и сыра; но он не всегда надежен. Перекопав и распушив грядку на три четверти глубины, в апреле, прежде, нежели почки начинают развиваться, втыкают срезанные гладкие прутки рядами на пол-аршина¹ расстояния, а прут от прута на вершок², прямо в землю на пол-аршина глубины, оставляя не более вершка над землею, и тотчас поливают обильно. В течение лета несколько раз поливают или напускают воды и держат чисто от травы; а в следующую весну вынимают и пересаживают в питомник или прямо наместо, если довольно пустили корней. На грядку двух сажен длины и полутора аршин ширины можно садить 250 прутков»³.

Агротехника, как видим, весьма и весьма общая, но важным моментом является здесь то, что для посадки рекомендуются молодые ветки—«гладкими» могут быть только 1—3-летние побеги шелковицы.

Это описание оставалось неизменным довольно долгое время. Так, в другом «Наставлении о шелководстве», изданном департаментом сельского хозяйства в 1848 году, описание способа «насаждения срезанных ветвей» слово в слово перепечатано из брошюры Стевена без каких-либо добавлений и уточнений.


В том же 1848 году в первом томе «Записок комитета шелководства при императорском Московском обществе сельского хозяйства» публикуется «Руководство к разведению шелковицы и выкормке шелковичных червей» Г. Фаренколя. Здесь рассматривается довольно широкий круг вопросов туководства—о распространении шелковицы, о сортах, севе и всхожести семян, питомническом хозяйстве, уходе за деревьями и т. д.

Фаренколь вносит несколько уточнений в агротехнику черенкования,

¹ Аршин—старая мера длины, равная 0,71 м.

² 4,4 см.

³ Х. С т е в е н. Наставление о шелководстве, СПб., 1827 г.



указывая, например, длину черенка (один фут)¹ и срок посадки («весною, когда глазки начинают надуваться»). Кроме того, он сообщает, что перед посадкой «осторожно снимают, начиная с отрезанного конца, черенную кору прутика на 2,5—3 дюйма² длины, и втыкают этот прутик в землю в тенистом месте». Автор подчеркивает, что черенки хорошо развиваются только при тщательном уходе: «Если с ними обходятся осторожно, то они уже в первый год вырастают до 2—3 футов и довольно скоро покрываются листом, так что уже на следующий год могут удобно быть пересажены в питомник»³.

К. Хегер замечает, что «этот способ разведения шелковицы требует особенно внимательного ухода» и что размножение посредством сева семян «достигается также скоро и с меньшими затруднениями»⁴.

Интересное сообщение содержится в брошюрке «О разведении тутового дерева (в ответ князю Э. З. Чолокаеву)», изданной в 1858 году в Тифлисе неким В. Н-ра. Утверждая, что «разведение белых тутовых деревьев, составляющих одну из важнейших частей шелководства, производится посредством семян или черенков», автор приводит несколько способов семенного размножения, а затем пишет: «Разведение черенками еще проще. Мы и распространяться об этом избегаем, потому что это делается ни лучше ни хуже, как у нас повсеместно разводят черенками виноград». Судя по столь категоричному утверждению, в Грузии и, вероятно, во всем Закавказье, применялось на практике черенкование шелковицы.

Автор описывает черенкование шелковицы следующим образом: надо «выкопать нужное число в три четверти или в один аршин глубоких и узеньких канав и приготовить черенки из годовалых отпрысков в аршин или вершков 12 длиною, поставить их до половины длины наклонно в канаву так, чтобы на верхнем конце было глазков шесть, и засыпать землею»⁵.

Наклонная посадка черенков шелковицы встречается также в ряде последующих изданий, однако объяснение этого способа было дано гораздо позже. Вот как, например, объясняет его А. Самсонов (1931). На сухих и открытых местностях с холодными тяжелыми почвами, отмечает он


¹ 30,48 см.

² 2,54 см.

³ Г. Фаренколь. Руководство к разведению шелковицы и выкормке шелковичных червей. Записки Комитета шелководства при императорском Московском обществе сельского хозяйства. М., 1848 г.

⁴ К. Хегер. Ответы на вопросы относительно ухода за шелковицею. Записки Комитета шелководства при императорском Московском обществе сельского хозяйства, М., 1849 г.

⁵ В. Н-ра. О разведении тутового дерева. (В ответ князю Э. З. Чолокаеву). Тифлис, 1858 г.



черенки даже при поливе укореняются с трудом, хотя вначале они не плохо идут в рост. Это вызвано тем, что надземная часть черенка, находясь в более теплой среде (поскольку воздух весной прогревается быстрее, чем почва) начинает развиваться раньше, нежели подземная. При этом не происходит «возмещение потери влаги в листьях и черенке почвенной влагой»¹. Наклонная посадка (45°) и служит для того, чтобы поместить нижнюю часть черенка в более теплый слой почвы.

Таким образом, наклонная посадка обусловлена стремлением уравнивать различные температуры сред, в которых находятся верхняя и нижняя части черенка.

В 1859 году в Москве выходит «Научно-практическое руководство к возделыванию шелковицы, выводке шелколичных червей, размотке коконов и ручному прядению шелкового хлопка», в котором предприняты попытки научного подхода к черенкованию шелковицы. Признавая лучшим сроком посадки черенков «начало весны, когда на полуодревесневших побегах видны почки довольно развитые», авторы Н. Каулин и П. Крипнер объясняют укореняемость черенков наличием в них в этот период «большого запаса питательных соков». Указывается возраст побегов, пригодных для черенкового размножения—от 1 года до 3 лет, длина черенков—от 8 до 10 вершков, толщина—«в хорошее гусиное перо». Лучшей почвой для черенкования признается садовая. Притенение объясняется необходимостью сохранения почвы во влажном состоянии. О густоте посадки сказано: «полезно даже делать посадку довольно густую, чтобы они (черенки—Авт.) могли впоследствии сами собою производить тень и удерживать влагу».

В руководстве допускается возможность осенней посадки черенков с прикрытием их на зиму толстым слоем рубленной соломы.

Причины плохой укореняемости авторы усматривают в глубине посадки и, что очень важно, в неправильном подборе сортов. «Разводя шелковицу черенками, многие плантаторы встречали значительные неудачи. Это обстоятельство, как после объяснилось, было прямым следствием слишком глубокой посадки черенков, отчего нижняя оконечность, скрытая глубоко в земле, лишается возможности пользоваться влагой, воздухом и солнечными лучами. Не всякая также шелковица разводится черенками; успешнее всех пород принимаются черенки Моретти и Лу»².

В. Э. Иверсен в своем общедоступном наставлении «Как добывать шелк» советует брать ветвь средней толщины и заострять нижний конец наподобие кола. Если черенки «втыкать не слишком глубоко, то при поливке в жаркую погоду они иногда укореняются, как ива». Но несмотря

¹ А. Самсонов, Основы туководства, 1931 г.

² Н. Каулин, П. Крипнер, Научно-техническое руководство к возделыванию шелковицы, выводке шелколичных червей, размотке коконов и ручному прядению шелкового хлопка, М., 1859 г.

на это, автор утверждает, что «гораздо удобнее разводить тутовину отводками, которые принимаются легче, чем черенки»¹.

Довольно полные сведения по агротехнике черенкования Бертенсон составил в «Наставлении к разведению шелковицы и выкормке шелколичных червей». Не разделяя особого оптимизма по отношению к черенкованию и считая, что при размножении семенами получают более сильные и долговечные экземпляры, он отмечает, что «так как семена редко сохраняют все особенности той (материнской.—Авт.) породы, то молодые растения необходимо впоследствии облагораживать прививкой», а черенковые саженцы прививки не требуют.

В наставлении уточняется длина черенков, количество почек на них, способ срезки конца, глубина посадки и другое. «Ранней весной от больших деревьев срезаются однолетние черенки длиной 6—8 вершков, предварительно обрезав все верхушки, кроме 2—3 почек. Разрез производится острым ножом наискось, начиная разрез непременно от глазка, который остается на черенке. Черенки садятся вертикально в канаву глубиной в 8 вершков на расстоянии 0,5 вершка... Над поверхностью земли черенки выступают на $1/4$ — $1/2$ вершка».²

Принявшиеся черенки рекомендуется пересаживать на следующий год в школку. Что касается периода посадки, то Бертенсон повторяет мнение ряда прежних авторов: «Вообще рекомендуется садить черенки осенью».

Упадок шелководства в южных областях России вынудил царское правительство предпринять в 80-х годах попытку к организации систематической исследовательской работы в области шелководства. В 1882 году в Закавказский край командирован кандидат естественных наук Н. Н. Шавров, который «собрал как статистические, так равно и технические и естественно-исторические сведения об этой важной отрасли народного хозяйства в Закавказье»³ и представил в Московский комитет шелководства записку о необходимости организовать на Кавказе шелководческую станцию. Через год его направляют за границу, а в 1884 году магистру зоологии А. А. Тихомирову поручают «изучить положение шелководства в Австро-Венгрии, Германии, Италии и Франции».⁴

Вернувшись в 1886 году из-за границы, Н. Н. Шавров представляет проект организации Кавказской шелководческой станции и продолжает знакомиться с положением и нуждами шелководства в Херсонской, Бессарабской и Таврической губерниях. Было принято решение основать в Тиф-

¹ В. Э. Иверсен. Как добывать шелк. 2-е изд. СПб, 1874 г.

² Наставление к разведению шелковицы и к выкормке шелколичных червей. Изд. 2-е, Одесса, 1885 г. Сост. В. А. Бертенсон.

³ Труды Комитета шелководства императорского Московского общества сельского хозяйства. М., 1884 г.

⁴ Известия Кавказской шелководственной станции. Том IV, вып. 4., Тифлис, 1904 г.



лисе Кавказскую шелководственную станцию как центр систематической работы по шелководству. Московский Комитет шелководства отмечал: «Кавказская шелководственная станция будет единственным правительственным учреждением, которое обязательно должно заниматься систематическими исследованиями по отношению шелкопрядов, питающих их растений и самого шелка»¹. С 1887 по 1891 год было закончено строительство основных помещений и служб станции, включая червоводню, лабораторию, шелкомотальню, гренерную, главное здание и другое.

Возвращаясь несколько назад, отметим, что вторая половина XIX века характеризовалась крайне противоречивым развитием шелководства в России и ее колониальных окраинах. Так, если после Крымской кампании в южных областях России наблюдался резкий спад этой отрасли, то 1856—1865 годы явились периодом значительного подъема шелководства в Закавказье. «Все, кто только мог, стали заниматься разведением шелковицных червей и сбором грены. Явилось небывалое оживление и небывалый прилив денег. Нуха стала одним из самых оживленных городов нашего юга, явившись центром шелководства (на Кавказе—Авторы), доставлявшего более 50000 пудов шелка. Цены стояли высокие; одним словом, лучших условий для шелководства нельзя было и придумать»².

В соответствии с потребностями шелководства здесь стали широко разводить тутовые плантации. Только один кахетинский помещик в 1859—1861 годах заложил плантацию в 150 тысяч деревьев, другой посадил 100 тысяч саженцев шелковицы и т. д. То же самое наблюдалось в других местах Закавказья. За какие-нибудь 5 лет почти весь Нухинский уезд покрылся тузовыми плантациями³.

В этих условиях посадочный материал шелковицы, естественно, находил большой сбыт, и питомническое хозяйство стало приносить солидные доходы. Вполне логично предположить, что именно в этот период широко применялись все доступные способы размножения шелковицы. Предпринимчивые хозяева не могли не воспользоваться, например, черенкованием, при котором саженцы выращиваются гораздо быстрее, чем при любом другом способе.

После резкого спада, длившегося с 1866 по 1869 годы, наступило заметное оживление шелководства в Закавказье, но особых успехов в развитии этой важной отрасли не наблюдалось. С другой стороны, Всероссийская промышленно-художественная выставка, устроенная в Москве в 1882 году, со всей наглядностью показала бедственное положение южно-русско-

¹ Известия Кавказской шелководственной станции. Том IV, вып. 4, Тифлис, 1904 г.

² Там же.

³ См. П. В. Гугушвили, Шелководство в Грузии и Закавказье в XIX—XX веках. Изд. АН ГССР. Тбилиси, 1960, стр. 80—81.

го шелководства. В Средней же Азии эта отрасль из-за допущенных просчетов долгое время не могла оправиться от последствий эпидемии шелководства.¹

В этой обстановке и пришлось начинать свою работу Кавказской шелководственной станции.

Нельзя не заметить, что Н. Н. Шавров (1858—1915) весьма энергично взялся за дело. Не дожидаясь окончания строительства станции, он уже в 1887 году открыл в наемном помещении курсы по шелководству для народных учителей. Затем приступил к показательным выкормкам, организации выставок, конкурсов и т. д. Станцией была заложена первая в Российской империи крупная коллекция отечественных и иностранных сортов шелковицы, которая служила базой для улучшения качественного состава тутовых плантаций не только на Кавказе, но в Средней Азии и некоторых южных губерниях.

Возглавляя в течение 20 лет станцию, Н. Н. Шавров вел разностороннюю практическую деятельность, написав в то же время около ста статей, монографий, брошюр, руководств по шелководству, тутоводству, выделке шелка и другим вопросам. Им и его сотрудниками досконально описано состояние тутоводства в Закавказье того периода. Его «Основные правила выкормки шелковичных червей» выдержали при жизни автора шесть изданий.

Еще в 1885 году, т. е. вскоре после первой поездки на Кавказ, Шавров издает в Тифлисе «Краткое наставление к разведению шелковицы и к уходу за нею». В ряде руководств он описывает весьма интересный и оригинальный для того времени способ размножения шелковицы черенками.

В декабре, пишет автор, ветки срезаются острым ножом наискось от глазка, который остается на черенке. После этого черенки обрезаются, а затем связываются мочалкой в пучки диаметром 4—5 вершков, помещаются в канаву нижним концом кверху и засыпаются землей. В марте их вынимают из канавы и сажают вертикально нижним концом. Глубина посадки не более 4—6 вершков, расстояние между черенками один-полтора вершка, между посадочными канавками—6—8 вершков.

Как видим, черенки подвергаются предварительной подготовке, в которой, как и в наклонной посадке, усматриваются зачатки способа дифференцированной температуры, предложенного исследователями много лет спустя. Дело в том, что при способе, описанном Шавровым, базальная часть черенка находится в условиях более высокой температуры, чем ниж-

¹ Н. Шавров. Краткое наставление к занятию шелководством (тутоводство). Вып. 1, Тифлис, 1890 г.

² Н. Шавров. Шелковица, ее разведение и пользование ею. Тифлис, 1893 г.

³ Н. Шавров. Шелковица, как плодовое дерево. Тифлис, 1894 г.

⁴ Н. Шавров. Справочная книга русского шелководы. ч. 1, Тифлис, 1896 г.

няя, поскольку в конце февраля и начале марта верхний слой почвы в южных районах начинает быстро прогреваться. Тем самым предпосылки для образования каллюса и корней создаются до посадки черенка.

Подробно принцип дифференцированной температуры и его применение при черенковании шелковицы будет рассмотрен в отдельной работе, а здесь лишь добавим, что при указанном выше способе предварительной подготовки положение черенка, по всей вероятности, способствует изменению полярности и усилению передвижения питательных веществ к его базальной части.

Н. Дучнин (1901) указывает на осеннюю заготовку черенков длиной 8—16 вершков из веток 1—3-летнего возраста и посадку в наклонном положении. При большой посадке, отмечает он, черенки заготавливаются до начала сокодвижения и, связанные в пучки, присыпаются землей. Успешнее всех, сообщает Дучнин, принимаются черенки сортов Лу и Моретти.

Здесь же описан «посев черенками»: одревесневшие годовалые ветви разрезаются весной острым ножом на части так, чтобы в каждой части было по одной почке; затем кладутся горизонтально в бороздки и засыпаются землей¹.

Интересно, что этот же способ посева черенками описали в 1905 году Е. Maillot и F. Lomelert (Париж).

Первое сообщение об опытах по размножению шелковицы черенками встречается в «Трудах Комитета шелководства императорского общества сельского хозяйства южной России за 1911—1912 гг.». Плохая приживаемость 1—2-летних сеянцев, получаемых из казенных лесничеств (даже при предварительной посадке их на год в питомник погибало 30—40%), натолкнула заведующего Одесскими полями орошения А. И. Погибку на мысль испытать размножение шелковицы черенками.

Черенки заготавливались с однолетних веток, длиной 6—8 вершков, диаметром $1/2$ — $3/4$ сантиметра и высаживались вертикально с оставлением над поверхностью земли $1/4$ — $1/2$ вершка. Посадка проводилась в конце октября 1911 года. «Результаты оказались поразительными: черенки дали мощные побеги, достигшие высоты до 2,5 аршина и толщины в нижней части до 2 сантиметров в диаметре; они обогнали ростом не только саженцы из лесничеств, но даже саженцы питомника, пробывшие уже один вегетационный период и подвергнувшиеся пересадке осенью одновременно с черенками. Так как черенки были посажены, как оказалось, густо (на полвершка друг от друга.—Авт.), то многие из них, хотя и развились, но побеги были заглушены сильными порослями соседних, почему количество хорошо развитых саженцев достигло лишь 60%; зато в общем эти саженцы были более однородны по своему развитию: можно было разделить их лишь на две группы, когда на грядках, занятых сеянцами, саженцы были

¹ Разведение тутового шелкопряда. Составил Н. Дучнин. СПб, 1901 г.

до того разнородны, что приходилось делить их на пять групп, соразмерно с их ростом и развитием»¹. Этот способ, заключает автор, может служить, в частности, значительным подспорьем при размножении сортовой шелковицы, испытанных в данной местности, как выносливые.

В 1913 году опыт был проведен И. Подскребаевым в Балтском уезде Подольской губернии. Почвенные условия (суглинок, без полива) здесь были гораздо хуже, чем на Одесских полях орошения, но тем не менее «число развившихся экземпляров выразилось в 85%». К концу вегетации черенковые саженцы оказались на 5—8 вершков выше двухлетних сеянцев. Лучшие саженцы развились из более толстых черенков.

Исходя из полученных результатов, автор дает подробные и во многом обоснованные рекомендации.

Особое внимание уделяется подготовке почвы: «чем лучше будет обработка почвы, чем рыхлее слой земли, в котором будет развиваться корневая система растения, тем лучше последняя будет развита, тем больше даст мелких корешков». Почва обрабатывается т. н. перевалом: первый и несколько последующих слоев земли последовательно сбрасываются на дно ямы, в которую затем помещается черенок. Следовательно, развивающиеся из нижней части черенка корни оказываются в самом плодородном слое. При весенней посадке почва обрабатывается в октябре или начале ноября предыдущего года, а при осенней—недели за две до посадки.

Отмечая, что при черенковой культуре все свойства материнского экземпляра полностью передаются новому поколению, автор советует срезать ветки с таких растений, «которые обладали бы быстрым ростом, не подвергались бы зимой обмерзанию, легко переносили бы обрезку, имели бы плотный, не слишком крупный лист».

Длина черенков, по мнению Подскребаева, находится до некоторой степени в зависимости от характера почвы; для плотной почвы нужны черенки подлиннее. Обыкновенная длина—5—7 вершков, диаметр— $\frac{1}{4}$ — $\frac{1}{2}$ сантиметра. Заготавливать их рекомендуется с однолетних побегов. Верхний конец черенка срезается наискось с таким расчетом, чтобы нижняя часть среза находилась чуть выше основания почки, а верхняя—на уровне ее верхушки. Все почки, за исключением верхней, удаляются, «чтобы не развились боковые корни, которые будут отнимать на свое образование питательные соки в ущерб нижнему корню, образуемому из среза». Черенки можно заготавливать по окончании вегетации и хранить их закрытыми в землю или в погребе, присыпав чуть влажным песком, а также весной перед началом посадки.

Черенки высаживаются вертикально, желательно на северном склоне, с расстоянием 1,5 вершка друг от друга. Верхняя почка должна находиться чуть выше уровня почвы, но после уплотнения последняя почка «при-

¹ А. И. Погибка. К вопросу о размножении шелковицы черенками. Труды Комитета шелководства ИОСХ южной России за 1911-1912 гг. Вып. VIII, Одесса, 1913 г., 178

сыпается землей в виде холмика, чтобы этим предохранить ее от замерзания, засыхания и повреждений». Таким образом, черенок оказывается полностью покрытым землей. Посадка допускается как весной, так и осенью, но при всех условиях земля должна быть влажной, ибо «в сухой почве черенки совершенно не развиваются». Уход заключается в поливе, предохранении первых ростков от прямых солнечных лучей и пропалывании.

Возлагая большие надежды на этот способ, Подскребаев пишет: «Разведение шелковицы черенками не требует кропотливой и мешкотной работы облагораживания растений путем прививки и окулировок, необходимых при семенном способе, требующих большого навыка, отнимающих много времени и не всегда дающих благоприятные результаты... Этот способ не требует ни прореживания, ни пикировки, ни сортировки растений, ни пересадки в пикировочные гряды и школки... Кроме того, деревья, выведенные из саженцев, дают возможность срывать лист годом раньше, чем с тех, которые получились от саженцев». Единственный недостаток автор усматривает в том, что черенковые саженцы принимают кустовую форму, «но и с ним можно справиться: при дальнейшем уходе на постоянных местах придется высаженные растения формировать в высокоштабловые деревья»¹.


В повторных изданиях «Наставления к разведению шелковицы и к выкормке шелковичных червей» за 1913 и 1914 годы В. А. Бертенсон сообщает: «В последнее время Одесскими полями орошения чрезвычайно успешно применялось размножение черенками». Однако никаких изменений в описанную им ранее агротехнику черенкования он не вносит. Любопытно, что в десятом издании (1922 г.) автор вновь возвращается к прежней формулировке: «Этот способ не дает таких хороших результатов, как семенами». Заметим, что, будучи и. о. главного специалиста по шелководству на юге России, Бертенсон внес предложение иметь при каждом питомнике по несколько маточных деревьев культурных сортов белой шелковицы «для получения от них черенков и глазков для прививки, окулировки и размножения»². Но в целом черенкование в этот период не получило распространения, несмотря на обнадеживающие результаты опытов. И лишь пятнадцать лет спустя Бертенсон вновь возвращается к результатам опыта Подскребаева, слово в слово повторяя его рекомендации в своем «Практическом шелководстве»³.

Ф. П. Ансютин (1916) указывает на посадку черенков от однолетних

¹ И. Подскребаев. Разведение шелковицы черенками. Известия Комитета шелководства ИОСХ южной России. № 12, Одесса, 1914 г.

² Известия Комитета шелководства ИОСХ южной России. № 1—2, Одесса, 1915 г.

³ В. А. Бертенсон. Практическое шелководство. Изд. «Новая деревня», М., 1929 г.



веток ранней весной «в косвенном направлении» (наклонно. — Авторы), прикрыв их затем камышевыми матами. Он сообщает также, что «некоторые советуют связать черенки в пучки, нарезав их за несколько недель перед посадкою и, вставив в ямку вниз верхушками, засыпать песком, так, чтобы черенки были под землею вершка на три. Поливать часто, пока на нижних оконечностях не появятся корневые зачатки; тогда их вынимают и рассаживают по грядкам»¹.

Как видим, и этот способ основан на уже упоминавшемся нами принципе дифференцированной температуры. Указанный способ был испытан в условиях Грузии С. Безарашвили (1939 г.) и дал положительный результат. Однако нет оснований приписывать Безарашвили указанный способ предварительного окоренения черенков, как это делалось раньше. Аналогичный, но значительно усовершенствованный способ предложил в дальнейшем С. Саркисян (1963 г.).

¹ Ф. П. Ансютин. Руководство по разведению шелковицы. Изд. 2-е, Петроград, 1916 г.



დოკ. ჰ. გომრბაძე

**საკოლმეურნეო წარმოების რენტაბელობის მაჩვენებლის
 ანალიზის საკითხები**

სოფლის მეურნეობაში რენტაბელობის მაჩვენებლების ანალიზისას ჩვენ ვგვხვდება ობიექტურად არსებული ცნებები—სახალხო-სამეურნეო რენტაბელობა და საწარმოო რენტაბელობა. საწარმოო რენტაბელობა განისაზღვრება თითოეულ კოლმეურნეობაში და მოტანილია წლიურ ანგარიშებში. ამ მაჩვენებლების გამოყენებით შესაძლებელია დავადგინოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიური ეფექტურობა ამა თუ იმ საწარმოში, ზონაში, ადმინისტრაციულ რაიონში. აგრეთვე შევაფასოთ სასოფლო-სამეურნეო გადადილება და დარგთა შეთანაწყობა.

კოლმეურნეობებში მოგების აბსოლუტურ მასას, მისი მნიშვნელობის მიუხედავად, არ შეუძლია განსაზღვრულ სიდიდესთან შეფარდების გარეშე ასახოს კვლავწარმოების პროცესი. მაგალითად სხვადასხვა კოლმეურნეობაში განსხვავებული მოგების მასის მიხედვით ვერ ვიმსჯელებთ წარმოების ეკონომიური განვითარების დონეზე. ამიტომ სამეურნეო საქმიანობის რენტაბელობის დასადგენად მოგების მასას უფარდებენ ან პროდუქციის წარმოებაზე გაწეულ მიმდინარე დანახარჯებს, ან საწარმოო საშუალებებს.

დიდი ხნის განმავლობაში რენტაბელობის მაჩვენებლების გამოსახატავად მოგებას პროდუქციის თვითღირებულებას უფარდებდნენ. ეს მაჩვენებელი მეტად მნიშვნელოვანია ეკონომიური ანალიზისათვის. ამ მეთოდით გაანგარიშებული რენტაბელობა ამა თუ იმ სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ფასების დასადგენად და დანახარჯების ეფექტურობის შესაფასებლად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

რენტაბელობის მეორე მაჩვენებელი, პირველისაგან განსხვავებით, გამოხატავს საწარმოო ფონდებთან მოგების შეფარდებას და წარმოებაში ფუნქციონირებული ძირითადი და საბრუნავი საშუალებების გამოყენების ეფექტურობაზე მიუთითებს. მოგება კოლმეურნეობებში გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოების წყაროა და მისი დიდი ნაწილი ძირითადი და საბრუნავი საშუალებების გასადიდებლად გამოიყენება. მიღებული მოგება საკმარისი უნდა იყოს საჭირო რაოდენობის ტრაქტორების, მანქანების შესაძენად, ეს მაჩვენებელი სწორედ მიუთითებს გაფართოებული კვლავწარმოების შესაძლებელ ტემპე-



ბზე, ამაში გამოიხატება სასოფლო-სამეურნეო წარმოების რენტაბელობის მნიშვნელოვანი მარჯვენა მნიშვნელობა.

კოლმეურნეობის წლიურ ანგარიშში სხვადასხვა მეთოდით რენტაბელობის მაჩვენებლები წარმოდგენილია საერთო სახელწოდებით „რენტაბელობის პროცენტი“. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად შეიძლება რენტაბელობის იმ მაჩვენებელს, რომელიც გამოთვლილია, როგორც მოგების შეფარდება რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებასთან (გამოსახული პროცენტებში), „რენტაბელობის ნორმა“ ვუწოდოთ, ხოლო მოგების შეფარდებას საწარმოო საშუალებათა ღირებულებასთან (გამოსახული პროცენტებში)—„მოგების ნორმა“. როგორც სამეურნეო პრაქტიკიდან ჩანს, რენტაბელობის ამ ორი მაჩვენებლის დაპირისპირება არასწორია, ისინი ეკონომიური ანალიზის დროს ერთმანეთს უნდა ავსებდნენ.

მოგების ნორმის მაჩვენებლებმა ფართო გავრცელება ჰპოვა სკკპ ცკ-ის (1965 წ.) სექტემბრის პლენუმის შემდეგ; როცა განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სოციალისტური საწარმოების და მათ შორის კოლმეურნეობების განკარგულებაში მყოფი საწარმოო საშუალებების ეფექტურად გამოყენებას. აღსანიშნავია, რომ კოლმეურნეობებში არსებული ანგარიშებისა და აღრიცხვის პირობებში მოგების ნორმის მაჩვენებლის გამოყენება ცალკეული დარგისა და პროდუქციის მიხედვით თითქმის შეუძლებელია, თუმცა ზოგიერთმა ეკონომისტმა სცადა ეს.

რენტაბელობის ნორმის მაჩვენებელი სრულად ახასიათებს მეურნეობის მომგებიანობას როგორც ცალკეული პროდუქციის, ისე დარგისა და საზოგადოებრივი მეურნეობის დონეზეც. ამ მაჩვენებლის დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ კოლმეურნეობის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრა ამ მაჩვენებლის მიხედვით ხდება, მაგრამ ეს მაჩვენებელი ვერ ასახავს კოლმეურნეობაში წარმოებული არარეალიზებული პროდუქციის რენტაბელობის დონეს. ამ მიზნით პირობითი რენტაბელობის დასადგენად, შეიძლება გამოყენებული იქნას ეკონომისტი ბ. ა. კრინიცკის მიერ შემოთავაზებული ფორმულა.

$$N_{np} = \left(\frac{B_{np}}{3} - 1 \right) \cdot 100\%$$

სადაც N_{np} არის საწარმოო რენტაბელობის ნორმა;

B_{np} — მთლიანი პროდუქციის ღირებულება;

3 — საწარმოო დანახარჯები*

აღსანიშნავია, რომ მთელ საზოგადოებრივ მეურნეობაში, აგრეთვე ცალკეული დარგებისა და კულტურების რენტაბელობის ნორმის დასადგენად ამ ფორმულას ხშირად იყენებდა ცნობილი საბჭოთა აგარარკოსი—ეკონომისტი ს. გ. კოლესნევი.

მოგების ნორმისა და რენტაბელობის ნორმის შორის განსაზღვრული კავშირი არსებობს. სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში რენტაბელობის ნორმის ამღლება ძირითადი და საბრუნავი საშუალებების ამღლებას იწვევს, მაგრამ საწარმოო ტიპისა და ეკონომიური განვითარების სხვადასხვა დონის გამო ამ მაჩვენებლებს შორის არაპირდაპირი დამოკიდებულებაცაა და მათ



ცვლილება შეიძლება სხვადასხვა მიმართულებით წარმართოს მაგალითად თუ იმ კოლმეურნეობაში სსოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის შედეგად საწარმოო ფონდების სწრაფი ზრდის გამო რენტაბელობის ნორმის შედარებით სწრაფ აღმავლობას შეიძლება არ შეესაბამებოდეს ან კიდევ მოგების ნორმის შემცირება მოჰყვეს.

რენტაბელობის ანალიზის ჩატარებისას როგორც რენტაბელობის ნორმის ისე მოგების ნორმის განსაზღვრისას წილადის მრიცხველში არის მოგება, ხოლო მნიშვნელში რენტაბელობის ნორმის განსაზღვრისას—პროდუქციის თვითღირებულება და მოგების ნორმისას—ძირითადი და საბრუნავი საშუალებები. განვიხილოთ ცალ-ცალკე რენტაბელობის მაჩვენებლების ეს შემადგენელი ნაწილები.

კოლმეურნეობებში შექმნილ წმინდა შემოსავალსა და რეალიზებულ წმინდა შემოსავალს შორის განსხვავებაა, რაც შემდეგი გარემოებით აიხსნება: კოლმეურნეობაში შექმნილი წმინდა შემოსავლის ნაწილი ფასების მექანიზმის საშუალებით გადადის სახელმწიფოს ცენტრალიზებულ ფონდში და წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ნაწილი არ იღებს სასაქონლო ფორმას—გამოიყენება, როგორც მასალა კოლმეურნეობაში კვლავწარმოებისათვის.

კოლმეურნეობის წლიურ ანგარიშში გაანგარიშებულია წმინდა შემოსავლის ფულადი ნაწილი (მოგება), რომელიც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციით მიიღება. მასში არ აისახება ზედმეტი პროდუქციის ნაწილის ღირებულება (თესლი, საკვები და სხვ.). წლიურ ანგარიშში ეს მაჩვენებელი გაანგარიშებულია, როგორც კოლმეურნეობაში მიღებულ მოგებას დამატებული დანარჩენი შემოსავალი, რომელშიც შედის:

- 1) ნათესების მრავალწლიანი ნარგავების, მოსავლის, მოზარდი პირუტყვისა და გასასუქებლად დაყენებული პირუტყვის მთლიანად ან ნაწილობრივად დაღუპვისათვის მიღებული სადაზღვევო ანაზღაურება;
2. ჩამოუწერელი, მოუთხოვნელი კრედიტორული დავალიანება;
3. დამამზადებელი ორგანიზაციებიდან მიღებული ჯარიმა;
4. საკოლმეურნეობათა შორის ორგანიზაციების მოგებიდან მიღებული დარიცხული თანხა;
5. დანარჩენი შემოსავალი და გამოკლებული გასავალი, რომელიც შეიცავს ა) მთლიანად დაღუპულ ნათესებზე დანახარჯებს; ბ) სტიქიური უბედურებით დაღუპული მოზარდი პირუტყვის და გასასუქებლად დაყენებული პირუტყვის ღირებულებას; გ) დამამზადებელი ორგანიზაციებიდან მიღებულ ჯარიმას; ვ) დანარჩენ გასავლებს.

კოლმეურნეობის წლიურ ანგარიშში მოგება გაიანგარიშება სხვა მეთოდითაც—კოლმეურნეობაში მიღებულ მოგებას გამოკლებული პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ზარალი (იხ. ფორმა № 14).

კოლმეურნეობის რენტაბელობის ნორმის გაანგარიშებისას წილადის მნიშვნელში არის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება. ამ ეკონომიურ მაჩვენებელზე ბევრად არის დამოკიდებული რენტაბელობის ნორმა. კოლმეურნეობის წლიურ ანგარიშში იმეცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის თვითღირებულების ანალიზისათვის ყველა მონაცემია (იხ. ფორმა № 12). პროდუქციის თვითღირებულება წარმოადგენს ღირებულების ნაწილს და საწა-



რომოდანა ხარჯების ჯამს. დანახარჯებში ყველაზე დიდი ხვედრი წონა შრომის ანაზღაურებაზე მოდის.

1966 წლიდან, გარანტირებულ ანაზღაურებასთან დაკავშირებით, ურნეთა შრომა საბჭოთა მეურნეობის მუშების სატარიფო განაკვეთების მიხედვით ანაზღაურდება. ამასთან დაკავშირებით ეკონომიურად სუსტ კოლმეურნობებში ძნელდება კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება საბჭოთა მეურნეობის შესაბამისი კატეგორიების მუშათა დონეზე. მეორე მხრივ, მაღალ შემოსავლიან კოლმეურნობებში სამუშაო უფრო მაღალ დონეზე ანაზღაურდება, ვიდრე საბჭოთა მეურნეობებში. ამის გამო პროდუქციის თვითღირებულების ანალიზის დროს, როცა ერთმანეთს ვუდარებთ სხვადასხვა კოლმეურნობების მაჩვენებლებს, გარკვეული სიძნელეები წარმოიქმნება.


ის ფაქტი, რომ შრომის ანაზღაურება თვითღირებულების შემადგენელი ნაწილია, პრაქტიკის წინაშე გარკვეულ პრობლემებს აყენებს. მაგალითად, დიდი ხნის განმავლობაში ეკონომისტებს შორის დავა იყო საკოლმეურნეო პროდუქციის თვითღირებულების მეთოდის შესახებ. ძირითადად დაობდნენ კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების საკითხზე. თანამედროვე პირობებში კი სადავოა შემდეგი: გადარიცხვები კოლმეურნეთა სოცუზრუნველყოფის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდში თვითღირებულების ნაწილია, იგივე კატეგორიის დანახარჯები საწარმოს დონეზე წმინდა შემოსავლის შემადგენელ ნაწილად ჩათვალეს.

შრომის ანაზღაურებისა და თვითღირებულების დონის ცვლილებების ინტერესები ერთმანეთს ეწინააღმდეგება. სოციალისტურ საზოგადოებაში მოქმედებს საზოგადოების წევრთა შრომის ანაზღაურების გადიდების კანონი, მაგრამ საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარეობს აგრეთვე პროდუქციის წარმოების თვითღირებულების შემცირების აუცილებლობა. ეს წინააღმდეგობა განსაკუთრებულად რელიეფურია საკოლმეურნეო წარმოებაში, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულებაში შრომითი დანახარჯების დიდი ხვედრითი წონა. ამ დანახარჯების სულ მცირე გადიდებაც კი თვითღირებულების ზრდას იწვევს.

ეს წინააღმდეგობა შრომის ანაზღაურების ტემპებთან შედარებით შრომის-ნაყოფიერების ტემპების უფრო სწრაფი ზრდით უნდა გადაიჭრას. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი რესპუბლიკისათვის, რადგანაც აქ სოფლის მეურნეობა ძირითადად წარმოდგენილია მრავალწლიანი კულტურებით სადაც მექანიზაციის დონე ჯერჯერობით დაბალია და შრომითი დანახარჯები საერთო დანახარჯებში დიდი ხვედრითი წონითაა წარმოდგენილი.

პროდუქციის თვითღირებულების ანალიზის დროს მეტად მნიშვნელოვანია საკუთარი წარმოების პროდუქციის შეფასების საკითხი, რომლის შესახებ ეკონომისტებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა. აღრიცხვის არსებული ინსტრუქციის თანახმად, თესლი და საკვები თვითღირებულებაში შესულია ფაქტიური დანახარჯების მიხედვით, რაც, ჩვენი აზრით გამართლებულია.

მოგების ნორმის გაანგარიშებისას წილადის მნიშვნელში გვხვდება ძირითადი ფონდებისა და საბრუნავი საშუალებების საშუალო წლიური ღირებულება. ბევრი ეკონომისტი ძირითად ფონდებსა და ძირითად საშუალებებს აი-



ვივებს, როგორც ერთგვაროვან ეკონომიურ კატეგორიებს. ეს გამართლებულიც არის. ამიტომ შეიძლება ვიხმაროთ ძირითადი და საბრუნავი საშუალებები, რადგან როგორც ძირითადი ფონდები, ისე საბრუნავი საშუალებები რენტაბელობის ნორმის განსაზღვრისას ალებულია ბალანსის აქტივიდან.

ეკონომისტთა გარკვეული ნაწილი მოითხოვს მოგების ნორმის გაანგარიშებისას ძირითადი საშუალებების საშუალო წლიური ღირებულებიდან გამოითიშოს არასაწარმოო დანიშნულების საშუალებები. ეს რამდენადმე გაადიდებდა მოგების ნორმას. ეკონომისტების ნაწილი კი იმ აზრისაა, რომ რენტაბელობის გაანგარიშებისას ღირებულებაში არ იქნეს შეტანილი უმოქმედოდ მყოფი მანქანა-იარაღები. ეს აზრი არასწორია. ძირითადი საშუალებების გარკვეული ნაწილის უმოქმედობა ხელს უშლის წარმოების ეფექტურობას და იგი საწარმოთა რენტაბელობის ანალიზის დროს უნდა აისახოს. მოგების ნორმის გაანგარიშებისას საბრუნავი საშუალებები ალებულია მთლიანად, ფუნქციონირებული საბრუნავი საშუალებების ღირებულება—მიმოქცევის საშუალებების ჩათვლით. ბევრი ეკონომისტი იმ აზრისაა, რომ მიმოქცევის საშუალებები არ უნდა იქნეს შეტანილი ამ ღირებულებაში და მხოლოდ საწარმოო საბრუნავი საშუალებები უნდა გამოვიყენოთ.


საბრუნავი საშუალებების მოძრაობა რთული პროცესია. ამ საშუალებების ერთი ნაწილი წარმოების სფეროშია. წარმოების პროცესი სოფლის მეურნეობაში უწყვეტ ნაკადად მიმდინარეობს, რაც იწვევს საბრუნავი საშუალებების ერთი ფორმიდან მეორეში გადასვლას. ამიტომ საბრუნავ საშუალებათა წლიური ღირებულების ბალანსის მიხედვით, განსაზღვრა გამართლებულია.

მოგების ნორმის გაანგარიშების მეთოდის ერთ-ერთი უდიდესი ნაკლი ისაა, რომ ძირითადი საშუალებები არ შეიცავს წარმოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძირითადი საშუალებების — მიწის შეფასებას, თუმცა შეფასება აუცილებელია. ჭერჭერობით შემუშავებული არ არის მისი გაანგარიშების სრულყოფილი მეთოდი.

კოლმეურნეობის მოგების ნორმის ნაკლად მიგვაჩნია ის, რომ მასში არ აისახება სახელმწიფოს კაპიტალური დაბანდებანი რაც პირდაპირ თუ არაპირდაპირ აძალდებს მიწის ნაყოფიერებას და აქედან გამომდინარე ზრდის რენტაბელობას.

კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობის, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის საკითხების გარკვევისას რენტაბელობის ნორმისა და მოგების ნორმის მაჩვენებლებთან ერთად გამოყენებული უნდა იქნეს ისეთი მაჩვენებლები, როგორცაა საერთო და სასაქონლო პროდუქციის ღირებულება ყოველ 100 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე, მოგება ყოველ 100 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე და საშუალო წლიურ მომუშავეზე გაანგარიშებით.

კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობის რენტაბელობის მაჩვენებელი სინთეზურია, იმ კოლმეურნეობის ცალკეული დარგების რენტაბელობის მიხედვით ყალიბდება. რენტაბელობის ნორმა ცალკეული დარგებისა და კულტურების მიხედვით არსებითად განსხვავებულია. საბჭოთა კავშირის საკოლმეურნეო წარმოებაში ცალკეული სახის პროდუქციის რენტაბელობის ნორმა




1965 და 1970 წლებში შესაბამისად შეადგენდა: მარცვლეულის 144,3 და 109,2 შაქრის ჭარხლის 32,3 და 15,2, ბამბის 41,7 და 39,6 კარტოფილის 56,6 და 78,9 ლია გრუნტის ბოსტნეულის — 0,3 და 17,6, მემცენარეობისა მთლიანად 78,9 და 57,3 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის წონამატის 10,8 და 27,6, ღორის წონამატის 13,0 და 28,2, ფრინველის წონამატის 16,1 და 14,6 რძის — 5,4 და 4,7, მატყლის 25,9 და 26,8, კვერცხის — 2,4 და 12,1, მეცხოველეობის პროდუქციის მთლიანად 4,7 და 16,7%-ს: მთლიანად მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის რენტაბელობის დონე 38,6 და 33,3%-ს უდრიდა.

როგორც მონაცემებიდან ჩანს, 1965—1970 წლებში მთლიანად მეცხოველეობის დარგებში რენტაბელობა 3,6-ჯერ გაიზარდა, და რძისა და კვერცხის წარმოებაში ლიკვიდირებული იქნა ზარალიანობა: მემცენარეობის დარგებიდან ლია გრუნტის წარმოება რენტაბელური გახდა. მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებაში ასეთი ძვრები განაპირობა პირუტყვის და ფრინველის პროდუქტიულობის ამადლებამ, სახელმწიფო შესყიდვის ფასების ზრდამ. 1965—1970 წლებში პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიულობის მატებაზე მიუთითებს შემდეგი მონაცემები: საბჭოთა კავშირის კოლმეურნეობებში 1970 წელს ძროხის საშუალო წლიური წველადობა 2266 კგ-ს შეადგენდა 1965 წლის 1906 კგ-ის ნაცვლად. 1 ცხვარზე ნაპარსი—1965 წლის 2,8 კგ-ის ნაცვლად 3,2 კგ-ს, 1 კვერცხმდებელი ქათმის საშუალო წლიური კვერცხმდებლობა შეადგენდა 1965 წლის 113 ცალს ნაცვლად 136 ცალისა. სახელმწიფოზე მიყიდული ერთი სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის საშუალო წონა 1965 წლის 245 კგ-ის ნაცვლად 1970 წელს 306 კგ-ს უდრიდა, ღორისა შესაბამისად: 84 კგ და 104 კგ.

ამასთან როგორც მონაცემებიდან ჩანს, მემცენარეობის დარგებში რენტაბელობის დონე შემცირდა, რისი მიზეზიცაა მემცენარეობაში შრომისნაყოფიერების ზრდის ტემპებთან შედარებით შრომის ანაზღაურების უფრო სწრაფი ზრდა. მართალია მთლიანად სასოფლო-სამეურნეო წარმოების რენტაბელობის დონე 1970 წელს 1965 წელთან შედარებით 5,6%-ით შემცირდა, მაგრამ ამავე დროს მხედველობაში უნდა მივიდეთ, რომ მოგება ყოველ 100 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე ამავე წლებში 2,700 მანეთიდან 3800 მანეთამდე გაიზარდა.

საქართველოს სსრ საკოლმეურნეო წარმოებაში ცალკეული სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების რენტაბელობის ნორმის მაჩვენებლები 1970 წელს შეადგენდა: მარცვლეულისა — 10,9, თამბაქოსი + 14,7, შაქრის ჭარხლის — 2,6, ბოსტნეულის — 15,5, ჩაის ხარისხოვანი ფოთლის + 45,6, ყურძნის + 49,8 მემცენარეობისა მთლიანად — 34,5%, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის წონამატის — 25,8 რძის — 16,2, ღორის წონამატის — 6,7, ფრინველის წონამატის — 17,6, კვერცხის — 44,5, მატყლის 25, სულ მეცხოველეობის პროდუქციისა კი — 18,3%-ს.

როგორც მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, საქართველოს სსრ საკოლმეურნეო წარმოებაში ცალკეული პროდუქციის რენტაბელობის მაჩვენებლებში მნიშვნელოვანი დიფერენციაცაა შეინიშნება. როგორც დადებითი მოვლენა, შეიძლება აღინიშნოს ჩაის ხარისხოვანი ფოთლის, ყურძნის რენტაბელობის შედარებით მაღალი დონე. გარკვეული ცვლილებები მოხდა რიგი პროდუქციის



რენტაბელობის დონეში. მაგალითად მთლიანად მეცხოველეობის პროდუქციის რენტაბელობის დონე შეადგენდა —32,95%-ს, 1970 წელს ზარალიანობა შემცირდა—18%-მდე, ხოლო ფრინველის წონამატის რენტაბელობის დონე მნიშვნელოვნად გაიზარდა და 1965 წელს ზარალიანი დარგიდან მომგებიანად გადაიქცა.

როგორც მონაცემები გვიჩვენებს, სხვადასხვა დარგების რენტაბელობის დონეთა შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა, რაც კვლავწარმოებისათვის არათანაბარ ეკონომიურ პირობებს ქმნის და ეკონომიურად გაუმართლებელია. ეს გარემოება განსაკუთრებით შესამჩნევია მაღალმთიანი რაიონების საკოლმეურნეო წარმოებაში.


რადგან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რენტაბელობა დამოკიდებულია პროდუქციის ფასსა და მის თვითღირებულებას შორის სხვაობაზე, ამიტომ მისი დონე იცვლება იმ ფაქტორების გავლენის შედეგად, რომლებიც ხელს უწყობენ თვითღირებულების შემცირებას და სარეალიზაციო ფასების ზრდას პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ხარჯზე.

საკოლმეურნეო წარმოებაში რენტაბელობის დონის ზრდისათვის გადაწყვეტი ფაქტორია საკოლმეურნეო პროდუქციის თვითღირებულების შემცირება. სკკპ ცკ-ის მარტის (1965 წ) ოქტომბრის (1968 წ.) და ივლისის (1970 წ.) ბლენუმებზე აღინიშნა სოფლის მეურნეობაში პროდუქციის წარმოების თვითღირებულების შემცირების უდიდესი მნიშვნელობა. საზოგადოებრივი წარმოების განვითარებასთან დაკავშირებით სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაზე დანახარჯების შემცირებით შესაძლებელი ხდება კოლმეურნეობებისა და საზოგადოებრივი მეურნეობების შემოსავლიანობის ამაღლებასთან ერთად შემცირდეს საცალო ფასები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე, რაც ხელს შეუწყობს საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონის შემდგომ ამაღლებას. 1965—1970 წლებში საქართველოს სსრ კოლმეურნეობების პროდუქციის თვითღირებულების შესახებ წარმოდგენას იძლევა ცხრილი 1.

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, რესპუბლიკის საკოლმეურნეო წარმოებაში უმეტესი პროდუქციის თვითღირებულება იზრდება. 1965—1970 წლებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულების ზრდის ტენდენცია საგრძნობი იყო საკავშირო მასშტაბითაც (გარდა მარცვლეულის წარმოებისა). როგორც დადებითი მოვლენა, უნდა აღინიშნოს მარცვლის, ხილის, ყურძნის, ფრინველის წონამატის, კვერცხის თვითღირებულების შემცირება. მიუხედავად იმისა, რომ მემცენარეობაში მოსავლიანობის, ხოლო მეცხოველეობაში პროდუქტიულობის ზრდა შეინიშნებოდა, დანახარჯები ფართობის ერთეულსა და ერთ სულ პირუტყვზე აღემატებოდა მოსავლიანობის და პროდუქტიულობის ზრდას, რამაც გამოიწვია 1 ცენტნერი პროდუქციის თვითღირებულების გადიდება. 1965—1970 წლებში დანახარჯების გადიდება აიხსნება შემდეგი გარემოებით: უკანასკნელ წლებში კოლმეურნეობებში შრომის გარანტირებული ანაზღაურების შემოღებასთან დაკავშირებით სკკპ ცკ-ის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 16 მაისის დადგენილებებიდან—„კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების ამაღლება საზოგადოებრივი წარმოების განვითარებისათვის“—გამომდინარე, კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურ-

საქართველოს სსრ კომპერნეობებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის
თვითღირებულებისა და მასზე მოქმედი ფაქტორების ანალიზისათვის

სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია	1965 წ.			1970 წ.				დანახარჯები : კა	
	1 ც. პროდუქ- ციის თვითღი- რებულება მან.	მოსავლი- ანობა ც.	დანახარჯები 1 კა ფართობ- ზე მან.	1 ც პროდუქ- ციის თვითღი- რებულება მან.	% 1965 წ. შედარე- ბით	მოსავლიანობა ც.		ფართობზე მან.	
						აბსოლტ. წ. შედარ.	% 1965 წ. შედარ.	აბსოლ.	% 1965 წ. შედარ.
მარცვლეული და პარკოსანი სიმინ- ლის ვარდა	10,02	8,7	82,73	9,73	57,6	13,8	153,6	129,50	156,5
სიმინდი მარცვლად	10,64	16,8	178,77	13,76	129,3	13,9	82,73	151,23	107,0
შაქრის კარხალი	2,57	324,0	829	2,74	106,6	331,0	103,2	910,43	107,8
თამბაქო	186,42	12,0	2243,75	204,50	109,1	12,8	106,7	2628,42	117,1
კარტოფალი	9,65	79,0	762,60	10,28	106,5	118,0	149,3	1215,30	159,3
ბოსტნეული	10,14	69,0	700,70	13,13	129,43	62,0	89,8	812,00	115,9
ხილი თესლოვანი	16,57	17,7	226,46	14,51	87,56	31,2	176,3	357,44	157,3
ყურძენი	50,46	41,5	1460,13	28,27	56,06	46,9	113,0	1329,09	114,6
ჩაის ხარისხოვანი ფოთლო	51,02	36,2	1750,05	56,13	110,0	43,8	134,3	2737,89	156,1



რება მნიშვნელოვნად ამაღლდა და უახლოვდება საბჭოთა მეურნეობებში შრომის ანაზღაურების დონეს. ამავე წლებში გაიზარდა შრომისნაყოფიერებაც, საც მოწმობს შემდეგი მონაცემები: 1965 წელს 1 კაცს ზე გაანგარიშებითი ქართველოს სსრ კოლმეურნეობებში საშუალოდ წარმოებული იყო 4,21 მანეთის მთლიანი პროდუქცია, 1970 წელს კი—5,84 მანეთისა ე. ი. შრომისნაყოფიერება გაიზარდა 38,7%-ით, ხოლო შრომის ანაზღაურება—59,5%. ეს დროებითა მოვლენაა. გარკვეულ ობიექტურ პირობებში კოლმეურნეთა მატერიალური და ინტერესების ამაღლების მიზნით შესაძლებელია და გამართლებულიცაა შრომის ანაზღაურების დონის შედარებით სწრაფი ზრდა შრომისნაყოფიერებასთან შედარებით. შრომის ანაზღაურების ზრდის ასეთი ტემპები საკოლმეურნეო პროდუქციის წარმოების გაძვირებას იწვევს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ შრომისნაყოფიერება საკოლმეურნეო წარმოებაში ძირითადად ორი გზით იზრდება, კერძოდ, წარმოების მექანიზაციის ამაღლების შედეგად ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით წარმოების მოცულობის ზრდითა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მომუშავეთა რიცხვის შემცირებით. კოლმეურნეობების ცალკეულ დარგებში შრომისნაყოფიერების ზრდის ტემპები დიფერენცირებულია, შრომის ანაზღაურება კი იზრდება ერთდროულად კოლმეურნეობის ყველა წევრისათვის თითქმის ერთნაირი დონით. ამის შედეგად საკოლმეურნეო პროდუქციის ცალკეული სახეების თვითღირებულება განსხვავებულად იცვლება.

ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგებია: მეჩაიეობა, მეხილეობა, მევენახეობა, მეციტრუსეობა, რომელთა მექანიზაციის დონე ჯერ-ჯერობით შედარებით დაბალია, რის გამოც დიდია შრომითი დანახარჯებიც ამ დარგების წარმოებაში. 1970 წლის მონაცემებით საქართველოს კოლმეურნეობების მიწათმოქმედების მთელი პროდუქციის საწარმოებლად შრომითმა დანახარჯებმა მთელი დანახარჯების 54,9% შეადგინა, მაშინ, როცა საბჭოთა კავშირის საშუალო შესაბამისი მაჩვენებელი 37,9%-ს უდრიდა. საერთო დანახარჯებში შრომითი დანახარჯების ასეთი დიდი ხვედრითი წონის გამო შრომის ანაზღაურების სულ მცირე გადიდებაც კი მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა ჩვენი რესპუბლიკის საკოლმეურნეო პროდუქციის თვითღირებულების ზრდაზე. როცა კოლმეურნეობებში შრომის ანაზღაურების დონე შრომის ანაზღაურების საზოგადოებრივად აუცილებელ დონეს მიაღწევს, აუცილებელია როგორც ეს კოლმეურნეობის ახალ სანიმუშო წესდებაშია მითითებული, „კოლმეურნეობის წევრთა შრომის ანაზღაურების ზრდა ხორციელდებოდეს შრომისნაყოფიერების წინგამსწრები ზრდის საფუძველზე.“

რესპუბლიკის ცალკეულ ეკონომიურად ძლიერ კოლმეურნეობაში არ იცავენ ამ ობიექტურ ეკონომიურ მოთხოვნილებას, ეს კი ცალკეული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რენტაბელობის ამაღლების ხელშემშლელი ფაქტორია.

სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარაღების შემდგომი ამაღლების აუცილებლობა და ტექნიკის სწრაფი პროგრესი კოლმეურნეობებისაგან მოითხოვს მუდმივ და მზარდ დაბანდებებს ძირითადი ფონდების გაფართოებისათვის, მოძველებული მანქანების უფრო სრულყოფილი შეცვლისათვის. ეს კი კოლმეურნეობების კაპიტალდაბანდებების განუხრელ ზრდაში გამოიხატება.

1966—1970 წლებში სსრ კავშირის კოლმეურნეობების საკუთარი სახსრების ანგარიშზე კაპიტალდაბანდებანი შეადგენდა 29,3 მლნ. მანეთს, ხუთწლედში 18,7 მლნ. მანეთის ნაცვლად. ამის შედეგად 1966—1970 წლებში ადგილი ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომ განმტკიცებას, რამაც უზრუნველყო სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობა. ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებში წარმატებით სრულდებოდა მოსავლიანობის ზრდის, მეცხოველეობის პროდუქტიულობის გაზიდების, სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიყიდვის გეგმები. ამავე წლებში იზრდებოდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტურობაც, რასაც მოწმობს ცხრილი 2.


ც ხ რ ი ლ ი 2

საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციისა და რენტაბელობის მაჩვენებლები

მაჩვენებლები	ზომის ერთეული	წ ლ ე ბ ი		ცვლილებები პროცენტებში 1970 წ. 1965 წ. თან შედარებით
		1965	1970	
ძირითადი საშუალებები 100 ჰა სას. სამ. სავარგულზე	მან.	35224,1	40110,7	+13,9
მიმდინარე საწარმოო დანახარჯები (მემცენარეობა, მეცხოველეობა) ყოველ 100 ჰა სასოფლო-სამეურნეო-სავარგულზე	მან.	15735,7	20560,0	+30,7
მინერალური სასუქები ყოველ 100 ჰა სახნავზე მოქმედ ნივთიერებაზე გამოანგარიშებით	კგ	26,6	132,6	+53,1
მთლიანი პროდუქციის ღირებულება 100 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე	მან.	18464,1	25603,1	+33,7
მთლიანი შემოსავალი 100 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე	მან.	12343	16439	+33,1
100 ჰა სახნავზე	მან.	44399	70359	+59,5
მოგება 100 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე		2420,4	3446,3	+42,4
კოლმეურნეობების რენტაბელობის ნორმა		13,1	15,1	+ 1,0

როგორც ცხრილის მონაცემები გვიჩვენებს, რესპუბლიკის კოლმეურნეობებში ყოველ 100 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე ძირითადი საშუალებების 13,9%-ით, მიმდინარე დანახარჯების 40,7%-ით ზრდას შეესაბამებოდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიური ეფექტურობის ზრდა. მაგალითად ყოველ 100 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე მთლიანი შემოსავალი გაიზარდა 38,7%-ით, მთლიანი შემოსავალი 100 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე 33,1%-ით, მოგება ყოველ 100 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე 42,4%-ით, ეს მაჩვენებლები მიუთითებს რომ რესპუბლიკის საკოლმეურნეო წარმოება სწორი მიმართულებით ვითარდება.

მიმდინარე ხუთწლედში ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა კიდევ უფრო განმტკიცდება. 1975 წლისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობა მიიღებს 15,800 ტრაქტორს, 1200 მარცვლის



ასაღებ კომბაინს, 12000 ავტომანქანას და სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას; გაიზარდა მინერალური სასუქების და შხამ-ქიმიკატების მიწოდება. საექსპლოატაციოდ გადაეცა 70 ათასი ჰექტარი ახალი სარწყავი მიწა, 50 ათასი შრობილი ჭარბტენიანი ფართობი.


მიმდინარე ხუთწლედში რესპუბლიკაში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მეცხოველეობის შემდგომ განვითარებას. უკვე მიღწეული მნიშვნელოვანი წარმატებების მიუხედავად, ეს დარგი მაინც ჩამორჩება რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მაპროდუქციებელი დარგების: მევენახეობის, მეხილეობის, მეჩაიეობის, მეციტრუსეობის განვითარების დონეს. რესპუბლიკის ბევრაიონის კოლმეურნეობებში დაბალია პირუტყვის პროდუქტიულობა, ხშირია მოუვლელობის შედეგად ცხოველთა დაცემა, დაბალია ვეტმომსახურების დონე და სხვ.

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის 1971 წლის იენისის პლენუმის შემდეგ, რომელმაც განიხილა საკითხი „სკკ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით რესპუბლიკაში პირუტყვის საკვებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების ღონისძიებების შესახებ“, — რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა სერიოზული მუშაობა ჩაატარეს მეცხოველეობის ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად, საკვები ბაზის გასამტკიცებლად და სათიბ-საძოვრების გაკულტურებისათვის, გაიზარდა უხეში და წვნიანი საკვების წარმოება, ამადღდა მეცხოველეობის პროდუქციის რენტაბელობის დონე.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმით, რომელიც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიამ დაამტკიცა, ხორცის წარმოება 1975 წლისათვის გაიზარდება 32,6%-ით, რძისა—46,4%-ით, კვერცხისა—1,8-ჯერ. მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების მკვეთრად გადიდებაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს მეფრინველეობის დარგის სამრეწველო რელსებზე გადაყვანამ. აშენდა მეფრინველეობის ფაბრიკები მეჯვრისხევისა და კოდაში. ასეთი ფაბრიკები შენდება ვაგრაში, გომში, სოფელ გამარჯვებაში. მაგრამ მარტო ეს არ განაპირობებს რესპუბლიკაში დასახული მეცხოველეობის განვითარების ზრდის გეგმების წარმატებით შესრულებას. კოლმეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის კურსის განხორციელება ქიმიზაციის, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კომპლექსური მექანიზაციის, მიწების ფართო მელიორაციის გზით კოლმეურნეობების წინაშე მდგარი ამოცანების განხორციელების გადამწყვეტი პირობაა.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია გულისხმობს საკოლმეურნეო წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვას, ფონდ-უზრუნველყოფის და ფონდშეიარაღების, დარგების რაციონალურ შეთანაწყობას. ეს პროგრესული მიმართულებანი მთავარი ფაქტორია მიწის ეკონომიური ეფექტურობის ამაღლებისათვის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის, პირუტყვის და ფრინველის პროდუქტიულობის, საკოლმეურნეო წარმოების რენტაბელობის ამაღლებისათვის.

საკოლმეურნეო წარმოების რენტაბელობის და, საერთოდ, წარმოების ეფექტურობის ასამაღლებლად დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო შესყიდვის დასეგბს, რადგანაც კოლმეურნეობები თავიანთი სასაქონლო პროდუქციის ძი-




რითად ნაწილს რეალიზაციას ამ ფასებით უკეთებენ. სახელმწიფო შესყიდვის ფასების ეკონომიურად დასაბუთებულ დონეს და მის რეგულირებას რადღება ექცევა. თუ თითოეული კოლმეურნეობის წინაშე წარმოადგენს დუქციის მოცულობის გაზრდის, ხარისხის ამაღლებისა და თვითღირებულების შემცირების ამოცანა დგას, ხელმძღვანელი საგეგმო ორგანოები მოწოდებული არიან სწორად დაადგინონ ფასები სახელმწიფოს მიერ შესყიდულ საკოლმეურნეო პროდუქციაზე. ეკონომიურად დასაბუთებული სახელმწიფო შესყიდვის ფასები უნდა უზრუნველყოფდეს ისეთ ობიექტურ მოთხოვნებს, როგორც არის შრომისნაყოფიერების ასამაღლებელი პირობების უზრუნველყოფა, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის კავშირის სრულყოფა, საწარმოთა მატერიალური და შრომითი დანახარჯების საზოგადოებრივ დონეზე ანაზღაურება, აგრეთვე ნორმების ზრდისათვის დაგროვების უზრუნველყოფა, თანაბარი ობიექტური პირობების უზრუნველყოფა კოლმეურნეობათა შემოსავლიანობის ამაღლების საქმეში ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით.

უკანასკნელ წლებში საკოლმეურნეო პროდუქციაზე ფასების სრულყოფა სახელმწიფო შესყიდვის ფასების დონის საერთო ამაღლებით, ცალკეული სახის პროდუქციაზე ფასების დაზუსტებითა და ზონალური დიფერენციაციით ხდებოდა.

განსაკუთრებით ბევრი რამ გაკეთდა ამ მხრივ სკკპ ცკ-ის მარტის (1965 წ.) პლენუმის შემდეგ, როცა შემოღებული იქნა პროდუქციის შესყიდვის მტკიცე გეგმები, სახელმწიფოსა და კოლმეურნეობებს შორის სასაქონლო ფულად ურთიერთობაში ახალი ეკონომიური ფორმები ჩაისახა და განვითარდა. მხედველობაშია მიღებული გეგმის ზევით რეალიზებული მარცვლეულის პროდუქციაზე სახელმწიფო შესყიდვის ფასებზე ზევით დანამატი 50%-ის რაოდენობით. ეს არის სახელმწიფოსა და კოლმეურნეობებს შორის ეკონომიური კავშირის ახალი ფორმა, რომელიც ჩვენში სოციალისტური წარმოების სასაქონლო ფორმის ანალიზის შედეგად დამკვიდრდა. ამის შედეგად სახელმწიფოს ცენტრალიზებული წმინდა შემოსავლის ნაწილი გადავიდა იმ კოლმეურნეობების განკარგულებაში, რომლებიც მარცვლეულს გეგმის ზევით ყიდიან. 1970 წლიდან ეს წესი გავრცელებულია მეცხოველეობის პროდუქციაზეც, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და ფრინველის წონამატზე, რძეზე, მატყლსა და კვერცხზე. უნდა აღინიშნოს, რომ ყველაფერი ეს გაკეთებულია ხორცზე, რძესა და სხვა პროდუქტებზე საცალო ფასების შეუცვლელად. საკოლმეურნეო წარმოებაში გაფართოებული კვლავწარმოების განხორციელებისათვის საჭიროა ფასების სისტემის შემდგომი სრულყოფა. ეს ნაკარნახევია სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ინტერესებით, აგრეთვე იმ ცვლილებებით, რომლებიც მუდმივად მიმდინარეობს საკოლმეურნეო წარმოების სტრუქტურაში, წარმოების სპეციალიზაციასა და გადგილებში.

ჯერჯერობით საკოლმეურნეო წარმოებაში ცალკეულ საწარმოთა შემოსავლიანობა მკვეთრად განსხვავებულია, რაც გარკვეული ხარისხით გამოწვეულია წარმოებისათვის ხელსაყრელი თუ არახელსაყრელი პირობების გავლენით. ხშირად კოლმეურნეობაში მაღალი მოგება ამ კოლმეურნეობების წევრთა შრომითი აქტივობის შედეგად კი არა, სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის ხელსა-



ყრელი ბუნებრივი პირობების წყალობით მიიღება. კოლმეურნეობებში გაფართოებული კვლავწარმოების შედარებით თანაბარი პირობების შესაქმნელად ჭირთა მოგების ნაწილი, რომელიც არ წარმოადგენს კოლმეურნეთა შრომითი აქტივობის შედეგს და გაპირობებულია ხელსაყრელი პირობებით, სახელმწიფოს გადაეცეს.

გარკვეული ბუნებრივ-ეკონომიური ზონის ფარგლებში კოლმეურნეობის შემოსავლიანობის რეგულირების ფუნქციას ასრულებს აგრეთვე საშემოსავლო გადასახადი, რომელიც უზრუნველყოფს კოლმეურნეობის მოგების სახელმწიფო ბიუჯეტში გადაცემას. უკანასკნელ წლებში კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადის აბსოლუტურ სიდიდეს შემცირების ტენდენცია ახასიათებს. ეს მიუთითებს, რომ სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადის პოლიტიკით კოლმეურნეობებისათვის გაფართოებული კვლავწარმოების ხელსაყრელ პირობებს ქმნის.

კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადის დაბეგვრის ახალი სისტემა, რომელიც 1966 წლის 1 იანვრიდან მოქმედებს, ხელს უწყობს კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობის ეკონომიკის შემდგომ განვითარებას. კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადის ამჟამად მოქმედი წესის მიხედვით, დაბეგვრა ხდება მოგებიდან, რომელიც მიიღება სასოფლო-სამეურნეო წარმოებიდან. მომსახურების გაწვიდან და დამხმარე საწარმოო-სარეწარმოებიდან, ერთიანი განაკვეთით 12%-ის ოდენობით. მოგების 15%-ის ფარგლებში კოლმეურნეობები იყენებენ საზოგადოებრივი მეურნეობის გაფართოებისათვის და საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრიდან გამორიცხავენ. ამ წესს ნაკლიც გააჩნია, ჯერ ერთი, კოლმეურნეობებს სამეურნეო საქმიანობა განსხვავებულ ბუნებრივ-ეკონომიურ პირობებში უხდებოდა, რის შედეგადაც გაფართოებული კვლავწარმოებისათვის რენტაბელობის სხვადასხვა ნორმა საჭირო; ამიტომ საშემოსავლო გადასახადით დაუბეგრავე რენტაბელობის ნორმა არ შეიძლება ერთნაირი იყოს. იგულისხმობს დიფერენცირებული უნდა იქნეს ბუნებრივ-ეკონომიური ზონებისა და ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით, კოლმეურნეობათა სხვადასხვა ჯგუფებისათვის რენტაბელობის ის ნაწილი, რომელიც აუცილებელია გაფართოებული კვლავწარმოებისათვის, დიფერენცირებულად დაუბეგრავე უნდა იყოს.

კოლმეურნეობების შრომის ანაზღაურების ორგანიზაციაში ნაკლოვანებების შედეგად საშემოსავლო გადასახადის მიღებულ წესსა და რენტაბელობის დონის ამაღლებას შორის გარკვეული წინააღმდეგობა არსებობს.

როგორც ცნობილია, კოლმეურნეობებისათვის განსაზღვრული არ არის შრომის ანაზღაურების ზედა ზღვარი. ამის შედეგად, ცალკეული კოლმეურნეობა კოლმეურნეთა და სპეციალისტების მატერიალური წახალისებისათვის ფონდის შექმნის მაგიერ, რაც მოგების ხარჯზე ხდება, იყენებენ შრომის პირდაპირ ანაზღაურებას, რაც წარმოების დანახარჯებში შედის. ეს ორგვარად ამცირებს მოგების იმ ნაწილს, რომელიც საშემოსავლო გადასახადით იბეგვრება.

თუ ანაზღაურება იზრდება, მოგება მცირდება და წარმოების დანახარჯები იზრდება, საბოლოოდ კი რენტაბელობის ნორმა ეცემა. ეს მნიშვნელოვნად ამცირებს საშემოსავლო გადასახადს, თუმცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 10 აპრილის დადგენილებით, კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების

ფონდის ნაწილი, რომელიც საზოგადოებრივ მეურნეობაში მომუშავე ერთ კო-
ლმეურნეზე გაანგარიშებით საშუალო თვიურ ანაზღაურებას—60 მარკას უდრე-
ტება 8%-ით იბეგრება. ამ მიზეზების გამო საშემოსავლო გადასახადის დასაბრუნებ-
ლის არსებული წესი გარკვეული ზომით უშლის ხელს კოლმეურნეობათა დაია-
ტერესებას რენტაბელობის დონის ამაღლებაში. ამიტომ აუცილებელია ამ წესის
შემდგომი სრულყოფა.



5. შარვაშიძე

საწარმოო ფონდების ეფექტიანობის უმჯობესების ზომების საკითხი

ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობა ვითარდება გაფართოებული კვლავ-წარმოების საფუძველზე, რაც ნიშნავს აგრეთვე წარმოების საშუალებების გაფართოებულ კვლავწარმოებას და მუდმივ სრულყოფას.

საწარმოო ფონდები უშუალო მომსახურებას უწყევენ წარმოების პროცესს და ფონდების შემადგენლობაში მათ გადამწყვეტი როლი განეკუთვნებათ. საწარმოო ფონდები წარმოების საშუალებებია, რომელთა დახმარებითაც და კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობის მუშების შრომის შედეგად იქმნება არა მარტო მოხმარებითი ღირებულება, არამედ პროდუქტის ღირებულებაც.

წარმოების საშუალებები ბრუნვადობის ხასიათიდან გამომდინარე და წარმოების პროცესში მათი მონაწილეობის მიხედვით განეკუთვნებიან ძირითად ან საბრუნავ ფონდებს.


ძირითადი ფონდების დახმარებით აღდამიანები ზემოქმედებას ახდენენ შრომის საგნებზე და სახეს უცვლიან მათ თავიანთი მოთხოვნილებების შესაბამისად.

საწარმოო ფონდების სწორი და ეფექტური გამოყენება წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ პირობას, რომელიც უზრუნველყოფს საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში გეგმების შესრულებას.

ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების ორგანიზაცია შეუძლებელია სწორი კლასიფიკაციის გარეშე, რომელიც წარმოადგენს ერთიან სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის და აგებულია ერთსა და იმავე ეკონომიურ საფუძველზე. ძირითადი საშუალებები კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში იმ შრომის პროცესების ხასიათიდან გამომდინარე, რომელშიც ისინი იღებენ მონაწილეობას შეიძლება დაყოფილი იქნეს შემდეგ ჯგუფებად:

1. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, საწარმოო ხასიათის ძირითადი საშუალებები.
2. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, საწარმოო ხასიათის ძირითადი საშუალებები.
3. არასაწარმოო ხასიათის ძირითადი საშუალებები.

თითოეული, აქ წარმოდგენილი ჯგუფის შიგნით, ძირითადი საშუალებები თავიანთი დანიშნულებისა და ნატურალურ-ნივთობრივი ნიშნების მიხედვით დაიყოფიან შემდეგნაირად:



სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, საწარმოო ხასიათის ძირითადი საშუალებები გულისხმობენ: შენობა-ნაგებობებსა და გადამცემ მოწყობილობებს, ძაღვან მანქანებსა და მოწყობილობებს, მუშა მანქანებსა და მოწყობილობებს, საზომ ხელსაწყოებს, სატრანსპორტო საშუალებებს, საწარმოო და სამეურნეო ხასიათის ინვენტარს, მუშა და პროდუქტიულ პირუტყვს, მრავალწლიან ნარგავებს და სხვ.

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საწარმოო ხასიათის ძირითადი საშუალებები გულისხმობენ მეურნეობაში წარმოდგენილ დამხმარე და სამრეწველო საწარმოთა ყველა საშუალებას, კერძოდ, შენობა-ნაგებობებს, გადამცემ მოწყობილობებს, მუშა მანქანებს, სამეურნეო და საწარმოო ინვენტარს და სხვ.

არასაწარმოო ხასიათის ძირითადი საშუალებები გულისხმობენ საცხოვრებელ და კულტურულ საყოფაცხოვრებო დანიშნულების საშუალებებს, კერძოდ, საცხოვრებელ კომუნალურ მეურნეობას, განათლებასა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციებს და სხვ.


ძირითადი საშუალებების შემადგენლობაში შეიძლება გვექნოდეს მოქმედი და სათადარიგო ძირითადი საშუალებები, პირველი მათგანი უშუალო მონაწილეობას იღებს მეურნეობის საწარმოო პროცესებში, ხოლო მეორე გათვალისწინებულია მწყობრიდან გამოსული მოქმედი ძირითადი საშუალებების შესაცვლელად.

მეურნეობის ძირითადი საშუალებებით უზრუნველყოფის მაჩვენებელია მათი ოდენობა (როგორც ღირებულებით, ისე ნატურალურ გამოსახულებაში) ერთ ჰექტარ მიწაზე და ერთ მუშაზე გაანგარიშებით. პირველი მაჩვენებელი განსაზღვრავს ერთი ჰექტარი მიწის ფართობიდან რაც შეიძლება მეტი რაოდენობის პროდუქციის მიღებას, ხოლო მეორე შრომისნაყოფიერების ზრდასა და წარმოებული პროდუქტის თვითღირებულების შემცირებას.

ძირითადი საწარმოო ფონდების ოდენობა ერთ ჰექტარ ფართობზე გაანგარიშებით სხვა ერთნაირი პირობების შემთხვევაში ბევრად განაპირობებს პროდუქციის გამოსავლიანობას ფართობის ერთეულიდან და მის ზოგიერთ ხარისხობრივ მაჩვენებლებს. რა თქმა უნდა, ბუნებრივი ნაყოფიერება დიდ გავლენას ახდენს მოსავლიანობაზე და რჩება მაღალი მოსავლიანობის მიღების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად, მაგრამ მიუხედავად ამისა ძირითადი ფონდების რაოდენობა სასუქებთან ერთად ნიადაგის ნაყოფიერების ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორია, როგორც ცნობილია, წარმოების საშუალებათა გამოყენების მოცულობის ზრდას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამოსავლიანობის ზრდისაკენ მივყავართ.

წარმოების ინტენსიფიკაცია მოითხოვს ძირითადი ფონდებით უზრუნველყოფის დონის ზრდას ქვეყნის ყველა ზონაში, მეურნეობის სპეციალიზაციისა და ბუნებრივ-ეკონომიური პირობების შესაბამისად. რასაკვირველია სხვადასხვა მიმართულების მეურნეობების დიფერენციაცია ძირითადი ფონდების მიხედვით ჰექტარზე გადაანგარიშებით ძალაში რჩება, და ეს კანონზომიერი მოვლენაა.

სამეურნეო ანგარიშზე მყოფი საწარმოებისათვის თანაბარი პირობების



მოთხოვნა არ ნიშნავს იმას, რომ გავათანაბროთ ძირითადი ფონდების ოდენობა ყველა საბჭოთა მეურნეობაში. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ უზრუნველყოფილი იქნეს ყველა საბჭოთა მეურნეობა განვითარებისათვის საჭირო აუცილებელი საშუალებებით, მეურნეობაში დასაქმებული ყველა მუშაკისათვის დადგინდება თანაბარი შრომისათვის მატერიალური წახალისების თანაბარი ნორმა. ამ მოთხოვნის შესრულება დამოკიდებულია შესასყიდი ფასებისა და პროდუქციის თვითღირებულების მაჩვენებლებზე, აგრეთვე საერთო პროდუქციის ოდენობაზე, თუ ფასი ფარავს საზოგადოებრივად აუცილებელ დანახარჯებს და იძლევა დაგროვების შექმნის საშუალებას, რომელიც აუცილებელია გაფართოებული კვლავწარმოებისათვის, მაშინ საქმის წარმატება დამოკიდებული იქნება მხოლოდ იმაზე, თუ როგორაა უზრუნველყოფილი მეურნეობები ძირითადი ფონდებით, როგორია მათი სტრუქტურა და გამოყენება.

ძირითადი საშუალებებით აღჭურვილობის დაბალი დონე, მათი არაეფექტიანი სტრუქტურა, არ მოგვცემს იმის საშუალებას, რომ პროდუქცია ვაწარმოოთ მხოლოდ აუცილებელი საზოგადოებრივი დანახარჯების დონეზე.

თუ ჩვენ გვექნება შრომის შედარებით მაღალი ფონდაღჭურვილობის დონე, მაშინ იმ პირობებშიც კი, როდესაც მუშახელი არასაკმარისია, შესაძლებელია უზრუნველყოფილი იქნეს მაღალი მოსავლიანობის დონე, შრომის მაღალი ნაყოფიერება და ა. შ. ეს უკანასკნელი, როგორც ცნობილია, მჭიდროდაა დაკავშირებული ფონდაღჭურვილობასთან და, პირველ რიგში, მექანიზაციის დონესთან.

შრომის უფრო მაღალი ფონდუზრუნველყოფა შეიძლება გვექონდეს მუშაძალის შედარებითი ნაკლებობის დროს, ამ შემთხვევაში ფონდუზრუნველყოფის მაჩვენებელი ახდენს უშუალო გავლენას როგორც შრომისნაყოფიერებაზე, ისე თვითღირებულებაზე. ამიტომ, როდესაც ვსწავლობთ ფონდუზრუნველყოფის მაჩვენებლებს ამ თუ იმ მეურნეობისთვის, საჭიროა ყურადღება მიექცეს თითოეული მათგანის უზრუნველყოფას სამუშაო ძალით.

ფონდუზრუნველყოფა რამდენადმე განსაზღვრავს აგრეთვე შრომის ხარისხსაც, წარმოების ერთნაირი პირობების დროს, ერთნაირი ხარისხის შრომისათვის მეურნეობებმა უნდა მიიღონ თანაბარი ოდენობის წმინდა შემოსავალი. მაგრამ არ იქნება სწორი თუ ვიტყვით, რომ ერთნაირი საწარმოო პირობების მქონე მეურნეობებში თითოეული ჰექტარი, მიუხედავად იმისა თუ რა კულტურის ქვეშაა დაკავებული იგი, მოგვცემდა თანაბარი ოდენობის წმინდა შემოსავალს. ამასთან ერთად თანაბარი პირობები გულისხმობს, რომ შემოსავალი, რომელიც მივიღებთ ერთი ჰექტარიდან იმ მეურნეობაში, რომლებიც მდებარეობენ ერთ საწარმოო ზონაში, აქვთ ერთნაირი საწარმოო მიმართულება, დაახლოებით წლების მანძილზე უნდა იყოს თანაბარი.

როდესაც ვლაპარაკობთ ამა თუ იმ მეურნეობის ძირითადი საწარმოო ფონდებით უზრუნველყოფაზე, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მეურნეობის შრომითი რესურსებით უზრუნველყოფა. იქ, სადაც მუშახელი მცირეა, უნდა ავამაღლოთ წარმოების მექანიზაციის დონე, რაც თავის მხრივ, გაზრდის ფონდუზრუნველყოფის მაჩვენებელს.



როგორც ცნობილია, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების ერთი ფაქტორია ცოცხალი შრომის ხვედრითი წილის შემცირება, ანაზღაურების ელემენტის შემცირება. შრომის ანაზღაურების ხვედრითი წილი ხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარმოებაში რესპუბლიკის ჩაის მწარმოებელ საბჭოთა მეურნეობებში 1968 წლისათვის შეადგენდა 65%, იმისათვის რომ შევამციროთ ცოცხალი შრომის წილი უნდა გავზარდოთ ფონდუზრუნველყოფის მაჩვენებელი, განსაკუთრებით შრომის ენერგოშეიარაღება. ეს მნიშვნელოვნად შეამცირებს ცოცხალი შრომის დანახარჯებს და გაზრდის მის მწარმოებლობას.

სამეურნეო ანგარიშზე მყოფი ყველა საწარმო დაინტერესებული უნდა იყოს განახორციელოს კაპდაბანდება იმ მიმართულებით, რომელიც უზრუნველყოფს ფართობის ერთეულზე და ერთ შრომისუნარიანზე გადაანგარიშებით ძირითადი საწარმოო ფონდების ზრდას. ეს საშუალებას მისცემს თითოეულ მეურნეობას, რომლებსაც აქვს შრომის მაღალი მწარმოებლურობა, მიიღონ პროდუქციისა და მოგების დიდი ოდენობა.

უნდა ითქვას, რომ შრომის მექანიზაციის დონე სოფლის მეურნეობის ზოგიერთ დარგებში ძალიან ნელა იზრდება, ერთ-ერთი ასეთი კულტურაა ჩაი, სადაც მექანიზაციის ფართოდ დანერგვას წინ ეღობება მთელი რიგი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები. ჯერ ერთი, ჩაის კულტურა თავის მოვლა-მოყვანის, ხასიათის მხრივ ყველაზე შრომატევადია, განსაკუთრებით ძნელია ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის პროცესების მექანიზაცია, უკანასკნელ წლებში ამ მიმართულებით წარმატებით შრომობენ ქართველი კონსტრუქტორები, ჩვენს რესპუბლიკაში შეიქმნა და თანდათანობით ინერგება წარმოებაში შესანიშნავი ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“ რომლის გაუმჯობესებაზეც ინტენსიურად მუშაობენ ქართველი მეცნიერები, მაგრამ ჯერ-ჯერობით ამ შესანიშნავი მანქანების გამოყენების არეალი მცირეა. საბჭოთა მეურნეობების სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანამ გარკვეული სტიმული მისცა ძირითადი საწარმოო ფონდების უკეთ გამოყენებას, ვინაიდან, სრული სამეურნეო ანგარიშის განხორციელების დროს საგრძნობლად იზრდება მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა მატერიალური დაინტერესება. მაგრამ მართო ეს ფაქტორები ვერ განსაზღვრავენ მექანიზაციის დონის გადიდებას, საჭიროა რომ მრეწველობამ მიაწოდოს სოფელს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისათვის საჭირო ყველა საშუალება. ის რომ სხვადასხვა სპეციალიზაციის მქონე მეურნეობები ფონდშეიარაღების მხრივ იმყოფებიან არათანაბარ მდგომარეობაში განაპირობებს მათ არაერთნაირ ეკონომიურ მდგომარეობას. პროდუქციის გამოსავლიანობის გადიდება და შრომის ნაყოფიერების ზრდა, რომელიც გაპირობებულია ძირითადი ფონდების ოდენობით, საბოლოო ანგარიშით ვლინდება სამეურნეო ანგარიშზე მყოფი საწარმოების შედეგებით, ხოლო ეს უკანასკნელი, როგორც ცნობილია, დიდ გავლენას ახდენს ძირითადი საწარმოო ფონდების კვლავწარმოებაზე.

ჩვენ დასაწყისში აღვნიშნავდით, რომ ძირითადი საწარმოო ფონდები თავისი კლასიფიკაციით რამოდენიმე ჯგუფად იყოფა, ისინი თავისებურ გავლენას ახ-




დენენ საერთო პროდუქციის ოდენობაზე და შრომისნაყოფიერებაზე, ასე, მაგალითად ნაგებობანი, მოწყობილობანი და ა. შ. თავისთავად არ განსაზღვრავს წარმოების მოცულობას, თუმცა ისინი აუცილებელი არიან წარმოების განვითარებისათვის, მაგალითად, მეცხოველეობისათვის საჭირო ნაგებობანი ხელს უწყობენ ჯოგის პროდუქტიულობის ზრდას, თუმცა, როგორც ცნობილია, მეცხოველეობის პროდუქციის მოცულობა დამოკიდებულია არა იმაზე, თუ რა სიდიდის შენობაშია მოთავსებული პროდუქტიული პირუტყვი, არამედ თვით ამ პირუტყვის რაოდენობაზე და მის პროდუქტიულობაზე. ამიტომ წარმოება სხვა თანაბარ პირობებში უფრო ეფექტური იქნება იქ, სადაც უფრო ნაკლები საშუალებები დაბანდდება პირობების შექმნაში, ხოლო უფრო მეტი იქ, სადაც უშუალოდ იქმნება პროდუქცია. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ უნდა ავაშენოთ შენობა-ნაგებობანი, მაგრამ პირობებისა და წარმოების შეთანაწყობა უნდა მოხდეს ამ უკანასკნელის სასარგებლოდ.

რაც შეეხება ძირითადი საწარმოო ფონდების სხვა ელემენტებს, რომლებიც უშუალოდ წარმოადგენენ ტექნიკურ ბაზას და პირდაპირ დამოკიდებულებაში იმყოფებიან როგორც წარმოების მოცულობასთან, ისე შრომისნაყოფიერებასთან მათი ზრდა გაპირობებულია მთელი რიგი ობიექტური პირობებით. სოფლის მეურნეობაში, მუშახელის არსებული რაოდენობის პირობებში და პერსპექტივაშიც, როდესაც მოსალოდნელია მათი რაოდენობის შემცირება შრომისნაყოფიერებისა და წარმოების მოცულობის ზრდა უპირველეს ყოვლისა გაპირობებული უნდა იყოს სოფლის მეურნეობის ტექნიკური ბაზის განმტკიცებით. წარმოების ინტენსიფიკაცია, უპირველეს ყოვლისა, გაპირობებულია მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების ოდენობით: პარტია და მთავრობა ძირითადი საწარმოო ფონდების აღნიშნულ ელემენტს დიდ ყურადღებას უთმობს, ამიტომ შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ ჩვენს ქვეყანაში შრომის მექანიზაციის ძალიან მაღალი დონეა.

სტრუქტურული განსხვავება, რომელიც არსებობს ძირითად ფონდებში, ახდენს იმნიშვნელოვან გავლენას მათ ბრუნვაობაზე, რაც თავის მხრივ განაპირობებს ამორტიზაციის განსხვავებულ ნორმას. ძირითადი საწარმოო ფონდების თითოეული ელემენტისათვის ძირითადი ფონდების ბრუნვაობა საზოგადოებრივი კვლავწარმოების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. წარმოების განუწყვეტლობის უზრუნველყოფა შეუძლებელია საწარმოო ფონდების მუდმივი განახლების გარეშე.

როგორც ცნობილია, ძირითადი ფონდების გამოყენების ხანგრძლივობა მერყეობს ერთი წლიდან (ინვენტარი, ინსტრუმენტები) რამოდენიმე წლამდე (მოწყობილობანი, ტრაქტორები, სას.-სამ. ტექნიკა და სხვ.) და რამოდენიმე ათეულ წლამდე (საწარმოო შენობები და მოწყობილობები) სწორედ ამ დროით განისაზღვრება ძირითადი ფონდების სრული ღირებულების გადატანა ახლად შექმნილ პროდუქციაზე და მათი ბრუნვის დროც. მაგრამ საჭიროა გვახსოვდეს, რომ ძირითადი ფონდების ბრუნვა ღირებულების თვალსაზრისით, თან არ ემთხვევა მათ ბრუნვას ნატურალური თვალსაზრისით, ვინაიდან ღირებულება გა-



დადის პროდუქციაზე ნაწილ-ნაწილ ექსპლოატაციაში შესვლის დღიდან, მუშაობის მთელი პერიოდის მანძილზე ამ დროიდან მისი ნატურალური ფორმის მთლიანად შენარჩუნებულია, მხოლოდ განსაზღვრული წლების გავლის შემდეგ სწარმოებს ძირითადი ფონდების განახლება, ცვლიან რა მას ნატურალური ფორმით—ახალი ელემენტებით.

ძირითადი ფონდების განახლება წინანდებული მოცულობით ხორციელდება მათი დაბრუნებული ღირებულების ანგარიშიდან საამორტიზაციო ფონდის სახით, ეს უკანასკნელი კი გროვდება ძირითადი ფონდების მოქმედების წლების დროს.

როგორც ცნობილია, ძირითადი ფონდები ნივთობრივად არ შედიან წარმოებულ პროდუქციაში და მხოლოდ მათი ღირებულების ნაწილი წარმოადგენს წარმოებული პროდუქციის შემადგენელ ნაწილს. ეს უკანასკნელი კი მოქმედებს, როგორც წარმოებული პროდუქციის ღირებულების ნაწილი, მოხვდება რა იგი მიმოქცევის სფეროში. წარმოებული პროდუქციიდან გადაიქცევა ფულად და მასთან ერთად ფულად გადაიქცევა აგრეთვე შრომის საშუალებების ღირებულების ის ნაწილი, რომელიც დაბანდებულია რეალიზებული პროდუქციის ღირებულებაში.

მაშინ როდესაც, წარმოების პროცესში ცვეთის შესაბამისად შრომის საშუალებების ღირებულება მცირდება, მათი ღირებულების ის ნაწილი, როდესაც გადადის ახლად შექმნილ პროდუქციაზე და რომელიც შემდეგ იღებს ფულად ფორმას იზრდება და გადაიქცევა ფულადი ფონდის რეზერვად, ეს უკანასკნელი იზრდება მანამ, სანამ არ დადგება დრო ახალი ძირითადი საშუალებების შესაძენად, ამ დროს კი ფული გადაიქცევა ძირითად საშუალებად, ეს პროცესი შეიძლება ჩაითვალოს ბრუნვადობის ერთ ციკლად.

იმისათვის, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ ძირითადი ფონდების ბრუნვადობის მექანიზმი, აუცილებლად უნდა იქნას განხილული საკითხი კაპიტალური რემონტის შესახებ. რასაკვირველია საამორტიზაციო ფონდი, მისი შექმნის შესაძლებლობების მიხედვით არ შეიძლება გადაიქცეს რაღაც განძად ძირითადი ფონდების მოქმედების მთელი პერიოდისათვის, არამედ იგი გამოიყენება ძირითადი ფონდების ნაწილობრივი აღდგენისათვის ეს უკანასკნელი გამოწვეულია ძირითადი საშუალებების ცალკეული ნაწილების არათანაბარი ცვეთით, როგორც ცნობილია, აღდგენა წარმოებს ე. წ. კაპიტალური რემონტის შედეგად. გარდა ამისა, ძირითადი ფონდების აღდგენის სპეციფიკიდან გამომდინარე, საამორტიზაციო თანხა შეიძლება გამოყენებული იქნას გაფართოებული კვლავ-წარმოებისათვის.

ამრიგად, ძირითადი ფონდების ბრუნვადობას საფუძვლად უდევს მათი ღირებულების ნაწილი, რომელიც საშუალებების თანდათანობითი ცვეთის ძალით უნდა დაგროვდეს საამორტიზაციო ფონდის სახით, იმისათვის, რომ აღადგინოს იგივე ძირითადი საშუალება თავდაპირველი სახით და მოცულობით მაინც.

ცალკეული სახეების ძირითადი ფონდების ბრუნვის დრო განისაზღვრება როგორც მათი ღირებულების შეფარდება საამორტიზაციო თანხასთან (ანარიცხების ნორმიდან გამომდინარე) ფორმულით იგი შემდეგნაირად გამოიხატება



$$C_{05} = \frac{\Phi}{\frac{\Phi A}{10J}}$$

სადაც C_{05} —ბრუნვას დროს Φ ცალკეული სახეების ძირე

თადი ფონდების ღირებულება, A —ამორტიზაციის წლიური ნორმა. აღნიშნულ მაჩვენებელს შეიძლება ეწოდოს ძირითადი ფონდების ბრუნვადობის დროც. იგი ახასიათებს იმ ვადას, რომელიც აგვინაზღაურებს ძირითადი ფონდების ღირებულებას მარტივი კვლავწარმოებისათვის.

როდესაც ვსწავლობთ ბრუნვადობის საკითხს, საჭიროა მხედველობაში იქნეს მიღებული ტექნიკური პროგრესის შედეგად მოქმედი ფაქტორები, რომელიც თავის მხრივ აჩქარებს ძირითადი საშუალებების აქტიური ნაწილის ბრუნვადობას და მათი წარმოებიდან გასვლას. ტექნიკური პროგრესის შედეგად, როგორც ცნობილია, ძირითადი ფონდების აქტიური ნაწილის უფრო სწრაფი განახლება სწარმოებს, ვიდრე პასიური ნაწილისა. ამისათვის, რომ განახლდეს ზემოაღნიშნული, საჭიროა კაპდაბანდების მაღალი ტემპები, თუმცა ხშირ შემთხვევებში პრაქტიკულად აღნიშნული მოთხოვნილებების გათვალისწინება არ სწარმოებს.

თუ გვაქვს ორი მეურნეობა, ძირითადი საწარმოო ფონდების ერთნაირი ოდენობით, ფონდშეიარაღების დაახლოებით თანაბარი მოცულობით, მაგრამ ბრუნვადობის სხვადასხვა ვადებით, მაშინ მათ ფონდმატების სხვადასხვა ტემპები ექნებათ. ცვეთის ერთნაირი დონის დროს გაცვეთილი და მეურნეობიდან გასული ფონდების აბსოლუტური თანხა მით უფრო მაღალი იქნება, რაც უფრო მოკლე იქნება მათი ბრუნვადობის დრო. კაპდაბანდების უფრო დიდი აბსოლუტური თანხა დასჭირდება იმ მეურნეობას, რომელსაც მათი ფუნქციონირების უფრო მოკლე საშუალო დრო აქვს.

იმისათვის, რომ დავაწესოთ კონტროლი ძირითადი საწარმოო ფონდების კვლავწარმოებაზე, საჭიროა ცალ-ცალკე იქნეს აღრიცხული და შესწავლილი კაპიტალური დაბანდების ის თანხები, რომლებიც მოიხმარებიან მარტივი და გაფართოებული კვლავწარმოებისათვის.

აღნიშნულის გარდა, საჭიროა დადგინდეს კვლავწარმოების ტემპების ნორმატივები, ძირითადი ფონდების როგორც აქტიური, ისე პასიური ნაწილისათვის, აგრეთვე ძირითადი ფონდების ცალკეული ჯგუფებისათვის. ეს საშუალებას მოგვცემს დაჩქარებული ტემპებით განვაახლოთ ძირითადი საშუალებების ესა თუ ის ჯგუფი და მათთანადავე მოვიტხოვოთ შესაბამისი კაპიტალური დაბანდება.

ჩვენს ქვეყანაში, საწარმოო ძალები უმაგალითო ტემპითა და მასშტაბით ვითარდება, ამ პერიოდში უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ძირითადი ფონდების მოცულობის, მისი ღირებულების სწორად განსაზღვრას. ჩვეულებრივად სააღრიცხო პრაქტიკაში საწარმოს მიერ ძირითადი ფონდების მოცულობა განისაზღვრება ე. წ. პირველადი ანუ თავდაპირველი ღირებულებით (ფაქტიურ ღირებულებას + მეურნეობაში მოტანის ხარჯები). ფონდების თავდაპირველი ღირებულებით აღრიცხვა სწორად ასახავს იმ ფაქტიურ დანახარჯებს, რომელიც მის დამზადებაშია დაბანდებული.

მაგრამ ჩვენს ქვეყანაში მრეწველობის განვითარების ტემპები, საშუალებას,



იძლევა სულ უფრო და უფრო სრულყოფილი ტექნიკით აღჭურვილობის მეურნეობა. ძველი ტექნიკა იცვლება ახლით, რითაც მცირდება სავაჭრო რივად აუცილებელი შრომის დანახარჯი ერთ ჰა ფართობზე, პროდუქციის ერთეულზე და ა. შ.

საერთოდ ტექნიკურ პროგრესს სამი პერიოდი აქვს:

პირველი—როდესაც ხდება პირობითად „A“ მოდელის ამა თუ იმ სახის სასოფლო-სამეურნეო მანქანის „B“ მოდელით შეცვლა, ეს შეცვლა წარმოებს მასობრივად და ამ დროს ადგილი აქვს საზოგადოებრივად აუცილებელი დანახარჯების შემცირებას;

მეორე პერიოდი, როდესაც ხდება საზოგადოებრივად აუცილებელი შრომითი დანახარჯების შედარებითი სტაბილიზაცია ახალი ტექნიკის განახლების საფუძველზე.

მესამე პერიოდი, როდესაც მოდელი „B“ უკვე განიცდის ცვეთას და წარმოებაში ინერგება ახალი „Г“ მოდელი.

ამიტომ თანამედროვე ეტაპზე მანქანათა თავდაპირველი ღირებულების დასადგენად მხედველობაში უნდა მივიღოთ ე. წ. მორალური ცვეთის ფაქტორები, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება საწარმოს ძირითადი ფონდების ექსპლუატაციამ გაზარდოს პროდუქციის თვითღირებულება.


საკითხის უფრო ღრმად გარკვევისათვის განვიხილოთ ძირითადი ფონდების ფიზიკური და მორალური ცვეთა.

როგორც ცნობილია, ძირითადი ფონდები რამდენიმე წლის განმავლობაში ემსახურებიან წარმოების პროცესს და თავიანთ ღირებულებას ნაწილნაწილ, თანდათანობით გადასცემენ ახლად შექმნილ პროდუქციას. ამ პერიოდში მათი ღირებულება მცირდება იმ ოდენობით, რაც ახლად შექმნილი პროდუქციის ღირებულებაშია შესული. ფიზიკური ცვეთა ძირითადი ფონდების მიერ თავისი ღირებულების თანდათანობით დაკარგვას ნიშნავს. ძირითადი საშუალებების ფიზიკური ცვეთის ოდენობა პროცენტებში ფაქტიური და გეგმური სამუშაოს მოცულობის მიხედვით გაიანგარიშება. თუ ვიცით ცვეთის პროცენტი და საბალანსო ღირებულება ადვილად განვსაზღვრავთ ცვეთის თანხას, რომელიც თავის გამოხატულებას პოულობს ამორტიზაციაში, რომელიც არის ეკონომიური შინაარსის მქონე ტერმინი და წარმოადგენს ძირითადი საშუალების ღირებულების განახლებას ფულადი ფორმით.

ტექნიკური პროგრესის შედეგად ძირითადი საშუალებების ეკონომიურად მიზანშეწონილი მუშაობის ხანგრძლივობა შეიძლება მუშაობის ფიზიკურ ვადაზე ან დადგენილ ნორმატიულ ვადაზე ნაკლები იყოს. ეს უმთავრესად ეხება წარმოების აქტიურ საშუალებებს (ტრაქტორები, კომბაინები და ა. შ.) რომლებიც ტექნიკური პროგრესის გავლენის შედეგად ყველაზე მეტად განიცდიან მორალურ ცვეთას.

ძირითადი საშუალებების მორალური ცვეთა ეს არის იგარკვეული დონით იმ ტექნიკური საშუალებების გაუფასურება, რომელთა მაგიერ იმავე ტიპის უფრო იაფი მანქანები ინერგება. ამ დროს ძველი მოდელის მანქანები აღარ გამოიყენება, მიუხედავად იმისა ვარგისია იგი თუ არა ექსპლუატაციისათვის.

ამავე დროს ძირითადი საშუალების მორალური ცვეთა არ უნდა აყურით



მანქანის ტექნიკური პარამეტრები—სიმძლავრე, მწარმოებლობა, საწვავის ხარჯი და ა. შ. უფრო დაბალია, ვიდრე ახალი კონსტრუქციის მანქანისა.

ამიტომ, ძირითადი ფონდების მოცულობის განსაზღვრისას, განსაკუთრებით მის აქტიურ ნაწილში, უსათუოდ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მორალური ცვეთის ფაქტორებიც, ვფიქრობ, ეს საკითხი უნდა გაითვალისწინონ საქარხნო ღირებულების დადგენისას და შემდეგ გამოხატული უნდა იქნეს ფასში. რაც შეეხება ძირითადი ფონდების საწარმოო მოცულობის დადგენას აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ საბალანსო ღირებულება, როგორც დასაყრდენი.

საწარმოო ფონდების დახასიათების დროს, მათი მოცულობის განსაზღვრასთან ერთად უპირველეს ყოვლისა ინტერესმოკლებული არაა ძირითადი და საწარმოო ფონდების შეფარდების გარკვევა, რომელიც დამოკიდებულია წარმოების სახეზე, ინტენსიფიკაციისა და მექანიზაციის დონეზე, ბუნებრივ პირობებზე და სხვა ფაქტორებზე. ძირითადი ფონდების შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მათ სტრუქტურას, რომელიც შეიძლება შესწავლილი იქნეს ცალკეული ელემენტების მიხედვით. ძირითადი ფონდების სტრუქტურა შეიძლება განხილული იქნეს როგორც თავდაპირველი ღირებულებით, ისე აღდგენითი ღირებულებით.

როგორც ცნობილია, შრომისნაყოფიერების გაზრდისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება შრომის იარაღებს, მაგრამ წარმოების კარგად განვითარებისათვის, არანაკლები მნიშვნელობისა აგრეთვე ისეთი სპეციფიკური საშუალებები და შრომის საგნები, რომლებიც უშუალოდ ახდენენ „პროდუქციის“ ფორმირებას, ასეთებია, ჯოგი, მრავალწლიანი ნარგავები (როგორც ძირითადი საშუალებები) და თესლი, სარგავი მასალა, ფურაჟი, სასუქი, (როგორც საბრუნავი საშუალებები), ეს უკანასკნელნი, როგორც აღვნიშნეთ შედიან წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებაში. ამ საშუალებების ზრდას, როგორც წესი, თან მოსდევს პროდუქციის რაოდენობის ზრდა, მაგრამ ეს ზრდა რომ უზრუნველყოფილი იქნეს საჭიროა დაცული იქნეს შიგა პროპორციები: მაგალითად პირუტყვის რაოდენობასა და მისი საკვებით უზრუნველყოფაში და ა. შ.

ვერავითარ ეკონომიურ ეფექტს ვერ მივიღებთ რომელიმე მხარის ცალმხრივ ზრდაში, კიდევ ვიმეორებთ, თუ არ იქნა დაცული გარკვეული პროპორცია.

საერთოდ, როდესაც ვლაპარაკობთ საწარმოო ძირითადი საშუალებების სტრუქტურაზე, უნდა გვახსოვდეს თანმიმდევრობა, რომელიც დაცული უნდა იქნეს მისი შედგენის დროს, ამ თანმიმდევრობის ძირითადი ელემენტებია: შენობა-ნაგებობანი, ძალოვანი მანქანები და მოწყობილობა, მუშა მანქანები და მოწყობილობანი. სატრანსპორტო საშუალებანი, მრავალწლიანი ნარგავები, მუშა პირუტყვი, პროდუქტიული პირუტყვი, ფრინველი და შრომის საშუალების სხვა სახეები. ქვეყნის მასშტაბით თუ გადავხედავთ ამ საკითხს, ყველაზე დიდი ხვედრითი წონით წარმოდგენილია პირველი ელემენტი, კერძოდ შენობა-ნაგებობანი. მართალია თავისი საწარმოო დანიშნულების მიხედვით შენობა-ნაგებო-



ბანი მიეკუთვნებიან ძირითადი ფონდების მეორე ჯგუფს, მაგრამ მათ უნდა ჰქონდეთ მოცულობაზე, ტექნიკურ სრულყოფაზე, განლაგების დიდადაა დამოკიდებული ხარისხიანი პროდუქციის წარმოება.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ძირითადი ფონდების დარგობრივ სტრუქტურას, რომლის შესწავლის დროს საქმე ეხება შემდეგ ქვეგანყოფილებებს:

1. სპეციალური დანიშნულების ფონდები (ისინი მხოლოდ მოცემული პროდუქტის წარმოებისათვის გამოიყენება).
2. უნივერსალური გამოყენების ფონდები, რომელიც მონაწილეობს რამოდენიმე სახის პროდუქციის შექმნაში (მაგალითად, ტრაქტორები, ავტოტრანსპორტი და სხვ.) ასეთი ფონდების საერთო მოცულობა, შეიძლება განაწილებული იქნეს პროდუქციის სახეებზე ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების პროპორციულად.
3. საერთო საწარმოო დანიშნულების ფონდები, ე. ი. ისეთი ფონდები, რომლებიც ემსახურება ან მემცენარეობას, ან მეცხოველეობას, ან სამრეწველო წარმოებას.
4. საერთო-სამეურნეო დანიშნულების ფონდები. ბოლო ორი ჯგუფი საერთო ხასიათისაა და დაყოფა მათ შორის პირობითია.

დიდი მნიშვნელობა აქვს ფონდუზრუნველყოფისა და ფონდტევადობის დიდგენას: თუ ჩვენ საწარმოო ფონდების საერთო მოცულობას შევაფარდებთ მიწის ფართობთან, მივიღებთ ფონდუზრუნველყოფის მაჩვენებელს, ხოლო თუ მას შევაფარდებთ პროდუქციის მოცულობასთან—ფონდტევადობის მაჩვენებელს, ხოლო თუ მას შევაფარდებთ შრომით რესურსებთან მივიღებთ მესამე მეტად საინტერესო მაჩვენებელს, რომელსაც ფონდშეიარაღება ეწოდება. ცნება „ფონდტევადობა“ აქ მოყვანილი გვაქვს რამდენადმე სხვა გაგებით, ვინაიდან პროდუქტი არ ითხოვს და არც მოიცავს თვით ძირითად ფონდს, არამედ მოითხოვს მას როგორც თავისი წარმოებისათვის ერთ-ერთ ფაქტორს ან პირობას.

ფონდუზრუნველყოფის მაჩვენებელი მთლიანად სას.-სამ. წარმოებისათვის გაიანგარიშება 1 ჰა სას.-სამ. სავარგულზე გადაანგარიშებით, ხოლო როცა ამ საკითხს ვარკვევთ მემცენარეობაში 1 ჰა სახნავზე გადაანგარიშებით, თუ გვსურს გავიანგარიშოთ იგი ცალკეული კულტურების მიხედვით მაშინ ვანგარიშობთ ამ კულტურების ქვეშ დათესილი ფართობის 1 ჰექტარზე.

ფონდუზრუნველყოფის მაჩვენებლის სიდიდეზე მოქმედებს მთელი რიგი ფაქტორები, უპირველეს ყოვლისა მისი სიდიდე იცვლება პროდუქტიდან პროდუქტამდე, ტექნოლოგიურ თავისებურებებთან დაკავშირებით, იგი დიდადაა დამოკიდებული მექანიზაციის დონეზე, სამუშაო ძალით უზრუნველყოფასა და ბუნებრივ პირობებზე. ძირითადად იგივე ფაქტორები მოქმედებენ ფონდტევადობაზეც.

როგორ იყო გამოყენებული ძირითადი ფონდები წლის განმავლობაში? ამ საკითხის გარკვევისათვის უნდა მოვახდინოთ ძირითადი ფონდების გამოყენების ანალიზი. ძირითადი ფონდების გამოყენების ეფექტიანობა შეიძლება განისაზღვროს იმ პერიოდში, როდესაც ისინი ასრულებენ მათთვის დამახასიათებელ ფუნქციებს.

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს შრომის საშუალებების გამოყენების ცალკეული სახეების მიხედვით შესწავლას.


როდესაც ვახდენთ ცალკეული სახეების ანალიზს ჩვეულებრივად ვალ დონედ იღებენ ფაქტიურ საშუალო წლიურ ან სეზონურ გამომუშავებას, ხოლო შემდეგ სწავლობენ სხვა სიდიდეებს, მათ შორის საშ. დღიურ გამომუშავებას, ცვლის კოეფიციენტს, და სხვ. თუმცა უნდა ითქვას, რომ როგორც კოლმეურნეობის ისე საბჭოთა მეურნეობების თანამედროვე ანგარიშები ისეთნაირადაა შედგენილი, რომ არ იძლევა საშუალებას საკითხი შესწავლილ იქნეს ზემოთ ჩამოთვლილი სიდიდეების მიხედვით.

ძირითადი ფონდების გამოყენების ანალიზის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება სხვადასხვა მაჩვენებლების განხილვას დინამიკაში ე. ი. წლების მიხედვით, ეს საჭიროა იმისათვის, რომ გვეჩვენოს შედარების საშუალება წინა წლის ანალოგიურ მონაცემებთან, რაც სწორი დასკვნის გამოტანისათვის აუცილებელია.

და მაინც ძირითადი ფონდების გამოყენება მათ ეკონომიურ ეფექტიანობაში უნდა ვეძიოთ. ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების მიზანი იგივეა, რაც წარმოების მიზანი კერძოდ—მივიღოთ რაც შეიძლება მეტი პროდუქცია ნაკლები დანახარჯებით. ამიტომ, ფონდების გამოყენების ეფექტიანობის დასადგენად უნდა მოხდეს ისეთი მაჩვენებლების გაანგარიშება. როგორცაა პროდუქციის გამოსავლიანობა და მისი შეფარდება ფონდებთან ანუ ფონდდაბრუნება, საერთო შემოსავლის შედარება ფონდების საერთო მასასთან და საბოლოოდ მოგების შეფარდება ფონდების მასასთან, რომელიც სხვათაშორის რენტაბელობის ერთ-ერთი მაჩვენებელიცაა. მასასადამე, ფონდების გამოყენების ეკონომიური ეფექტიანობის შესასწავლად უნდა განვიხილოთ უპირველეს ყოვლისა საერთო პროდუქციის, საერთო შემოსავლისა და მოგების ურთიერთობა ძირითად საწარმოო ფონდებთან, როგორც უკვე იყო აღნიშნული, ძირითადი ფონდების გამოყენებაზე მოქმედებს მთელი რიგი ფაქტორები, ამიტომ მისი გამოყენების ეკონომიური ეფექტიანობის შესწავლა მიზანშეწონილია მოხდეს ეტაპების მიხედვით, თანმიმდევრული ანალიზით.

როდესაც ვლაპარაკობთ საწარმოო ფონდებზე, მის გამოყენებაზე არ შეიძლება არ იქნეს განხილული საკითხი რენტაბელობის შესახებ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ სოციალისტური საწარმოების, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ძირითადი მიზანია—მატერიალური დოვლათის რაც შეიძლება იაფად წარმოება. ამასთან ერთად საწარმომ უნდა უზრუნველყოს თავისი მატერიალური საწარმოო ბაზა. ეს მარტივად ნიშნავს იმას, რომ საწარმომ პროდუქციის რეალიზაციის შედეგად მიღებული ამონაგები თანხით უნდა უზრუნველყოს არა მარტო გაწეული დანახარჯების დაფარვა, არამედ უნდა დარჩეს ფულადი თანხის გარკვეული რაოდენობა მოგების სახით, ეს უკანასკნელი კი ფონდების ზრდის მთავარი წყაროა.

ამრიგად, აუცილებლად უნდა იქნეს განსაზღვრული, ერთი მხრივ, წარმოების დონე, საზოგადოების დაკმაყოფილება კონკრეტული პროდუქციით და მეორე მხრივ ამა თუ იმ საწარმოს მუშაობის შედეგები, ე. ი. შეესაბამება თუ არა წარმოების შედეგები საწარმოო ფონდების ზრდის ტემპებს.




ჩვენი მიზანია მოგებისა და რენტაბელობის როლის განსაზღვრა საწარმოო ფონდებთან დაკავშირებით, მისი ეფექტიანობის განსაზღვრა. აღნიშნულ შემთხვევებში შესწავლისას წამოიჭრება მთელი რიგი მეთოდოლოგიური პრობლემები, რომელთა გადაწყვეტაზეცაა დამოკიდებული წარმოების ეფექტიანობის განსაზღვრის ობიექტურობა. საერთოდ რენტაბელობის განსაზღვრისას ძირითადი მეთოდოლოგიური პრინციპი, სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის, უნდა იყოს ერთნაირი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ ჰქონდეს ადგილი გამო-
ნაკლისებს, რომელიც გამომდინარეობს უპირველეს ყოვლისა თვით დარგის სპეციფიკურობიდან, ეს განსაკუთრებით ეხება სოფლის მეურნეობას.

როგორც ცნობილია, მატერიალური წარმოების სფეროში მუშაკთა შრომის შედეგია—საერთო პროდუქცია, ეს რასაკვირველია ითქმის სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ მუშაკებზეც. სასაქონლო წარმოების პირობებში იგი მიიღებს ფულად ფორმას. ღირებულებითი ფორმით წარმოებული საერთო პროდუქცია სამი ნაწილისაგან შედგება. მისი ერთი ნაწილი მიიმართება მოხმარებული წარმოების საშუალებების აღსადგენად, მეორე ნაწილი იმ საშუალებების აღსადგენად, რომელიც განაწილებულია წარმოების მუშაკებს შორის და გამოიყენება მათი პირადი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. საერთო პროდუქციის ღირებულების ეს ორი ნაწილი წარმოების პროცესში მოხმარებული საშუალებებისა და დანარჩული ხელფასის ეკვივალენტურია და ქმნის წარმოების საწარმოო დანახარჯებს. დასასრულ, შექმნილი საერთო პროდუქციის მესამე ნაწილია ე. წ. ნამატი, ანუ ზედმეტი პროდუქტი, რომელიც ფულად გამოხატულებაში წარმოადგენს საწარმოს იმ წმინდა შემოსავალს, რომელიც ხმარდება წარმოების განვითარებას; მუშებისა და კოლმეურნეების მატერიალური პირობების გაუმჯობესებას და სხვა მიზნებს.

საერთო პროდუქციის ღირებულებიდან, რაც უფრო მეტი თანხა წავა საწარმოო დანახარჯების ასანაზღაურებლად, მით უფრო ნაკლები დარჩება იმ ნაწილში, რომელიც წარმოადგენს საწარმოს წმინდა შემოსავალს. ამიტომ პრაქტიკაში საწარმოებს საერთო პროდუქციის ღირებულება თუ აქვთ ერთი და იგივე მოცულობით, მაგრამ სხვადასხვა სტრუქტურით, მაშინ ეკონომიური შედეგებიც სხვადასხვა იქნება.

უკანასკნელ პერიოდად ფონდდაბრუნების მაჩვენებელი, რომელიც განისაზღვრებოდა როგორც საერთო პროდუქციის ღირებულების შეფარდება საწარმოო ფონდების ღირებულებასთან, ფართოდ გამოიყენებოდა ეფექტიანობის განსაზღვრისათვის და საწარმოს მუშაობის შედარებითი შეფარდებისათვის, მაგრამ საკმაოდ ხშირად გვაქვს შემთხვევები, როდესაც ფონდდაბრუნების ერთი და იგივე დონის პირობებშიც კი შესაძარ საწარმოებში გვაქვს სხვადასხვა საფინანსო შედეგები—კერძოდ ერთი საწარმო იღებს მოგებას, მეორეს აქვს წაგება. გვაქვს შემთხვევებიც, როდესაც უფრო მაღალი ფონდდაბრუნების მქონე საწარმოს აქვს წაგება, ხოლო უფრო დაბალი ფონდდაბრუნების საწარმოს, მოგება. ასეთი მდგომარეობა აიხსნება საერთო პროდუქციის სხვადასხვანაირი სტრუქტურით.

საერთო პროდუქციის მნიშვნელოვან ნაწილს, რომელიც ანაზღაურებს მატერიალურ დანახარჯებს და წარმოადგენს ამ დანახარჯების ეკვივალენტს



არა აქვს საერთო იმ ეკონომიურ ეფექტთან, რომელიც ქმნის გაფართოებულ კვლავწარმოებისათვის მატერიალურ პირობებს. აქედან გამომდინარე საერთო პროდუქციის ღირებულების თანხა არ შეიძლება გამოგვადგეს შედარებით ნომიური ეფექტიანობის განსაზღვრის კრიტერიუმად სხვადასხვა საწარმოებში.

მაგრამ შეიძლება თუ არა საერთო პროდუქციის ღირებულებითი ნაწილი — საერთო შემოსავალი, ჩაითვალოს წარმოების ეფექტიანობის შესწავლის თბიექტურ საფუძვლად? მკვლევარ ლ. ს. მიმრიკოვას აზრით არ შეიძლება და რატომ? საერთო შემოსავალი, რომელსაც იღებს საწარმო, ორი ნაწილისაგან შედგება, ხელფასის ფონდისა და წმინდა შემოსავლისაგან. საერთო შემოსავლის ყველაზე დიდი ნაწილი, როგორც ცნობილია, მოდის შრომის ანაზღაურებაზე, რაც უფრო დიდია მისი ხვედრითი წილი საერთო შემოსავალში, მით უფრო ნაკლები იქნება წმინდა შემოსავალი და პირიქით. ამიტომ ორი საწარმო, რომელიც მიიღებს საერთო შემოსავალს აბსოლუტურად ერთი და იგივე ოდენობით, მაგრამ რომლებსაც აქვს საერთო შემოსავლის სხვადასხვა სტრუქტურა, წმინდა შემოსავლის სახით მიიღებენ არათანაბარ ეკონომიურ ეფექტს. ასეთსავე მაჩვენებელს მივიღებთ იმ შემთხვევაშიც, როდესაც საერთო შემოსავლის თანხას შევუფარდებთ საწარმოო ფონდების თანხას.

საჭიროა აქვე აღინიშნოს, რომ საერთო შემოსავალში ხელფასის მაღალი ხვედრითი წონით წარმოდგენა, რომელიც მიდის შრომის ანაზღაურებაზე ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მეურნეობაში მაღალი შრომის ანაზღაურებაა. ეს მდგომარეობა უფრო ხშირად შეიმჩნევა იმ მეურნეობებში, რომლებშიც დაბალია ფონდდაბრუნების მაჩვენებლები.

ამრიგად, მონაცემები მიგვითითებენ, რომ ფონდდაბრუნების უფრო მაღალი მაჩვენებლები, რომელიც გამოანგარიშებულია საერთო შემოსავლის საწარმოო ფონდებთან შეფარდებით, ჯერ კიდევ არ ნიშნავს მაღალ ეკონომიურ ეფექტს. მაგრამ, ამასთან ერთად საერთო პროდუქციისა და საერთო შემოსავლის მიხედვით ფონდდაბრუნების გაანგარიშებას და ამ მაჩვენებლების გამოყენებას ერთი მეურნეობის (კოლმეურნეობის) ფარგლებში ანალიზისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მაგრამ თუ გვსურს რამოდენიმე მეურნეობის თბიექტური ეკონომიური შედარებითი ანალიზი, ეს მაჩვენებლები არ გამოგვადგება.

იმ მომენტისათვის, როდესაც გაირკვევა საბოლოო წლიური შედეგები, გამოვლინდება საერთო შემოსავლის სიდიდეები, პირველი მისი ნაწილი წინასწარ იქნება ცნობილი, ვინაიდან იგი ფიქსირებულია ხელფასის ფონდში. საჭიროა აღინიშნოს, რომ საერთო შემოსავლის ის ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია ხელფასის სახით შედარებით მყარი სიდიდეა. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მისი სიდიდე ოდნავ მერყეობს 3—5 წლის განმავლობაში. ყოველ სამეურნეო პერიოდში ხელფასის ოდენობა შეზღუდულია წარმოების მასშტაბით, ძირითადი და საბრუნავი ფონდების სიდიდით, შრომისნაყოფიერების დონით. თითოეული მეურნეობა სამეურნეო წლის დასაწყისში ხელფასისათვის გამოჰყოფს თანხის ზუსტად იმ რაოდენობას, რამდენიც საჭიროა, გამოდის რა წინასწარ დადგენილი გამომუშავების ნორმებიდან და მის შეფასებებიდან, წარმოების მოცულობიდან და ა. შ. ამრიგად, წინასწარ ფიქსირებულ ხელფასის ფონდს,



რომელიც უმთავრესად დაკავშირებულია სამუშაო ძალის მარტივ კვლავწარმოებასთან, როგორც წესი, არავითარი ურთიერთობა არა აქვს კვლავწარმოების წყაროსთან (იგულისხმება სამუშაო ძალა. ჩვენ ვაში ღროებით არ ვიღებთ მხედველობაში შრომისნაყოფიერების მაჩვენებლებს).


განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახლად შექმნილი ღირებულების იმ ნაწილის შესწავლა, რომელიც წარმოდგენილია წმინდა შემოსავლის სახით. ეს უკანასკნელი საერთო შემოსავლის პირველ ნაწილთან (ე. ი. ხელფასის ფონდთან) შედარებით ნაკლებ მყარია. მისი სიდიდე ემყარება მთელ რიგ ფაქტორებს და ამიტომ მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის წლების მანძილზე. ვინაიდან წმინდა შემოსავალი გაფართოებული კვლავწარმოების საფუძველია ამიტომ ცვლილებანი, რომელსაც იგი განიცდის წლების მანძილზე სერიოზულ სიძნელეებს ქმნის სამეურნეო ღონისძიებების გატარებისათვის.

მეურნეობის წმინდა შემოსავალი სრული სამეურნეო ანგარიშის პირობებში ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს სამეურნეო ბაზის ზრდისა და სრულყოფისათვის და მათ შორის ხელფასის ზრდისათვის. მხოლოდ წმინდა შემოსავალი გვიჩვენებს ეკონომიური ეფექტიანობის ნამდვილ სიდიდეს. სხვანაირად რომ ვთქვათ, წარმოების ეკონომიური ეფექტიანობის გაგება გულისხმობს შექმნილი საერთო შემოსავლის არა მთლიან ღირებულებას, არამედ მის იმ ნაწილს, რომელიც წარმოადგენს ე. წ. ნამატს, რომელიც დაგვრჩება ხარჯების შემდეგ და გამოდის წმინდა შემოსავლის სახით.

როგორც ცნობილია, სას. სამეურნეო საწარმოებში საკუთარი წარმოების პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილის რეალიზაცია არ სწარმოებს და არ გამოიყენება შიგნამეურნეო საჭიროებისათვის, ამიტომ წმინდა შემოსავლის სიდიდე არ ემთხვევა მოგების სიდიდეს. იმ პროდუქტიაში, რომელიც დარჩა მეურნეობაში, შეიძლება განხორციელებული იყოს ზედმეტი შრომის გარკვეული ნაწილი, რაც გულისხმობს აგრეთვე ზედმეტ პროდუქტსაც, რომლის ღირებულებაც მოგებასთან ერთად უნდა მივიღოთ მხედველობაში წარმოების ეფექტიანობის განსაზღვრისას. ის გარემოება, რომ საერთო პროდუქციის ღირებულება იყოფა შემადგენელ ნაწილებად წმინდა შემოსავლის ჩათვლით გვკარნახობს ამ სიდიდის გაანგარიშების მეთოდსაც.

თეორიულად წმინდა შემოსავლის გაანგარიშება არ წარმოადგენს სიძნელეს. ამისათვის საჭიროა საერთო პროდუქციის ღირებულებას გამოვაკლოთ წარმოების დანახარჯები.

იმისათვის, რომ გავარკვიოთ მეურნეობაში (ან კოლმეურნეობაში) სულ შექმნილი წმინდა შემოსავლის სიდიდე, ჩვენ გამოვდივართ იმ მოსაზრებებიდან, რომ სოფლის მეურნეობაში შექმნილი მთელი პროდუქტია როგორც სასაქონლო, ისე არასასაქონლო, შეფასებული უნდა იქნას სარეალიზაციო ფასებში. ასეთი მიდგომა არასასაქონლო პროდუქციის შეფასებაში საშუალებას მოგვცემს გამოვაკლინოთ მეურნეობაში შექმნილი წმინდა შემოსავლის მთლიანი სიდიდე.



კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ზედმეტი პროდუქციის გარკვეული ხვედრითი წონა არასასაქონლო ფორმით რჩება მეურნეობაში და შეცდომა იქნება თუ მათ ღირებულებას არ მივიღებთ მხედველობაში წმინდაწინააღმამის შემოსავლის გაანგარიშებისას. მაშასადამე, რომ განვსაზღვროთ წარმოების ნომიური ეფექტი უპირველეს ყოვლისა, წმინდა შემოსავლის მთლიანი სიდიდე არასასაქონლოს ჩათვლით უნდა შევუფარდოთ საწარმოო ფონდების თანხას. წმინდა შემოსავალი სას. სამეურნეო საწარმოებში გვაქვს არა მარტო მოგების სახით, რომელიც მივიღებთ პროდუქციის რეალიზაციის შედეგად, არამედ იმ ნატურალური ფონდების სახითაც, რომელიც საჭიროა შიგამოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, შეიძლება ითქვას, რომ წმინდა შემოსავალი გვაქვს ერთ-დროულად ორი ფორმით. ნატურალურ ფორმაში იგი გვევლინება როგორც სათესლე, სასილოსე და სხვა ფონდების მატების წყარო, ხოლო ფულად ფორმაში როგორც მოგება. წმინდა შემოსავლის როგორც ფულადი, ისე ნატურალური ფორმა, წარმოადგენს საწარმოო ფონდების ზრდის მატერიალურ საფუძველს და დაკავშირებულია მხოლოდ გაფართოებულ კვლავწარმოებასთან. საკითხის ღრმად შესწავლისათვის საჭიროა გაირკვეს ხელფასისა და რენტაბელობის ურთიერთდამოკიდებულება.

ვინაიდან ხელფასის ფონდი ძირითად საწარმოო და საბრუნავ ფონდებთან ერთად წარმოადგენს წარმოების პროცესისათვის საწყის მომენტს, ამიტომ საჭიროა მისი მხედველობაში მიღება საწარმოო ფონდებთან ერთად. რენტაბელობის განსაზღვრისას ხელფასის ფონდი ასევე უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში. საწარმოო ფონდების მსგავსად, ხელფასის ფონდიც ბრუნვადობის პროცესში იმყოფება მუდმივ მოძრაობას და ცვლილებებში. საწარმოს მიერ ხელფასის გახარჯვა წარმოადგენს წარმოების პროცესში ცოცხალი შრომის გამოყენებას, რომელიც მოითხოვს მუდმივ განახლებას, აღდგენას, ვინაიდან იგი წარმოადგენს მუშაძალის მარტივი კვლავწარმოების საფუძველს, აღნიშნული მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეიძლება იმ შემთხვევაში, როდესაც პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების ნაწილს დაფარავს იმ დანახარჯებით, რომლებიც ამ მიზნით იქნა გახარჯული სამეურნეო წელში. მაგრამ საწარმო არ შეიძლება ტკეპნიდეს ერთ ადგილს, იგი ვითარდება, იზრდება ძირითადი და საბრუნავი ფონდები, იზრდება წარმოების მასშტაბები და ა. შ. ყოველივე ეს იწვევს, რასაკვირველია, სამუშაო ძალის გაფართოებულ კვლავწარმოებას, რაც გამოიხატება როგორც მუშაკთა რაოდენობისა და მათი კვალიფიკაციის ზრდით, ასევე მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებითაც.

ხელფასის ფონდის აღრიცხვა საწარმოო ფონდების დონეზე რენტაბელობის განსაზღვრისათვის ნიშნავს იმას, რომ მოგება წარმოადგენს გაფართოებული კვლავწარმოების წყაროს, არა მარტო საწარმოო ფონდების მატერიალურ ნივთობრივი ელემენტებისათვის, არამედ იგი წარმოადგენს მუშაძალის გაფართოებული კვლავწარმოების წყაროსაც.

ცალკეული საწარმოების მონაცემები გვიჩვენებენ, რომ ხელფასის გათვალისწინებით რენტაბელობის დონე შესამჩნევად მერყეობს. რენტაბელობის მერყეობა დამოკიდებულია იმაზე, რომ ძირითადი და საბრუნავი ფონდების მა-

ტერიალურ-ნივთობრივი ელემენტების ერთი და იგივე სიდიდეები. შეიძლება მოყვანილი იქნან მოქმედებაში ცოცხალი შრომის სხვადასხვა რაოდენობით, სხვანაირად რომ ვთქვათ, აქ მნიშვნელოვან როლს თამაშობს ცხოველურ-მოების საერთო რესურსების ორგანული შემადგენლობის სხვადასხვაობა.

რენტაბელობის მაჩვენებელი, რომელიც გაანგარიშებული იქნება როგორც მოგების და ხელფასის ფონდის შეფარდება საწარმოო ფონდებთან, უფრო მეტად ასახავს საწარმოს ნამდვილ მატერიალურ შესაძლებლობებს.

ვანვიხილოთ იდეალური შემთხვევა. ორ საწარმოს, ვთქვათ, აქვთ ძირითადი და საბრუნავი ფონდები ერთნაირი ღირებულების და მათ მიიღეს მოგების ერთნაირი თანხა, ხოლო ხელფასის ფონდი მათ სხვადასხვა აქვთ. რენტაბელობის დონე ამ შემთხვევაში იქნება სხვადასხვანაირი (იხ. ცხრილი).

საწ.	ძირითადი და საბ. ფონდების თანხა (ათას მან.)	მოგების თანხა (ათას მან.)	რენტ. % ხელფასის გარეშე	ხელფასის თანხა (ათას მან.)	რენტ. % ხელფასის გათვალისწ.
1	300	100	30	150	26
2	300	100	30	300	23

როგორც ვხედავთ ხელფასის ფონდის გარეშე რენტაბელობის დონე ორივე საწარმოს ერთნაირი აქვს, გამოდის რომ ამ ორ საწარმოს აქვს ერთნაირი შესაძლებლობები ფონდების კვლავწარმოებისათვის, რომ ისინი იმსახურებენ ერთნაირ შეფასებას და ერთნაირ წახალისებას მაგრამ, როდესაც რესურსების შემადგენლობაში შევიყვანეთ ხელფასის ფონდის მაჩვენებლები, რენტაბელობის მაჩვენებლები გახდა სხვადასხვა, ეს მიუთითებს იმაზე, რომ საწარმოებს აქვთ სხვადასხვა შესაძლებლობანი როგორც საწარმოო ფონდების ზრდის უზრუნველყოფისათვის, ისე ხელფასის ფონდისათვის, მათი საქმიანობაც უნდა შეფასდეს სხვადასხვანაირად.

რენტაბელობის დონეში არსებული განსხვავება თავის გავლენას ახდენს წამახალისებელი ფონდების ოდენობაზე და სახელმწიფოებრივ გადასახადებზე, აგრეთვე იმ თანხაზე, რომელიც გამოიყოფა მოგებიდან კაპიტალისათვის და სხვა მიზნებისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ხელფასის ფონდის საწარმოო ფონდებთან აღრიცხვის აუცილებლობა, რენტაბელობის დონის განსაზღვრისას თავისთავად ვერ სწყვეტს ძირითად საკითხს, საჭიროა განსაზღვრულ იქნეს შრომის ანაზღაურების ის ოდენობა, რომელიც უნდა იქნეს აღრიცხული რენტაბელობის განსაზღვრისას. ზოგიერთი ეკონომისტის აზრით, საჭიროა ამ მიზნისათვის გამოყენებულ იქნეს, ხელფასის წლიური ფონდი მთლიანად, მეორენი ფიქრობენ რომ გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ ორკვირიანი ანაზღაურება ისინი ეყრდნობიან იმ მოსაზრებას, რომ ხელფასის გაცემა თვეში წარმოებს ორჯერ (ორი კვირის შუალედით) და იგი თავის გამოხატულებას პოულობს საბრუნავ ფონდებში.



როგორც ვხედავთ, ხელფასის ოდენობის აღრიცხვაში აქ სულ სხვადასხვა პრინციპებია. ამიტომ, ძნელია მოიძებნოს ერთნაირი კრიტერიუმი საკითხის დასაწყვეტად, კერძოდ იმ ხელფასის ოდენობის ზღვარი, რომელიც უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული საწარმოო ფონდებთან ერთად, რენტაბელობის განსაზღვრისას.

საწარმოო პროგრამის შესრულებისათვის საწარმოებს (მათ შორის სას.სამ. საწარმოებსაც) აქვთ გარკვეული თანხის რესურსები, რომლებიც წარმოდგენილია ძირითადი და საბრუნავი ფონდებით, რომლებიც მოქმედებაში მოდიან მხოლოდ ცოცხალი შრომის გამოყენების გარკვეული ოდენობით, მისი რაოდენობა უნდა იყოს საწარმოო ფონდების ოდენობასთან ზუსტ შეთანაწყობაში.

არსებობს კანონზომიერი კავშირები საწარმოო ძირითად და საბრუნავ ფონდებსა და ხელფასის ფონდს შორის. ეს კავშირები უფრო იოლად შეიმჩნევა ხელფასის ფონდსა და საბრუნავ ფონდებს შორის, ვინაიდან მათი ბრუნვალობის მექანიზმი ერთნაირია.

ძირითადი ფონდების ფუნქციების პერიოდი დიდია, მისი ბრუნვალობის ვადა ხშირ შემთხვევაში რამოდენიმე წელს უდრის, ხოლო ამ პერიოდის განმავლობაში საბრუნავი საშუალებები და მათ შორის ხელფასიც ასწრებს რამოდენიმეჯერ ბრუნვას, მათი ბრუნვალობის ვადები ერთმანეთს ემთხვევა, სწორედ ეს იწვევს მათ შორის მჭიდრო კავშირის არსებობის აუცილებლობას, რომელიც უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში რენტაბელობის განსაზღვრისას.

ნედლეულისა და მასალების ახლად შექმნილ პროდუქციაში მატერიალიზება საწარმოებს მხოლოდ ცოცხალი შრომის მონაწილეობის შედეგად და, მაშასადამე, აქ გაიხარჩება ხელფასის ფონდი ე. ი. საბრუნავი ფონდები და საშუალებები შრომის ანაზღაურებაზე გაიხარჩება ერთდროულად და წარმოადგენენ ერთმანეთის თანამგზავრებს.

დამახასიათებელ მოვლენას წარმოადგენს ის, რომ იმ პერიოდის სიდიდე, რომლისთვისაც გამოიყოფა საბრუნავი ფონდები ნორმატივების სახით მერყეობს სხვადასხვა მიმართულების საწარმოებში. შესაბამისად მერყეობს აგრეთვე იმ საბრუნავი ფონდების სიდიდე, რომელიც იმყოფება მეურნეობაში მიმდინარე წლის დასაწყისისათვის.

ანალიზმა გვიჩვენა, რომ რაც უფრო ხანგრძლივია საწარმოო ციკლი მით უფრო მაღალია ნორმატივები და წლის დასაწყისისათვის საბრუნავი ფონდების ფაქტიური თანხები, მაგრამ ის საბრუნავი ფონდები, რომლებიც გვაქვს წლის დასაწყისისათვის, წარმოადგენს მხოლოდ წლიური თანხის ნაწილს, თუ გადავხედავთ მონაცემებს იგი მერყეობს 70—85%-მდე.

როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ ხელფასის ფონდის ოდენობის შესაბამისობაზე საბრუნავ ფონდებში, რენტაბელობის განსაზღვრისათვის, მხედველობაში გვაქვს დამთხვევა, არა აბსოლუტურ მაჩვენებლებში, არამედ მათ ხვედრით წონებში.

მთელ რიგ მეურნეობებში, მატერიალური საბრუნავი ფონდების წლიურ მოთხოვნილებასა და ხელფასის ფონდს შორის არსებობს ისეთი ურთიერთობა, რომელიც გამოიხატება 1,5:1. ასეთი შესაბამისობის შედეგად მატერიალუ-

რი დანახარჯების ყოველ მანეთზე მოდის ხელფასის ფონდის 65 კპპ. აღნიშნული სიდიდეების ასეთი შესაბამისობა შენარჩუნებული უნდა იქნეს (რეზერვაცი-ვაშიც, როდესაც ისინი მონაწილეობენ რენტაბელობის განსაზღვრის, აქედნ გამომდინარე, იოლად შეიძლება იმ ხელფასის ფონდის თანხის დადგენა, რომელიც აუცილებელია რენტაბელობის განსაზღვრის დროს.

მნიშვნელოვანია აგრეთვე საკითხი კრედიტის ადგილისა და როლის შესახებ წარმოების ეფექტურობის შეფასების საკითხებში. როგორც ცნობილია, კრედიტით დაიფარება წარმოების სეზონური დანახარჯები (უკმარობა). საკრედიტო რესურსების ანგარიშიდან შეიძლება შეივსოს საწარმოო ფონდების სხვადასხვა ელემენტები, ავანსირებული საწარმოო ფონდების თანაბრად საკრედიტო საშუალებებიც იღებენ აქტიურ მონაწილეობას საწარმოო პროცესში და მოაქვთ გარკვეულ ეკონომიური ეფექტი.


იბადება კითხვა — მიღებული კრედიტის მთლიანი თანხა უნდა იყოს მხედველობაში მიღებული წარმოების რენტაბელობის განსაზღვრისას თუ არა.

რენტაბელობის განსაზღვრის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ყველა სახის კრედიტი, რომელიც მიიღო და გამოიყენა მეურნეობამ საბრუნავი ფონდების შესავსებად და ხელფასის გასაცემად. სხვანაირად რომ ვთქვათ, რენტაბელობის განსაზღვრისას საბრუნავი ფონდების შემადგენლობაში უნდა იყოს ჩართული თანხა, რომელიც მივიღეთ მატერიალურ ფასეულებათა დასაკრედიტებლად და შრომის ანაზღაურებისათვის. რაც შეეხება გრძელვადიან კრედიტს, მისი ათვისება, როგორც წესი, წარმოებს კალენდარული წლის ვადების გარეთ 2—3 და მეტი წლის შემდეგ, ასეთი ობიექტები ეფექტს გვაძლევენ მხოლოდ მოქმედებაში შესვლის შემდეგ, ამიტომ საკითხის დაყენებას გრძელვადიანი კრედიტის ეფექტიანობაზე—სამეურნეო კალენდარული წლისათვის აზრი არა აქვს.

გავრცელებულია აზრი იმის შესახებ, რომ რენტაბელობის განსაზღვრის დროს საწარმოო ფონდებში აღრიცხული უნდა იყოს მიმოქცევის ფონდები და მათი სიდიდე უნდა იყოს მიღებული მხედველობაში. ეს მდგომარეობა ფიქსირებულია რენტაბელობის განსაზღვრის ინსტრუქციაშიც. როგორც ცნობილია, მიმოქცევის ფონდებს გარკვეული ხვედრითი წილი უჭირავს საბრუნავი ფონდების სტრუქტურაში. მთლიანად სახალხო მეურნეობის მასშტაბით მიმოქცევის ფონდების წილად მოდის საწარმოს საბრუნავი ფონდების 20%.

ის საშუალებები, რომლებიც იმყოფებიან მიმოქცევის სფეროში, წარმოადგენენ ობიექტურ აუცილებლობას, მაგრამ ეს იმას არქინშნავს, რომ საწარმოო ფონდების რენტაბელობის განსაზღვრისას ისინი მხედველობაში იქნენ მიღებული.

საწარმოო ფონდების ღირებულების სრული ბრუნვა გულისხმობს, რომ თანხიანთ მოძრაობაში ისინი გადიან საწარმოო ბრუნვადობის ყველა სტადიას, შემდეგ გადადიან მიმოქცევაში, სადაც მიმდინარეობს პროცესი მზა პროდუქციის



ფულად გადაქცევისა და ამ უკანასკნელის საწარმოო ფონდების ელემენტებად გადაქცევის შესახებ. აქედან გამომდინარეობს, რომ მიმოქცევის ფონდები, საწარმოო ფონდების მოძრაობის გარკვეული სტადიაა, რომელთა ღირებულება მათი საწარმოო მოთხოვნების შესაბამისად შედის მზა პროდუქციის ღირებულებაში, თავის მხრივ მზა პროდუქციის რეალიზაციის შესაბამისად საწარმოო იღებს გარკვეულ ფულად თანხას ან იქმნება საშუალებები ანგარიშსწორებაში.

როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში ფული წარმოადგენს თავისთავად საწარმოსათვის წარმოების სფეროში მოხმარებული იმ ძირითადი და საბრუნავი ფონდების ღირებულებას დაბრუნებით ნაწილში (ან რომელიც ექვემდებარება დაბრუნებას), რომელიც მოთავსებულია წარმოებულ პროდუქციის ღირებულებაში. ამიტომ, მიმოქცევის ფონდები—მზა პროდუქცია და ფულადი საშუალებები წარმოადგენენ ძირითად და საბრუნავი ფონდების ღირებულების მატარებლებს.

ეკონომიური ეფექტი წმინდა შემოსავლის სახით ან მისი ნაწილის მოგების სახით იქმნება წარმოების სფეროში საწარმოო ფონდების გამოყენებით, ამიტომ მდებელი ეფექტი უნდა გაიზომოს მხოლოდ იმ ფონდების ღირებულებით, რომლებიც იმყოფებიან წარმოების სფეროში, ე. ი. ძირითადი და საბრუნავი ფონდების თანხით და შრომის ანაზღაურების ფონდით, მიმოქცევის ფონდების გარეშე.

მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მიმოქცევის ფონდების ესა თუ ის მდგომარეობა არ მოახდენს გავლენას რენტაბელობის დონეზე, ასე, მაგალითად, საწარმოს საფინანსო შედეგები გარკვეულადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენ ხანს იმყოფება მზა პროდუქცია საწყობში რეალიზაციის გარეშე, ან ფულადი საშუალებები ანგარიშსწორებაში და ა. შ. ჩვენ ვგულისხმობთ მხოლოდ იდეალურ შემთხვევას, როდესაც წარმოებულ პროდუქციის რეალიზაცია წარმოებს შეუფერხებლად და ანგარიშსწორება დროულად, დაახლოებით ასეთი მდგომარეობა გვაქვს ჩაის მიმართულების მეურნეობაში, სადაც წარმოებული ძირითადი პროდუქცია მთლიანად სასაქონლოა.

საწარმოო ფონდების გამოყენების ეფექტიანობის მაჩვენებელია რენტაბელობა. სასოფლო-სამეურნეო წარმოების რენტაბელობის განსაზღვრის საფუძველს წარმოადგენს საწარმოო ფონდების თანაფარდობა მიღებული პროდუქციის ღირებულების ჯამთან. სოფლის მეურნეობაში ეკონომიური ეფექტიანობის როლში გამოდის როგორც შექმნილი წმინდა შემოსავლის სიდიდე, ისე მისი რეალიზაციო ნაწილის მოგების სიდიდე. ამიტომ, რენტაბელობის განსაზღვრა შეიძლება როგორც წმინდა შემოსავლის სიდიდესთან, ისე მისი რეალიზებულ ნაწილთან მოგებასთან შეფარდებით.

პირველ შემთხვევაში ფორმულას ექნება შემდეგი სახე:
$$P = \frac{r \cdot 100}{\Phi_{оч} + \Phi_{об} + 3n}$$

სადაც r წმინდა შემოსავლის სიდიდეა, $\Phi_{оч}$ ძირ. საწ. ფონდების საშ. წლიური თანხა, $\Phi_{об}$ საბრუნავი ფონდების საშ. წლიური თანხა, $3n$ ხელფასის ფონდი. თუ რენტაბელობას ვავიანგარიშებთ, მოგებასთან შეფარდებით, მაშინ ფორმულას ექნება შემდეგი სახე
$$P = \frac{\Pi \cdot 100}{\Phi_{оч} + \Phi_{об} + 3n}$$
 რენტაბელობის



დონე წმინდა შემოსავალთან შეფარდებით უფრო მაღალია, ვიდრე მოგებასთან შეფარდებით.

საჭიროა აღინიშნოს, რომ წმინდა შემოსავლის ცალკეული ფარდობა წლიდან წლამდე მნიშვნელოვნად მერყეობს. რაც უფრო მეტად გამოწვეულია მეტეოპირობებით და სას.-სამ. წარმოების შედეგებით. ხელსაყრელი წარმოების პირობების დროს შეფარდება წმინდა შემოსავლის ნაწილებში მოგების სასარგებლოდაა და მისი ხვედრითი წილი 75—90% მერყეობს, ხოლო არახელსაყრელი სამეურნეო პირობების დროს იგი არასასაქონლო (არარეალიზებული) ნაწილის სასარგებლოდაა.

რენტაბელობა, რომელიც გაანგარიშებული გვაქვს მოგების მიხედვით, სასაქონლო წარმოების დროს საშუალებას გვაძლევს შევადაროთ სას.-სამ. წარმოების ეფექტიანობა სხვა სხვა მეურნეობის საქონელბრუნვაში მისი წვლილის მიხედვით, ამიტომ იმ რენტაბელობის მკვეთრი დაცემა, რომელიც გაანგარიშებულია მოგების მიხედვით ნიშნავს იმას, რომ მკვეთრად შემცირდა სასაქონლო წარმოების ეფექტიანობა.

რენტაბელობა შეიძლება გაანგარიშებული იქნას სასოფლო-სამეურნეო საწარმოს შემდეგი ასპექტების მიხედვით:

ძირითადი საქმიანობისათვის, საწარმოო საქმიანობისათვის (დამხმარე მეურნეობის ან წარმოების ჩათვლით) საწარმოს მთელი საქმიანობისათვის (არასაწარმოო სფეროს ჩათვლით) პირველი ორი შემთხვევა გვიჩვენებს წარმოების რენტაბელობის, ხოლო მესამე შემთხვევაში იგულისხმება საწარმოს სამეურნეო საწარმოო საქმიანობა ერთად აღებული. თავისთავადია, რომ იმისათვის რათა ჩავატაროთ სწორი ანალიზი საჭიროა გვქონდეს რენტაბელობის მაჩვენებლები მეურნეობის საქმიანობის ყველა სფეროსათვის.

საჭიროა გვახსოვდეს, რომ რაც უფრო დაბალია ფონდების საწარმოო გამოყენების მაჩვენებელი ერთი და იგივე სახის პროდუქციის ერთეულზე სხვადასხვა მეურნეობაში, რომლებიც დაახლოებით ერთნაირ საწარმოო პირობებში იმყოფებიან, მით უფრო მეტი საშუალებები რჩება მოგების მისაღებად და საბოლოო ანგარიშით რენტაბელობის ზრდისათვის, მაშასადამე, საწარმოო დანახარჯის შემცირება რენტაბელობის ამაღლების ძირითადი გზაა.

რენტაბელობის განსაზღვრის ერთ-ერთი წესია აგრეთვე მოგების თვითღირებულებასთან შეფარდება, ამ დროს არ არის გათვალისწინებული ყველა ის გამოყენებული რესურსები, რომლებიც მოხმარდა წარმოებას, გათვალისწინებულია მხოლოდ ის, რომელიც უშუალოდაა გადატანილი პროდუქციაზე და შედის მის ღირებულებაში.

როდესაც რენტაბელობას ვანგარიშობთ ფონდების მიხედვით მაშინ ვღებულობთ საწარმოს საქმიანობის ყოველმხრივ სურათს როგორც ძირითადი საქმიანობის შედეგებს, ისე დამხმარე და არასაწარმოო საქმიანობის შედეგებსაც, ამიტომ ამა თუ იმ სასოფლო-სამეურნეო საწარმოს საქმიანობის შესწავლა უნდა მოხდეს მხოლოდ საწარმოო ფონდებთან მჭიდრო ურთიერთკავშირში.



ლ. ჩარქსელიანი

**წარმოების ორგანიზაციისა და ეკონომიკის ზოგიერთი საკითხი
საბჭოთა მეურნეობაში**

სკკ XXIV ყრილობის დირექტივებით დიდი ამოცანები დასახული საბჭოთა მეურნეობების წინაშე შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების ანაზღაურების მოწესრიგებისა და მუშაკთა მატერიალური დაინტერესების გადიდების დარგში.

ვ. ი. ლენინი საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებშივე დიდ როლს ანიჭებდა სოფლად სახელმწიფო მეურნეობების შექმნას, რადგანაც მასში ხედავდა სოციალისტურ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციის უმნიშვნელოვანეს საშუალებას. ლაპარაკობდა რა საბჭოთა მეურნეობების როლსა და მნიშვნელობაზე, ის წერდა, რომ მსხვილ მეურნეობებში ყველაფერი უნდა კეთდებოდეს — „უკეთესად, ვიდრე წინათ, უფრო იაფად, ვიდრე წინათ და უფრო მეტი, ვიდრე წინათ“¹.

საბჭოთა მეურნეობები სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში წარმოადგენენ სახელმწიფო ორგანიზაციებს, რომლებსაც კოლმეურნეობებთან შედარებით ახასიათებთ წარმოების საშუალებათა განსაზოგადოების, საქონლიანობის, მექანიზაციისა და შრომის ორგანიზაციის უფრო მაღალი დონე.

ამის გამო საბჭოთა მეურნეობების რიცხვი სისტემატურად იზრდება ჩვენს ქვეყანაში. კერძოდ, თუ 1960 წელს ყველა მიმართულების საბჭოთა მეურნეობები სსრ კავშირში შეადგენდა 7375-ს, 1970 წლისათვის მათი რიცხვი ორჯერ და უფრო მეტად 14994-მდე გაიზარდა. საქართველოში კი ამავე პერიოდში საბჭოთა მეურნეობათა რაოდენობა გადიდა 147-დან 231-მდე.

საბჭოთა მეურნეობებში ისე, როგორც სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში, შრომა ორგანიზებულია კოოპერაციის საფუძველზე, ე. მარქსის განმარტებით „შრომის ისეთ ფორმას, როდესაც მრავალი პირი წარმოების ერთსა და იმავე პერიოდში, ანდა წარმოების სხვადასხვა, მაგრამ ერთმანეთთან დაკავშირებულ პროცესში გვემართებოდეს ერთიმეორის გვერდით შეერთებულად მუშაობს კოოპერაცია ეწოდება.“²

მუშაკთა ერთობლივი, ანუ კოოპერაციული შრომის სწორი ორგანიზაცია ყოველი საწარმოს წარმატებათა საწინდარია, ამიტომ შრომის ორგანიზაციის

¹ ვ. ი. ლენინი — თხზ., ტ. 29, გვ. 35.
² ე. მარქსი — კაპიტალი, ტ. 1, გვ. 413.



მოწესრიგება საბჭოთა მეურნეობებში წარმოადგენს საზოგადოებრივი წესების ნაყოფიერების გადიდების უმნიშვნელოვანეს პირობას.

ვ. ი. ლენინის სწავლებით შრომის ორგანიზაცია ცალკეულ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში წარმოადგენს საზოგადოებრივი წარმოების ყველაზე მთავარ, ძირითად და საჭირობო საკითხს. მისი აზრით შრომის რაციონალურ ორგანიზაციას სოციალისტურ საზოგადოებაში შეუძლია შექმნას შრომის მანამდე არნახული ნაყოფიერება, რაც აუცილებელია კაპიტალიზმზე საბოლოო გამარჯვებისათვის. „შრომის ნაყოფიერება — წერდა ვ. ი. ლენინი,—ეს საბოლოო ანგარიშში ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარია ახალი საზოგადოებრივი წყობილების გასამარჯვებლად. კაპიტალიზმმა შექმნა შრომის ნაყოფიერება, რომელიც გაუგონარი იყო ბატონყმობის დროს. კაპიტალიზმი შეიძლება საბოლოოდ დამარცხდეს და კიდევაც დამარცხდება საბოლოოდ იმით, რომ სოციალიზმში შექმნის შრომის ახალ, გაცილებით უფრო მაღალ ნაყოფიერებას“¹.


მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა მეურნეობები ერთნაირი სოციალური ბუნებისა არიან, შრომის ორგანიზაციის ფორმები არ შეიძლება ერთნაირი იყოს ჩვენი ქვეყნის ყველა რაიონისა და ზონისათვის, საბჭოთა მეურნეობების წარმოების სხვადასხვა დარგებისათვის. ისინი იცვლებიან შრომის პირობების ცვლილებებთან ერთად. განსხვავებით მრეწველობისაგან, სადაც ყოველი მუშის შრომა სპეციალიზებულია, სოფლის მეურნეობაში მუშა ასრულებს ბევრ ოპერაციას, მონაწილეობს რა შრომის პროცესში დასაწყისიდან მზა პროდუქციის მიღებამდე.

საბჭოთა მეურნეობებში შრომის ორგანიზაციის უმნიშვნელოვანეს მოთხოვნას წარმოადგენს მიწისა და წარმოების სხვა საშუალებების გამოყენებაში გაუპიროვნების ლიკვიდაცია, ყოველდღიური ზრუნვა მიწის ნაყოფიერების გადიდებისათვის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებისათვის.

შრომის სწორი ორგანიზაცია გულისხმობს: ა) წარმოების პროცესში მომუშავეთა გამოყენების საუკეთესო ფორმას, რასაც წინ უძღოდეს მათი შერჩევა და განაწილება წარმოების მოთხოვნილების შესაბამისად, ბ) გამომუშაების ნორმების სწორად დადგენას სამუშაოთა სახეების მიხედვით, გ) შრომის ანაზღაურების სწორი სისტემისა და ფორმის შემუშავებას და დანერგვას მომუშავეთა მატერიალური დაინტერესების ამაღლების უზრუნველსაყოფად.

თანამედროვე ეტაპზე საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციული სტრუქტურის ძირითად ფორმას წარმოადგენს განყოფილება, საწარმოო ბრიგადა და ფერმა. მათ შორის უპირატესი როლი ენიჭება საწარმოო ბრიგადას, რადგანაც იგი იქმნება, როგორც მემცენარეობაში, ისე მეცხოველეობაში, ამაღნად ბრიგადული შრომის სწორი ორგანიზაცია უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელ ზრდას და ამასთან ერთად კოლექტიური ფსიქოლოგიის, ჩვევების გამომუშავება-განმტკიცებას. ბრიგადის გამოყოფას და დაკომპლექტე-

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, 499.



ბას საფუძვლად უდევს საწარმოო პრინციპი. ეს იმას ნიშნავს, რომ მისი მიზანმიმართული მადგენლობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საწარმოო კვალიფიკაცია და გამოცდილება. პარტიული და კომკავშირული აქტივის განაწილება ბრიგადებს შორის და აგრეთვე მუშათა დასახლების ადგილი.

ბრიგადის სიდიდის განსაზღვრაზე გავლენას ახდენს პირობათა მთელი წყება, რომელთა შორის მნიშვნელოვანია:

1. მეურნეობის სპეციალიზაცია და მისი საწარმოო მიმართულება,
2. საწარმოო პროცესების მექანიზაციის დონე.
3. ბრიგადაზე კონკრეტულ-ოპერატიული ხელმძღვანელობის განხორციელების შესაძლებლობა.

მემცენარეობაში ბრიგადები იქმნება კულტურის ან კულტურათა ჯგუფის მომსახურებისათვის: მევენახეობის, მეჩაიეობის, მემინდვრეობის, საკვებმოპოვების და ა. შ.

მეცხოველეობაში — პირუტყვის სახეებისა და ჯგუფების მიხედვით: მწველავთა, მეხბორეთა, მშრალი პირუტყვის მომვლელთა, მელორეთა, მეცხვარეთა და ა. შ.


შიგაბრიგადული შრომის ორგანიზაცია გულისხმობს ბრიგადის შიგნით მომუშავეთა შრომის სწორ გამოყენებას. ამიტომაც ბრიგადების შიგნით იქმნება რგოლები, ამა თუ იმ კულტურის ან პირუტყვის ჯგუფის მომსახურებისათვის.

ბოლო წლებში მექანიზაციის ფართოდ გამოყენებასთან დაკავშირებით ჩვენს ქვეყანაში ფართო გავრცელება ჰპოვა კომპლექსური მექანიზაციის რგოლებმა, რომლებიც ხშირად ბრიგადებს ცვლიან.

ამრიგად, საბჭოთა მეურნეობების განვითარების თანამედროვე ეტაპზე მეურნეობებისადმი ხელმძღვანელობა ხორციელდება შემდეგი პრინციპის მიხედვით: საბჭოთა მეურნეობა-განყოფილება-ბრიგადა-რგოლი. კომპლექსური რგოლების ან რაზმების არსებობისას: საბჭოთა მეურნეობა-განყოფილება კომპლექსური მექანიზაციის რგოლი-რაზმი.

საბჭოთა მეურნეობებში პროდუქციის წარმოების სახელმწიფო გეგმების შესრულებისათვის მუშათა შრომის მობილიზაციის საქმეში დიდი როლი ენიჭება შრომის დისციპლინის განმტკიცებას. იგი უზრუნველყოფს მეურნეობის საწარმოო ერთეულების მიხედვით თითოეული მუშის მიერ მასზე დაკისრებულ მოვალეობის პირნათლად შესრულებას, სამუშაო დროის რეჟიმის მტკიცედ დაცვას. არსებითად შრომის დისციპლინის განმტკიცება ნიშნავს საბჭოთა მეურნეობის შინაგანაწესის წესების საფუძველზე სამუშაო დღის მტკიცე რეჟიმის დაცვას, თითოეული მუშის სამუშაოზე დროულად გამოსვლას და მონაწილეობის მიღებას, მუშაობის ხარისხობრივად ჩატარებას და ხელმძღვანელთა მითითების შესრულებას.

საწარმოო დავალებათა შესრულების საქმეში მუშათა დარაზმვის ყველაზე უფრო მასიურ და ყოვლისმომცველ ფორმას საწარმოო ერთეულებს შორის სოციალისტური შეჯიბრების გაშლა წარმოადგენს.



სოციალისტური შეჯიბრების დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა იმა-
ში მდგომარეობს, რომ ის ავითარებს მასებში ამხანაგობის, თანამშრომელ-
სა და ურთიერთდახმარების სულისკვეთებას, წამოსწევს ჩამორჩენილ
წინავეებამდე და აჩქარებს საზოგადოებრივი წარმოების ზრდას.

შრომის რაციონალური ორგანიზაციის ორგანულ, შემადგენელ ნაწილს
შრომის ნორმირება წარმოადგენს. გამომუშავების ნორმა უნდა იყოს ისეთი,
რომელსაც შეასრულებს კეთილსინდისიერად მომუშავე შრომისუნარიანთა
უმრავლესობა ერთ სამუშაო დღეში, ტექნიკური შეიარაღებისა და შრომის ნა-
ყოფიერების მიღწეული დონის პირობებში. სამუშაო პროცესების დანორმვი-
სას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ნორმის დიფერენცირება ადგილო-
ბრივი, კონკრეტული პირობების შესაბამისად.

გამომუშავების ტექნიკურად დასაბუთებული ნორმები საბჭოთა მეურნე-
ობებში შრომითი დანახარჯების, მანქანა-იარაღების საჭირო რაოდენობის,
ცალკეულ სამუშაოთა შესრულების ვადების, შრომის ანაზღაურებაზე საჭირო
თანხების რეალური დაგეგმვის საშუალებას წარმოადგენს. ტექნიკური ნორმი-
რება წარმოებს შემდეგი თანმიმდევრობით:

1. შრომის პროცესისა და მასზე მოქმედი პირობების ზეგავლენის შესწავ-
ლა სამუშაო დროის საუკეთესო რეჟიმის დასადგენად.
2. მეცნიერულად დასაბუთებული გამომუშავების ნორმების დადგენა წარ-
მოების პირობის გათვალისწინების საფუძველზე.
3. ახალი, საშუალო პროგრესიული ნორმებისა და შრომის ორგანიზაციის
საუკეთესო ხერხების დანერგვა წარმოებაში.

შრომის პროცესის შესწავლისათვის იყენებენ ორ მეთოდს:

- ა) სამუშაო დროის ფოტოგრაფიას და
- ბ) ქრონომეტრაჟს.

სამუშაო დროის ფოტოგრაფია წარმოადგენს მუშაობის პროცესის სურა-
თის ასახვას ყველა სამუშაო ოპერაციის თანმიმდევრულად ჩაწერის გზით. და-
კვირვების ობიექტის მიხედვით სამუშაო დროის ფოტოგრაფია შეიძლება იყოს
ინდივიდუალური, ჯგუფური და ბრიგადული.

ქრონომეტრაჟის მეთოდი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როც გვსურს სა-
მუშაო ოპერაციების უფრო ღრმად და დეტალურად შესწავლა. იგი, როგორც
წესი, შეეხება არა მუშაობის მთელ პროცესს, არამედ იმ ოპერაციების შესწავ-
ლას, რომელთაც დიდი ხვედრითი წონა უჭირავთ მთელ სამუშაო პროცესში.

სამუშაოს ტექნიკური დანორმვის შემდეგ შრომის ორგანიზაციის მნიშვ-
ნელოვან ნაწილს წარმოადგენს მუშათა შრომის ანაზღაურების ორგანიზაცია.

საბჭოთა მეურნეობებში მუშათა შრომის ანაზღაურების ორგანიზაციის
საფუძველს, ისევე როგორც სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში, სატარიფო
სისტემა შეადგენს, რომლის ელემენტებია სატარიფო ბადეები (განაკვეთები)
სატარიფო-საკვალიფიკაციო ცნობარები, ანუ ტარიფიკაციის ცნობარები.

საბჭოთა მეურნეობებში, სამრეწველო საწარმოებისაგან განსხვავებით
შრომის ანაზღაურების თავისებურებებს შეადგენს ის, რომ სოფლის მეურნე-



ობის მუშებს სატარიფო თანრიგები კი არ ენიჭებათ, არამედ ხდება მათ მიერ შესრულებულ სამუშაოთა ტარიფიკაცია.

სამუშაოთა თანრიგებზე მიკუთვნება ხდება მემცენარეობასა და ვეღობაში მექანიზებული და ხელითა და ცხენით სამუშაოების ტარიფიკაციის ცნობარების საფუძველზე.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების პირობებში მექანიზატორების და სხვა მაღალკვალიფიციური მუშაკების შრომის ფართოდ გამოყენებასთან ერთად დიდი ხვედრითი წონითაა წარმოდგენილი ხელისა და ცხენის სამუშაოები რომლებიც, როგორც წესი, დაბალი და საშუალო კვალიფიკაციის მუშების მიერ სრულდება. იმისათვის, რომ არ იქნას დაშვებული გათანაბრება სხვადასხვა კვალიფიკაციის მუშების შრომის ანაზღაურებაში, კანონმდებლობით გათვალისწინებულია ორი ექვსთანრიგიანი სატარიფო ბადე. ერთი ტრაქტორისტ-მემანქანეთა შრომის ანაზღაურებისათვის და მეორე მემცენარეობასა და მეცხოველეობაში ცხენითა და ხელით შრომაზე დასაქმებულთათვის.

სატარიფო ბადეებში გათვალისწინებულია დღიური სატარიფო განაკვეთები ნარდად და დროით მომუშავეთათვის. პირველ და მეექვსე თანრიგების შეფასებას შორის განსხვავება ტრაქტორისტ-მემანქანეებისათვის არის 1:2,1, ხოლო ხელითა და ცხენით სამუშაოებზე 1:1,3.

ტრაქტორისტ-მემანქანეებისათვის შემოღებულია შრომის ანაზღაურების სატარიფო განაკვეთების სამი ჯგუფი. ეს იმით აიხსნება, რომ მინდვრის სამუშაოთა ხანგრძლივობა ქვეყნის სხვადასხვა ზონაში სხვადასხვაა. იმ რაიონებისათვის, სადაც მინდვრის სამუშაოები მოკლეა, გათვალისწინებულია უფრო მაღალი სატარიფო განაკვეთები, ხოლო სამხრეთის რაიონებისათვის, კერძოდ საქართველოსათვის უფრო დაბალი.

შრომის ანაზღაურება მუშებისა, რომლებიც დასაქმებული არიან მეცხოვეღობაში, როგორც წესი, ხდება წარმოებული პროდუქციის ერთეულზე. შეფასებები განისაზღვრება პროდუქციის წარმოების დაწესებული გეგმის და ხელფასის სატარიფო ფონდიდან გამომდინარე, რაც ფერმის მიერ ჩასატარებელ სამუშაოების საგეგმო მოცულობის მიხედვით უნდა იქნას გაანგარიშებული.

პროდუქციის წარმოების გაზრდისათვის მუშების მატერიალური წახალისების მიზნით შეფასებები პროდუქციისათვის წესდება სატარიფო განაკვეთის 125 პროცენტის ანგარიშით.

პროდუქციაზე შეფასებები შეიძლება დაწესდეს ერთიანი მთელი წლისათვის ან დიფერენცირებულად წლის პერიოდების მიხედვით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს 1970 წლის 2 აპრილის №—227 დადგენილების შესაბამისად, საბჭოთა მეურნეობებში ამჟამად მოქმედებს მუშათა შრომის ანაზღაურების სანარდო-პრემიალური სისტემა.

შრომის ანაზღაურების სანარდო-პრემიალური სისტემა ერთმანეთს უხამებს პირდაპირ სანარდო ანაზღაურებასა და პრემიების გაცემას მუშაობაში რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შესრულებისა და გადაჭარბებისათვის. ჯერ ანგარიშობენ პირდაპირ სანარდო გამომუშავებას, შემდეგ




განსაზღვრავენ პრემიის ოდენობას. საერთო ჯამში ეს შეადგენს მუშაკთა მუშაობის
გამომუშავებას.

პრემიები, როგორც წესი ურიცხვბათ პირდაპირი გამომუშავების პროცენტულად ან განსაზღვრული თანხით. შემცენარეობაში სანარდო პრემიალური სისტემით ხდება იმ მუშათა შრომის შეფასება, რომლებიც დასაქმებული არიან მრავალწლიან ნარგავთა მოვლაზე, მათ ნაყოფის მომცემ ასაკში შესვლამდე, მელიორაციულ და კულტ-ტექნიკურ სამუშაოებზე ამავე სისტემით ნაზღაურდება დროებით მუშათა შრომაც.

საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი მუშაკებისა და მთავარი სპეციალისტების თანამდებობრივი ხელფასის განსაზღვრა ხდება საბჭოთა მეურნეობების ჯგუფებზე მიკუთვნებით, რაც თავის მხრივ განპირობებულია რეალიზებული პროდუქციის ოდენობით პირველ ჯგუფს მიეკუთვნებიან საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც ყოველწლიურად 3 მლნ. მან. პროდუქციას აბარებენ, ხოლო მეათეს—0,1—0,2 მლნ. მან.

საბჭოთა მეურნეობების განყოფილებათა გამგეებს და ფერმების უფროსებს, უფროს აგრო-ზოოვეტ და ინჟინერ პერსონალს და განყოფილებისა და ფერმის ფარგლებში მომუშავე სპეციალისტებს თვიური ხელფასი განესაზღვრებათ მათ საწარმოო ობიექტზე წარმოებული მთლიანი პროდუქციის მიხედვით აღნიშნულ კატეგორიის სპეციალისტთათვის განყოფილებები დაჯგუფებულია 6 ჯგუფად. პირველ ჯგუფზე მიკუთვნებულია განყოფილება ან ფერმა მთლიანი პროდუქციის ნორმებით 0,5 მლნ. მან. და მეექვსეზე 0,05 მლნ. მან.-მდე. პრემიების გაცემა ხელმძღვანელ მუშაკებზე ხდება გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის ერთიდან ექვს თვემდე ხელფასის ოდენობით.



გვ. მეცნ. კანდიდატი ღ. ღვებუაძე


ღუშეთის მაზრის სოფლის მეურნეობა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე (1917—1921 წწ.).

ღუშეთის მაზრას ქართველი ხალხის ისტორიაში თვალსაჩინო ადგილი უკავია. ამ მაზრის ტერიტორიაზე მდებარე მცხეთა მონათმფლობელობის ხანის ქართლის სამეფოს დედაქალაქი იყო. შემდგომში მთელი საშუალო საუკუნეების მანძილზე მცხეთა წარმოადგენდა მთლიანი საქართველოს სასულიერო ცენტრს. მცხეთაში აშენებული ჯვრის მონასტერი და სვეტიცხოველის ტაძარი და მცხეთის შემოგარენში არქეოლოგიური გათხრებით ნაპოვნი მატერიალური ძეგლები ბევრ საინტერესოს მოგვითხრობენ საქართველოს ისტორიულ წარსულზე.

ღუშეთის მაზრა წარსულში მრავალი უბედურების მოწმეა. იგი არაერთხელ აუოხრებიათ თურქებსა და ლეკებს, რის შედეგადაც მთელი ეს მხარე გაპარტახებულია და გავერანებულია.

ღუშეთის რაიონის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი, XVI საუკუნის პირველი ნახევრიდან, მეფის გვარეულობის ბაგრატიონების შთამომავალ მუხრანბატონებს ეკუთვნოდა, რომლებიც სასტიკ ექსპლუატაციას უწევდნენ ბარისა და მთიანეთის გლეხობას. ეს კი იწვევდა მშრომელი ხალხის უკმაყოფილებას, ხშირად შეიარაღებულ აჯანყებას. ამის თვალსაჩინო გამოვლინება იყო 1884 წლის 4 აპრილს თავად ივანე მუხრანბატონზე მთიელი გლეხების თავდასხმა და მძიმედ დაჭრა. მაშინდელი ოფიციალური მკვლევარები ამ შემთხვევას, მართალია, არ ფარავენ, მაგრამ როდი მიუთითებენ იმ ობიექტურ მიზეზებზე, რომლებმაც გლეხობა მიიყვანა ტერორისტულ აქტამდე. მიზეზი კი, უდავოდ, იყო გლეხობის მძიმე ეკონომიური მდგომარეობა, როგორშიც ისინი იმყოფებოდნენ ივანე მუხრანბატონის წინაპრების ხელში, ამ მხრივ, თავისი სისასტიკითა და შეუბრალებლობით გამოირჩეოდა ივანეს მამა კონსტანტინე, რომელმაც სისხლში ჩაახშო ღუშეთის მაზრის გლეხთა არაერთი სამართლიანი აჯანყება.

როგორც ისტორიული წყაროებით დასტურდება ღუშეთის მაზრა შეიქმნა 1867 წ. ამ მაზრის საერთო ტერიტორიის ფართობი 1917 წლის მონაცემებით შეადგენდა 388383 ჰა-ს, აქედან სას.-სამ. სავარგული იყო 181000 ჰა, მათგან სახნავზე მოდიოდა 44258 ჰა (24,4%), ვენახებზე 1708 ჰა (0,9%), საკარმიდამო ნაკ-



ვეთებზე 975 ჰა (0,5%), სათიბებზე 5000 ჰა (3,1%), საძოვარ-საბალახოებზე და ბუჩქნარებზე 63060 ჰა (34,8%) და ტყეებზე 65413 ჰა (36,1%).

დუშეთის მაზრის მოსახლეობა შეადგენდა 67931 სულს. აქედან სოფლის მოსახლეობა 66614 სულს, სოფლის ყოველ 100 მცხოვრებზე მოდიოდა 372 ჰა. სასოფლო-სამეურნეო სავარგული, 70 ჰა დამუშავებაში არსებული მიწა და 66 ჰა სახნავი.

დუშეთის მაზრის ბუნებრივ-კლიმატურმა და ეკონომიურმა პირობებმა გარკვეული როლი შეასრულეს მოსახლეობის საქმიანობისა და მეურნეობის მიმართულების ჩამოყალიბების საქმეში. ამ რაიონში ისტორიულად ჩამოყალიბდა სოფლის მეურნეობის ტიპი, რომელსაც მეცხოველეობის მიმართულება აქვს.

სათიბ-საძოვრების საკმაო რაოდენობით არსებობა ხელს უწყობდა მეცხოველეობის განვითარებას მეცხვარეობის სპეციალიზაციით. დამხმარე დარგებიდან ყურადღებას იპყრობს მეღორეობისა და მეფრინველეობის განვითარება.

დუშეთის მაზრის სოფლის მეურნეობის ეკონომიკის განვითარების შესახებ (1917—1921 წწ.) გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს 1-ელი ცხრილი.

საერთო პროდუქციის მოცულობა ფულად გამოხატულებაში მაზრაში 1917 წელს შეადგენს 3745,8 ათას მანეთს, ხოლო 1921 წელს—3345,4 ათას მანეთს, ე. ი. იგი შემცირდა 19,9%-ით.

საერთო პროდუქციის სტრუქტურაში მეცხოველეობას (როგორც ამ მაზრისათვის ძირითად დარგს) 1917 წელს ეკავა 79,3%, ხოლო შემცენარეობას—20,7%; 1921 წელს რამდენადმე შეიცვალა მდგომარეობა და მეცხოველეობამ დაიკავა 59,1%, ხოლო შემცენარეობამ 40,9%.

საერთო პროდუქციის სტრუქტურაში 1917 წელს შედარებით მაღალი ხვედრითი წონა ეკავა შემცენარეობიდან ხორბალს 6,5%, ყურძენს 6,1%, ხილს 4,2%, ხოლო მეცხოველეობიდან რძეს—22,1%, მატყლს—18,2%, ცხვრის ხორცს 10,9%, ძროხის ხორცს 10,2%.

საერთო პროდუქციის შემცირების პროპორციულად შემცირდა ცალკეული პროდუქციის ხვედრითი წონა საერთო პროდუქციის სტრუქტურაში 1921 წელს და შეადგინა ძროხის ხორცმა 9,8%, მატყლმა 5,7%, რძემ—20,0%.

გარკვეული ცვლილება მოხდა საერთო პროდუქციის სტრუქტურაში აღნიშნულ პერიოდში, ასე, მაგალითად, ცხვრის ხორცის ხვედრითი წონა შემცირდა 10,9%-დან 3,4%-მდე, მატყლისა—18,2%-დან 6,7%-მდე, ხოლო ყურძენის ხვედრითი წონა 6,1-დან გაიზარდა 22,9%-მდე. კვერცხის 6,9%-დან 8,6%-მდე და ა. შ.

სასაქონლო პროდუქციის სტრუქტურაში 1917 წელს მეცხოველეობას ეკავა 83,3%, ხოლო შემცენარეობას 16,7%, 1921 წელს მეცხოველეობის სასაქონლო პროდუქციამ შეადგინა 43,7%, შემცენარეობამ—56,3%.

საგრძობლად შემცირდა სასაქონლო პროდუქციის სტრუქტურაში 1921 წელს მატყლის ხვედრითი წონა. ასე, მაგალითად, თუ 1917 წელს მას ეკავა 51,3%, 1921 წელს მან შეადგინა 12,3%, ე. ი. შემცირდა 4-ჯერ. სამაგიეროდ



სოფლის მეურნეობის საერთო და სასაქონლო პროდუქციის დინამიკა

 ეროვნული
 ბიბლიოთეკა

	სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია (მან-ობით)		დინამიკა 1921 წელს 1917 წელთან შედარებით %-ობით	სოფლის მეურნეობის სასაქონლო პროდუქცია (მან-ობით)		დინამიკა 1921 წელს 1917 წელთან შედარებით %-ობით
	1917 წ.	1921 წ.		1917 წ.	1921 წ.	
I მეცხოველეობა						
1. ხორცი:						
ა) ძროხის	382759	328079	85,7	5714	49212	85,7
ბ) კამეჩის	90750	46200	50,9	13613	6930	50,9
გ) ცხვრის	409739	115630	28,2	122922	34699	28,2
დ) ღორის	92880	92880	100,0	18576	18576	100,0
ე) ქათმის	926174	247908	26,8	25117	24296	96,7
სულ ხორცი	1902302	830697	43,7	237642	133713	56,3
2. მატყლი	608357	191517	31,5	597830	100880	16,9
3. რძე	828046	670220	80,9	82805	67022	80,9
4. კვერცხი	259740	284700	109,6	51946	56940	109,6
სულ მეცხოველეობა	3498485	1967134	56,2	970223	358555	37,0
II. მემცენარეობა						
მათ შორის						
ა) ხორბალი	241960	231264	95,6	—	—	—
ბ) ქერი	57796	126856	219,4	—	—	—
გ) სიმინდი	37859	61577	162,6	—	—	—
დ) სხვა მარცვლეული	24069	4012	16,7	—	—	—
სულ მარცვლეული	361684	423709	117,1	—	—	—
კარტოფილი	11600	6024	51,9	—	—	—
ბოსტნეული	14025	14025	100,0	—	—	—
ხილი	158000	158000	100,0	79000	79000	100,0
ყურძენი	120030	766550	638,6	115015	—	—
სულ ხილი და ბოსტნეული	303655	944599	311,1	194015	79000	40,7
სულ მემცენარეობა	665339	1368302	205,6	194015	79000	40,7
სულ მან-ობით	4163824	3335436	80,1	1164238	437555	37,6

გაიზარდა ყურძნის ხვედრითი წონა. თუ მას 1917 წელს ეკავა 9,9%, 1921 წელს შეადგინა 46,7%.

საერთოდ, მეცხოველეობის ხვედრითი წონა შემცირდა 83,3%-დან 43,7%-მდე, ხოლო მემცენარეობის ხვედრითი წონა ამაღლდა 16,7%-დან 56,3%-მდე. საერთო პროდუქციის დინამიკა მოცემულ პერიოდებში შემდეგ სურათს იძლევა. მარცვლეულიდან ქერის წარმოების მოცულობა გაიზარდა 119,4%-ით, სიმინდის 62,6%-ით, მრავალწლიანი კულტურებიდან—ყურძნის 538,6%-ით, მარცვლეულის საერთოდ 17,1%-ით, ხილისა და ბოსტნეულის 211,1%-ით.

სამაგიეროდ მოცემულ პერიოდში მეცხოველეობის საერთო პროდუქციის წარმოება შემცირდა 43,8%-ით, მათ შორის ფრინველის ხორცის—732%-ით, ცხვრის ხორცის 71,8%-ით, კამეჩის ხორცის 49,1%-ით, ძროხის ხორცის—

14,3%-ით. საერთოდ მაზრაში პროდუქციის წარმოება 1921 წელს შემცირდა 19,9%-ით.

მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობის წარმოების საშუალოდ 1921 წელს შემცირდა ცალკეული სახის პროდუქციის მიხედვით იზრდება, მოცემულ პერიოდში, სამაგიეროდ შემცირდა სასაქონლო პროდუქციის წარმოება. ასე, მაგალითად, საერთოდ მაზრაში სოფლის მეურნეობის სასაქონლო პროდუქციის წარმოება შემცირდა 62,4%-ით, მათ შორის მემცენარეობის 59,3%-ით, ხოლო მეცხოველეობის 63,0%-ით, დარგებს შიგნით კი ასეთი სურათია. ცხვრის ხორცის სასაქონლო პროდუქცია შემცირდა 71,8%-ით, კამეჩის ხორცის — 49,1%-ით, მატყლის — 13,1%-ით, რძის — 19,1%-ით, ძროხის ხორცის — 14,3%-ით.

საერთო ანალიზი გვიჩვენებს, რომ 1917 წელთან შედარებით 1921 წლისათვის შემცირდა როგორც საერთო პროდუქციის წარმოება, ისე სასაქონლო პროდუქციის წარმოება, რაც ძირითადად გაპირობებული იყო სოფლის მეურნეობის არასწორი ხელმძღვანელობით; სოფლის მეურნეობის წარმოებაში ძალზე მცირედ ინერგებოდა მეცნიერების უახლესი მიღწევები, ნაკლებად იყო გამოყენებული უახლესი სასოფლო-სამეურნეო მანქანები, ორგანული და მინერალური სასუქები, არავითარი სამუშაოები არ ტარდებოდა მელიორაციის ხაზით და სხვ.

მენშევიკური მთავრობა თავის ბატონობის პერიოდში სამარცხვინო კრახს განიცდიდა როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკაში. სახელმწიფოს უსისტემო მართვის შედეგად ქვეყნის ეკონომიკა მოიშალა და ძალზე დასუსტდა. იგი გადაიქცა იმპერიალისტური სახელმწიფოების სათარეშო არენად.

მენშევიკურ მთავრობასთან შეიქმნა მიწათმოქმედების სამინისტრო, რომელსაც ევალეობდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელმძღვანელობა. იმის საილუსტრაციოდ თუ რაოდენ უმწეობას იჩენდა მენშევიკური მთავრობა და სახელობრ, მიწათმოქმედების სამინისტრო სოფლის მეურნეობის წარმოების გაძლიერების საქმეში, მოგვყავს რამდენიმე მაგალითი დუშეთის მაზრაში განლაგებულ საქვეყნოდ ცნობილ ქართლის საუფლისწულო მამულის სამეურნეო ცხოვრებიდან. ეს კარგად ორგანიზებული და ეკონომიურად ძლიერი მეურნეობა, რომელშიც წარმოდგენილი იყო ქართლის პირობებისათვის დამახასიათებელი თითქმის ყველა დარგი, მენშევიკების ბატონობის პერიოდში მთლიანად გაპარტახდა.

როგორც მიწათმოქმედების სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო და სახელმწიფო მამულების განყოფილების მიერ 1919 წელს ჩატარებული რევიზიის აქტებიდან და მოხსენებითი ბარათებიდან ირკვევა, მამული თავისი ტექნიკური დონით ძალზე ჩამორჩენილი ყოფილა. მის სამეურნეო საქმიანობაში არ იგრძნობოდა ორგანიზატორის ხელი, რომელსაც შეეძლო ადგილობრივი პირობების შესაბამისად შეემუშავებინა კონკრეტული ღონისძიებანი მეურნეობის განვითარებისათვის. აქ საეხებით არ ინერგებოდა ახალი პროგრესული აგროღონისძიებანი, რაც განავითარებდა მამულში წარმოდგენილ დარგებს.

მამულის ხელმძღვანელობა სამეურნეო საქმიანობაში უნიჭობას ამჟღავნებდა.




ნებდა. მაგალითად, მან ვერაფრით ვერ უზრუნველყო ღვინის სარდაფი წყლით. რის გამოც ღვინის გადასხმა 7 თვით შეჩერებულა და ღვინო მოძმარებულა და გაფუჭებულა. 7 თვის მანძილზე სარდაფისათვის იყენებდნენ სარწყავი დასაწყობიდან მიღებულ მღვრიე წყალს, მაშინ როდესაც მარანის ახლოს გაკეთებული იყო ჭების მთელი სისტემა, საიდანაც წინათ სარგებლობდნენ სუფთა წყლით. სარევიზიოდ ჩასულ კომისიის სამინისტროს წინაშე დაუყენებია საკითხი ჰიდრაულიკ-ინჟინრის სასწრაფოდ გაგზავნის შესახებ. არაორგანიზებულობის, დაბნეულობისა და უპასუხისმგებლობის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ მიწათმოქმედების სამინისტროს მიერ მიუხედავად ორჯერ გაცემული განკარგულებისა ნაფარეულიდან ვერ ჩამოიტანეს ორთქლის მანქანა, რის გამოც ბაღებში ხვნას ხელთ აწარმოებდნენ. აღნიშვნის ღირსია ის, რომ ზამთრის მორწყვა სრულებით არ უწარმოებიათ და ვაზის გასხვლა მეტად დაგვიანებით ჩაუტარებიათ.

მუშა-პირუტყვი და ცხენი საკვების უქონლობის გამო ისე დასუსტებულა, რომ სამუშაოდ აღარ ვარგოდა. ვენახებში სამუშაოები ისე დააგვიანეს, რომ მუშახელის დაქირავებას უკვე აზრი აღარ ჰქონდა. ერთი სიტყვით, მამულს უპატრონობა ეტყობოდა და სათარეშო მოედნად იყო გადაქცეული. ამას განსაკუთრებით ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ სოფლის მთავარი შარაგზა მამულის ტერიტორიაზე გადიოდა. მამულის ხელმძღვანელობას მიწათმოქმედების სამინისტროს წინაშე რამდენჯერმე დაუყენებია საკითხი მამულის ქონების დასაცავად შეიარაღებული მცველების გამოყოფის შესახებ. სათანადო კომისიამ დაადასტურა იგი და აღძრა შუამდგომლობა სამინისტროს წინაშე რამდენიმე მილიციელის გამოყოფის შესახებ.

მამულში ხეხილის ბაღი ძალიან ცუდ მდგომარეობაში ყოფილა. საზაფხულო ვაშლის ჯიშებს სავსებით არ ესხა ნაყოფი, ხოლო ზამთრის ჯიშებს მეტად მცირე. ბღის ბაღები ყინვებისაგან სულ განადგურებულა. მამულის წყალგაყვანილობა მთლიანად მოშლილა და მთელი ნახევარი წელიწადი უმოქმედოდ მდგარა. მამულის შემოსავლის ერთ-ერთ წყაროდ აღმინისტრაცია ბოსტნეულ პროდუქტს სახედა, მაგრამ მისი რეალიზაცია უტრანსპორტობის გამო მეტად ვართულებული იყო. მამულში მოუთბიბათ 20000 ფუთი თივა, რაც იმ წლისათვის უზრუნველყოფდა მეცხოველეობას საკვებით, მაგრამ მომავალი წლისათვის იქმნებოდა საშიშროება, რადგან მამულის საუკეთესო სათიბები თვითნებურად დაუკავებიათ წილკანისა და მუხრანის მდიდარ გლეხებს, რომელთაც საკმარისად ჰქონიათ მუშა საქონელი და ინვენტარი. ისედაც გაპარტახებულ მამულს თავს დასტეხია უბედურება. სეტყვას საშინლად დაუზიანებია ხეხილის ბაღი. ხეებზე შერჩენილი ნაყოფები გაჭიანურებულ ქარს ძირს ჩამოუყრია.

ვენახებში ფართოდ ყოფილა გავრცელებული სარვევლები. ვაზი დაავადებულია ჭრაქითა და ნაცრით. განსაკუთრებით კი „კაბერნე“ და „რქაწითელი“. მამულს აუღია 4056 ფუთი ყურძენი. აქედან დაუყენებიათ 3860 ვედრო ღვინო. ჯიშების მიხედვით: ალიგოტე 975 ვედრო, რისლინგი—80 ვედრო, კაბერნე—685, საფერავი—1940.



მამულში კარგად რომ არ ყოფილა დაყენებული მევენახეობა, ჩანს იქიდანაც, რომ 73 დესეტანა ვენახის ფართობზე მიუღლიათ 4056 ფუთი საშუალოდ ჰექტარზე 10 ცენტნერზე ნაკლები.

აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ მიწათმოქმედების სამინისტროს განკარგულებით მამულისათვის ჩამოურთმევიათ და გადაუციათ ოზურგეთის ერობის განკარგულებაში მარცვალსაწმენდი მანქანა „ტრიერი“, იმ დროს როცა მამული თვითონ საჭიროებდა ამ მანქანას. მამულის ადმინისტრაცია იძულებული გახდა დაქირავებით წამოეღო ასეთი მანქანა დუშეთის ერობიდან.

მიწათმოქმედების სამინისტროსა და მამულის ხელმძღვანელთა უმწეობა იქიდანაც ჩანს, რომ სადგურ ქსანთან რკინიგზის ახლოს აგებული წყალსატუმბოვერ მოიყვანეს წესრიგში და წლების მანძილზე უმოქმედოდ იდგა. ამასთან წყალსატუმბის ნაწილები დაიკარგა და დაიფანტა. აღნიშნული წყალსატუმბი, რომელიც გააკეთა საუფლისწულო მამულების უწყებამ, გამიზნული იყო რკინიგზის გასწვრივ მდებარე ნაკვეთების მოსარწყავად¹. ასეთი უყარათობის ნიმუშების მოყვანა მამულის სამეურნეო საქმიანობიდან მრავლად შეიძლება.

დუშეთის მაზრის გლეხობა ისტორიულად ცნობილია, როგორც რევოლუციური ტრადიციების მატარებელი. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების საქმეში. ჯერ კიდევ დუშეთის მაზრაში თავისი გამოძახილი ჰპოვა 1905 წლის რევოლუციამ. ამის საილუსტრაციოდ მოგვყავს მუხრანის საუფლისწულო მამულში მომხდარი რევოლუციური გამოსვლები. რევოლუციურად განწყობილ გლეხობის გამოსვლებთან ერთად ეწყობა დაქირავებული მუშების გაფიცვაც. ამის გამო მამულის ადმინისტრაცია მთავრობისაგან მოითხოვდა მკაცრი ზომების გატარებას მეამბოხე გლეხების წინააღმდეგ. ამ მოთხოვნის საფუძველზე მეფის ხელისუფლებამ სასწრაფოდ გაგზავნა 1905 წ. 10 მარტს შეიარაღებულ ჯარისკაცთა ერთი ბატალიონი. დამსჯელი ბატალიონი საკმარისი არ აღმოჩნდა მღელვარების ჩასაქრობად, და მატებით კვლავ გაიგზავნა კაზაკთა ასეული². რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელები დააპატიმრეს და შორეულ ციხეებში გადაასახლეს. მოსახლეობას იძულებით აანაზღაურებინეს ის ზარალი, რაც გაფიცულმა გლეხობამ და მუშებმა მიაყენეს მამულს. ამასთან ერთად მათ ჩამოერთვათ ცეცხლმსროლელი იარაღი³.


საქართველოში, კერძოდ დუშეთის მაზრაში 1912 წლიდან მოყოლებული გლეხთა მოძრაობა კვლავ ძლიერდება, ამისათვის არსებობდა ობიექტური მიზეზები, სახელდობრ, პოლიტიკური უუფლებობა, უმიწობა, გლეხების აბუჩად ავადება, სხვადასხვა სახის გადასახადები, ბეგარა და სხვ.

რუსეთის მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობის ზრდამ მნიშვნელო-

¹ სსსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო ბიბლიოთეკის, ფონდი 119 ანაწერი I, საქმე 597, ფ. ფ. 58—59—74—75—76—102—103—121—122—127—128.

² ЦГИА, Ф. 351, д. 73, л. 8-9-11.

³ Там же, л. 87, л. 2-5-7.



ვანი გავლენა მოახდინა ქართველ გლეხობაზე. უკვე 1915—16 წწ. საქართველოში გლეხთა რევოლუციური მოძრაობა ფართო გაქანებას ღებულობს და ხშირად შეიარაღებულ შეტაკებაში გადაიზრდებოდა ხოლმე. მეფის ხელისუფლება ყოველი ღონით ცდილობდა სისხლითა და მახვილით ჩაეხშო გლეხთა რევოლუციური გამოსვლები.

იმპერიალისტურმა ომმა, რომელიც ძალზე გაჭიანურდა, დამანგრეველი ზემოქმედება მოახდინა ქვეყნის ეკონომიკაზე, 1917 წელს რევოლუციურმა მოძრაობამ კულმინაციურ წერტილს მიაღწია. საქართველოში მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად შეიქმნა ერთიანი რევოლუციურ-დემოკრატიული ფრონტი. ქართველმა მუშებმა და გლეხებმა ვერ მოახერხეს მოეხდინათ შეიარაღებული აჯანყება ცარიზმის წინააღმდეგ, რადგან გადამწყვეტ მომენტში მენშევიკებმა და ესერებმა უღალატეს მშრომელ ხალხს. მენშევიკების პარტიამ მიაღწია იმას, რომ რევოლუცია მოექცია ბურჟუაზიისათვის საჭირო ჩარჩოებში, ამიტომ რუსეთის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ საქართველოში ძალაუფლება ხელში ჩაიგდო ბურჟუაზიამ და მემამულეებმა. ეს უკანასკნელნი კი როდი ფიქრობდნენ მშრომელთა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. გლეხობის მდგომარეობა არა თუ გაუმჯობესდა, არამედ კიდევ უფრო გაუარესდა მენშევიკების ბატონობის პერიოდში.


ქართველმა მენშევიკებმა 1918 წლის 26 მაისს საქართველო „დამოუკიდებელ“ რესპუბლიკად გამოაცხადეს. მენშევიკების გამცემლური პოლიტიკის შედეგად შესაძლებელი გახდა საქართველოში შემოსულიყო გერმანიისა და თურქეთის საოკუპაციო ჯარები, რომლებიც სასტიკად უსწორდებოდნენ რევოლუციურად განწყობილ მუშებსა და გლეხებს.

დიდი ლენინი 1918 წელს წერდა: „საქართველოს ეს დამოუკიდებლობა ყოვლად აშკარა მოტყუებად იქცა,—სინამდვილეში ეს არის საქართველოს ოკუპაცია და სრული დაპყრობა გერმანელი იმპერიალისტების მიერ, გერმანული ხიშტების კავშირი მენშევიკურ მთავრობასთან ბოლშევიკი მუშების და გლეხების წინააღმდეგ“¹.

ას შემდეგ, რაც ვილჰელმის მონარქია დაემხო გერმანიაში, გერმანიის იმპერიალისტების ბატონობა საქართველოში შეცვალეს საფრანგეთის, ამერიკისა და ინგლისის იმპერიალისტებმა. აღნიშნული ქვეყნების მთავრობები ცდილობდნენ მენშევიკების დახმარებით საქართველო კოლონიად გადაექციათ.

მენშევიკურმა მთავრობამ გლეხობა კვლავ უმიწოდ დატოვა, მათი ეკონომიური პირობები კიდევ უფრო გაუარესდა. ამიერკავკასიის სეიმის მიერ 1918 წლის 7 მარტს გამოცემულ კანონს მემამულეებისა და კულაკების უფლებები ზრ შეუკვეცია. ყოველივე ეს კი მშრომელი ხალხის უკმაყოფილებას აძლიერებდა. 1918 წლიდან მნიშვნელოვნად იზრდება მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ მუშებისა და გლეხების რევოლუციური გამოსვლები, რაც ხშირად აჯანყებებში გადადიოდა. 1918 წლის ივნისში ქართველი ბოლშევიკების უმუშალო

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 28, გვ. 7—8.



ხელმძღვანელობით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დაიწყო შეიარაღებული აჯანყებანი, მათ შორის თავისი მასშტაბით ყველაზე დიდი იყო დუშეთის აჯანყება. ჯერ კიდევ 1918 წლის დასაწყისში კავკასიის სამხარეთო კომიტეტისა და ბოლშევიკური ორგანიზაციის თბილისის კომიტეტის გადაწყვეტილებით დუშეთის მაზრაში მივლინებული იყვნენ კომუნისტი მუშები და პროპაგანდისტები, რომელთა უშუალო ხელმძღვანელობით წარმოებდა მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ აჯანყებისათვის პრაქტიკული სამზადისი. ამ მიზნით შექმნილ იქნა გლეხთა რაზმები.


დუშეთის მაზრაში თანდათან მწიფდებოდა ნიადაგი გლეხთა შეიარაღებულ აჯანყებისათვის. ეს გარემოება მენშევიკებს მხედველობის არედან არ გამოპარვიათ. თავის მხრივ მენშევიკური მთავრობა ემზადებოდა გამაწყვეტი დარტყმისათვის, ამიტომ გადაწყვიტა დაესწრო გლეხთა აჯანყებისათვის და 1918 წლის 16—17 ივნისს მათმა გვარდიამ სოფელ მისაქციელსა და წილკანს ალყა შემოარტყა, მაგრამ მეზობელი სოფლების გლეხთა დახმარებით გვარდიის ჯარისკაცები განაიარაღეს. აჯანყებულმა გლეხობამ შექმნა სამხედრო რევოლუციური შტაბი და ოპერატიული მოქმედების გეგმა დასახა.

დუშეთის მაზრის გლეხობის აჯანყებას მხარი დაუჭირა თიანეთის მაზრის გლეხობამაც. დუშეთის მაზრის გლეხობამ თავის ყრილობაზე 25 ივნისს საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა. აირჩიეს აღმასრულებელი კომიტეტი და რევოლუციური ღონისძიებების გატარება დაიწყო.

დუშეთის მაზრის გლეხობის გამარჯვებამ სასტიკად გააბოროტა მენშევიკური მთავრობა. ამ უკანასკნელმა გადაწყვიტა სისხლითა და მახვილით ჩაეხშო დუშეთის გლეხობის რევოლუციური მონაპოვარი. ამ მიზნით მან დახმარებისათვის მიმართა გერმანელ ოკუპანტებს. მენშევიკურმა მთავრობამ დუშეთის მაზრაში აჯანყებულ გლეხობის წინააღმდეგ საბრძოლველად დაძრა თავისი გვარდია და გერმანელი ოკუპანტების ჯარისკაცები. პირველი შეტაკება ბებრის ციხესთან მოხდა. ამ ბრძოლაში მენშევიკების ჯარებმა გამოიყენეს ზარბაზნები და თვითმფრინავი. დუშეთის მაზრის გლეხობამ ვერ გაუძლო მრავალრიცხოვანი ჯარის შეტევას და უკან დაიხია. დუშეთის გლეხობა დამარცხდა. მენშევიკურმა მთავრობამ დამარცხებულთა წინააღმდეგ გაატარა სასტიკი რეპრესიები. აჯანყებულთა ბევრი ხელმძღვანელი დახვრიტეს და გადაასახლეს.

სხვათა შორის გერმანელი ოკუპანტების რაზმი „წესრიგის დასაცავად“— იმყოფებოდა სოფ. მუხრანშიც. ამ რაზმის შესანახავად მუხრანის მოსახლეობაზე დადებული ჰქონიათ 35.000 მანეთის კონტრიბუცია.

მენშევიკურ მთავრობას თავისი შერყეული მდგომარეობა რომ განემტკიცებინა და მიეჩქმალა ქართველი ხალხის აუტანელი ჩაგვრა, საქართველოში მოიწვია იმპერიალისტების აგენტები, მუშათა კლასის მოღალატეები, მეორე ინტერნაციონალის ლიდერები: კაუცკი, მაკდონალდი, შოუ და სხვები. ისინი საქართველოში ჩამოვიდნენ 1920 წელს. მათ მიზნად ჰქონდათ დასახული გემართლებინათ მენშევიკური მთავრობის როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკა და აშკარად მოითხოვდნენ საქართველოს სახალხო მეურნეობაში გაბატონ-



ნებულიყო იმპერიალისტური ქვეყნების კაპიტალი. ეს კი ნიშნავდა საქართველოს გადაქცევას იმპერიალისტური სახელმწიფოების კოლონიად.

ქართველმა ბოლშევიკებმა ამხილეს და მზის სინათლეზე გამოიტანეს II ინტერნაციონალისა და საქართველოს მენშევიკების შავბნელი ზრახვები და მშრომელ ხალხს მოუწოდეს გაბედულად დარაზმულიყვნენ სოციალისტური რევოლუციის დროშის გარშემო, დაემხოთ მენშევიკური მთავრობა და მოეპოვე-ბინათ დამოუკიდებლობა და ეროვნული თავისუფლება.

საქართველოს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მენშევიკური მთავრობა და-სავლეთ იმპერიალისტების დახმარებით მკაცრ რეპრესიებს ატარებდა რევოლუ-ციონერი მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, რევოლუციური გამოსვლები და აჯანყებანი სწრაფად ვითარდებოდა. ყოველივე ეს კი ნიშნავდა რევოლუციური კრიზისის მომწიფებას.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გაითვა-ლისწინა რუსეთის ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების რო-გორც საშინაო, ისე საგარეო ვითარება და მიიღო გადაწყვეტილება დაეწყოთ შეიარაღებული აჯანყება მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ. 1921 წლის თე-ბერვალში კლასობრივი ბრძოლა კულმინაციურ წერტილს აღწევს. მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ მშრომელმა ხალხმა შეიარაღებული აჯანყება დაიწყო თბილისში, გორში, დუშეთში და სხვ.

რევოლუციურმა კომიტეტმა, რომელიც შეიქმნა აჯანყების ხელმძღვანელო-ბისათვის, მუშებისა და გლეხების სახელით დახმარებისათვის მიმართა საბჭოთა რუსეთს. ლენინის მითითების საფუძველზე მე-11 არმიამ, რომელსაც ხელმძღვა-ნელობდა კიროვი, ძმური დახმარება გაუწია ქართველ ხალხს. საქართველოს რევოლუციურმა მუშებმა და გლეხებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელო-ბით 1921 წლის 25 თებერვალს დაამხეს მენშევიკური მთავრობა და დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება. მ. ორჯონიკიძემ ლენინსა და სტალინს გაუგზავნა დეპეშა:

„თბილისზე საბჭოთა ხელისუფლების დროშა ფრიალებს, გაუმარჯოს საბ-ჭოთა საქართველოს“.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას მშრომელი ხალხი აღფრთოვანებით შეხვდა, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება უდიდესი ისტო-რიული მოვლენა იყო ქართველი ხალხის ცხოვრებაში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის წინაშე დაისახა სახელმწიფოებრივი, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის რთული და ძნელი ამოცანები, რომ-ლის გადაწყვეტა დაკავშირებული იყო სერიოზულ სიძნელებთან. სახალხო მეურნეობის ყველა დარგი მენშევიკების ბატონობის პერიოდში კატასტროფამ-დე იყო მიყვანილი.

საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ დასძლია სოციალიზმის მშენებლობის გზაზე არსებული სიძნელები და დაიწყო ახალი სოციალისტური საზოგადოე-ბის აშენება.

დამოწმებული ლიტერატურა



1. ვ. ი. ლენინი—სიტყვა სრულიად რუსეთის ცაკის, მოსკოვის საბჭოს, მოსკოვის საჯარო სკოლების საქარხნო კომიტეტისა და პროფესიული კავშირების გაერთიანებულ სხდომაზე 1918 წ. 29 ივლისს. თბილისი, 1952.
 2. ა. სურგულაძე—ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ამიერკავკასიაში. 1917—1918 წწ. სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 1957.
 3. გ. ხაჭაპურიძე—ქართველი ხალხის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1957.
 4. ი. ჩუბინიძე—მევენახეობის ადგილი საქართველოს სოფლის მეურნეობაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. თბილისი, 1967.
-



ა. თეორიული

ეკონომიური ინფორმაცია მართვის სისტემის სტრუქტურაში

მეცხრე ხუთწლედში ტექნიკური პროგრესის დაჩქარების შედეგად ეროვნული შემოსავლის მატების 80% ზრომისნაყოფიერების ხარჯზე მოხდება. ამის წარმატებით განხორციელება შესაძლებელია, თუ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ფართოდ დაინერგება მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები ფიზიკური და გონებრივი ზრომის მექანიზაცია-ავტომატიზაციისათვის.

წარმოების მოცულობის ზრდის შესაბამისად საგრძნობლად რთულდება სამეურნეო ერთეულთა მართვა. ამასთან დაკავშირებით, როდესაც სამმართველო აპარატის შტატი იზრდება, ადამიანის შემოქმედებითი გამოგონებლობა მცირდება. მცირდება მუშაკთა ინდივიდუალური ინიციატივა, რადგან იზრდება ფაქტორთა რიცხვი, რომლებიც განაპირობებენ მართვის პროცესში გონივრულ და ობიექტურ გადაწყვეტილებათა გამოტანას.

ვინაიდან სამმართველო აპარატის მუშაკი თვითონ წარმოადგენს საღრიცხვო ობიექტს, რომლის მიხედვით აღრიცხვა ყველა მაჩვენებლით ხდება, ამიტომ არსებობს ადმინისტრაციული სამმართველო აპარატის შტატის ზრდის კრიტიკული ზღვარი, რომლის შემდეგ სამმართველო აპარატი მხოლოდ თავის თავს ემსახურება. ეს კი გვაიძულებს ეფექტური ღონისძიებები დავსახოთ სამმართველო ზრომისნაყოფიერების ამაღლებისათვის. ეკონომისტები ამტკიცებენ რომ მართვის სამუშაოთა მოცულობა იზრდება წარმოების მოცულობის ზრდის კვადრატის შესაბამისად. ასეთ პირობებში სახალხო მეურნეობის განვითარების ინტერესები მოითხოვს ეკონომიური სამსახურის გამოთვლითი ტექნიკით შეიარაღებას. ჩვენი მეცნიერები აღნიშნავენ, რომ თუ გამოვიყენებთ ინფორმაციის დამუშავების დღევანდელ მეთოდებს და ტექნიკურ საშუალებებს 1980 წლისათვის დაგეგმილი წარმოების მოცულობის შესაბამისად მართვის აპარატში დაგვირდებოდა ჩვენი ქვეყნის მთელი მოზრდილი მოსახლეობის დასაქმება.

იმისათვის, რომ ეფექტურად გამოვიყენოთ ტექნიკური საშუალებები სამმართველო შრომაში, საჭიროა რეგულირების ობიექტის მართვის ინფორმაციულ სისტემაში გაერთიანებულ ინფორმაციათა სახეების შესწავლა, სტრუქ-

ტურის, შრომატევადობის, წარმოქმნის წყაროების, მოძრაობის გზის და სხვათა ნიშნების მიხედვით. ორგანიზაციული ტექნიკური საშუალებებისა და ნიშნების მიხედვით. ეს საშუალებას მოგვცემს დავსახოთ ორგანიზაციული ტექნიკური საშუალებებისა და გამოვლითი ტექნიკის გამოყენების რაციონალური ვარიანტი.

ცალკეული სამეურნეო ერთეულების, დარგების თუ მთლიანად სახალხო-მეურნეობის დასახასიათებლად, იყენებენ ტექნიკურ, ეკონომიურ, გეოგრაფიულ, აგრობიოლოგიურსა და სხვა ინფორმაციულ ნაირსახეობას.

საზოგადოების ევოლუციის პროცესში ინფორმაცია სულ-უფრო და უფრო მდიდრდებოდა, იზრდებოდა ყოვლისმთქმელი ხდებოდა. მართვის საჭიროებისათვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ტექნოლოგიურ ინფორმაციას, ვინაიდან მისი საშუალებით ხდებოდა საწარმოთა ტექნოლოგიური პროცესის ორგანიზაცია. შემდგომ პერიოდისათვის მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ტექნიკურმა ინფორმაციამ ვინაიდან მის გარეშე საერთოდ შეუძლებელი იყო ტექნიკური პროგრესი.

გეოგრაფიული ინფორმაციით აისახება, კლიმატი, მეტეოროლოგიური მოვლენები, ნიადაგის სახეები და სხვ.

აგრობიოლოგიურით კი გამოყვანილი პირუტყვის ჯიშის მცენარეთა და ავადებათა სახეები, მოსავლიანობის მაჩვენებლები და სხვ.

1-ელი ცხრილით ინფორმაცია განხილულია, როგორც მართვის საშუალება, ამიტომ ინფორმაციის კლასიფიკაციის ნიშნად აღებულია მართვის ფუნქცია.

როგორც 1-ელი ცხრილიდან ჩანს სახალხო-მეურნეობის ძირითად დარგებში ეკონომიური ინფორმაცია ყველაზე შრომატევადია და მერყეობს 59-დან 63,5%-მდე. ეს უკანასკნელი იმით აიხსნება, რომ ეკონომიური ინფორმაცია წარმოადგენს თავისებურ არამატერიალურ საწარმოო რესურსს, ურომლისოდაც ისევე წარმოუდგენელია საწარმოო პროცესების ნორმალური მიმდინარეობა, როგორც სხვა რომელიმე ენერგეტიკული თუ მატერიალური რესურსების გარეშე. გვესაჭიროება წარმოების სრულყოფა. საჭიროა ინფორმაცია, ხოლო მისი მიღება (ამაში ინფორმაცია როგორც სპეციფიკური რესურსი, არ განსხვავდება სხვა სახის რესურსებისაგან) მოითხოვს საშუალებათა და შრომით დანახარჯებს.

ეკონომიური ინფორმაცია წარმოადგენს თითოეული სამეურნეო ობიექტის მართვის საფუძველს და ითვალისწინებს პირველ რიგში წარმოების განვითარების პროგრამის შემუშავებას. მეორე რიგში, ღონისძიებათა კომპლექსი დასახული მიზნების მისაღწევად. ამასთან დაკავშირებით შემუშავებული უნდა იქნეს წარმოების ტექნოლოგიური პროცესი, და გამოვლინებული საწარმოს შივნიით დარგებში ურთიერთკავშირები. ამის შემდეგ იგეგმება შესასრულებ-



ინფორმაციის სტრუქტურა სახალხო-მეურნეობის ძირითადი დარგების მართვის მართვის სისტემების მდგომარეობის და ურთიერთკავშირების დასახასიათებლად

ინფორმაცია	დარგები (ხვედრითი წილი ჯამთან %/ში)		
	მრეწველობა	სოფლის მეურნეობა	მშენებლობა
ეკონომიური	63,5	60,2	59,0
ტექნოლოგიური	19,7	7,3	10,4
ტექნიკური	8,1	2,1	27,7
გეოგრაფიული	1,3	4,6	—
აგრობიოლოგიური	2,0	12,1	—
ზოოლოგიური	0,4	13,0	—
სხვადასხვა	5,0	0,7	2,9
	100,0	100,0	100,0


ლი სამუშაოთა მოცულობა. მატერიალური და ფულადი დანახარჯების ნორმატივები. დაბალანსება ხდება არსებულ რესურსებსა და დანახარჯებს შორის.

დაბოლოს ეგეგმება სხვა დანარჩენ ღონისძიებათა კომპლექსი, რომლის განხორციელება ხელს შეუწყობს დასახული მიზნის მიღწევას. ეს ღონისძიებები უნდა იყოს კონკრეტული, ოპერატიული და ასახავდეს სამეურნეო მოქმედების ყველა სტადიას, ფაქტიურად მესამე სტადიაზე განხორციელდება საწარმოს ოპერატიული მართვა.

თუ უფრო ღრმად ჩავწვდებით განხილულ ეკონომიური მართვის სამივე ეტაპს დავინახავთ, რომ პირველად მივიღებთ ინფორმაციას, რომლითაც ასახულია საწარმოს სისტემის მდგომარეობა და მისი შესაძლებლობები. ამ უკანასკნელის საშუალებით შეგვიძლია პროგნოზირება—მიზნის დასახვა. ამის შემდეგ საჭიროა ინფორმაცია მატერიალური რესურსების და ენერჯის გარდაქმნის შესახებ, რათა მიღებული იქნას მატერიალური დოვლათი, ამასთან დაკავშირებულია, სწორედ საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურის შერჩევა, ტექნოლოგიური პროცესის განსაზღვრა და ბოლოს საჭიროა მუდმივად ყოველ წუთს, ყოველ საათს ყოველდღიური ინფორმაცია საწარმოს სისტემის მდგომარეობის შესახებ, რათა ოპერატიულად შეიძლებოდეს მისი რეგულირება დასახული მიზნის მისაღწევად. სწორედ ეს უკანასკნელი ეტაპი წარმოადგენს ყველაზე შრომატევადს, რომელიც თხოულობს ინფორმაციის დიდი მასის დამუშავებას მართვის ობიექტზე ოპერატიული რეაგირების მიზნით.

ეკონომიურ ინფორმაციას მართვის ფუნქციების მიხედვით აჯგუფებენ: 1. საალრიცხვო, რომელიც ასახავს მომხდარ მოვლენას, 2. საეგემო—რომელიც

¹ П. Т. Барановский—Информация и автоматизированные системы управления, Киев, 1968, стр. 19.



ასახავს მოვლენებს მოსახდენს მომავალში .3. სადისპეტჩერო.—რომელიც საჭიროა ობიექტის ოპერატიული მართვისათვის, 4. ნორმატიული-სახარჯის, სიდიდეებს, შეფასებებს, სტანდარტებს, 5. საპროგნოზო წარმოდგენს საფუძველს მართვის ობიექტის საჭიროებისათვის ოპერატიული და სტრატეგიული გადაწყვეტილებების გამოსატანად.

ეკონომიური ინფორმაციის სტრუქტურის შესწავლას მიეძღვნა მრავალმკვლევარის შრომა, მათ მიერ მიღებული სტრუქტურის მასალები ერთმანეთისაგან არ განსხვავდება. მაგ. თვით ეკონომიური ინფორმაციის სტრუქტურაში, სააღრიცხვო ინფორმაცია სხვადასხვა ავტორის გამოქვეყნებულ შრომებში ასეთი სტრუქტურით არის წარმოდგენილი მე-2 ცხრილში.


ცხრილი 2

სააღრიცხვო ინფორმაციის სტრუქტურა

ეკონომიური ინფორმაციის სახეები	ვ. ისაკოვი	ნ. ბარანოვსკი	ი. ვიბლი
	სტრუქტურა	სტრუქტურა	სტრუქტურა
საბუღალტრო	42	50	46
სტატისტიკური	15	11	13
ოპერატიული ტექნიკური	9	8	11
სულ	66	69	70

ვ. ისაკოვს სააღრიცხვო ინფორმაცია განხილული აქვს სამრეწველო საწარმოებისათვის და მასზე მოდის ეკონომიური ინფორმაციისათვის დასამუშავებელი დროის 42%. ხოლო ნ. ბარანოვსკი და ი. ვიბლი ინფორმაციის სტრუქტურას იხილავენ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მაგალითზე და სააღრიცხვო ინფორმაციის სტრუქტურის მონაცემები ერთმანეთისაგან არსებითად არ განსხვავდება. ეს კი საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მართვის ინფორმაციულ სისტემაში ყველაზე შრომატევადი ეკონომიური ინფორმაცია 60,2%, ხოლო ეკონომიურ ინფორმაციაში ყველაზე შრომატევადია სააღრიცხვო ინფორმაცია 67%. სააღრიცხვო ინფორმაციაში კი ბუღალტრული აღრიცხვა 46—50%.

სტრუქტურაში არსებითად იცვლება თითოეული ინფორმაციის ხვედრითი წონა, როდესაც ინფორმაციის სტრუქტურას იხილავენ მართვის სხვადასხვა დონეზე. მაგ., ბუღალტრული აღრიცხვის ხვედრითი წონა მეტია კოლმეურნეობასაბჭოთა მეურნეობაში, ხოლო სტატისტიკური აღრიცხვისა კი ნაკლებია მეურნეობის დონეზე. მაგრამ ბუღალტრული აღრიცხვის ხვედრითი წონა შედარებით ნაკლები იქნება სოფლის მეურნეობის სამინისტროს მართვის დონეზე, ხოლო



სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავების ხვედრითი წონა კი მეტი, ვიდრე კოლმეურნეობა—საბჭოთა მეურნეობის დონეზე.

ვინაიდან საგეგმო ინფორმაციის საშუალებით შეიძლება საბჭოთა მეურნეობის ყველა ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიური საქმიანობის ასახვა და შემოწმება კერძოდ: საგეგმო დავალების შესრულების, ხელფასის ფონდის გამოყენების, ახალი ტექნიკის დანერგვის, შრომისნაყოფიერების ზრდის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების და სხვათა მაჩვენებლების მიხედვით, რომლებიც საწარმოს სამეურნეო საქმიანობის მუშაობის დასახასიათებლად შეიძლება იქნეს გამოყენებული.

მაგრამ ინფორმაციის ძირითადი მასის ფორმირება და დამუშავება ხდება უშუალოდ საწარმოო უბნებზე, თბიქტებზე კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების დონეზე, სადაც ყველაზე შრომატევადია ეკონომიურ ინფორმაციის სტრუქტურაში ბულალტრული აღრიცხვა.


მაგალითად, უკრაინის სსრ სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგების საწარმოთა ეკონომიური ინფორმაციის სტრუქტურა 1969 წლის 1 ივლისისათვის ასეთნაირად იყო წარმოდგენილი.

ცხრილი 31

ინფორმაციის სახეები	ხვედრითი წონა ჩამთან %-ში		
	მრეწველობა	სოფლის მეურნეობა	მშენებლობა
სააღრიცხვო მათ შორის:	58	67,0	66,0
ა) ბულალტრული	41,0	50,0	52,0
ბ) სტატისტიკური	10,0	11,0	5,0
გ) ოპერატიულ-ტექნიკური	7,0	6,0	9,0
საგეგმო მათ შორის:	28,0	23,0	26,0
ა) ტექნიკურ-ეკონომიური	21,0	19,0	23,0
ბ) ოპერატიული	7,0	4,0	3,0
ნორმატიული გაანგარიშებები	8	4,0	3,0
ანალიზური საპროგნოზო	6,0	6,0	5,0
ს უ ლ	100	100	100

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ირკვევა საწარმოთა დონეზე ბულალტრული აღრიცხვა ყველაზე შრომატევადია, რაც, ჩვენი აზრით, იმით არის განპირობებული, რომ სოფლის მეურნეობაში ეკონომიური სამსახურის განსახილველი ინფორმაცია ძირითადად ბულალტრული ინფორმაციით შემოიფარგლება. მრეწველობასთან შედარებით, გამსხვილებული მაჩვენებლებით ხდება საგეგმო დავალებების დაყვანა დროისა და სივრცის მიხედვით ისეთი სტრუქტურულ ქვედანაყოფებზე, როგორც არის დარგი, ბრივადა, ფერმა, რგოლი. რასთან დაკავშირებით გამარტივებული მაჩვენებლებით ხდება ფაქტიურად საგეგმო, ოპერატიული ინფორმაციის მაჩვენებლებთან დაპირისპირება, რის გამო გამარტივე-

¹ Н. Т. Барановский — Информация и автоматизированные системы управления, Киев, 1968, стр. 33.



ბულია როგორც სააღრიცხვო ოპერატიულ-ტექნიკური, ასევე საგეგმო-ოპერატიულ-ტექნიკური ინფორმაციის მიღება-დამუშავება. ამიტომ სტრუქტურული ნების ეკონომიური სამსახური უპირატესად დასაქმებულია სააღრიცხვო ინფორმაციაზე.

სოფლის მეურნეობაში ბუღალტრული აღრიცხვის შრომატევადობა კიდევ იმით არის გაპირობებული, რომ ინფორმაციის დასამუშავებლად გამოყენებულია ძირითადად ხელით შრომა, ან ნაკლებ-ეფექტური ტექნიკური საშუალებები, აღრიცხვის არასრულყოფილი ფორმები, არასრულყოფილი პირველადი დოკუმენტების ფორმები და სხვა. სუსტად არის გამოყენებული სოფლის მეურნეობაში ნორმატიული ბაზა. რის გამო სტრუქტურაში მრეწველობასთან შედარებით მცირე ზვედრითი წონით არის წარმოდგენილი ნორმატიული გაანგარიშებანი.

მომავალში არსებითად შეიცვლება ეკონომიური ინფორმაციის სტრუქტურა, ეკონომიურ-მათემატიკური მეთოდების და გამოთვლითი ტექნიკის გამოყენების პირობებში ბუღალტრული აღრიცხვის შრომატევადობის შემცირების ხარჯზე კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების მართვის ინფორმაციულ სისტემაში გაიზრდება სტატისტიკური, ოპერატიულ-ტექნიკური ნორმატიული და ანალიზური საპროგნოზო ინფორმაცია, რაც სასურველ ტენდენციად უნდა მივიჩნიოთ.

ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებს სააღრიცხვო პროცესების მიხედვით ცალ-ცალკე. ასეთ სააღრიცხვო პროცესებს უწოდებენ უბანს. უბნები თავის მხრივ იყოფა სტადიებად. რომლებიც აღრიცხვის უბნის გარკვეული ნაწილის დამთავრებულ ციკლს წარმოადგენს.


სტადიები თავის მხრივ მოიცავს მარტივ ოპერაციებს. იმისათვის, რომ განვსაზღვროთ ამა თუ იმ სააღრიცხვო სამუშაოთა მანქანური დამუშავების მიზანშეწონილობა საჭიროა ვიცოდეთ დასამუშავებელ ინფორმაციაში როგორი სტრუქტურით არის წარმოდგენილი ბუღალტრული აღრიცხვა: უბნების, უბნების შიგნით სტადიების და სტადიების შიგნით ცალკეული ოპერაციების ხვედრითი წონა.

ბუღალტრული აღრიცხვის ასეთი დანაწევრება ნაკარნახევია იმით, რომ სრულყოფილად შევძლოთ გამოვავლინოთ შრომატევადი უბნის ტექნიკური ოპერაციების მანქანური დამუშავების ყველაზე სრულყოფილი ვარიანტი.

გამოკვლევული მასალების მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვის სტრუქტურა მოიცავს შემდეგ გამსხვილებულ უბნებს: შრომისა და ხელფასის—34,6%, მატერიალურ ფასეულობათა—11,6% წარმოებაზე დანახარჯთა და პროდუქციის თვითღირებულებისა—22,8%, საფინანსო და საკრედიტო ოპერაციათა—10,7% და სხვა დანარჩენი სააღრიცხვო უბნები—22,23%.

სოფლის მეურნეობის საწარმოთა მართვის ინფორმაციულ სისტემაში ეკონომიური ინფორმაციის გარდა მნიშვნელოვან წილად სხვა სახის ინფორმაციაც არის წარმოდგენილი.

შეუძლებელია სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა პროდუქტიულობის ზრდაზე ლაპარაკი, კარგად დაყენებული აღრიცხვის გარეშე. არსებული აღრიცხვის



სისტემა მეტად შრომატევადია. ამიტომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ცხოველის ბონიტირებისა და ბონიტირების აღწერის უწყისების დგენა მოითხოვს ზოტექნიკოსის რამდენიმე თვის მუშაობას.

მსხვილი სპეციალიზებული მეცხოველეობის მიმართულების მეურნეობებში და ხელოვნური დათესვის სახელმწიფო სადგურებში ზოტექნიკოსები ვერ ასწრებენ საგაზაფხულო ბონიტირების მონაცემების დამუშავებასა და გაანალიზებას. ეს კი ავციანებს წყვილთა შესარჩევად მეცნიერულად დასაბუთებული გეგმის შედგენას, პირუტყვის სანაშენო ხარისხის ზუსტ და დროულ შეფასებას.

სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის ინტერესები მოითხოვს მინერალური და ორგანული სასუქების ფართოდ გამოყენებას, მიწის ფონდის უკეთ ათვისებას, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდას. ეს უკანასკნელი კი მოითხოვს არა მარტო მიწის ფონდის აღრიცხვას, არამედ ბუნებრივ-ეკონომიური პირობების გათვალისწინებას, რისთვისაც საჭიროა შეიკრიბოს, შემდეგ დამუშავდეს და გაანალიზდეს ნიადაგების შესახებ დიდი რაოდენობის ინფორმაცია, რომლის ტექნიკის გამოყენებლად დამუშავება ეკონომიურად გაუმართლებელია.


სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებზე მუშაობენ სხვადასხვა ზონალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და მათი მოქმედების ზონაში გავრთიანებული საცდელი სადგურები, საყრდენი პუნქტები, საცდელი მეურნეობები.

სამეცნიერო დაწესებულებებთან ერთად ქვეყნის მასშტაბით მოქმედებს სოფლის მეურნეობის მრავალი დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (მემცენარეობის, მევენახეობის, მეცხოველეობის, ეკონომიკისა და სხვა მრავალი), რომლებსაც დიდი მოცულობის სამეცნიერო-ექსპერიმენტული ინფორმაციის დამუშავება უხდებათ. მას ამუშავებენ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, ტექნიკური ოპერაციების შესასრულებლად იყენებენ ხელით შრომას ან არაღამაკმაყოფილებელ ტექნიკურ საშუალებებს მაშინ, როდესაც საჭიროა სწორედ ამ უბანზე წყდებოდეს სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი პრობლემები, რისთვისაც გამოყენებული უნდა იქნეს ექსპერიმენტული ინფორმაციის დამუშავების მეცნიერულად დასაბუთებული რაოდენობრივი მათემატიკური მეთოდები და გამოთვლითი ტექნიკა.

ტექნიკური პროგრესის განვითარების თანამედროვე პირობებში ინფორმაციის დამუშავების სქემა ითვალისწინებს შემდეგი სახის გამსხვილებული ოპერაციების შესრულებას: დაკვირვება, გაზომვა, რეგისტრაცია, შეკრება, გადაცემა, გამრავლება, კოდირება, გადაკოდირება, მოძებნა, დახარისხება, დამუშავება და მომხმარებელზე საშუალო ინფორმაციის გაცემა.

ზემოთ დასახელებულ ოპერაციები შეგვიძლია გავყოთ ორ ჯგუფად: პირველ ჯგუფში გაერთიანებულია ისეთი ოპერაციები, რომელთა შესრულება მოქმედებითი ხასიათის შრომას მოითხოვს. მეორე ჯგუფის ოპერაციები კი — მარტივ—ტექნიკური ხასიათისაა.

ინფორმაციის სტრუქტურის მკვლევარები ერთხმად ასაბუთებენ, რომ ისეთი ტექნიკური ოპერაციები, როგორც არის: ინფორმაციის შეკრება, ფიქსაცია,



არიტმეტიკული დამუშავება. ინფორმაციის გამრავლება, მაჩვენებელთა და-
გუფება ან დახარისხება, შეიძლება ეფექტურად მექანიზებულად განხორციელდეს.
შებულად თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით შესრულდება. მაგალითად,
ოპერაციებზე მოდის მთელი ინფორმაციის დასამუშავებელი შრომის 75—80%.
დანარჩენი ოპერაციები კი, რომლებსაც საკონტროლო-ორგანიზაციულს უწო-
დებენ, მეტწილად მოითხოვს ადამიანის შემოქმედებით შრომას და ტექნიკის
განვითარების თანამედროვე ეტაპზე არ არის ყველა პირობა შექმნილი საკონ-
ტროლო-ორგანიზაციული ოპერაციების ეფექტური მექანიზაციისა. ან ავტო-
მატიზაციისათვის.

ზემოთ მოყვანილი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ კოლმეურნეო-
ბებისა და საბჭოთა მეურნეობების მართვის ინფორმაციული სისტემა აერთი-
ნებს მრავალი სახის ინფორმაციას: ეკონომიკურს, აგრობიოლოგიურს, სტატის-
ტიკურს, ბუღალტრულს და სხვა.


ეკონომიურ ინფორმაციაში ყველაზე შრომატევადია ბუღალტრული აღ-
რიცხვა—ხოლო ბუღალტრული აღრიცხვის ტექნოლოგიურ პროცესში ჭარბად
არის წარმოდგენილი ისეთი ტექნიკური ოპერაციები, რომლების შესრულება
შეიძლება ეფექტურად თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკით. სწორედ ამან
განაპირობა აღრიცხვის ფართო მექანიზაცია.

იმისათვის, რომ სრულყოფილად გამოვიყენოთ ინფორმაციის დასამუშა-
ვებლად ტექნიკური საშუალებები საჭიროა უპირველესად მისი სპეციფიკის.
სტრუქტურის შესწავლა. ცნობილია, რომ ეკონომიურ ინფორმაციას ახასია-
თებს გარკვეული სპეციფიკურობანი, რომლებიც გამოხატულებას პოულობს,
მისი წარმოქმნის ციკლური ხასიათის, დამუშავების დისკრეტულობის, შესას-
რულებელი ტექნიკური ოპერაციების დიდი ხვედრითი წონის და სხვათა თვი-
სებების მიხედვით. მაგალითად:

ეკონომიური ინფორმაცია სხვა სახის ინფორმაციასთან შედარებით შრო-
მატევადია და კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების მართვის ინფორმა-
ციულ სტრუქტურაში ყველაზე დიდი ხვედრითი წონით არის წარმოდგენილი.
მაგრამ ხვედრითი წონის მაჩვენებელი ასახავს ინფორმაციის მხოლოდ რაოდენ-
ობრივ მხარეს, რომელიც არასრულყოფილად ახასიათებს ინფორმაციას, რო-
დესაც მის დასამუშავებლად გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებას ვარაუდობენ
ამისათვის საჭიროა ინფორმაციის თვისობრივი მხარეების შესწავლა. ინფორმა-
ციის მასიურობის გამოსახატავად იყენებენ მასიურობის კოეფიციენტს, რომე-
ლიც მიიღება საწყისი ინფორმაციის შედარებით გაანგარიშების ერთი ალგო-
რიტმის მიხედვით საშუალო მაჩვენებელთა რაოდენობაზე.

მასიურობის კოეფიციენტის გაანგარიშებისათვის შეიძლება გამოყენებულ
იქნას შემდეგი ფორმულა.

$K_{m} = \sum_{i=1}^n x_i$	სადაც	$\sum_{i=1}^n x_i$	$\sum_{k=1}^n ab$
$\sum_{k=1}^m$	i არის მაჩვენებელთა მნიშვნე- ლობების საერთო რაოდენობა	b_i არის მნიშვნელობების საერთო საშუალო მა- ჩვენებელთა რაოდენობა.	



მასიურობის კოეფიციენტით შეგვიძლია დავადგინოთ თუ რამდენი საწყისი ინფორმაციის მაჩვენებელთა რაოდენობა მოდის ერთ საშედეგო მაჩვენებელზე მაგალითად, სოფლის მეურნეობის ბუღალტრულ აღრიცხვაში მასიურობის კოეფიციენტი ტოლია 482, დაგეგმვაში 570.

აღრიცხვაში მასიურობის კოეფიციენტის დაბალი მაჩვენებელი იმით არის გაპირობებული რომ ერთი ალგორითმის მიხედვით მცირე რაოდენობის არითმეტიკული ოპერაციები სრულდება. ბუღალტრულ აღრიცხვაში მხოლოდ შრომისა და ხელფასის სააღრიცხვო უბანია, სადაც მასიურობის კოეფიციენტი მაღალია, ვინაიდან ერთსახიანი ალგორითმის (შესრულებული სამუშაოს მოცულობა გამრავლებული ერთეულის შეფასებაზე) შესრულება დიდი მასის გაანგარიშებანი საწყის ინფორმაციაზე—სამაგიეროდ ბუღალტრული აღრიცხვის სხვა უბნებზე კი პირიქით, გაანგარიშების ერთი ალგორითმით შესრულება მცირე რაოდენობის არითმეტიკული ოპერაციები. ამიტომ საწყისი ინფორმაციის საფუძველზე მიიღება ერთი ან ორი საშედეგო მაჩვენებელი.

რაც უფრო მაღალია მასიურობის კოეფიციენტი, მით უფრო მაღალია გამოთვლითი ტექნიკის გამოყენების ეფექტურობის მაჩვენებელი. მაგალითად, როდესაც მასიურობის კოეფიციენტი 350-მდეა, მაშინ ეფექტურია მხოლოდ ელექტროკლავიშური მანქანების გამოყენება, როდესაც 350-ზე მეტია, მაშინ საპერფორაცო მანქანების გამოყენებაა მიზანშეწონილი, თუ მასიურობის კოეფიციენტი 500-ზე მეტია, მხოლოდ მაშინ არის ეფექტური ელექტრონული-გამოთვლითი მანქანების გამოყენება.

ეკონომიური ინფორმაციის მაჩვენებლებს, როგორც წესი, გამოიყენებს მართვის საპირობებისათვის რამდენიმე მომხმარებელი. ერთი და იგივე საწყისი მაჩვენებელი მონაწილეობას მიიღებს სხვადასხვა ფორმისა და შინაარსის საანგარიშპროგნოზო თუ საანგარიშგებო ცნობა-უწყისების შესადგენად. კოეფიციენტს, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენჯერ მიიღებს მონაწილეობას ცალკეული საწყისი მაჩვენებელი შუალედური და საშედეგო მაჩვენებელთა მისაღებად. უწოდებენ ურთიერთკავშირის კოეფიციენტს, მაგალითად ბუღალტრულ აღრიცხვაში ურთიერთკავშირის კოეფიციენტი ტოლია 2,96, ხოლო დაგეგმვაში—3,40.

ურთიერთშენაცვლების მაღალი კოეფიციენტი წანამძღვრებს უქმნის მაღალმწარმოებლური ტექნიკური საშუალებების ეფექტურ გამოყენებას.

ეკონომიური ინფორმაციის ერთ-ერთი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მისი დამუშავება წარმოებს როგორც რეგულარულად, ასევე დროის სხვადასხვა მონაკვეთში, მართვის აპარატი ერთსა და იმავე მაჩვენებელს გამოიყენებს ერთხელ ან რამდენჯერმე. ინფორმაციი. სტაბილურობის მიხედვით. ასხვაგვებენ მუდმივ და ცვალებად ინფორმაციას.

სტაბილურობის კოეფიციენტი გვიჩვენებს თუ რამდენით შეიცვალა მაჩვენებელთა ნომენკლატურა საანგარიშო პერიოდის დაწყებიდან დამთავრებამდე,



მაგ., სოფლის მეურნეობის ბულალტრულ აღრიცხვაში სტაბილურობის კოეფიციენტი ტოლია 0,48, დაგეგმვაში კი 0,58, სტაბილურობის კოეფიციენტი გარიშებისათვის იყენებენ ფორმულას.

$$K_{CT} = \frac{\sum_{k=1}^m z_k}{\sum_{i=1}^n z_i} \quad n > m$$

სადაც $\sum_{k=1}^m z_k$ არის მონაცემთა ნომენკლატურის რიცხვი პერიოდის დაწყებამდე, $\sum_{i=1}^n z_i$ არის უცვლელი ნომენკლატურის რიცხვი საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

დროის პერიოდად აღებულია წელიწადი. სოფლის მეურნეობაში საწარმოო საფინანსო გეგმის მაჩვენებელთა შეცვლა წლის განმავლობაში არ უნდა ხდებოდეს; სამაგიეროდ საგეგმო ინფორმაციის ისეთი მაჩვენებლები, როგორც არის გამომუშავების ნორმები, მასალათა ხარჯვის, საწვავის ნორმატივები; ბრიგადის, ფერმის საგეგმო დავალებების და სხვა მაჩვენებლების კორექტირება სისტემატურად წარმოებს, რის გამო წლის განმავლობაში არსებითად განიცდის ცვალებადობას საწყისი ნორმატიული ინფორმაცია. სტაბილურობის კოეფიციენტი ბულალტრულ აღრიცხვაში უფრო დაბალია, ვიდრე დაგეგმვაში. ბულალტრული აღრიცხვის შრომატევადობას განაპირობებს სტაბილურობის დაბალი კოეფიციენტი.


მაგალითად, საწყობში მატერიალურ ფასეულობათა საწყისი ნაშთი წლის განმავლობაში რამდენჯერმე იცვლება, რის გამო საჭიროა არამარტო ყოველი თვის ბოლოსათვის, არამედ ყოველი ოპერაციის მომენტში ახალი ნაშთის გამოყვანა, ეს მოითხოვს სააღრიცხვო აპარატისაგან როგორც არითმეტიკული, ასევე ლოგიკური ოპერაციების შესრულებას სისტემატურად ყოველი სამეურნეო მოვლენის მიხედვით.

ეკონომიური ინფორმაციის მანქანური დამუშავებისათვის ინფორმაციის სტაბილურობის შესწავლას აქვს დიდი პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობა, ვინაიდან შეგვიძლია ინფორმაციიდან გამოვაცალკევოთ მუდმივი ცვალებადისგან, სადაც მუდმივი ინფორმაცია შეიძლება იყოს საცნობარო-მაჯგუფებელი, ნორმატიული-შემფასებელი, წარმოებულის და სხვა.

მუდმივი ინფორმაციის სტრუქტურის შესწავლის შედეგად შეგვიძლია არსებითად გავამარტივოთ, უნიფიცირებული გავხადოთ პირველადი დოკუმენტების ფორმები. მაგალითად ისეთი მუდმივი მაჩვენებლები, რომლებიც ხანგრძლივ პერიოდისათვის არ განიცდის ცვლილებას შეგვიძლია გამოვიტანოთ პირველადი დოკუმენტიდან და ასეთი მაჩვენებლები ჩავწეროთ ინფორმაციის ისეთ მუდმივ მატარებელში როგორც არის: პერფობარათი, მაგნიტური ლენტი, პერფოლენტი, ფილმოთეკა და სხვა.

თუ პირველადი დოკუმენტიდან გამოტანილი იქნება მუდმივი რეკვიზიტების გარკვეული რაოდენობა, ეს ნიშნავს არსებითად გავამარტივოთ პირველადი აღ-

რიცხვა, რომელიც ბუღალტრულ აღრიცხვაში ყველაზე შრომატევადია და მას-
ზე მოდის მთელი სააღრიცხვო შრომის 50—55%.



პირველად დოკუმენტებში რეკვიზიტების ფიქსაციის რაოდენობის შესწორებით დაიზოგება არა მარტო დრო, რაც საჭიროა დოკუმენტში ჩასაწერად, არამედ დრო, რომელიც საჭიროა რეკვიზიტის ჩაწერის სისწორის შესამოწმებლად პერფორაციისათვის, პერფორაციის კონტროლისათვის. ამასთან ერთად ინფორმაციის მუდმივი მატარებლების გამოყენება საშუალებას იძლევა შესრულდეს არითმეტიკული ოპერაციები ისეთ მაღალმწარმოებლურ მანქანებზე, როგორც არის გასამრავლებელი პერფორატორი, ელექტრონული მინადგარი ტაბულატორთან, ელექტრონული გამოთვლითი მანქანა და სხვა.



პ. ბუაჩიძე

მეთილპროტიდის გამოცდის შედეგები ნიადაგში მცხოვრები მაკროფაუნის წინააღმდეგ

სოფლის მეურნეობისადმი მიყენებული მნიშვნელოვანი ზარალის მიხედვით აღსანიშნავია ნიადაგში მცხოვრები მავნებლები: ღრაჭები, მახრები, მათულა ჭიები და სხვა. ღრაჭები მრავალ ქვეყანაშია გავრცელებული, საბჭოთა კავშირში: კრასნოდარის მხარეში, დაღესტანში, აზერბაიჯანში, სომხეთში, საქართველოში და სხვ.

ღრაჭები აზიანებენ ხეხილის ბაღებს, სანერგებს, ვაზს, ტყის კულტურებს, დეკორატიულ მცენარეებს, ბოსტან-ბაღჩეულს, ნ. ალექსიძის მონაცემებით [1] ველისციხის ვენახებში 10347 ვაზიდან 3169 დაიღუპა და დანაკლისმა 34,8% შეადგინა, ახალგაზრდა ვენახში ვაზის დანაკლისი ხშირად 50% და მეტს აღწევს.

ჩვენში ყველაზე მეტად გავრცელებულია ამიერკავკასიის მარმარა ღრაჭა (*Polyphylla olivieri* Cast).

ამარმარა ღრაჭა ზამთრობს ნიადაგში 25—30 სმ-ის სიღრმეზე მე-2 და მე-3 ასაკის მატლის ფაზაში, მატლები მთელი ზამთრისა და გაზაფხულის პერიოდში იმყოფებიან ნიადაგის ღრმა ფენებში, აპრილში, როდესაც ნიადაგის ტემპერატურა 20 სმ სიღრმეზე 10—12°-ს მიაღწევს, მატლები ამოდიან ზედა შრეებში და იწყებენ ინტენსიურ კვებას, მესამე ასაკის მატლები იცვლიან კანს და გადადიან ჭუპრის ფაზაში, რაც აგვისტოს შუა რიცხვებამდე გრძელდება. აგვისტოს შუა რიცხვებში ჭუპრიდან ხოჭოები იწყებენ გამოფრენას. დედლები განაყოფიერებიდან 4—6 დღის შემდეგ, კვერცხებს დებენ ნიადაგის 5—35 სმ-ის სიღრმეზე. ემბრიონის განვითარება 18—21 დღე გრძელდება, გამოჩეკილი მატლები იკვებებიან მცენარეების ფესვებით, რაც გრძელდება მანამდე, ვიდრე 20 სმ სიღრმეზე ტემპერატურა 10—12°-ზე დაბლა არ დაიწევს. მატლის სრულ განვითარებას 3 წელიწადი სჭირდება.

მახრა *Gryllotalpa gryllotalpa* L. ფართოდ გავრცელებული მავნებელია, საქართველოში თითქმის ყველგან გვხვდება. მახრები დიდ ზიანს აყენებენ სოფლის მეურნეობას. ასე მაგალითად, თულაშვილის ცნობით მახარაძის და ზუგ-

დიდის რაიონებში ჩაის დაზიანება 50% უდრიდა, ხოლო კალანდაძის, თულა-
შვილისა და შავკაციშვილის მონაცემებით აჯამეთის საცდელ ნაკვეთებში
ლის დაზიანება კი 15—20%-ს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დაზიანება
ბისადმი მიყენებული ზარალი გარდაბნის რაიონის სათბურებში 1961—63 წწ.
დაზიანებული იყო პამიდორის 20,5—41,5%, ღია გრუნტში კი 18—40%, ხო-
ლო ლანირის მეურნეობაში ჩითილის დაზიანებამ 22,5—31,7% შეადგინა (შავ-
კაციშვილი ლ. თხმეშური ლ., 1965) [2] 18%. პეტრუხინის მონაცემებით
[9], 1960 წელს ღია გრუნტის პირობებში მახრების მიერ დაზიანდა პამიდორის
ნარგობის 80%, ნიახურისა კი 50%, მოლდავეთის სათბურებში მახრები თითქ-
მის ჩითილების 10—15%-ს, ზოგჯერ 50%-საც. ანადგურებენ [13].

მახრა ზამთარს ატარებს ნიადაგში სხვადასხვა სიღრმეზე მატლისა და იმა-
გოს ფაზაში. გამოზამთრებული იმაგო საკვების წინასწარი მიღების შემდეგ
სქესობრივად მომწიფდება, იწყებს განაყოფიერებასა და კვერცხის დებას,
კვერცხის დება მასობრივად აპრილ-მაისში მიმდინარეობს. გამოზამთრებული
მოზრდილი ასაკის მატლები იმაგოებად იქცევიან და კვერცხს დებენ. ემბრიო-
ნის განვითარების ხანგრძლივობა 7—28 დღეს გრძელდება, ხოლო მახრის სრულ
განვითარებას 12—14 თვე სჭირდება.


მავთულა ჭიებიდან ჩვენში ორივე ოჯახის: ნამდვილი მავთულა ჭიებისა
(*Elateridae*) და ცრუმავთულა ჭიების (*Tenebrionidae*) წარმომადგენლებია
გავრცელებული.

მავთულა ჭიები განსაკუთრებით ზიანის მომტანია თამბაქოს, მარცვლოვა-
ნების, მზესუმზირას, შაქრის ჭარხლის, ბაღჩეული და ბოსტნეული კულტურე-
ბისათვის.

1944 წელს ყირგიზეთის სსრ-ის ერთ-ერთ ოლქში მავთულა ჭიებისაგან
1000 ჰექტარი ხორბლის ნათესი მთლიანად განადგურდა, ხოლო 4000 ჰექტარი
50—60%-ის (*А. Космачевский*) [6]. კრასნოდარის მხარეში მავთულა ჭიე-
ბისაგან ძლიერ ზიანდებიან კომბოსტოსა და პამიდორის ნათესები. ზელენოვას
ტარასევიჩისა და ვასილევის მონაცემებით ფერზიკოვსკის რაიონში კარტოფი-
ლის ნათესი 18—50%-მდე იყო დაზიანებული [5].

ჩვენს მიერ ცდებში ჩართული იყო ქართული ტკაცუნა (*Agriotes gurjis-
tanus* Faed.), რომელიც ნიადაგში 50-60 სმ სიღრმეზე იზამთრებს მატლე-
ბის სახით, ხოლო გაზაფხულსა და შემოდგომაზე გროვდება ნიადაგის ზედა შრე-
ში (5 სმ), გვალვიან პირობებში 20—30 სმ სიღრმეზე გვხვდებიან, კომპლაციას
იწყებენ აპრილ-მაისში. კვერცხებს დებენ ნიადაგის ზედა შრეში (3—5 სმ) გან-
საკუთრებით სარეველებით დაფარულ ადგილებში. კვერცხებიდან ახლად გამო-
ჩეკილი მატლები იკვებებიან მცენარეების დამავალი ნაწილებით. მეორე წელს
იწყებენ მცენარეების ფესვებითა და მარცვლებით კვებას, განვითარება 4—5
წელიწადს გრძელდება.

როგორც ცნობილია, ქიმიური პრეპარატების გამოყენების ეფექტიანობა
იზრდება თუ მას დაუკავშირებთ მავნებლის ბიოლოგიის თავისებურებებს და



შეგარჩევით ისეთ პერიოდს, როდესაც მავნებლები გამოდიან მეზამთრობიდან და ეწევიან აქტიურ ცხოვრებას (კვება, განაყოფიერება, კვერცხის დეპონირება სხვ.), როგორც ლიტერატურული მონაცემებიდან ჩანს, ა/მარმარა ღრუბლები და მავთულა ჭიების მატლები იაზაფხულზე (აპრილი-მაისი) ამოდიან ზედა შრეებში და იწყებენ ინტენსიურ კვებას, ამავე პერიოდისათვის სქესობრივად მომწიფებული მახრები კვერცხებს დებენ, რაც შეესაბამება მავნებლის აქტიური ცხოვრების დაწყებას, სწორედ ამ ბიოლოგიურ თავისებურებებს და სხვა მომენტებს ვითვალისწინებდით და ცდების ჩატარების ვადები დავუკავშირეთ მას.

ნიადაგში მცხოვრები მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლა ძველთაგანვე აგროტექნიკური ღონისძიებების გატარებით მიმდინარეობდა. აგროტექნიკური ღონისძიებების დანიშნულებაა მავნებლების განვითარებისათვის არაჩელსაყრელი პირობების შექმნა.

აგროტექნიკური ღონისძიებებიდან რეკომენდებულია თესლობრუნვების სწორად შერჩევა, მავნებლების მიმართ გამძლე კულტურების გამოყენება, ნიადაგის დამუშავების სწორი სისტემის გატარება, ნიადაგის ნაყოფიერების გაზრდა მინერალური და ორგანული სასუქების შეტანის გზით.

აგროტექნიკური ღონისძიებებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სარეველა მცენარეების წინააღმდეგ ბრძოლას, რადგან ისინი წარმოადგენენ მავნებლების თავშესაფარსა და მკვებავ მცენარეებს, ამიტომ მათი განადგურება ერთ-ერთი საშუალებაა მავნებლებთან წინააღმდეგ ბრძოლაში [3].

ნიადაგში მცხოვრებ მავნებლებთან ბრძოლისას ხშირად მიმართავენ მისატყუარი ორმოების მოწყობას, მავნებლების ხელით შეგროვებასა და განადგურებას, ნაკვეთებზე 30 სმ სიმაღლისა და 40 სმ სიგანის არხების შემოვლებას, ნიადაგის წყლით დატბორებას, რაც დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული და ხშირ შემთხვევაში იძლევა მცენარეების დაზიანებას. აგროტექნიკური და სხვა ღონისძიებების გატარება საკმარისი არ არის ნიადაგში მცხოვრები მავნებლების გასანადგურებლად, ამიტომ დაიწყეს ძიება ისეთი ღონისძიებებისა, რომლებიც საშუალებას მისცემდა სოფლის მეურნეობის მუშაკებს დაეცვათ ნათესები ამ წეტად მავნე ობიექტებისაგან. ერთ-ერთი ასეთი საშუალებაა ბრძოლის ქიმიური მეთოდის გამოყენება. ქიმიური პრეპარატებიდან ნიადაგში მცხოვრები მავნებლების წინააღმდეგ სხვადასხვა დროს გამოისცადეს: ნაფთალინი, პარა-დიქლორბენზოლი გოგირდნაზირობადი (ტამბოვი, 1914 წ.) ქლოროპირინი (გერმანია, 1920 წ.), კალციუმის ციანამიდი (ინგლისი 1923 წ. [16], პოლიქლორბენზოლი, პოლიქლორიდი [10, 11] და სხვა, მაგრამ ზემოთ დასახელებულმა პრეპარატებმა შემდგომში გამოყენება ვერ ჰპოვეს.

შემდგომ პერიოდში დაიწყეს მოშხამულ-მისატყუარი მასალების გამოყენება (დარიშხანოვანი შენაერთები).

უკანასკნელ პერიოდამდე მავთულა ჭიებისა და ნიადაგში მცხოვრები სხვა მავნებლების წინააღმდეგ საბრძოლველად არ იყო ეფექტური და ეკონომიურად გამართლებული შხამქიმიკატი; საგრძნობლად შეიცვალა მდგომარეობა მას



შემდეგ (1945 წ.) რაც ფართოდ დაიწყეს ქლორორგანული ნაერთების გამოყენება.

ქლორორგანული ნაერთებიდან ყურადღებას იმსახურებს ჰექსაქლორანის მისი γ -იზომერი, რომელიც ფართოდაა გამოყენებული მავთულა ჭიების, მარ-მარა ღრავის მატლებისა და სხვათა წინააღმდეგ.

მარმარა ღრავის ხოჭოების წინააღმდეგ მათი მასობრივი გამოფრენის დროს ურჩევნ 5,5% დღტ-სა და 12%-იანი ჰექსაქლორანის ფხვნილის შეფრქვევას [9]; ტ. ი. ფილატოვა ეფექტურად სთვლის ტყის სანერგეებში ჰექტარზე 60—120 კგ 12%-იანი ჰექსაქლორანის ფხვნილის შეტანას, ხოლო ხის ძირების დამუშავებისათვის თითო ძირზე 0,25 გ დღტ-სა და 0,25 გ „ნიუიფ-100“-ის შეტანას [14].

ი. ს. რომაშკო და ლ. ა. სერგეევა მარმარა ღრავების მატლების წინააღმდეგ ურჩევნ ნახშირმკვავა ბარიუმზე დამზადებული მოშხამულ-მისატყუარი მასალების გამოყენებას [12].

მახრების წინააღმდეგ ფართოდ არის გამოყენებული მოშხამულ-მისატყუარი მასალები, რომლის დასამზადებლად ხმარობენ თუთიის ფოსფიდს, კალციუმის არსენატს და სხვა ნივთიერებებს [7]. ზოგიერთ შემთხვევაში კი ჰექსაქლორანს.


მახრების წინააღმდეგ ურჩევნ აგრეთვე ქლოროფოსისა (0,13%) და 20%-იან (0,15—0,2%) მეტაფოსის ემულსიის გამოყენებას მცენარეების ძირებში მოსხმით, სათბურებსა და ნაკელში დიქლორეთანით (150 სმ²) ფუმიგაციის ჩატარებას [8].

ზელენოვას, ტარასევიჩისა და სხვების მონაცემებით 12%-იანი ჰექსაქლორანისაგან დამზადებული მოშხამულ-მისატყუარი მასალების გამოყენებამ, საგრძობლად შეამცირა მავთულა ჭიების მიერ მცენარეების დაზიანება და მოსავალი ერთ ჰექტარზე 13 ცენტნერით გაიზარდა [5].

ოლისევიჩი და პროცენკო [7] დეკორატიული მცენარეების ნარგაობაში 12—25%-იანი ჰექსაქლორანის ფხვნილის ან 2—4%-იანი ჰექსაქლორანის გრანულირებული γ იზომერის გამოყენებას ურჩევნ. იგივე ავტორები ურჩევნ დარგვის წინ მცენარის ფესვებსა და ტუბერებზე ჰექსაქლორანის ფხვნილის შეფრქვევას. მავთულა ჭიების წინააღმდეგ კარგ შედეგს იძლევა ჰექსაქლორანის ფხვნილით თესლის შეწამვლა; ამ მიზნით ყურადღება მიექცა კომბინირებული პრეპარატების (მერკურანი. 50% ტმოდ+20% გამა იზომერი და სხვ.) გამოყენებას, რომლებიც ერთდროულად მოქმედებენ მავნებლებსა და დაავადებებზე [3,6].

ვ. ეკემსკინი [4] მავთულა ჭიებთან საბრძოლველად პამიდორის ნარგაობაში თითო ძირზე 0,5 ლიტრ პარიზის მწვანას ხსნარს იყენებდა (150 გ პარიზის მწვანა, 100 ლიტრი წყალი).

როგორც ლიტერატურული მასალებიდან ჩანს, ნიადაგში მცხოვრები მავნებლების წინააღმდეგ ძირითადად ქლორორგანული შენაერთების წარმომადგენელი ჰექსაქლორანი და მისი γ იზომერია გამოყენებული, რომელიც საკმაოდ მაღალეფექტურია; მიუხედავად ამისა ჰექსაქლორანის გამოყენება მაინც



შეზღუდულია, რადგან იგი მცენარის მიერ ადვილად შეითვისება, რის გამოც მისი არასასიამოვნო სუნის გადაეცემა კარტოფილის ძირხვევნებს, სხვადასხვა მცენარეების ნაყოფებს, რომლებიც საკვებად გამოუსადეგარი ხდება, ამიტომ ჰექსაქლორანის გამოყენება ბევრ შემთხვევაში დაუშვებელია. ნიადაგებზე სადაც ჰექსაქლორანია შეტანილი კარტოფილისა და ბოსტნეულის თესვა-მოყვანა 3—4 წლის განმავლობაში არ შეიძლება, არ უნდა ვიფიქროთ, რომ თითქმის ასეთი გაფრთხილება გამოწვეული იყოს მხოლოდ იმით, რომ მცენარე ღებულობს არასასიამოვნო სუნს, არამედ არის საშიშროება ადამიანთა ქრონიკული მოწამვლისაც, რადგან შხამქიმიკატი გროვდება ნიადაგში (ნიადაგი ჭუჭყიანდება). შემდეგ გადადის მცენარეში, კვების შედეგად ადამიანისა და ცხოველის ორგანიზმში, ხოლო ცხოველური პროდუქტიდან კვლავ ადამიანის ორგანიზმში, ე. ი. ბუნებაში ხდება ჰექსაქლორანის (ან სხვა ქლორორგანული შენაერთების) ცირკულაცია და დიდი ხნის განმავლობაში რჩება ნიადაგში.

ამჟამად მიმდინარეობს ძიება ისეთი ნივთიერებებისა, რომლებიც ნაკლებ ტოქსიკურნი არიან თბილისისხლიანების მიმართ და ნაშთი ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ რჩება ნიადაგსა და მცენარის ნაყოფში.

ბოლო წლებში პრაქტიკაში გადავიდნენ მწერების მიმართ უფრო ტოქსიკური პრეპარატების გამოყენებაზე, რომლებსაც მიეკუთვნებიან პრეპარატი ლინდანი (ჰექსაქლორანის იზომერი) და დიენის სინთეზით მიღებული პრეპარატები—ქლორინდანი, ჰეპტაქლორი, ალდრინი, დილდრინი, ენდრინი, იზოდრინი, მაგრამ აღნიშნული პრეპარატებიდანაც ზოგიერთმა ადამიანების მიმართ ძლიერი ტოქსიკურობა გამოამჟღავნა.

ზემოთ აღნიშნულს ვითვალისწინებდით, როდესაც გადავწყვიტეთ ნიადაგში მცხოვრები მავნებლების წინააღმდეგ მეთილბრომიდის გამოყენება, რომლის შესახებ ჩვენთვის ხელმისაწვდომ ლიტერატურაში მასალები თითქმის არ მოიპოვება. მეთილბრომიდის ეფექტიანობის დასადგენად ცდებს ვატარებდით მდელის ყავისფერ მძიმე თიხნარ ნიადაგებზე, როგორც ბიონდიკატორებს ცდებში 1967 წელს ვიყენებდით ა/ მარმარა ღრაჰასა და მახრას, მეთილბრომიდს ვცდიდით 40—70 გ/მ²-ის რაოდენობით 24 საათიანი ექსპოზიციით; 1968 წელს ავიღეთ აგრეთვე მავთულაჭიები და მეთილბრომიდის დაბალი დოზები (20—30 გ/მ²). ცდებისათვის მავნებლებს წინასწარ ვაგროვებდით, ლითონის ბადისაგან დავამზადეთ სათავსები, რომელშიც ვყრიდით ნიადაგს და მასში სხვადასხვა რაოდენობით (9—15 ცალი) ვათავსებდით მავნებლებს. მავნებლების ნიადაგში მოთავსების სიღრმე (0—20 სმ) შევუსაბამეთ იმას, რომ ისინი აპრილ-მაისში ნიადაგის ზედა შრეებში (5—20 სმ) ამოდიან. მართალია მავნებლების აღნიშნული რაოდენობა მცირეა, მაგრამ ეს გამოწვეულია მასალის სიმცირით.

მეთილბრომიდის ეფექტურობას ვადგენდით პოლიეთილენის აპკის ახდის შემდეგ, ცოცხალი და მკვდარი მავნებლების რიცხვის მიხედვით. ვინაიდან ბუნებრივ სიკვდილიანობს არ ჰქონდა ადგილი, ამიტომ ვიყენებდით ფორმულას:

$$C = \frac{(A - B) \cdot 100}{K}$$

სადაც C არის სიკვდილიანობა %,



1. ბ. ალექსიძე—ამიერკავკასიის მარმარილოს ღრუბა (ხოჭო) და მასთან ბრძოლა. ხეობა-მეღვინეობის კვლევითი ინსტიტუტის გამოცემა, თელავი, 1938 წ.
2. ლ. შავკაციშვილი, ლ. ოთხმეზური—მახრას წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შესწავლისათვის. მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის შრომები ტ. VIII, 1965 წ.
3. Добровольский Б. В., Пономаренко А. В.—Химическая борьба с вредными насекомыми в почве. Москва, 1965 г.
4. Екемскин В. М.—Проволочники на помидорах. Журн. «Защита растений от вредителей и болезней», № 11, 1961 г.
5. Зеленова Л., Тарасевич, Васильева Е.—О борьбе с проволочниками в макроочагах. Журн. «Защита растений от вредителей и болезней», № 6, 1966 г.
6. Космачевский А. С.—Вредные почвенные насекомые. Москва, 1959 г.
7. Олисевиц Е. А., Проценко Е. П.—Защита декоративных растений от вредителей и болезней. Москва, 1970 г.
8. Осницкая Е. А., Герасимов Б. А. и др.—Защита овощных культур в закрытом грунте от вредителей и болезней. Москва, 1969 г.
9. Попова З.—Опыт применения метода дезинсекции почвы в борьбе с майским хрущом в лесном хозяйстве в условиях Севера. Дезинсекция и дезинфекция почвы. Москва, 1936 г.
10. Петурхин К.—Опыт борьбы с медведкой. Журн. «Защита растений от вредителей и болезней», № 3, 1967 г.
11. Полеженцев П. А.—Опыт применения метода дезинфекции почвы в борьбе с личинками майского хруща в условиях Орового опытного лесничества Куйбышевского края. Дезинсекция и дезинфекция почвы, Москва, 1936 г.
12. Ромашко И. С., Сергеева Л. А.—Испытание новых пестицидов в борьбе с мраморным хрущом. Научн. труды Укр. НИ станции виноградарства и освоения песков. Киев, вып. 8, 1956 г.
13. Справочник агронома по защите растений, под редакцией Д. Вердеровского, Т. Полевого и В. Шапа, Кишинев, 1968 г.
14. Флаторова Т. И.—Некоторые данные по испытанию новых инсектицидов против личинок майского хруща в условиях лесопитомников. Реф. до Моск. с.-х. акад. им. Тимирязева, вып. 16, 1952 г.
15. Ярославцев Г. М.—Фумигация почвы, как метод борьбы с проволочниками, 1963 г.



მ. წარმთელი

ნუშის ნაყოფის ტექნოლოგიური კლასიფიკაციის საკითხისათვის

ნუშის გული მაღალი კვებითი ღირსების მქონე მცენარეული პროდუქტია და ამდენად მას მრეწველობის სხვადასხვა დარგში მრავალმხრივი სასარგებლო გამოყენება აქვს.

ნუშის კულტურა საქართველოში ძველთაგანვე ყოფილა ცნობილი, რასაც მოწმობს მრავალი ისტორიული ძეგლი, როგორცაა ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, უსწორო კარაბადინი და სხვა მრავალი „სააქიმო“ წიგნი.

XI—XII საუკ. წყაროების მიხედვით, ნუშს ხმარობდნენ წამლების შემადგენელ ნაწილად. ნუშის გული, ცხიმოვანი ზეთი და მწარე ნუშის ზეთიც კი სხვადასხვა სნეულებათა საწინააღმდეგო საშუალებად მიიჩნდათ.

თეიმურაზ II „ხილთა ქებაში“ ნათქვამია:

„აწ ნუში იტყვის: ამითა ვერ იტყვიტ ჩემსა ძვირსაო,
ჩემი ხე ნათლად აყვავდეს, ლხინია მისსა ძირსაო,
კბილისა მატკინარი ვარ, მით მაგინებენ ფირსაო,
წამლად, საჭმელად, კარგი ვარ ამით ვჯობივარ ხილსაო“.

კარაბადინების მიხედვით ნუშის გული, ხალხურ მედიცინაში ფართოდ ყოფილა ხმარებული.

ნუშის გულმა გამოყენება ჰპოვა თანამედროვე მედიცინაშიც სხვადასხვა სნეულებათა სამკურნალოდ. მაგ., დანაყილი ნუშის გული იხმარება თირკმელეების და ფილტვების დაავადებათა სამკურნალოდ [1, 2, 3].

მედიცინაში და საპარფიუმერიო მრეწველობაში უფრო გამოყენებულია მწარე ნუში, რადგან იგი უფრო იაფია. და საჭმელად არ გამოდგება, მაგრამ მისგან გამოიხდება ცხიმოვანი ზეთი, ხოლო დარჩენილი კოპტონიდან მიიღება ე. წ. „მწარე ნუშის“ ეთეროვანი ზეთი.

მწარე ნუშის გულში არსებული გლუკოზიდი—ამიგდალინი ფერმენტ-ემულსინის გავლენით იშლება გლუკოზად, ციანის მჟავად და ნუშის მწარე ზეთად, რომელიც სათანადო გაწმენდის შემდეგ იხმარება მედიცინაში, პარფიუმერიაში მაღალხარისხოვანი საპნების, კოსმეტიკური ნაწარმის დასამზადებლად და ლიქიორების წარმოებაში.

ამჟამად ნუშის ტკბილი გულის გამოყენება საკმაოდ მრავალფეროვანია,

ყველაზე მეტად იგი მოიხმარება სამაქარლამო-საკულისარო წარმოებაში, როგორც საგემოვნო ნედლეული ნამცხვრების, კამფეტების, ნუშის, შაქარლამის, ნუშიანი თაფლის კვებების, სხვადასხვა ფეტებისათვის საჩურთ „მარციზანი“-ს და „პრალინი“-ს დასამზადებლად [4, 5].

ჯერ კიდევ გაუმავრებული ნუშის ნაყოფი იღება მწნილად და იხმარება სხვადასხვა გარნირების სახით.

ნუშის გული წარმოადგენს საუკეთესო ნედლეულს ნუშის ძვირფასი ცხიმოვანი ზეთის მისაღებად, რომელიც გამოიყენება გემო-კვების მრეწველობაში, პარფიუმერიაში სურნელოვან ნივთიერებათა ფიქსაციისათვის, მედიცინაში მალამოებისა და სხვადასხვა წამლების დასამზადებლად. კოსმეტიკაში გამოიყენება აქეს ნუშის რძეს, გარდა ამისა ნუშის რძიდან მზადდება სხვადასხვა დიეტური საჭმელი და ყველი.

ნუშის გულისაგან ამზადებენ გამავრილებელ სასმელს, რომელიც კარგად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე.

ნუშის ტკბილი გულიდან ცხიმოვანი ზეთის გამოხდის შემდეგ დარჩენილ კობტონსაც მალალი კვებითი ღირსების გამო, დიდი გამოყენება აქვს, იგი საკმაოდ ნოყიერია, რადგან შეიცავს 14%-მდე ზეთს, 37%-მდე ალბუმინს და 23%-მდე უაზოტო ნივთიერებებს.

დაფქვილი კობტონიდან მზადდება, როგორც სხვადასხვა წამალი, ასევე დაბალხარისხოვანი შოკოლადი, გარდა ამისა, იგი იხმარება კოსმეტიკაში, როგორც სახის კანის შემარბილებელი საშუალება და ცნობილია „ნუშის ქატოს“—სახელწოდებით.

ნუშის ნაჭუჭიც პოულობს მრავალმხრივ გამოყენებას. მაგალითად, მაგარი ნაჭუჭისაგან მზადდება ნივთიერება კონიაკის არომატიზაციისათვის და ხშირად თეთრი ღვინოების შესაფერად, მისგან ამზადებენ აგრეთვე მალაჩარისხოვან გაზშთანმთქმელ ნახშირს—„კარბონელა“-ს.

ნუში ყველა ხეხილზე ადრე ყვავის და ფუტკარს ამით საუკეთესო ღალას აძლევს.

ნუშის მწვანე ლენჩოს ნაცარი შეიცავს 40% კალიუმს, მისი მოხმარება შეიძლება სასუქად და აგრეთვე საპნის წარმოებაში.


ნუშის ხის მერქანი მაგარია, წითელი ფერისაა, მისგან ამზადებენ საღებრო იარაღებს და, აგრეთვე, იყენებენ ავეჯის შესალამაზებლად.

სსრ კავშირში ნუშის კულტურის წარმოების მთავარ ცენტრებს წარმოადგენს ყირიმის—შავი ზღვის სანაპიროები, უზბეკეთის სამხრეთი რაიონები, ტაჯიკეთის სამხრეთი და ჩრდილო რაიონები, აზერბაიჯანი და სომხეთი.

საერთოდ საბჭოთა კავშირში და კერძოდ კი საქართველოში მას ყურადღება მიექცა. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

ნუშის კულტურის წარმოების ცენტრს საქართველოში წარმოადგენს აღმოსავლეთი საქართველო—მთიანი ზონის გამოკლებით.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, ხეხილოვან კულტურებზე 1945 წ. ჩატარებული აღწერის მიხედვით, ნუშის ნარგაობა მთელ საქართველოში შეადგენდა 237,9 ჰა-ს, აქედან აღმოსავლეთ საქართველოზე 232,4 ჰა მოდიოდა.



საბჭოთა მეურნეობებში გაერთიანებულა 41.2 ჰექტარი, აქედან ხირსის საბჭოთა მეურნეობაში, ნუშის კულტურას უკავია 21-3ა ფართობი.

არსებული ცნობების მიხედვით, ნუშის კულტურის გავრცელების პირველი ადგილი სიღნაღის რაიონს უჭირავს.

ვინაიდან გემოკვების მრეწველობა და სააფთიაქო წარმოება დიდ მოთხოვნებს აყენებს ნუშის ნაყოფზე, ამიტომ სხვა ხეხილოვან კულტურასთან ერთად, ვფიქრობთ, ნუშიც დაიკავებს საბატიო ადგილს.

დოც. ი. ქურდოვანიძე აღნიშნავს, რომ ნუშის კულტურა ნაკლებმომთხოვნია ნიადაგების მიმართ, გვალვამტანია და ფერდობებსაც ეგუება, ამიტომ აღმოსავლეთ საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, განსაკუთრებით კი კახეთისა, სავსებით აკმაყოფილებს მის მოთხოვნებს, გარდა ამისა, პერსპექტიულია სამგორის ველიც, სადაც უნდა გაშენდეს ნუშის მთლიანი მასივი [6].

ჩვენ შევისწავლეთ ხირსის საბჭოთა მეურნეობის ნაკვეთზე გაშენებული ტკბილგულიანი ნუშის ნაყოფების ტექნიკურ-ქიმიური მაჩვენებლები, ნუშის ცხიმოვანი ზეთის ფიზიკურ-ქიმიური კონსტანტები [7] და აგრეთვე დავამუშავეთ საკითხი ნუშის ნაყოფების ტექნოლოგიური კლასიფიკაციისათვის.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დღემდე ნუშის ნაყოფების სიმაგრის გასაზომად გამოყენებულია მეტად პრიმიტიული საშუალება, რომელსაც საფუძვლად უდევს ჩაქუჩის მსუბუქი ან ძლიერი დარტყმა, გასატეხი მაშა, ორი ნაყოფის ერთმანეთზე დაწოლა, ნაყოფის გატეხვა ორთითს შორის მოთავსებით და სხვ. ამ მაჩვენებლების მიხედვით, შემუშავებულ და დღემდე არსებულ კლასიფიკაციით ნუშის ნაყოფებს ყოფენ ოთხ სასაქონლო ჯგუფად:

I ჯგუფი—სიფრიფანა ნაჭუჭიანები—ნაყოფის გატეხვა შეიძლება ორთითს შორის მოთავსებით და დაწოლით.

II ჯგუფი—რბილნაჭუჭიანები—ნაყოფის გატეხვა შეიძლება ორი ნაყოფის ერთმანეთზე დაწოლით.

III ჯგუფი—სტანდარტულნაჭუჭიანები—ნაყოფის გატეხვა შეიძლება გასატეხი მაშით ან ჩაქუჩის მსუბუქი დარტყმით.

IV ჯგუფი—მაგარნაჭუჭიანები—ნაყოფის გატეხვა შეიძლება ჩაქუჩის ძლიერი დარტყმით [6].

არსებული მეთოდი ნუშის ნაყოფების კლასიფიკაციისა ტექნიკურად გაუმართლებელია, რადგან ჩაქუჩი დიდიც არის და პატარაც, გარდა ამისა დარტყმის ძალაც განსხვავებულია და იგი დამოკიდებულია თვით სუბიექტზე.

ჩვენ შევეცადეთ ამ უხერხულობიდან გამოსასვლელად შედარებით ობიექტური მეთოდის გამოიყენება. ამ მიზნით ცდა ჩავატარეთ „ТНИИСГЭИ“-ის საცდელ ლაბორატორიაში მანქანაზე—სპეციალური მოწყობილობით.

მიღებულ მონაცემთა საფუძველზე და, აგრეთვე, ნაჭუჭის სისქისა და გულის გამოსავლიანობის მიხედვით, შევიმუშავეთ ტექნოლოგიური კლასიფიკაციის საკითხი, რაც მოცემული გვაქვს პირველ ცხრილში.

ამ კლასიფიკაციის მიხედვით ნუშებს ვყოფთ ექვს სასაქონლო ჯგუფად:

- I—სიფრიფანა ნაჭუჭიანები,
- II—რბილნაჭუჭიანები
- III—სტანდარტულნაჭუჭიანები.

- IV—მაგარნაჭუჭიანები,
V—მაგარ და მტკიცენაჭუჭიანები,
VI—კერკეტი (მეტად მაგარნაჭუჭიანები).

ამათგან: სიფრიფანა ნაჭუჭიანებს, რბილნაჭუჭიანებს და სტანდარტულნა-
ჭუჭიანებს, რომელთა ნაჭუჭის სისქე 0,5—2,5 მმ-მდეა, ვაერთიანებთ თხელნა-
ჭუჭიანებში, დანარჩენებს კი რომელთა ნაჭუჭის სისქე 2,5—5,0 მმ-მდეა, ვაერ-
თიანებთ სქელნაჭუჭიანებში.

ც ხ რ ი ლ ი 1

ნუშის ნაყოფების ტექნოლოგიური კლასიფიკაცია

	ნაჭუჭის სისქე (მმ)		სასაქონლო ჯგუფის სახელწოდება	ნაყოფის ცულებზე გასატეხად საჭირო ძალა კგ-მმ ²	გულის გამოსავლი- ანობა ნაყოფის წო- ნიდან %
თხელნაჭუჭიანები	0,5—2,5-მდე	I	სიფრიფანა ნაჭუჭიანები	3,4	57,5
		II	რბილნაჭუჭიანები	6,9	43,9
		III	სტანდარტულნაჭუჭიანები	20,5	34,8
სქელნაჭუჭიანები	2,5—5,0-მდე	IV	მაგარნაჭუჭიანები ნაჭუჭი შრეველდება	25,9	25,7
		V	მაგარ და მტკიცე ნაჭუჭიანები	68,7	22,9
		VI	კერკეტი მეტად მაგარნაჭუ- ჭიანები	119,8	15,4

გულის გამოსავლიანობა ნაყოფის წონიდან (%) იმყოფება კორელაციურ
დამოკიდებულებაში ნაჭუჭის სიმაგრესთან. ნაჭუჭის სიმაგრე იზრდება, მაგ-
რამ მის კვალობაზე მცირდება გამოსავლიანობა, ამიტომ ამ ცხრილზე დაყრდ-
ნობით შესაძლებელი ხდება იმის დადგენა თუ მოცემული ნუშის ნაყოფი, რო-
მელ სასაქონლო ჯგუფს მიეკუთვნება.

დასკვნები

1. ნუშის ნაყოფის სიმაგრესა და გულის გამოსავლიანობას შორის არსე-
ბობს შებრუნებული კორელაცია. რაც უფრო რბილი და თხელია ნაჭუჭი, მით
უფრო მეტია გულის გამოსავალი და პირიქით, რაც უფრო მაგარია ნაჭუჭი, მით
გამოსავლიანობა ნაკლებია (ასე, მაგ., სიფრიფანა ნაჭუჭიანებიდან გულის გა-
მოსავალი 57,5%-ია, მეტად მაგარნაჭუჭიანებიდან კი 15,4%).

2. ნაჭუჭის სიმაგრის ზრდასთან დაკავშირებით იზრდება ნაყოფის გასატე-
ხად საჭირო ძალა (კგ). მაგ., სიფრიფანა ნაჭუჭის მქონე ნაყოფების გასატეხად

საჭიროა 3,4 კგ. მეტად მაგარნაჭუჭიანების (კერკეტი) გასატეხად კი 119,8 კგ (თითქმის 35-ჯერ მეტი).

3. გულის გამოსავლიანობის მიხედვით შესაძლებელი ხდება იმის დადგენა, თუ მოცემული ნუშის ნაყოფი, რომელ სასაქონლო ჯგუფს მიეკუთვნება.

4. მიზანშეწონილად მიგვაჩნია ნუშის ნაყოფების არსებული კლასიფიკაციის შეცვლა ჩვენ მიერ შემუშავებული ტექნოლოგიური კლასიფიკაციით.

დამოწმებული ლიტერატურა

1. ვ ა ხ უ შ ტ ი — აღწერა სამეფოსა საქართველოსა. (საქ. გეოგრაფია). თბილისი სახ. უნივერსიტეტი 1941 წ.
2. წიგნი სააქიმო—კოტეტიშვილის რედაქციით.
3. ქანანელი—უსწორო კარაბადინი ლ. კოტეტიშვილი რედაქციით 1940 წ.
4. А. А. Бершадский, П. В. Котляровский—Технология кондитерского производства. М., 1936.
5. А. В. Красноперова, Е. П. Тумольская—Технология кондитерского производства М., 1936 г.
6. ი. ქ უ რ დ ო ვ ა ნ ი ძ ე — საქართველოს ნუში, თბ., 1953 წ.
7. მ. წ ე რ ე თ ე ლ ი — ტკბილგულიანი ნუშების ტექნიკურ-ქიმიური მაჩვენებლები და მათი კლასიფიკაცია. საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის შრ., ტ. LXXIII, თბ., 1967 წ.




ლ. მუჯირი

ამინომჟავების მონაწილეობა ალკალოიდების გენეზისში

მცენარეულ ორგანიზმში არსებულ ორგანულ მჟავათა შორის განსაკუთრებული ადგილი ენიჭება ამინომჟავებს, რომელთა მოლეკულა შეიცავს ამინოჯგუფის შემადგენლობაში შემავალ აზოტს. კარბოქსილისა და ამინოჯგუფების არსებობა ამინომჟავას მოლეკულაში განაპირობებს მათ ამფოტერულ თვისებებს, რაც გამოიხატება იმაში, რომ მჟავებთან და ტუტეებთან იძლევიან მარილებს. ასხევეებენ α , β , γ და ა. შ. ამინომჟავებს.

მაგალითად:




α —ამინოპროპიონმჟავა

β —ამინოპროპიონმჟავა.

ცილების და პეპტიდების მთლიანი პიდროლიზის შედეგად წარმოიქმნება


α —ამინოკარბომჟავები:




აღნიშნული ამინომჟავები, ნახშირბადის ასიმეტრიული ატომის კონფიგურაციის მიხედვით მიეკუთვნებიან ერთი და იმავე სტერიოდულ რიგს (L) და განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მხოლოდ ნახშირწყალბადების რადიკალებით.

გარდა ბუნებრივი ამინომჟავებისა, რომლებიც გამოიყოფა ცილებისაგან არსებობს „იშვიათი“ ამინომჟავები.

ყველა ამინომჟავა შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ამინომჟავას C—ჩანაცვლებული წარმოებული. მათი აღნაგობა შეიძლება დადგენილ იქნეს უანგვითი გახლეჩით, რის შედეგად გვერდითი ჯაჭვი—ნახშირბადის ატომთან ერთად გარდაიქმნება ალდეჰიდში:



სხვადასხვა პირობებში ამინომჟავები განიცდიან ქიმიურ ცვლილებებს, რომელთა მეორადი გარდაქმნის პროდუქტს ალკალოიდები წარმოადგენენ.



ალკალოიდების სახელწოდებით ცნობილია ფუძე ხასიათის რთული შემადგენლობის, უმრავლეს შემთხვევაში ციკლური აგებულების ნაერთები, რომლებიც შეიცავენ აზოტის ჰეტეროციკლურ რგოლს. ალკალოიდები ძირითადად გვხვდება მცენარეებში, იშვიათად ცხოველურ ორგანიზმებში.

არჩევენ ჟანგბადოვან და უჟანგბადო ალკალოიდებს. ჟანგბადიანი ალკალოიდები მყარი ნივთიერებებია, ხოლო უჟანგბადო კი სითხეოვანი. ყველა ალკალოიდი ფუძე ხასიათისაა, მწარე გემოსი, წყალში ძნელად იხსნება, ადვილად იხსნება ორგანულ გამხსნელში—სპირტში, ეთერში, ქლოროფორმში, ამილის სპირტში, ეთილაცეტატში, ბენზოლში და სხვა. არის ზოგიერთი ალკალოიდი, რომელიც ორგანულ გამხსნელებშიც კი ძნელად იხსნება.


მრავალი ალკალოიდი ობტიკურად მოქმედია. თავიანთი ფუძე ხასიათის გამო ალკალოიდები მჟავებთან მარილებს წარმოშობენ და ისევე, როგორც ამონიაკი და ამინები მჟავებთან შეერთებისას წყალს არ გამოყოფენ, რის გამო მოლეკულა ალკალოიდი უერთდება მოლეკულა მჟავას. ამიტომაც არის, რომ ალკალოიდები ძირითადად გვხვდება მცენარეებში მჟავე ნაერთების, ანუ მარილების სახით.

ალკალოიდების მჟავე ნაერთები (მარილები) წყალში ადვილად იხსნება. ალკალოიდები წარმოადგენს სუსტი ფუძე ხასიათის ნაერთებს და შათი მარილები ადვილად იშლება არა მარტო ძლიერი ფუძეებით NaOH , KOH $\text{Ba}(\text{OH})_2$ არამედ ამონიაკითაც და ალკალოიდები ფუძის სახით გამოიყოფა.



ალკალოიდების წარმოშობის წყაროდ მთელი რიგი მეცნიერები (ა. ორხოვი, ვ. სოკოლოვი, ს. იუნუსოვი, ა. ბლაგოვეშენსკი და სხვ.) თვლიან ამინომჟავებს.

ამჟამად ცნობილია სხვადასხვა ამინომჟავების გარდაქმნის პროდუქტები რომლებიც წარმოადგენენ ალკალოიდებს.



ამინომჟავა ლიზინის დეკარბოქსილაციით წარმოიქმნება პენტამეთილენ-დიამინი ანუ კადავერინი, რომელიც ამიაკის დაკარგვით გადადის პიპერიდინში, ეს უქანასკნელი კი წარმოიქმნის ალკალოიდ პირიდინს:



ამინომჟავა პროლინისაგან წარმოიქმნება სტახიდრინი, ხოლო ოქსიპროლინი-საგან კი ბენტონიცინი.




პროლინი





სტახიდრინი.

გ. კლერმა და გლინზერმა დაამტკიცეს, რომ ამინომჟავების: პროლინის, ორნიტინის და გლუტამინის მჟავის 0,1—0,2%-იანი ხსნარების შეყვანით მცენარეში ძლიერ გაიზარდა სტახიდრინის შემცველობა. ეს ცდა ამტკიცებს სტახიდრინისა და პროლინის გენეტიკურ კავშირს, ხოლო პროლინის ორნიტინთან და გლუტამინის მჟავასთან.




ოქსიპროლინი




ბენტონიცინი

ზამბინიონში და ქამა სოკოში ნაპოვნია გერცინინი, რომელიც წარმოიქმნება პისტიდინისაგან.




პისტიდინი





გერცინინი


ამინომჟავა ტიროზინისაგან წარმოიქმნება ტირამინი, რომლის დიმეთილწარმოებულა ალკალოიდი გორდენინი.



ტირამინი



გორდენინი



დაბალ კონცენტრაციებში აღებული L—ტრიბტოფანიდან და D—ტრიბტოფანიდან ინტენსიურად წარმოიქმნება ნიკოტინის მჟავა, უკანასკნელი კონცენტრაციის შემთხვევაში ნიკოტინის მჟავა შედარებით მცირეწილად წარმოიქმნება L—ტრიბტოფანისაგან. ნიკოტინის მჟავას წარმოქმნა D ტრიბტოფანისაგან დაკავშირებულია ოქსიდაზის მაღალ აქტივობაზე. ამ შემთხვევაში ხდება D—ტრიბტოფანის ჩქარი დეზამინირება და მიღებული კეტონმჟავისაგან L—ტრიბტოფანის შემდგომი წარმოქმნა. მხოლოდ ეს უკანასკნელი შეიძლება გამოყენებული იქნას ნიკოტინის მჟავას სინთეზისათვის.

აკად. ა. ორეხოვს ალკალოიდების კლასიფიკაციის ყველაზე სწორ მთოდად მიაჩნია მათი დაყოფა ქიმიური სტრუქტურის მიხედვით, რომელიც ალკალოიდების ქიმიურ სტრუქტურაში მონაწილე ძირითადი პეტეროციკლური რგოლიდან გამომდინარეობს. ალკალოიდების ქიმიური სტრუქტურების გამოცნობის შემდეგ შესაძლებელი გახდა ზოგიერთი ალკალოიდის სინთეზი.

ამჟამად ცნობილია პიროლიდინის, პირიდინის, იმიდაზოლის, პიპერიდინის, ქინოლინის, იზოქინულინის, ინდოლის და სხვა პეტეროციკლურ ხაზარმოებთა ჯგუფები.

ალკალოიდები წარმოადგენენ მნიშვნელოვან სამკურნალო საშუალებებს, ბევრ ალკალოიდს—კოფეინს, თეობრომინს, მორფინს, კოდეინს, ლობელინს. ატროპინს და სხვას აღმოაჩენდა სასარგებლო ფიზიოლოგიური მოქმედება და ფართოდ იხმარება სამედიცინო პრაქტიკაში.



Н. Б. ГИГИБЕРИЯ, О. Т. ХАЧИДЗЕ

КОЛИЧЕСТВЕННОЕ ИЗМЕНЕНИЕ СВОБОДНЫХ АМИНОКИСЛОТ В СУСЛЕ И ДЕСЕРТНОМ ВИНЕ ХИХВИ

Основное значение в образовании букета и вкуса вина заключается в участии аминокислот в химических и биохимических процессах, ведущих к образованию органолептических веществ (спиртов, альдегидов, кислот, эфиров и т. д.).

Кроме того аминокислоты, входящие в состав сусла и вина вместе с другими компонентами обуславливают также их питательные качества [1, 2].

Известно, что состав аминокислот в вине значительно меняется в зависимости от сорта винограда, места его произрастания, способа приготовления вина, технологических операций и других факторов. Количество той или иной аминокислоты в винах колеблется и зависит от самых разнообразных причин, но все же в этом отношении намечаются некоторые закономерности [3, 4].


Для создания рационального технологического режима приготовления десертного вина Хихви нами проведено изучение количественного состава аминокислот в сусле и вине.

Хихви—грузинский винный сорт среднего периода созревания. Сорт обладает способностью накапливать значительное количество сахара (до 30%) без увяливания, но имеет склонность к легкому заизюмливанию [5]. Вместе с высокой сахаристостью для сорта характерна соответствующая кислотность.

Виноград сорта Хихви признан сортом, дающим высококачественное сырье для десертного виноделия [6].

В данной работе впервые у нас изучался качественный и количественный состав аминокислот сусла и вина Хихви.

Были взяты образцы в Карданахском микрорайоне, с. Ахоэби, на разных стадиях созревания винограда: 1. за десять дней до начала сбора, 11/IX, 2. в период технической зрелости, 21/IX, 3. в период сбора винограда с экспериментального участка 28/IX, 4. при достижении сахаристости



винограда 28—30% (после заблаговременного скручивания плодоножки грозди винограда); и формировании вина: 1. до начала процесса ферментации, 2. после окончания процесса ферментации, 3. в моменты постепенного спиртования [6]: первого, второго и третьего. Для опыта десертное вино Хихви готовилось по классическому способу.

Для выделения аминокислот исследуемый образец пропускали через ионообменную колонку, наполненную катионитом Дауэкс-50. Элюирование аминокислот проводили методом бумажной хроматографии. Применяли бумагу марки «М» — предварительно промытую раствором трилона-Б. Растворителем служила смесь *n*-бутилового спирта, ледяной уксусной кислоты и воды в двух соотношениях: 40:10:50 и 40:15:5, каждую смесь пропускали по три раза.

Количественное определение аминокислот проводилось по Успенской Ж. В. и Кретовичу В. Л. [7].

Количественное определение пролина проводили химическим методом [8]. Результаты анализа аминокислот в разных образцах приведены в таблице. В результате определения обнаружено семнадцать аминокислот. Как видно из таблицы, в сусле преобладают: аспарагиновая кислота, серин, глицин, аланин, пролин, тирозин, метионин, фенилаланин. Сравнительно в меньшем количестве содержатся лизин, гистидин, аргинин, глутаминовая кислота. Количество пролина намного превышает содержание других аминокислот как в сусле, так и в вине. Валин, лейцин и γ аминокислотная кислота содержатся в среднем количестве.

В сусле сильно заизюмленного винограда, собранного при достижении сахаристости 30% на экспериментальном участке после скручивания плодоножки грозди винограда в период технической зрелости преобладают: пролин, серин, тирозин, фенилаланин, глицин, лейцин.

Исследованиями ученых аминокислот в десертных винах установлено, что возникновение токайского тона в них связано с превращениями аминокислотной кислоты, валина и лейцина и образующихся из них пропионовым, изомасляным и изовалериановым альдегидами [9].

В вине, выдержанном в бочках и вине трехлетней выдержки наблюдается завышенное содержание аргинина, гистидина, пролина, аспарагиновой кислоты, аланина.

Интересно отметить, что исследователями химической природы токайских вин установлено, что аминокислоты метионин, норвалин и норлейцин неблагоприятно влияют на характерный токайский тон десертных вин [10]. В вине Хихви метионин находится в очень малых количествах, норвалин и норлейцин в виде следов.


В процессе созревания вина возрастает содержание аргинина, γ аминокислотной кислоты, валин, лейцин, уменьшается глицин и метионин.

Количественное содержание свободных аминокислот в сусле по фазам созревания винограда и вине в процессе формирования в мг/лит.

Аминокислоты	СУСЛО		ВИНО								
	за 10 дней до дозревания техн. зрел.	в период технической зрелости	после скручивания пло-доножки		до ферментации	после ферментации	постепенное спиртование			выдержки 3—5 месяцев	3-х летней выдержки
			сбор винограда	сахар 30%			пер-вое	вто-рое	третье		
1. Цистин, цистеин	46	31	24	53	33	19	19	33	29	51	47
2. Лизин	13	6	6,6	10,1	1	1	1	5	3	70	84
3. Гистидин	18	28	33	20	26	15	17	25	23	118	124
4. Аргинин	13	20,5	20	16	23	31	33	32	21	19	120
5. Аспарагиновая кислота	93	74	58	50	96	68	71	83	50	50	95
6. Серин	81	93	86	90	82	62	61	82	85	61	60
7. Глицин	79	81	68	84	84	75	71	94	65	43	45
8. Глутаминовая кислота	26	17	15	6	7	98	91	14	8	9	38
9. Треонин	47	38	40	50	16	18	15	24	12	32	31
10. Аланин	78	80,2	76	76	50	46	41	76	74	85	96
11. Пролин	572	560	816	840	816	792	792	584	600	600	600
12. Тирозин	71	80	80	90	140	94	89	140	94	140	150
13. γ -аминомасляная кислота	21	16	14	22	33	51	49	75	56	78	120
14. Метионин	82	80	76	66	63	62	62	77	104	20	следы
15. Валин	38	27	25	70	14	22	24	31	20	26	48
16. Фенилаланин	54	62	57	90	28	41	42	36	33	25	22
17. Лейцин	49	45	40	следы	6	10	12	10	8	12	59

ИСПОЛЬЗОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. Сисакян Н. М., Бэзингер Э. Н.—Об аминокислотном составе виноградных вин. Сб. Биохимия виноделия, № 3, 1950.
2. Нилов В. И., Скурихин И. М.—Химия виноделия, изд-во Пищевая промышленность, Москва, 1967.
3. Беридзе Г. И., Сирбиладзе М. Г.—Состав азотистых веществ в грузинских винах. Сб. Биохимия виноделия, № 7, 1963.
4. Преображенский А. А.—Исследование процессов, происходящих при изготовлении крепких и десертных вин в целях установления оптимальных режимов их производства. Автореф. докт. дисс., Москва, 1970.
5. Ампеелография СССР, т. 6.
6. Нацвлишвили Д. Т.—Ликерные вина типа Хихви. Сб. трудов НИИСВиВ МСХ ГССР, т. 14, 1962.

- 
7. Успенская Ж. В., Кретович В. Л.—Количественное определение аминокислот при помощи хроматографии на бумаге. Сб. «Методика количественной хроматографии сахаров, аминокислот, органических кислот растений», Москва, 1962.
 8. Лашхи А. Д., Цискаришвили Т. П.—Определение пролина в винах химическим методом. Журн. «Виноделие и виноградарство СССР», № 1, 1967.
 9. Алмаши К. К.—Исследование химической природы букета и вкуса токайских вин. Автореф. канд. дисс., Москва, 1964.
 10. Алмаши К. К., Гриценко Н. П.—Сборник тезисов докладов во II-ой Всесоюзной научной конференции молодых ученых виноградарей и виноделов, Ялта, 1970.
-



Н. К. ЗАЛДАСТАНИШВИЛИ, Б. Э. САРАЛИДЗЕ

ИЗМЕНЕНИЕ ОБЪЕМНОЙ МАССЫ ВИНОГРАДА ОТ СТАТИЧЕСКОЙ НАГРУЗКИ

В настоящее время в технологической линии переработки винограда одним из слабых участков является прием винограда на первичных винзаводах. Приемные бункера и соответствующие питающие приспособления не отвечают возросшим технологическим требованиям—они мало производительны, в них часто образуются застойные зоны и др. Поэтому важнейшее значение приобретают вопросы дальнейшего усовершенствования процессов приемки и дозирочной подачи винограда, создание конструктивно совершенных узлов оборудования приемных бункеров и дозаторов для винограда.

Выполнение этих задач требует наличия научных данных для инженерных расчетов бункеров и дозаторов; эти данные в винодельческой промышленности отсутствуют. Не изучены также основные физико-механические свойства материала, для которого предназначается проектируемая установка.

Наиболее важными характеристиками, определяющими в основном конструкцию бункеров и дозаторов, являются объемная масса материала, размер и форма его частиц и др. Объемная масса определяет объем бункера и следовательно габариты аккумулирующего и дозирующего устройства.

В данной статье рассматривается вопрос изменения объемной массы винограда* от статической нагрузки и соответствующие коэффициенты уплотнения.

Объемная масса винограда в основном зависит от формирования гроздей в определенном объеме, в частности от метода загрузки объема, дополнительной статической нагрузки и др.

Определение коэффициента статического уплотнения производилось в предварительно взвешенном сосуде. Исследуемые виноградные гроздья сыпались в сосуд до его заполнения, и затем сосуд взвешивался.

* Исследования проводились на наиболее распространенных в Имеретии (Западная Грузия) сортах винограда: «Цицка», «Цоликаური», «Цицка-Цоликаური» (смешанный 50×50%).

Объемную массу винограда определяли по формуле:

$$\gamma_0 = \frac{G - q}{V},$$

где G —масса сосуда с виноградом, кг;

V —объем сосуда, м³;

q —масса пустого сосуда, кг;

Каждый вариант опыта проводился с двадцатикратной повторностью.

в разных по высоте объемах $V_1 = 0,54 \text{ м}^3 (0,6 \times 0,6 \times 1,5 \text{ м}^3)$;

$V_2 = 0,36 \text{ м}^3 (0,6 \times 0,6 \times 1,0 \text{ м}^3)$; $V_3 = 0,22 \text{ м}^3 (0,6 \times 0,6 \times 0,6 \text{ м}^3)$;

$V_4 = 0,072 \text{ м}^3 (0,6 \times 0,6 \times 0,2 \text{ м}^3)$.

По полученным результатам определяли коэффициенты статического уплотнения по формуле

$$K_y = \frac{\gamma_{\text{ст. уплот.}}}{\gamma_0},$$

где $\gamma_{\text{ст.уплот}}$ —объемная масса уплотненного материала;

γ_0 —объемная масса неуплотненного материала.

Коэффициенты K_x устанавливались в зависимости от изменения объема сосуда $K_1 = \varphi(V)$, продолжительности вылеживания $K_2 = \varphi(t)$ и далее определяли общий коэффициент, учитывающий оба фактора $K_3 = \varphi(V, t)$.

Результаты опытов оправдали достоверность наших предложений, относительно колебания объемной массы винограда, за счет уплотняющего действия собственного веса виноградных гроздей, зависящий от размеров сосуда.

В табл. 1 приведены данные колебаний объемной массы винограда. В скобках указаны их средние значения.

Анализируя результаты опытов зависимости объемной массы от емкости сосуда, очевидно, что изменение объема сосуда в пределах $V = 0,072 - 0,54 \text{ м}^3$ существенно влияет на объемную массу винограда. Так, например, для сорта винограда „Цоликаури“ разница объемной массы составляет $\Delta\gamma_0 = 109 \text{ кг/м}^3$, для сорта „Цицка“— $\Delta\gamma_0 = 101 \text{ кг/м}^3$, а для смешанного винограда „Цоликаури—Цицка“ $50 \times 50\%$ $\Delta\gamma_0 = 101 \text{ кг/м}^3$. Аналогичная картина наблюдается после вылеживания винограда в пределах объема сосуда ($V = 0,072 - 0,54$). Для сорта „Цоликаури“ разница в объемной массе составляет $\Delta\gamma_0 = 75 \text{ кг/м}^3$, для сорта „Цицка“ $\Delta\gamma_0 = 79 \text{ кг/м}^3$ и для смешанного винограда $\Delta\gamma_0 = 82 \text{ кг/м}^3$.

Данные табл. 1 свидетельствуют о том, что объемная масса зависит также от продолжительности вылеживания, в частности в пределах объема сосуда $V = 0,072 - 0,54 \text{ м}^3$ разница объемной массы до и после слеживания колеблется: для сорта „Цоликаури“ $\Delta\gamma_0 = 74 - 40 \text{ кг/м}^3$,



Пределы колебаний объемной массы винограда



Сорт винограда	Объемная масса γ_0 кг/м ³				Уплотнение в %
	Объем сосуда V м ³				
	0,072	0,216	0,360	0,540	
«Цоликаури» Сахаристость 19,6% Температура 19,2°	583—619 (595)	625—685 (661)	672—725 (702)	698—707 (704)	18,3
«Цицка» Сахаристость 17,3% Температура 19°	611—681 (650)	699—736 (718)	722—747 (736)	746—757 (751)	15,5
«Цоликаури—Цицка» смешан. 50×50% Сахаристость 20,6% Температура 17,6°	620—650 (630)	657—717 (673)	703—717 (707)	728—735 (731)	16,0
П о с л е с л е ж и в а н и я $t=5$ ч а с о в					
«Цоликаури» Сахаристость 18—20% Температура 20,5°	636—708 (669)	670—719 (702)	699—754 (730)	739—749 (744)	11,2
«Цицка» Сахаристость 19,0% Температура 19°	687—766 (724)	751—791 (771)	754—782 (769)	798—811 (803)	10,9
«Цоликаури—Цицка» смешан. 50×50% Сахаристость 19,5% Температура 20°	672—718 (699)	696—759 (713)	730—748 (738)	776—784 (781)	11,7

для сорта «Цицка» $\Delta\gamma_0=74-52$ кг/м³, для смешанного винограда $\Delta\gamma_0=69-60$ кг/м³. Во всех случаях максимальная разность объемной массы получается при минимальном объеме, а минимальная разность при максимальном объеме.

По данным табл. 1 построены кривые зависимости $\gamma_0=\varphi(V)$ и $\gamma_0=\varphi(t)$. (рис. 1.) Как показывают кривые зависимости $\gamma_0=\varphi(V)$ наибольшей объемной массой характеризуется сорт винограда «Цицка», а минимальным—сорт винограда «Цоликаури».

Значение объемной массы смешанного винограда колеблется между ними, что находится в прямом соответствии со строением виноградных гроздей, так как гранурометрический и весовой состав гроздей сорта «Цицка» превосходит таковой сорта винограда «Цоликаури». После слеживания винограда кривые $\gamma_0=\varphi(t)$ свидетельствуют об увеличении объемной массы зависимости от времени. В этом случае наблюдается аналогичная картина с кривыми $\gamma_0=\varphi(V)$ в соответствии с сортами винограда-



да. Следует однако отметить, что указанная зависимость наиболее отчетливо наблюдается в пределах объема примерно $V=0,07-0,14 \text{ м}^3$




Рис. 1. Кривые $\gamma_0 = \varphi(V)$. До слеживания: 1—„Цоликаури“, 2—„Цицка“, 3—Смешанный „Цоликаури-Цицка“ 50x50%, после слеживания: 4—„Цоликаури“, 5—„Цицка“, 6—Смешанный „Цоликаури-Цицка“ 50x50%.


после которого уплотнение за счет собственного веса протекает сравнительно незначительно.

В табл. 2 приведены коэффициенты статического уплотнения винограда K_1 ; K_2 ; K_3 .

Коэффициент статического уплотнения Таблица 2

Сорт винограда	Коэффициент уплотнения		
	K_1	K_2	K_3
«Цоликаури»	1,179	1,056	1,267
«Цицка»	1,155	1,069	1,235
Смешанный «Цоликаури-Цицка» 50x50%	1,160	1,068	1,239

Коэффициент уплотнения K_1 определяли как отношение объемной массы материала в сосуде $V=0,54 \text{ м}^3$ к объемной массе материала в сосуде $V=0,072 \text{ м}^3$. K_1 показывает степень уплотнения винограда под влиянием собственного веса и для отмеченных сортов колеблется $K_1=1,155-1,179$ (с максимумом для сорта винограда «Цоликаури»). Таким образом, очевидно, что коэффициент статического уплотнения находится в прямой за-



висимости от строения виноградных гроздей. Ягоды винограда сорта «Доликаури» расположены на расстоянии друг от друга (редкие гроздья), а гроздья сорта «Цицка» плотные, поэтому при формировании гроздей сорта «Доликаури» в сосуде под действием статической нагрузки пути перемещения ягод гроздей в свободных промежутках больше, чем для сорта «Цицка», и это обуславливает возрастание коэффициента уплотнения.

Следует отметить, что продолжительность вылеживания винограда в этих опытах была незначительной, примерно 5—30 сек.

Коэффициент уплотнения K_2 определяли как отношение объемной массы винограда в сосуде с объемом $v=0,54 \text{ м}^3$ после вылеживания, к объемной массе материала для того же объема до вылеживания. Из таблицы следует, что коэффициент K_2 для всех сортов винограда не превосходит коэффициент K_1 . Общий коэффициент уплотнения K_3 определяли, как отношение объемной массы винограда при объеме сосуда $v=0,54 \text{ м}^3$ после вылеживания к объемной массе при объеме сосуда $v=0,072 \text{ м}^3$ до вылеживания.

ВЫВОДЫ

1. В пределах объема сосуда $v=0,072—0,54 \text{ м}^3$ наибольшей объемной массой характеризуется сорт винограда «Цицка» ($\gamma_0 = 650—751 \text{ кг/м}^3$), а минимальным сорт винограда «Доликаури» ($\gamma_0 = 595—704 \text{ кг/м}^3$). Значение объемной массы смешанного винограда ($\gamma_0 = 630—731 \text{ кг/м}^3$) колеблется между ними. Полученные данные находятся в прямом соответствии со строением виноградных гроздей сортов «Цицка» и «Доликаури».

2. С увеличением статической нагрузки (собственного веса) винограда объемная масса увеличивается.

3. Коэффициент статического уплотнения K_1 , вызванный собственным весом винограда, всегда превосходит коэффициент K_2 , полученный путем слеживания винограда.

4. Коэффициент статического уплотнения K_1 находится в прямой зависимости от строения виноградных гроздей. Ягоды сорта «Доликаури» ($K_1 = 1.179$) расположены на расстоянии друг от друга, а гроздья сорта «Цицка» ($K_1 = 1.155$) плотные. Поэтому при формировании гроздей сорта «Доликаури» в сосуде под действием статической нагрузки пути перемещения ягод в свободных промежутках больше, чем для сорта «Цицка», и это обуславливает возрастание коэффициента уплотнения.

ЛИТЕРАТУРА

Залдастанишвили Н. К.—Коэффициенты статического и динамического уплотнения полуфабриката и готовой продукции чая. «Чай культура и производство», Сборник, 1(9). ГрузИНТИП, Тбилиси, 1968.



დოქ. მ. ოზორიძე

**სატრაპტორო აგრეგატის ენერგოდანახარჯები და მექანიკური
 სამუშაოების ტექნიკური ნორმირების საფუძვლები**

ენერგოდანახარჯები ეწოდება აგრეგატის მიერ დახარჯულ მექანიკურ ენერგიას, გამოსახულს მუშაობაში,

ე. ი. $A = PH$ ჯ (ჯოული) (1)

სადაც P არის აგრეგატის მამოძრავებელი ძალის სიდიდე.
 მისი მნიშვნელობა გამოითვლება განტოლებით:

$$P = (fG_a \cos \alpha + G_a \sin \alpha \cdot \sin \psi \pm G_a C + KB) \cdot \delta$$

$$P_{\text{საშ}} = 0,5 [f_a G_a \cos \alpha + KB \pm G_a C] (\delta_1 + \delta_2) + G_a \sin \alpha \cdot \sin \psi (\delta_1 - \delta_2)$$

H —აგრეგატის მიერ გავლილი მანძილი მ-ობით, რომელიც განისაზღვრება შემდეგნაირად:

ვთქვათ, აგრეგატმა უნდა დააქმუოს Sl მ² ფართობი (S —საქცევის სიგანეა, l —საქცევის სიგრძე). ამ ფართობის დამუშავებისას აგრეგატის მიერ გავლილი მთლიანი მანძილი შედგება სამუშაო სვლების დროს გავლილი მანძილის H_p და მობრუნების დროს გავლილი მანძილის H_x ჯამისაგან.

სამუშაო სვლების დროს გავლილი მანძილი გამოითვლება ფორმულით:


$$H_p = \frac{S}{B} l$$

სადაც B არის მანქანის მოდების განი, მ-ში.

საქცევის ბოლოში ერთი მობრუნების დროს გავლილი მანძილი აღენიშნოთ h -ით. Sl ფართობის დამუშავების პერიოდში მობრუნებების რაოდენობა

იქნება $m^1 = \frac{S}{B} - 1$. მაშინ მობრუნების დროს გავლილი მთლიანი მანძილი გამოითვლება ფორმულით:

$$H_x = h \left(\frac{S}{B} - 1 \right)$$



ერთი მობრუნების დროს გავლილი მანძილი დამოკიდებულია მობრუნების ხასიათზე და იგი ფუნქციაა აგრეგატის მობრუნების რადიუსის უმარყუჟო მობრუნების შემთხვევაში $h = ZR_0 + x$, სადაც Z არის კოეფიციენტი, დამოკიდებული მობრუნების ხასიათზე და იცვლება ზღვრებში 1,6—14,5.

R_0 — მობრუნების რადიუსი;

x — მობრუნების ტრაექტორიის სწორხაზოვანი უბნის სიგრძე.

მაშინ მობრუნების დროს გავლილი მანძილი იქნება

$$H_x = (ZR_0 + x) \left(\frac{S}{B} - 1 \right).$$

უფრო მოხერხებულია მობრუნების დროს გავლილი მანძილი გამოვსახოთ ე. წ. სამუშაო სვლების კოეფიციენტის მიხედვით $\varphi = \frac{H_p}{H_p + H_x}$

საიდანაც

$$H_x = H_p \left(\frac{1}{\varphi} - 1 \right).$$

თუ ამ ფორმულაში შევიტანთ H_p -ის მნიშვნელობას მივიღებთ:

$$H_x = \frac{S}{B} l \left(\frac{1}{\varphi} - 1 \right). \tag{2}$$

შემდგომი გამოთვლების გამარტივების მიზნით, შემოვიღოთ აღნიშვნა

$$\frac{1}{\varphi} - 1 = \eta_{\varphi}$$

ამ სიდიდეს ვუწოდოთ სამუშაო სვლების მარგი ქმედების კოეფიციენტი. მაშინ გვექნება:

$$H_x = \frac{S}{B} l \eta_{\varphi}.$$

აგრეგატის მიერ Sl ფართობის დამუშავების დროს გავლილი მთლიანი მანძილი კი იქნება

$$H = H_p + H_x = \frac{S}{B} l \left(1 + \eta_{\varphi} \right) \tag{3}$$

რადგან ვიცით მამოძრავებელი ძალის სიდიდე და გავლილი მანძილი, შეგვიძლია I ფორმულის საფუძველზე განვსაზღვროთ აგრეგატის ენერგოდანახარჯები.

სამუშაო სვლების ენერგოტევადობა განვსაზღვროთ საშუალო წვეის ბალანსის ($P_{საშ}$) განტოლების გამოყენებით

$$A_p^1 = P_{საშ} \cdot H_p.$$

შევიტანოთ $P_{საშ}$ -ს და H_p -ის მნიშვნელობები, გვექნება

$$A^1_p = 0,5 [f_a G_a \cos \alpha + KB \pm G_a C] (\delta_1 + \delta_2) + G_a \sin \alpha \cdot \sin \psi (\delta_1 - \delta_2) \left] \frac{S}{B} \cdot l$$

შევიტანოთ B ფრჩხილებს შიგნით. მაშინ

$$A^1_p = 0,5 \left[\left(f_a \frac{G_a}{B} \cos \alpha + K \pm \frac{G_a}{B} C \right) (\delta_1 + \delta_2) + \frac{G_a}{B} \sin \alpha \cdot \sin \psi (\delta_1 - \delta_2) \right] Sl \quad (4)$$

შევივლით აღნიშვნები $f_a \frac{G_a}{B} = \lambda$ და $\frac{G_a}{B} = q$

λ -ს ვუწოდოთ აგრეგატის ტრანსპორტიორების კუთრი ენერგეტიკული კოეფიციენტი;

q -ს კი ვუწოდოთ აგრეგატის სიმძიმის ძალის კუთრი ენერგეტიკული კოეფიციენტი.

მაშინ მე-4 განტოლება მიიღებს ასეთ სახეს:

$$A^1_p = 0,5 [\lambda \cos \alpha + K \pm qc] (\delta_1 + \delta_2) + q \sin \alpha \cdot \sin \psi (\delta_1 - \delta_2) Sl \quad \text{ჯ} \quad (5)$$

უფრო მოხერხებულა განსაზღვრულ იქნას ფართობის ერთეულზე დახარჯული ენერგია— e . წ. კუთრი ენერგოტევადობა. ჩვენს შემთხვევაში სამუშაო

სვლების კუთრი ენერგოტევადობა $A_p = \frac{A^1_p}{Sl}$ ჯ/მ², მაშინ დავწერთ:

$$A_p = 0,5 [\lambda \cos \alpha + K \pm qc] (\delta_1 + \delta_2) + q \sin \alpha \cdot \sin \psi (\delta_1 - \delta_2) \quad \text{ჯ/მ}^2 \quad (6)$$

მობრუნებების ენერგოტევადობა განსაზღვროთ საშუალო წვეის ბალანსის განტოლების ($P_{\text{სა}}$) საფუძველზე იმ განსხვავებით, რომ მასში არ უნდა შევიდეს ტექნოლოგიური პროცესის შესრულებისათვის საჭირო ძალის სიდიდე (KB), მაშინ გვექნება.

$$A_x = 0,5 \left[\left(f_a G_a \cos \alpha \pm G_a C \right) (\delta_1 + \delta_2) + G_a \sin \alpha \cdot \sin \psi (\delta_1 - \delta_2) \right] \frac{S}{B} l \eta_{\varphi} \quad \text{ჯ}$$

სამუშაო სვლების ენერგოტევადობის ანალოგიურად, სათანადო გარდაქმნების საფუძველზე მივიღებთ, რომ მობრუნებების კუთრი ენერგოტევადობა

$$A_x = 0,5 [\lambda \cos \alpha \pm qc] (\delta_1 + \delta_2) + q \sin \alpha \cdot \sin \psi (\delta_1 - \delta_2) \eta_{\varphi} \quad \text{ჯ/მ}^2 \quad (7)$$

ჯამური ენერგოტევადობა, ე. ი. Sl ფართის დამუშავებისას დახარჯული ჯამური ენერგია იქნება სამუშაო სვლების და მობრუნებების ენერგოტევადობის ჯამი

$$A = A_p + A_x$$

შევიტანოთ A_p -ის და A_x -ის მნიშვნელობა, გვექნება

$$A = 0,5 [(\lambda \cos \alpha \pm qc) (\delta_1 + \delta_2) + q \sin \alpha \cdot \sin \psi (\delta_1 - \delta_2)] (1 + \eta_{\varphi}) + K (\delta_1 + \delta_2) \quad (8)$$



მივიღეთ კუთრი ენერგოტევალობის განტოლება ზოგადი შემთხვევისათვის ე. ი. ფერდობის ირიბი მიმართულებით აგრეგატის მოძრაობის შემთხვევაში. ამ განტოლებიდან ადვილად მივიღებთ კერძო სახის განტოლებებს. ასე, მაგალითად:

ფერდობის განივი მიმართულებით მოძრაობის შემთხვევისათვის $\psi = 0^\circ$ და $\delta_1 = \delta_2 = \delta_0$, ამიტომ მე-8-ე განტოლება მიიღებს ასეთ სახეს:

$$A' = \delta_0 [(\lambda \cos \alpha \pm qc)(1 + \eta_{\phi}) + K] \frac{z}{\delta^2} \quad (9)$$

ფერდობის გრძივი მიმართულებით მოძრაობის შემთხვევაში $\psi = 90^\circ$, $\delta_1 = \delta_2 = 1$, ამიტომ

$$A'' = (\lambda \cos \alpha \pm qc)(1 + \eta_{\phi}) + K \frac{z}{\delta^2} \quad (10)$$

ჰორიზონტალურ ფართობზე მუშაობის შემთხვევაში კი $\alpha = 0$, და

$$A^0 = (\lambda \pm qc)(1 + \eta_{\phi}) + K \frac{z}{\delta^2} \quad (11)$$

როგორც ამ განტოლებებიდან ჩანს, აგრეგატის ხვედრით ენერგოტევალობაზე დიდ გავლენას ახდენს კოეფიციენტები λ , q და K . სამივე ამ კოეფიციენტის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ მათი განზომილებაა z/δ^2 . აბსოლუტური სიდიდით კი ისინი ტოლი არიან შესაბამისი სიდიდეებისა, რომელთა განზომილებაა $\frac{z}{\delta} \left(\text{ან } \frac{z}{\delta} \right)$, რადგან $\frac{z}{\delta^2} = \frac{z \cdot \delta}{\delta \cdot \delta} = \frac{z}{\delta}$.

ამ თავისებურებებიდან გამომდინარე მიიღეს სახელწოდება λ და q სიდიდემ და ასეთივე თავისებური სახელწოდება უნდა მიეცემა K კოეფიციენტსაც. მას ჩვენ ვუწოდოთ პროცესის კუთრი ენერგეტიკული კოეფიციენტი. იგი აბსოლუტური სიდიდით უდრის მანქანა-იარაღის ხვედრით წინააღობას, როცა ის განსაზღვრულია ფორმულით $K = \frac{R - f_m G_m}{B}$,

ამიტომ მისი რიცხვითი მნიშვნელობები შეგვიძლია ავიღოთ ლიტერატურული წყაროებიდან.

λ -ს და q -ს მნიშვნელობები ზოგიერთი აგრეგატისათვის მოგვყავს მე-2-ე ცხრილში.

ზემოთ მოყვანილი კუთრი ენერგოტევალობის განტოლებები არასრული სახისაა, რადგან მასში არ შედის მოსახვევში, ბუქსაობაზე, ტრანსმისიაში და სხვა დანაკარგები, რომლებიც დიდ გავლენას ახდენენ აგრეგატის ენერგოტევალობაზე. ამიტომ ქვემოთ განვიხილავთ თითოეული აღნიშნული დანაკარგის გავლენის თავისებურებას.

ტრანსმისიის მქკ-ის გავლენა აგრეგატის ენერგოტევალობაზე

ძრავიდან სავალ ნაწილებამდე სიმძლავრის გადაცემ ელემენტებში—ტრანსმისიაში იკარგება ენერგიის გარკვეული რაოდენობა, რასაც გამოხატავენ ტრანსმისიის მქკ η_m საშუალებით. ვიცით, რომ

$$\eta_m = \frac{N_k}{N_e} = \frac{M_k}{M_{\partial i}} = \frac{M_k \omega_k}{M_{\partial \omega}}$$

ცნობალია, რომ მექანიკური მუშაობა გამოისახება ფორმულით $A = M\omega t$, ამიტომ შეგვიძლია დავწეროთ.

$$\eta_m = \frac{M_k \omega_k t}{M_\theta \omega t} = \frac{A_k}{A_\theta}$$

სადაც A_k არის ტრაქტორის სავალი ნაწილის მიერ შესრულებული მექანიკური მუშაობა;

A_θ —ძრავას მიერ ტრანსმისიაზე გადაცემული მექანიკური მუშაობა.

12-ე ფორმულაში A_k წარმოადგენს ჩვენ მიერ ზემოთ განსაზღვრულ ენერგოტევალობას A ; A_θ -ს შესაძლოა ვუწოდოთ ეფექტური მუშაობა და აღვნიშნოთ A_θ -ით. ამიტომ დავწეროთ

$$\eta_m = \frac{A}{A_\theta}, \quad \text{საიდანაც } A_\theta = \frac{A}{\eta_m}$$

თუ შევიტანთ მე-8 განტოლებით მიღებულ A -ს მნიშვნელობას გვექნება

$$A_\theta = \frac{0,5}{\eta_m} \left\{ \left[\left(\lambda \cos \pm qc \right) \left(\delta_1 + \delta_2 \right) + q \sin \alpha \cdot \sin \psi \left(\delta_1 - \delta_2 \right) \right] \left(1 + \eta \varphi \right) + k \left(\delta_1 + \delta_2 \right) \right\} \quad (13)$$

ამრიგად მივიღეთ ეფექტური კუთრი ენერგოტევალობის განტოლება, ტრანსმისიის მ.ქ.კ.-ის გათვალისწინებით.

ბუქსაობის გავლენა აგრეგატის ენერგოტევალობაზე

აკად. ვ. ა. ყელიკოვსკი შრომაში „ტრაქტორის წამყვანი თვლის ბუქსაობაზე დახარჯული მუშაობის გამოთვლის შესახებ“ წერს, რომ ტრაქტორის წამყვანი თვლების ან მუხლუხების ბუქსაობის მექანიკა ჯერ კიდევ ნაკლებადაა შესწავლილი და ხსნის ბუქსაობის ბუნებას და გამოჰყავს ბუქსაობაზე დახარჯული მუშაობის გამოსათვლელი ფორმულა

$$Q = \frac{(R + P)}{\eta} \Lambda$$


სადაც R არის სასოფლო-სამეურნეო მანქანის წინალობის ძალა;

P —ტრაქტორის გადაგორების წინალობის ძალა;

Λ —ნიადაგის პორიზონტალური ხაზობრივი დეფორმაცია;

η —ბუქსაობის კოეფიციენტი.

აგრეგატის გადაადგილების დროს ტრაქტორის წამყვანი თვლები (მუხლუხები) ყოველთვის განიცდიან ბუქსაობას, რის გამოც რაიმე H მანძილის გავლისას ტრაქტორის თვალი (ვარსკვლავა) აკეთებს იმაზე მეტ ბრუნს n , ვიდრე ეს საჭიროა H მანძილის გასავლელად. ამის გამო შეგვიძლია დავწეროთ $\pi Dn > H$. თუ აღვნიშნავთ $\pi Dn = H_m$, მივიღებთ, რომ H მანძილზე



აგრეგატი ხარჯავს იმდენ ენერგიას, რამდენიც უნდა დაეხარჯა H_m მანძილის გავლისას. ეს კი მიგვიჩვენებს იმაზე, რომ ტრაქტორის თვლებს (საქსელების) ქვეშ ხდება ნიადაგის გარკვეული სისქის ფენის ჰორიზონტალურ ტყეში უკან გადაადგილება—ხაზობრივი დეფორმაცია, რომლის სიდიდე უდრის H_m და H -ის სხვაობას, ე. ი. $\Delta = H_m - H$.

თუ წინააღმდეგობის ძალების ჯამს ($R + P$) აღვნიშნავთ F -ით. შეგვიძლია დავწეროთ, რომ ბუქსაობის გარეშე H მანძილის გავლისას ტრაქტორა შესრულებს მუშაობას $A_1 = FH$. ბუქსაობის გამო ის ასრულებს კიდევ დამატებით მუშაობას $A_2 = F(H_m - H)$. მაშინ ჯამური მუშაობა იქნება

$$A_0 = A_1 + A_2 = FH + F(H_m - H) = FH_m, \quad (14)$$

ამრიგად მივიღეთ, რომ აგრეგატის მიერ ფაქტიურად შესრულებულ მუშაობა უდრის წინააღმდეგობის ძალების ჯამს გამრავლებულს თეორიულ (H_m) მანძილზე.

ვიცით, რომ ბუქსაობის კოეფიციენტი გამოისახება ფორმულით

$$\delta = \frac{H_m - H}{H_m} = 1 - \frac{H}{H_m},$$

საიდანაც

$$H_m = \frac{H}{1 - \delta},$$

სხვაობას $(1 - \delta)$ უწოდებენ ბუქსაობის მ.ქ.კ-ს და აღნიშნავენ η_{σ} -ით, ამიტომ გვექნება:

$$H_m = \frac{H}{\eta_{\sigma}}.$$

ჩავსვათ H_m ეს მნიშვნელობა 14-ე ფორმულაში, გვექნება

$$A_0 = F \frac{H}{\eta_{\sigma}}$$

თუ გავითვალისწინებთ, რომ ბუქსაობის კოეფიციენტი δ და ბუქსაობის მ.ქ.კ-ც η_{σ} დამოკიდებულია ტრაქტორის დატვირთვაზე, აუცილებელი იქნება განვასხვაოთ სამუშაო სვლების ბუქსაობის მ.ქ.კ. $\eta_{\sigma p}$ და უქმი სვლების ბუქსაობის მ.ქ.კ. $\eta_{\sigma x}$. მაშინ დავწეროთ

$$A_{\sigma p} = F_p \frac{H_p}{\eta_{\sigma p}} \quad \text{და} \quad A_{\sigma x} = F_x \frac{H_x}{\eta_{\sigma x}} \quad (15)$$

სადაც F_p და F_x არის სამუშაო და უქმი სვლების წინააღმდეგობის ძალების ჯამი;

H_p და H_x —სამუშაო სვლების და უქმი სვლების (მობრუნებების, ტრანსპორტირების) დროს გავლილი მანძილი.

ბუქსაობის გავლენის გათვალისწინებით მე-15-ე ფორმულების საფუძველზე შეგვიძლია დავწეროთ სამუშაო სვლების ეფექტური კუთრი ენერგოტევადობა

$$A_{\delta p} = \frac{0,5}{\eta_m \eta_{\delta p}} \left[\left(\lambda \cos \alpha + k \pm qc \right) \left(\delta_1 + \delta_2 \right) + q \sin \alpha \cdot \sin \psi \left(\delta_1 - \delta_2 \right) \right] \quad (15 \text{ ა})$$

მობრუნებების ეფექტური კუთრი ენერგოტევადობა იქნება

$$A_{\delta x} = \frac{0,5}{\eta_m \eta_{\delta p}} \left[\left(\lambda \cos \alpha \pm qc \right) \left(\delta_1 + \delta_2 \right) + q \sin \alpha \cdot \sin \psi \left(\delta_1 - \delta_2 \right) \right] \eta_{\varphi} \quad (15 \text{ ბ})$$

ჯამური ეფექტური კუთრი ენერგოტევადობა $A_{\delta} = A_{\delta p} + A_{\delta x}$.

ჩავსვათ მნიშვნელობები, მოვახდინოთ მსგავსი წევრების შეკრება და საკირო გარდაქმნები, მივიღებთ

$$A_{\delta} = \frac{0,5}{\eta_m} \left\{ \left(-\frac{1}{\eta_{\delta p}} + \frac{\eta_{\varphi}}{\eta_{\delta x}} \right) \left[\left(\lambda \cos \alpha \pm qc \right) \left(\delta_1 + \delta_2 \right) + q \sin \alpha \cdot \sin \psi \left(\delta_1 - \delta_2 \right) \right] + \frac{k(\delta_1 + \delta_2)}{\eta_{\delta p}} \right\} \quad (16)$$

მაშასადამე, მივიღეთ აგრეგატის ეფექტური კუთრი ენერგოტევადობის განტოლება ტრანსმიისის (η_m) და ბუქსაობის ($\eta_{\delta p}$, $\eta_{\delta x}$) მ.ქ.კ-ების გათვალისწინებით.

მოსახვევში წინალობის ზრდის გავლენა აგრეგატის ენერგოტევადობაზე

შრომაში „სამთო მიწათმოქმედების მექანიზაციის საკითხებისათვის, აკად. რ. დვალი წერს: „მთის ფერდობებზე დასამუშავებელი ფართობები ხასიათდებიან მოკლე საქცევეებით, რის გამო სატრაქტორო აგრეგატის მობრუნება ფერდობზე დაკავშირებულია მრავალ სიძნელესთან... გამომდინარე აქედან ფერდობზე ტრაქტორის მუშაობის გამოკვლევისას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ტრაქტორის მობრუნების წინალობის საკითხის ექსპერიმენტულ შესწავლას“.

ამ საკითხს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს აგრეთვე პროფ. ე. დ. ლვოვი შრომაში „ტრაქტორის თეორია“.

მობრუნების დროს მოსახვევში აგრეგატის მოძრაობის წინალობა იზრდება სწორხაზობრივ მოძრაობასთან შედარებით, რაც იწვევს ენერჯისა და საწვავის ხარჯის ზრდას.

მოსახვევის წინალობა აკად. რ. დვალის და პროფ. ლვოვის მიერ შესწავლილია მუხლუხა ტრაქტორების მაგალითზე და წინალობის ზრდის მაჩვენებლად შემოღებულია მოსახვევის წინალობის კოეფიციენტი μ , რომლის სიდიდე დამოკიდებულია ძირითადად მობრუნების რადიუსზე R_0 . აკად. რ. დვალის ექსპერიმენტული მონაცემებით მობრუნების რადიუსსა და მოსახვევის წინალობის კოეფიციენტს შორის ურთიერთდამოკიდებულება ასეთია (იხ. ცხრ. 1).



მობრუნების რადიუსი R_0	9,57	10,52	11,82	12,72	14,95	15,82	20,0	23,12
მოსახვევის წინაღობის კოეფიციენტი μ	0,44	0,38	0,38	0,33	0,33	0,25	0,28	0,23

მობრუნების რადიუსის გარდა μ დამოკიდებულია მობრუნების სიჩქარეზე, კაკვზე მოსულ დატვირთვაზე, ნიადაგის ზედაპირის ხასიათზე და სხვა მრავალ ფაქტორზე, ამიტომ მისი შესწავლა შესაძლებელია მხოლოდ ექსპერიმენტული გზით.

კოეფიციენტი μ მიახლოებით იანგარიშება ფორმულით

$$\mu = 4 \frac{M_p}{GL}$$

სადაც G არის ტრაქტორის წონა ძალა;

L —მუხლუხას საყრდენი ზედაპირის სიგრძე;

M_p —მობრუნების პოლუსის მიმართ მუხლუხების ბრუნვის წინაღობის მომენტი და იგი შეიძლება გამოთვლილ იქნეს ფორმულით.

$$M_p = \frac{0,5B}{r_k} \left(\eta_2 M_2 + \frac{1}{\eta_2} M_1 \right).$$

აქ M_2 არის წინმსწრები მუხლუხას ვარსკვლავაზე მოსული მომენტი; η_2 —მუხლუხას მ.ქ.კ.; B —ტრაქტორის მუხლუხებს შორის მანძილი; r_k —მუხლუხას ვარსკვლავას რადიუსი.

მობრუნების დროს წინაღობის ზრდის ბუნებას აკად. რ. დვალი ხსნის შემდეგნაირად: „დეფორმირებად გრუნტზე მუხლუხა ტრაქტორის მობრუნების დროს მობრუნების წინაღობა იქმნება სრიალის ხახუნის ძალებით, რომლებიც წარმოიქმნება გრუნტსა და მუხლუხას შორის. დეფორმირებად გრუნტზე, გარდა სრიალის ხახუნისა, წარმოებს: გრუნტის დაწნეხა მუხლუხების გრძივ და განივ მიმართულებაზე, მისი მოჭრა ან დაშლა და მოჭრილი ან დაშლილი ფენის მოხვეტა.“

ყოველივე ეს იწვევს მოსახვევში აგრეგატის გადაადგილების საერთო წინაღობის ზრდას, რის გამო მისი გათვალისწინება აგრეგატის ენერგოტევალობის შესწავლის დროს აუცილებელია.

ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ მოსახვევის წინაღობის კოეფიციენტის მნიშვნელობები მუხლუხა ტრაქტორისათვის. მოსახვევში წინაღობის ზრდას ადგილი აქვს თვლიანი ტრაქტორების მობრუნების დროსაც, ამიტომ მისი გათვალისწინება სავალდებულოა ნებისმიერი სახის ტრაქტორის ენერგოტევალობის გამოკვლევისას. თუ აღვნიშნავთ აგრეგატის ენერგოტევალობას სწორხაზობრივი მოძრაობის დროს A_0 -ით და მოსახვევში მოძრაობის დროს $A\mu$ -თი, შეგვიძლია მოსახვევის წინაღობის კოეფიციენტი გამოვსახოთ ფარდობით:

$$\mu = \frac{A\mu - A_0}{A\mu} = 1 - \frac{A_0}{A\mu}.$$

ენერგოტევადობის საანგარიშო განტოლებაში უფრო მოხერხებულია ვიხმაროთ მოსახვევის მ.ქ.კ. η_{μ} , რომელიც გამოისახება ტოლობით

$$\eta_{\mu} = 1 - \mu = 1 - \left(1 - \frac{A_o}{A_{\mu}} \right) = \frac{A_o}{A_{\mu}}$$

საიდანაც

$$A_{\mu} = \frac{A_o}{\eta_{\mu}} \tag{17}$$

ამრიგად, მოსახვევში აგრეგატის ენერგოტევადობა უდრის სწორხაზობრივი მოძრაობის ენერგოტევადობას გაყოფილს მოსახვევის მ.ქ.კ.-ზე.

თუ ვისარგებლებთ მე-17-ე ფორმულით და ჩავთვლით, რომ მოსახვევში აგრეგატი ასრულებს უქმ სვლას, ე. ი. სასოფლო-სამეურნეო მანქანა გადაყვანილია სატრანსპორტო მდგომარეობაში, მაშინ შეგვიძლია მივიღოთ, რომ $A_o = A_{\text{მ.ქ.კ.}}$, რომელიც მოცემულია 15-ე განტოლების სახით.

შევიტანოთ მე-17-ე ფორმულაში A_o -ის ნაცვლად $A_{\text{მ.ქ.კ.}}$ -ს მნიშვნელობა, მივიღებთ მოსახვევში აგრეგატის ეფექტური კუთრი ენერგოტევადობის განტოლებას მოსახვევის მ.ქ.კ.-ის გათვალისწინებით.

$$A_{\text{მ.ქ.კ.}} = \frac{0,5 \cdot \eta_{\text{ფ}}}{\eta_m \eta_{\text{მ.ქ.კ.}} \eta_{\mu}} \left[\left(\lambda \cos \alpha \pm qc \right) \left(\delta_1 + \delta_2 \right) + \sin \alpha \cdot \sin \psi \left(\delta_1 - \delta_2 \right) \right] \tag{18}$$

აგრეგატის ეფექტური კუთრი ენერგოტევადობა იქნება

$$A_{\text{მ.ქ.კ.}} = A_{\text{მ.ქ.კ.}} + A_{\text{მ.ქ.კ.}}$$


ჩავსვათ $A_{\text{მ.ქ.კ.}}$ -ის მნიშვნელობა 15-ე გამოსახვიდან და $A_{\text{მ.ქ.კ.}}$ -ს მნიშვნელობა მე-18-ე გამოსახვიდან. გავხსნათ ფრჩხილები, შევკრიბოთ მსგავსი წევრები და მოვახდინოთ სათანადო გარდაქმნები, მივიღებთ

$$A_{\text{მ.ქ.კ.}} = \frac{0,5}{\eta_m} \left\{ \left(\frac{1}{\eta_{\text{მ.ქ.კ.}}} + \frac{\eta_{\text{ფ}}}{\eta_{\text{მ.ქ.კ.}} \eta_{\mu}} \right) \left[\left(\lambda \cos \alpha \pm qc \right) \left(\delta_1 + \delta_2 \right) + q \sin \alpha \cdot \sin \psi \left(\delta_1 - \delta_2 \right) \right] + \frac{k \left(\delta_1 + \delta_2 \right)}{\eta_{\text{მ.ქ.კ.}}} \right\} \tag{19}$$

ფართობის ქვიანობის, დანაწევრებულობის და კონფიგურაციის სირთულის გავლენა აგრეგატის ენერგოტევადობაზე

მრავალი წლის დაკვირვებებმა და გამოკვლევებმა ცხადყვეს, რომ ფართობის ქვიანობა, დანაწევრებულობა და კონფიგურაციის სირთულე შესამჩნევ გავლენას ახდენს აგრეგატის მწარმოებლობასა და საწვავის ხარჯზე, რაც იმის მაჩვენებელია, რომ აღნიშნული ფაქტორები გავლენას ახდენს აგრეგატის ენერგოტევადობაზე.

ქვიანობის გავლენა აგრეგატის მწარმოებლობასა და საწვავის ხარჯზე



გამოიკვლიეს ლენინგრადის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეცნიერებმა მათი მონაცემებით, ქვიანობის ხარისხის შესაბამისად (ჰექტარზე დასაზღვრულ 30 მ³-მდე და მეტი ქვა) სახველი აგრეგატისათვის საწვავის ხარჯი იზოლირება 1-დან 8%-მდე, ე. ი. საწვავის ხარჯის შესწორების კოეფიციენტი σ_1 იცვლება საზღვრებში 1,01÷1,08.

უკრაინის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის მეცნიერთა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ფართობის დანაწევრებულობის გავლენით დანაწევრებულობის პროცენტის შესაბამისად საწვავის ხარჯის შესწორების კოეფიციენტი σ_2 იცვლება საზღვრებში: სახველი აგრეგატისათვის—1,10÷1,39;

სათესი აგრეგატისათვის —1,09÷1,37;

მწკრივთშორისების დასამუშავებელი აგრეგატისათვის—1,08—1,35.

ფართობის კონფიგურაციის სირთულის გავლენის შესწავლის მასალებიდან, რომელიც მოცემულია მოსკოვის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გამოკვლევების შედეგებში, ირკვევა, რომ ფართობის კონფიგურაციის სირთულე, საქცევის სიგრძის შესაბამისად, ზრდის საწვავის ხარჯს და ამცირებს აგრეგატის მწარმოებლობას. აღნიშნული ინსტიტუტის მასალებით, საქცევის სიგრძის 100 მ-დან 600 მ-მდე ცვალებადობის დროს შესწორების კოეფიციენტი σ_3 იცვლება საზღვრებში:

1,02—1,13 ДТ—54 ტრაქტორით ზენის დროს;

1,02—1,18 ДТ—54 ტრაქტორით თესვის დროს;

1,03—19,13 МТЗ—2 ტრაქტორით მწკრივთშორისების დამუშავების დროს.

ზემოთ მოყვანილი მასალებიდან ნათელია, რომ აუცილებელია ფართობის ქვიანობის დანაწევრებულობის და კონფიგურაციის სირთულის გავლენა ასახული იყოს აგრეგატის ენერგოტეევადობის განტოლებაში.

აღნიშნული კოეფიციენტების (σ_1 , σ_2 და σ_3) გათვალისწინებით აგრეგატის ეფექტური კუთრი ენერგოტეევადობის განტოლება მიიღებს ასეთ სახეს:

$$A_{\text{Э}} = 0,5 \frac{\sigma_1 \cdot \sigma_2 \cdot \sigma_3}{\eta_m} \left\{ \left(\frac{1}{\eta_{\text{сп}}} + \frac{\eta_{\text{ф}}}{\eta_{\text{сп}} \eta_{\text{л}}} \right) \left[\left(\lambda \cos \alpha \pm qc \right) \left(\delta_1 + \delta_2 \right) + q \sin \alpha \cdot \sin \phi \left(\delta_1 - \delta_2 \right) \right] + \frac{k(\delta_1 + \delta_2)}{\eta_{\text{сп}}} \right\} \quad (20)$$

მივიღეთ აგრეგატის ეფექტური კუთრი ენერგოტეევადობის ზოგადი სახის განტოლება, რომელშიც გათვალისწინებულია ენერგოტეევადობაზე მოქმედი ყველა ძირითადი ფაქტორი.

ეფექტური კუთრი ენერგოტეევადობის განტოლების ანალიზი

$$\text{შემოვიღოთ აღნიშვნა } \frac{1}{\eta_m} \left(\frac{1}{\eta_{\text{сп}}} + \frac{\eta_{\text{ф}}}{\eta_{\text{сп}} \eta_{\text{л}}} \right) = \psi \text{ და } \sigma_1 \cdot \sigma_2 \cdot \sigma_3 = \sigma.$$

მ-ს ვუწოდოთ დანაკარგების კოეფიციენტი, მაშინ მე-20 განტოლება ასე დაიწერება

$$A_{\vartheta} = 0,5 \cdot \sigma \left\{ \vartheta \left[(\lambda \cos \alpha \pm qc) (\delta_1 + \delta_2) + q \sin \alpha \cdot \sin \psi (\delta_1 - \delta_2) \right] + \frac{K (\delta_1 + \delta_2)}{\eta_m \eta_{\delta p}} \right\} \quad (21)$$

ამ ზოგადი სახის განტოლებიდან მივიღებთ კერძო სახის განტოლებას: ვერლობის განივი მიმართულებით მოძრაობისას $\psi = 0^\circ$, $\delta_1 = \delta_2 = \delta_0$, ამიტომ

$$A'_{\vartheta} = \sigma \vartheta (\lambda \cos \alpha \pm qc) \delta_0 + \frac{K \delta_0}{\eta_m \eta_{\delta p}}; \quad (22)$$

ვერლობის ვასწვრივ აგრეგატის მოძრაობისას $\psi = 90^\circ$, $\delta_1 = \delta_2 = 1$, ამიტომ

$$A_{\vartheta}'' = \sigma \vartheta (\lambda \cos \alpha \pm qc) + \frac{K \delta}{\eta_m \eta_{\delta p}}; \quad (23)$$

ვაკე რელიეფზე მუშაობისას $\alpha = 0$, ამიტომ

$$A_{\vartheta}^{\circ} = \sigma \vartheta (\lambda_a \pm qc) + \frac{K \delta}{\eta_m \eta_{\delta p}} \quad (24)$$

როგორც მოყვანილი განტოლებებიდან ჩანს, ეფექტური კუთრი ენერგოტევადობა შედგება ორი ნაწილისაგან: განტოლების მარჯვენა ნაწილის პირველი წევრი გამოხატავს აგრეგატის გადაადგილებაზე დახარჯულ ენერგიას—ტრანსპორტირების ეფექტურ კუთრ ენერგოტევადობას. ამიტომ დავწეროთ

$$A_{\vartheta T} = 0,5 \sigma \vartheta [(\lambda \cos \alpha \pm qc) (\delta_1 + \delta_2) + q \sin \alpha \cdot \sin \psi (\delta_1 - \delta_2)]; \quad (25)$$

მეორე წევრი კი გამოხატავს ტექნოლოგიური პროცესის შესასრულებლად დახარჯულ ენერგიას—სასარგებლო ეფექტურ კუთრ ენერგოტევადობას

$$A_{\vartheta n} = 0,5 \sigma \cdot K \frac{(\delta_1 + \delta_2)}{\eta_m \eta_{\delta p}}. \quad (26)$$

სასარგებლო ეფექტური კუთრი ენერგოტევადობის ფორმულა სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო მანქანისა და პროცესისათვის მიიღებს სხვადასხვა სახეს.

მიღებული განტოლებები და 26-ე ფორმულა სამართლიანია ისეთი მანქანებისათვის, რომლებშიც სამუშაო ორგანოების სვლის სიღრმეს არ ვაქცევთ ყურადღებას წვეთი წინალობის გაანგარიშებების დროს. როცა აუცილებელია სამუშაო ორგანოების სვლის სიღრმე a გავითვალისწინოთ, მაშინ 26-ე ფორმულა მიიღებს ასეთ სახეს

$$A_{\vartheta n} = 0,5 \sigma \frac{Ka(\delta_1 + \delta_2)}{\eta_m \eta_{\delta p}}. \quad (27)$$

აქ K -ს განზომილება იქნება $\frac{\text{ჯ}}{\text{მ}^3}$ (აბსოლუტური სიდიდით იგი ტოლია $\frac{\text{ნ}}{\text{მ}^3}$ -ში გამოხატული K სიდიდისა).

გუთნის შემთხვევაში

$$A_{\Theta n} = 0,5 \sigma \frac{a(K + \varepsilon v^2) (\delta_1 + \delta_2)}{\eta_m \eta_{6p}}$$

თვითმავალი აგრეგატისათვის

$$A_{\Theta n} = 0,5 \sigma \pi n' K' \frac{(\delta_1 + \delta_2)}{\eta_m \eta_{6p}} \quad (29)$$

სადაც n' არის ძალამრთველი ლილვის (შკივის) ბრუნვების რაოდენობა 1 მ² ფართობის დამუშავებისათვის საჭირო დროში.

K' —ძალამრთველი ლილვის (შკივის) წინალობის ენერგეტიკული კოეფიციენტი $\frac{\text{ჯ}}{\text{მ}^2}$ -ში. ერთდროულად გამწევი ძალით და ძალამრთველი ლილვით მომუშავე მანქანებში (კარტოფილის ამღები მანქანა და კომბაინი, ჭარხლის კომბაინი და სხვ.)

$$A_{\Theta n} = \frac{0,5}{\eta_m \eta_{6p}} (Ka + 2\pi n' K') (\delta_1 + \delta_2),$$

სადაც K არის სახნისების (თათების) წინალობის ენერგეტიკული კოეფიციენტი $\frac{\text{ჯ}}{\text{მ}^3}$ -ში;

a —სახნისების (თათების) სვლის სიღრმე მ;

K' —ძალამრთველი ლილვის წინალობის ენერგეტიკული კოეფიციენტი $\frac{\text{ჯ}}{\text{მ}^2}$ -ში;

n' —1 მ² ფართობის დამუშავებისათვის საჭირო დროში ძალამრთველი ლილვის ბრუნვების რაოდენობა.

21-ე განტოლებიდან მიიღება სრული კუთრი ენერგოტევადობის განტოლება. ცნობილია, რომ სრული კუთრი ენერგოტევადობა A ყველაზე მოხერხებულად გამოითვალოს ძრავას ეფექტური მ.ქ.კ.-ის η_e მიხედვით, რადგან


$$A = \frac{A_{\Theta}}{\eta_e},$$

ამიტომ გვექნება:

$$A = 0,5 \frac{\sigma}{\eta_e} \left\{ \left[(\lambda \cos \alpha \pm qc) (\delta_1 + \delta_2) + q \sin \alpha \cdot \sin \phi (\delta_1 - \delta_2) \right] \eta + \frac{k (\delta_1 + \delta_2)}{\eta_m \eta_{6p}} \right\}$$

იმავე 21-ე განტოლების საფუძველზე შეგვიძლია მივიღოთ წვევითი კუთრი ენერგოტევადობის განტოლება, რისთვისაც საჭიროა აგრეგატის კოეფიციენტების ნაცვლად ჩავსვათ მანქანის შესაბამისი კოეფიციენტები. გვექნება:

$$A_{T_2} = 0,5 \frac{\sigma}{\eta_e} \left\{ \left[(\lambda_m \cos \alpha \pm q_m c) (\delta'_1 + \delta'_2) + q_m \sin \alpha \cdot \sin \phi (\delta'_1 - \delta'_2) \right] \eta + \frac{k (\delta_1 + \delta_2)}{\eta_m \eta_{6p}} \right\}$$



როგორც ამ განტოლებიდანაც ჩანს, კუთრ ენერგოტევადობაზე დიდ გავლენას ახდენს კოეფიციენტები λ , q და μ , რომელთა საორიენტაციო სიდიდეები მოცემულია მე-2-ე ცხრილში. აქვეა მოცემული ეფექტური, წვეითი და გეზლო კუთრი ენერგოტევადობის რიცხვითი მნიშვნელობები რამდენიმე აგრეგატისათვის ვაკე რელიეფის შემთხვევაში. დაშვებულია, რომ მოძრაობა დამყარებულია, ე. ი. $qc=0$ ქვიანობის, ფართის დანაწევრებულობის და კონფიგურაციის სირთულის კოეფიციენტი $\sigma=1$.

ენერგოტევადობის, საწვავის ხარჯვის, გაშომუშავების ნორმის და დროის ნორმის ურთიერთკავშირი

კუთრი ენერგოტევადობების მიღებული განტოლებები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ტექნიკური ნორმირების საფუძვლად. უფრო მოხერხებულა, ამ მიზნით გამოყენებულ იქნეს ეფექტური კუთრი ენერგოტევადობის ზოგადი განტოლება 20 (ან 21) და კერძო სახის განტოლებები 22, 23, და 24.

აღნიშნული განტოლებებით გამოთვლილი ენერგოტევადობის განზომილებაა $\frac{ჯ}{მ^2}$ (ჯოული კვადრატულ მეტრზე), მაგრამ რადგან სსრ კავშირში ფართობი იზომება ჰექტარობით, ამიტომ საჭიროა ენერგოტევადობაც გაიზომოს $\frac{ჯ}{ჰა}$ (ჯოული ჰექტარზე) ერთეულით. ასეთი ერთეულის შემთხვევაში კუთრი ენერგოტევადობა გამოისახება რამდენიმე ათეული მილიონობით, ამიტომ პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით უფრო მოხერხებულია გავზომოთ მილიონ ჯოულებში, ან (ინტერნაციონალურ განზომილებათა სისტემის შესაბამისად) მეგა ჯოულებში. მაშინ კუთრი ენერგოტევადობის საზომი ერთეული იქნება $\frac{მჯ}{ჰა}$ (მეგა ჯოული ჰექტარზე). $\frac{ჯ}{მ^2}$ -დან $\frac{მჯ}{ჰა}$ -ში გადაყვანილი კოეფიციენტი იქნება 10^{-2} , რადგან

$$A \frac{ჯ}{მ^2} = \frac{10^4}{10^6} A \frac{მჯ}{ჰა} = 10^{-2} A \frac{მჯ}{ჰა}.$$

სრული რწმენით შეიძლება ითქვას, რომ განზომილებას ეს ერთეული უნდა გახდეს მექანიზებელი სამუშაოების საზომ ერთეულად, რადგან იგი აქმაყოფილებს ყველა იმ მოთხოვნას, რომელსაც თანამედროვე მეცნიერება უყენებს განზომილებათა სისტემის ერთეულებს. ამ ერთეულის გამოყენება არ საჭიროებს არავითარ გადაყვან კოეფიციენტს, რადგან მათში იზომება ნებისმიერი სახის სამუშაო, რომელიც კი შეიძლება შეგვხვდეს სოფლის მეურნეობაში.

საწვავის ხარჯი ფართის ერთეულზე ეფექტური კუთრი ენერგოტევადობის მიხედვით გამოისახება შემდეგნაირად:

$$\Theta_F = \frac{A}{Q\eta_e} \frac{ჰბ}{მ^2} = 10^{-2} \frac{A\Theta}{Q\eta_e} \frac{ჰბ}{ჰა}. \tag{30}$$



საქართველოს
საზოგადოებრივი
მეცნიერებათა
აкадеმიის
საერთაშორისო
საინჟინერო-ტექნიკური
სამეცნიერო ცენტრი

№	აგრიკულტურის მანქანები		მოდელის განი B3	q $\frac{\%}{\text{მ}^2}$	λ $\frac{\%}{\text{მ}^2}$	θ	A _{TP} $\frac{\%}{\text{მ}^2}$	A _n $\frac{\%}{\text{მ}^2}$	A _ფ $\frac{\%}{\text{მ}^2}$	A _ფ $\frac{\%}{\text{მ}^2}$	A _ფ $\frac{\%}{\text{მ}^2}$
	ტრაქტორი	სან. სან. მანქანა									
1.	ДГ-54А	ПН - 4 - 35	1,4	43400	4242	1,32 1,57	5590 6640	15060	20 650 21 700	206,5 216,0	
2.	ДГ-75	ПУ-5 - 85	1,75	42250	4645	1,334 1,527	6220 7090	15060	21 250 22 150	212,5 221,5	
3.	МТЗ-50ЛС	ПН-2-30	0,6	51 000	5700	1,284 1,446	7 320 8 540	14 500	21 820 23 040	218,2 230,4	
4.	ДГ-20	ПН-30Р	0,3	57 100	6265	1,283 1,497	8050 9370	14 500	22550 23870	225,5 238,7	
5.	ДГ-54А	ПКНА-3	9,0	8200	1036	1,35 1,585	1400 1640	2480	3880 4120	38,8 41,2	
6.	ДГ-75	—	—	7800	1108	1,35 1,585	1500 1760	2480	3980 4240	39,8 42,4	
7.	МТЗ-50ЛС	КПН-4В	4	8620	1581	1,294 1,51	2050 2390	2385	4435 4775	44,35 47,75	
8.	ДГ-20	КПН-2	2,	8990	1648	1,294 1,51	2130 2490	1485	4615 4875	46,15 48,75	

საინჟინერო-ტექნიკური სამეცნიერო ცენტრი
საერთაშორისო საინჟინერო-ტექნიკური
სამეცნიერო ცენტრი

სადაც η_e არის ძრავას ეფექტური მ. ქ. კ;

Q —საწვავის წვის უდაბლესი სითბო $\frac{\text{მჯ}}{\text{კგ}}$ -ში. დიზელის საწვავის სითბო

$$Q = 42,705 \frac{\text{მჯ}}{\text{კგ}}, \quad \text{ბენზინისათვის } Q = 43,861 \frac{\text{მჯ}}{\text{კგ}}.$$

თუ ვიცით აგრეგატის საათური გამომუშავება $W_r = 0,36 B \nu \tau \frac{\text{ჰა}}{\text{სთ.}}$,

შეგვიძლია გავიანგარიშოთ საწვავის საათური ხარჯი

$$\Theta_r = 10^{-2} \frac{A_{\text{ფ}}}{Q \eta_e} W_r \frac{\text{კგ}}{\text{სთ.}}$$

თუ გავითვალისწინებთ, რომ ძრავას ეფექტური მ.ქ.კ. გამოითვლება ფორმულით

$$\eta_e = \frac{3,6}{g_e Q} = \frac{2,646}{g'_e Q},$$

სადაც g_e არის საწვავის ხვედრითი ხარჯი კგ/ე. კვტ. საათში;

g'_e —საწვავის ხვედრითი ხარჯი კგ/ე. ცძ. საათში.

ასევე თუ ზღვის დონიდან სიმაღლის გავლენის გამოსახატავად გამოვიყენებთ სიმაღლის მ.ქ.კ.-ს η_H , რომელიც განისაზღვრება ფორმულით:

$$\eta_H = \frac{1}{1 + 5 \cdot 10^{-5} H},$$

სადაც H არის სიმაღლე ზღვის დონიდან მ-ში, მაშინ საწვავის ხარჯი ერთეულ ფართზე გამოისახება განტოლებით:

$$\Theta_F = 10^{-2} \frac{A_{\text{ფ}}}{Q \eta_e \eta_H} = \frac{A_{\text{ფ}} g_e}{360 \eta_H} = \frac{A_{\text{ფ}} g'_e}{264,6 \eta_H} \frac{\text{კგ}}{\text{ჰა}}; \quad (31)$$


საათური გამომუშავების ნორმა

$$W_r = 0,36 B \nu \tau = \frac{\Theta_r Q \eta_e \eta_H}{10^{-2} A_{\text{ფ}}} = 360 \frac{\Theta_r \eta_H}{A_{\text{ფ}} g_e} = 264,6 \frac{\Theta_r \eta_H}{A_{\text{ფ}} g'_e} \frac{\text{ჰა}}{\text{სთ.}} \quad (32)$$

დროის ნორმა კი

$$t_F = 10^{-2} \frac{A_{\text{ფ}}}{\Theta_r Q \eta_e \eta_H} = \frac{A_{\text{ფ}} g_e}{360 \Theta_r \eta_H} = \frac{A_{\text{ფ}} g'_e}{264,6 \Theta_r \eta_H} \frac{\text{სთ.}}{\text{ჰა}} \quad (33)$$

ამრიგად, ტექნიკური ნორმირების ძირითადი სიდიდეები უშუალოდაა დამოკიდებული ეფექტურ კუთრ ენერგოტევალობაზე და გამოისახება მოყვანილი განტოლებებით (31, 32, 33). ეს კი გვიჩვენებს, რომ ერთ-ერთი რთული და დღეისათვის გადაუჭრელი პრობლემა—სატრაქტორო სამუშაოთა ტექნიკური ნორმირება შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს შემომოყვანილი განტოლებების საშუალებით, რომლებიც დამყარებულია თეორიულ საფუძვლებზე.



მე-20-ე, 22-ე, 23-ე 24-ე 31-ე 32-ე, და 33-ე. განტოლებების ერთობლივად
 კავშირისა და ფერდობის კუთხისაგან და ფერდობზე, მოძრაობის
 ლებისაგან მათი დამოკიდებულების ნათელი წარმოდგენისათვის
 გრაფიკულად A_{θ} , Θ_F , W_r და t_F -ის ცვალებადობა.

ამ დიაგრამიდან ნათლად ჩანს, რომ ევექტური კუთრი ენერგოტევადობა, საწვავის ხარჯი, გამომუშავების ნორმა და დროის ნორმა დიდ ფარგლებში იცვლება ფერდობის დახრის კუთხისა α და ფერდობზე აგრეგატის მოძრაობის მიმართულებისაგან ψ დამოკიდებულებით. ამ მომენტს კი ვერ ითვალისწინებს დღემდის ცნობილი ვერც ერთი მეთოდი და თეორიული თუ ექსპერიმენტული გამოკვლევა, მიძღვნილი ფერდობებზე აგრეგატის მუშაობის შესწავლის და ტექნიკური ნორმირების სრულყოფისადმი.

გარდა აღნიშნული სიდიდეებისა, მოყვანილი განტოლებების მიხედვით შესაძლებელია აიხსნას მრავალი სხვა, დღეისათვის საკამათო, საკითხი, როგორცაა: აგრეგატის ოპტიმალური სიჩქარის განსაზღვრა, ოპტიმალური მოდების განის შერჩევა და სხვ. მაგალითად, აგრეგატის ოპტიმალური სიჩქარის გაანგარიშება შეიძლება მოხდეს 32-ე განტოლების საფუძველზე.

$$V = \frac{\Theta_r Q \eta_e \eta_H}{0,36 \cdot 10^{-2} B \tau A_{\theta}} = 10^3 \frac{\Theta_r \eta_H}{A_{\theta} g_e B \tau} \text{ მ/წმ}; \quad (34)$$

ან ოპტიმალური მოდების განი

$$B = \frac{\Theta_r Q \eta_e \eta_H}{0,36 \cdot 10^{-2} v \tau A_{\theta}} = 10^3 \frac{\Theta_r \eta_H}{A_{\theta} g_e v \tau} \text{ მ.} \quad (35)$$

ამრიგად, ჩატარებული გამოკვლევა და ამ კვლევის საფუძველზე ჩამოყალიბებული მამოძრავებელი ძალის და კუთრი ენერგოტევადობების განტოლებები შესაძლებლობას იძლევა გადაიჭრას საკითხი მიწათმოქმედების და საერთოდ სოფლის მეურნეობის მექანიზაციის საკითხთან დაკავშირებული ისეთი პრობლემატური საკითხები, როგორცაა მექანიზებულ სამუშაოთა ტექნიკური ნორმირება, აგრეგატის საექსპლუატაციო და ეკონომიური მაჩვენებლების ოპტიმალური და აბსოლუტური სიდიდეების დადგენა, საწვავის ხარჯის დიფერენცირებული ნორმების შედგენა, მექანიზებული საქმეოების საზოგადოებრივი ეროვნული დადგენა და სხვ.



პროფ. გ. ჩიჩუა, ი. გაფრინდაშვილი
ნ. ნაღიბაიძე

ნიადაგის ფიზიკის მეცნიერების თანამედროვე მდგომარეობა

ნიადაგის ფიზიკის მეცნიერების შესწავლა შეიცავს თეორიული ხასიათის პრობლემებს, საველე და ლაბორატორიულ გამოკვლევებს და საჭირო ხელსაწყო-იარაღების შექმნას.

თეორიული ხასიათის პრობლემები მოიცავს ნიადაგისა და ნიადაგისპირა ჰაერის სითბური და წყლის რეჟიმის რეგულირების გარკვევას და ნიადაგის და ჰაერის ტემპერატურისა და სინოტივის პროგნოზის ფორმულების დადგენას. საველე და ლაბორატორიული გამოკვლევები მიეკუთვნება ექსპერიმენტულ გაზომვებს, რომელთა მიზანია გარკვეული კანონზომიერების ამოცნობა და სათანადო ემპირიული ფორმულების დადგენა, რაც წარმოადგენს შემდგომი თეორიული დამუშავების საფუძველს, ხოლო ამ მიმართულებით საჭირო ხელსაწყო-იარაღების შექმნა როგორც ექსპერიმენტული, ისე თეორიული კვლევის აუცილებელი პირობაა.

ნიადაგისა და ნიადაგისპირა ჰაერის სითბური და წყლის რეჟიმის რეგულირების საქმეში ტემპერატურა არის ერთ-ერთი ძირითადი სიდიდე, რომლის მიხედვითაც შეიძლება ვიმსჯელოთ ნიადაგისა და ნიადაგისპირა ჰაერის ნორმაზე უფრო მეტად გადახტებაზე ან გაცივებაზე. ამის გამო, მნიშვნელოვანია ნიადაგისა და ნიადაგისპირა ჰაერის ტემპერატურის განაწილების შესწავლა სხვადასხვა დონეზე და ამ ცვლილების სხვადასხვა ფაქტორებზე დამოკიდებულების გამოკვლევა.

ტემპერატურული ველი მყარ უწყვეტ ნახევრად შემოსაზღვრულ ნივთიერებაში განისაზღვრება კონდუქტიური სითბოგამტარობის განტოლების ამოხსნით

$$\lambda_0 \frac{\partial^2 T(z,t)}{\partial z^2} = c\rho \frac{\partial T(z,t)}{\partial t}$$

სადაც λ_0 სითბოგამტარობის კოეფიციენტი და $c\rho$ მოცულობითი სითბოტევადობა განიხილებიან როგორც მუდმივი სიდიდეები.

დაწერილი განტოლება, როგორც მეორე რიგის დიფერენციალური განტოლება, უნდა შეიცავდეს ორ მუდმივას, რომელთა განსაზღვრისათვის საჭი-



როა ორი სასაზღვრო პირობა, რომელთაგან ერთი წარმოადგენს ტემპერატურის შემოსაზღვრულობას დიდ სიღრმეზე.

$$T(\infty, t) = T_{\infty} = \text{const},$$

ხოლო მეორე იქნება ბალანსის პირობა, ე. ი. სითბური ენერგიის შენახვის კანონი ნიადაგის ზედაპირზე ან ტემპერატურის უწყვეტობა ნიადაგის ზედაპირსა და ჰაერს შორის და სხვ. ასეთი საკითხი განხილულია მრავალი მკვლევარის მიერ [3, 11, 12]. დაცემული სინუსოიდალური ტალღის შემთხვევაში ის ამოიხსნება შემდეგნაირად:

$$T(z, t) = T_{\infty} e^{-z \sqrt{\frac{\omega c \rho}{2\lambda}}} \sin(\omega t - z \sqrt{\frac{\omega c \rho}{2\lambda}} - \varphi)$$

როგორც აქედან ჩანს, ტემპერატურული ტალღის ამპლიტუდა მიიწვავდა და სიღრმის მიხედვით ხდება ფაზით დაგვიანება.

დასმული ამოცანის შემდგომი დაზუსტება შეეხება სიღრმის მიხედვით სითბური მახასიათებლების ცვლილების განხილვას [5, 14, 15, 16] სხვადასხვა სახის სასაზღვრო პირობებში და არასინუსოიდალური დაცემული ტემპერატურული ტალღის შემთხვევაში. ასეთი სახის შრომები შეიცავენ ან $\lambda = \lambda(z)$ და $c\rho = \text{const}$, ან $\lambda = \text{const}$, $c = c(z)$, ან კიდევ $\lambda = \lambda(z)$, $c = c(z)$. სათანადო ამოხსნები ხორციელდება ოპერატორული ან კომპლექსური ცვლადის მეთოდით და მათ საბოლოო სახეში ბესელის და მაკდონალდის ფუნქციები შედის.

λ და $c\rho$ -ს სიღრმის მიხედვით ცვლილება სიმკვრივესთან ერთად გაპირობებულია ტენიანობის ცვლილებით, ამიტომ საშუალება გვეძლევა უფრო ზუსტად განვიხილოთ სითბურ მახასიათებლებზე ნიადაგის ტენიანობის გავლენა. სამაგიეროდ ამოხსნა დაკავშირებულია დიდ მათემატიკურ სიძნელებებთან. ამის გამო დასაშვებია მთელი რიგი გამარტივებები, როგორცაა ნიადაგის ზედაპირზე ბალანსის ცოდნა, სამგანზომილებიანი ამოცანის ნაცვლად ერთგანზომილებიანის განხილვა და სხვ.

ამ შემთხვევაში

$$\frac{\partial}{\partial z} \left[\lambda(z) \frac{\partial T(z, t)}{\partial z} \right] = c\rho \frac{\partial T(z, t)}{\partial t}$$

განტოლების ამოხსნას ვეძებთ ორი ფუნქციის ნამრავლის სახით, რომელთაგან ერთი დამოკიდებულია მხოლოდ z არგუმენტზე, მეორე $\varphi(t)$ — მხოლოდ t -ზე, ე. ი.

$$T(z, t) = f(z)\varphi(t) + \text{const}$$

ამოხსნას აქვს შემდეგი სახე:

$$T(z, t) = W_0 e^{-\sqrt{\frac{\omega}{2k_{\infty}}} z} + A_z \sqrt{\frac{\lambda_0 - \lambda_z}{\lambda_{\infty}}} - A_0 \sqrt{\frac{\lambda_{\infty} - \lambda_0}{\lambda_{\infty}}} \sin \left[\omega t - \sqrt{\frac{\omega}{2k_{\infty}}} z + B_z \sqrt{\frac{\lambda_{\infty} - \lambda_z}{\lambda_{\infty}}} - B_0 \sqrt{\frac{\lambda_{\infty} - \lambda_0}{\lambda_{\infty}}} - \Phi \right] + t_{\infty}$$

სადაც $\Phi = \text{arc tg} \frac{b_0}{a_0}$ არის სითბური ნაკადის ამპლიტუდა, A_0, B_0, A_z, B_z —

A და B ფუნქციის მნიშვნელობები ზედაპირზე და Z სიღრმეზე, a_0 და b_0 განისაზღვრებიან ტოლობებით

$$a_0 = \sqrt{\frac{\omega}{2k_\infty} + \left[\left(\frac{\partial A}{\partial z} \right)_{z=0} - A_0 \frac{m}{2} \right] \sqrt{\frac{\lambda_\infty - \lambda_0}{\lambda_\infty}}},$$

$$b_0 = \sqrt{\frac{\omega}{2k_\infty} + \left[\left(\frac{\partial B}{\partial z} \right)_{z=0} - B \frac{p}{2} \right] \sqrt{\frac{\lambda_\infty - \lambda_0}{\lambda_\infty}}}.$$

ინდექსი ∞ აღნიშნავს მოცემულ სიღრმეს ძალიან დიდ სიღრმეზე. ცვლადი λ , c და ρ -ს შემთხვევაში ამოსახსნელ განტოლებას აქვს სახე

$$c(z) \rho(z) \frac{\partial T(z,t)}{\partial t} = \frac{\partial}{\partial z} \left[\lambda(z) \frac{\partial T(z,t)}{\partial z} \right].$$

საწყის პირობად მიღებულია იზოთერმიის მდგომარეობა, ე. ი.

$$T(z,0)|_{z=0} = T_0 = \text{const.}$$

ზედაპირზე მოცემულია ნაკადი

$$-\lambda(z) \frac{\partial T(z,t)}{\partial z} \Big|_{z=0} = \Psi(t)$$

და უსასრულობაში ტემპერატურა შემოსაზღვრულია

$$T(\infty, t) = T_\infty.$$

ამოხსნა მოიძებნება ასეთი სახით

$$T(z,t) = T_0 + \theta(z,t)$$

სადაც T_0 არის ტემპერატურის საშუალო დღეღამური მნიშვნელობა და $\theta(z,t)$ — გადახრა ამ მნიშვნელობებიდან. განხილულია (გ. ჩიჩუა, 1964) $\rho c(z)$ და $\lambda(z)$ -ის წრფივი და ექსპონენციალური სახე

$$1) \rho c(z) = \begin{cases} \rho_1 c_1 e^{-\beta \left(1 - \frac{z}{h}\right)} & 0 \leq z \leq h \\ \rho_1 c_1 & z > h \end{cases}$$

$$\lambda(z) = \begin{cases} \lambda_1 e^{-\beta \left(1 - \frac{z}{h}\right)} & 0 \leq z \leq h \\ \lambda_1 & z > h \end{cases}$$

$$2) \rho c(z) = \begin{cases} \rho_1 c_1 \left[1 - m \left(1 - \frac{z}{h} \right) \right] & 0 \leq z \leq h \\ \rho_1 c_1 & z > h \end{cases}$$

$$\lambda(z) = \begin{cases} \lambda_1 \left[1 - m \left(1 - \frac{z}{h} \right) \right] & 0 \leq z < h \\ \lambda_1 & z > h \end{cases}$$



სადაც h არის სიღრმე, რომლის ქვემოთაც მახასიათებლები სათანადო ამოხსნა, რომელსაც სირთულის გამო აქ დამაკმაყოფილებელ თანხვედნაშია ცდასთან.

ნიადაგის სითბური რეჟიმის დახასიათება შეიძლება ჰაერის ტემპერატურის მსვლელობის საფუძველზეც, სათანადო გამოკვლევები ჩატარებულია მალკინის, დიუბიუკის, მონინის, ჩუდნოვსკის [12] და სხვათა მიერ; საბოლოო ამოხსნას აქვს შემდეგი სახე:

$$T(z,t) \approx f(z) + (1+g) \int_0^t \varphi(t-t^*) d[g(z,t^*)] - g_0 \int_0^t \varphi(t-t^*) d[W(z,t^*)].$$

სადაც
$$g = \frac{\ln \frac{r}{\beta}}{\ln \frac{m}{r}}; \quad \beta = \frac{2}{c} \sqrt{\mu} \quad m = \frac{2}{c} \sqrt{\mu + cH};$$

$$r = \frac{2}{c} \sqrt{\mu + cH}$$

აქ H არის ტურბულენტური გაცვლის კოეფიციენტის ტეხვის სიმაღლე; c —პროპორციულობის კოეფიციენტი;

μ —ტურბულენტური გაცვლის კოეფიციენტი $z=0$ ე. ი. დედამიწის ზედაპირთან ახლოს.

ა. ჩუდნოვსკის მიერ დამუშავებულია ცხრილები და გრაფიკები $T(z, t)$ გამოსახულების გამოსათვლელად.

ყველაფერი ზემოაღნიშნული ენებოდა შიშველ ნიადაგს; თუ ნიადაგი დაკავებულია სასოფლო-სამეურნეო კულტურებით, ნარგავებით, ხეხილითა და სხვა მცენარეებით. მაშინ ამოცანის ამოხსნა კიდევ უფრო რთულდება. ამ მიმართულებით ჩატარებულია გარკვეული მუშაობა. პირველ რიგში საჭირო გახდა მცენარეული საფარის ნიადაგისა და ჰაერის სითბურ და ტენის რეჟიმზე გავლენის მოხდენის შეტანა სითბო და ტენგამტარობის დიფერენციალურ განტოლებებში. ეს განვახორციელებთ სამი გზით [5, 16, 17].


1. სასაზღვრო პირობების სათანადო შერჩევით ისე, რომ მცენარეებს გარკვეული ცვლილება შეეტანათ როგორც ტენის, ისე ტემპერატურის ცვლილების მხრივ (გარჩეულია ორი ასეთი ვარიანტი).

2. მცენარეები განხილულ იქნენ როგორც ტენის და სითბოს წყარო, ე. ი. სითბო და ტენგამტარობის განტოლებებში შეტანილ იქნა სათანადო წევრები დირაკის δ ფუნქციის სახით.

$$\frac{\partial T(z,t)}{\partial t} = \frac{\partial}{\partial z} \left[k(z) \frac{\partial T(z,t)}{\partial z} \right] + d^{(n)} \delta(z-H)$$

$$\frac{\partial q(z,t)}{\partial t} = \frac{\partial}{\partial z} \left[k(z) \frac{\partial q(z,t)}{\partial z} \right] + d^{(n)} \delta(z-H)$$

სადაც $T(z,t)$ და $q(z,t)$ არის სათანადოდ ჰაერის ტემპერატურა და სინოტივი z —სიმაღლეზე და t მომენტში.



$d^{(1)}\delta(z-H)$ და $d^{(n)}\delta(z-H)$ წარმოადგენს სითბოს და ტენის ერთეულ-ლოვანი სიმძლავრის წყაროებს.

$\delta(z-H)$ არის ე. წ. ნორმირებული ფუნქცია, რომელიც აღჭურვილია თვისებით:

$$\delta(z-H) = \begin{cases} 0 & z \neq H \\ \infty & z = H \end{cases}$$

$$\int_{z_0}^z \delta(z_0-H) = \begin{cases} 1 & z_0 \leq z \leq H \\ 0 & z > H \end{cases}$$

H არის ნარგავთა საშუალო სიმაღლე. მოითხოვება აგრეთვე ნარგავთა საშუალო სიხშირე, რომელიც არის მცენარეთა ზედა ზედაპირსა და მიწველ ნიადაგზე რადიაციული ბალანსის შეფარდება

$$m = \frac{R(t)}{R_0(t)}$$

წინა ვარიანტი წარმოადგენს ამ ამოცანის კერძო შემთხვევას. როცა წყარო არ გვაქვს, ამოხსნები ერთმანეთს ემთხვევა.

აღნიშნული ამოცანის ყოველმხრივ დამუშავებას, მის უფრო მეტად პრაქტიკასთან დაახლოებას, რაც გამოიხატება მცენარეების როგორც სითბოს და ტენის წყაროდ განხილვის გაუმჯობესების საკითხში, უდიდესი მნიშვნელობა ექნება მომავალში სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის ოპტიმალური სითბური და ტენის რეჟიმის შექმნისათვის უხვი და მაღალხარისხოვანი მოსავლის მისაღებად.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე თოვლით დაფარული ნიადაგის სითბური რეჟიმის შესწავლას, რადგან მრავალ სასოფლო-სამეურნეო კულტურას განვითარება გარკვეულ ფაზაში უხდება თოვლის საბურველის ქვეშ. ასეთი ამოცანა განხილულია მრავალი მკვლევარის მიერ. ეს საკითხი საქართველოს პირობებში ექსპერიმენტულად შეისწავლა და თეორიულად განაზოგადა ლ. კოტორლიშვილმა [10]. მის მიხედვით სითბოს გავრცელება ჰაერიდან თოვლსა და ნიადაგში აღიწერება შემდეგ განტოლებათა სისტემით:

$$\frac{\partial T_1(z,t)}{\partial t} = \frac{\partial}{\partial z} \left[k_1(z) \frac{\partial T_1(z,t)}{\partial z} \right] \quad 0 \leq z \leq H_1$$

$$\frac{\partial T_2(z,t)}{\partial t} = k_2^2 \frac{\partial_z T_2(z_1 t)}{\partial z^2} + \frac{\delta_3}{c_2 \rho_2} j e^{-\beta z} \quad 0 \leq z \leq h$$

$$\frac{\partial T_3(z,t)}{\partial t} = k_3^2 \frac{\partial^2 T_3(z,h)}{\partial z^2} \quad h \leq z < \infty$$

სადაც $T_1(z_1 t)$ და $T_3(z_1 t)$ არის ჰაერის და ნიადაგის ტემპერატურები.

z სიღრმეზე (სიმაღლეზე) და t დროში ;

k_2^2 —ნიადაგის ტემპერატურაგამტარობის კოეფიციენტი ;



$k(z)$ —ტურბულენტური გაცვლის კოეფიციენტი, რომლისთვისაც გამოიყენება შვეცის და იუდინის მოდელი

$$k(z) = \begin{cases} x_0 + \mu z & z \leq H_1 \\ x + \mu H_1 = k_1^2 & z > H_1 \end{cases}$$

სადაც x_0 არის ჰაერის მოლეკულური დიფუზიის კოეფიციენტი,
 μ —პარამეტრი, რომელიც ახასიათებს ტურბულენტური გაცვლის კოეფიციენტის ზრდას სიმაღლის მიხედვით,
 H_1 —ტურბულენტური გაცვლის კოეფიციენტის ტეხვის სიმაღლე.
 h —თოვლის საფარის სისქე. მოვიყვანო მხოლოდ ნიადაგის ტემპერატურის გამომსახველ ფორმულას

$$T_3(z_1, t) = \frac{2\Lambda_2}{\Lambda_2 + \Lambda_3} \left[\int_0^i x(t - \tau) dG_1(z, \tau) - \frac{1}{b} \int_0^t E_{3\Phi}(t - \tau) dG_1(z, \tau) \right] + \frac{1}{(\Lambda_2 + \Lambda_3) k_2^2} \int_0^t \delta\tau(t - \tau) dG_2(z, t),$$

სადაც $\Lambda_2 = \frac{\lambda_2}{k_2}$; $\Lambda_3 = \frac{\lambda_3}{k_3}$; $b = \frac{\rho C_p \mu}{\ln \frac{x_0 + \mu H_1}{x_0}}$;

G_i დამოკიდებულია z და t -ზე. დამუშავებულია აქ შემავალი ინტეგრალების გრაფიკული ამოხსნის მეთოდი.

ჩვენ თეორიულად შევისწავლეთ რადიაციული ბალანსის როლი ტემპერატურული ველის ფორმირებაში და ამოვხსენით ადექციის განტოლება [8, 9]

$$\frac{\partial T(x, t)}{\partial t} + U \frac{\partial T(x, t)}{\partial x} = f(x, t),$$

სადაც $T(x, t)$ არის ჰაერის ტემპერატურა, x —კოორდინატა მოძრაობის გასწვრივ,

$f(x, t)$ —სითბოს წყარო რადიაციული ბალანსის სახით,
 U —ჰაერის მასების მოძრაობის სიჩქარე.

აღებული განტოლების ამოხსნას აქვს სახე

$$T = T^0(x - Ut) + \int_0^t [T^1(t^1, x - U(t - t^1))] dt,$$

სადაც პირველი წევრი წარმოადგენს საწყისი ტემპერატურული ველის გადატანას, მეორე გვიჩვენებს რადიაციული ბალანსის გავლენას ტემპერატურაზე.

საველე და ლაბორატორიული გამოკვლევები ძირითადად ეხება ნიადაგის თბოფიზიკურ მახასიათებლებს. ამ მხრივ კავშირის მასშტაბით დიდი მუშაობაა ჩატარებული. გამოკვლეულია თბოფიზიკური მახასიათებლების ცვლილება


სხვადასხვა ნიადაგების ქიმიურ-მინერალოგიური შედგენილობის, სიმკვრივის და ტენიანობის ცვლილების მიხედვით ბალტიისპირეთის რესპუბლიკის ტენიანობის ცვლილების მიხედვით ლენინგრადის ოლქის, მოლდავეთის, უდმურტეთის, უკრაინის, საქართველოს და სხვა ნიადაგების მიმართ [11, 12, 13].

საქართველოს სსრ ძირითადი ტიპების: შავმიწა (შირაქი), წითელმიწა (ზუგდიდი), ეწერი (ანასეული) და რუხი-ყავისფერი (გარდაბანი) ნიადაგებისათვის პროფ. გ. ჩიხუას მიერ გაზომილ იქნა თბოფიზიკური მახასიათებლები, გამოყვანილ იქნა მათ სიმკვრივეზე და ტენიანობაზე დამოკიდებულების ემპირიული ფორმულები აღნიშნული ნიადაგების სამი სხვადასხვა ჰორიზონტისათვის (სახნავი ფენა, სახნავექვეშა ფენა და დედაქანი) და დადგენილ იქნა სსრკ ძირითადი ტიპის ნიადაგებისათვის სითბური მახასიათებლების განმსაზღვრელი ზოგადი ემპირიული ფორმულა

$$10^3 k = (a - b w^2) \rho + (c \rho + d) W,$$

სადაც a , b , c და d კოეფიციენტები დამოკიდებული არიან ნიადაგის გვარობაზე. მაგალითად, საქართველოს რუხი-ყავისფერი ნიადაგის სახნავი ფენისათვის $a = 0,70$, $b = 0,0024$, $c = 0,12$, $d = 0,002$. აღნიშნული მკვლევარის მიერ აგრეთვე გამოკვლეულია თბოფიზიკური მახასიათებლების ცვლილება სიღრმის და ნიადაგის დამუშავების მიხედვით [1, 14, 15].


პროფ. ვ. ლატარის მიერ შესწავლილია მუხრანის მდელის ყავისფერი ნიადაგების ზოგიერთი ფიზიკური თვისება და სავსე პირობებში განსაზღვრულია ნიადაგის წყალმმართველი თვისებები და უანგვა-აღდგენის პოტენციალები.



პროფ. გ. ტალახაძის ხელმძღვანელობით ა. ჯიბლაძეს შესწავლილი აქვს მუხრანის მდელის ყავისფერი ნიადაგების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები ხოლო რ. კირვალიძეს ფიზიკურ თვისებებთან ერთად ამავე ნიადაგების სტრუქტურა და სიმტკიცე.


ფიზიკის კათედრის მიერ დაწყებულია მუშაობა საქართველოს ზოგიერთი ტიპის ნიადაგის ელექტროფიზიკური მახასიათებლის განსაზღვრისა და მათი სიმკვრივის და ტენიანობის მიხედვით ცვლილების დადგენის შესახებ. კერძოდ, ჯერ-ჯერობით გამოკვლეულია ყავისფერი ნიადაგის (დილომი) სახნავი ფენის ელექტროფიზიკური მახასიათებლების (ხვედრითი ელექტროგამტარობა, დიელექტრიკული მუდმივა) დამოკიდებულება ტენიანობაზე. შემდგომში ეს მუშაობა გაგრძელდება საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სასწავლო-საცდელი მეურნეობების ყველა ტიპის ნიადაგების სახეობებზე.

ყველა ტიპის ნიადაგებისათვის თბოფიზიკური მახასიათებლების და მათი სიმკვრივისა და ტენიანობაზე დამოკიდებულების შესწავლის შემდეგ უნდა შედგეს სითბური მახასიათებლების რუკა და აგრეთვე სითბოს აკუმულა-



ციის თვისური და წლიური რუკები, რომელთა საშუალებით სხვა თვისებებთან ერთად შესაძლებელი გახდება კულტურათა მეცნიერულ და პრაქტიკულ სითბოს მოყვარულობის ან ყინვაგამძლეობის მხრივ, ადგილობრივი მნიშვნელობის თვალსაზრისით.

ნიადაგის ფიზიკის მიმართულებით საკვლევი ხელსაწყო-იარაღების და მუშავება-დამზადება ძირითადად წარმოებს სსრკ აგროფიზიკის ინსტიტუტში,



ცენტრალურ საკონსტრუქტორო ბიუროში, ნახევარგამტარების ინსტიტუტში და სხვ. დღეისათვის შექმნილია მრავალი სახის თერმომეტრი: ნიადაგის ძელისებრი, სახნავი ფენის ელექტროთერმომეტრი, ნიადაგის წერტილოვანი ელექტროთერმომეტრი, ნიადაგის ზედაპირის თერმომეტრი, წაყინვების პრო-

გნოზატორი, რადიაციული ბალანსმზომი, სითბომზომი, ნიადაგის ტენზომომი, ნახევარგამტარული ტენზომეტრი, თერმობალანსოგრაფი, ბოლომეტრი და მრავალი სხვა. ამ მიმართულებით ამჟამად გაცნოველებული მუშაობა მიმდინარეობს.

ნიადაგის ფიზიკის სფეროში მეცნიერული მუშაობის შემდგომ ამოცანას შეადგენს ნიადაგისა და ნიადაგისპირა ჰაერის სითბური და ტენის რეჟიმის და მისი რეგულირების შესწავლა. ამ მიმართულებით საჭიროა დაზუსტდეს მცენარეული და თოვლის საფარის, ნიადაგის ზედაპირის დამუშავების, ქარსაცავი ზოლების და ყველა იმ ღონისძიების გავლენა, რომლებიც შექმნიან ხელოვნურ მიკროკლიმატს და არეგულირებენ ნიადაგის სითბურ რეჟიმს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნიადაგის შიგნით კონდენსაციის თეორიული საფუძვლების შესწავლას, გვალვიან რაიონებში კულტურული მცენარეებისაგან კონდენსაციის გზით მიღებული წყლის შეთვისებისათვის.

ექსპერიმენტულ გამოკვლევებს საჭიროებს საქ. სსრ ნიადაგების თბოფიზიკური, ელექტროფიზიკური და მაგნიტური მახასიათებლები და მათი ცვლილება სიმკვრივის, ტენიანობის, ქიმიურ-მინერალოგიური შედგენილობისა და სიღრმის მიხედვით.

ელექტროფიზიკური მახასიათებლების (კუთრი ელექტროგამტარობა, დიელექტრიკული მუდმივა, კარგვის კუთხის ტანგენსი) გამოკვლევა საშუალებას მოგვცემს შესწავლილ იქნეს ნიადაგის ტენის მიმოქცევა, ტენიანობის გამზომი ხელსაწყოების სრულყოფა, ნიადაგის გაწმენდა არასასურველი ელემენტებისაგან, ელექტროოსმოსისა და ელექტროდიფუზიის პროცესების მართვა, ნიადაგის ელექტრომელიორაცია და სხვა.

რაც შეეხება მაგნიტურ მახასიათებლებს (მაგნიტურ შემთვისებლობას და კოერციტულ ძალას), მათი შესწავლით ჩვენს ხელში აღმოჩნდება ნიადაგთწარმოქმნის პროცესების გარკვეული კრიტერიუმები. აღნიშნული მახასიათებლები ფერფერობით მხოლოდ უდმურტეთის ასსრ ნიადაგებისთვისაა გაზომილი.

1. გ. ჩიჩუა. საქ. სსრ ეწერი ნიადაგების სითბური დახასიათება სითბური მახასიათებლების განმსაზღვრელი ზოგადი ემპირიული ფორმულა. საქ. სსი შრ., ტ. 59, 1964.
2. ი. გაფრინდაშვილი, გ. ჩიჩუა. მუხრანის ველის ნიადაგებში სითბური ნაკადის განაწილება. საქ. სსი შრ. ტ. 73, 1967.
3. ი. გაფრინდაშვილი. ნიადაგში სითბურ ნაკადზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების გავლენის საკითხისათვის. საქ. სსი შრ., ტ. 55, 1967.
4. ი. გაფრინდაშვილი. სითბური ბალანსის ელემენტებზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების გავლენის საკითხისათვის. საქ. სსი შრ., ტ. 56-1965.
5. ი. გაფრინდაშვილი. მცენარეულ საუარქვეშა ნიადაგის ტემპერატურის განსაზღვრა სითბური მახასიათებლების სიღრმის მიხედვით ცვლილების მხედველობაში მიღებით. საქ. სსი შრ., ტ. 76—77, 1969.
6. ი. გაფრინდაშვილი. რადიაციული ბალანსის და ნიადაგში სითბური ნაკადის ცვლილება ვაზის განვითარების ფაზების მიხედვით. საქ. სსი შრ., ტ. 76—77. 1969.
7. ნ. ნადიბაიძე, ი. გაფრინდაშვილი. ნიადაგის ტემპერატურა და სასოფლო-სამეურნეო კულტურათა განვითარება. ჟურნ. „საქართველოს სოფლის მეურნეობა“, 1970 წ. № 8.
8. ნ. ნადიბაიძე — საქართველოს სსრ ტეროტორიის კლიმატურ ზონებად დაყოფის საკითხისათვის. საქ. სსი შრ., ტ. 78—79, 1970.
9. ნ. ნადიბაიძე. სხვადასხვა სითბოს წყაროების გავლენის გათვალისწინების აუცილებლობა გადატანითი პროცესების გამოკვლევის დროს. საქ. სსი შრ., ტ. 76—77, 1969.
10. ლ. ჭოტორლიშვილი. საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი 1963.
11. Основы агрофизики, физматгиз, м., 1959.
12. С. В. Нерпин, А. Ф. Чудновский, Физика почвы, физматгиз. м., 1967.
13. Труды АФИ т.т. 25—27, гидрометеиздат. л, 1968.
14. Г. С. Чичуа, докторская диссертация, Ленинград, 1965.
15. Г. С. Чичуа, Расчет температурного поля в почве при учете изменения теплофизических характеристик по глубине. тр. Груз. схи, т. 60, 1965.
16. А. Ф. Чудновский, И. С. Гаприндашвили. О возможном подходе к количественной оценке влияния растений на тепло- и влагообмен в почве и воздухе. Тр. АФИ, т. 23, 1969.
17. И. С. Гаприндашвили. Влияние растений на тепловой и

влажностный режим почвы и приземного воздуха. Тезисы докладов, изд. ТГУ, 1970.



18. Н. Ф. Надибаидзе. Учет притока тепла при конечно-разностном способе решения уравнения адвекции. Метеорология и гидрология, 1970, № 9.

19. Е. М. Добрышман, Н. Ф. Надибайдзе. О некоторых статистических характеристиках радиационного баланса Грузии. „Метеорология и гидрология,“ 1969, № 9.



დოკ. ბ. გორდენიანი; თ. ხმეჭურიანი

მანქანური კონტროლის ეფექტურობის გამოკვლევის საკითხისათვის

სწავლების ეფექტურობის შემდგომი აღმავლობა მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული სასწავლო პროცესებში ავტომატური საშუალებებისა და გამოთვლითი ტექნიკის დანერგვასთან; პედაგოგისა და მოსწავლის — სწავლებისა და კონტროლის ტექნიკური საშუალებებით აღჭურვასთან.

სასწავლო პროცესების ავტომატიზაციის არსი ძირითადად დაპროგრამებულ სწავლებაში მდგომარეობს. იგი საშუალებას იძლევა ამადლდეს პედაგოგის შრომის ხარისხი და მოსწავლის მიერ ცოდნის ათვისების პროცესი. ავტომატიზაცია განსაკუთრებით აუცილებელია რათა სასწავლო პროცესში სწრაფად მოქმედი ეფექტური უკუკავშირი განხორციელდეს; ეს კი ტექნიკური საშუალებების გამოყენების გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია.

დაპროგრამებული სწავლების მეთოდის ფართო გავრცელება ძირითადად, უნდა ემყარებოდეს მსწავლებელ და საკონტროლო მანქანებს, კერძოდ ელექტრომექანიკურ მოწყობილობებს შერჩევითი პასუხებით.


შერჩევითი შეიძლება ჩავთვალოთ ერთ-ერთ ძირითად მეთოდად, რომელიც პედაგოგის შრომის მნიშვნელოვანი ნაწილის ავტომატიზებისა და ამავე დროს, მასობრივ აუდიტორიებში სწავლების გაინდივიდუალების უზრუნველყოფის საშუალებას იძლევა.

ამასთან, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მანქანების დიდი უმრავლესობა დღემდე შერჩევით მეთოდზე მუშაობს, ცხადი გახდება, რომ დაპროგრამებული კონტროლი, ყოველ შემთხვევაში უახლოეს მომვალში, არ შეიძლება წარმოვიდგინოთ ამ მეთოდის გეგმაზომიერი გამოყენების გარეშე.

პასუხების შერჩევის მეთოდს დიდი ყურადღება ექცევა პედაგოგებისა და ფსიქოლოგების მხრივ. ამ მეთოდის შესახებ მნიშვნელოვანი შრომებია შექმნილი სამამულო და უცხოეთის ქვეყნების მკვლევარების მიერ. პასუხების შერჩევის მეთოდს ჰყავს თავისი მომხრეებიცა და მოწინააღმდეგეებიც.

აკრიტიკებენ რა პასუხების შერჩევის მეთოდს, ჩვეულებრივ შემდეგ ნაკლოვანებებს ასახელებენ:

1. მოსწავლეს უხდება წაიკითხოს და გაიაზროს არასწორი. შეცდომითი



პასუხების დიდი რიცხვი, რომლებსაც ის უნებლიედ იმახსოვრებს და გარკვეულ დროის შემდეგ კვალიფიცირებს როგორც სწორს.

2. მოსწავლეს აჩვენებს მზა ფორმულებთან მუშაობას, რომელიც ში ზღუდავს მას მიღებული ცოდნის ლოგიკურ გადმოცემაში.

3. მოსწავლე შეიძლება მიხვდეს სწორ პასუხს ისე, რომ არ ესმოდეს საკითხის შინაარსი ან სწორი პასუხი განასხვავოს არასწორისაგან ფორმალური ნიშნებით, ისე, რომ არ იყოს დაკავშირებული საკითხის არსთან.


4. შესაძლებელია სწორი პასუხის მიღება არასწორი მსჯელობების შედეგად, რადგან პასუხი ფიქსირებულია მხოლოდ როგორც აზრიანი მუშაობის საბოლოო შედეგი, ხოლო თვით აზროვნების პროცესი კონტროლის გარეშე რჩება.

ჩამოთვლილი შენიშვნები უპირველეს ყოვლისა ძალზედ ზოგად ხასიათს ატარებს. მათი შინაარსიდან გამომდინარე, თითქმის შერჩევითი მეთოდი ერთ, მკაცრად ფიქსირებულ მუშაობის სქემით ხასიათდება. რასაკვირველია, ეს ასე არ არის. გასათვალისწინებელია, რომ შერჩევით მეთოდს აქვს არსებითი თავისებურებები იმაზე დამოკიდებულებით, თუ სწავლების პროცესის რა ეტაპზე გამოიყენება იგი. კერძოდ, ჩვენ განვიხილავთ მოსწავლეთა მიმდინარე კონტროლის ორგანიზაციისა და ეფექტურობის საკითხს.

მიმდინარე კონტროლს დაპროგრამებული სწავლებისას, დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი აკმაყოფილებს სტუდენტის დაინტერესებას განვლილი მასალის გულმოდგინედ დამუშავებაში. ამცირებს ან შეიძლება ითქვას მთლიანად აღმოფხვრის სტუდენტის მისწრაფებას გამოიცნოს კოდი. მიმდინარე კონტროლი კურსის ცალკეულ განყოფილებებზე, პედაგოგს საშუალებას აძლევს გამოავლინოს მოცემული აუდიტორიისათვის შედარებით რთული საკითხები და მოახდინოს მისი ახსნა ლექციაზე. პრაქტიკულ-სემინარულ მეცადინეობაზე, მიზანდასახულად მოახდინოს მასალის განმეორებისა და განმტკიცების ორგანიზაცია.

საკონტროლო ბილეთების შედგენისას აუცილებელია გათვალისწინებ იმისა, რომ მაქსიმალურად შემცირდეს სწორი პასუხის გამოცნობის შესაძლებლობა. ეს კი მიიღწევა ცალკეულ საკითხებზე, როგორც ალტერნატიული, ისე სწორი პასუხების რიცხვის გაზრდით.

ალტერნატივის რიცხვის გაზრდა თავისთავად არსებითია, რადგან მოსწავლემ თავისი პასუხი ჯერ უნდა მიიღოს (ან ჩამოაყლიბოს) და შემდგომ მოძებნოს შეთავაზებულ პასუხებს შორის. ცხადია, თუ მოსწავლე შეთავაზებული პასუხებიდან წინასწარ დაიწყებს მოფიქრებასა და შერჩევას, მაშინ იგი ძალზედ ბევრ დროს დაკარგავს და დავალებაც დარჩება შეუსრულებელი. ამასთან, რადგან მიმდინარე კონტროლის წარმოებისას ყურადღების აქცენტი შექმნილ ცოდნაზე კეთდება, ამიტომ საშიშროება იმისა, რომ მოსწავლემ არასწორი პასუხები დაიმახსოვროს, ძალზედ უმნიშვნელოა.



საკონტროლო ბილეთების შემდგენელმა ანალიზის გზით, მაქსიმალურად უნდა შეამციროს სწორ და არასწორ პასუხებს შორის განსხვავება. ამისთვის ალტერნატიული პასუხები იმგვარად უნდა იყოს შერჩეული, რომ მათ შორის არ უნდა იყოს უაზრო და გამოგონილი, რომ შინაარსით შეუსაბამო პასუხები ძირითადისაგან არ უნდა გამოირჩეოდნენ.

ათუ მიმდინარე კონტროლი (თემების ან განყოფილებების) ტრადიციული მეთოდების მიხედვით (ზეპირი გამოკითხვა, საკონტროლო სამუშაო) ჩატარდება, მაშინ იგი პედაგოგს შესაძინევად დიდ დროსა და ენერგიას წაართმევს. ამიტომ არის, რომ მოსწავლეთა დიდი ნაკადებისათვის ამგვარი მიმდინარე კონტროლი შედარებით იშვიათად გამოიყენება.

შერჩევითი მეთოდის ყველა ზემოაღნიშნული ნაკლოვანება შესაძლებელია უფრო სრულად აღმოიფხვრას ტექნიკური საშუალებების, ეერძოდ ელექტრომექანიკური მანქანა სსსი— 1 „ნაკადულის“ გამოყენებით. ეს მანქანა შეიქმნა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაპროგრამებული სწავლების ლაბორატორიაში და ამჟამად გამოიყენება სასწავლო პროცესებში პედაგოგიური კვლევის, კერძოდ მიმდინარე კონტროლის ჩატარების მიზნით.

მანქანური კონტროლი დაპროგრამებული სწავლების ერთ-ერთი სახეა. იგი წარმოადგენს პროცესს, როცა მოსწავლეს ეძლევა ინდივიდუალური ბილეთი თანდართული საკონტროლო ფურცლით და ცოდნის შემოწმება მანქანის საშუალებით ბილეთზე გაცემული პასუხების შესაბამისად (პედაგოგის გარეშე) ხდება.

საკონტროლო ფურცელი №

გვარი, სახელი მამის სახელი _____

ფაკულტეტი _____ კურსი _____ ჯგუფი _____


საგანი _____ ბილეთის № _____

კითხვა	I	II	III	IV	V	VI	VII	შენიშვნა
პასუხი (კოდი)								

რიცხვი _____ სტუდენტის ხელის მოწერა _____

მანქანური კონტროლი შემდეგი წინასწარ დამუშავებული მეთოდით წარმოებს:

25—30 მოსწავლეს აუდიტორიაში ინდივიდუალურად ბილეთები და საკონტროლო ფურცლები ურიგდება; ბილეთის ვარიანტი ჯგუფში არ მეორდება. მოსწავლე ავსებს საკონტროლო ფურცელს და იწყებს ბილეთში მოცემული დავალების შესრულებას. მას ამოსახსნელად შვიდი საკითხი ეძლევა (მანქანა



„ნაკადულის“ ერთი პერფორირებული შვიდ საკითხს იტევს და ამიტომ მისი შეჯამების კვანძი შვიდბალიანი ტევადობისაა). თითოეულ საკითხს აქვს ოთხი პასუხი, ერთი სწორი და სამი არასწორი. შესარულებს რა გარკვეულ მათემატიკურ გარდაქმნებს, მოსწავლემ ოთხი პასუხიდან უნდა ამოირჩიოს ერთი სწორი პასუხი და შერჩეული პასუხის ნომერი (კოდი) შეიტანოს საკონტროლო ფურცელში იმ ციფრის ქვეშ, რომლითაც აღნიშნულია ბილეთში მოცემული საკითხი (ბილეთი № 1). დავალების შესასრულებლად მოსწავლისათვის 1—1,5 საათი არის განკუთვნილი.

ბილეთი* № 1

1. ამოხსენით სისტემა $\begin{cases} 3x+2y=7 \\ 4x-5y=40 \end{cases}$ პასუხები: 01. -5;4; 02. 5;4;
03.5;-4; 04. -5;-4.
 2. გამოთვალეთ დეტერმინანტი $\begin{vmatrix} 0 & \times & 2 & 1 \\ 0 & \times & 5 & 0 \\ 1 & 3 & 2 & \end{vmatrix}$ პასუხები: 01. 3; 02. 4;
03. 7; 04. 1.
 3. ამოხსენით სისტემა $\begin{cases} x-3y=5 \\ y+z=1 \\ 2x-3z=1 \end{cases}$ პასუხები. 01. 1;1;3; 02.-3;2;1;
03. 3; $-\frac{2}{3}$; $\frac{5}{3}$;
04. 3; -2; 5;
 4. მოცემულია სამკუთხედი. ვიპოვოთ C წვეროდან გავლებული მედიანას სიგრძე, თუ A(10; 2), B(-6; 6) და C(-2; 1) სამკუთხედის წვეროებია. პასუხები: 01. 5; 02. 10;
03. 6; 04. 4.
 5. იპოვეთ ორი წრფის გადაკვეთის წერტილის კოორდინატები, თუ მოცემული წრფეებია: $x+y-1=0$ და $2x+3y+4=0$ პასუხები: 01. 7; -6; 02. 6;
-7; 03. 7; 6; 04. 6; 7
 6. იპოვეთ წრეწირის რადიუსის კვადრატი, თუ წრეწირის განტოლებაა: $x^2+y^2-4x+2y+1=0$ პასუხები: 01. $\sqrt{2}$; 02. 4;
03. -2; 04. 2.
 7. მოცემულია $\frac{x^2}{16} + \frac{y^2}{9} = 1$ პასუხები: 01. $\sqrt{7}$; 02. $\sqrt{7}$;
03. 14; 04; 7.
- ელიფსი. იპოვეთ ფოკუსური მანძილი.

თუ მოსწავლემ № 1 ბილეთის ყველა საკითხს სწორად უპასუხა, მაშინ მის მიერ შეესებული ცხრილი მიიღებს ასეთ სახეს (ცხრ. 1):

* ბილეთი შედგენილია სას.სამ. ინსტიტუტის მათემატიკის კათედრის თანამშრომელთა მიერ.



ცხრილი 1

საკითხი	I	II	III	IV	V	VI	VII
პასუხი (კოდი)	03	03	03	01	01	02	02

ცქვავთ, მოსწავლემ II და IV საკითხების პასუხები სწორად ვერ შეარჩია. VI საკითხზე უპასუხა „არ ვიცი“ მაშინ მის მიერ შევსებული ცხრილი ასეთ სახეს მიიღებს (ცხრილი 2):

ცხრილი 2

საკითხი	I	II	III	IV	V	VI	VII
პასუხი (კოდი)	03	01	03	04	01	z	02

შენიშვნა: აღნიშვნა z ნიშნავს „არ ვიცი“.

რომელი მოსწავლეც დაამთავრებს სამუშაოს, ღებულობს თავისი ბილეთის ნომრის შესაბამის პერფორირატს და მიდის მანქანასთან. მანქანა ჩართულია ქსელში და მის განათებულ სარკმელზე მკაფიოდ მოჩანს წარწერა, რომელიც მანქანაზე მომუშავეს მიუთითებს მართვის პროცესის საჭირო ეტაპზე. პირველ სარკმელზე იკითხება: „ჩადეთ კასეტა“; ეს იმას ნიშნავს, რომ კასეტა პერფორირატით სწორად უნდა ჩაიდოს მანქანაში და დაფიქსირდეს. თუ ეს ოპერაცია ზუსტად შესრულდა, განათდება მეორე სარკმელი, რომელიც მოსწავლეს უკარნახებს: „აკრიფეთ ბილეთის ნომერი“. თუ მანქანაში შეტანილი ბილეთის ნომერი კასეტაში ჩადებულ პერფორირატის ნომერს შეესაბამება, მაშინ განათდება მესამე სარკმელი წარწერით: „შეიყვანეთ პასუხები და დააწეეთ ლილაკს „მზადყოფნა“. განათდება მეოთხე სარკმელი წარწერით „მიიღეთ შეფასება“. შეფასების ლილაკზე თითის დაჭერით ამუშავდება გამშვები კვანძი და შვიდი სასიგნალო ნათურა, რომელიც მანქანაში შეტანილი პასუხების (კოდის) სისწორეზე მიუთითებს; ბოლოს მანქანაზე აინთება შეფასების გამომსახველი ციფრი: „0711 5“. „XOP 4“ და ა. შ.

მანქანასთან მიერთებული საბეჭდი მოწყობილობა პარალელურად მოსწავლის გვარის გასწვრივ ბეჭდავს ბილეთის ნომერს და მის მიერ შეყვანილ პასუხებს გვერდზე სიმბოლური აღნიშვნით „B“ (პასუხი სწორია) ან „H“ (პასუხი სწორი არ არის). თუ მოსწავლემ რომელიმე საკითხზე პასუხი არ შეიტანა, მაშინ საბეჭდი მოწყობილობა პასუხის ნაცვლად დაბეჭდავს „H3H“ (არ ვიცი).

საბეჭდ მოწყობილობაში დაბეჭდილ უწყისს 1 და 2 ცხრილების მონაცემების მიხედვით შემდეგი სახე აქვს:

ფაქულტეტი

კურსი

№	მოსწავლის გვარი და სახელი	ბილეთის №	საკითხები							შეფასება
			I	II	III	IV	V	VI	VII	
1	მოსწავლე 1	I	03 B	03 B	03 B	01 B	01 B	02 B	02 B	OTა 5
2	მოსწავლე 2	I	03 B	01 H	03 B	04 H	01 B	H3H	02 B	УД 3
...
...
...
...
...


რიცხვი მასწავლებლის ხელის მოწერა

როგორც უწყისიდან ჩანს, პედაგოგს ჯგუფის აკადემიური მოსწრების ანალიზის, ხოლო თვით სტუდენტს, კი — თითოეულ საკითხზე გაცემული პასუხების სისწორის შემოწმების საუკეთესო შესაძლებლობა ეძლევა.

მიმდინარე კონტროლი იმავე მეთოდით ჩატარდა აგრეთვე ფიზიკაში. ქვემოთ მოგვყავს ფიზიკის ერთ-ერთი ბილეთის ნიმუში.

ბილეთი №

№	კითხვები	კოდი	პასუხები
1	როგორია ძალის ერთეულის განზომილება CGS სისტემაში?	01	კგ მ ² წმ ⁻²
2	როგორია ძალის ერთეულის განზომილება SI სისტემაში?	02	გ სმ ² წმ ⁻³
3	როგორია მუშაობის ერთეულის განზომილება CGS სისტემაში?	03	კგმ
4	როგორია მუშაობის ერთეულის განზომილება SI სისტემაში?	04	გ სმ წმ ⁻²
5	როგორია მუშაობის ერთეულის განზომილება ტექნიკურ სისტემაში?	05	კგ მ წმ ⁻²
6	როგორია სიმძლავრის ერთეულის განზომილება CGS სისტემაში?	06	კგ
7	როგორია სიმძლავრის ერთეულის განზომილება SI სისტემაში?	07	გ სმ ² წმ ⁻²
		08	კგ მ ² წმ ⁻³
		09	გ სმ წმ ⁻¹
		10	კგ მ წმ ⁻¹



ბილეთები შედგენილია კუზმინის სახელმძღვანელოს მიხედვით. ერთი შეხედვით ბილეთები მარტივია და არ უნდა წარმოადგენდნენ სიძნელეს. დენტებისათვის, მაგრამ 42 სტუდენტიდან დავალება მხოლოდ 10 დასძლია. იმის და მიხედვით, თუ როგორია ჯგუფის მომზადების დონე პედაგოგს საშუალება აქვს ბილეთში საკითხების რაოდენობა შეცვალოს.

I. ბილეთში თუ ხუთი საკითხია:

- 5 ქულა — ფრიადი
- 4 ქულა — კარგი
- 3 ქულა — დამაკმაყოფილებელი
- 2 ქულა (და ნაკლები) — არადამაკმაყოფილებელი.

II. ბილეთში თუ ექვსი საკითხია:

- 6 ქულა — ფრიადი
- 5 ქულა — კარგი
- 4 ქულა — დამაკმაყოფილებელი
- 3 ქულა (და ნაკლები) — არადამაკმაყოფილებელი.

III. ბილეთში თუ შვიდი საკითხია:

- 7 ქულა — ფრიადი
- 6 ქულა — კარგი
- 5-4 ქულა — დამაკმაყოფილებელი
- 3 ქულა (და ნაკლები) — არადამაკმაყოფილებელი.

ზემოთ აღნიშნული მეთოდით მიმდინარე კონტროლის წარმატებით ჩატარება შეიძლება ნებისმიერ საგანში (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, უცხო ენა და სხვა). ამისათვის კი საჭიროა შედგენილ იქნეს სპეციალური ბილეთები მოცემული საგნის საკითხების ხასიათის გათვალისწინებით.

როგორც წინასწარ ჩატარებულმა პედაგოგიურმა ექსპერიმენტებმა გვიჩვენეს, მანქანური კონტროლი საგრძნობლად ეხმარება მოსწავლეს ეფექტურად წარმართოს მუშაობის პროცესი; აშორებს მას ყველა იმ თანდართულ მოვლენებს, როგორცაა საერთო ნერვიულობა; დაბნეულობა; გამომცდელის მიმართ შიში; გამომცდელის საერთო თვალსაზრისი კონტროლის წარმოების — სტუდენტის მიმართ წაყენებული მოთხოვნების და მათი მომზადების შეფასების შესახებ, თავისი პასუხის რწმენა და ყველა ის წვრილმანი, რომელიც თან სდევს მიმდინარე კონტროლს.

ამგვარი ხერხით მიმდინარე კონტროლის წარმართვისას წარმატებით შეიძლება გადაწყდეს არა მარტო ცოდნის ობიექტური შეფასების პრობლემა, არამედ მთელი რიგი სხვა ამოცანებიც. კერძოდ, ყველა მოსწავლის ერთდროული (ჯგუფურად) შეფასება დროის მცირე მონაკვეთში; ნერვიული ენერჯის



და იმ დროის მინიმუმამდე დაყვანა, რომელსაც მოსწავლე თავისი შეფასებით მოლოდინში ხარჯავს; პედაგოგის დროისა და ძალის ეკონომია; შეფასების ლატარიული ხასიათი; სტუდენტთა მიერ ურთიერთკარნახობის გამოყენების შეუძლებლობა (რადგან ცალკეული მოსწავლე დაკავებულია თავისი ვარიანტის დავალებით) და ა. შ.

ჩვენი აზრით, მანქანურმა კონტროლმა უკვე დაამტკიცა თავისი სიცოცხლისუნარიანობა და ამიტომ მთელი მუშაობა დღეისდღეობით მისი განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით უნდა წარმოებდეს.

Доц. ГОРДЕЗИАНИ К. Ш., ХЕЦУРИАНИ Т. Г.

К ВОПРОСУ ИССЛЕДОВАНИЯ ЭФФЕКТИВНОСТИ МАШИННОГО КОНТРОЛЯ


Резюме

Текущий контроль играет важную роль в программированном обучении. Он удовлетворяет заинтересованности студентам в усердной обработке пройденного материала, уменьшает или, можно сказать, полностью исключает стремление студента разгадать код. Текущий контроль по отдельным разделам курса даст возможность педагогу выявить данные аудитории сравнительно сложные вопросы и произвести их объяснения на лекции, практических занятиях, организовать повторение и упрочение заданного материала.

При составлении контрольных билетов учитывается то обстоятельство, что нужно максимально уменьшить возможность отгадки правильного ответа. Это достигается за счет увеличения числа как альтернативных, так и правильных ответов на некоторые вопросы.

Увеличение количества альтернативы само по себе существенно, так как учащийся должен сперва получить (или сформулировать) свой ответ и затем подыскать такой же среди предложенных ему ответов. Ясно, что если учащийся предварительно начнет обдумывать и выбирать из предложенных ответов, то он потеряет очень много времени и задание останется невыполненным. Наряду с этим опасность запоминания учащимся неправильных ответов очень незначительна, так как при проведении текущего контроля внимание акцентируется на приобретенные знания.

Составитель контрольных билетов должен путем анализа максимально уменьшить разницу между правильными и неправильными ответами. Для этого альтернативные вопросы должны быть подобраны так, чтобы среди них не было бессмысленных и выдуманных, чтоб не соответствующие по содержанию ответы не очень отличались от основных.



Если провести текущий контроль по разделам или темам с помощью традиционных методов (устный опрос, контрольная работа), то это мет у педагога довольно много времени и энергии. Потому такой текущий контроль сравнительно редко применяется для большого потока учащихся.

В нашем институте в процессе педагогических исследований, в частности текущего контроля применяется машина ГСХИ-1 «Накадули».

Эта машина была создана в лаборатории «Научной организации учебного процесса» Грузинского сельскохозяйственного института.

Машинный контроль является одним из видов программированного обучения. Это процесс, в ходе которого студенту выдается индивидуальный билет с приложенным контрольным листком и проверка знаний производится в соответствии с ответами по билету с помощью машины (без педагога).

Контрольный листок №

Фамилия, имя, отчество

Факультет курс группа

Предмет билет №

Вопрос	I	II	III	IV	V	VI	VII
Ответ (код)							

Число

Подпись студента

Машинный контроль осуществляется с помощью предварительно разработанного метода:

Студентам в количестве 25—30 человек выдаются индивидуальные билеты с приложенными контрольными листами. Вариант билета в группе не повторяется. После заполнения контрольного листа, студент приступает к выполнению данных в билете заданий. Билет содержит семь вопросов (машина «Накадули» имеет перфокарту содержащую семь вопросов и поэтому ее узел суммирования имеет семибальную емкость). Каждый вопрос имеет четыре ответа: один правильный и три неправильных. Выполнив задание студент из данных четырех выбирает правильный и номер (код) выбранного ответа вносит в контрольный листок под номером вопроса, на который отвечает. Для выполнения заданий студенту дается один-полтора часа.



1. Решите систему

$$\begin{cases} 3x + 2y = 7 \\ 4x - 5y = 40 \end{cases}$$

Ответы: 01.—5; 4. 03.5, —4;. 04.—5, —4.

2. Вычислите детерминат

$$\begin{vmatrix} 0 & -2 & 1 \\ 1 & -5 & 0 \\ 0 & 3 & 2 \end{vmatrix}$$

Ответы: 01.3; 02.4;
03.7; 04.1.

3. Решите систему

$$\begin{cases} x - 3y = 5 \\ y + z = 1 \\ 2x - 3z = 1 \end{cases}$$

Ответы: 01.1. 2. 3; 02.—3;
2. 1); 03.3; —2; 5; 04.3,
—2; 5.

4. Дан треугольник. Найти длину медианы, проведенной из вершины С, если даны вершины А(10; 2) В(—6; 6) С(—2; 1)

Ответы: 01.5; 02.10;
03.6; 04.4.

5. Найдите координаты точки пересечения двух прямых, если их уравнения.

Ответы: 01.7; —6; 02.6, —7;
03.7, 6; 04.6, 7.

$$\begin{aligned} x + y - 1 &= 0 \quad \text{и} \\ 2x + 3y + 4 &= 0 \end{aligned}$$

6. Найдите квадрат радиуса окружности если ее уравнение

Ответы: 01. $\sqrt{2}$; 02.4;
03.—2; 04.2.

$$x^2 + y^2 - 4x + 2y + 1 = 0$$

7. Дан эллипс

$$\frac{x^2}{16} + \frac{y^2}{9} = 1$$

Ответы: 01. $\sqrt{7}$; 02. $\sqrt{7}$;
03.14; 04.7.

Найдите фокусное расстояние.

Если студент ответил правильно на все вопросы билета № 1, то таблица правильных ответов примет вид (таб. № 1):

* Билет составлен сотрудниками кафедры математики СХИ (—2; 7)

Вопрос	I	II	III	IV	V	VI	VII
Ответ (код)	03	03	03	01	01	02	02

Допустим, студент на II и IV вопросы ответил неправильно, а на VI вопрос ответил «не знаю». Таблица ответов примет вид:

Таблица № 2

Вопрос	I	II	III	IV	V	VI	VII
Ответ (код)	03	01	03	04	01	z	02

Примечание: обозначение z означает „не знаю“.

После выполнения задания, студент получает перфокарту, соответствующую номеру своего билета. Машина включена в сеть и освещена надписью, указывающая студенту на нужный этап процесса управления: «Вложите кассету»; это означает, что кассета с перфокартой должна быть правильно вложена в машину и зафиксирована. При правильном выполнении этой операции загорится надпись: «Наберите номер билета». Если номер билета соответствует номеру вложенной в кассету перфокарты, то загорится надпись: «Введите ответы». Нажмите на кнопку «Готовность». Студент вводит ответы и нажимает на кнопку «Готовность». Загорается надпись «Получите оценку». Нажатием на кнопку оценки срабатывают пусковой узел и семь сигнальных лампочек, которые указывают на правильность внесенных в машину ответов (кодов); Наконец на машине зажигается цифра показывающая оценку: «отл. 5», «хор. 4», и т. д.

Печатающее устройство, подсоединенное к машине и работающее параллельно с ней, печатает вдоль фамилии студента номер билета и символические обозначения «В» (ответ верен) или «Н» (ответ не верен) рядом с ответами, введенными студентам. Если студент не внес ответ на какой либо вопрос тогда печатающее устройство вместо ответа печатает «НЗН» (не знаю).

Ведомость, напечатанная печатающим устройством по данным таблиц № 1 и № 2, имеет вид:

Ведомость №



Факультет

курс

группа

№	Фамилия и имя студента	билет №	Вопросы							Оценка
			I	II	III	IV	V	VI	VII	
1	Студент 1	1	03 В	03 В	03 В	01 В	01 В	02 В	02 В	ОТД
2	Студент 2	1	03 В	01 Н	03 В	04 Н	01 В	НЗН	02 В	УД
п										

Число подпись преподавателя

Ниже приводим образец билета по физике.

Как видно из ведомости, преподавателю дается возможность проанализировать академическую успеваемость группы, а студенту — проверить правильность ответов на каждый вопрос.

Текущий контроль проводился и по физике. Ниже приводим образец билета по физике.

Билет №

№	Вопросы	Код	Ответы
1	Какова размерность единицы силы в системе CGS?	01	кг м ² сек ⁻²
2	Какова размерность единицы силы в системе SI?	02	г см ² сек ⁻²
3	Какова размерность единицы работы в системе CGS?	03	КГМ
4	Какова размерность единицы работы в системе SI?	04	г см сек ⁻³
5	Какова размерность единицы работы в технической системе?	05	кг м сек ⁻²
6	Какова размерность единицы мощности в системе?	06	кг
7	Какова размерность единицы мощности в системе?	07	г см ³ сек ⁻²
		08	кг м ² сек ⁻³
		09	г см сек ⁻¹
		10	кг м сек ⁻¹

Билеты были составлены по учебнику Кузьмина «Вопросы по физи-
ке». На первый взгляд, билеты просты и не должны представлять труд-
ность для студентов. Однако из 42 человек, с заданиями справились толь-
ко 10.

В зависимости от уровня подготовки группы преподаватель имеет воз-
можность менять количество вопросов в билете.

I. Если в билете пять вопросов

- 5 очков—отлично
- 4 очка—хорошо
- 3 очка—удовлетворительно
- 2 очка (и меньше)—неудовлетворительно.

II. Если в билете шесть вопросов.

- 6 очков—отлично
- 5 очков—хорошо
- 4 очка—удовлетворительно
- 3 очка (и меньше)—неудовлетворительно.

III. Если в билете семь вопросов.

- 7 очков—отлично
- 6 очков—хорошо
- 5—4 очка—удовлетворительно
- 3 очка (и меньше)—неудовлетворительно.

Осуществление текущего контроля вышеописанным методом возможно по любой дисциплине (биологии, химии, иностранному языку и др.). Для этого необходимо, чтоб были составлены билеты с учетом специфичности данной дисциплины.

Кроме текущего контроля, с помощью машины «Накадули» проводится и процесс самоконтроля, сущность которого заключается в том, что учащийся без помощи преподавателя контролирует себя. В данном случае печатающее устройство и цифровая лампа, показывающая оценку, отключены. Выполнив задание, студент вводит свои ответы в машину и по тому загорится или нет зеленая лампочка на каждый ответ, проверяет правильность своих ответов. Такой самоконтроль также способствует повышению эффективности процесса самообучения.

С нашей точки зрения, машинный контроль доказал свою жизнеспособность и, поэтому, на сегодняшний день вся работа должна производиться с целью его развития и улучшения.

პროფ. ს. ბუნია


სასწავლო პროცესში ტექნიკური საშუალებების გამოყენებისა და დაპროგრამებული სწავლების საკითხისათვის

ჩვენ ვცხოვრობთ ატომის ენერჯის სახალხო მეურნეობაში დანერგვისა და გამოყენების საუკუნეში, როცა ამ ენერჯის მართვის საკითხი უკვე საფუძვლიანად არის შესწავლილი. ამასთანავე ეს საუკუნე წარმოადგენს კოსმოსის შესწავლისა და ათვისების საუკუნეს.

ამიტომ სწავლებაში თანამედროვე ტექნიკური მიღწევების გამოყენება ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა სტუდენტთა და მოსწავლე ახალგაზრდობის მიერ სასწავლო მასალის უკეთ გაგებისა და ათვისებისათვის. თანამედროვე ეტაპზე სწავლების პროცესი მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული სხვადასხვა სასწავლო კინოფილმების, დიაფილმებისა და სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებასთან, რათა ახალგაზრდობას გავუადვილოთ მოსმენილისა და წაკითხულის უკეთ ათვისება. ლექტორ-მასწავლებელი ლექცია-გაკვეთილის დამთავრების შემდეგ უნდა მიდიოდეს მართვის პულტთან, სადაც ღილაკებზე თანმიმდევრულად დაჭერით ბნელდება აუდიტორია, ეშვება ეკრანი, ჩაირთვება წაკითხულ მასალასთან დაკავშირებული კინოფილმი, წარმოებს მოსმენილის დემონსტრირება და ლაბორატორიული გზით მისი ნათელყოფა. ამგვარად სწავლებაში ცოდნის ღრმად შეთვისება, ბუნებრივია, ფართოდ იქნება დაყრდნობილი სასწავლო პროცესში თანამედროვე ტექნიკური საშუალებების ინტენსიურ გამოყენებაზე ის წარმოადგენს მასალის გადაცემისა და ათვისების მტკიცე და საიმედო საფუძველს.

იქ, სადაც სალექციო აუდიტორია მოწყობილია თანამედროვე ტექნიკური საშუალებების დონეზე, ლექტორ-მასწავლებლის წინაშე დგება გარკვეული ამოცანა: უზრუნველყოს მის მიერ გადაცემული მასალის რეალიზაცია თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების გამოყენების საფუძველზე.

მიმდინარე საუკუნის სამოციან წლებში ჩვენში თავი იჩინა სწავლების მეტოდიკაში ახალმა მიმდინარეობამ—დაპროგრამებული სწავლების იდეამ. ეს



ემთხვევა იმ პერიოდს, როდესაც ამერიკაში ამ საკითხს მაქსიმალურ ყურადღებას უთმობდნენ.


დაპროგრამებული სწავლების იდეის წარმოშობა დაკავშირებულია ჩქარმომქმედი გამოთვლითი ელექტრონული მანქანების შექმნასთან და სახალხო მეურნეობაში მათს დანერგვასთან. ეს კი მოხდა მიმდინარე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში. ამიტომ ამ დროიდან მსოფლიო მეცნიერების წარმატებები დიდად არის დაკავშირებული თანამედროვე გამოსათვლელი მათემატიკის დანერგვასთან და ჩქარმომქმედი ელექტრონული საანგარიშო მანქანების გამოყენებასთან. ხშირად ჩვენ გვაქვს საქმე ისეთ მოვლენებთან, რომლებიც მოითხოვენ მათემატიკურ გამოკვლევებს. უმრავლეს შემთხვევაში ასეთი გამოკვლევები პრაქტიკულად შეუძლებელია. ავიღოთ ასეთი მაგალითი.

ატმოსფერული პროცესები დიდი სიზუსტით შეიძლება აღწერილი იყოს თერმოდინამიკური განტოლებების საშუალებით, მაგრამ მათი ამოხსნა თანამედროვე მათემატიკური აპარატით ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია. ამის გამო მკვლევარები ზოგჯერ მიმართავენ ატმოსფეროში არსებული პროცესების იდეალიზირებას, რაც გამოხატულებას პოულობს განტოლებების გამარტივებაში. ცხადია, ამ გზით მიღებული შედეგები სავსებით ვერ ასახავენ ატმოსფერული პროცესების რეალურ მდგომარეობას. მით უფრო რთულდება ვითარება მაშინ, როცა საქმე შეეხება ისეთი ამოცანის გადაწყვეტას, რომელიც მოითხოვს არსებული ატმოსფერული პროცესების აღმწერი თერმოდინამიკური განტოლებებიდან მისი მომავალი მდგომარეობის გათვალისწინებას.

გამოჩენილმა ინგლისელმა მეტეოროლოგმა და მათემატიკოსმა ლ. ფ. რიჩარდსონმა 1922 წელს პირველმა გამოიყენა თერმოდინამიკური განტოლებები ატმოსფერული პროცესების აღსაწერად და სცადა მოეხდინა ამ პროცესების პროგნოზირება 24 საათის ვადით. მაგრამ იმისათვის, რომ ამ მეთოდით რიჩარდსონს წინასწარ განესაზღვრა მხოლოდ ურთი დღე-ღამით ამინდის მომავალი მდგომარეობა, საჭირო იყო ერთდროულად ერთ დღე-ღამეში 64000 გამოთვლელი-ტექნიკოსის მუშაობა. ეს კი დიდ სირთულეს ქმნიდა. ამიტომ რიჩარდსონი მიხვდა, რომ ამ გამოთვლების დაჩქარებისათვის საჭირო იყო სწრაფგამოთვლითი მანქანა, რომელიც მკვეთრად შეცვლიდა ადამიანთა კოლოსალურ რიცხვს და გამოთვლის დროსაც.

მართლაც არ გასულა დიდი დრო და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ჩნდება ჩქარმომქმედი ელექტრონული მანქანები. 1946 წლისთვის უკვე არსებობდა სხვადასხვა დანიშნულებების და კონსტრუქციის რამოდენიმე ასეთი ელექტრონული მანქანა, რომლებსაც უნარი ჰქონდათ ეწარმოებინათ გამოთვლები 10000-ჯერ უფრო სწრაფად, ვიდრე გამოცდილ გამოთვლელ-ტექნიკოსს მაგიდის არითმომეტრით. დღეს ჩვენს განკარგულებაშია ისეთი ჩქარმომქმედი ელექტრონული მანქანები, რომლებიც ერთ წამში აწარმოებენ 10000-დან 100000-მდე და მეტ ოპერაციებს.

ზემოთქმულიდან ცხადია, რომ თანამედროვე ჩქარმომქმედი ელექტრონული მანქანების შექმნა და მათი სახალხო მეურნეობაში დანერგვა იწყება მიმ-



დინარე საუკუნის ორმოცდაათიანი წლებიდან. ამ სტრიქონების ავტორს საშუალება ჰქონდა 1955—1956 წლებში თვითონ გამოეყენებინა სსრ კავშირის მნიერებათა აკადემიის გამოთვლითი ცენტრის ჩქაროქმედი ელექტრონული მანქანა მის მიერ დასმული ამოცანის გადასაწყვეტად.

ის ამოცანები, რომლებიც საჭიროებენ მანქანურ ამოხსნებს, თავდაპირველად უნდა გარდაიქმნას მანქანურ ენაზე, ე. ი. ნაჩვენები იქნება ის თანმიმდევრობები, რომლებიც უნდა შეასრულოს მანქანამ მოცემული ამოცანის გადასაწყვეტად. ამ თანმიმდევრობას უწოდებენ ამოსახსნელი ამოცანის პროგრამას. მაშასადამე ამოცანის მანქანაზე ამოხსნა მოითხოვს წინასწარ მის დაპროგრამებას, რისთვისაც საჭიროა დავიყვანოთ მოცემული ამოცანის ამოხსნა ისეთ სახემდე, სადაც ნაჩვენები იქნება მანქანაზე ამოცანის რეალიზაციისათვის განკუთვნილი ყველა თანმიმდევრობითი ოპერაცია.


თუ ასეთ მანქანას გამოვიყენებთ სასწავლო პროცესში სწავლების გაუმჯობესების მიზნით, მაშინ ამ მანქანას უნდა ეუწოდოთ მსწავლებელი მანქანა. წინასწარ დასმული ამოცანის მსწავლებელ მანქანაზე რეალიზაციისათვის აუცილებლად უნდა იქნეს შედგენილი პროგრამა.

აქედან გამომდინარე, ცხადი ხდება „დაპროგრამებული სწავლების“ არსა. ყოველივე ამის გამო, ჩვენი აზრით, უკეთესი იქნებოდა ტერმინი „დაპროგრამებული სწავლება“ შეგვეცვალა ტერმინით „მსწავლებელი პროგრამა“, რაც მთლიანად უპასუხებს ჩვენს მიზანდასახულობას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენს ქვეყანაში მოცემულ პრობლემაზე სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები არსებითად დაიწყო ჩვენი საუკუნის სამოციანი წლებიდან. ამ დროისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ მიმართულებით ბევრი რამ იყო გაკეთებული და მიღებულ შედეგებზე დიდ იმედს ამყარებდნენ. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიღებული შედეგების პრაქტიკულმა შემოწმებამ ვერ გაამართლა იმედები, რის გამოც ამერიკის შეერთებულ შტატების მრავალ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში მინელდა ლაპარაკი დაპროგრამებული სწავლების დიდ პერსპექტივებზე. თუ 1961—1962 წლები იყო ბევრის დამპირებელი და დიდი იმედის მომცენი, ამ მხრივ 1963—1965 წლები იყო დაპროგრამებული სწავლების მიმართულებით სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების უფრო ფრთხილად, ნელა, მაგრამ ღრმად წარმოების პერიოდი, რაც დღემდის გრძელდება.

საბჭოთა კავშირში ამ მიმართულებით მომუშავე მკვლევარებმა ვერ გაითვალისწინეს ის შეცდომები და ნაკლოვანებები, რომლებიც გამოვლინებული იყო ამერიკის შეერთებულ შტატების სამეცნიერო ლიტერატურაში.

როგორც ჩვენს რესპუბლიკაში, ისე საბჭოთა კავშირის სხვა მრავალ რესპუბლიკაში დაპროგრამებული სწავლების საკითხებზე სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში ჩაებნენ უმეტესად ისეთი პირები, რომლებსაც არ ჰქონდათ ამისათვის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის წარმოების სთანადო გამოცდილება, არ გააჩნდათ პედაგოგიური მუშაობის საკმაო სტაჟი და სამეცნიერო ხარისხი. აქედან გასაგებია, თუ როგორი უნდა ყოფილიყო მათ მიერ შესრულებული სა-



ნეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგები და ხარისხი. ეს პირობები არ შეიძლება
 ნენ მოენახათ ახალი, უფრო ეფექტური მეთოდი სასწავლო პროცესში
 როგორამებული სწავლების განსახორციელებლად და მეტწილად შემოიფარგ-
 ლნენ დაპროგრამებული სწავლების გაუმართლებელი საშუალებებისა და მე-
 თოდების გამოყენებით.

ასე, მაგალითად, ამ თემისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ „სამეცნიერო“ შრომაში,
 რომელიც მიძღვნილია ამოცანის ამოხსნის მეთოდისადმი, ადგილი აქვს ამ-
 პრობლემების ზედმეტ გართულებას, ნაცვლად მისი გადადვილებისა. ამოცანის
 შინაარსი ასეთია: რა სითბოა საჭირო 200 გ ჟანგბადის გასათბობად 288°K-დან
 373°K-მდე. წნევა ჩათვალეთ მუდმივად. ხსენებული ამოცანის ამოხსნა
 შრომაში მიღებულია ხუთი კითხვის დასმის შემდეგ, მაშინ როდესაც ეს ამო-
 ცანა ძალზე იოლია და ორი კითხვით შეიძლება მისი პასუხის მიღება. ამოხსნის
 პროცედურას უკავია გვერდნახევარი. მაშინ როდესაც ჩვეულებრივი წესით
 მისი პასუხის მიღება შეიძლება ორ სტრიქონზე. გამოდის, რომ დაპროგრამე-
 ბული სწავლებით ამოცანის ამოხსნის მეთოდი მდგომარეობს ამოხსნის გარ-
 თულებაში, რაც სწორი არ არის. ასეთივე აბსურდზეა აგებული მეორე „სამეც-
 ნიერო“ ნაშრომი, რომელიც მიძღვნილია ფიზიკის სალექციო კურსის ზოგი-
 ერთ საკითხზე მეთოდური მითითებების განხილვისადმი. ასეთი მდარე
 შრომის ავტორებს უნდათ იოლი გზით მიიღონ სამეცნიერო ხარისხი. ჩვენ
 ვფიქრობთ, რომ სამეცნიერო ხარისხის მიღების ასეთი იოლი გზა მავნებელია
 და მის წინააღმდეგ უნდა მივიღოთ სასტიკი ზომები.

თუ სასწავლო ინსტიტუტებში წარმოებს სამეცნიერო-კვლევითი სამუშა-
 ოები დაპროგრამებული სწავლების მიმართულებით, საჭიროა მათი დაქვემ-
 დებარება სათანადო კათედრებისადმი. დაპროგრამებული სწავლების მიმარ-
 თულებით სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში უნდა ჩავაბათ მეცნიერებათა დოქ-
 ტორები და კანდიდატები, გამოჩენილი სპეციალისტი-პრაქტიკოსები. ასეთი
 სპეციალისტების მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია მივალწიოთ რაიმე სე-
 რიოზულ წარმატებებს დაპროგრამებული სწავლების იდეის განხორციელების
 საქმეში.

ს ა რ ჩ ე შ ი

გ. ჯორჯიკია — ვ. ი. ლენინი — სსრკეში ორგანიზატორი	3
გ. მამრიკიშვილი — საბჭოთა აღმოსავლეთის ხალხების არაკაპიტალისტური გზით განვითარების ზოგიერთი თავისებურების შესახებ	17
ა. კალანდია — ფეიერბახის ფილოსოფიური მოფლმხედველობის განვითარების საკითხისათვის	195
შ. გველესიანი — საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ლენინური პრინციპები და თანამედროვეობა	73
А. Н. Чуркин — Миграция сельского населения и ее тесная взаимосвязь с застройкой и переустройством села	87
მ. ჭელიძე — ლენინის კოლპერაციული გეგმა და კოლმეურნეობის ახალი წესდება	111
ი. სარიშვილი — შალვა რაქვინის ძე ცინცაძე	125
ა. ბაღდაძე — მასალები ზეხილის მერქნის მავნე Coleoptera -თა შესწავლისათვის აღმოსავლეთ საქართველოში	133
А. И. Багдавадзе — Жуки-вредители древесных плодовых культур Восточной Грузии	151
შ. ჩხიკვაძე — აფინიტეტის გავლენა მუდმივადგილზე დარგული ვაზის ნერვის გახარების ინტენსივობასა და სიცოცხლის ხანგრძლივობაზე	153
Г. Э. Звиададзе, О. Г. Чихладзе, Б. В. Саканделидзе — Из истории корнесобственного размножения шелковицы	169
პ. გიორგაძე — საქომეურნეო წარმოების რენტაბელობის მაჩვენებლების ანალიზის საკითხები	181
ბ. ქარქაშაძე — საწარმოო ფონდების ეფექტიანობის შესწავლის ზოგიერთი საკითხი	195
ლ. ჩარქსელიანი — წარმოების ორგანიზაციისა და ეკონომიკის ზოგიერთი საკითხი საბჭოთა მეურნეობაში	215
დ. დგებუაძე — დუშეთის მაზრის სოფლის მეურნეობა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე	221
ა. თედიაშვილი — ეკონომიური ინფორმაცია მართვის სისტემის სტრუქტურაში	231
კ. ბუაჩიძე — მეთილბრომილის გამოცდის შედეგები ნიადაგში მცხოვრები მავნებლების წინააღმდეგ	243
მ. წერეთელი — ნუშის ნაყოფის ტექნოლოგიური კლასიფიკაციის საკითხისათვის	251
ლ. მუჯირი — ამინომჟავების მონაწილეობა ალკალიდების გენეზისში	257
Н. Г. Гигиберия, О. Т. Хачидзе — Количественное изменение свободных аминокислот в сусле и десертном вине «Хихви»	261
Н. К. Залдастанишвили, Б. Э. Саралидзе — Изменение объемной массы винограда от статической нагрузки	265
მ. ოშორიძე — სატრაქტორო ავრეგატის ენერგოდანახარჯები და მექანიზებული სამუშაოების ტექნიკური ნორმირების საფუძვლები	271
გ. ჩიჩუა, ი. გაფრინდაშვილი, ნ. ნადიბაიძე — ნიადაგის ფიზიკის მეცნიერების თანამედროვე მდგომარეობა	287
პ. გორდეზიანი, თ. ხეცურიანი — მანქანური კონტროლის ეფექტურობის გამოკვლევის საკითხისათვის	297
ს. გუნია — სასწავლო პროცესში ტექნიკური საშუალებების გამოყენებისა და დაპროგრამებული სწავლების საკითხისათვის	311
	315

შეკვ. 710.

უე. 05159.

ტირაჟი 500.

გადაეცა წარმოებას 8/IX-72 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/III-73 წ.
ანაწყოების ზომა 7 X 11, სასტამბო თაბახთა რაოდენობა 20. სააღრიცხვო-სავა-
მომცემლო თაბახთა რაოდენობა 19.

ფასი 1 მან. 30 კაპ.

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტამბა,
თბილისი-31, დიღომი.

**Типография грузинского ордена Трудового Красного знамени
сельскохозяйственного института
Тбилиси-31, Дигоми**

58/21

